

ლუარა სოლია

ტერენტი გრანელის
შემოქმედების ეროვნული და
ზოგადსაკაცობრივი მასშტაბები



გამომცემლობა „ანივერსალი“
თბილისი 2024

- რედაქტორი** – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი მამანტი როგავა
- რეცენზენტი** – პოეტი, გიორგი შერვაშიძის პრემიის ლაურეატი, ფილოლოგის დოქტორი, პროფესორი დარიკო ფიფია

© ლუარა სორილა, 2024

გამომცემლობა „ენიველსალი“, 2024

თბილისი, 0186, ქ. აღლიანი რვესანის №4, ჟ: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com

ISBN 978-9941-33-760-4

სარჩევი

რედაქტორისგან:	6
შესავალი	9

თავი I. ესთეტიკის საკითხები

1. ფსევდონიმ გრანელის გამო	14
2. პოეზია – სულიწმინდის მადლი	22
3. ნათელზოლვის უნარით გამორჩეული	34
4. ნათელსმენის ფენომენი	40
5. წამების სიხარული	43
6. უცნაური გაგიჟება	50
7. ჭეშმარიტების მაძიებელი მგზავრი	65
8. შერისხული	73
9. უცნობი სფინქსი	86
10. შემოქმედება – დედამიწის სიზმარი	97
11. ლექსი – სისხლის რვეული	107
12. იმპრესიონისტული ხილვები სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები	115

თავი II. ფილოსოფიური ლირიკა

1. პლანეტის სევდა	132
2. სიკვდილის პარადიგმა	145
3. ცისფერი სიკვდილი	161
4. გამოღვიძება გარდაცვალების შემდეგ	166
5. ბედისწერის კონცეპტი	176
6. ბედნიერების კრიტერიუმი	184
7. „მესამე გზა“	189
8. ასტრალური მოგზაურობა	202

თავი III. პატრიოტული ნაკადი

1. „მე მაფიქრებს საქართველოს ბედი“	211
2. „ძველ ბალებს დაეცნენ ქარები ყაჩალივით“	220

თავი IV.

1. ტერენტი გრანელის ოპოზიციური ლირიკა	235
2. აპოკალიფსურ მხეცებთან მებრძოლი	247

თავი V.

1. პოეზია პლანეტების	255
----------------------------	-----

თავი VI. სახისმეტყველების სკითხები

1. ქრისტიანული სიმბოლიკა	266
2. ცის პარადიგმა ტერენტი გრანელის პოეზიაში	294
3. ცისფერი ღამე	302
4. პოეტის „ცისფერი და“	311
5. დიდი პოეტი გრიგალს ეძახის	319

თავი VII. ქართული და უცხოური პოეზიის რემინისცენციები ტერენტი გრანელის შემოქმედებაში

1. ვაჟა-ფშაველა და ტერენტი გრანელი	
• შთაგონების „უხილავი ქარი“ ვაჟა-ფშაველასა და	
ტერენტი გრანელის პოეზიაში	328
• ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო სატკივრების	
გათავისება ვაჟა-ფშაველასა და ტერენტი გრანელის	
პოეზიაში	331
• ნისლის პარადიგმა ვაჟა-ფშაველასა და ტერენტი	
გრანელის შემოქმედებაში	335

• ყვავ-ყორანთა ციკლი ვაჟა-ფშაველასა და ტერენტი გრანელის პოეზიაში	341
2. სულთა სიახლოვე. გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი ნათესაობის ერთი ასპექტი	348
3. ფრიდრიხ ნიცშეს რემინისცენციები ტერენტი გრანელის შემოქმედებაში	358
• ედგარ პო და ტერენტი გრანელი და ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან	381
• იდუმალი ქალი ლენორა	387
4. დანტეს რემინისცენციები ტერენტი გრანელის პოეზიაში	390

თავი VII. ანტიციპაციით მომადლებული ტერენტი გრანელი

1. წინასწარმეტყველური ხილვები	410
2. სიკვდილის აჩრდილების გამოცხადება	419
3. ღმერთისკენ მიბრუნების და საქართველოს დამოუკიდებლობის წინასწარმეტყველება	424
4. საკუთარი მომავლის განჭვრეტა	426

რეზიუმე ინგლისურ ენაზე 439

რედაქტორისგან:

წარმოდგენილ ნაშრომს მკითხველი თავად შეაფასებს. ჩე-მი სურვილია მათ შევთავაზო ავტორის მიერ დიდი სიყვარუ-ლითა და შინაგანი ძალისხმევით ტერენტი გრანელზე რო-გორც პიროვნებაზე და მის შემოქმედებაზე ადრე გამოქვეყ-ნებული ნაშრომებიდან მცირე ხასიათის ამონარიდები.

ტერენტი გრანელზე წიგნი „უცნობი სფინქსი“ – ს, სხვა მრავალი წიგნისა და სამეცნიერო ნაშრომების ავტორი, ღვან-ლმოსილი მეცნიერი პროფესორი ლუარა სორდია წერს: „ტე-რენტი გრანელი XX საუკუნის 20-30-იან წლებში ისეთივე ფურორს ახდენდა საქართველოში, როგორც თავის დროზე არტურ რემბო საფრანგეთში... ტერენტი გრანელის ლირიკა მორწმუნე პოეტის ღალადისია, ლოცვა-ვეძრებაა ზნეობრივ სიწმინდეზე, ჭვრეტაა „გონიერი ზეცის“, მიღმური სამყაროს საიდუმლოებების...“

„თითქმის სამი ათეული წელი გარდაცვალებიდან გაუც-ხოების ნისლი ებურა ტერენტი გრანელს, მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულველყოფდნენ და მკითხველს უმალავდნენ მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ მეტად გამჭვირვალე გა-მოდგა ნისლისა და ღრუბლის ის ფენა, დიდ პოეტს რომ აა-ფარეს... დღეს ტერენტი გრანელის აზრი მეუფეობს ყველგან, აზრთან კი, როგორც ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერი-აც უძლურია.... მაგრამ გაიფანტა „ძილქუშის სული“, როცა ისევ მოგვეახლა ნათელი, გამოირკვა, რომ უღმერთონი და უნიჭონი „ბზეს წააგვანან“, ქარისგან აღგვილს“ (ფს. 1,4), ხო-ლო მართალი, რჯულის მიმდევარნი არიან „წყლის ნაკადებ-თან დანერგილი ხესავით, თან დროზე რომ იძლევა ნაყოფს (ფს. 1,3). ტერენტი გრანელის პოეტური ძალისხმევა ტრადი-ციების საზღვრების განევას მიელტვის. ამის დასტურია მისი „უმანკო შუქი“, „ნუგეშის მუქი“. „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, მე ქვეყნის წინაშე ვდგავარ მგლოვიარე, გული ასვე-

ნია მაღალ სიჩუმეში, ისევ სიშორეზე ტირის როიალი“. მისი სევდის ერთ-ერთი მასაზრდოებელი იყო რწმენის სიკვდილი.

მან საკუთარ პიროვნებაში დაუწყო ძიება ღვთაებრივს, ზენარული სინმინდის ქვეყნად გაბატონებაზე ოცნებაში დაიფერფულა... ტერენტი გრანელი ქართული კლასიკური პოეზიის მაგისტრალური ხაზის გამგრძელებელია და მაინც სრულიად თავისებური, განუმეორებელი და განსხვავებული მოვლენაა... „და ვიცი, ისევ რომ ავინთები როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ – ნათელმხილველის დაუინებული რწმენით განაცხადა ტერენტი გრანელმა. „ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ბინა“ – ასე გაიზიარა ქუჩის ადამიანის ხვედრი ფიროსმანივით განწირულმა პოეტმა და გაოცებული შესძახებს: – „რატომ ჩემი ცხოვრება დღეს არავის არ უკვირს“...

და თუ სფინქსი მარადიული, ამოუხსნელი, იდუმალი მოვლენაა, ტერენტი გრანელი უთუოდ სფინქსია პიროვნული თუ პოეტური იდუმალების.

„პოეტის სული მინაზე მაღლდებოდა, შორ და წმინდა გზას უახლოვდებოდა, ღმერთის ხილვის სურვილით: „ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები, ეს ცრემლი კმარა, რისთვის არ ვქრები“. მისი გზა დაიწყო პროვინციიდან, მერე კი შორ გზებს, შორ პლანეტებს გასცექროდა და ეს იყო პოეტის სულის გზა, სწორი და წმინდა გზა: „ნახევარია ორის, მიპყრობს პლანეტა შორი, ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი“.

ჭეშმარიტ თავისუფლებას ისევ პოეზიას უკავშირებდა ტერენტი გრანელი, მისი მიზანი იყო შემეცნების ახალი საფეხურის მიღწევა, ახალი ესთეტიკური კულტურის შექმნა და ახალ, „უვალ გზებზე“ ხედავდა თავისუფლების ასპარეზს: „თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი, ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“. თავისუფლება კი მიიღწევა სულიერი სიმდიდრით, ზნეობრივი სინმინდით, „მეშჩანობისა“ და ცხოვრებისეული „კორიანტელისაგან“ განრიდებით.

ტერენტი გრანელის ხანმოკლე სიცოცხლე თავისუფლებისკენ, ეროვნული სულის წვდომისაკენ სწრაფვაა, რასაც აღნევს კიდევაც ჭეშმარიტი პოეზიით, თანაც მისთვის პოეტური თავისუფლებაც ვერ მოიაზრება ეროვნულთან კავშირის გარეშე: „ქარის სუფევა იყო ისეთი, თავისუფლებას არ ვაფასებდი. გული ღონდება, დგება ივნისი და მაგონდება ახლა თბილისი. ბედმა ასწია შენი სუფევა, რა ძვირფასია თავისუფლება“.

...პოეტმა მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო: „ცაილრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის, მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო“.

რწმენის, უსაზღვრობის (ლმერთის) სიყვარულით ეზრდებოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებოდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, ვუმზერ პლანეტარიას, უსაზღვროებას, მარადისობას“.

პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე მის სულიერ ზეცას, „უხილავ საქართველოს“.

ტერენტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმედებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებდა“.

მ. როგავა

22.02.2024 წ.

შესავალი

მეოცე საუკუნის ქართული მწერლობა მიიჩნევა მხატვრული აზროვნების ახალ საფეხურად, ის დაკავშირებულია რენესანსთან. ამ პრობლემას გრიგოლ რობაქიძემ სპეციალური წერილი მიუძღვნა: „ქართული რენესანსი“ (ჟურნალი „ოქროს ვერძი“, 1913წ).

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მეთაური პაოლო იაშვილი ასევე საუბრობდა იმ პერიოდის ქართული ლიტერატურის რენესანზე, რუსთაველისა და მალარმეს შემოქმედებითად გათავისებაზე.

გალაკტიონი პრობლემას განიხილავდა არა თეორიულ, არამედ მხატვრულ ჭრილში, რენესანსულად მიიჩნევდა თავის პოეზიას და „ტიტანად“ მოიხსენებდა ოგოორც რუსთაველს, ისე საკუთარ თავს (ძლიერ მომავალს უმღეროდა მომავლის ქნარი).

შალვა ნუცუქბიძემ ახლებურად გაიაზრა პრობლემა და მსოფლიო რენესანსის პირველ წარმომადგენლად მიიჩნია არა დანტე, არამედ შოთა რუსთაველი, რომელიც მთელი საუკუნით უსწრებს იტალიელ პოეტს. ამ ასპექტით საგულისხმოა ქართველი მეცნიერის ნაშრომები: „აღმოსავლური რენესანსი და ევროპოცენტრიზმის კრიტიკა“ (1941წ.), „შოთა რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი“ (1947წ.). მისი მოსაზრებები გაიზიარეს ბელგიაში (ერნსტ ჰონიგმანი), რუსეთში (ალექსეი ლოსევი).

გალაკტიონ ტაბიძემ ქართული რენესანსის უპირველესობის აზრი გამოთქვა ჯერ კიდევ 1926 წელს „კოსმიურ ორკესტრში“.

პოეტების მეფე, რომელმაც ახალი მერიდიანი გაავლო მსოფლიოს პოეტურ გლობუსზე, გვეცხადებოდა „აღმონის“, „დილის ძის“, „დილის ცისკრის“ სახეებით, საუბრობდა „გა-

ნახლებაზე“, „გათენებაზე“, „განათებაზე“, თავის „საკაცობრიო იდეაზე“ („უმშვენიერეს კიბეზე“).

გალაკტიონს ესმოდა „კოსმიური, ერთადერთი მძლავრი მუსიკა“, გვევლინებოდა, როგორც „მსოფლიო ორკესტრის დირიჟორი“, უცდომლად ხედავდა „საიმქვეყნიო“ და „საამსოფლო“ გზებს.

ქართველმა პოეტმა ზედმიწევნით იცოდა როგორც მსოფლიო რენესანსის ისტორია, ისე ახალი, გახმაურებული თვალსაზრისი შალვა ნუცუბიძისა, რომელიც მეცნიერულად ასაბუთებდა ფსევდო-დიონისე არეოპაგელისა და ქართველი პეტრე იბერის იგივეობას, დასავლური რენესანსის საფუძვლად მიიჩნევდა არეოპაგიტიკას და საუბრობდა რუსთაველის რენესანსზე, რომელიც იყო დასავლურ-აღმოსავლური აზ-როვნების უმაღლესი სინთეზი, ამასთან, წინმსწრები ევროპული რენესანსისა.

ტიციან ტაბიძე გრიგოლ რობაქიძეს უწოდებდა „დანტეს ტოლს“, „დანტეს ემბაზში განბანილს!“

მეოცე საუკუნის 20-იან წლებში ჩვენს მწერლობაში გამოჩნდა განსაკუთრებული ნიჭიერებით გამორჩეული ტერენტი გრანელი, რომელიც ყურადღებას იქცევდა პოეზით, ჩანაწერებით, წერილებით, მინიატურებით.

ტერენტი გრანელის წერილში „ახალ სამყაროში“ ნათქვამია: „სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალი მოედო ძველ შაბლონურ პოეზიას. დაინყო ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა, რომლის სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანებით შემოსილი ლანდები და წითელ რაშების თეთრი ზმანება. ამიერიდან ჩვენ აღარ შეგვანუხებს ძველი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. დღეს ალურ ფრთებით ვეშვებით ახალ სამყაროში, სადაც უხილავი სახეების ჩუმი თამაშია გამეფებული. ჩვენ არ შეგვაშინებს სივრცის უსაზღვროება. არც პატარა კაცუნების პრიმიტიული იერიშები, ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ ჭირითი იქ, სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები. ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ

შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი. დღეს ჩვენ წინ იშლება ახალი ქვეყნის მუქი სურათები, რომლის მშვენიერი სანახაობა მეტად გვაპრმავებს.

„ფერად კრიალოსნებით და მზის ნათელ ელვარებით იმოსება ჩვენი სავალი გზა. ოცნება ჩვენი ამაყია და ციურ ბერებში იფერფლება ყვითელ ალმურით. არ გვაწუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლოესი მიზანია შევქმნათ მარადისობა და უტეხი სხეულით მივეგებოთ ყოველგვარ საშინელებას.

„სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი.

„გვიყვარს ქანაობა უმაღლეს ლიცენციაში“ (ტერენტი გრანელი, ლექსები. წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა I“, თბ. 2012, გვ. 293).

ტერენტი გრანელის მეორე წერილი „ჩვენი მიზანი“ ასე-ვე ნათლად წარმოაჩენს ახალი ხელოვნების ქურუმთა მიზნებს: „...ახლად დაარსებულ წრის უახლოესი მიზანია ძიება ახალი გზის და ახალი მიმართულებისა ხელოვნებაში, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში წმინდა ხელოვნების აღორძინებას. დღეს, როდესაც პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა ეგრე მაგრად სცემს და ყოველდღიურ წვრილმან საკითხებში ჩაფლულია ადამიანის გონება, სწორედ დღეს არის საჭირო, რომ ხელოვნების ცხოველმა შუქმა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნტულები, აამოძრაოს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა. უნდა მძლავრად ამეტყველებს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს განცდათ მოკლებული და ბოროტების მორევში სავსებით გაადვარდნილი. ეს მიზანია, ჩვენ რომ გვაბედვინებს მკითხველი საზოგადოების წინაშე წარდგომას.

და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ჩვენს პირველ ნაბიჯს სასტიკი მსჯავრით არ შეხვდება ქართველი საზოგადოება“ (ტერენტი გრანელი, პოეზია, თბ. 2012, გვ. 294).

ტერენტი გრანელი სრულიად სამართლიანად უკავშირებდა სიმბოლიზმს აღორძინებას, ამასთან, კეთილგანწყობილი იყო იმპრესიონიზმისადმი.

პრობლემა დაწვრილებით აქვს შესწავლილი გრანელოლოგ დარიკო ფიფიას ნაშრომებში: „ტერენტი გრანელის მოდერნისტული პოეზია და ქართული სალიტერატურო კრიტიკა“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2001, გვ. 3,60).

სპეციალურად ტერენტი გრანელის პოეზიაში სიმბოლიზმის გამოვლენას ეხება ასევე დარიკო ფიფიას წიგნი: „სიმბოლისტური ტენდენციები ტერენტი გრანელის შემოქმედებაში“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2001, გვ. 3,66).

დღეს სრულიად აშკარაა, რომ ტერენტი გრანელი მე-20 საუკუნის ქართული რენესასნული პოეზიის ჭეშმარიტი ნარმომადგენელია.

„კოსმიური პოეტი“ მხატვრობაშიც გამოარჩია ნიჭის მომმადლებელმა სულინმინდამ.

მოუთვინიერებელი პოეტი ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლი გახდა და ჯერ თბილისის, მერე სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოამწყვდიეს ცრუ ბრალდებით, სადაც ათასამდე გამოარჩეული ნახატი შექმნა, რომელსაც ძალიან მაღალ შეფასებას აძლევს მსოფლიოში ცნობილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია.

ტერენტის შედევრებით და რეზო ადამიას გემოვნებით აღტაცებას ვერ ფარავს გამოარჩილი მწერალი რევაზ მიშველაძე: „რეზო ადამიას აქამდე ვიცნობდი, როგორც ტერენტი გრანელის პოეზიაზე ბრწყინვალე ესეის ავტორს. ახლა იგი ჩემს წინაშე წარმოჩნდა უაღრესად ერუდირებულ, ავტორიტეტულ მკვლევარად გრანელის მხატვრობისა.

„რა ბედნიერებაა რეზო ადამია რომ არსებობს ამ ქვეყანაზე. რა უშურველობით, რა კოსმიური გაქანებით, რა მაღალი პროფესიონალიზმით წერს იგი ტერენტი გრანელზე.“

„გულწრფელად ვამბობ: არ მეგულება საქართველოში დღეს მეორე კაცი, თან დიდი მხატვარი იყოს და თან ასე კარგად წერდეს ხელოვნებაზე“, აღნიშნავს რუსთაველის და ილია ჭავჭავაძის პრემიების ლაურეატი, ქართული პროზის რაინდის ტიტულის მფლობელი, საყოველთაოდ ცნობილი, გამოჩენილი კლასიკოსი, მეცნიერი, კრიტიკოსი რევაზ მიშველაძე. რეზო ადამიას ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი წიგნის – „უკვდავებაა სიკვდილში“ წინასიტყვაობაში (საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, საქართველო, 2011, გვ. 4-6).

ასევე, პანტომიმის თეატრმა წარმატებით დადგა ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი რევაზ მიშველაძის პიესა „მთვარისკენ ნასროლი მიხაკი“.

„მემენტო მორის“ ავტორი ტოლივით დგას ქართველი და უცხოელი კლასიკოსების გვერდზე, ხშირ შემთხვევაში უსწრებს კიდევ მათ და საგულისხმო კორექტივები შეაქს წინამორბედთა თუ თანამედროვეთა მხატვრულ ნააზრევში.

თავი I. ესთეტიკის საკითხები ფსევდონიმ „გრანელის“ გამო

პოეტი ტერენტი კვირკველია ფსევდონიმ „გრანელით“ შემორჩია ლიტერატურის ისტორიას. ეს კეთილხმოვანი, თან იდუმალების შემცველი სიტყვა საოცრად მოერგო მის ენიგმურ ლირიკას.

ტერენტი გრანელი კორესპოდენციებს, ადრეულ ლექსებს „წალენჯიხელის“ ფსევდონიმით ბეჭდავდა.

„წალენჯიხელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა პუბლიცისტური სტატიები გაზეთებში „სახალხო საქმე“, „ახალი ნაკადი“, „ტრიბუნა“. ეს იყო 1917, 1918, 1919 წლებში (1,5).

ტერენტის ჰქონდა ოთხი ფსევდონიმი: ტ. წალენჯიხელი, ტ. წ-ელი, ტ. წ. და გრანელი.

ლერი ალიმონაკის აზრით, არასწორად იხსენება პოეტის გვარი, ის იყო კვირკვაია და არა კვირკველია.

მაგრამ ამ შენიშვნას არ ეთანხმება ტერენტის დის შვილიშვილი – პროფესორი მამანტი როგავა.

გალაკტიონ ტაბიძეს, რომელიც მთელი არსებით აყურადებდა ტერენტის გამორჩეულ მუზას და ქვეშეცნეულად გრძნობდა მის კოსმიურ მასტებებს, ფსევდონიმი „წალენჯიხელი“ რაღაც სულიერ დისკომფორტს უქმნიდა. ეს უფრო ლოკალურით შემოსაზღვრული სიტყვა ეპატარავებოდა ისეთი პლანეტარული პოეტისთვის, როგორიც ტერენტი გრანელი იყო.

პოეტების მეფესა და ‘მემენტო მორის’ ავტორს შორის ამაზე ასეთი დიალოგი შედგა თურმე.

გალაკტიონმა უთხრა ტერენტის:

– არ ვიცი, დედას თუ მამას, კარგი სახელი დაურქმევია, ალბათ, გვარიც კარგი გექნება, მაგრამ ფსევდონიმად წალენჯიხელზე უკეთესი ვერაფერი შეარჩიე ?

– გალაკტიონ, არც მე მომწონს, მაგრამ რა ვქნა, სადა-ურიც ვარ, ის დავირქვიო – უპასუხნია ტერენტის (1,98).

ამის შემდეგ, უკვე 1919 წლიდან, გრანელის ფსევდონი-მით გამოეცხადა მკითხველს და საზოგადოებას ეს ლირიკოსი და ხიბლი ამ მიგნებული ბგერებისა იმდენად დიდი იყო, რომ მოინუსხა მკითხველი.

თვითონაც ხვდებოდა ტერენტი გრანელი, რომ უბედნიერესმა წუთებმა დააწყვილა სიტყვის გამორჩეული ოსტატი ამ ერთადერთ, განუმეორებელი უღერადობის ასოებთან, რაღაც მიღმურზე, მარადიულზე, იდუმალზე მიმანიშნებელი რომ იყო და პოეტური სასწაულის მოლოდინს აღძრავდა...

სიამაყე და დიდი რწმენა დაპყვება ამ განაცხადს: „მიხარია, რომ ვარ ტერენტი გრანელი, ჩემი გვარი გრანელი პოეზიას დარჩება“ („მემენტო მორი“) (2,13).

სრულიად უცნობებს მოევლინებოდა თავისი განუმეორებელი, ჭეშმარიტად პოეტური სახით და საკუთარი ლირსების გრძნობით იტყოდა: „მე ვარ ტერენტი გრანელი“ – ასე გაეცნო გალაკტიონს, სერგეი ესენინს, კორნელი სანაძეს.

ამ ჰაეროვანი ბეგერათა კომპლექსის წარმომავლობისა და მნიშვნელობის შესახებ ატეხილი ხმაური დღესაც არ არის დამცხრალი. უსაზღვროა ცნობისწადილი ამ სიტყვის ამოხ-სნისა...

ცნობილი მეცნიერი სიმონ ყაუხჩიშვილი იხსენებდა: „გრანუმი“ ზომა-წონის უმცირეს ერთეულს ნიშნავს, მაგრამ რატომ აირჩია იგი ფსევდონიმად, ამაზე აქამდე არ მიფიქრია“ (3,55).

ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და შემოქმედების და-უცხრომელი მკვლევარი გივი ცქიტიშვილი იზიარებს მოსაზრებას, რომ „გრანუმი“ ლათინური სიტყვაა და მარცვალს ნიშნავს. „მეც მსოფლიო პოეზიის ერთი მარცვალი ვარო“, ასე აიხსნება „გრანელის“ ქვეტექსტი (იქვე).

ჟურნალისტი შოთა ფიფია (რედაქტორი გაზეთისა „კომუნიზმის დროშით“) აცხადებს: „გრანი“ ფრანგულად წერტილს ნიშნავს. მეც მსოფლიო პოეზიაში ერთ-ერთი წერტილი ვარო, ესეც მისგან მომისმენია. ტერენტის ფსევდონიმის გამოარავის არ მინდა ვედავო“ (3,37-38).

პოეტის და ზოზია იგონებდა: „ფსევდონიმი უცხო სიტყვიდან აიღო. მსოფლიო პოეზიის ნაწილი ვარო, იტყოდა. ლექსებსაც წაუმძღვარებდა ასეთ სიტყვებს, სათაურს ქვემოთ“ (3,22).

ოდნავ განსხვავებულია მკვლევარ ლერი ალიმონაკის აზრი: „ზოზიას თქმით, მისთვის ძმას გაუზიარებია, რომ ფსევდონიმის არჩევას საფუძვლად დასდებია ლათინური სიტყვა „გრანუმ“, რაც მარცვალს ნიშნავს. პოეტს ეს სიტყვა გადატანითი მნიშვნელობით აურჩევია: მეც პატარა, ობოლი მარცვალი, სამყაროს უმცირესი ნაწილი ვარო“ (3,19).

ლერი ალიმონაკი ყურადღებას ამახვილებს მეორე გადმოცემაზეც: პოეტი ეტრფოდა თურმე ერთ მსახიობ ქალს, გვარად გრანელს და მისი პატივისცემით აურჩევია ეს ფსევდონიმი.

უფრო სარწმუნოდ მესამე ვერსიას მიიჩნევს ლერი ალიმონაკი: 1918-1919 წლებში საქართველოში იმყოფებოდა ცნობილი იტალიელი დირიჟორი გრანელი, რომელსაც უდირიჟორია ქართული ოპერისათვის „ქრისტინე“. საფიქრებელია, რომ პოეტმა ამოირჩია „გრანელი“ თავისი პოეტური ულერადობისა და კეთილხმოვნების გამო, იქნებ სახელთან ალიტერაციული თანაულერადობის გამოც (იქვე).

მწერალ ელიზბარ უბილავას აზრით, პოეტის მიერ ფსევდონიმად გრანელის შერჩევა განაპირობა ამ გვარის მქონე რომელილაც თეატრალური მოღვაწე ქალის პატივისცემამ (ელიზბარ უბილავა, ტერენტი გრანელი) (4,15).

პროფესორი სერგი ჭილაძია გრანელის ადრესატსაც პოულობდა იტალიელი მომღერლის სახით, რომელიც პოეტის

უილბლო სიყვარულის ობიექტი ყოფილა. თავისი მოსაზრების უტყუარობის დასტურად მეცნიერი იმოწმებდა ერთ-ერთ ძელ თეატრალურ აფიშას და წერდა: „1919 წელს, როდესაც თბილისის ოპერის თეატრში „აბესალომ და ეთერის“ ჯერ გენერალური რეპეტიცია, შემდეგ წარმოდგენა გაიმართა, ტერენტიმ იხილა შესანიშნავი ხმის მომხიბლველი იტალიელი მომღერალი ქალი, გვარად „გრანელი“, რომელიც შეუყვარდა პოეტს და თანაბრად ტიროდა აბესალომის და ეთერის ტრაგიკული ბედისა და თავისი უილბლო სიყვარულის გამო“ (სერგი ჭილაძა, ტერენტის ფსევდონიმი „გრანელი“) (3,175).

მეცნიერი მანანა გვეტაძე ამ სიტყვას უკავშირებდა ლათინურ „გრანუმს“ (მარცვალს), მაგრამ უჭირდა იმ მოსაზრების გათავისება, რასაც ავითარებდნენ ღ. ალიმონაკი, პოეტის და ზოზია, რადგან, მისი აზრით, ტერენტის ამბიციები პატარას და მცირეს ვერ შეეგუებოდა: „გრანელი“ დაკავშირებულია პატარასთან, მცირესთან, მაგრამ თვით პოეტს არასოდეს დაპბადებია აზრი თავისი პიროვნების თუ ლირიკის სიმცირის გამო“ (მანანა გვეტაძე, ტრაგიკული ბედის პოეტი) (6,169).

ტერენტი გრანელის საუკეთესო მეგობრის – კონსტანტინე გაჩეჩილაძის (კონნე სპერელის) არქივში დაცული ყოფილა ცნობა ტ. კვირკველიას ფსევდონიმის შესახებ. მისთვის რჩევა უკითხავს ტერენტის, ორი ფსევდონიმიდან – წალენჯიხელი და გრანელი – რომელი აერჩია. კ. გაჩეჩილაძეს ურჩევია გრანელი და რატომ ? ამას მისი ჩანაწერი განმარტავს: „მხოლოდ ბეგრათა კომპლექსის უღერადობა ედო სარჩულად ჩემს არჩევანს, რაც შეეხება სიტყვის სემანტიკას ან სადაურობას ამ სიტყვისას, მე ამით არ დავინტერესებულვარ. დარწმუნებული ვიყავი, რომ სიტყვა გრანელი იმავე გზით იყო მიღებული, რა გზითაც წალენჯიხელი. თუ ამ სიტყვას არც ქართულ ტოპონიმიკაში და არც ლექსიკონში ფესვი არ მოენახებოდა, მე ამაზე იმ დროს არ მიფიქრია და არც მიკითხავს პოეტისთვის. ახლა კი ვფიქრობ, რომ ეს სიტყვა უნდა იყოს

„გრაალელისგან“ წარმომდგარი, რაც რელიგიურ-მისტიკურ საწყისზე მიგვანიშნებს“ (7,12).

ამ საკითხზე მოგვიანებითაც და უფრო ღრმად დაფიქტებულა კოტე გაჩეჩილაძე, როგორც მისი ჩანაწერები ამტკიცებს: „შეა საუკუნეების თქმულებათა პრეტონულ ციკლში არსებობს თქმულება წმინდა გრაალის შესახებ... თქმულების თანახმად, გრაალი ზურმუხტისგან გამოთლილი თასია, რომელიც საიდუმლო სერობის დროს ქრისტეს ხელთ ჰქონდა. ამ თასში იოსები არიმათელმა ჯვარცმის სისხლი მოაგროვა... ეს თქმულება მთელს ევროპას მოედო. მის საფუძველზე დაამუშავა უდიდესმა მუსიკოსმა რიპარდ ვაგნერმა თავისი შესანისნავი ოპერა „ლოენგრინი“. „ლოენგრინის“ გავლენით დაწერა გ. ტაბიძემ თავისი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“ და „გრაალის კოშკები“. ზეციური სამეფოს რაინდია ლოენგრინი და ა.შ. აქედან, ნამდვილად აქედანაა წარმოშობილი ტერენტი გრაალის ფსევდონიმი – გრაალელი-გრაანელი-გრაანელი“ (7,13).

ცნობილია, რა დიდი ადგილი უჭირავს გრაალის თემას ქართულ ცნობიერებაში, გელათის ფრესკის ქართულ მხატვრობაში. არსებობს ლეგენდა, რომლის მიხედვითაც, დავით ალმაშენებელი გრაალის მცველი რაინდია (8,51).

გრაალის თემის მაღალმხატვრული დამუშავების მაგალითებია – გალაკტიონის „მზეო თიბათვისა, „ანგელოზის ეჭირა გრძელი პერგამენტი“, გრიგოლ რობაქიძის „გრაალის მცველნი“, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ლექსები.

ტერენტი გრაალი ორთოდოქსი ქრისტიანი იყო, მას ჰქონია რელიგიური პოემები („სანთლის ცრემლები“, „ცისფერი მირაჟები“, „უფლის ნათელი“), რომლებიც, სამწუხაროდ, დაკარგულია (9,8).

დაუჯერებელია, რომ ტერენტი გრაალს არ ჰქონოდა გრაალზე სათანადო ინფორმაცია. პოეტი, რომელიც შემოქმედია

დებით ნიჭს სულინმინდის მადლად სახავდა და თავის ლექ-სებში სულინმინდის მადლის განფენას ხედავდა, პოეტი, რო-მელიც ლაზარეს მკვდრეთით აღდგომის თემას ჩვენი ქვეყნის ბედს უკავშირებდა, შეუძლებელია არ ყოფილიყო ამ პრობლე-მაზე ინფორმირებული. ამასთან, მისი გენეტიკური კოდი იმ-თავითვე რელიგიური იყო. მის ლექსებში ხშირად არის სუ-ლინმიდა განცდილი, როგორც ნუგეშისმცემელი, ხოლო მისი პერსონიფიკაცია, სახარების კვალობაზე, არის მტრედი (თოვ-ლი) (10,87).

მივმართოთ ბიბლიას: „მე ვარ, მე, თქვენი ნუგეშისმცე-მელი“ (11,12).

სავსებით სარწმუნოდ გვეჩვენება მოსაზრება, რომ ტე-რენტის, რომელიც „მეორედ მოსულ ქრისტედ“ აცხადებდა თავს, გრაალის ორდენის რაინდად წარმოედგინა თავი, ვინაი-დან „გრაალი განასახიერებს მთვარისეულ მარადქალურ საწ-ყისს, სოფიას, ლვთისმშობელს“ (ზ. გამსახურდია) (12,181).

გამომდინარე აქედან, ნაკლებ სარწმუნოდ გვეჩვენება „გრანელის“ დაკავშირება ლათინურ თუ ფრანგულ „გრანუმ-თან“, მით უმეტეს, იტალიელი დირიჟორის ან უცხოელი თე-ატრალური მოღვაწე ქალის სახელთან.

არსებობს კიდევ ერთი, ძალზე სენსაციური ვერსია, რო-მელსაც ახალი ელფერი შეაქვს ლეგენდარული ლირიკოსის გამოცანადქცეული ფსევდონიმის გარკვევაში.

ახალგაზრდა გრანელოლოგი დარიკო ფიფია შეხვედრია წალენჯიხელ ქალბატონ ნუცა კვარაცხელიას, რევოლუციო-ნერ იოსებ კვარაცხელიას შვილს. იოსებს ახლო ნაცნობობა ჰქონია ტერენტისთან. ფსევდონიმ გრანელთან დაკავშირებით ამ ქალბატონს ინფორმაციები ჰქონია როგორც დედის – მატ-რო ბერულავასგან, ისე ძმის – ვასოსგანაც.

მეოცე საუკუნის ათიანი წლების მიწურულს თავისი პო-ლიტიკური შეხედულებების გამო იოსები იძულებული გამ-ხდარა აფხაზეთში გადასულიყო. მას მალე სულ ახალგაზრდა

ტერენტიც ჩაუყვანია გაგრაში. იოსების თანამოაზრე ყოფილა გალელი ჯგერენაია, რომელსაც იოსებისთვის ავტომანქანა უჩიუქებია.

იოსების საშუალებით ტერენტი დაკავშირებია ჯგერენა-იების ოჯახს. ტერენტის შეპყვარებია ჯგერენაიას ასული ნე-ლი. იოსები ახალგაზრდების სიყვარულს თანაუგრძნობდა და ტერენტის თანადგომას ჰპირდებოდა, მაგრამ იოსები მოსკოვ-ში გამოუძახებიათ და ამ დროს ვიღაც აფხაზს მოუტაცებია ნელი ჯგერენაია. ბურუსით არის მოცული ნელის შემდგომი ბედი, მაგრამ ქალბატონ ნუცას მტკიცებით, ტერენტიმ ძალ-ზე მწვავედ განიცადა სიყვარულში მარცხი, მან დატოვა აფ-ხაზეთი, ჩავიდა თბილისში და თავისი ტრაგიული სიყვარუ-ლის უკვდავსაყოფად ფსევდონიმად აირჩია გრანელი, რომე-ლიც მიღებულია ორი სიტყვისგან: გაგრა-ნელი-გრანელი.

ამ სიყვარულის საიდუმლო მხოლოდ იოსებ კვარაცხე-ლიას ოჯახში იყო ცნობილი, იგი არ გახმაურებულა (დარიკო ფიფია, ვერსია თუ რეალობა ?) (13,69-72).

როგორც ვხედავთ, ყველა მოსაზრებას მოეპოვება თავი-სი მეტნაკლებად დასაბუთებული არგუმენტები.

და მაინც... ნაკლებად სარწმუნოდ გვეჩვენება ქალის გვარის (თუნდაც დირიჟორის, თეატრალური მოღვაწის ან შეყვარებულის) ქცევა ამოსავალ წერტილად. ტერენტის ერ-თადერთი ჰობი რელიგიამდე ამაღლებული პოეზია იყო (ლექ-სი მისტერია), იგი, როგორც ორთოდოქსი ქრისტიანი, გრაა-ლის (სულიძმინდის, ლვთისმშობლის) რაინდი უფროა, ვიდრე მიწიერი ქალის, თუმცა, ეს როდი ნიშნავს, რომ ბანოვანს მის პოეზიაში სათანადო ადგილი არ ჰქონდეს მიკუთვნებული. ცნობილია, პოეტის სიყვარულის რეალურად არსებული ად-რესატები (ირა რადვოვსკაია, თამარ ჯაფარიძე, თინა როინიშ-ვილი, ნინო დადიანი...), თუ ინტეგრალური სახეები: „და ქალი ჩემთვის სხვა სიმაღლეა“, ან ციური ეროსის კავშირი პოეზი-ასთან: „შენ თვით ეროსი აგამლერებს ციურ ჰანგებით“ (სონე-ტი).

ეჭვმიუტანელი ერთია: ახდა ტერენტის წინასწარმეტყველება „„ჩემი გვარი – გრანელი პოეზიას დარჩება“... („მემენტო მორი“).

დამოწმებანი

1. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984.
2. ტერენტი გრანელი, 100 ლექსი, თბ. 2005.
3. ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990.
4. ტერენტი გრანელი, რჩეული, თბ. 1961.
5. ალმანახი „განთიადი“, 1977, № 1-12.
6. „მნათობი“, 1981, № 10.
7. მარინე ქადაგიძე, სივრცეში დარჩენილი ფრაზები, კონკრეტული (კონსტანტინე გაჩეჩილაძე) ტერენტი გრანელის შესახებ, თბ. 2003.
8. მერაბ კოსტავა, ფიქრები საქართველოს მისიაზე, თბ. 1991.
9. სერგი უვანია, მოგონება ტერენტი გრანელზე (ხელნაწერი), თბ. 1998.
10. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. I, თბ. 1991.
11. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990.
12. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, თბ. 1991.
13. ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა შრომები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბ. 2003.

პოეზია – სულიციცის მაღლი

ტერენტი გრანელის მსოფლმხედველობა, სულიერი წყობა, სამყაროს ათვისების ფორმა, ესთეტიკური იდეალი აბსოლუტურად განსხვავდება რეალიზმის ეპიკონების, პრიმიტიული პროლეტარული ლიტერატურის წარმომადგენლების მდარე თვალსაწიერისაგან.

„მემენტო მორის“ ავტორისთვის ზეშთაგონება, ნიჭი ღვთის მადლია, ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის მისია – რწმენის, სულიერების განმტკიცება-მსახურება, ეროვნული პრობლემების, სოციალური სატკივრების, სამართლიანობისათვის ზრუნვა-გადაწყვეტისათვის აქტიური მოღვაწეობაა.

კომუნისტური პარტიის მიერ სოცეკიბრში გამოწვეულ, წერა-კითხვის უცოდინარ გნომებს, „სულიერ საჭურისებს“ (მ. ჯავახიშვილის ტერმინია), მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის, ქვეყნისა და რწმენის დამღუპველი პოლიტიკის პროპაგანდა-მხარდაჭერა ევალებოდათ. ხელისუფლებისგან ხელ-დასხმულები, მისი ნაბოძები ხალათით გათავხედებულები, თავიანთი უნიჭო, სატანისტური იდეებით წამლავდნენ ხალხს.

უფლის რჩეულებმა „რკინისებური ლექსის ღვარში“, „დაცინვა, წყრომა-ირონიის“, „დელვა-მუქარის“ (გალაკტიონი) პირობებში გადაარჩინეს მართალი სიტყვა.

პოეტური ნიჭი განსწავლით, შრომისმოყვარეობით არ შეიძინება, ის ზეცით განპირობებული განსაკუთრებულობაა და, თუ როგორ განვითარდება იგი, ეს დამოკიდებულია პი-როვნების სულიერ ინდივიდუალობაზე, ძალისხმევაზე, იდეოლოგიაზე, მორალზე, ცხოვრების წესზე.

იმვიათზე იშვიათია მარადიულ სიბრძნეზე ორიენტირებულნი, უმეტესად, ბევრს უმრუდდება გეზი და წუთისოფლის წარმავალ დიდებას აყოლილი, საბოლოოდ შორდება მარადი-სის გზას.

ტერენტი გრანელი რჩეული არის არა მხოლოდ ეროვნული გადასახედიდან, არამედ საკაცობრიო ჭრილში. მან

პირველმა განდევნა ჩვენი ლიტერატურიდან ყალბი პათოსი, კერძომსახურება. ამ პოეტის სტრიქონებიდან მონაბერი წმინდა სული სიკეთის, სათნოების ფლუიდებს აფრქვევდა და აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერთ აფრთხობდა.

მისი ესთეტიკა ისეთივე ენიგმური და რთულია, როგორც პოეზია. ჩვენ ამჯერად ამ პრობლემის მხოლოდ ერთი ასპექტი გვაინტერესებს, რაც, ვფიქრობთ, მიახლოებით წარმოდგენას მაინც მოგვცემს იმაზე, თუ რა განსხვავებული და ამაღლებული იყო საუკუნის პოეტის მხატვრული გადასახედი.

ტერენტი გრანელის შემოქმედებითი კრედო დაფუძნებულია არა მატერიალისტური ესთეტიკის, კომუნისტური ხელისუფლების მიერ გაფეტიშებული „უცდომელი“ სოციალისტური რეალიზმის ტენდენციურ პრინციპებზე, არამედ ბიბლიურ ნააზრევზე, ცნობილ ღვთისმეტყველთა, იდეალისტ ფილოსოფოსთა შეხედულებებზე, ქართული და მსოფლიო კლასიკური პოეზიის უმთავრეს ტრადიციებზე.

ცნობილია, რომ ყოველგვარი ნიჭი სულინმინდის მადლია.

ეს პრობლემა ვრცლად არის განმარტებული პავლე მოციქულის წერილებში.

„სხვადასხვაგვარია ნიჭი, მაგრამ სული ერთია“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,4).

„თითოეულს ეძლევა სულის გამოვლინება სასიკეთოდ“ (I კორინთელთა, 12,7).

„ვინაიდან ერთს სულის მიერ ეძლევა სიბრძნის სიტყვა, მეორეს – ცოდნის სიტყვა იმავე სულით“ (იქვე, 12,8).

„ზოგს რწმენა – იმავე სულით და ზოგს – განკურნებათა ნიჭი იმავე სულით“ (იქვე, 12,9).

„ზოგს – სასწაულექმედება, ზოგს – წინასწარმეტყველება, ზოგს – სულის გარჩევა, ზოგს – სხვადასხვა ენები, ზოგს – ენების განმარტება“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 12,10).

იგივეს ამტკიცებს იაკობ მოციქული: „ყველა კეთილი საბოძვარი და ყველა სრულყოფილი ნიჭი მაღლიდან მოდის, ნათელთა მამისაგან, რომელთანაც არ არის ცვლილება და არც ჩრდილი ცვალებადობისა“ (იაკობი, 1,17).

„ნიჭი არის საღმრთო სულისა მაღლი“, აცხადებს ეფრემ მცირე (ეფრემ მცირეს იამბიკოები, თბ. 1988, გვ. 104).

სულინმინდის მოვლინებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

ტერმინები: „ბერვა, შთაბერვა, მობერვა“ ტრადიციულად იხმარება ღვთისმეტყველებაში სულინმიდასთან დაკავშირებით.

„სულინმიდა – ეს არის სული, რომელიც უბერავს ყველგან და ყოველი მიმართულებით, ყოველივეს აძლევს ნათელს და ცხოვრებას“ (გრიგოლ ნაზიანელი).

„მოციქულთა საქმეში“ სულინმიდის მოსვლა შედარებულია ქარის დაბერვასთან“, აღნიშნავს ზვიად გამსახურდია („თამარიანი“ და „ვეფხისტყაოსანი“, „მაცნე“, 1987 წ. № 4, გვ. 64).

„მობერვის“ ცნებით დაინტერესდა პროფ. ა. განერელია ჩახრუხაძის „თამარიანთან“ დაკავშირებით („ცისკარი“, 1970 წ. № 8, გვ. 116).

თვალი გავადევნოთ ანალოგიური გაგების სხვა წყაროებსაც.

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალს „მომბერავი“ ეწოდება, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრით გვხვდება შეა საუკუნეების ქართულ საგალობლებში („ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები“, ლ. კვირიკაშვილის თარგმანი და კომენტარები, თბ. 1989, გვ. 39).

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, ზეშთაგონება“. მას გაიგივებული აქვს „სული-მობერვა, შთაგონება“ (წმინდა გრიგოლ

ნოსელი, „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ედიტერ ჭელიძემ, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1989, გვ. 363).

ნეტარი ავგუსტინე ევედრებოდა უზენაესს, მოთმინებით ელოდა სალვოთო ქარის მოვლინებას და ასეთ წუთებში სიხარულს ვერ ფარავდა: „აი, როგორც იქნა, შევისუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985, გვ 278).

დავით წინასწარმეტყველი ამ სალვოთო ქარის დაფარულ აზრს უსმენდა: „ღმერთო, მესმა შენი დაფარული შინა ნიავქარისათა“ (ფს. 218,8).

ლვთიური სულის მობერვაზე ლოცულობდა დავით გურამიშვილი: „ან მომფინე სულია, მამით გამოსულია“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია აგრეთვე ქართული ჰიმნოგრაფის „საღმრთო ნიავის მადლმა“, მისმა დაკავშირებამ სულინებიდასთან: „ლამპრითა ბრწყინვალითა სათნოებითაითა განპპრწყინდი შენ, სანატრელო, ბრწყინვალებითა სულისა წმიდისაითა და მომბერენ ჩუენ ნიავითა საღმრთოისა მადლო-საითა სწავლანი სულიერნი და შესცვალენ ცნობანი სულიერნი სიბრძნედ, ნეტარო, და უმეცრებისა ბნელი განაქარვე“ (ბასილი, გალობანი ეფთვიმი მთაწმიდელისანი, „ჩვენი საუნჯე“, ტ. I, 1960, გვ. 508).

სულინებიდის ქნარი ეწოდებოდათ გამორჩეულ ჰიმნოგრაფს – სირიელ ეფრემს და მოციქულ პავლეს, სულინებიდის კარნახით იქმნებოდა ბასილი დიდის ჰომილიები, სულინებიდის შთაგონებულად ითვლება ახალი აღთქმა, ქრისტიან ღვთისმეტყველთა წიგნები.

გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს სულინებიდის ნაკარნახევად აცხადებდა.

სულინმიდის მადლით ჭვრეტდნენ ღვთაებრივ საიდუმლოს წინასწარმეტყველები, რადგან ნიჭთა და მადლთა გამნანილებელი სულინმიდა.

წმიდა თომა აქვინელის სიტყვით „ის, რაც ღვთისგან გამოდის, როგორც სიყვარული, შობილი ძე როდია, არამედ მონაბერი სული“.

ვაუა ფშაველას შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს „ნიავი-სულინმიდა“ („ქებათა-ქება“), „ციური ნიავი“ („სვავი“).

მის „ბუნების მგოსნებში“ სულინმიდის მადლით გალობს ბულბული და ამ ღვთიურ ჰანგებს მიდამოც სულინმიდად უქცევია.

სულინმიდის მოფენაზეა საუბარი ვაუას მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისოფელი“.

ძალზე საინტერესო სურათს იძლევა ამ ასპექტით ტერენტი გრანელის პოეზიაზე დაკვირვება.

ნიავი, ქარი, გრიგალი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა ტერენტი გრანელის პოეზიაში, ასევე, ბევრგან ვხვდებით შთაგონების მომნიჭებელი სულინმიდის მოვლინებაზე მიმანიშნებელ სახეებს: იდუმალ მხარეების გრიგალი, უხილავი ქარი, სხვა გრიგალი, სიჩუმის ქარი, განახლების ქარიშხალი, იდუმალი ქარი, გამარჯვების ქარი, გამარჯვების მომტანი გრიგალი, ცადამწევი ქარი...

სახარებაში სულინმიდა პერსონიფიცირებულია მტრედის სახეში: „და გარდამოხდა მასზედ სულინმიდა ხორციელი სახით, როგორც მტრედი, და გაისმა ზეცით ხმა: „შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვინონე მე“ (ლუკა, 3,22).

ტერენტი გრანელის „თოვლში“ სულინმიდის მახასიათებელია „ცისფერი“: „მოდის ნუგეში ჩემი, როგორც ცისფერი მტრედი“.

სხვაგან ამ ტრადიციულ სახეს „თეთრის“ ეპითეტს ამატებს: „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“ („მარადისობის ლაუვარდები“).

ტერმინი „წმინდა პოეზია“ სოციალისტური რეალიზმის წარმომადგენლებმა ოდიოზური ელფერით შემოსეს, რათა თავიანთი სულიერი სიბეცე და უსახურობა დაეფარათ, მაგრამ ამ საკითხზე განსხვავებული აზრის იყო ტერენტი გრანელი.

მის რელიგიურ პოეზიაში კარგად ჩანს, რა მისია უნდა ეკისრებოდეს მხატვრულ სიტყვას, „წმინდა პოეტს“, წმინდა სიტყვას“, ჩაგონებულს უზენაესისგან.

„მემენტო მორის“ ავტორს ზედმინევნით ჰქონდა გააზრებული თავისი უზენაესი მისია. სულინმიდისაგან ხელდას-ხმულმა კარგად იცოდა, რა უნდა ყოფილიყო მისი ერთგული, განუხრელი მსახურების საგანი, მაგრამ აშკარა იყო ისიც, რომ ხელისუფლება სულ სხვას მოითხოვდა (ერთგან წერს: „ეს დრო სიკვდილს მავალებსო“). ტერენტი გრანელმა გაუძლო ყოველგვარ ზენოლას, არაფერი უნერია შეკვეთით, მშვიდად ხვდებოდა ამა ქვეყნის ძლიერთა რისხვას, კრიტიკის უსამართლო თავდასხმებს და მხოლოდ უზენაესის უცდომელი მსჯავრის, მომავლის იმედით ცხოვრობდა.

ტირანული მთავრობის მიერ იგნორირებული, შერისხული და დევნილი, არ ჩქარობდა, რადგან სულის თვალით ნინასწარ ჭვრეტდა თავის მომავალ დიდებას და დარწმუნებული იყო, დადგებოდა ის დრო, როცა მისი მართალი სიტყვა გააღწევდა უშორეს დროშიც და არც არასოდეს გადაფასდებოდა „პლაზეტების პოეზიის“ ავტორი: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“.

სოცრეალიზმის ვაიკალმოსნები დაოსტატებული იყვნენ „წმინდა ხელოვნების“ გაკიცხვაში, ხოლო ტერენტი გრანელთან იგი სინონიმია ზნეობრიობის, სულიერების, ამაღლებულობის, დემოკრატიულის: „ამ ახლად დაარსებული წრის (სიმბოლიზმის – ლ.ს.) უახლოესი მიზანია ძიება ახალი გზის და ახალი მიმართულებისა ხელოვნებაში, რომ ხელი შეუწყოს საქართველოში წმინდა ხელოვნების აღორძინებას. დღეს, როცა პოლიტიკური ცხოვრების მაჯისცემა ეგრე მაგრათ სცემს და ყოველდღიურ წვრილმან საკითხებში ჩაფლულია ადამიანის

გონება, სწორედ დღეს არის საჭირო, რომ ხელოვნების ცხოველმა შუქმა გაანათოს ჩვენი ცხოვრების ბნელი კუნჭულები, აამოძრაოს ადამიანის შემოქმედება და თვალწინ გადაუშალოს საუცხოო სურათები სილამაზისა, სიმშვენიერისა და ჭეშმარიტებისა. უნდა მძლავრად ამეტყველდეს ჭეშმარიტი ხელოვნება, თორემ ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს განცდათ მოკლებული და ბოროტების მორევში სავსებით გადავარდნილი“.

შაბლონთან ბრძოლა, სითამამე, უხილავის ძეგბა, სიახლის წყურვილი, ღმერთთან ხიდის გადების სურვილი, ბოროტების დაგმობა, შიშის დაძლევა, „ციური ბგერების“ სიყვარული, მოკლედ, ზეცა და მინა ერთიანობაშია მოაზრებული ტერენტის ზემოთდამოწმებულ წერილში – „ჩვენი მიზანი“ (გაზეთი „ია“, 1919, № 1).

ტერენტი გრანელი ბოლომდე დარჩა „წმინდა ხელოვნების“ მიმდევარი, როგორც გალაკტიონი, სიმბოლისტები, რაც არამც და არამც არ ნიშნავდა გულგრილობას ადამიანთა სოციალური და ეროვნული პრობლემებისადმი.

„წმინდა პოეტი“ ტ. გრანელისთვის სინონიმი იყო გამორჩეულის და ამ ეპითეტით იხსენიებდა გალაკტიონ ტაბიძეს, ვალერიან გაფრინდაშვილს.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ნათლად ჩანს, რა მისია უნდა ეკისრებოდეს „წმინდა პოეტს“, „წმინდა სიტყვას“, მომდინარეს ზეციდან, უზენაესისგან და ბოლომდე უცვლელი იყო მისი პრიციპული პოეზია. იგი იყო ერთგული მსახური მრავალსაუკუნოვანი ეროვნული ტრიადის – „ენა, მამული, სარწმუნოება“ და ამიტომაც ამბობდა: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ, ასეა ნება განგების“...

თუ როგორ ესმოდა ტერენტი გრანელს პოეზიის არსი და დანიშნულება, რა განსხავებული, ამაღლებული იყო მისი ფუნქცია, კარგად ჩანს ლექსში „პოეზია“, რომელიც თავიდან ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, შემდეგ კი დაიბეჭდა პოე-

ტისადმი მიძღვნილი მოგონებებისა და თარგმანების კრებულში – „ცისფერი სიშორე“ (თბ., 1997).

ტერენტი გრანელის დოქტრინა მთლიანად უპირისპირდებოდა ტირანული ეპოქის მეხოტბეთა პანეგირიკებს, უარყოფდა ტრაფარეტული პოეზიის კლიშეებს და ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მისიას რწმენის, სულიერების გაღვივება-განმტკიცებაში, ეპოქალური, საკაცობრიო პრობლემების მსახურებაში ხედავდა: „ფიქრი გადადის შორეულ ხეზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ „ქალის ფეხებზე“, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვიწამე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია. აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას“.

„შორეული ხე“ საღმრთო სახელია, პოეტი ხომ განუშორებელი იყო რწმენისგან, ზეცისგან, რადგან „მხოლოდ მიწა“ და საერთოდ, ფიზიკური ყოფიერება ეპატარავებოდა, სამყაროს უცქეროდა „ლია თვალებით“ და მუდმივად ორ განზომილებაში, მიწის და ზეცის, ხილულისა და უხილავის ზღვარზე იმზირებოდა.

ლექსი „პოეზია“ დროისაგან გაქცევა კი არ არის, არა-მედ მიწიერ უკეთურობათა მხილებაა, მარადიულისა და წარმავალის დაპირისპირება.

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია, ეფემერულად მიიჩნევდა საბჭოთა იმპერიას, რომლის ნგრევა-წარმომავლობა ნაწინასწარმეტყველებია იოანეს გამოცხადებაში. მარადიულობად ესახებოდა პოეტს „შორეული ალი“, მარადისობა (ლმერთი), გარდუვალობად – ღვთაებრივი სამსჯავრო. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ-მოეთი, წითელი დროშა, ნამგალი (სატანისტური სიმბოლო), მიმანიშნებელი სიკვდილისმთესველ იმპერიაზე, რომელიც იყო თავისუფალი სულისა და მართალი სიტყვის მტერი, პოეტს უფსკრულის, არარაობის წილხვედრად ესახებოდა, ღმერთის, სამართლიანობის რწმენა ასულდებოდა: „ფიქრის ტრიალი ისევ მოშა-

ლეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შორეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას“.

სატანისტური პოლშევიზმის სიმბოლოებია ნამგალი და ურო, ნამგალი ცელავს ყოველივეს, ურო – ანგრევს.

უცხო იყო ტერენტი გრანელისთვის მთავრობის შეკვე-
თები, წითელი დროშა, ნამგალი, მას აძრნუნებდა დროის „სა-
შინელება“, „ხმაურის დროება“, სულის ჩაკვლის მცდელობა,
მან მზერა მიაპყრო „შორეულ ხეს“, „შორეულ ალს“, უსაზ-
ღვროებას, მარადისობას (ლმერთს), პლანეტარიას.

აშკარად იკვეთება, ერთი მხრივ, ხელისუფლების დაქი-
რავებული პოეტების, ჭეშმარიტებისგან გაუცხოებული კალ-
მოსნების უსახური სახე და სახე ღვთიური პოეტისა, რომე-
ლიც დარწმუნებულია, რომ მხოლოდ უზენაესი და მასზე
ორიენტირებული სტრიქონებია მარადიული: „ვიცი, ეს
გრძნობა არ მოისპობა“.

ასეთი გაბედული იყო ტერენტი გრანელის პროტესტი
წითელი საუკუნის შეკვეთებისადმი, რამაც მისი პიროვნული
ტრაგიზმი განაპირობა.

„ღვთიური სულის სუნთქვა ავსებს პოეტის სულს და
იგი ხდება ღვთის მგალობელი...“

„პოეტი აცნობიერებს თავის თითქმის ღვთიურ ფუნქცი-
ას.“

„წმინდა პოეზია ისაა, რომელიც იტყვის, როგორაა შექ-
მნილი სული და სამყარო და გაუმხელს ადამიანს სამყაროს
იდეალურ სტრუქტურას...“

„პოეტი ღვთის ჰარმონიული შემოქმედების მომღერა-
ლია და, ამავე დროს, ღვთის მიერვეა წარმოაგზავნილი, რომ
მისი შემოქმედება სრულყოს და გააგრძელოს“.

„პოეტი..., რომელმაც მთელი ცხოვრება ზიდა თავისი
ჯვარი, არის მოციქული, მისიონერი... არის ნიშანი, შეტყობი-
ნება რჩეული არხების, გამორჩეული ბედისწერის“, წერს საფ-

რანგეთში მოღვაწე ქართველი დათო თოთიბაძე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ტერენტი გრანელის ლექსები (ხელნაწერი, გვ 39, 40, 41), გაგვაცნო ტერენტის დის – ზიზიას შვილიშვილმა, პროფესორმა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ათესტურ ეპოქაში მისი პოეზია არ დაფასდებოდა, მაგრამ მას არც უცდია დროს მორგებოდა, საბჭოთა პოეტის მანტია მოესხა და ხელისუფლებას შერიგებოდა. ამ პრინციპულობის გამო გახდა იგი დევნილი, შერისხული და პოპულარული, ამავე დროს.

სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული პოეტის დიდების ამბავი ვლადიმერ მაიაკოვსკისაც მისწვდა და რუსმა პოეტმა გადაწყვიტა, თავის ენაზე აემეტყველებინა „მგლოვიარე სერაფიმის“ ლექსები. უცხოელი მკითხველის ალიარებას ტერენტი გრანელი სიმშვიდით, ღირსების გრძნობით შეხვდა.

გავიხსენებთ მაიაკოვსკისა და ტერენტი გრანელის ვრცელ დიალოგს.

– მე თქვენს პოეზიაზე, – უთხრა ტერენტის ვლადიმერ მაიაკოვსკიმ, – ბევრი საინტერესო მიამბეს ქართველმა პოეტებმა: ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვალერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ და სხვებმა. ამიტომ გადაწყვიტე თქვენი ნახვა, როგორც პოეტის. ხომ არ მომცემთ ლექსებს, რომ გადავთარგმნო და დავბეჭდო რუსულ პრესაში?

– ლექსებს კი მოგცემთ, ბატონო ვლადიმერ, მაგრამ ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია-პროპაგანდა, ანუ უკაცრავად, ცხოველური აღტყინება, ბიოლოგიური პათოსი; არც და ვერც იქნება.... გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულინწმიდის მადლია განფენილი. სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწერილი, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განლმრთობის საფეხურები.... არამცთუ

მთარგმნელი, არამედ ქართველი წამკითხველიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს; უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას – პოეზიას არ ეჩქარება... პოეტებიც ნუ ავჩქარდებით. ოდესლაც, როცა ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეული რიცხვის და სულიერება აღორძინდება, „ვიცი, დრო ნოვა ჩემი გაგების“.

„ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა, გეგონებოდათ, საკურთხეველთან იდგა და ლოცულობდა. როცა მონოლოგი დაამთავრა, გაელიმა: „ასე რომ, შეწუხებად არ ღირს, მადლობას მოგახსებნებთ“...

„მაიაკოვსკი ააფორიაქა ასეთმა პასუხმა. ეტყობა, არ ელოდა ასეთ ფინალს. უცებ უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ისევ მაიაკოვსკიმ მოხსნა ეს დაძაბულობა:

– პოეტო, არც მე მოვსულვარ სააგიტაციოდ“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1998, გვ. 412).

ტერენტი გრანელს პოეზია ეზოთერიკულად, განდობილთა საქმედ ესახებოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს ხალხისგან განდგომას. „მწამს მხოლოდ ერთი, მშრომელი ხალხი, მეც მშრომელ ხალხის რიცხვში ვითვლები“, გულწრფელად იყო ნათქვამი.

წმინდა პოეტის შემოქმედება „სიბრძნის სიტყვაა“, რომელსაც გადაფასება არ უნერია. ამაში არ დაეჭვდება, ვინც შეისუნთქა მისი სამყაროდან მონაბერი უზენაესი პაერი...

ტერენტი გრანელი ყოველთვის უპირისპირდებოდა ცხოვრების ზერელე ჭვრეტას, აგიტაცია-პროპაგანდას და პოეზიის უმთავრეს დანიშნულებად „აბსოლუტის“ ძიებას მიიჩნევდა. კიცხავდა „ხბოსებურ აღფრთოვანება-აკუნტრუშებას“...

მწერალთა კავშირში კი მის გენიალურ კრებულებს „შავ წიგნად“, რეაქციულ, რევოლუციის მიერ დამარცხებული კლასების ნაბოდვარად და ნაცოდვილარად“ აცხადებდნენ.

ისინი იცინოდნენ „თეთრ გიორგიზე, თეთრ რაშზე, თეთრ ან-გელოზებსა და ლოცვებზე“.

პოეზიის გნომი ფრიდონ ნაროუშვილი ჭკუას არიგებდა ტერენტის, ტირანებისგან შეგულიანებული: „არა, ტერენტი, ახლა მანც ამას არ მოველოდი შენგან, ეს რა წიგნი გამოგიცია, ბიჭო, რა დროს წმინდა გიორგი, ქალწული მარიამი და იესო ქრისტეა, შე კაცო... პოეტი ახლა ხარაჩოებზე უნდა იდგეს, გლეხს უნდა ამხნევებდეს ხვნასა და მკაზი. შენ კი ისევ ეკლესიებში და სასაფლაოებზე დაბორიალობ, დედაბერივით ლოცულობ და მოთქვამ“.

ტერენტი ჯიუტად აკონკრეტებდა თავის მისიას: „მე ის შორეული, ის მარადიული მიტაცებს, რომელსაც ჩვენი გონება ასე ადგილად ვერ წვდება და ჩემი ლექსების ნამდვილი სამსჯავროც იქ მეგულება“.

თანამედროვეობის ასახვად პოეტს მონური ტაშის დაკვრა და ვაშას ძახილი როდი მიაჩნდა, ის უფრო მოულოდნელზე, საიდუმლოებაზე, მიუწვდომელზე, ძნელად ამოსაცნობზე, მარადიულზე იყო ორიენტირებული: „თანამედროვეობას... მეც ვეხმაურები. აიღეთ ჩემი „ვანო სარაჯიშვილი“, „ექსპედიცია იტალია“. საკითხავია – ვის როგორ ესმის თანამედროვეობა. ზოგიერთისთვის ის მხოლოდ ვაშაა!... ვაშას უზომოდ მოტრიალებმა უნდა იცოდნენ, რომ არსებობს ბოროტება, რომ არსებობს სიკვდილი. დიახ, საქართველო, გლეხი, მუშა, ქარხანა – ამაზე წერა საჭიროა და მეც ვიტყოდი, ზოგი იოლად ახერხებს ამას... ზოგს ლექსი მარტო ის ჰერნია, რაც ფიზიკურ არსებას გამოხატავს, ყოველდღიურობას აღწერს... ნამდვილმა პოეტმა ამას იქით უნდა გადაიხედოს. მე პოეზიად ის მიმაჩნია, რაც მოულოდნელს, ჩვეულებრივი ადამიანის თვალისთვის აღმოუჩენელს აღმოაჩენს, სულის საიდუმლოებას ახსნის, მიუწვდომელს მისაწვდომდ დაგვისახავს.

„მუშას, გლეხს თუ ინტელიგენტს ერთი საიდუმლო აქვს, ჯერაც ამოუცნობი და ამოუხსნელი, პოეზია უნდა დაეხმაროს ყველას, ამ საიდუმლოებისა და მარადიულობის

ამოცნობის შეგნება უნდა გაუღვიძოს პოეზიამ ყველას... ნამდვილი პოეზია... პროზაული ამბების შემდეგ იწყება“ (სერგი ჭილაძა, იყო ერთი პოეტი, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 243,245,247,248,249).

ნათელები უნარით გამორჩეული

ცნობილი მხატვარი და მწერალი რეზო ადამია წერს: „ტერენტის სულში იჯდა ის დიდი ძალა, რომელიც მძაფრად და მკაფიოდ ხედავდა ქვეყანას, მხოლოდ სულის თვალით.

„ტერენტის სული უცხო პლანეტის ერთ-ერთი უხილავი და გაურკვეველ წერტილში აფეთქებული სულიერი ვულკანია, რომლის ძალაც მარადიულ კოცონად დაენთო დედამიწაზე“ (1,40,43).

ტერენტის შემოქმედებაში გამოვლინდა ეროვნული და საკაცობრიო პრობლემები.

პოეტი ხედავდა სულს: „მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ შენს სულს – ტანჯვისგან გასპეტაკებულს“ (აკაკი ანდრიაშვილს) (2,255).

ლექსში „ზამთრის მოახლოება“ აცხადებდა: „ფითრდება მზეზე სული მოლლილი“ (2, 135-136).

„სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“, წერდა „შორეულ სინათლეში“ (2,50).

ლექსში „ისევ დაბნელდა“ ნათქვამია: „სული ნაზია და სული წმინდა, როგორც ქალალდი დაუწერელი“ (2,198).

„თოვლიან სამარები“ აქცენტი მოდის სულის ფერისცვალებაზე: „და შენი სული მზეზე ფერს იცვლის“ (2, 204).

„მგლოვიარე სერაფიმებში“ ასეთი განაცხადია: „სადღაც ელავს ლამპარი ჩემი თეთრი სულივით“ (2,129).

პოეტი შემოქმედებით პროცესში ხედავს „შორეული თვალის შუქს“, ხოლო სული იდუმალი ძალის ტყვედ ქცეულა: „...მივსდევ ქარიშხალს და უფრო ღანდებს და ელავს შუქი შორეულ თვალის... და სული ტყვევა იდუმალ ძალის“ (მივსდევ ქარიშხალს) (2,229).

თვალი საღვთო სახელია. „არ ჩანს მფარველი თვალი“, წუხს პოეტი, მაგრამ „ცისფერი თოვლი“ ელანდება „თეთრი ლოცვების გაღმა“ (ლოდინი ბედის) (3,57).

„და ჩემი მწეუარე სული მსგავსია დათოვლილ სინათლის“ – ასეთი არაჩვეულებრივი ხილვაა „დათოვლილ სანთელში“ (2, 65).

ზოგჯერ კი „უღირსი თვალის“ ცქერა ფიქსირდება (სადღაც და ვიღაც) (2,117).

„მგლოვიარე სერაფიმებში“ ნათქვამია: „სადღაც ელავს ლამპარი ჩემი თეთრი სულივით“ (2, 129).

პოეტის განსაკუთრებული ხილვის უნარს უსვამს ხაზს ლექსი „მეგობარს“. „...მე ახლო ვხედავ ჩემს მოგონებას, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას“ (2, 179).

„მარადისობის ლაჟვარდებში“ პოეტი ამჩნევს „სიკვდილის ყვითელ მანტიას“ (2,59).

ხილვა და სმენა ერთდროულად ფიგურირებს ლექსში „მოგონებების ქსელი“: „და ფოთოლივით სულში კანკალებს მოგონებების ცისფერი ქსელი“ (2,73).

არა მარტო გრძნობს გული, არამედ ხედავს: „და რაღაც ასო ცაზე სწერია, მე მიპასუხეს გულის ნიშნებმა“ (მამა) (2,275).

„ფიქრი ირხევა“ (ჩემს დებს) (2, 148)., „ფიქრი ბრუნავს, როგორც საათი“ (შენ ისევ დაღლილ თვალებს ისველებ) (2,264).

ლექსში „თბილისი მაღლიდან“ „ჩნდება ახალი ფიქრთა ლანდები“ (2, 168).

„მომდევს ფიქრების გროვა და საკუთარი ჩრდილი“, ნათქვამია ლექსში „ნელა მივდივარ ბალში“ (2,250).

განსაკუთრებულია პოეტის ხილვის „ძალა, რომელსაც ფიქრიდან დაულანდავს „შორეული მიზანი“, „საკუთარი აჩრდილი“, „უსაზღვროება“ (ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს) (2,96).

შემოქმედებით პროცესზე ნათქვამია: „დგება ცისფერი წამი ზმანების“ (ახლა არ ვდარდობ) (2,114).

საოცარ, შეუზღუდავ მასშტაბებში იმზირება პოეტის სული: „ახლა აქედან მე ვგრძნობ მსოფლიოს“ (მომკლეს დღე-ებმა გაუგონარმა) (2, 135).

„ვხედავ შორეულ მიზანს“, აფიქსირებს ლექსი „ჩანს სამიოდე ჯირკა“ (2, 139).

„ცისფერ ქვეყანას ვხედავ“, ირწმუნება პოეტი ლექსში „ქარი ეწვია ყვავილს“ (2,128).

ტერენტი გრანელის მიზანი იყო არა სხვათაგან გაკვა-ლული, არამედ ახალი გზებით სიარული: „...წინ იშლებოდა გზები უვალი“ (სიზმარი) (2,138).

სამყაროში პროლიტიკურ ავდარს ხედავდა და პლანეტა-რული მასშტაბის სევდა ეუფლებოდა: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“ (2, 121).

ლექსში „თბილისი მაღლიდან“ ნათქვამია: „ჩნდება ახა-ლი ფიქრთა ლანდები“ (2, 168).

„ქრიან ოცნების თეთრი ნავები“, აცხადებს ლექსში „პო-ეზია“ (2, 122).

ლექსი „ძვირფას ქალს“ აფიქსირებს მოპირისპირე ადა-მიანის თვალების ცისფერი შუქის კეთილ ზემოქმედებას: „ვამჩნევდი, სახეს რომ მინათებდა შენი თვალების ცისფერი შუქი“ (2,217).

კაეშნით შეპყრობილი პოეტი ანგელოზის ფრთების შეხებას შეიგრძნობს ლექსში „ანგელოზი. „ანგელოზის ეჭირა გრძელი პერგამენტი. გალაკტიონ ტაბიძე (2, 91).

„ფარულ ვედრებაში“ „ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოზების“ (2,34).

„მარადისობის ლაუვარდებში“ ნათქვამია: „ვხედავ სიკვდილის ყვითელ მანტიას“ (2, 158).

„დადის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს ისფერ თვალის ასე უღონო მზერა“, წერს სხვაგან.

„გაბრძყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია“, ასეთი ორი-გინალური და მიგნებული შედარებაა ლექსში „საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკელოს“ (2,32).

ლექსში „ჩემს წინ აუზის მღვრიე წყალია“ – ყურადღებას იპყრობს მზესავით ამაღლებული სევდა: „დღეს ჩემი სევ-და ელავს მზესავით“ (2,197).

„მოგონება ფითრდება სინანულის ფარდებში“, გვამცნობს ლექსი „მწუხარე მელოდია“ (2,22).

სხვაგან წარმოსახვის, „ლანდების ასეულს“ მიაცილებს პოეტი (ფარული ვედრება) (2,34).

„შემოდგომის პასტორალში“ გამამხნევებელია მაცხოვრისა და ანგელოზების გამოჩენა: „გამოჩნდა ქრისტე და ყვავილებით ანგელოზები ჩემსკენ მოდიან“ (2,81).

„ცისფერი ზმანებით“ არის პოეტი გატაცებული ლექსში „სიჩუმე და სიმარტოვე“ (2, 122).

„ელავს ოცნება და ცა გაშლილი“ და ისევ „ლექსია „ნუ-გეში“ (3,256).

„სონეტში“ „ლამის აჩრდილი“ „პრილიანტებით“ იმოსება (3,260).

სხვაგან „ფიქრი ნელა ირხევა“ (ჩემს დებს მაშოს და ზაზას (2,141).

„სულს ცისფერი სინათლე ახლავს“ (მთაწმინდიდან).

„სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“ (მარადი-სობის ლაჟვარდები).

„ფითრდება მზეზე სული მოღლილი“ (ზამთრის მოახ-ლოება).

„სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შო-რეულ რიცხვის“ ყველა ეს განაცხადი აქცენტს უკეთებს პოე-ტის ხედვის განსაკუთრებულობას, უცდომელ ხილვებს, ინ-ტუიციას.

არა საღამოს, არამედ „ცისფერ ღამეს“ ელტვის პოეტი: „მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მოვალ ცისფერ ღამისკენ“ (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა)(2,141).

„სიჩუმის ყვავილებში“ პოეტი საკუთარ მიცვალებას და სამარისკენ გამცილებელ პროცესიას ხედავს: „...ახლა კუბოში ვარ, გულმა დაისვენა, მომდევს პროცესია, ჩუმი თანამგზავ-რი (2,127).

ლექსში „მიცვალებულის დღიურიდან. თემა სიკვდილის შემდეგ“ – არის ასეთი საოცარი განაცხადი: „კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ლვთისმშობელი ჩემზე ტიროდა. მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღვდა“ (2,101).

ასეთი წარმოდგენები ნასაზრდოებია სიკვდილ–სიცოც-ხლის საიდუმლოების შეცნობით, რადგან ეგვიპტურ და ტიბე-ტურ მკვდართა წიგნებში ადამიანები სიკვდილის შემდეგ უზესთაესისგან განისჯებიან და ცოდვილები ჯოჯონეთში, ხოლო მაღალი ზნეობის მსახური ადამიანები სამოთხეში, უფ-ლის სავანეში დამკვიდრდებიან.

ლექსი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, რომ პო-ეტს საკუთარი უცდომელი ინტუიციით და არსებობის იდუ-მალი კანონების ზუსტი განჭვრეტით სიკვდილის შემდგომი მოვლენები წარმოედგინა და ფიზიკურ გარდაცვალებას არსე-ბობის დასრულებად არ მიიჩნევდა. ამის დასტურია განაცხა-დი: „ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას“, „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“ (გული მტკივა და ოცნებას მიესდევ) (2,194).

ამ საკითხზე ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს დიდი ქართველი პროზაიკოსი და პოეტი გოდერძი ჩოხელი, როცა სიკვდილის შემდგომ უფრო დიდი სიცოცხლის დაწყებაზე საუბრობს, რაც შიშის უკუგდების მთავარი ფაქტორია.

ასე შედიოდა ტერენტი გრანელი საინფორმაციო ველში და უხილავის ხილვისა და უცხო ხმების მოსმენის უნარით მომადლებული, ყოველთვის უცდომელ დასკვნებს აკეთებდა ყოფნა-არყოფნის მარადიულ პრობლემებზე.

ლომბროზო წერდა: „გენიოსი ფლობს იმის მივედრის უნარს, რაც მისთვის სავსებით არ არის ცნობილი. მაგალითად, გოეთე დაწვრილებით აღწერდა იტალიას ისე, რომ არც ენახა იგი“ (გენიალობა და შეშლილობა) (4, 168).

ტერენტი გრანელმა შეძლო განეჭვრიტა როგორც საკუთარი ქვეყნის, ისე მსოფლიოს პროცესები, მთელი კოსმოსის საიდუმლოებები გაითავისა, სიკვდილ-სიცოცხლის საიდუმლოებას ახლებურად შეხედა და მის უცდომელ დასკვნებს არც დღეს დაუკარგავს აქტუალურობა.

„შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ – პოეტს ძალუძს არა მხოლოდ საკუთარი ასტრალური სხეულის, არამედ სულის ჭვრეტაც გარედან“ (ზურაბ ცხონდია, „გრანელის სევდა და სხვა“, „ინტელექტი“, თბ. 2013, გვ. 79).

დამოწმებანი

1. რეზო (ემელიანე) ადამია, „სისხლიდან ცრემლი“, „ინტელექტი“, თბ. 2019
2. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
4. ჩეზარ ლომბროზო, გენიალობა და შეშლილობა, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1995

ნათელსხანის ფარმაცი

ტერენტი გრანელს, ნათელხილვასთან ერთად, ნათელ-სმენის უნარიც გამოარჩევდა.

ქრისტეს სისხლიანი ბედის თანაზიარს, უდაბნოდან ეს-მოდა ზარის ხმა: „ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი... გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან და გაწვალებდა თოვლი და ქარი“ (MarCNEBITE) (1,177).

გალაკტიონი ამხელდა „ყრუ საუკუნეს“, რომელსაც სმენა დაეგმანა საღვთო ჰანგებისთვის (ყრუ საუკუნეს) (2,603).

ტერენტი გრანელისთვის დროის მახასიათებელი გამხდარიყო „ყრუ ფიქრები“: „მაშინებს ყოფნა ყრუ ფიქრებში გამოხვეული“ (სონეტი), „ყრუ ბედისწერა იყო მისი ხვედრი: „ყრუ ბედისწერა გეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

„უცნობი სფინქსი“ თავის მართალ ხმას ზეცას აწვდენდა და სამყაროს აღვიძებდა: „ახლა ჩემი ხმა ზეცას მოიარს“ (ნელა ქრებიან) (3,50).

ტერენტი გრანელის პოეზიაში ოცნება ლერწმის რხევის ხმას გამოსცემს და ცის კალთაში პოულობს ადგილს: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სონეტი) (1,168).

პოეტი „კომუნიკაციას“ ვიღაც მარსიანელთანაც ამყარებს: „ძვირფასო ვტირი და ყოველ ლამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“ (ვიგონებ სოფელს) (1,184).

ნათელმსმენს „სულის მიმოზების“ რხევაც არ გამოეპარება: „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (1,102).

ლექსში „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ პოეტი შეიგძნობს, როგორ „იმოსება“ მისი ოცნება: „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება და იწვევს გაოცებას შორეული ალები“ (3, 67).

პოეტს ესმის „შრიალი იდუმალ ძალთა“ (ქალი მატერებელში“ (1,61).

ესმის „ცრემლის შრიალი“, ოცნების თეთრი ნავების ქროლვა (3,28), „თეთრი ფიქრის თარეში“ (ხომ მაღელვებს მე ასე) (3,78).

პოეტს ესმოდა „გულის ტირილი“ (ჩემს წინ), როიალის ტირილი (გათავდა, მორჩა), როიალის კვნესა, ბაბილონის ნაპირთან ყორნების რეკვა (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე) (3, 67).

ტერენტი გრანელის სულში ქარები მღეროდნენ (დაბრუნება), 3, 90).

საიქიოდან მშობლების ძახილი სწვდებოდა სმენას: „თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“ (დედ-მამის და ნათესავების მოსაგონარი) (1,66).

„მგონია, ციდან მეძახის ვიღაც“, ამბობდა პოეტი და მერე აკონკრეტებდა, რომ ეს უფლის ხმა იყო: „ეხლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (1,35).

იმდებს ყოველთვის „შორი ცა“ – ღმერთების ცა უგზავნიდა: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა, მარად მუქი“ (მორჩა, არავის ველი) (1,73).

„ზარებში“, „მიუსავლეთის“, „სხვა ზარების“ ხმა აძრნუნებსდა: „მე რომ მაშფოთებს, სხვა ზარებია, მიუსავლეთში მივემგზავრები“.

ხორცისგან განშორებული სული „შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ შორეული „წვიმის“ ხმას შეიგრძნობდა, კუბოს-თან მდგარ სეარაფიმებს ხედავდა და ღვთისმშობლის ტირილი ესმოდა: „მე თეთრ კუბოში ჩუმად მეძინა, მოჰქონდათ ვარდი და გვირილები... და ეცემოდნენ სადღაც წვიმები, შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმე-

ბი და ლვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ (მიცვალებულის დღი-ურიდან) (3,96).

„შორეული ღრუბელი“ მარიამის სიმბოლოა (4,124).

წვიმა ძე ღმერთზე მიგვანიშნებს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში ღმერთი არის „ბარაქიანი წვიმა“ (ფს. 67, 10) (5, 590).

ტერენტი გრანელის სჯეროდა, რომ გლოვის ზარებით მავალი თეთრი კარეტა მის მგლოვიარე სულს სამოთხეში მიიყვანდა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“ (ლოცვა მთვარესთან) (1,156).

საფრანგეთში მცხოვრები ქართველი, ტერენტი გრანელის პოეზიის მკვლევარი დავით თოთიბაძე აღნიშნავს: „ტერენტი გრანელი ჰგავდა „განდობილს“, ესმოდა მიღმა სამყაროს ძახილი“ (6,37).

„მის ცნობიერ სამშვინველში არსებულ სულიერ სმენას ძალუძს სინამდვილის „მუსიკალური ფაქტიც“ დააფიქსიროს: „მივ-სდევ საკუთარ აჩრდილს, საკუთარ ტირილს ვისმენ“ (7, 79).

ლიტერატურა

1. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
2. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თხზულებანი ორ წიგნად, წიგნი I, 1988
3. ტერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ. 2005
4. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1996
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი (ხელნაწერი)
7. ზურაბ ცხონდია, „გრანელის სევდა და სხვა“, „ინტელექტი“, თბ., 2019.

თამაბის სიხარული

ტერენტი გრანელის თანამედროვე ლიტერატურა ათე-ისტური სახელმწიფოს, უსამართლობის, პროლეტარიატის დიქტატურის მსახური იყო, ხელისუფლების მხარდამჭერი მოსყიდული კრიტიკის დირექტივებს ეკვემდებარებოდა. მათ თეთრის შავად წარმოჩენა, ფაქტების გაყალბება, ქვეყნის სა-თავეში მოსული არაკომპეტენტური პირების ხოტბა, ხოლო ობიექტური თვალთახედვის მწერალთა იგნორირება – და-ტერორება ევალებოდათ. ამის შედეგი იყო პროლეტარული კრიტიკის გნომის – შალვა რადიანის განაცხადი: „გრა-ნელ–გამსახურდიები ქართული ლიტერატურის მკვდარი ადა-მიანები არიანო“.

ტენდენციური სალიტერატურო კრიტიკის მახვილს ვერ გადაურჩნენ კონსტატინე გამსახურდია, მიხეილ ჯავახიშვილი, გალაკტიონი მოწონებული იყო და არა გაგებული, მის პოეზია-ში უსამართლობის, რევოლუციის შედეგების მხილება სიმბო-ლურ – მეტაფორული სახეებით ხდებოდა, ბიბლიურ–ქრისტია-ნული პარადიგმებით, შეფარული, ამოსაცნობი ენიგმებით, რაც გაუგებარი იყო პრიმიტიული პროლეტარული კრიტიკისთვის და ასეთი ლექსები უგულებელყოფილი, მიჩქმალული იყო.

ტერენტი გრანელის სიმბოლურ–მეტაფორული, განუმე-ორებელი ენიგმებით სავსე პოეზიის ნამდვილი ჩანაფიქრი გა-უგებარი იყო ხელისუფლების ირგვლივ დაჯარული, მისი წყა-ლობის მომლოდინე ვაიშემოქმედთათვის და, ბუნებრივია, ხე-ლოვანი, შემოქმედი ფასდებოდა წყობილების, ზემდგომთა მისამართით აღვლენილი ხოტების მიხედვით, საბჭოთა სი-ნამდვილის სამოთხედ გამოცხადებით.

ტერენტი გრანელი, როგორც რწმენის, სამართლის აპო-ლოგეტი პოეტი, იმთავითვე აითვალინუნა ტენდენციურმა ხე-ლისუფლებამ, მისმა მსახურმა კრიტიკამ, მაგრამ, ამის მიუხე-დავად, სენსაციებს იწვევდა ამ ჭეშმარიტი სიტყვის ოსტატის ყოველი გამოსვლა ქუჩაში თუ აუდიტორიაში, ამ უფლისგან

ხელდასხმულის სახეზე, შუბლზე, თვალებში, ხმაში, ლექსებში იკითხებოდა, რომ „მემენტო მორის“ ავტორის დონის და შე-მართების პოეტები საუკუნეებში ერთხელ ევლინებიან სამყაროს.

ტერენტი გრანელი იყო ნათელმსმერნი, ნათელმხილველი, სიტყვისთვის, ჭეშმარიტებისთვის წამებული პოეტი, რომელიც პირადი, მატერიალური ცხოვრების, წარმავალი ბეჭდიერებისთვის კი არ იღწვოდა, არამედ მარადიული ჭეშმარიტების, საღვთო სიბრძნის მიგნებისთვის და ამისთვის მზად იყო გულის სისხლი გაეტო: „ისევ იცლება გული სისხლისგან და ჩემი გრძნობა ლექსში იღვრება“, წერდა ლექსში „სიშორებე“ (1, 238).

მუდმივად შემოქმედებით ინსპირაციაში იყო ჩართული ეს უპირველესი პოეტი და ბიბლიური იობის წამებას უთანაბრდებოდა მისი შედევრების შექმნის სიძნელე: „არ თავდება კარამი და იობის წამება“ (დაბრუნება სოფელში) (1,223).

მთელი ქვეყნის სატკივრების გათავისება იყო მისთვის მთავარი, მაგრამ მოშურნე ვაიპოეტები და ვაიკრიტიკოსები ამას როდი ხედავდნენ: „...ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება და სიჩრუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება“, წერდა პოეტი.

ჭეშმარიტი შემოქმედი ღმერთს უნდა დამსგავსებოდა, გრიგალის სიმძიმეს უნდა გამკალავებოდა, ეპოქის სატკივრები უნდა გაეთავისებინა და მზესავით სითბოს, სიკეთის ფლუიდები უნდა ეფრქვია ირგვლივ: „...ეს ჩემი სული-ლანდია ღმერთის, ეს ჩემი გრძნობა გრიგალი მძიმე. მე მაშინ მიველ, მზე ანთებული, როცა მოჰქროდნენ ხმები სხვა ზარის“ (ციხის ელეგია) (1,200).

ერის, კაცობრიობის პრობლემების წარმოჩენა და მხატვრულ სიტყვად ქცევა წამებას, ტანჯვას მოითხოვდა, მაგრამ პოეტი ამას არ უშინდებოდა, რადგან წამებას სიხარულად აქცევდა მიღწეული შედეგი, ამიტომაც აცხადებდა: „ჩემთვის

წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები“ (კითხვა ასე-თი: ყოფნის რაობა) (1,218).

ასეთი მაღალი გადასახედიდან გაითავისა ტერენტი გრანელმა შემოქმედის, ჭეშმარიტი სიტყვის მისია.

„ეს უდაბნოა და მარტო მე ვარ“ (სიჩუმე და სიმარტი-ვე)(1,237). წერდა ტერენტი გრანელი, რადგან უდაბნო აქ-ცენტს უკეთებდა თავისი თანამედროვე ათეისტური ეპოქის ურწმუნობას, ხოლო პოეტის მიზანი იყო ღმერთისგან გამ-დგარი, სოციალისტური იდეოლოგიის მარწუხებში მოქცეუ-ლი ადამიანები უზენაესისკენ მიეხედებინა. ამას კი წამება სჭირდებოდა, რასაც ღირსეულად იტანდა: „რამდენ წამებას ვიტან, ქრიან წუთები თრთოლვის“ (ლექსი თოვლზე) (1, 19).

დიდი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო ძის „დაო დე ძინში“ ნათქვამია: „ტირილი გვმართებს კაცთა კვლის ჟამს. მჭმუნვა-რება გვმართებს გამარჯვების ჟამს. გლოვა გვმართებს გვამ-თა ზემის ჟამს.

„ვინც გაცოდვილდა მთელი ქვეყნის ცოდვით: განინამ-ძლვრდა ცისქვეშეთში. ვინც დაიტანჯა მთელი ქვეყნის ტან-ჯვით: გამეუფდა ცისქვეშეთში“ (2,232).

ტერენტი გრანელი იტანჯებოდა ეროვნული, საქვეყნო იდეალებისთვის, მას არასოდეს გადაუდგამს თუნდაც ერთი ნაბიჯი იმისთვის, რომ პირადი გაუძლისი პირობები შეეცვა-ლა, ამა ქვეყნის ურწმუნო, სათავეში მოქცეულ ხელისუფალ-თათვის ეამებინა.

„...თავის წამება სამრეკლოზე მარტო მე მინდა“, აცხა-დებდა პოეტი და სრულ მზაობას ავლენდა სიკეთის, ჰუმანიზ-მის, რწმენის დამკვიდრებისთვის (რკალიდან: კვირის წირვე-ბი)(3,20).

საქვეყნო სატკივარსს, მწუხარებას ლოცვებს მიადევ-ნებდა: „მწუხარება ნაკეცი გაზაფხულზე დაგეძებს, შენს უმანკო ბაგეზე დაბინავდნენ ლოცვები“ (მწუხარე მელოდია) (3,22).

„თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“ (შეშლი-ლი ცრემლები) (3,25), წერდა პოეტი და ამ მარადიული შუქის ანთებას ენირებოდა პოეტის მთელი ძალისხმევა.

პოეტს არცერთი ნაბიჯი არ გადაუდგამს მედროვე, ხე-ლისუფლების, უნიჭო, მაგრამ ყოვლისშემძლე, მთავრობასთან შეფიცული თანამედროვეების საამებლად, რათა შეცვალა თავისი მიუსაფრობა, უბინაობა. ელემენტარულ პირობებს მოკლებული, მართლა „წმინდა წამებით“ წავიდა „სამუდამო მხარეში“: „...მე რომ ვატარებ წმინდა წამებას, ბევრია ამის მაგალითები“ (სადღაც შორს) (3,27).

პოეტის „სიცოცხლის აზრი“ შემოქმედება იყო და მას ემსხვერპლა უყოყმანოდ. არა ამქვეყნიურობის, არამედ „სხვა ზეცის“ იმედი აცოცხლებდა (მივყვები გაყინულ რიყეს) (3,31).

ხელოვნებისთვის ჯვარცმული, პირადი, მიწიერი ცხოვ-რების ბედნიერებისადმი გულგრილი „უცნობი სფინქსი“ აც-ხადებდა: „მე უარვყავი მთელი ცხოვრება, ვინამე ზეცა და პოეზია“ (მივდივარ, გზაზე ადის ალმური) (3,33).

„ქუჩაში მცხოვრები და სახლიდან გაქცეული“, წამების მწვერვალზე მიქცეული ასეთი შემოქმედებისთვის, სამშობ-ლოსთვის ევედრებოდა უფალს: „ჯვარებთან გაივლის ფარუ-ლი ვედრება, წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი“ (ფა-რული ვედრება) (3,34).

ბრბოს მიერ „კაენივით გმობილი“, „შურისა და მტრო-ბის“ სამიზნედ ქცეული პოეტი ეპოქის „მძიმე ქარებს“ უპი-რისპირდებოდა და თავის მაღალ მოწოდებას არასდროს ღა-ლატობდა: „საღამო – კანკალი–სანთლის, ირგვლივ დაწოლი-ლი ნისლი. ფარული წამების ლანდი, პოეტის ცრემლი და სის-ხლი“ (ზამთრის ბარელიეფი) (3, 42).

წამება, უკოპრომისობა, გრიგალებთან ბრძოლა იყო მა-ღალი იდეალების მსახურის წინამძღვარი: „მე ხომ ავად ვარ, მე ხომ ვენამე, ჩემი ფიქრები მაღლა დადიან. ისევ საშინელ

გრიგალებს ვებრძვი, ისევ საშინელ დრამას განვიცდი“ (მე ხომ ასე ვარ) (3,43).

ამ წმინდა წამებას უძლებდა შორეული შედეგის იმე-დით: „...ვგრძნობ წამებას და შორეულ იმედს“ (საღამოა, მო-ილრუბლა ზეცა)(3,45).

„წაწამები“ პოეტი „ცისფერ ლამეს“ – ღმერთს ხედავდა (სიცოცხლის გრადაცია) (3,46).

„მწუხარე ქრისტეს“ სახით გვეცხადებოდა ლექსში „აწე-წილი ბედი“ (3,44).

სამარე, გოლგოთა, განსაცდელი, საფლავები ელანდე-ბოდა, მაგრამ „კანდელი“ ეიმედებოდა (შორეული სინათლე) (3,50).

„საზღვარს იქით“, ბედს იქით გალწევის უნარი მოემად-ლებინა განგებას და ეს აძლევდა მრავალ განსაცდელთან გამკლავების უნარს (მოგონება ქარში) (3,51-52).

„ბოროტების შავ რკალებში“, „მკვლელების, გამცემლე-ბის“ გარემოცვაში მოქცეული მხოლოდ უფალზე ამყარებდა იმედებს (ვედრება უფალთან) (3,53).

ადამიანები კი არა, „ხე და ყვავილი“ ანიჭებდა სიხა-რულს (3,54).

ზეცის რჩეულს ზეცა ეიმედებოდა: „...და ვიგრძენი, რომ ზეციდან მოდის სიხარული ამნაირი დილის“ (მატარებლიდან ქუთაისი) (3,55).

ქრისტეს ჯვარცმას რომ ადარებდა თავის ცხოვრებას, ესეც არ იყო შემთხვევითი: „...ეს იყო დარდი, სულის დალალ-ვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი“ (MABCERITE) (3,60).

პოეტისთვის წარმოუდგენელი იყო სიცოცხლე და სიხა-რული მაღალი იდეალებისთვის წამების გარეშე: „ძვირფასო, ისევ მინდა წამება, მინდა სიცოცხლე და სიხარული“ (დღე უზრუნველი თამაზ ბორელს) (3,62).

გრძნობდა თავის მოწოდებას, წამების მიზეზს და თავის მწუხარე სულს დათოვლილ სანთელს ადარებდა, თავის მიმა-ვალ დიდებასაც ჭვრეტდა და ეს იყო პოეტის უცდომელი ინ-ტუიცის გაცხადება: „...დაო, ვგრძნობ გრიგალის ძაბილს, დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს. და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის“ (დათოვლილი სანთელი) (3,65).

შემთხვევით სულაც არ არის, რომ ტერქნტი გრანელი-სადმი მიძღვნილ წიგნს პოეტმა და მეცნიერმა გელა მამფო-რიამ „დათოვლილი სანთელი“ უწოდა.

სევდა თოვლს დაუკავშირდა ტერქნტი გრანელის ლექ-სში „შემოდგომა მინდვრებში“. „ჩემს სულში სევდა თოვლი-ვით ელავს, ისევ მწუხარე ხმებია ზარის“... (3,71).

ბავშვური სიწმინდის შენარჩუნება, უკომპრომისობა იყოს პოეტის გამარჯვების საწინდარი: „ვიცი, ქარიშხალს ვერ დავენევი, ვიცი, დავრჩები ბოლომდე ბავშვი“ (3,72).

ბოროტებასთან შეურიგებელი პოეტი აცხადებდა: „...მე ლამესთან ვდგავარ, როგორც ქანდაკება“ (კვირის ნისლები) (3,83).

პოეტი იყო „დიდი დღის“ ერთეული, („დღე“ საღვთო სა-ხელია), რაც განაპირობებდა მის წარმატებას (ქალაქის ბალი) (5,90), რასაც სჭირდებოდა დიდი ტანჯვა-წვალება: „...და მო-ვიდა სიხარული დიდი ტანჯვის და წვალების შემდეგ“ (ცა ლაჟვარდი, დედამიწა – კუბო) (5,220).

წამების მიუხედავად, პოეტს ანუგეშებდა თავისი ფიქ-რების მარადიულობა: „...ჩემი ფიქრები არ მოკვდებიან, მოვა დღე ისევ ჩემი წამების“ (ვდგავარ მაღლობთან) (3,286).

„ყოვლადძლიერი ნიადაგ მწუხრს გარემოუცავს“, გვმოძლვრავს დიდი ჩინელი ფილოსოფოსი ლაო-ძი „დაო დე ძინში“ (2,123).

მატერიალურად უპოვარი, მაგრამ მაღალზნეობრივი, მარადიული იდეალების მსახური ადამიანი ბეჭნიერებას მოიხვეჭს უზენაესის განკითხვისას, ხოლო მიწიერ, პრაგმატულ ინტერესებს მიჯაჭვული – უბედურებას.

„მემენტო მორის“ ავტორმა ბოლომდე გაგვიცნობიერა ჭეშმარიტი შემოქმედის ჰუმანიზმი, მაღალი იდეალებისთვის წამება: „იქ მივალ, სადაც გრიგალი რეკავს, იქ მოვალ, სადაც სიმწუხარეა“ (შენ იმედები ალბათ გაგიარს) (3,262).

უფლისგან ხელდასხმულ პოეტს ბოლომდე ჰქონდა შეგნებული, რომ მხოლოდ ტანჯვის გზით მიიწვდომება შედეგი, რაც სიხარულის წყაროა, როგორც ავტორისთვის, ისე საზოგადოებისთვის: „ჩემთვის წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები“ (კითხვა ასეთი: ყოფნის თაობა(1,28).

ტერენტი გრანელმა სიცოცხლე მხატვრულ სიტყვას მიუძღვნა, რაც წამებას მოითხოვდა, ხოლო ამ წამების შედეგი სიხარულს განაცდევინებდა როგორც „მემენტო მორის“ ავტორს, ისე ინტელექტუალურ მკითხველს.

დამონმებანი

1. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
2. ლაო ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და კომენტარი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2011

„უცნაური გაგიჟება“

ტერენტი გრანელი, როგორც ჭეშმარიტი პოეტი, დაინტერესებული იყო ხილული თუ მიღმური სამყაროთი, მიწით თუ ზეცით, სულით და ხორცით, სიკეთით და ბოროტებით. ის ეძებდა არა ეფემერულ, არამედ მარადიულ სიბრძნეს, აღნევდა ჩვეულებრივ მოკვდავთათავის დაწესებული საზღვრის გადალახვას, გადიოდა საგნის მიღმა, ოცნების მიღმა, ბედს იქით. წარუვალი სიბრძნის და მხატვრული ინდივიდუალობის მიგნება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვდა, გულისა და გონების შესაძლებლობათა გამძაფრებას, „გულის სისხლს“, მსხვერპლს. ამიტომაც შემოქმედებითი ტანჯვა, ჯვარცმის ტოლფარდი ტკივილი და ცრემლი იღვრებოდა მისი სტრიქონებიდან.

„პიროვნების განვითარებაში დათქმული და დაწესებული ერთგვარი სამანის“ გადალახვას კონსტანტინე გამსახურდია „ზეკაცობას, ლმერთკაცობას“ უწოდებდა.

არის სხვა ცნებებიც, ანალოგიური პრობლემებისთვის მისადაგებული.

კონსტანტინე გამსახურდია აღნიშნავს, რომ ინგლისში ბაირონს დემონად აღიქვამდნენ, გალაკტიონი გოეთეს სატანასთან აიგივებს (დადებით ჭრილში, რა თქმა უნდა) და პოეტობას დემონური, გენიალური ნიჭის გამოვლინებად აცხადებს.

სატანა – „მჭვენიერი ეშმაკი“ აღმატებული ნიჭის სინონიმია შარლ ბოდლერისათვის, ამიტომაც საუბრობს მასთან წილნაყარობასა და გაღმერთებაზე „ბოროტების ყვავილების“ წინასიტყვაობაში.

ასეთ შემთხვევაში დემონურობა გაიაზრება გენიალობის იდენტურად.

ანალოგიურ კონტექსტში ახსენებენ ცნებებს: გიუი, შეშლილი, გადარეული, ზოგჯერ აწყვილებენ კიდეც დემონს და შეშლილს.

გოეთე გენიალობასთან აკავშირებდა შეშლილობის ცნებას და „შეშლილ დემონს“ უწოდებდა ბეთხოვენს: „საჭიროა მოკრძალება იმის წინაშე, რასაც გამოთქვამს ასეთი შეშლილი დემონი, რადგან მას გენია უნათებს გზას და ხშირად იქ უსხივოსნებს, სადაც ჩვენ უკუნეთით ვართ მოცული და ვერც კი მოვმხვდარვართ, საიდან ამობრწყინდება მზე“ (ალ. ალ-შვანგი, ბეთხოვენი, ა. გელოვანის თარგმანი, თბ. 1958, გვ. 102).

ხელოვნების ფსიქოლოგიაში არსებობს მიმართულება, რომელიც გენიალობასა და სიგიურს შორის შეხვედრას პოულობს და სიგიურს ნიჭიერების აუცილებელ პირობად გაიაზრებს. ამ კუთხით ძალზე გახმაურებულია ჩეზარ ლომბროზოს წიგნი „გენიალობა და შეშლილობა“ (მოსკოვი, 1895 წ. რუსულ ენაზე).. მასში სპეციალურად არის მოძიებული გენიალურ მოაზროვნეთა გადახრები, რაც დევნის მანიაში, შიშში, მტრების მოლანდებაში, არყოფილის ნამდვილივით განცდაში, ჰალუცინაციების მოჭარბებაში გამოიხატება. ამ კუთხით არანორმალურად მიიჩნევიან კაცობრიულ აზრთა საჭეთმპურობელები: დიკენსი, დოსტოევსკი, რუსო, ნიცშე, გოგოლი, ტოლსტოი..

ლომბროზოს გარდა, არსებობენ სხვა მოაზროვნეები, რომლებიც ჩხრეკენ ნიჭიერთა „ავადმყოფობის“, პათოლოგიური გამოვლინებების ფაქტებს და კატეგორიულ ტონს ანიჭებენ თავიანთ ნააზრევს, თითქოს შეშლილობის გარეშე არ არსებობს გენიალობა (ბლეზ პასკალი, ერნსტ კრეჩმერი, მაქს ნორდუ).

გამოჩენილ ადამიანთა დეპრესიების, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილების, შიზოფრენიკობის მაგალითები მართლაც მრავლად არსებობს..

შემოქმედება ზიგმუნდ ფროიდის, კარლ გუსტავ იუნგის, მიხაილ ზოშჩენკოს და სხვა ანალოგიურად მოაზროვნეთა მიერ გაგებულია, როგორც ფსიქოთერაპია, სუბლიმირება,

შინაგანი წუხილის, ტკივილების, ნევროზების გადატანა და განმუხტვა მხატვრულ სახეებში, სიმბოლურ ხილვებში.

შეშლილს, გიჟს, გადარეულს, მთელ რიგ შემთხვევებში, აღმატებული გრძნობების სინონიმად გაიაზრებდნენ გალაკტიონ ტაპიძე და ტერენტი გრანელი, რაღაც უჩვეულოს, დიადის, აუცილებლის ალეგორიად სახავდნენ.

გალაკტიონი აცხადებდა, რომ მის წიგნში „მარხია მოჩვენება სიზმარეული, სული შეშლილი და ბედნიერი“. როგორც ვხედავთ, დაწყვილებულია კონტრასტული ცნებები. ასეთივეა: „ტიროდა მისი მუსიკალური და გადარევის ეფემერები“.

ეპითეტი „შეშლილი“ დადებითი ენერგიის მატარებელ ცნებად მიუსადაგა გალაკტიონმა თავის საყვარელ მხატვრებს, პოეტებს: შეშლილი ვერლენი, შეშლილი ბეთოვენი, შეშლილი ყაზბეგი, შეშლილი ფიროსმანი, ხალხური შემოქმედების გიჟი – ფიროსმანი, ძეგლი... შეშლილი თუ წინასწარის მთქმელი?

„ოცნებასაც“ გიჟის რიდეს მოარგებს გალაკტიონი: „...გაპქრა გიჟი ოცნება, წყარო ხევში ვალალებს, გაპქრა გიჟი ოცნება...“

პოზიტიური გაგებისაა შემდეგი ფრაზებიც: „მუსიკალური და გადარევის ეფემერები“, „პოეტი... გრიგალი, შერყევა“, „მოგონების შეშლილი ბოდვა“.

უსაზღვრო გრძნობების, შემოქმედებითი ფანტაზიის, ძიების, მოუსვენრობის გამომხატველია ფრაზა: „მშვენიერია ზღვა მთვარეული, ზღვაზე ზვირთები მიდის ლივლივით, მე კი რისთვის ვარ გადარეული, რად ვიყურები შორს შეშლილი-ვით?“

გალაკტიონის პოეზიაში შეშლილი ჰქვია ყოველივე აღმატებულს, უჩვეულოს: „შეშლილი სახით ჰკიოდა ქუჩა, ბალში შეშლილივით კვდება თებერვალი, სიგიჟემორეული ზღვა, შეშლილი ფერი“.

დაუძლეველი ტკივილიც შეშლილივით აფორიაქებს ლექსა: „მე სიმღერას შევწივლებ დარდებს შებორკილივით, ჩემი არდაფარული მწუხარების საგანი, შეშლილივით დააღებს კარებს წივილ-კივილით, რომ უგულოდ ჩააქროს რამე გრძნობათაგანი“ (შეშლილივით დააღებს კარებს).

უნაპირო, გულში დაუტეველი სიყვარულის გამოვლენაც შეშლილობად ინათლება: „საყვარელ ხელებს შეშლილივით დავენაფები!“ („ხელები“). „კიდევბიც შეშლილია“ („ეფემერა“).

სხვაგან „სიყვარული“ (ლმერთი) გვალვისა და გაგიჟების წამალია: „ეს სიყვარული დააცხრობს გოლვას და გაგიჟებას უფრო უარესს“ (დადგა აგვისტო).

გალაკტიონის „სიგიჟე“ რეალურად იმაში გამოიხატებოდა, რომ ფანჯრიდან შემოსულ სხივს კოცნიდა, ერთდროულად ესმოდა რამდენიმე მუსიკოსის, რამდენიმე მუსიკალური ინსტრუმენტის და კოლოს წივილის ხმა: „ყურებში ხმაურობა მესმოდა: შუმანი, ბეთხოვენი, ჭიანური, როიალი – სულ ერთად იყვნენ არეული! ხან კი თითქოს კოლო დამწივოდა ყურთან. როდესაც ყოველივე ეს ვუთხარი ექიმ პონდოევს, მან თვალები ფართოდ გააღო გაოცებისაგან, მის სახეზე წავიკითხე: „შეშლილაო საწყალი გალაკტიონი“ (გალაკტიონის ხუთტომეული, ტ. 5, გვ. 338).

პოეტი ყოველთვის ფხიზლად აკონტროლებდა თავის თავს, კარგად ავლებდა ზღვარს სიგიჟეს, როგორც კლინიკურ ავადმყოფობასა და შემოქმედისთვის აუცილებელ „სიგიჟეს“ შორის და ნიშნისმოგებით მიმართავდა სხვისი ნიჭით, წარმატებით გაგიჟებულებს: „სხვა გიჟებს სხვისი სისპეტაკუ ეფრო აგიჟებს“...

მაგრამ გალაკტიონმა ასევე კარგად იცოდა, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის მონინააღმდეგეთა ხვედრი იყო ციხე, გადასახლება, სახრჩობელა, საგიჟეთი.

მართალია, გალაკტიონი ხშირად ირგებდა შეგუებულის, მოთვინიერებულის ნიღაბს, მაგრამ პოემა „მოგონებების“ ავ-

ტორს, საუკუნის მეფისტოფელად მომნათვლელს, დემონ-ლუ-ციფერთა თარეშის მხილების დიდოსტატს, ხელისუფლების ნდობა ვერ ექნებოდა.

თავისუფალ მოაზროვნეთა იდეური დამუშავების, „ექი-მობის“ შიში გასჩენია გალაკტიონს 1949 წელს კარდიოლოგი-ის ინსტიტუტში ჩატარებული მკურნალობისას, როცა იქიდან გამოსვლისას ხელი მოაწერინეს „შრომისუნარიანობის დაკარ-გვაზე“; პოეტი ასკვნის: „ალბათ, ასე აწერინებენ ხელს ყვე-ლას, ვისაც ექიმობენ..., ეს დოკუმენტი სჭირდება მას, ვინც ჩემი ლიტერატურული მტერია, არ სურს, რომ მე მწერალთა კავშირში ვმუშაობდე. აი, სად იხელთეს დრო! აი, სად დამი-გეს ხაფანგი!!!“ (ვ, ჯავახაძის წიგნიდან – უცნობი, გვ. 566-567).

პოეტს გამუდმებით აწვალებდა მის წინააღმდეგ შეთ-ქმულების მოწყობის, გიუის იარლიყის მიკერების და ამით სულიერი განიარაღების შიში. ეს აპრობირებული მეთოდი იყო ტოტალიტარულ სახელმწიფოში.

ბოროტების იმპერიის ამ ხერხს ასეთ კვალიფიკაციას აძლევდა ამერიკის რადიო „თავისუფლება“: „საბჭოთა კავშირ-ში საღად მოაზროვნებს გიუებად აცხადებენ და ფსიქიატრი-ულ საავადმყოფოში ათავსებენ“.

დისიდენტ მოაზროვნეთა ძალად მკურნალობისთვის განსაკუთრებულ ძალისხმევას იჩენდნენ საბჭოთა აკადემიკო-სები, ამასთან დაკავშირებით, სიმართლისთვის მებრძოლი უკურნალისტის – ნაზი შამანაურის მაგალითიც კმარა.

გალაკტიონის თვალწინ იყო შემაშფოთებელი მაგალი-თები, პეტრე სამსონაძის მიერ პერიას აუგად მოხსენიება, ამის შედეგად მისი ფსიქიატრიულში მოთავსება, ცემით სიკ-ვდილამდე მიყვანა და საბედისწერო აღსასრული (კალე ბობო-სიძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი, გაგვაცნო ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილმა პროფესორმა მამანტი როგავამ).

იქნებ შემთხვევით არ უთარგმნია პოეტების მეფეს ედ-გარ პოს „გული მამხილებელი“, სადაც არის ასეთი ადგილი: „დიახ! მე ძალიან ნერვებაშლილი ვარ, მაგრამ რად გინდათ თქვენ დაამტკიცოთ, რომ მე შეშლილი ვარ? ავადმყოფობამ გაამწვავა ჩემი გრძნობები, მაგრამ სრულიადაც არ დაუსუსტებია იგი, სრულიადაც არ დაუჩილუნგებია, უპირველეს ყოვლისა, გრძნობა სმენისა“ (ვ. ჯავახაძის წიგნიდან – „უცნობი“, თბ., 1991, გვ. 502).

იცოდა რა ხელისუფალთა, ბოროტეულთა ერთი მთავარი მეთოდი, თავისუფლებისათვის მებრძოლთა წინააღმდეგ გამოყენებული, გალაკტიონს ბუნებრივად გასჩენია შიში, რომ მისთვისაც არ მოედოთ საგიუჟეთში შესატყუებელი ქამანდი: „რაც თვით არ სჯერათ, მე იმაში სურთ დამაჯერონ... არა, მე მდგმური არ მსურს ვიყო ამ საგიუჟეთის“ (უცნობიდან, გვ. 459).

გალაკტიონს აწამებდა თავისი მეგობრის – ტერენტი გრანელის ხედრი და გულწრფელ წუხილს გამოხატავდა: „მე ვნანობ, მე ვდარდობ, რომ ის (ტერენტი გრანელი – ლ.ს.) განუკურნებლად ავადაა“ (იროდი ხარჩილავა, ტერენტი გრანელი, კრებული – ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984, გვ. 214).

ალბათ, ამიტომ ფრთხილობდა, გაურბოდა ხელისუფლების ჭანებს, ნებაყოფლობით განდეგილად იქცა, რომ მის სენაკში არ შემოედნია უცნობ-ნაცნობს და არ „დაეავადებინა“ საუკუნის ჭირით: „ჰმ... ავად გაგხდიან, თუ მაგრად არ დაიჭირე თავი“, ალნიშნავდა დღიურში.

ამიტომ ჰქონდა 1928, 1929, 1939 წლების შიში...
ამიტომ საუბრობდა გადარჩენაზე, ვინ იცის, რა ქვეტექ-სტების მატარებელია მის ენიგმურ პოეზიაში „ალვის ხის გა-დარჩენა“, „გადარჩენის ბედნიერება“, „გადარჩენის ჰიმნი“.

გიუის იარღიყით მონათვლა არ გამოუვიდათ, მაგრამ ლოთად მონათვლისთვის თვითონ იძლეოდა საპაპს, თუმცა

მის სულს „ცისფერი ღვინო“ (საღვთო სახელია) უფრო სწყუ-
როდა, ვიდრე ლოთების სათაყვანო ჭკუისამრევი სითხე:
„სტიროდა სული ცისფერ ღვინოებს, ღვინო ეძებდა სულ
სხვას პირიქით“...

ძნელია ითქვას, იყო თუ არა გადარჩენა მის მდგომერე-
ობაში ყოფნა, იქნებ გადარჩენის ალიბი იყო ლოთის ნიღაბი,
რათა „მხეცის“ ბრჭყალებში არ აღმოჩენილიყო.

ტერენტი გრანელის ცხოვრება და პოეზია შეშლილის,
გიუის, გადარეულის ცნებებით დაიდალა.

მაგრამ პოეტისთვის, უპირველესად, ეს ტერმინები ისე-
თი გაგებისაა, როგორც გალაკტიონთან, ანუ იგი აღმატებუ-
ლი გრძნობის, ქვეცნობიერსა თუ ზეცნობიერში მოარული
სულის მდგომარეობაა, არაჩვეულებრიობის (კარგი გაგებით)
ხაზგასასმელი ეპითეტია, ვინაიდან თვით შემოქმედება, პოე-
ტური პროცესია ჩვეულებრივი მდგომარეობისგან განსხვავე-
ბული, მიზიდან მოწყვეტის განცდა რომ ახლავს: „ეს გაგიუება
უცნაურია, ქარიშხალივით მოდის ოცნება, შეშლილ ხელებით
ვითამაშებ ბოქსის საპირებს, ეს გრძნობა ისევ საზღვარს გას-
ცილდა, იმ პლანეტაზე ფიქრი მიმდიმდა და გაგიუებას ველო-
დი ისევ, მიყვარს მე ხეტიალი შეშლილივით ქალაქში, ღმერ-
თო, ნუ შემშლი, ძალა მომეცი, ღმერთო, მე უკვე გავცილდი
საზღვარს, დამე, ვნებით შეშლილი, ყელზე გადამეხვია, შეშ-
ლილი ცრემლი, შეშლილივით სიცილი“...

„უცნობი სფინქსი“ თვითვე განმარტავს ამ უჩვეულო
მდგომარეობის მიზეზს: „თუ ვტოვებ გიუის შთაბეჭდილებას,
დაო, ეს მხოლოდ გრძნობის ბრალია“.

ეს „სიგიუე“ პოეტური განცდის და ხილვის უმაღლესი
ხარისხი იყო, წამიერი და სავალდებულო თითქოს: „თეთრი
ოცნება იდუმალია, ქარიშხალივით მოდის ოცნება, ახლა სიგი-
უე უფრო ვალია, ახლა მწყურია გამოცოცხლება“.

ერთგან ღმერთს ევედრება, დაიცვას ადამის ცოდვისა
და გაგიუებისგან: „ხელს მაღლა აგიშვებს ცოდვა ადამისა,

ღმერთო, გამაგიუე და შენვე დამიცავ“ („ლოცვა გაფრენის-თვის“).

პროფესორი სოსო სიგუა წერს: „თითქოს ტერენტი გრა-ნელზე ეთქვას გალაკტიონს: „მჯერა მე შენი ძმობა, შენი შეშ-ლილი ფერი“ (სოსო სიგუა, „ქართული მოდერნიზმი“, თბ. 2002, გვ. 177).

ალბათ, ეს შეშლილად მონათლულ ტ. გრანელთან დამე-გობრების წინათგრძნობაა. გალაკტიონს თავისი რჩეული პოე-ტის განსაკუთრებულობის მახასიათებლად „შეშლილი“ ესახე-ბოდა, თუმცა, მთავარია არა ლექსის ადრესატი, არამედ შეშ-ლილობის გაგება დადებით კონტექსტში.

მაგრამ ეს არის შემოქმედთა გადასახედიდან გაგებული „შეშლილობა“.

გიუ, შეშლილი თავის ოდიოზურ შინაარსს იძენდა ტო-ტალიტარულ საბჭოთა სახელმწიფოში და ამ სახელით ინათ-ლებოდნენ თავისუფლად მოაზროვნენი, სიმართლის მსახურ-ნი, ამ ავადმყოფობით „ავადდებოდნენ“ ხელისუფლებისათვის საშიში პიროვნებები და ამისთვის გამოიყენებოდნენ უპრინ-ციპო მეცნიერები, ხშირად, ამა ქვეყნის ძლიერთა ბოროტი სურვილების მსახურთ, პროფესორობა და აკადემიკოსობაც ებოძებოდათ ხოლმე.

ტერენტი გრანელი იმთავითვე გამოკვეთილ ოპოზიციო-ნერად მოევლინა ჭრელ დედაქალაქს, იგი სახალხოდ გამოხა-ტავდა თავის პროტესტს მედროვე-ჯალათებისადმი მომაკ-ვდინებელი სიტყვით, მუშტით, ჯოხით, არ ეპუებოდა უმაღ-ლესი ინსტანციის წარმომადგენლებსაც.

არა მარტო ლიტერატურულ წრეებში მოიხვეჭა სახელი, მისი შემოქმედებითა და პიროვნებით დაინტერესდა ლავრენ-ტი ბერია, რომელმაც პოეტს მოწონებით დაჰკრა მხარზე ხე-ლი, მაგრამ ტერენტი „ქანდაკებასავით“ იდგა „ღამესთან“, გული არ ატოკებია, მიხვდა, რომ ხელისუფლება მის მოშინა-ურებას, თავისი პოლიტიკის მხარდამჭერად ქცევას ცდილო-

და. გულგრილობა ბოროტეულთადმი, სატანისტების მხილება პოეტისთვის საბედისწეროდ დასრულდა.

რატომღაც ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ტერენტი გრანელის ლექსებში გამოვლენილი ეჭვები, მტრის შიში, სიკვდილისკენ მოწოდება, შავი აჩრდილის მოლანდება ჰალუცინაციებია და მეტი არაფერი. სამწუხაროდ, მის ნეგატიურ სახეებს (უღირსი თვალი, ყორანი, გველი, ყვავი, ფინია) თავისი ადრე-სატები ჰყავდათ, რომლებიც საშინელ ხვედრს უმზადებდნენ მოუთვინიერებელ პოეტს.

მსხვერპლზე საუბარიც არ არის შემთხვევითი, გარდა იმისა, რომ იგი პოეზიის, რწმენის მსხვერპლიც იყო, ავბედითი დროის ზვარაკადაც იქნა ქცეული: „ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი”...

ჯერ ჭორები მოედო „ტალახად“, ბედმა გარიყა, შერის-ხეს, პროვოკაციები მოუწყვეს, არ უბეჭდავდნენ, მისი ლიტერატურული საღამოების ჩაშლას ცდილობდნენ, პოეტის გენიალურ წიგნებს „შავ წიგნებად“ მოიხსენიებდნენ...

ციხე, დევნა, შევიწროება, სახელის გატეხა ერთ მიზანს ისახავდა: შენელებულიყო მის მიმართ ხალხის თაყვანისცემა, ყურადღება. ბოლოს „მემენტო მორის“ ავტორი ურჩებისათვის აპრობირებული მეთოდის სამიზნე გახდა, ეს იყო ყველაზე საშინელი რამ, რაც კი შეეძლოთ მოეფიქრებინათ ანტიქრისტეებს: „ქართველმა ხალხმა გიჟი მიწოდა, მზე მიდის გაღმა, ცის ხმა ისმოდა”...

პოეტი ხშირად საუბრობდა იმაზე, რომ მისთვის „გამართლების წამი დაფარული“ იყო, რომ მისი სევდა-მწუხარება მუდამ შეუცნობელი დარჩებოდა.

სამწუხაროდ, ამ (გიჟი) და სხვა მსგავსი ეპითეტებით (ავადმყოფი, ფსიქიურად დაავადებული, ფსიქიკაშერყეული, შეშლილი, გადარეული) მოიხსენიებოდა ხოლმე გენიოსი პოეტი, ათეული წლებით ხდებოდა ასეთი „დიაგნოზის“ გამეორება.

აუცილებელი იყო ამ საკითხის გადახედვა და ეს პრო-
ცესიც დაიწყო.

ბოლო ხანს გაჩნდა სრულიად მართებული და ანგარიშ-
გასაწევი მოსაზრება, რომ „ტერენტი გრანელი დაკარგავს
მძლავრი წინააღმდეგობის უნარს (საბჭოთა „სამჯურნალო“
დაწესებულებებში ხელოვნურად გამოწვეული სენის მიერ), ის
ნავა... ცხოვრებიდან... ფიზიკურად“.

„ბედისწერამ არ დაინდო ინტელექტუალური მეგობრო-
ბით დაკავშირებული ორი დიდი პოეტი – სერგეი ესენინი და
ტერენტი გრანელი. ერთმა თავი მოიკლა, მეორე დანებდა ხე-
ლოვნურად გაღრმავებულ ავადმყოფობას“ (ბექა ლაშეია-ხიბ-
ლელი, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1997, გვ. 10).

ამ პრობლემას სიღრმისეულად, დამაჯერებლობით აშუ-
ქებს მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე: „მოყურიდეთ“
ტერენტი გრანელის „ანტობა“ არ გამორჩენიათ და ხშირად
უქმნიდნენ უსაგნო წინაღობებს. ერთხელ რუსთაველის თეატ-
რში პოეზიის საღამო ჩაუშალეს, ცენზურა ყველა მის სტრი-
ქონს გაფაციცებული სიმკაცრით კითხულობდა.

...ოფიციალური კრიტიკა ხშირად თავს ესხმოდა, „უი-
დეო“, „ბნელეთის პოეტს“ უწოდებდა.

...1928 წელს... ჩეკამ დაამთავრა ურჩი პოეტის „ნელ
ცეცხლზე დაწვის“ ოპერაცია და სულით ავადმყოფის დიაგ-
ნოზიც დაუსვა.

„ასე აჯილდოებდნენ“ ხშირად ძნელად აღსაზრდელ შე-
მოქმედთ ბოლშევიკური იდეოლოგიური სამსახურის მუშაქე-
ბი.

განა თბილისში არ იყო სულით დავრდომილთა საავად-
მყოფო (სადაც ალექსანდრე ყაზბეგი გარდაიცვალა), მაგრამ
ტერენტი გრანელს სურამის სიგიჟის საგზური გამოუწერეს.

ჩანს, ჩეკას ჯურმულებში მიიჩნიეს, რომ მეამბოხე სუ-
ლის პოეტი დედაქალაქიდან რაც შეიძლება შორს უნდა ყო-
ფილიყო.

მაინც ვერ დააოცეს. ექვსი წელი „მკურნალობდნენ“ სუ-რამში და თითქმის ყოველ სამ-ოთხ თვეში გამოიპარებოდა. რედაქტორის ლექსებს ჩამოარიგებდა, მეგობრებს ინახულებდა, მამადავითზე ავარდებოდა. თავის სულიერ სავანეს – სა-საფლაოებს მოივლიდა, ამასობაში „აღმოაჩენდნენ“ და მკაცრ სანიტართა ეტაპით უკან, სურამში აბრუნებდნენ.

შერისხული კალმოსნისგან თავმობეზრებული ზოგი რე-დაქტორი ემალებოდა, ხელნაწერს უკარგავდნენ, ყალბი დაპი-რებით ისტუმრებდნენ. მთავრობას არ სამოვნებს მისი გვარის ხსენებაო და თანამედროვე პოეტთა ყველაზე გრძელ სიაშიც კი გამოტოვებდნენ ხოლმე „იდეური კრიტიკოსები“ (რევაზ მიშველაძე, ტერენტი გრანელი, თბ. 2004, გვ. 11-12).

სხვაგვარ მოაზროვნეთა „მკურნალობისათვის“ საბჭოთა კავშირში ხელისუფლების დავალებით აკადემიკოსებიც ირჯე-ბოდნენ, რასაც გვამცნობს რევაზ მიშველაძის ნოველები: „მკურნალი“, „მე ვარ“, „როდემდე?“.

უსამართლო სოციალურ საზოგადოებაში „თავისუფლე-ბისკენ სწრაფვა, უკეთეს შემთხვევაში უცნაურობად, სიგიჟედ ითვლებოდა. ფსიქიატრიული რეპრესიები საქმით განამტკი-ცებდა მასაში მოარულ ვერსიას იმის შესახებ, რომ ვინც აღი-მალებს ხმას სამართლიანობისა და თავისუფლებისათვის, სულით ავადმყოფია“ (ზვიად გამსახურდია, „დილემა კაცობ-რიობის წინაშე“, თბ. 1995, გვ. 49).

ტერენტი გრანელის ამოჩემებისა და გიუად გამოცხადე-ბისათვის მისი რელიგიურობა და პატრიოტიზმი იკმარებდა, რომ არაფერი ვთქვათ პოეტის პროტესტანტულ ბუნებაზე.

მოვიტანთ ერთ ძალზე დამახასიათებელ მაგალითს.

20-იან წლებში წალენჯიხის რაიკომს და ჩეკას დაუდგე-ნია სოფელ ჯვარის წმინდა გიორგის ეკლესიის დანგრევა, რაც გაუგონარი ბარბაროსული მეთოდებით მოუყვანიათ კი-დეც სისრულეში. ამ ვანდალიზმის მაყურებელი, ხალხთან ერ-თად, ყოფილა ტერენტი გრანელი, რომელიც ეკლესიის ეზო-

ში, დიდი ცაცხვის ქვეშ მდგარი, ამბობდა: „რას შვრებიან ცოდვის შვილები, ღმერთო, შეუნდე, ღმერთო უშველე ამ ცოდვილებს. ეს ტაძარი ჩვენ მამაპაპათა აფლით ნაგები სიწ-მინდეა, ეს ხომ ჩვენი მამაპაპათა ძვლებით გაპოხილი მიწაა. ღმერთო, შეუნდე, ღმერთო, უშველე ამ ცოდვილებს“.

ერთ მაუზერიანს უცვინა ტერენტი და მისკენ წასულა მუქარით, მაგრამ პოეტს სასწრაფოდ დაუტოვებია ეკლესის ეზო, ხოლო ვიღაც ჩეკისტს უთქვამს იქ მყოფთათვის: „გოგო-ებო, მაგ გიუ პოეტს ნუ უყურებთ, ეგ კაპიტალისტური გად-მონაშთია და არანორმალურია, გიუს ხომ არათერი მოეთხოვებაო“.

ამაზე ტერენტის დას – მაშოს უპასუხნია „სალახანა ჩე-კისტისთვის“: „გინაა გიუი, ტერენტი გრანელი თუ თქვენ, რომლებმაც, თუ იცით, დღეს რა ჩაიდინეთ? ამ საქმეს ნორ-მალური ადამიანები ჩაიდენდნენ?“

ჩეკისტი პარტიის, ლენინის, სტალინის მოთხოვნით ამართლებდა ამ ვანდალიზმს.

მაშო აკრიტიკებდა ლენინის, სტალინის პოლიტიკას, ჩვენი ქვეყნის გადათელვას, ოუპირებას მათი ნებართვით და ადგილობრივი მედროვეების მხარდაჭერით, ბოლოს ისევ ტე-რენტის სახელის გატეხვის მცდელობა ვერ მოითმინა და ვი-გინდარებს შეუტია: „ტერენტია გიუი და თქვენ ნორმალურები ხართ?“ პოეტი კი ეკლესის გალავანთან, წმინდა ნინოს ჯვართან იდგა და ხელაპყრობილი ლოცულობდა: „ღმერთო, შენ შეუნდე ცოდვილებს, ღმერთო შენ უშველე ამ ცოდვი-ლებს, ღმერთო, მოაშორე მათ სატანა და დაუბრუნე სიკე-თე!“.

როცა მაშოსთვის ერთ მეგობარ ქალს უკითხავს, ტე-რენტის ლექსები თუ გამოიცაო, მას უპასუხნია: „გამოიცა კი არა, როგორც პოეტს, ტერენტის კრძალავს დღევანდელი სა-ქართველოს მთავრობა, პესიმისტია, ფუტურისტია, ანტისაბ-ჭოთა პოეტია, გიუია და სულელიაო და რა ვიცი, რას არ აბ-რალებენ“ (სერგო უვანია, წითელი სატანა, მოგონება ტერენ-

ტი გრანელზე, ხელნაწერი გაგვაცნო ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილმა, პროფესორმა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელის პოეზიის გამოჩენილი მკვლევარი, შესანიშნავი დოკუმენტური მოთხრობების – „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ – ავტორი გივი ცქიტიშვილი ერთ-ერთი პირველი საუბრობდა ტერენტის „იძულებით მკურნალობაზე, რომელსაც საქართველოს საბჭოთა მწერლობის ფედერაციის თხოვნით თბილისის პოლიციის სამმართველო პერმანენტულად, თანაც მთელი სიმკაცრით ახორციელებდა“ (გივი ცქიტიშვილი, ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდილი თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა, გაზ. „ვერსია“, 5-11 ნოემბერი, 2001 წ.).

ტერენტი გრანელისთვის შეჩენილი „დამსმენთა კოპორტა... ჭორების გავრცელებით, ყოველდღიური დაცინვითა და ქილიკობით, აყალ-მაყალითა და ჩეუბით, ყოველმხრივ ავინროებდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ ყველასგან მიუსაფარ, სიცოცხლეგამნარებულ, უნაზესი სულის პოეტს...

მწერალთა კავშირიდან ქალაქში გავრცელდ ხმა, ტერენტი გაგიუდა და ის სამკურნალოდ ფსიქიატრიულში გაამწესეს... ყველაფერი ნათელი იყო. ამ ცნობამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა... დიდხანს, დიდხანს დავდიოდი აფორიაქებული, საკუთარ თავში ჩაკეტილი“, ნათქვამია კალე ბობოხიძის მოგონებაში ტერენტი გრანელზე (ხელნაწერი, მოგვაწოდა მამანტი როგავამ).

ტერენტი გრანელის მისამართით „შეშლილის“ ხსენება მხოლოდ გენიოსის გვერდით არის მართებული“. „გენიოსი და შეშლილი გრანელი“, წერს პოეტი მურმან ჯგუბურია („მომავალი კოსმოდრომების პოეტი“).

ტერენტი გრანელის უდიდესი მოამაგე, პოეტი, მკვლევარი, მთარგმნელი და ტერენტის რამდენიმე კრებულის რედაქტორ-გამომცემელი ლერი ალიმონაკი ამხელს ამ ცრუ ეპითეტის ავტორების უდიდეს უკულმართობას: „იმ კაცს, ვინც

მთელი განამებული წუთისოფელი სულის ხსნასა და სიწმინდეს შესწირა, სულის სნეულება დასწამეს“ (ჟურნალი „სარკე“, 2003, 26.III-I.IV).

ლერი აღიმონაკი სხვა დროსაც ნიღაბს ხდიდა ტ. გრანელის მთავარ მტერს – ბოლშევიკურ ტირანიას: „ბოლშევიკური რუტინა შანთითა და მახვილით დევნიდა ყოველივე სულიერს... ტ. გრანელს საზარელი განაჩენი გამოუტანა: მას გიუს ხალათი ჩააცვა! სურამში იძულებით გადასახლებულმა სასტიკი შეჩვენებისა და ამაოების 4 წელი განვლო“ (ლერი აღიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1998, გვ. 119).

ჟურნალ „სარკეში“; (2003, 26. III-I.IV) ირინე მჭედლიძე საუბრობს იმაზე, რომ ტერენტი გრანელს, რომელსაც ლამის გასათვევიც არ ჰქონდა, „მწერალთა კავშირში მოკალათებული პროლეტარი მწერლები სიცოცხლეს უმნარებდნენ, ცილს სწამებდნენ, დასცინოდნენ, შეშლილს უწოდებდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ მართლაც შეშლილისთვის დაემსგავსებინათ“.

ანალოგიურ მოსაზრებას ავითარებს პოეტი თამაზ ფიფია: „ო, მოძალადე, ტლანქი, უხეში, მიბნელებს დიდი ცხოვრების რიურაჟს, ამრიგად ჩავრჩი ბედის კუთხეში და გენიოსი მომნათლეს გიუად“ (თამაზ ფიფია, არც სიცოცხლე მსურს და არც სიკვდილი, „მწერლის გაზეთი“, 10-16 სექტემბერი, 2002 წ.).

ტერენტი გრანელისადმი უდიდეს მოწინებას გამოხატავდნენ თავიანთ ლექსებში ზვიად გამსახურდია („მარტოობა“), მერაბ კოსტავა („გალაკტიონი“).

თითქოს წინასწარმეტყველური გამოდგა „ცისფერყანწელი“ ვალერიან გაფრინდაშვილის მიერ მართალი პოეტის კარიერად სიგიჟის, ჭლექის, ალკოჰოლის და თვითმკვლელობის გამოცხადება: „მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა. მის-თვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა სიგიჟე, ჭლექი, ალკოგოლი და თვითმკვლელობა! სიკვდილი იყოს ამ დუელში შავ

ბარიერად!“ („ბოჭემის მონოლოგი“, ერთტომეული, 1990, გვ. 117-118).

საოცარი, წინასწარმეტყველური სიტყვები დაწერა ტე-რენტის მეგობარმა კონნე სპერელმა (კონსტანტინე გაჩეჩილაძემ): „პარადოქსები ამოგინვავს განაწამებ ტვინს, – კითხვა კითხვაზე დაგირჩება და მოქანცული ბოლოს დაიდგამ მედი-დურად გიუსის თეთრ გვირგვინს“ („თეთრი გვირგვინოსანი“, მარინე ქადაგიძის წიგნიდან „სივრცეში დარჩენილი ფრაზები“, თბ. 2003, გვ. 57).

სამწუხაროდ, ბევრს წერენ ნაძალადევი მკურნალობით გაუსახურებული პოეტის პორტრეტზე, ჩატმულობაზე, მაგრამ ნაკლები ყურადღება ექცევა მისი ზეშთაგონებული სახის მო-გონებას. აი, როგორ დამახსოვრებია ტერენტი გრანელი მის მეგობარს ალექსანდრე სიგუას: „მხატვრების ყურადღება მინ-და წამიერად ისევ მივაპყრო ღვთისმშობლის ალერსიანი მზე-რით განსპეციალული პოეტის ნათელ სახეს, სადაც ფარული სიმშევიდის ფონზე აღბეჭდილია ჭეშმარიტი პოეტისა და ძლე-ვამოსილი მუზის ერთიანობა და უსასრულო ჭიდილი. პოეტის სახეს და მის სპეციაკ სულს მუდამ თან სდევს სამშობლოს ბე-დუკულმართობით გამოწვეული სევდა“... („ცისფერი სიმორე“, თბ. 1997, გვ.).

ან რა საოცრად მიგნებულია თვით ტერენტის მიერ სა-კუთარი სახის გაბრწყინებულ ეკლესიასთან, მისი გუმბათის ელვარებასთან შედარება: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია“, „მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს“.

ყურადღებას ამახვილებენ მის „საოცარ, ზეციურ ემბა-ზით განელებულ ღიმილზე“ (ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 204).

ან რად ღირს ლერი ალიმონაკის მიერ წარმოსახული ტერენტი გრანელის არამინიერი წმინდანის პორტრეტი: „ეკ-

ლესიაში ღმერთის, ანგელოზების, წმინდა გიორგის ფრესკებს მიჩერებული ტერენტი თავადაც ფრესკას მოჰვავს, ოქროსფერი კულულებითა და ცისფერი თვალებით, საიდანაც შეფარული სევდა გამოკრთის. ანთებულ სახეს სანთლებიდან დაფრქვეული სინათლე უცისკროვნებს, აკვირდება ჩაფერფლილ სანთლებს... და ფითრდება, ფითრდება.... ეკლესიიდან მოპრუნებულს, თოვლის სითეთრე უფრო უცისფერებს თვალებს და ეს თვალები მეტყველებენ, მათ პატრონს ცისმიღმიერი სამყაროს ხილვა რომ სწადია“ (ლერი ალიმონაკი, „კვირის წირვები“, თბ. 1984, გვ. 33).

ეს სახე, მის არსებაში ჩაბუდებული ამაყი და მართალი სული უკარგავდა მოსვენებას ჯალათებს და ყველაფერი გააკეთეს მისი გაუსახურებისათვის, მაგრამ გადაიარეს ეპოქის ღრუბელ-ქარებმა და მაინც გადარჩა მთავარი, მაინც განათდა ნისლითა და დარდით დაბინდული ღვთაებრივი მზერა, ღვთაებრივი სული.

„გადარჩება?“ – ექიმებს ეკითხება ზოზია...“ ტერენტის ამ სიკვდილისწინა განცდების გამომხატველი ლექსის მთავარი კითხვის პასუხი დადებითია.

დიახ! გადარჩა უნიჭიერესი პოეტის სული, მისი პირველხარისხოვანი ლირიკა: „სული გაფრინდა ცისკენ, სხეული დარჩა მინას“...

ზემოარიტების მაპიეპელი მგზავრი

პოეზია, მწერლობა მოგზაურობაა, ხეტიალი, დაუსრულებელი მოხილვა სულის, გულის, დაფარული სიხარულისა თუ ტკივილების, ცნობიერ თუ ქვეცნობიერ სივრცეთა საიდუმლოებებში დაუსრულებელი ხეტიალი.

ამიტომაც პოეტი არის მოგზაური, მეზღვაური, მარადი მგზავრი, ცის და მიწის ჭეშმარიტების დაუცხრომელი მაძიებელი.

შარლ ბოდლერის „მიპატიუება სამოგზაუროდ“ იდუმალი ოცნების სამყაროს შესაცნობად გაიზნული სვლაა სულის უხილავ ლაპირინთებში.

გალაკტიონის ბედისწერაა „უგზო ხეტიალი“, მოგზაურობა ადამიანის სულსა, წარმოსახვებსა და ოცნებებში: „გული კი გზაა და მოგზაური“.

პოეტი მყუდრო ლამეში მოხეტიალე ბედუინია და მის ხილვებშია მარადიული სილამაზე: „მყუდრო ლამეში მოხეტიალე ბედუინს სიზმრად მინახავს მხარე, სადაც მუდმივი, დაუჭქნობელი სილამაზეა და სინარნარე“ (ცად აზიდულა, ვით მარმარილო) (1,37).

გალაკტიონის პოეზიაში მთელი ციკლია რეალური თუ ფანტასტიკური გემების, ნავების, ხომალდების, კრეისერების.

პოეტთა შეჯიბრებაზე გალაკტიონი ხან ნავით, ხან „ლურჯა ცხენებით“ ცხადდება, პარნასზე – მერნით: „არ და-ქანცულა ჩემი მერანი, პარნასისაკენ წავა ტივტივით“, უკვდა-ვებისკენ ნავით მივქრივარ ისე, ვით წინათ მივქროდი მერ-ნით“ – ასე ენაცვლება ერთმანეთს სულის სხვადასხვა „ტრან-სპორტი“.

ეს ფეერიული ნავები მოგზაურობენ ოცნების ზღვაში, განახლების ზღვაში, ახალ ღელვათა ზღვაში, ვეძრების ზღვა-ში, სიბრძნის ზღვაში, ფიქრთა ოკეანეში, ანუ საკუთარ უკი-დეგანო სულში ჩამალული სიტყვის ოქრო-მარგალიტთა მოსა-ხელთებლად.

გალაკტიონის სული უსახლოა: „სულს არ სჩვევია ნავ-თსაყუდარი“. მისი გზა არსთაგანგრიგეს განუსაზღვრავს: „მოვიარე მინის კალთა, თან დამდევდა ბედისწერა ჩემთა უგ-ზო ხეტიალთა“.

პოეტის სული დაჰქრის აგასფერის ხომალდივით, კი-დობნის (კიდობანი მარიამის სიმბოლოა) თანხლებით, უამინ-დობაში, ქარში (მეოცნებებ აფრებით).

„აგასფერი (მეფე, მეუფე ქსერქსეს ებრაული სახელშო-დებაა) ქრისტეს ჯვარცმის მისტერიის მაყურებელია. შუა სა-
66

უკუნეებში შექმნილი ლეგენდის მიხედვით, აგასფერი არ და-ემარა ქრისტეს გოლგოთის გზაზე ჯვრის ზიდვაში და ამი-ტომ განწირულია, რომ მარადიულად იხეტიალოს დედამიწა-ზე“ (2,612).

გალაკტიონის ოცნების ხომალდი მიემართებოდა იქ, „სადაც მთელი მსოფლიოს პრეზინავს ვარსკვლავი“.

პოეტების მეფის დევიზი იყო სვლა „ქარის პირდაპირ“ და არა დინების მხარეს, მიზანი – სიტყვის ოქროს საბადოს პოვნა: „უნდა იპოვო ის კლონდაიკი, იმ ნაპირს უნდა მიადგეს ნავი“.

ქარიშხლებთან შეჭიდებული პოეტი მეზღვაურის მიზანი იყო სულის რუკაზე ახალი კამჩატკის აღმოჩენა: „იქნებ გა-მოჩნდეს სადმე კამჩატკა, რუქაზე არსად არალნიშნული (918) (3,268).

მიზანი იყო პოვნა, აღმოჩენა, გამოგონება სრულად ახ-ლის“, შეუცნობის, სვლა უცნობი გზებით, როგორც შეჰვერის ნოვატორს, რეფორმატორს.

პოეტს „გამბედაობის დიდი გენია“ ამშვერებდა და „ჩარ-ჩოს გადაცდენის“, ასტრალებში მოგზაურობის შესაძლებლო-ბას აძლევდა, უდაბნოში, ურნმუნო ადგილებში რწმენა შეჰ-ქონდა, სილაჟვარდეში ნავარდობდა (გრძნობა, რომელიც და-კარგულია).

„ფანტაზის მერანზე მჯდარი ყველგან იმოგზაურებ“, ამბობდა პოეტებს მეფე და ქარში მოცარტივით მიდიოდა „გულში სიმღერის მსუბუქ ზვირთებით“ (შერიგება) (1,58).

ხან მყინვარის თავზე ტოვებდა თავისი ობლობის ფაქსი-მილეს: „მყინვარის თოვლით მოსილ ყინულზე ობლობის სიტ-ყვა მგზავრმა დაწერა“ (სიტყვა პოეტის) (4,121).

მოხეტიალე „ბედუინის სიზმარი“ გარდატეხის, ქართუ-ლი პოეზიის ფერისცვალებას გვამცნობდა: „ტკბილ სიზმრებ-ში მე მომესმის გარდატეხათ ხეტიალი“ (მაღალ გზაზე).

მისი იდუმალებით სავსე, ენიგმებით მომაჯადოებელ ლექსში შეუჩერებლად, ზევით თუ სამარეში დაქრიან ლურჯა ცხენები: „მხოლოდ ნისლის თარეშში, სამუდამო მხარეში, წევით თუ სამარეში წყევლით შენაჩვენები, როგორც ზღვის ხეტიალი, როგორც ბედის ტრიალი ჩქარი გრგვინვა-გრიალით ქრიან ლურჯა ცხეგნები“ (ლურჯა ცხენები) (3,65).

გალაკტიონის ბიოგრაფიისადმი მიძღვნილი წიგნის – „უცნობის“ ავტორი ვახტანგ ჯავახაძე ხაზს უსვამს გალაკტიონისა და ფიროსმანის განსაკუთრებულ სიყვარულს ხეტიალისადმი (უცნობი) (5,218,227,229,240).

ტერენტი გრანელი და გალაკტიონი ხეტიალითაც ჰგვანდნენ ერთმანეთს: „ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბალებში“, ხაზს უსვამდა „მემენტო მორის“ ავტორი ამ ერთნაირ თვისებას.

გალაკტიონი იყო „სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი“, ტერენტი გრანელი – „მოღლილი მგზავრი“. მას თავისებური „ტრანსპორტი“ ჰქონდა: „მსურს გაქანება და მინდა ეტლი“, „გლოვის აზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა“.

ხშირად კი „ხომალდით“ მოგზაურობდა, გრიგალის თანხლებით: „გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს“ (ეს დღე)(6,224), ხან „ფიქრის ნავები“ მიაფრენდა ცაში: „ისევ გამოჩნდნენ ფიქრის ნავები“... ხან ცას უვლიდა მისი სული „ცრემლიან რაშით“ და ვერ იგუებოდა ნალებს: „წითელი რაში ანიავებს მენამულ ნალებს“ (სონეტი) (7,260).

ტერენტი გრანელის ბედისწერა იყო ხეტიალი: „მე ვადიდებდი ქუჩას, ხეტიალს, მიყვარს მე ხეტიალი შეშლილივით ქალაქში, ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის, მაღლა გაფრენა მე მოვინდომე, რადგან მიწაზე სული არ იცდის, შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ, ახლა ბინა მაქვს საუკეთესო და მაინც მინდა მე ხეტიალი, ღმერთო, მაპატიე უქმად ხეტიალი“...

პოეტის სული მიწაზე მაღლდებოდა, შორ და წმინდა

გზას უახლოვდებოდა, ღმერთის ხილვის სურვილი არ ასვენებდა: „ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები, ეს ცრემლი კმარა – რისთვის არ ვქრები“ (შარა).

ტერენტი გრანელის გზა დაიწყო პროვინციიდან, მაგრამ მერე შორ გზებს, შორ პლანეტებს გასქეროდა და ეს იყო პოეტის სულის გზა, სწორი და წმინდა გზა: „ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა შორი. ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი“.

„სხვებიც ფიქრობდნენ შორეულ გზაზე“, ტერენტი გრანელი კი შორეულ გზას, სწორ გზას სულის თვალით ხედავდა.

„მემენტო მორის“ ავტორის პოეზიაში გვხვდება აგრეთვე „სამზადისი“ შორეული მგზავრობისთვის, როგორც გალაკტიონთან „მზადება გასამგზავრებლად“. ეს იყო მზადება მარადიულ, მიღმურ სამყაროში დამკვიდრებისათვის.

„სხვა ზარები“ „მიუსავლეთში“ გამგზავრების სამზადისის გარდუვალობას ამცნობდა ტერენტი გრანელს.

გალაკტიონს ამ მგზავრობაში მფარველი ანგელოზი ჰყავდა (მფარველი იალქნები), ტერენტი გრანელს – ქრისტი, სერაფიმი.

ანტიკურ ეპოქაში, შუასაუკუნეებში ხეტიალი აუცილებელი იყო ინიციაციის მისაღწევად: „მოგზაურობა, ხეტიალი ანტიკურ და შუასაუკუნეობრივ პოემებში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონისა, ოდისევსისა, ენეასისა, შუა საუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანების პერნონაჟებისა“, წერს ზვიად გამსახურდია (8, 304).

„ჰაერით მოგზაურობა“ იწვევს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“ (იქვე).

გალაკტიონი და ტერენტი გრანელი ცაში ფრენდნენ სულით, ჰაერით მოგზაურობდნენ, მათი ასტრალური ორეული ცის სივრცეებს, დედამიწის კიდეებს, პოლუსებს, პლანეტებს ზვერავდა.

ცნობილი მხატვრისა და მწერლის რეზო ადამიას აზ-რით, ტერენტი გრანელს ახასიათებდა „საოცარი და ჩვენ-თვის ჩაუწერომელი კოსმიური წრიალი და სივრცეში ურთუ-ლესი მოგზაურობა. მგოსანმა თავისი შემოქმედებითი ცხოვ-რება საკუთარ აპობოქტებულ სულში კოსმიური მოგზაურო-ბით განვლო... ცეცხლმოკიდებული მეტეორივით გადაუქრო-ლა სიკვდილ-სიცოცხლის პლანეტას და სივრცის და დროის უსასრულობას გაუმოტლიანდა. ძალიან მოკლე იყო პოეტის მწარე და ტანჯული სტუმრიანობა დედამიწაზე“ (რეზო ადა-მია) (9,89,94).

რეზო ადამიას აზრით, „ტერენტის საფლავის გარემოში კოსმიური მოძრაობაა, აწრიალებული, აწენილი სულიერი უკ-მარისობაა, მგოსნის სულის უსასრულო ძიებითი ხეტიალია... მისი ქვითკირად ქცეული ქვლები დღენიადაგ ელოდება იმ ტრიუმფალურ სიმაღლეს და პოეზიის ანგელოზთა სავანეს, რომელსაც ჰქვია „ქართული მთაწმინდა“, სული მისი გაფრინ-დება იქ, რომელი ცის უსასრულობისკენ თავად ოცნებობდა. მერმე დაიწყება კოსმიურ სივრცეში მგოსნის პლანეტებს შუა უწყვეტი თანამგზავრობა და მარადიულად ლექსთ მოფენა.

„შუალამისას, ვარსკვლავები რიგრიგად ჩამობრძანებუ-ლან ზეციდან მიწამდე: ია—იებად ქცეული ტერენტის სული კონებად დაუკრეფიათ და ზეცად აუტაცნიათ, ყოველ ვარ-სკვლავიან უმთვარო ლამეს ასე მეორდებაო უსასრულოდ“ (9,106-107).

„შორს მიჰქრის მოუსვენარი“, გვამცნობს ტერენტი გრა-ნელი ლექსში „თბილისი მაღლიდან“ (6,168).

მუსიკა იყო მისი იდეალი, რაც ახალ იმედებს უღვიძებ-და: „იქ მივალ, სადაც მუსიკა უკრავს, სადაც ცხოვრობენ სხვა იმედები“ (მივყვები მარტო ამნაირ იღბალს) (6, 181).

„ჩემი ფიქრები ზეცას უვლიან“, წერდა პოეტი (ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი) (6,137).

ზეციური სიწმინდის განმცდელს, დედამიწის უკეთურობა ეუცხოებოდა: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნების ზეცას მოვიარ“ (უმიზნო ხეტიალი) (6, 140-141).

იზიდავდა „სიშორის ცეცხლი“ (ლმერთი), ცისკენ გაფრენა, უხილავი მხარე, სხვა პლანეტები (ექსკურსია ცისკენ) (6,135).

„მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაშვარდს“, წერდა „მარადისობის ლაშვარდებში“ (6,126).

„სულს ლაშვარდოვან ცისკენ ვაგზავნი“, აცხადებდა ციური ჰარმონიის მაძიებელი პოეტი (6, 115).

ელტვოდა არა საღამოს, არამედ „ცისფერ ლამეს“ – ლმერთს (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (6, 141).

პოეტის იდიალი იყო „ცისფერი საღამო“ (ახლა საღამო ხომ ცისფერია) (6,98).

„ცისფერი ზმანება“, ცისფერი ხილვები აემგზავრებოდა (სიჩუმე და სიმარტოვე) (6,123).

„ლანდების ასეული“ იყო სულში დავანებული (ფარული ვედრება) (6,34).

ამ ხეტიალში ეძებდა „მესამე გზას“ – მარადისობას (დიღა მთაზე) (6,177).

პოეტისთვის ორგანული იყო „ექსკურსია ცისკენ“ (6, 136).

„ცისფერი ლამის“ ძიება იყო მთავარი ორიენტირი (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (6, 141).

„შორს დაპქრის სული დაუცხრომელი“, წერდა შორეული სამყაროსკენ მიმსწრაფი (ისევ შორეულ საგანს ვითვისებ) (6,160).

„მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება“, ნათქვამია „სონეტში“ (6,260).

„პლანეტებზე ფიქრი“ არ შორდებოდა (ექსკურსია ცისკენ) (6,135).

ესმოდა კოსმიური რიტმი, საგნების მუსიკა, რაც „სხვა იმედებს“ აღუძრავდა (მივყვები მარტო ამნაირ იღბალს) (6, 181).

ზეციურ ჰარმონიას ნაზიარებს, დედამიწის უსამართლობა აღაშფოთებდა: „...შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“ (უმიზნო ხეტიალი) (6,140-141).

ტერენტი გრანელმა სულით იმოგზაურა ხმელეთზე, ზღვაზე, უდაბნოში. მიღმურ სამყაროში, ცათა ცაში, კოსმოსში, ჰიმალაის მთებში, წმინდა სულების სავანეში – შამბალაში.

„ტერენტი გრანელის მრავალნახნაგოვანი სული მხოლოდ და მხოლოდ იმით იყო ბედნიერი, რომ მგოსანმა უფლის დონეზე წმინდანად იმოგზაურა და მოგზაურობს პოეზიის კოსმიურ სივრცეში“ (რეზო ადამია) (9,48).

დამოწმებანი

1. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ. 2014
2. ლეო ტაქსილის სახალისო სახარება, აკაკი გელოვანის შენიშვნები, თბ. 1984
3. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
4. გალაკტიონ ტაბიძე ხუთ ტომად, ტ.I, თბ. 1993
5. ვახტანგ ჯავახაძე, „უცნობი“, „ნაკადული“, თბ. 1991
6. ტერენტი გრანელი ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
7. ტერენტი გრანელი, თბ. 2011

- ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, თბ. 1991
- რეზო ადამია, „სისხლიდან ცრემლი“, „ინტელექტი“, თბ. 2008

შერისხული

სოციალიზმის აპოლოგეტები და ხელისუფლების დაქირავებული კალმოსნები საბჭოთა სამოთხის იდეას ქადაგებდნენ, ღმერთს გმობდნენ და მის ადგილს ტირან დიქტატორებს უმკვიდრებდნენ. „ბედნიერ ეპოქაში“ სევდა, წუხილი, ტირილი ყოვლად გაუმართლებლად მიიჩნეოდა, პესიმიზმად ინათლებოდა, პესიმიზმი კი არსებულით უკმაყოფილების გამოხატულებად და პოლიტიკურ ბრალდებად იქცეოდა. საბჭოთა ადამიანებს მხოლოდ ლენინის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარების გამოხატვის ნება ეძლეოდათ, ტირილის უფლება მხოლოდ სასაფლაოზე შეეძლოთ გამოეყენებინათ, მათი „ტრიბუნა“, შეკრების „თავისუფალი ადგილი“ იყო მხოლოდ „მკვდრების განსასვენებელი ბინა“, ხმის ამოღების, ტირილის შემთხვევის დრო დგებოდა მაშინ, როცა წინ ედოთ „გაცივებული გვამი“ (გალაკტიონ ტაბიძე, მიმავალი საქართველო).

„ჯოჯოხეთურ სამოთხეში“ შემთხვევით როდი ელანდებოდა სასაფლაო ჩვენს რჩეულ ინტელიგენციას, მწერლობას. მიხეილ ჯავახიშვილი სასაფლაოს ბინადარს უწოდებდა თავის თავს, ირგვლივ მხოლოდ ვაება და კაეშანი იყო გამეფებული. ტერენტი გრანელი გლოვობდა მკვდარ (თავისუფლებადაკარგულ) სამშობლოს, ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დაჭრილებს, რომლებიც ცოცხლად დაემარხათ.

ლენინისადმი მიწერილ წერილში კონსტანტინე გამსახურდია ამხელდა რუსეთის იმპერიულ ამბიციებს, მკვდელებს, ერთი დედის საშოდან გამოსულებს უწოდებდა დოსტოევსკის რასკოლნიკოვს და რევოლუციის მესაჭეს. აპოკა-

ლიფსურ მხეცებთან ბრძოლის შედეგი იყო ლუბლიანასა და ბუტირკის ციხეები მოსკოვში, მერე სოლოვსკის კუნძულებზე მწერლის გადასახლება, საიდანაც ცოცხალი ვერ ბრუნდებოდნენ.

მიხეილ ჯავახიშვილი და ტიციან ტაბიძე „ხალხის მტრების“ იარღიაყმიკერებულები გაანადგურეს, პაოლო იაშვილმა ვერ გაუძლო მის წინააღმდეგ მიმართულ ცილისმწამებლურ პოლიტიკურ კამპანიას და პროტესტის ნიშნად მწერალთა კავშირში მოიკლა თავი.

გალაკტიონ ტაბიძე დააპატიმრეს პოემა „მოგონებების“ გამო, მეუღლე ორჯერ გადაუსახლეს, მუდმივი გულგრილობით, დევნით ხსნა ღვინოში აძებნინეს, საბოლოოდ კი თვითმკვლელობამდე მიიყვანეს, რაც მკვლელობის ტოლფასი იყო.

გრიგოლ რობაქიძე გარდაუვალ რეპრესიას უცხოეთში გაექცა.

არაპრესტიულ თემად ითვლებოდა სამშობლოზე წერა, პოლიტიკურ დეზერტირობად – ფილოსოფიური პრობლემებით გატაცება, სიმართლის სიყვარული და დიდი ნიჭი – რეპრესიების საბაბად.

„უკეთესია ყაჩაღი იყვე, ვიდრე პოეტი... სილარიბე – ლიტერატურული კატორლა“ – აღმოხდა გალაკტიონს.

„და ყაჩაღივით სადმე დავიმალები ტყეში“, „სილატაკე... პატარა ჯვარცმა“ – აფიქსირებდა გაუძლის ყოფას ტერენტი გრანელი.

„მემენტო მორის“ ავტორს კარგა ხანს იუდას ამბორით ხვდებოდა ლავრენტი ბერია, მოსათვინიერებელ ქამანდს ეს-როდა, მაგრამ რაკი ვერ გადაიბირეს, დევნა-შევიწროებით, რისხვით, ციხით აშინებდნენ, საბოლოოდ კი მის თაყვანის-მცემლებს გიჟის ხალათგადაცმული მოუვლინეს, რათა ჭეშმარიტი პოეტის სიტყვას მკითხველზე ზემოქმედების ძალა დაეკარგა.

შემოქმედებით ტკივილებთან ერთად, ტერენტი გრანების ცხოვრებას გაუძლისს ხდიდა პოეტის თანამედროვეობა:

„გული წამებას მისდევს და უიმედო დღეა, ო, ეს დროა ჩემი მკვლელი, ცხოვრება ისევ წამება გახდა, რა ვქნა, დროა ამნა-ირი წვალების, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის, საშინელია ეს ატმოსფერო, ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი“...

შიში ანამებდა ნამდვილი მტრებით გარშემორტყმულს: „შუალამეა, მტერს ველოდები და ჩემს ოთახში შიშით ვკანკა-ლებ, მტერია ირგვლივ და ისევ მტრობა, მას შემდეგ მტერმა სისხლი დალია, თითქოს ქვეყანა ჩემი მტერია, შორს მაფასე-ბენ, ახლო მტერია, უფრო შურია და უფრო მტრობა, გარშე-მო დგანან ურიცხვი მტრები“...

ბოროტებამოძალებულ საუკუნეში კაენი ზეობდა და პო-ეტს აბელის სისხლი არ ასვენებდა: „სისხლი აბელის, გლოვა დანებთან, ისევ წამება და ავი სახე, წამილებს ზარით მე ნო-ემბერი“.

პოეტი იყო „ლამეების მიერ გადამწვარი“, „შავი დროე-ბის“ ბინადარი, უამინდობით დამძიმებული და დაღუპვის მომლოდინე. მისი გზა იყო „ეკლის გზა, ქარის გზა“...

„ვიღაცას უნდა დამასამაროს, მე ვიღაც მებრძვის და ვიღაც მჩაგრავს“ – ეს სიტყვები იყო რეალური ვითარების ანარეკლი და „ვიღაც“ იყო ხელისუფლება, რომელიც მებრძო-ლი პოეტის წინააღმდეგ გეშავდა შურიან, ხელმოცარულ კალ-მოსნებს.

სატანისტები ტერენტი გრანელს სასიკვდილოდ იმეტებ-დნენ: „მომკლეს და მეტი არ შემიძლია, მგონია, ეს დრო სიკ-ვდილს მავალებს, ალბათ დამეძებს ბოროტი ხელი, ღამე სწოვს, როგორც აფთარი სულს, ლექსებში დამარხულს, ეს დღე არყოფნას უდრის, სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა“...

არც ეს სტრიქონებია ჰალუცინაციების შედეგი: „ველო-დები მე დაღუპვას მაღე, ველი უცებ გამოსროლილ ტყვიას“, „და შემეშინდა მოკვლის მე წუხელ, შუალამეზე“...

მტერი, ლალატი, შური ასაზრდოებდა შიშს, შიში მარტოობის, ადამიანების, სოფლის, დედამიწის – ძალზე ორგანული გამხდარიყო პოეტისთვის.

უმწეო, დაუცველი, ფაქიზი სულის ადამიანთან ბრძოლის მრავალ ხერსს ფლობდა იარაღით, ბოროტება-შეუბრა-ლებლობით ალჭურვილი ხელისუფლება, რომელთაგან ერთ-ერთი იყო ჭორები, ტალახის სროლასავით მძიმე: „ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად, მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება, და მე ცხოვრება სახელს მიფუჭებს, სანამ-ლავია ჩემთვის ეს ხანა”.

უადამიანო სივრცეში ეძებდნენ ხსნას გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ტერენტი გრანელი, გაურბოდნენ „ნილბიან“ ინტელიგენციას.

სამივეს ერთნაირად ყვარებიათ ადამიანებზე ერთგული ძალები.

გალაკტიონმა რესტორანში შემოხეტებული ძალლი „მე-გობრად“ მოიხსენია და მისი სადლეგრძელო დალია, კონსტანტინე გამსახურდია დაჭერის შიშით ღამე ტყეში დაეხეტებოდა თავის ერთგულ ძალლთან – გერისთან და მისი სიახლოვით იქარვებდა განსაცდელის მოლოდინს, მარტოობის სევდას.

საზოგადოებისგან გარიყული ტერენტი გრანელი ძალლისგან უფრო მეტ სითბოს გრძნობდა, ვიდრე ადამიანების-გან: „....როს დალამდება, მოხუცი ჯეკი მეგობარივით დაწვება ახლოს. ეს ძალლი ხმირად კაცი მგონია, ალბათ, მას ტანჯავს ფიქრების წყება. ჯეკი ძლიერი ხმის პატრონია, სდუმს, უმიზეზოდ არ იცის ყეფა... ბედნიერ დღეებს იგი არ ელის, ალბათ სიხარულს გრძნობს გიტარაში. ახლა ჯეკია ჩემი მფარველი, ახლა ჯეკია ჩემი დარაჯი”...

კონსტანტინეს ჰყვარებია იადონები, კანარის ჩიტი, მიმინო, გალაკტიონს – მტრედი, მიმინო, ტერენტის – ხიდან ხეზე გადაფრენილი ჩიტი, ზვად გამსახურდიას გროზნოში ფანჯარასთან შემოჩვეული ჩიტი, რომელსაც საკენკს უყრიდა

და ეკითხებოდა – ჩიტო, საქართველოდან რა ამბავი მომიტანეო...

ტერენტისთვის ორგანული იყო ყარაის ველზე შენიშნულ მწვანე ფრინველებთან „მეგობრული და სულიერი კავშირი“. ყვავთან სიახლოვესაც არ გაურბოდა: „’ახლა ეს ყვავი ჩემთან ახლოა, ახლა ეს ყვავი კაცივით დადის“.

აღსარებას ეუბნებოდა „ძვირფას ხეს“, ოთახის კედლებს, ლოდებს, რადგან იყო დევნილი: „შორს ელავს მთვარე, მე ვარ დევნილი. თბილისო, გარეთ ვარ დარჩენილი“.

თვითონვე გაურბოდა კორიანტელს, დამამცირებელ გარემოს, მეშჩანობას: „...აპა, მოვშორდი იმ ატმოსფეროს, ძვირფასო, სადაც მე მამცირებდნენ... აპა, მოვშორდი იმ მეშჩანობას, რომლის გარშემო მე მოვემწყვდიე“.

უკეთურებთან დაპირისპირებულს, სკანდალიც მოუხდენია და პატიმრობაც უწვევია, თუმცა ისედაც გალიად, საპყრობილედ, ციხედ აღიქვამდა მიწიერ ცხოვრებას: „ეს ციხე ჩემთვის რა საჭიროა, როცა ეს მიწა ჩემთვის ციხეა“.

უდაბნოს, ჯოჯოხეთის ბინადრად წარმოიდგენდა თავს. ციხე, სხვისი ნესტიანი ოთახი, ბაღებში, მთებში, სასაფლაოებზე, ტყეში ხეტიალი, სანაგვე, ყუთში ძილი არგუნა ბედმა ტ. გრანელს, „მკვდარი საქართველოს“ (თავისუფლებადაკარგული სამშობლოს) ჭირისუფლობა, ქრისტეს სისხლიანი ბედი, ბოროტ თანამდევთა, დამსმენ-მოლალატეთა, უსახურთა ხროვის გარემოცვაში ყოფნა, ავი თვალი, ულირსი თვალი, ჯაშუშთა თვალთვალი, გველის, იუდას, ყაჩალების, კაენის, მხეცთა ნაშიერების რისხვა.

მთელი ეპოქის რჩეულ ინტელექტუალთა სატკივარია გამოხატული ამ სტრიქონებში: „...ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა, ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა და მე ამნაირ ცხოვრებისგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას“.

ეს ლექსი შთაუგონებია ბერიას რისხვას.

პოეტის თანამედროვეობის სულიერ მედროშეთა სათქმელს იტევს ეს განაცხადი: „ვნატრობ სხვა სიურცეს და უცხო ქალაქს, საწამლავია ჩემთვის ეს ხანა“.

პოეტ კალე ბობოხიძის მოგონებით, „ამა ქვეყნის ძლიერნი... დამქამთა და დამსმენთა რაზმებით გაბედულად და აქტიურად მოქმედებდნენ“...

„ჩვენს გარშემო მძიმე რკინის კედლები სამეთვალყურეო კოშკებითურთ, თანდათან წრეს კრავდა, თავისუფალი სუნთქვისა და აზროვნების მძიმე პირობებს ქმნიდა... შიში და უნდობლობა ჩვენი მუდმივი თანამგზავრი გახდა... მწერალთა კავშირი სამეთვალყურეო ციტადელად იქცა... მთავრობა უკვე ყოველ ნაბიჯს აკონტროლებდა და დირექტივების რელსებზე გადაჰყავდა მთელი კავშირის მუშაობა“.

„ტერენტი გრანელსაც ჰყავდა შეჩენილი დამსმენთა „კოპორტა“, რომლებიც ჭორების გავრცელებით, ყოველდღიური დაცინვითა და ქილიკობით, აყალ-მაყალითა და ჩხუბით ყოველმხრივ ავიწროებდნენ და გასაქანს არ აძლევდნენ ყველასაგან მიუსაფარ, სიცოცხლეგამნარებულ, უნაზესი სულის პოეტს“ (კალე ბობოხიძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი, მოგვაწოდა ტერენტის დის – ზოზიას შვილიშვილმა, პროფესორმა მამანტი როგავამ).

ტერენტის წინააღმდეგ დაჯარდნენ ხელისუფლება და შურიანი პოეტები. თუ როგორი ბოროტი აგენტურა მუშაობდა მწერალთა კავშირში, ამის მაგალითია ის საშინელი ჭორი, რომელიც მწერლებისგან გავრცელდა ზემდგომი ორგანოების დავალებით. კალე ბობოხიძე იგონებდა: „მწერალთა კავშირში გავრცელდა ხმა, ტერენტი გაგიუდა და „სამკურნალოდ“ ფსიქიატრიულში გაამწესესო... ყველაფერი ნათელი იყო. ამ ცნობამ ჩემზე ძლიერ იმოქმედა“ (იქვე).

იმხანად გამეფებულ მლიქვნელობას, დაუნდობლობა-დასმენებს აღუშფოთებია პეტრე სამსონიძე და საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიის ერთ-ერთ შეკრებაზე თამამად

განუცხადებია: „შევარცხვინე თქვენისთანა ბოლშევიკები! თქვენ ხართ მლიქვნელები, კარიერისტები და ანგარიშიანი ადამიანები... მე კარგად ვიცი, რომ არცერთ თქვენგანს არ უყვარს ჩვენს პარტიაში შეპარული საეჭვო ადამიანი, დაუნდობელი და ჯალათი, როგორიც ბერია... ბერია დაღუპავს სტალინს. მიმიფურთხებია ისეთი ხელმძღვანელისათვის, როგორიც ბერია!“

სანდრო ეულს უცდია ამ ფაქტის მიფურჩება, პოეტების გაჩუმება, მაგრამ დამქაშების მეშვეობით ინფორმაციას მაინც გაუჟონავს და პეტრე სამსონიძე საგიუვთში გაუგზავნიათ, იქ ცემით სიკვდილის პირას მიყვანილი შინ დაუბრუნებიათ და ცოლ-შვილის ხელში დაულევია სული (კალე ბობოხიძის ზე-მოთ მითითებული მოგონება).

დემონურ ხელისუფლებას ემალებოდნენ, ნიღბებს ირგებდნენ საქვეყნო ინტერესებით მცხოვრები სიტყვის ოსტატები.

„ათასი შიფრით ნაწერს, მრავალი ალეგორიების ჩამტევს, ალგებრულ ფორმულებს“ ჰეგავდა კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება.

ტერენტი გრანელი გრძნობდა ბოროტების სიახლოვეს („ალბათ, დამექებს ბოროტი ხელი“) და ცვლიდა თავისი ცხოვრების სტილს, მალავდა თავის უსპეტაკეს სულს, იმალებოდა ფიზიკურად: „დღესაც ბალში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება, წვიმის ლანდებში ვიმალები ლამის ოცნებით, და ყაჩაღივით სადმე დავიმალები ტყეში“...

ტერენტი გრანელის ცხოვრებას ხან ყორნის, ხან ულირსი თვალის, მხეცისა და ყვავის სახით აედევნებოდა ბოროტება: „ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი, ხშირად მიცქერის ულირსი თვალი, მიმზერს გულიდან მხეცი, სასახლეს ავად დასჩავის ყვავი“.

ამ სახეებს თავიანთი ოდიოზური ადრესატები ჰყავდათ, როგორც კ. გამსახურდიას მამალს, წითელ კირიპას, წითელ

ქვეწარმავალს, შავჩოხიან წითურს, ყვითელებოლეტებიან მონგოლს.

თავისუფლად მოაზროვნე პიროვნების განიარღებაში დაოსტატებული წითელი დიქტატორები ყველაფერს ისე აკე-თებდნენ, რომ დისკრედიტირებულ პიროვნებას წართმეული ჰქონდა თავის გამართლების უფლება: „ეს წამი გამართლების ასე დაფარულია, ეს წამი გამართლების – ასე დაუნახავი“, „და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება“.

ასე იქცა პოეტი უდანაშაულო დამნაშავედ, ციხის ბი-ნადრად, საავადმყოფოს ჯანმრთელ პაციენტად.

„მოყურადეთ“ ტერენტი გრანელის „ანტობა“ არ გამორჩენიათ...

1921 წელს ჩეკამ დაამთავრა ურჩი პოეტის „ნელ ცეც-ხლზე დაწვის ოპერაცია“ და სულით ავადმყოფის დიაგნოზიც დაუსვა.

„ასე აჯილდოებდნენ“ ხშირად ძნელად აღსაზრდელ შე-მოქმედთ ბოლშევიკური იდეოლოგიის სამსახურის მუშაკები“ (რევაზ მიშველაძე, ტერენტი გრანელი, თბილისი, 2004, გვ. 11).

ცისფერყანწელი პოეტი კოლაუ ნადირაძე აცხადებდა: „ტერენტი გრანელისადმი არსებობდა კრიტიკის თითქმის მტრული დამოკიდებულება. გრანელი დადიოდა, როგორც განწირული და შერისხული. ტერენტის უდროოდ დალუპვა, რასაკვირველია, მისდამი ასეთი დამოკიდებულების შედეგიც იყო“ (გივი ცქიტიშვილის წიგნიდან „ვიცი, დრო მოვა ჩემი გა-გების“, თბ. 1990 წ. გვ. 89).

იგივეს ადასტურებდა დემნა შენგელაია: „კრიტიკამ ცუ-დი სამსახური გაუწია. მაშინ პროლეტკულტურულები ბატონიბ-დნენ. ისინი ყველაფერს, რაც პიროვნული განცდების მხატ-ვრულ გამოვლინებასთან იყო დაკავშირებული, წვრილბურუჟუა-ზიულ-ფერდალურ გადმონაშთად ასაღებდნენ და სოციალის-ტური რეალიზმისთვის მიუღებლად თვლიდნენ“ (იქვე, გვ. 142).

ლავრენტი ჭიჭინაძე აღნიშნავდა: „მაშინ ასეთი მიმართულება იყო, თუ მუშაზე ან გლეხზე არ დაწერდი, უურნალგაზეთები არაფერს არ დაგიბეჭდავდნენ. ტერენტი გრანელი ხშირად იყო ამ მეთოდის მსხვერპლი“ (იქვე, გვ. 194).

ჩაუშალეს საღამო რუსთაველის თეატრში.

ნითელარმიელთა (ოფიცერთა) კლუბში ტერენტის თაყვანისმცემლებმა პოეზიის საღამო დაგეგმეს. საღამოს რვა საათზე მაყურებლით გაჭედილ დარბაზში და სცენაზე სინათლე ჩაქრა. სანთლის შუქზე მაინც მოახერხა პოეტმა თავისი ლოცვისებური ინტონაციით ფურორის მოხდენა, მსმენელები კვნესა-ცრემლებით გამოხატავდნენ თავიანთ აღტაცებას (გენო ქელბაჟიანი, „ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლობდა“, კრებული „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“).

ტერენტი გრანელს კაინივით გმობდნენ, იობივით ანამებდნენ, მსხვერპლად აქცევდნენ და დევნიდნენ: „და ვარ კაინივით გმობილი, არ თავდება ვარამი და იობის წამება, ვიყავი დროს წინ, ვიყავი მსხვერპლი“.

შერისხული, იდეალის ზვარაკად ქცეული, ბნედიანივით მოხეტიალე, გაძარცული პოეტი აღსასრულს ნატრობდა: „დავალ ქვეყანაზე, როგორც შერისხული, შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული. დავალ ქვეყანაზე, როგორც ბნედიანი, ღმერთო! მაპატიე უქმად ხეტიალი. დავალ ქვეყანაზე, როგორც გაძარცული, ღმერთო! დააჩქარე ჩემი აღსასრული“.

მედროვე, უწიგნური პროლეტარული ხელოვნების წარმომადგენლები ხელისუფლების წაქეზებით თითს უქნევდნენ ჭეშმარიტ ოსტატებს. ამ ლიტერატურული ჭაობის ბინადრებმა ჯაშუშის აღლოთი იცოდნენ, ვის სწყალობდნენ ზედა ეშელონებში, ან ვინ უნდა ჩაწერილიყო შერისხულთა სიაში. ისინიც არ აყოვნებდნენ, დროულად ავლენდნენ საკუთარ ინიციატივას, რათა ეამბნათ ხელისუფლებისათვის.

უბირი პროლეტარული პოეზიის კარიკატურა ფრიდონ ნაროუშვილი თავისი ოდიოზური პოემით ჯერ ილია ჭავჭავა-

ძის წმინდა სახელს გადასწვდა, რაკი ხედავდა, რომ ლაშქრობა სწორედ ერის მამების წინააღმდეგ ხდებოდა, მერე თანამედროვეებსაც შეჰქედა ფილიპე მახარაძის ლეგიონერებისგან გათამამებულმა და როცა ეგონა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის გაქილიკებით მამაცი მეომრის სახელს მოიხვეჭდა, ერის უპირველესმა პროზაიკოსმა შიგ გულში მოარტყა, როცა ურჩია, ჯერ წერა-კითხვა ისწავლე და მერე მეკამათეო.

ფრიდონ ნაროუშვილი გულისტკივილს კი არ გამოხატავდა იმის გამო, რომ ამა ქვეყნის ძლიერებმა საბედისნერო ავადმყოფობა მოუგონეს, მერე კი ფიზიკურადაც გააუსახურეს გენიალური ტერენტი გრანელი, იგი თითქოს ხარობდა დროებით მიზანმიღწეულ ხელისუფლებასთან ერთად და ოპერის წინ, პაპანაქება სიცხეში საბანმოხურულ ტერენტი გრანელს, უკვე ძალად ავადმყოფს და პოეზიის სცენიდან გასულს, სილა გააწნა, გვარცხვენო პოეტებს. ეს იყო ბედის გაუგონარი ირონია.

სამწუხაროდ, ეპოქის დინების მხარეს სვლით ნიჭიერებმაც გაიტეხეს სახელი. ალიო მირცხულავამ ასეთი ცინიკური სტრიქონები აკადრა ზეციური ნიჭით ცხებულ ტერენტის: „გულამოსკენილი ტირის გრანელი, ჩვენში მეორედ მოსული ქრისტე, უშნო, უღონო, დაუბანელი მათხოვარივით საფლავებს მისდევს. მათი ცხოვრება მოჰგავს პანთეონს, სადაც ლანდია მხოლოდ ჩონჩხების, ტირიან ბედზე და საქართველო გამოიტირეს შავი ჩოხებით”.

წინასწარმეტყველური გამოდგა ტერენტის პასუხი, რომელშიც განჭვრეტილი იყო ეულ-მაშაშვილების პოეზიის დავიწყებისთვის განირვა ბედისწერის ძალით: „თუ პოეზია მოიკრებს ძალას, შთამომავლობა რამდენს იცინებს, როცა დახედავს ეულის კალამს და მაშაშვილის ლექსის წინილებს”.

ტრაგიკული ხვედრის პოეტის დაკრძალვაც ჩუმად ჩატარდა. ექიმ თამარ აბულაძის მოგონებით, ექიმებს გადაუწყვეტიათ ტერენტის დაკრძალვის პროცესიას დასწრებოდნენ,

მაგრამ „სამწუხაროდ, არავითარი პროცესია არ შემდგარა. სად იყო ბალდახინი ან გვირგვინები! სულ რამდენიმე კაცი მიაცილებდა ცხედარს... პეტრე-პავლეს სასაფლაოზე იმ დროს ღარიბებს და პოლიტიკურად არასაიმედო პირებს ასაფლავებდნენ“ (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, თბ. 1990 წ. გვ. 209).

ტერენტის გარდაცვალების ზუსტი თარიღი ალბათ, არც არსებობს, რადგან მაშინდელ არც ერთ გაზეთს, არც ერთ ჟურნალს ეს ფაქტი არ დაუფიქსირებია. ამიტომ ეს საკითხი ზეპირი გადმოცემების დონეზეა. არ არსებობს არც ქ. თბილისის და არც საქართველოს საისტორიო არქივის ცნობა, არც სამედიცინო ექსპერტიზის ჩანაწერი, აღნიშნავს გივი ცქიტიშვილი.

ტერენტი გრანელის ნაადრევი გარდაცვალება უდიდესი დანაკლისი იყო მთელი ერისთვის.

კიდევ უფრო დიდი ტრაგედიაა მისი ხელნაწერი ლექსე-ბისა და პოემების დაკარგვა. პოეტის გარდაცვალება გვიან გაუგია მის დას ზოზიას, რომელიც ამ დროს ტიფით ყოფილა ავად. მეორე და მაშო კი პოეტის დასაფლავების მესამე დღეს მისულა მის „ბინაში – ჯურლმულში“ და როცა ხელნაწერები მოუძიებია, მეზობლებს უთქვამთ, რომ „ვიღაცეებს“ ნაგვის მომგროვებლებთან ერთად წაუღიათ ტერენტის ხელნაწერებით სავსე ტომარა. მენაგვეს მაშოსთვის უთქვამს: „ხომ იცით, ქალბატონო, განსაკუთრებით ავადმყოფი და ახლად-მიცვალებული ადამიანის ბინიდან ყველანაირ ნივთებს ვწვავთ, ქალაქში ჭლექიაო“.

მაშო წუხდა, რომ ტერენტის ნაწარმოებებიდან მხოლოდ მესამედი თუ იყო დარჩენილი და ის რვეულები, რომლებსაც დას აძლევდა. ტომარაში ყოფილა ტერენტის საუკეთესო პოემები და ლექსები: „სანთლის ცრემლები“, „ცისფერი მირაჟები“, „უფლის ნათელი“ და სხვა (სერგი უვანია, მოგონება ტე-

რენტი გრანელზე, ხელნაწერი, მოგვაწოდა ტერენტის დის შვილიშვილმა, ექიმმა მამანტი როგავამ).

ამავე მოგონებაში მაში ამბობდა: „ტერენტის, როგორც პოეტს, კრძალავს დღევანდელი საქართველოს მთავრობა, პე-სიმისტია, ფუტურისტია, ანტისაპჭოთა პოეტია, გიურა და სუ-ლელი და რა ვიცით, რას არ აბრალებენ”.

ასევე, ნაგვისთვის გაუყოლებიათ, ერთი წალენჯიხელი ქალბატონის მოგონებით, ტერენტის ხელნაწერების რამდენი-მე რვეული, როცა გაუგიათ მისი ავტორის ავადმყოფობის ამ-ბავი (გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების, გვ. 236).

პოეტის არაერთი ლექსი დაკარგულა რედაქცია-გამომ-ცემლობებში, მათ შორის უკვალოდ გამქრალია კრებული „პოეზია პლანეტების”.

ტ. გრანელის დიდალი ხელნაწერი ლექსების ნახვის ფაქტს აღნიშნავდა მ. კვესელავა (გ. ცქიტიშვილის წიგნი, გვ. 182-1840).

1937 წ. „სახელგამის“ დირექტორს ბარონ ბიბილეიშ-ვილს ჰქონია ტერენტის ხელნაწერები გამოსაცემად გამზადე-ბული, მაგრამ ისიც დაკარგულია (ლერი ალიმონაკი, ტერენ-ტის ლანდი, გვ. 69).

ტერენტის სიკვდილის შემდეგაც ემტერებოდნენ მო-შურნენი, საფლავის ქვის ფილა გადატეხეს, სურათიც დაი-კარგა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე (გ. ცქიტიშვილის წიგნი-დან, გვ. 23).

გივი ცქიტიშვილის მრავალგზისი ძალისხმევის შედეგად მოგროვდა მწერლების ხელმოწერები და დადგინდა პოეტის გადასვენება პეტრე-პავლეს სასაფლაოდან დიდუბის პანთე-ონში, მაგრამ ეს მოხდა ჩუმად, 1987 წ. 20 დეკემბერს.

1979 წ. 13 ივლისს 22 საათსა და 40 წუთზე საქართვე-ლოს ტელევიზიაში გადაიცა ტერენტი გრანელისადმი მიძ-

ღვნილი ერთსაათიანი სიუჟეტი, რომელსაც ერთსულოვნად გამოეხმაურა მაყურებელი და ამ გადაცემის გამეორების სურვილიც დაიბადა, მაგრამ გამოირკვა, რომ ფირო „შემთხვევით“ წაუშლიათ. დარჩენილა მხოლოდ გივი ცქიტიშვილის სცენარი.

ასევე დაიკარგა ამ სტრიქონების ავტორის მონოგრაფია „უცნობი სფინქსი“ 1987 წელს, ტ. გრანელის საიუბილეო კო-მისიაში. იგი ვერ დაიძებნა ვერც მწერალთა კავშირში, ვერც საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ბინაში, მიუხედავად მწერალ ელიზბარ უბილავას გულწრფელი მცდელობისა. მხოლოდ მოგვიანებით აღვადგინეთ იგი და დავბეჭდეთ სოხუმში, გამომცემლობა „ალაშარაში“ 1992 წელს.

მშვენიერების სამსხვერპლოსთან შენირულ მგოსანს „საშინელ ეპოქალურ უზნეობასთან და კაციჭამიების დროში მოუხდა უთანასწორო ჭიდილი და სასტიკად ემსხვერპლა. მარქსისტული ფანატიზმით შეპყრობილმა ათეისტურმა ბრძომ გასრისა უმანკო სულის მგოსანი... მაგრამ მოხდა სასწაული, პოეზიის ანგელოზმა ტერენტი გრანელს უკვდავების პანთეონში უბოძა ღირსეული ადგილი. ისინი კი დააკმაყოფილა დროებითი განცხორმით და თავიანთი სატანისეული ზნეობიდან გამომდინარე, გადაშენების ბნელი მღვიმეებით არარაობისკენ გაატარა...“

„...მიწიერებმა, სატანისეულებმა... დედამიწის შვილებმა იმსხვერპლეს უფალი, მოციქულები, წმინდანები და გენიები...“

„ტერენტი მთავარანგელოზთა ყველა თვისებით იყო აღჭურვილი და ამიტომაც გაუჭირდა ამ მოკლე დროითაც ცხოვრება ჩვენს ცოდვილიან მინაზე“ (რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა („სისხლიანი ცრემლი“, „ინტელექტი“, თბ., 2008, გვ. 56-108).

ტერენტი გრანელის „პრინციპულობამ ბრძოლაში და მაცურმა პოზიციამ ჩემს ახალგაზრდობასაც დააჩნია კვალი,

აღმაფრთოვანა და დიდწილად განაპირობა ჩემი არჩევანი – შემქანავლა ყველა დროის საქართველოს ყველაზე წარმოსაჩენი შემოქმედება“, წერს საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დათო თოთიბაძე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ტერენტი გრანელის ლექსები (ხელნაწერი, მოგვაწოდა პროფესორმა მამანტი როგავამ).

„დამარცხდნენ ტერენტის მოშურნენი, ჰეროსტატესებური დიდების მაძიებელნი, პოეტი კი ამაღლდა ცაში სამარადისოდ, ერის თანამდევ, უკვდავ სულად იქცა. ტერენტი გრანელი შურზე მაღლა დგას ნებისმიერ პლანეტასავით“ (მხატვარი რეზო ადამია).

ფაქტია, „მემენტო მორის“ ავტორს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, არასოდეს შეუქია წარმავალი ღირებულებები, სოციალისტური ქვეყნის არარსებული წარმატებები. მას გამუდმებით ახსოვდა „საქართველოს ისტორიული მისია“, ენა, მამული, სარწმუნოება.

მიუხედავად იმისა, რომ იობივით წამებული, ქრისტესავით ჯვარცმული იყო, მაინც სისხლიანი ბოლშევიზმის ტერორითაც დაუმარცხებელი, მოუსყიდავი და მარადიული პოეტია ტერენტი გრანელი.

„უცნობი სფინქსი“

ტერენტი გრანელის პოეზიის ლირიკული გმირის სულიერი პორტრეტი გაუნელებელ ინტერესს აღძრავს ფსიქოლოგიურ-სოციოლოგიური ასპექტით, ყოფიერების თავისებურებით, არსისა და არსებობის დაცილებით, გაუცხოებით.

გაუცხოების გრძნობა ჯერ კიდევ ბიბლიაში ვლინდება: „უცხო ვექმენ მე ძმათა ჩემთა და სტუმარ-ძეთა დედისა ჩემისა“.

„ვყავ სამოსლად ჩემდა ძაძა და ვექმენი მე მათ იგავ“
(დავით წინასწარმეტყველი, ფს. 204, 9, 12).

ბიბლიაშივე მშობლიური ქალაქი განცდილია უდაბნოდ:
„რამეთუ ქალაქი იგი და სახლი მამათა ჩუენთა უდაბნო არს“
(II ნეშტა, 5-6, 375-3).

იერემია წინასწარმეტყველი ჰებრეული პერიოდიდა: „სამკვიდრებე-
ლი ჩუენი გარდაიქცა სხუათად, სახლი ჩუენნი უცხოთად“
(„ლოცვა წმინდისა იერემიასი“, 270-2).

უცხოურ თუ ქართულ ლიტერატურაში მრავალი მაგა-
ლითია სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, თუ ურბანიზ-
მით გამოწვეული გაუცხოებისა, ეგზისტენციალური მარტოო-
ბისა.

გაუცხოების პრობლემა ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუ-
ნის მწერლობაში (დიკენსი, ჰიუგო, ბალზაკი, დოსტოევსკი)
შეიმჩნეოდა, თანამედროვე ლიტერატურაში კი ტოტალური
მასშტაბი შეიძინა ადამიანის ეგზისტენციალური გაუცხოების
ტკივილმა.

ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმო-
ბა მარტოოსული დეკადენტების, გაუცხოებული ადამიანების
ჩვენებას.

კ. გამსახურდიას, დ. შენგელიას შემოქმედებაში გაუც-
ხოებული ადამიანების არსებობა ახსნილია გარდატეხის ეპო-
ქის რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, ძველისა
და ახლის ბრძოლით.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში გაუცხოების
პრობლემა დასმულია მთელ რიგ მწერლებთან. ამის მაგალი-
თებია ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“, გურამ გეგეშიძის
„ცოდვილი“, ოთარ ჭილაძის „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“,
მისი ლირიკა კი ურბანიზმით გამოწვეულ გაუცხოებას უღ-
რმავდება.

ადამიანის გაუცხოებას განაპირობებს სოციალური თუ
ფსიქოლოგიური ფაქტორი, ცოდვის განცდა, ურბანიზმი,

ტექნიკის ფეტიშიზმი, ადამიანის ცალმხრივი, არაპარმონიული განვითარება.

ტერენტი გრანელის ლირიკაში გაუცხოება აშეარად მღალადებელია. მისი მარტოსული „არა მე“ გაუცხოებულ პი-როვნებათა ძალზე თავისებური სახეა.

პოეტი იტანჯება, რომ მისი ნამდვილი არსი და ხალხის შეხედულება არ ემთხვევა ერთმანეთს: „მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს და ჩუმად ვიტან წამებას ამდენს. სხვა ვინ მიხვდება, მხოლოდ მე ვიგრძნობ ჩემს დაფიქრებას გაქვა-ვებამდე“.

აქ შესამჩნევია გაუცხოების მრავალგვარი ასპექტი. ადამიანური გაუცხოება: „ახლა მარტო ვარ, არავინ არ მყავს“ „ეს უდაბნოა და მარტო მე ვარ“, „უფსკრულია და შენ მარტო ჰკივი“, „უსიყვარულობის გაუცხოება: „არა მყავს ტოლი“, „ვარ ყოველთვის კენტი“, შემოქმედებითი გაუცხოება: „რატომ მე არ მაფასებს თარსი პერიფერია“, გარემოს გაუცხოება: „უც-ხოა ეზო, უცხოა ბინა“. ასეთი გაუცხოების მრავალგვარი ასპექტი.

ბუნების, ქარისა და ნისლის სამეფოში, უადამიანო სივ-რცეშია თითქოს პოეტი დაბინადრებული: „ადამიანი არ ჩანს სრულიად, გარშემო სუფევს ქარი და ნისლი“, „სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი“, „მხოლოდ მარტოობის დღეებს ვეგებები, მხოლოდ სიჩუმეა ჩემი კავა-ლერი“ და ამ უმეგობრო და უნათესავო ადამიანის სევდა მზის სიდიდის ცეცხლად ანთია: „დღეს ჩემი სევდა ელავს მზესავით, დიდი ხანია, რომ ვცხოვრობ ქარში, არც მეგობა-რი, არც ნათესავი არავინ არის, სულ მარტო დავრჩი“.

გაუცხოების გრძნობას ამძაფრებს ამ კონტექსტში ქვის შემოტანა. „კაცი არა ჩანს, ხეების გარდა“ იტყვის პოეტი და მერე კი არაორგანული ბუნების სამყაროში გადაასახლებს თავის ლირიკულ გმირს: „ჩანს სამიოდე ჯირკი“, „თითქოს ვარ სიზმარში და ირგვლივ ქვებია“, „და მარტო ვზივარ ლოდებ-თან“, „ფიქრი და შავი დღეთა კრებული და ვარ ქვასავით გა-რინდებული“. ასეთი გაუცხოების მრავალგვარი ასპექტი.

უადამიანო სივრცეში ქვების უაზრო სიჩუმეა მხოლოდ: „ირგვლივ ქვებია და ჩუმი მხარე, ირგვლივ ქვებია და მდუმარება“. და გულიც ქვავდება: „გულო... გაქვავდი, როგორც მუმია“.

თოვლი, სასაფლაოს ლოდები და გვირგვინებია პოეტის წინ: „თოვლია ირგვლივ და ლოდებია და გვირგვინები აწყვია საფლავს“.

ლოდი თავის თავადაა ტკივილი, მაგრამ მივიწყებული საფლავის ლოდი უფრო ამძაფრებს სევდას: „ლოდი ადევს მი-ვიწყებულ საფლავს“.

განშორების თანმხლებიც თოვლიანი ლოდებია: „მძიმეა განშორების თოვლიანი ლოდები“.

ღამის დადგომაც ქვის დაცემას ჰგავს: „და ვარსკვლავების მზიდველი ღამე მძიმე ქვასავით ეცემა ქალაქს“.

ღამე საერთოდ არის ლოდივით მძიმე: „ყოველი ღამე ეს ხომ ჩემი ლოდია“.

თბილისის მძიმე ღამეებიც ლოდებივით აწევს თვალებს: „გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით“ („სიკვდილის შემდეგ“).

დროც ლოდია: „და ეს დროა უმძიმესი ლოდი“.

მოგონებაც ლოდივით ამძიმებს გულს: „მოგონება ჩემი მძიმე ლოდი“.

სიკვდილის ლოდი, კუბოს ლოდი – ასე ექცა პოეტს მარტობა განუშორებელი ლოდის ასოციაციად...

პოეტი გაუცხოებულია თვით მახლობლებისთვისაც: „სულს მეგობარი ხშირად არ იცნობს“! და იქმნება ობობას სევდა, სიბნელე, მელანქოლია: „ბნელია სივრცე, ქსელავს ობობა და ირგვლივ ვიგრძენ უმეგობრობა. სუფევს ფოთლები, მელანქოლია და მეგობრები მე არ მყოლია“.

აქ სიახლოვე არ უდრის გაგებას, არაა მარტობის წამალი: „შენ ხარ ჩემს სულთან ახლო და სული მუდამ მარტოა“.

პოეტი ეძებს მეგობრულ თანაგრძნობას, მაგრამ ვერ პოულობს და კომუნიკაციის სურვილს ოთახთან და სიბნე-

ლესთან საუბრით იოკებს: „ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხე-ლებს, ჩემს გულისწყრომას, ჩემს ალსარებას მე ვეუბნები ოთას, სიბნელეს“.

ხოლო ლექსი „მიმართვა ხისადმი“ უფსკრულის პირის-პირ მყოფი ადამიანის მონოლოგია, რომელიც თავისთავად გამორიცხავს პასუხს და მხოლოდ და მხოლოდ ალსარებით ტკივილების გაქარვების გზაა.

ტოტალურ ხასიათს იღებს ობლობა, მარტოობა: „მე ვერ ვიპოვი ნამდვილ მეგობარს“. „მარტოობით მე ვიფერფლები“, „ობოლი ვარ მინაზე“ და ჩნდება გაუნელებელი დარდი: „ფიქ-რების გროვა და დარდი ახლო, არავინ მოვა, არავინ მნახავს“.

მარტოობიდან ჩნდება ეჭვები, ლალატის და მტრების მოლანდება: „ვიცი, ეს კაცი მე შემეჩვია და ეჭვის თვალით მიმზერს“, „მე ახლა ვამჩნევ, მღალატობს ყველა“, „გარშემო დანანან ურიცხვი მტრები“, „ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები“.

პოეტი „თვრება ჯავრით“, (შდრ. „განმაძლო მე სიმწარი-თა, დამათრო მე ნაღვლითა“ („გოდება იერემიასი, 263,15).

„ანდა ვინ მოვა, არა მყავს კაცი, მე თუ დამიხსნის მხო-ლოდ უფალი“, ამბობს ტ. გრანელი და ეს განცდა ეხმიანება დ. გურამიშვილის სტრიქონებს: „მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი“.

მარტოობა გაუცხოების დაუძლეველ შიშად წარმოგვიდ-გება ტ. გრანელის პოეზიაში: „ტყეა, მარტო ვარ და მეშინია“, „და შიშმა ისევ ამაკანკალა“, „სოფლის მეშინია“.

მერე ეს შიში უზარმაზარ მასშტაბებს იძენს: „შენ, დე-დამინავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“.

კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ მიმსწრაფი პოეტის აზროვნება პირად გაუცხოებას ტოტალურ ხასიათს აძლევს: „ცას აბარია სულის ობლობა, ხომ ზღაპარია დღეს მეგობრობა“.

ადამიანთა გულგრილობამ ყველგან მოსპო შუქის ნასა-ხი და ღამე გააბატონა: „სული ვერ უძლებს ღამის ნაპრა-ლებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა“.

თითქოს ადამიანებს არ ყოფნით ინტერესი, სიკეთე, რომ სიბნელისა და უფსურულის საუფლოში მოხვედრილებით დაინტერესდნენ: „სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არა-ვინ არ იხედება“...

და პოეტის ხედვის არეალში ექცევა „მფარველი ძალ-ლი“, ყვავი, რომელიც „კაცივით დადის“, ხეები, „კაცებივით“ რომ დგანან, ოთახის კედლები, „გაბზარული ჭერი“. სანაგვე ყუთში, ბალებში, სასაფლაოებზე ღამის თავშესაფრის ძიება თავისთავად მეტყველებს გაუცხოებულ, არაბუნებრივ ყოფიე-რებაზე.

„ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ბი-ნა“, – ასე გაიზიარა ქუჩის ადამიანის ხვედრი ფიროსმანივით განწირულმა პოეტმა.

და გაოცებული შესძახებს: „რატომ ჩემი ცხოვრება დღეს არ უკვირს“.

რაკი ადამიანებისგან ყოველგვარი ნუგეში მოისპო, რაკი მისთვის ქვეყანა „აბოს გულს“ დაემსგავსა, პოეტს მხოლოდ ღმერთი ეიმედება, „ლია კარებისა“ და თავისუფლების ნატ-ვრას მხოლოდ მისკენ მიმართავს.

უნებურად გიჩნდება ნიკოლოზ ბარათაშვილის ასოცია-ცია სათქმელის აქტუალობის, ტრაგიზმის თუ განუმეორებე-ლი სისადავის გამო და თითქოს ჩვენს თანამედროვეობაში გადმოსახლებული დიდი რომანტიკოსის ღალადისი გესმის: „ის იღუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოე-ბა და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება“ („ციხის ელევგია“).

აქ უმეტესად სევდის ძალებისაგან იქსოვება ესეთტიკუ-რი ფენომენი და აშკარად იკვეთება მარადიული თემა: „პი-როვნება და საზოგადოება, რომელსაც პოეტი ბრალს სდებს გულგრილობაში: „მე ცას მივმართავ, როგორც ღრუბელი და ვიცი, მართლა რომ ვიღუპები. მეუცხოება, რომ ვნახავ ქუ-ჩებს და მე ცხოვრება სახელს მიფუჭებს. შენ ქარს დანებდი, მტკვარია ახლოს, ნუთუ გრანელი არავის ახსოვს?“

და პოეტს ებადება გაუგებარი ადამიანებისაგან, მშობლიურისაგან გაქცევის სურვილი: „ხალხს მოვშორდე და ვიცხოვრო მარტომ“, „ვნატრობ სხვა სივრცეს და უცხო ქალაქს, საწამლავია ჩემთვის ეს ხანა“.

აშკარად უპირისპირდება საზოგადოება პიროვნების ინტერესებს და პიროვნების მეობა დამდაბლებული და აბუჩად აგდებულია: „ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა... და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვრგძნობ დამცირებას“.

და იცვლება მისი ცხოვრების სტილი, იგი თავისი ტკივილებით ემალება ხალხს: „დღესაც ბალში ვიმალები, როგორც თეთრი მდუმარება“, „წვიმის ლანდებში ვიმალები ღამის ოცნებიქთ“, „და ყაჩალივით სადმე დავიმალები ტყეში“, „რამდენ წვალებას მალავს ეს ოთახი“.

გაუგებრობა გამხდარა პოეტის თანამდევი სიყვარულშიაც: „ვნანობ, ამდენ ხანს რომ ვერ გამიგე, რომ შენ ამდენ ხანს ვერ გამიცანი“.

და ტერენტი გრანელის შემოქმედებაში საერთოდ ჩნდება დაფარულის, გაუგებრობის, დაუნახაობის, შეუცნობლობის სევდა: „ეს ჩემი სევდა და მწუხარება დარჩება მარად შეუცნობელი“, „მარტო მივდივარ, ჩუმი ღამეა, მივდივარ ასე შეუცნობელი“.

ანალოგიური განცდა წინაპარ კლასიკოსებსაც ჰქონიათ, რადგან გენიალობა არ არსებობს შემოქმედებითი მარტობის, ტანჯვის გარეშე: „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“ (ილია ჭავჭავაძე), „ჩემო ჩანგო, ობოლ-მწირო“ (აკაკი წერეთელი).

გალაკტიონსაც ხომ ასე ანამებდა თავისი „გენია... გაუგებარი“.

ვერგავების შიში ფოტალურ ხასიათს იღებს და სევდის მეუფებზეც ვრცელდება: „რომ იყოს ახლა, ჩემს სევდას, ვიცი, ბარათაშვილიც ვერ გაიგებდა“.

მერე ის შიში კოსმიური ხდება: „მე ახლა ისეთ რამეზე ვფიქრობ, რაზედაც არვის არ უფიქრია“.

აქედან მოდის „ფარულის“ გადაქცევა შეუცვლელ ეპი-თეტად: „ფარული ტკივილი“, „ფარული გამწარება“, „ფარული ფიქრი“.

ძნელია მოიძებნოს გაუცხოებული ადამიანის ასეთი შთამბეჭდავი პორტრეტი: „ცხოვრობდა იგი მთრთოლვარე, ცივი და ბედისაგან შეწუხებული, თითქოს საეჭვო ქურდი კა-ცივით უყვარდა ღამის შავი ხვეული, ის დადიოდა უცნობი სფინქსი და გაოცებით მზერდა სანთელს. ის დადიოდა უცნობი სფინქსი და მწუხარების სწეული ლანდი. უნდოდა შველა და სწუხა დღისით, სწამდა თბილისი –უდაბნო დარდის, ასეთი იყო იღბალი მისი, დღესაც ასეთი მოკლული დადის“... („უცნობი ლანდი“).

საყურადღებოა გაუცხოების მიზეზების პოეტისეული ახსნა სპეციფიკური მდგომარეობით (ავადმყოფობა, ჭორები, ლეგენდები): „იქნებ ახლა ჭორებიც მომედება ტალახად: მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება, ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკილვა ყველას ეპატიება“, „და ჩემზე ბევრი ლეგენდა ითქვა“.

გაუცხოებას, საზოგადოების გულგრილობას უკავშირდება დალუპვის შიში, გაუცხოებულ პიროვნებას წართმეული აქვს გამართლების უფლება: „ეს წამი გამართლების ასე დაფარულია, ეს წამი გამართლების – ასე დაუნახავი“.

ასე იქცა ეს ლირიკული გმირი უდანაშაულო დამნაშავედ, ასე დაიფარა მისი „სიმართლე და სათნოება“ სიჩუმით.

გაუცხოების ძირების ძირებას ბუნებრივად მივყავართ ცოდვის განცდასთან, „სინანულის, შეცოდების, შეცდომების“ ცნებებთან: „ცოდვილი პოეტი“, „ცოდვილი ქვეყანა“, „ცოდვილი ქალაქი“, „ცოდვილი ბედი“, „ცოდვილი ტაძარი“.

ცოდვის მოჭარბებული განცდა ქრისტიანული მსოფლშეგრძნებით აიხსნება, რომლის მიხედვით ყველა ადამიანი ცოდვილია. ცოდვის შეგრძნება კი ზნეობრივი განწმენდის,

თვითსრულყოფის საწინდარია, რამაც სრულყოფილების განსახიერებას – დავით აღმაშენებელსაც კი ამოაკვნესა შეუდარებელი აღსარება „გაღლობანი სინანულისანი“.

ტერენტი გრანელის ლირიკულ გმირს გათავისებული აქვს ბიბლიური ძმისმკვლელი კაენის მდგომარეობა: „სისხლი აბელის, ქვითინი დებთან“, კაენის ხვედრი: „და ვარ კაენივით გმობილი“, ამასთან, იობის წამება: „არ თავდება ვარამი და იობის წამება“, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს მხოლოდ ორგანული ნილბებია, ისევე, როგორც ანგელოზის, ქრისტეს, საერთოდ ღმერთის ნილაბი („შავი ნილაბი“, „ანგელოზის ნილაბი“, „გრიგალებგადატანილი ნილაბი“) სინამდვილის ორივე მხარის წარმოსახვისათვის. ამის გამო ტერენტი გრანელი და მისი პოეზიის ლირიკული გმირი არ გაიგივდება ერთმანეთან, იქნებ ეს მრავალნაირი ნილბები იყო ყოველგვარი გაუგებრობის სათავე. და, საერთოდ, იდუმალება ტერენტი გრანელის შინაგანი სამყაროს თავისებურება იყო, ცხოვრების წესი, მისი პოეზიისა თუ პიროვნების ამოუცნობლობის მიზეზი. მის პოეზიაში სიმარტივე სიდიადესთან, ხილული უხილავთანაა შერწყმული, გასაგები გასაიდუმლოებულია, ყველაფერში „იდუმალების ქარია“, მაგრამ ესაა არა გაორება, არამედ ეს „კონფლიქტურობა მისი ერთიანი მოსლმხედველობის შინაგანი თვისებაა“ (ლერი ალიმონაკი).

ტერენტი გრანელის განდგომა-გაუცხოებას კიდევ ჰქონდა სხვა ასპექტები.

ზოგჯერ იგი თავისი თავისაგან გამდგარი იმიტომ იყო, რომ შორიდან შეეცნო საკუთარი პიროვნება სხვისი თვალით: „გაიუცხოვა და გაისხვისა საკუთარი თავი, გაიხადა იგი ამოსნის და შეცნობის საგნად“ (ლ. ალიმონაკი).

ტერენტი გრანელს დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: „მოვიძულე კრებული უკეთურთა და უღმრთოთა თანა მე არა დავჯდე“ (ფს, 169,5). „...ხოლო მე უმანკოებითა ჩემითა ვიდოდე“, (1,96, 9,11).

პოეტის განდგომა მეშჩანობისაგან გაქცევა იყო, სიწმინდის „შენარჩუნებაც, თვითშეცნობის, შემეცნების გზაც და მისი „სხვათაგან გამორჩეული“ ცხოვრება, განდგომა „ქრისტიანის განდგომა იყო, განდგომა სათნოებისა და სიკეთის სახსნელად და არა გაქცევა უძლურისა“ (ლერი ალიმონაკი, „კვირის წირვები“, თბილისი, 1984წ., გვ. 78).

პოეტს ხომ იმის შიშიც ჰქონდა, არ გათქვეფილიყო უსახო მასაში, არ დაეკარგა სულიერი ინდივიდუალობა: „ო, ჩემი სული უერთდება ქალაქს მტვერიანს, დავიკარგები, როგორც მამის ძველი ნისია, როცა იელვებს კვირეები და ისტერია“.

ტერენტი გრანელი შორიდან ხედავდა „საკუთარ აჩრდილს“, ხედავდა „უსაზღვროებას“, „სიცოცხლის ბოლოს“, „ბედის მწვერვალს“ და ამ ნათელმხილველობის წყალობით შეიცნობდა თავის დიდ ალიარებას, საკუთარი ნიჭის რწმენა აძლევდა ძალას, დაეძლია გაუცხოების გრძნობა: „ჩემი დუმილი გრძელდება დღემდე, ახლა ვიგონებ ისევ იმ ყვავილს და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი. და უეჭველი ბედია დღემდე, უეჭველია ახლა ნილაბი და გაიგებენ დიდი ხნის შემდეგ, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“.

პოეტმა თანდათან იგემა „ნუგეში, გაგება“, საზოგადოებასთან კომუნიკაბელურობის, მასთან სიახლოვის განცდა პოეზიის ძალით: „შენც ქარიშხალს დანებდი, ჩემთან იქნები ალბათ. სთქვა: ტერენტი გრანელი და ჩაიარა ქალმა, მე სიცოცხლეზე ვდარდობ, აპრილის თვეა, ცხელა, მივალ ქუჩაში მარტო და ნაცნობია ყველა“.

შეცნობის, ალიარების სიხარულიც ერგო, რადგან სხვათა გაბედნიერების უნარი აღმოაჩნდა მის პოეზიას: „და ჩუმი დღეა, ახლა მღერიან, ვინც მიცნობს, ყველა ბედნიერია“.

პიროვნული უკომპრომისობის, პოეტური მარტოობის, შემოქმედებითი ტკივილების საფასურში ლღვებოდა გაუცხოების ყინული და მოდიოდა პოეტური დიდება, „ნუგეში, გაგება“: „და საქართველო ასე მაღმერთებს პოეტს, წამოსულს, მაღალ ზეციდან“.

ტერენტი გრანელის პოეზია შეუცნობლობის ბურუსს ფანტაგს და თითქოსდა მახლობელი, ნაცნობი, გასაგები, მაგრამ ბოლომდე მოუხელთებელი, გაუანალიზებელი ლექსები ისევ რჩება ახალ-ახალ დაფიქრებისა და განსჯის საგნად.

ტერენტი გრანელი „არის და დარჩება სფინქსად პოეზიაში“ (ვანლერ დაისელი).

თუ ედგარ პოს „სფინქსი“ ერთი შეხედვით უჩვეულო, მაგრამ ბოლოს მაინც ჩვეულებრივი, რეალური და გასაგები აღმოჩნდება, (ედგარ პო, „სფინქსი“. 17 მოთხრობა“, თბილისი, გვ. 65-70), ა. ბლოკის ფარული, შეუცნობელი ოცნებები იძენს სფინქსის შემაძრნუნებელ თვისებებს („სფინქსი“). მის-თვის „რუსეთის სფინქსია“.

ა. ბლოკისათვის საოცარი და ბოლომდე გაუხსნელი პოეტური სულია, ტ. გრანელისათვის – სულიც და ამ სულის მატარებელი პიროვნების ცხოვრების წესიც.

შ. ბოდლერიც „სფინქსია შეუცნობელი“, „ვმეფობ ლაჟვარდში, როგორც სფინქსი შეუცნობელი, ჩემში შერწყმია თოვლის გული გედის სითეთრეს“ („მშვენიერება“).

გალაკტიონისთვის ქალაქია „იდუმალი სფინქსი“ („ქალაქი წყალქვეშ“). ამასთან, პოეტს უჩნდება სფინქსის „გამკლავების“ სურვილი („ცაზე ლეგიონი ცურავს ვარსკვლავების“).

და თუ სფინქსი მარადიული, ამოუხსნელი, უცნაური, იდუმალი გამოცანაა, ტერენტი გრანელი უთუოდ სფინქსია პიროვნული თუ პოეტური იდუმალების გამო, აკი ჭეშმარიტი პოეტი გამოუცნობი უნდა იყოსო, ამბობენ სხვებიც: „მაგრამ რადგან პოეტი ხარ, უნდა იყო გამოცანა“ (აკაკი წერეთელი).

„აუხსნელად მშვენიერი ქმნილებები“ ხიბლავდა პოლ ვალერს .

გალაკტიონი წიგნი არის „ჩუმი, გრძნეული, ფარული“. თვით ტერენტი გრანელი არის „გრძნეული ლანდი“.

შემოქმედება – დედამიწის სიზმარი

ტერენტი გრანელის პოეზიაში ხილულის პარალელურად უხილავი, არსებულის პარალელურად მიღმური, ცნობიერის გვერდით არაცნობიერი ვლინდება. პოეტის აზრით, სულიერების პრიმატს, ზნეობრივ სიწმინდეს ადამიანი მიჰყავს უკვდავებამდე, მიწიერი სიცოცხლე კი ხანმოკლე სიზმარია, წარმავალი ილუზია.

ეს აზრი უძველესი დროიდან მომდინარეობს.

ძველ აღმოსავლურ პოეზიაში „ცხოვრება ესე მაიაა. ნაცარია მისი არსება“ (სუნდარარი) (1,89).

„სად დაგვეკარგა სიყვარულის, ხალისის ჟამი! ან იგი ჩვენთვის ჩრდილია და „სიზმარი ღამის“ – აცხადებს ჩინელი პოეტი (1, 155).

ასეთივე აზრია კორეულ პოეზიაშიც: „კაცთა ცხოვრება სიზმრის მსგავსია“ (1, 172).

ფრანგი პოეტი შარლ ბოდლერი ილუზიად ნათლავს ყოველივეს: „თითქოს ილუზიას ვემსახურები“ (ხმა) (2,90).

ანალოგიური მოსაზრება გასდევს რუსულ პოეზიას. ანდრე ბელის თქმით, „სიზმარია ეს ცხოვრება, – უცხადესად ხილული“ (მინდვრად) (3,36).

ვლადიმერ სოლოვიოვისფის ერთდროულად ძილ–ღვიძლია ცხოვრება: „ისევ ძილ–ღვიძლს ერთვის ცხოვრება“ (3,102).

ალ. ბლოკის პოეზიაში უურადღებას იქცევს „ოქროსფერი სიზმრები, თვალსხივოსანი სიზმარი, ლურჯი სიზმარი. ყრუ სიზმარი, ვერცხლისფერი სიზმარი, შავი სიზმარი, ზეციური სიზმარი, მწველი სიზმარი, სხვაგვარი სიზმარი, სიზმარი დილის“.

გვხვდება „სიზმრის ამბორები, სიზმრის რტოები, ტალღების სუნთქვა სიზმარეული, სიზმრის ხანა, სიზმარეული

ბოდვა, სუნთქვა სიზმარეული, სიზმარეული ჰანგი, სიზმრის ხელები“.

ასევე აქცენტირებულია მომავლის მაუწყებელი სიზმარი: „მღერის ქარი და მომავლის ფარდას მე გადამიწევს ლურჯი სიზმარი“ (შელოცვა ცეცხლით და წყვდიადით“ (4,45-54).

ამერიკელი პოეტის ედგარ პოს შემოქმედება ნაზავია სიზმრის და სიცხადის.

პოეტს ხიბლავს „ჯადოსნური სიზმრები, სიყვარულის სიზმრები, სანდო სიზმრები, წმინდა სიზმრები“...

ედგარ პოს ესიზმრებოდა სიკვდილის სამეფო, უფსკრულები, სიცრუე, მწუხრი, უსხივო ქალაქები, გაქვავებული გარემო, „საშინელი, ბოროტი სიზმრები“ უნამღავდა სულს („ქალაქი ზღვაზე“) (5,10).

„ნუთუ რაც მოჩანს, ან გვხვდება თვალში არის სიზმარი მხოლოდ სიზმარი“ (სიზმარი სიზმარში), კითხულობდა პოეტი (6,31).

მიუთითებენ, რომ ედგარ პოს განსაკუთრებული ინტერესი სიზმრისადმი კოლრიჯის და ბაირონის გავლენით აიხსნება: „მოსაწყენი რეალობის შემცველი მშვენიერი სიზმრის მოტივი ხშირად გვხვდება პოს ადრეულ ლირიკაში. სიზმრისა და სინამდვილის ურთიერთჩანაცვლება და დაპირისპირება საერთოდ ინგლისური და ამერიკული რომანტიზმის აკვიატებული, მუდმივი თემაა. ამას კოლრიჯმა დაუდო სათავე.

„ედგარ პოს ლექსებში გამოვლენილია აზრი სიზმრისეული რეალობისა და სინამდვილის თანაბარძალოვნებისა და ურთიერთშენაცვლების შესახებ“ (კ. კანდიერი, კომენტარები) (6, 98).

ყველა პოეტთან გვხვდება სიზმარი, როგორც შემოქმედებით პროცესის მახასიათებელი. ბოდლერი ამბობს: „... სიზმრებზე არ თქვა უარი: გიუებს ისინი აქვთ ბრძენებზე უფრო კარგები!“ (ხმა) (7, 254).

კონსტანტინე გამსახურდია ათქმევინებს კონსტანტინე სავარსამიძეყ „... ნეტარ იყვნენ მგლოვარენი სულითა, რადგან მათვის სიზმარია დღევანდელობა.

„განა თქვენ მართლა გჯერათ სინამდვილე?

„მე სიზმარსაც და სინამდვილესაც ორძილს ვეძახი... ხშირად სიზმარში უფრო კარგად ვერკვევი. სიზმარში ვხედავ მისალოდნელ სიმძიმილსა და სიხარულსაც. განა ჩვენი სინამდვილე თვით სიზმარზე უსიზმარესი არ არის?“ (8,182).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში ყურადღებას იქცევს იდეალთან, განწყობასთან დაკავშირებული სიზმრები, ყოფნის სიზმარეულობის მოტივი, განცდილის, მომავლის მომასწავებელი თუ წინასწარმეტყველური სიზმრები, შემოქმედებით პროცესის პოეტური გამონაგონის სიმბოლოდ მოაზრებული სიზმრები (ერთი ესთეტიკური პრინციპი რამდენიმე სახე – სიტყვათა მაგალითზე) (9, 31-47).

გალაკტიონის ფრაზას – „სიზმარში უცხო სიზმარი“ – ედგარ პოს გავლენას უკავშირებდა რ. თვარაძე (ედგარი მესამედ) (10, 14-17).

უიტმენთან მოიძიება ანალოგიური გამოთქმა: „და ჩემს სიზმარში მეზმანება სხვათა სიზმარი, სხვათა ზმანება“ (მძინარენი) (11,54).

ყოფნის სიზმარეულობის არსს ასე ხსნის რაჯნეში: „პრობლემას წარმოადეგენს არა მოქმედება, არამედ ყოფიერება. როდესაც თქვენ გაიგეთ თქვენი შინაგანი ყოფიერება და სინათლე, თქვენ უკვე არაამქვეყნიური ხართ. ის, რაც წარსულში მოხდა, ფაქტიურად სიზმარში მოხდა. აი, რატომ ამბობენ ინდოელები, რომ მთელი ცხოვრება სიზმარია, მხოლოდ თქვენ არა ხართ სიზმარი, მხოლოდ სიზმრის მაყურებელი არ არის სიზმარი, ყველაფერი დანარჩენი სიზმარს წარმოადგენს, მხოლოდ სიზმარია... სიზმრის მაყურებელი შეუძლებელია სიზმარი იყოს. სხვა შემთხვევაში სიზმარი არ იარსე-

ბებდა“ (ბჰაგვან შრი რაჯნეში, „ტანტრა“, უდიდესი შეცნობა) (12,258).

ტერენტი გრანელი სიზმრად აღიქვამდა წარსულს: „არის ძვირფასი და სიზმარია, როცა იგონებ მორეულ წარსულს (თან მზეა) (13,83) ყოფნას ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ სიზმარს (ბალში ქარია ისევ) (13,159), სიზმარი არ მშორდება მე შარშანდელი (სონეტი) (13,232). „ვდგავარ საოცრების კარებთან, როგორც სიზმარი წარსულის“ (ცისფერი სინათლე) (13,264).

თითქოს ვარ სიზმარში და ორგვლივ ქვებია“ (ფარული ვედრება) (13,151), და სიზმარივით თვალს ეფარება: თბილისი, ცრემლი, დღე რამდენიმე (ხსოვნის სიმაღლე) (13, 164), თან სიზმარივით ვხედავ თვალწინ გადაშლილ მინდორს (რა ვქნა) (13,214) მღალავს ქუჩა და კიბე, როგორც სიზმარი დილის (ანენილი ბედი) (13,44) ამაღამ ველი ისევ საშიშ, ლანდიან სიზმარს (მოგონება შორეულზე (13,77) გარეთ ქარია, ეს დღე არ მჯერა, თუ სიზმარია ჩემი დაჭერა (არიან ირგვლივ) (14,43), და გავალ მზეზე მე მოქანცული, როგორც სიზმარი და მოჩვენება (უიმედო დაბრუნება) (14,44) მე მთელი ლამე ვშფოთავდი წუხელ და საშინელი სიზმარი ვნახე (ისევ დებს) (14,58), ჩემი სული სიზმარია, ბედზე დარდი მოვატოვე (სიჩუმე და სიმარტოვე) (14,108), წუხელ სიზმრების ქსელში გავები“ (ლამე თანდათან შუქს იპარავდა (13,142). თან სიზმარივით ვხედავ თვალწინ გადაშლილ მინდორს (რა ვქნა) (13,214). ყველაფერი სიზმარივით მიდის (არ მიგრძვნია ჩემი დედის ძუძუ) (13, 18), აქ ჩემი მოსვლა თუ სიზმარია? (ისევ დავდივარ ზუგდიდის ბალში) (14,105). და სიზმრების მორევი ჩემთან მოდის გოდებით“ (განშორების ლოდები) (13,193-194), ავი სიზმარი ვნახე, მგონია, გუშინ დილით (რვა ივნისია, ცხელა)

(13,200). სინამდვილეში აქ ვარ და სიზმარში გარეთ (დადგა ამინდი ცუდი) (14,202), მე ხანდახან თავი მკვდარი მეგონება და ეს ქვეყანა მხოლოდ სიზმარეთი (ცრემლი შუალამის) (14,213), ამაღამ ველი ისევ საშიშ ლანდიან სიზმარს (მოგონება შორეულზე (14, 16), და მესიზმრება ის ჩვენი სახლი, რო- მელიც უკვე გაყიდულია“ (ძვირფას დებს) (14,76). თითქოს სა- კუთარ ცხედარს დავცექრი, არ ვიცი, მართლაც სინამდვი- ლეა, თუ სიზმარია ეს ყველაფერი? (დღეს გუშინდელი ფიქრი დავშალე) (14,71) და სიზმარივით მავალ (ზამთრის არია) (13,107) და საღამო მკრთალი სიზმარივით ჩანდა (სიშორის ცეცხლი) (13,154) ლურჯი სიზმარივით მოვა გაზაფხული, რო- გორც სიარული და როგორც დალალვა (გაზაფხული) (15,86).

მთელი საკუთარი ცხოვრება პოეტის მიერ აღქმულია, როგორც სიზმარი: „მე ... როგორც სიზმარი და მოჩვენება“ (არიან ირგვლივ) (14,43), „მე დაღალული და მე სიზმარი“ (სუ- რახანა) (14,79), „ჩემი სული სიზმარია“ (სიჩუმე და სიმარტო- ვე) (14, 108).

პოეტის მძიმე სიზმრები დაკავშირებულია აუტანელ ცხოვრებასთან, მას კავშირი აქვს რეალობის ტრაგიკული მოვლენებით ნასაზრდოებ განწყობასთან, რადგან „სიზმარ- შიც, ოცნებებშიც ჩვენ არარაობაში ან ცაში როდი ვიმყოფე- ბით, არამედ დედამიწაზე, სინამდვილის სფეროში, ოლონდ ნამდვილ ნივთებს სინამდვილისა და აუცილებლობის შუქში კი არ ვუყურებთ, არამედ ნარმოსახვისა და თვითნებობის წარმტაც მოჩვენებებში“ (რ. ნათაძე) (16,56).

ტერენტი გრანელი, როგორც ძალზე რელიგიური და ფილოსოფიურად მოაზროვნე პოეტი, თავისი ცნობიერების მრავალ ფურცელს ამზეურებს და შეხვედრას ავლენს წინა- მორბედ მოაზროვნებთან, სავსებით თან ხვდება მისი დას- კვნები ყოფნის სიზმარეულობის შესახებ წინამორბედთა და თანამედროველთა დებულებებს. „მწამს, ყოველივე რამ სიზ-

მარია“ (შემოდგომის პასტორალი) (13,105), „ყოფნას ვიგონებისე, როგორც შორეულ სიზმარს“ (ბალში ქარია ისევ) (13,159-160), მე ხანდახან თავი მკვდარი მეგონება და ეს ქვეყანა მხოლოდ სიზმარეთი“ (ცრემლი შუალამის) (13,185), „ყველამ თქვა: ყოფნა რომ სიზმარია“ (14, 253) (უმანკო ცრემლი დამეცა გულზე) (13,253) „ეს ცა, ეს ყოფნა ხომ სიზმარია“ (ოქტომბერია და მოდის ნისლი) (13,45). „და სიცოცხლე სიზმარია ღამის“ (სიჩუმეა და ქარიშხალს ვუცდი) (14,144).

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში მრავალგზის ხაზგასმულია „სხვა სიზმარი“, რომელიც დაკავშირებულია შთაგონებასთან.

„სიზმარს“, „თვალლია სიზმარს“ „ზღაპარს“ შემოქმედებით პროცესს უკავშირებდა გრიგოლ რობაქიძე: „ხელოვნური სინამდვილე ზღაპარია, ლეგენდა, მითი... ხელოვანი თვალლია სიზმარშია გახვეული“ (ერის სული და შემოქმედება) (17,308-317).

გალაკტიონი პოეზიას „სიზმარეთის კოშკებს“ უწოდებდა (ეფემერა) (18,139) „ოცნება-სიზმარს“, „სიზმარ-ცხადს“ პოეზიას მოუცილებელ ინგრედიენტებად მიიჩნევდა: „რის-თვის ბუნებამ მშობა პოეტად, რომ გავყოლოდი ოცნება – სიზმარს?“.

შემოქმედებით პროცესის სპეციფიკის გაცნობიერებაა გალაკტიონის ერთი გვიანდელი ლექსი: „როდემდე უნდა მივყვეთ ზმანებებს? ყოველდღიური სიზმრების ნატვრით როდემდე ივლით ასეთ ტკივილით? შემოქმედება, აზრო, გონება?“

„უნებური სიზმრით“ არის შემოსილი მეფე პოეტის შედევრები: „ზრდილი, ნაზი და მეფური ჩემი ძველისძველი ლექსი არის უნებური სიზმრით შემმოსველი“ (მოვა, მაგრამ როდის? (18, 101-102).

ღრმააზროვანი ძილი, „სიზმრების ღვარი“, და გამოღვიძებაა „ახალი დროის ჰამლეტის“ აღმოსავლეთის მახასიათებელი“ (აღმოსავლეთი) (19, 218-221).

ფრონიდის თქმით, პოეზია „მღვიძარე სიზმარია“, ამის გამო სინამდვილე, ყოველდღიურობაც სიზმარეულია: „ქვეყნად ყოველი დღე სიზმარია და სინამდვილეც მიჰყვება სიზმარს“, აცხადებს გალაკტიონი.

გალაკტიონი ხაზს უსვამდა თავისი „სიზმრების სიდიადეს“, „სიზმრების ფრთებს, „იდუმალ და ნაზ სიზმრების მხარეს“ და თავისი განსაკუთრებული „სიზმრებით“ ემუქრებოდა ვაიპოეტებს: „ბევრს ეშინოდეს ჩემი სასტიკი, ულმობელი გამოღვიძების, ვით გათენებას, მე ვხედავ სიზმრებს არათქვენებურს“ (მე მძინარე ვარ) (19,143).

„ტკბილ სიზმრებში მე მომესმის გარდატეხათ ხეტიალი“, გვამცნობდა მეოცე საუკუნის ქართული რენესანსული პოეზიის წარმომადგენელი.

გალაკტიონი სიზმრისეული ხილვებით გვიცხადებდა მომავლის კატაკლიზმებს (მე დამესიზმრა მწარე სიზმარი) (19,780).

ტერენტი გრანელის ლექსების ერთი ციკლი შთაგონებასთან დაკავშირებულ სიზმრებს ამზეურებს.

თუ პოეტი „ლურჯ სიზმარს“ გაზაფხულს უკავშირებდა, „სხვა სიზმარს“ შემოდგომასთან აწყვილებდა: „... გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, „ეს დღე, ძვირფასო, სხვა სიზმარია, ეს დღე, რომელიც ჰგავს შემოდგომას“ (ეს დღე) (14, 81).

„ცისფერი მხარის“ სიზმარს ეზიარებოდა სული: „იცი მაისი გაქრა, ჩანს ცისფერი მხარე. სინამდვილეში აქ ვარ და სიზმარში გარეთ“ (დადგა ამნიდი ცუდი) (14,204).

შთაგონებას უკავშირდება „ლოდინი ბედის“ (13,184): „...არის ცისფერი თოვლი, თეთრი ლოცვების გალმა. სული ფარული თრთოლვით მისდევს სიზმრების დაღმართს“.

ყურადღებას იქცევს ტერენტი გრანელის კიდევ ერთი სიზმარი ლექსში „წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი“ (14,96): „წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი და მივდიოდი, მივდიოდი საშიშ ქარიშხალს. ზარი რეკავდა: სამარადოდ იყავ წეტარი! წუხელ ანაზდად უკუნეთმა თავი აიშვა... წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი“.

ტერენტი გრანელმა მთელ თავის შემოქმედებას „დედა-მიწის სიზმარი“ უწოდა: „... ჩემი სუსტი სხეული გაწყვეტილი ძაფია, ჩემი შემოქმედება – დედამიწის სიზმარი“ (გადარჩება?) (14,33).

ზღაპარი და სიზმარია პოეზიის მახასიათებელი სხვა ლექსშიც: „... სთქვი: პოეზია – ეს ზღაპარია, სთქვი: პოეზია–ეს სიზმრის ახსნა“ (ძვირფას მეგობარს) (15,252).

უზენაესზე ფიქრიც სიზმარს დაუკავშირა, ალბათ, იმიტომ, რომ ათეისტურმა ეპოქამ უარყო ღმერთი და მასზე მხოლოდ ფარული ფიქრი და ლოცვა შეიძლებოდა: „შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის. გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი. გესმოდა ზარის ხმა უდაბნოდან და გაწვალებდა წვიმა და ქარი. ძველი დღეები შენს წინ ჩნდებოდა, როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის“ (MABCUEBITE) (14,17).

„ნისლიანი გზა“ ღმერთის გზაა, უზენაესი ნისლში სუფევს, ვაზი, ვაზის რტოც უფლის მეტაფორაა. „ცხოვრება“ ცრემლების ზღვაა, რეალობა უდაბნოა, წვიმის და ქარის სავანეა, მაგრამ პოეტს მაინც ესმის იქიდან ზარის მოწოდება, ხოლო „ძველი დღეები“ „ლურჯი სიზმრის ლანდებია“, ანუ მხოლოდ მორწმუნის ცნობიერებაში არსებულია.

„ძველი დღე“ უფლის ბიბლიური სახელა: „ბოლოს ვნახე, რომ დაიდგა ტახტრევნები და დაჯდა ძველი დღეთა. მისი სამოსელი თოვლივით სპეტაკი იყო... მისი ტახტი ცეცხლის ელვარება იყო, მისი ეტლის თვლები კი – მგზნებარე ცეცხლი.

„...ჩემს ღამის ხილვაში ვნახე: ეპა, ცის ღრუბლებზე მოდიოდა კაცის ძის მსგავსი; იგი ძველ დღეთასთან მივიდა და წარდგენილ იქნა მის წინაშე. მიეცა მას ხელმწიფება, დიდება და მეფობა, რათა ყველა ხალხი, ტომნი და ენანი მას ემსახურონ. მისი ხელმწიფება საუკუნო ხელმწიფებაა, ბოლო არ ექნება მას და მისი სამეფო არა დაიქცევა“ (დანიელ წინასწარმეტყველი, 7,9,13,14) (20,255).

ურწმუნო ეპოქაში პოეტი მაინც „ძველ დღეებზე“ ფიქრობდა, რაც ინიციაციის უცილო პირობაა.

განსაკუთრებით საგულისხმო ლექსია „სიზმარი“, რომელშიც პოეტი გარდაისახება „ბავშვი უფლის“ სახედ, „თეთრი ყვავილის“ თანხლებით ცხადდება და სულიერ თავისუფლებასაც აღწევს, რაც, კაცობრიობის მარადიული იდეალია: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი – ვფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბალში მე მივდიოდი თავისუფალი“.

უფლის ჩასახლება უმანკო სულში, „თეთრი ყვავილის“ სურნელის გათავისება წინ „უვალ გზებს“ შლის, ყორნის ჩხავილი კი შორს რჩება: „თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი, არ ქროდა ქარი და უცხო ბალში მე მივდიოდი თავისუფალი“ (სიზმარი) (13,138).

ეს თავისუფლების, რწმენის ყვავილი შემდეგ გოდერძი ჩოხელის რომან „მგელში“ გვიხვდება, რომელშიც „თეთრწვერა მოხუცი“ ლუკას – მწერლის ალტერ ეგოს ცეცხლწაკიდებული დედამიწიდან მაღლა აიყვანს და ყვავილის პოვნას ავალებს (21, 170-171) რომანში ყვავილით აფრთხობს მგლებს ლვთისნიერი თევდორე, ხოლო თანდილა, სიკვდილის წინ, როგორც წმინდანი, ყვავილების თაიგულად გარდაისახება) (21, 64-65).

დამონმებანი

1. აღმოსავლური პოეზია, თარგმანი თ. ჩხენკელის, თბ. 1981
2. ფრანგი პოეტები, თარგმანი გივი გეგეჭკორის, თბ. 1984
3. მარადი დღე, თბ. 1984
4. ალ. ბლოკი, რჩეული ლექსები და პოემები, მთარგმნელი სოსო სიგუა, თბ. 1995
5. Эдгарь По, собрание сочинений Эдгара По, в переводе с Английского К.Д.Бальмоита, т.І, поэмы, сказки, Москва, 1911
6. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ. 2001
7. შარლ ბოდლერი, ბოროტების ყვავილები, ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა, თბ. 1992
8. კონსტანტინე გამსახურდია, დიონისოს ღიმილი, თხზ. 20ტომად, ტ.ІІ, თბ. 1992ნ.
9. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, თბ. 1991
10. უ. ცისკარი“, 1980, №9
11. უოტ უიტმენი, ბალახის ფოთლები, თბ. 1966
12. „საუნჯე“, 1991, №3
13. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
14. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ., 1991
15. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
16. რევაზ ნათაძე, რა არის სიზმარი, თბ. 1948
17. შერისხულნი 15 ტომად, ტ. 2, თბ. 1994
18. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
19. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1977
20. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
21. გოდერძი ჩოხელი, „მგელი“, თბ. 1988

ლექსი – სისხლის რვეული

შემოქმედებით ტკივილებზე, ჭეშმარიტების მიგნებისთვის საჭირო წამებაზე, ცრემლსა და სისხლზე, ჯვარცმის ტოლფარდ განცდებზე მსოფლიოს მრავალ კლასიკოსს უწერია.

გოთეთ გერმანელ მწერალს „მარტვილს“ უწოდებდა, ამასთან, ჭეშმარიტების მიგნებისთვის საჭირო ტანჯვაზე, ცრემლზე აკეთებდა აქცენტს და აცხადებდა: „...და შეიცნობს სოველი თვალი ღვთაებრიობას ცრემლისა და სიმთა წყრიალის“ (შერიგება) (1,240).

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „ტკივილებზე და სისხლის ნაკვალევზე იზრდებიან ხელოვნების გულგალელილი ორშიდეები“ (ფრაგმენტი ტრილოგიდან: ხელოვნება, სიტყვა, ხატი, მუსიკა (2, 14)).

პოეტების მეფე გალაკტიონი ცრემლებით რწყავდა თავის „სულის ვარდებს“ (მორი ალერსი) (3,97).

„მთაწმინდის მთვარის“ ავტორი ბავშვობიდანვე იყო ჯვარზე გაკრული, ის „ციური ცრემლით“ კვალავდა „ეკლიან გზას“ (ყველაფერს ამბობს ობლის საფლავი) (3,16).

ნიკო სამადაშვილი კითხულობდა: „რომელი ჯვარცმა შეედრება ამ ჩემს წამებას?“ (ჩემი დღე) (4,18-19).

„ფერისცვალების“ ავტორის ფურცლები იყო „შედუღებული ცრემლების კირით“ (4,65).

„სევდის ტრიუმფატორი“ იყო ტერენტი გრანელი. ლექსი მისი „გული და სისხლი“ იყო: „ალბათ გულიდან სისხლი მდიოდა და გული ჩანდა უფრო სტრიქონთან“ (ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი) (5,55).

„ცრემლია სიტყვის იქით“ (თოვლი) (5, 196).

„მე, პოეზიის უმანკო მსხვერპლი“, (შენკენ მოქრიან ეს ჩემი გზები) (6,198), აცხადებდა ტერენტი გრანელი.

„წმინდა წამებით“ განმცდელი იყო პოეტი (სადღაც შორს) (6,27).

მის თვალში „ცრემლები ყვაოდა“, ფიქრებისგან განუშორებელი იყო „ლოცვები სიწმინდის“ (სოფლის სიჩუმე) (6,30).

„წამების ლანდი, ცრემლი და სისხლი“ იყო პოეტის შემოქმედებითი პროცესის მახასიათებელი (ზამთრის ბარელიეფი) (6,42).

ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებულ საზღვრებს სცილდებოდა: „...ლამდება და მეც ვცილდები საზღვარს“ (მოგონება ქარში) (6,51).

ახალი სიტყვის შემოქმედს სამყაროს შემოქმედ ღმერთთან ახსენებდა: „პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი“ (6,76).

ლექსში „შემოდგომის პასტორალი“ პოეტი „მწუხარექრისტეს სისხლიან ბედთან“ არის შედარებული (6,81-82).

„წირვებით წამილებს წამების მწვერვალი“, ნათქვამია ლექსში „ფარული ვედრება“ (6,34).

„ლექსი შეღება სისხლმა“ (ბალში ქარია ისევ) გვამცნობს „მემენტო მორის“ ავტორი (5,153-160).

შემოქმედებისთვის გაღებული წამება, ტანჯვა სიხარულის მომტანია: „ჩემთვის წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები“, აცხადებს პოეტი (კითხვა ასეთი: ყოფნის რაობა) (5, 218).

სევდის აპოლოგეტი ლექსისთვის საჭირო ძალისხმევას „იობის ტანჯვას“ ადარებდა (დაბრუნება სოფელში) (5,223).

მაღალი იდეალებისთვის ჯვარცმულ პოეტს არ აშინებდა ეკლები, სევდა, რადგან გაცნობიერებული ჰქონდა თავისი მოწოდება: „...და ისევ ხელი მოვავლე ეკალს, ეს მხარე ისევ სევდის მხარეა. იქ მივალ, სადაც გრიგალი რეკავს, იქ მივალ, სადაც სიმწუხარეა“ (შენ იმედები ალბათ გაგიარს) (5, 262).

სიტყვის „მაღლობთან“ მდგომი პოეტი აცხადებდა: „მეს-მის ჭრილობა მხოლოდ პოეტის“ (ვდგავარ მაღლობთან, როგორც გუშაგი) (6, 286).

მისთვის „ლექსი გული“, „ლექსი სისხლი“ იყო (მაღალო ცაო) (5, 205).

პოეტს გაცნობიერებული ჰქონდა, რომ შთაგონება ღმერთით, ცით მინიჭებული მადლია, ის ხედავდა „ცათა ცას“ და მზად იყო გულის სისხლი გაელო შემოქმედების-თვის: „და ჩემი ლექსი შეღება სისხლმა, რა ბრწყინვალეა ცა იქაური“ (ახლაც ვიგონებ) (5,212).

მისი იდეალი იყო „სისხლით ნაწერი წიგნი“ (დღეს გუ-შინდელი ფიქრი დავშალე) (5,78).

ცის, ღმერთის ხელდასხმული პოეტი არა ეპიგონის, არამედ სრულიად ახალი გზით მიდიოდა: „ციდან ფიქრები ცვივა, წინ მიდის გზები უვალი“ (მწუხარე შუქი ჩნდება) (5, 95).

მისი სწრაფვის საგანი იყო არა საღამო, არამედ „ცის-ფერი ღამე“ – უზენაესი არსებების სამყოფელი: „მწუხარე სა-ხით მოვწყდი საღამოს და ახლა მოვალ ცისფერი ღამისკენ“ (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (5,82).

„ცრემლია სიტყვის იქით“, მრავალგზის აფიქსირებდა პოეტი (თვალი) (5,27-28).

შემოქმედებითი ტანჯვა, ცრემლი საჭირო სათქმელის მიგნებისთვის გახარჯული ძალისხმევა პოეტის ყველა ნაწერში იჩენდა თავს: „...მე იმდენად შევერვიე სევდას, ყველა ლექსი ცრემლით დამისველდა“ (საახალწლო ელეგია) (5,36).

ამიტომ უხაროდა მარტოსულობა, ობლობა და მხოლოდ მაღალი იდეალებისთვის გაღებულ ცრემლს აფასებდა: „...და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს“ (უმიზნო ხეტიალი) (5,41).

მსოფლიო პრობლემებით დაინტერესებულს, წარსულში განცდილი წამება ეცოტავებოდა, მზად იყო მომავალში მოსა-ლოდნელი წამებისთვის: „...რომ კვდება გული – მსოფლიო ღერში. ის არ მეყოფა, რაც რომ ვიწვალე და კიდევ სხვაგვარ წამებას ველი“ (სადღაც და ვიღაც) (5,117).

მის შემოქმედებაში ერთდროულად იყო გულისა და გონების ძალა, მიწა და ზეცა.

ეპოქის სიბნელეებთან შერკინებული აცხადებდა: „მე განვიცადე ეს ქარიშხალი, მე განვიცადე დიდი წამება“ (ქარი მიწყნარდა) (6,231).

„რამდენი ცრემლი, რამდენი დარდი, რამდენ ფიქრი და გამართლება“ იყო საჭირო სიტყვის მწვერვალის დასაპყრობად, მაგრამ ამას არ უშინდებოდა. რადგან ემდედებოდა „მფარველი ანგელოზი“ (ნელა მივალ, სიჩუმეა ირგვლივ) (6,235).

„ცისფერი ოცნების“ მიგნებას წამება სჭირდება, ამასთან „ზამთრის ქარებთან“ შერკინების უნარი (ამდენ წამების და გლოვის შემდეგ) (6,238).

პოეტი მხოლოდ ლოკალურ გარებაში კი არ იკეტებოდა, პლანეტებზე ფიქრობდა, ეძებდა მარადისობას, უსაზღვროებას: „...მე ისევ ვეძებ გულისთვის საფლავს, მე ისევ ვეძებ მარდისობას“ (ფიქრი დაეშვა მაღლიდან დაბლა) (6,242).

მაღალი იდეალისთვის არ ენანებოდა ცრემლი, მზადიყო გამკლავებოდა წამებას, დაცინვას, უფსკრულის მოლოდინს: „...დე იყოს ცრემლი, იყოს უფსკრული, იყოს წამება, იყოს დაცინვა“ (კმარა სიჩუმე) (6,244).

მისთვის პოეზია იყო „იდუმალება“, უსაზღვროება, მარადისობა“, (სადღაც შორს ნაპრალს ნისლი ეწვია) (6, 247).

„წამების, საშინელი გრიგალის“ მოლოდინი არ აშინებდა (ხან წუხილია, ხან დაღამება) (6,207).

„ისევ იცლება გული სისხლისგან და ჩემი გრძნობა ლექ-სში იღვრება“, წერდა პოეტი, რომელსაც გათავისებული ჰქონდა შემოქმედის წამება (სიშორეზე) (6,215).

„სიხარულის წამი“ მხოლოდ „დიდი ტანჯვით და წვალებით“ მიიღწეოდა.

გენის ზღვა ბობოქრობდა პოეტის სულში და მიწიერე-

ბა ნისლით იფარებოდა. „...და სადღაც ლელავს ზღვა ძლიერი და ზღვა ირჩევა და ყველაფერი მიწიერი ნისლში ეხვევა“ ცეს ყველაფერი ჩემზე ითქვა) (6,225).

პოეტი აცხადებდა: „და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ლოყას უსველებს“ (უმიზნო ხეტიალი) (6,146).

ეს მაღალი იდეალებისთვის დაღვრილი ცრემლი უნდა ყოფილიყო.

ცხოვრებას აღიქვამდა, როგორც ტალახს, რომელიც პოეზიას, ამაღლებულ იდეალებს ებრძოდა: „...ეს ცხოვრება ტალახია უფრო და ცხოვრება პოეზიას ებრძვის“ (ეს ოცნება სარკესავით ელავს) (6,221).

სიხარულს ტალახად აღქმული ცხოვრება კი არა, პოეზია ანიჭებდა: „...მესმის ცხოვრება, როგორც ტალახი და პოეზია სიხარულია (პოეზია) (6,222).

ფიქრი ყოველთვის „მაღლა“, ოცნების ცისფერ მხარეში მიისწრაფოდა (მთვარე ფანჯარასთან) (6, 156).

„მარადისობის შუქი“, უზენაესი უსხივოსნებდა სულს, „მსოფლიო სევდის ცეცხლი“ არ აძლევდა მოსვენებას: „სულ-თან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის... მე ვიფერფლები, გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია“ (მარადი-სობის ლაჟვარდები) (6,158).

პოეტის მთელი ინტერესი შემოქმედებას, პირველხარისხოვან მხატვრულ სიტყვას მიემართებოდა, პოეზიაში „უდიდესი“ ლირიკოსი ცხოვრებაში“ გზადაბნეული“ იყო. ათეისტური ხელისუფლება ნიჭის, შედევრების მიხედვით კი არ აფასებდა დიდოსტატებს, არამედ მლიქვნელთა, სოციალიზმის მეხოტ-ბეთა არმიას ქმნიდა, რომელთაც არაფერი აკავშირებდათ სიმართლესთან, ამიტომ იყო დიდი პოეტი განაპირებული, მისი საარსებო პირობები უგულებელყოფილი, ამიტომ უწოდებს არაპრაქტიკოსი პოეტი თავის თავს მიუღებელი პირობებისგან განაპირებულს: „...მე ვერ მიშველის თვით ჩემი ლექსი, თვით ჩემი ლექსი – სისხლის რვეული, პოეზიაში ვარ უდიდესი და

ცხოვრებაში გზადაპნეული“ (ქრიან ფიქრები თეთრი და შავი) (6, 171).

ტერენტი გრანელისთვის ლექსი „მისტერია და სასიკ-ვდილო განცდა“ იყო (მისტერია) (6,187).

ცის, ღმერთის უგულებელყოფას ხედავდა, სულიერი ავ-დარი აღაშფოთებდა, „პლანეტის სევდა“ აწამებდა: „ცა იც-რუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“ (ცა იღრუბლება, მოდის ავდარი) (6, 189).

„უვალ გზაზე“ ორიენტირებული, „ძლიერი ტალანტი“ იყო ტერენტი გრანელი, როგორც თვითონ აცხადებს, მისი სამშობლო იყო „ლაჟვარდები“ (MEMENTO MORI) (6,192) (შდრ. გალაკტიონის „სილაჟვარდის“ სტრიქონები: „...ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაჟვარდე“. ეს ეპოქალური სატკივარი იყო, რომელსაც ასე ეხმაურებოდნენ არა მხოლოდ ერთი ეპოქის, არამედ საუკუნეების პოეტები.

გრძნობდა საკუთარ სიდიადეს, თავისი ნალველის მარ-თებულობას: „დროა, გრიგალმა მაღლა აგწიოს, როგორც ოც-ნება დიდი ნალველის“ (ვიგონებ ალერსს და დღეებს გან-ვლილს) (6, 254).

მშვენიერების, ცისფერი სამყაროს მაძიებელი პოეტი დარწმუნებული იყო, რომ ცაში, მარადისობაში დამკვიდრდე-ბოდა მისი ოცნება (სონეტი) (6,259).

პლანეტების, მსოფლიოს პრობლემების გამთავისებელ პოეტი „მარსის წიაღიც“ აინტერესებდა.

„დიდ წამში“ იბადებოდა მისი „ცისფერი სიტყვა“, მისი სულის „თეთრი შუქი“ ანათებდა და ითავისებდა საკაცობრიო პრობლემას, „ყოფნის რაობას“, „ცისფერი ღამე“ (ღმერთი) იყო მისი ინტერესის საგანი (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავ-და) (5, 82).

„ცისფერი ყვავილი“ იყო პოეტის სულში დავანებული“ (შორეული ყვავილები) (6,106).

„ცისფერი სინათლე“ უსხივოსნებდა სულს (ცისფერი სინათლე) (6,108).

მინას რომ შორდებოდა, როგორც ცოდვის სავანეს“, მარადისობის ლაუვარდებს“ ეთაყვანებოდა (მარადისობის ლაუვარდები) (6,116).

„გული – მსოფლიო ღერძი“ იყო, რადგან მთელი კაცობრიობის სევდა-სიხარულს შეიგრძნობდა.

პოეტის სულში „საოცრება“ (ლმერთი) იყო დავანებელი (სიშორის ცეცხლი) (6, 127).

სულით ხედავდა „ცისფერ ქვეყანას“ (ქარი ეწვია ყვავილს) (6, 128), „ცისფერ ლამეს“ (ლმერთს).

ტერენტი გრანელის პოეზიაში რუსთაველიდან მომდინარე „მზიანი ლამის“ იდენტურია „ცისფერი ლამე“.

პოეტი შეუცნობლად მიიჩნევდა თავის შემოქმედებას, „უცნობ სფინქსად“ (უცნობი ლანდი) (6,124).

ის წუხდა, რომ „სიბნელე“ იყო მის ორგვლივ, მისი „ძლიერი ტალანტი“ შეუცნობელი იყო (ჩემი ბედი) (6, 187).

საბოლოოდ მაინც შეიგრძნო პოეტმა ხალხის დაფასება და ეს დიდი სტიმული იყო, სიცოცხლის აზრის მაძიებელი ლირიკოსისთვის: „....უკვე ინამეს ჩემი გენია და ჩემი ცეცხლი დაუშრეტელი“ (მე ეს ოცნება ყოველთვის მდევდა) (6, 203).

„სიხარულის წამი“ „დიდი ტანჯვის და წვალების“ შემდეგ ეწვია (მიდის წამება ჩემი) 6, 219).

„ლამის სტრიქონებში“ აცხადებდა: „...როგორც ქრისტე, ვიხედები მალვა... ახლა მინდა ვარსებობდე ყველგან, მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი... და, ძვირფასო, ჩემს ბრნყინვალე სახელს, ვგრძნობ, მსოფლიო აღიარებს მალე“ ც(ლამის სტრიქონები) (6, 208-209).

აინტერესებდა „სიცოცხლის აზრი“, არა მხოლოდ ჩვენი სამშობლო, მთელი მსოფლიო, „სხვა პლანეტები“.

ანუგეშებდა აღიარება არა ხელისუფლებისგან (რომელ-მაც გიუად გამოაცხადა გენიოსი პოეტი), , არამედ ინტელექ-ტუალური მკითხველისგან, რომელმაც უცდომლად შეაფასა მისი თვალსაწიერი: „უკვე იწამეს ჩემი გენია და ჩემი ცეცხლი დაუშრეტელი“, „ნერდა საზღვარს იქით“, ანუ ჩვეულებრივ მოაზროვნეთაგან განსხვავებული, „საზღვარს იქით“ გაღწეული შემოქმედი (მე ეს ოცნება ყოველთვის მდევდა) (6, 203).

ზვიად გამსახურდია მიმართავს ტერენტი გრანელს: „თუ არ გასთელე უსასოო ჭმუნვათა ველი, ვეროდეს ჰპოვო ღვთა-ებრივი სევდის ბალნარი, ვერ ეზიარო უზენაესს ლოცვად დამდნარი, ვერ მოიწიო სასოების სავსე თაველი. სოფლის ამაო განცხრომანი, ნეტარებანი, სიზმარებრ გაქრნენ, მოგე-ლიან ანგელოზთ დასნი, ახმიანდება შენში ისევ საღვთო ება-ნი“. (ციკლიდან ტერენტი გრანელი) (7, 86).

დამონმებანი

1. იოჰან ვოლფგანგ გოეთე, ლექსები, თარგმნილი ხარიტონ ვარდაშვილის მიერ, „საბჭოთა მწერალი“, თბ. 1952
2. ქართული ლიტერატურული ესსე, 20-იანი წლები. შეადგი-ნა და წინასიტყვაობა დაურთო მანანა ხელაიამ, „მერანი“, თბ. 1984
3. გალაკტიონ ტაბიძე, ხუთტომეული, ტ. 1, თბ. 1993
4. ნიკო სამადაშვილი, „ფერისცვალება“, ლიტერატურის მა-ტიანე, თბ. 2004
5. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პა-ლიტრა L“ თბ. 2012
6. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
7. ზვიად გამსახურდია, კოსმიური წირვა, ლექსები, თბ. 2014

იმპრესიონისტული ხილვები. სიმპოზიუმის გვარე ყვავილები

ტერენტი გრანელის პოეზიაში შეიძლება ვიპოვოთ რომანტიზმის, სიმბოლიზმის თუ რეალიზმის ნიშნები. ამ მიმდინარეობათა ზოგიერთი პრინციპის არადოგმატური გაზიარება, მისთვის იმპრესიონისტული ხელწერა მრავალი რამის გამო აღმოჩნდა მისაღები. ყველა ქვეყნის სიმბოლიზმი დაკავშირებულია იმპრესიონიზმთანაც. გამონაკლისი არც ტერენტი გრანელი იყო.

იმპრესიონიზმთან ანათესავებს პოეტს წუთიერების კულტი, შთაბეჭდილებების ფიქსირება, თემის ვარიაციული დამუშავება, ფერწერული ტონის წინ წამოწევა, ფერებისადმი, შუქჩრდილებისადმი, მინიშნებებისადმი ინტერესი, სურათის დაუმთავრებობის პრინციპი, უშუალო შეგრძნებები, ფიქსირებული განწყობილების რღვევა, იმრესიონისტული ხილვით არსებითი დეტალების აქცენტირება, ლექსების ერთ ნაწილში ნისლოვანება და ბუნდოვანებაც შეინიშნება.

ტერენტი გრანელის იმპრესიონიზმში ამ ცნების პოზიტიურ გაგებას ვგულისხმობთ, ჯ. რევალდის, ლ. ანდრეევის, კ. პაუსტოვსკის, გ. პლეხანოვის მიერ „რეაბილიტირებულ“, რეალიზმთან შემოქმედებითად დაკავშირებულ იმრესიონიზმს, ბალზაკის, ზოლას, ბოდლერის, მალარმეს მიერ გზადალოცვილ იმპრესიონიზმს, როგორც სიახლეს, კლასიკური ხელოვნების ტრადიციებთან ორგანულ კავშირს, რეალიზმის მონაპოვრების გამრავალფეროვნებას.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, ზოგჯერ ტერენტი გრანელის პოეზიაში ადგილი აქვს ფერების გამუქებას, დრამატიზმისა და ტრაგიზმის მომძლავრებას, მაგრამ ოპტიმისტური მსოფლგანცდა უფრო მეტად მის იმპრესიონისტულ ლექსებში გამოვლინდა.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში განსაკუთრებულა-

დაა გამოკვეთილი წამი და წუთი - - შემოქმედებითი დრო, „ანთების წამი“, როცა ხდება მარადიულის, არსებითის ხილვა და გაუკვდავება. ეს შთაგონებული წამი ანიჭებს პოეტს ჭეშმარიტ არსებობას, ხოლო დანარჩენი დრო სიცარიელეა. „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ამბობს პოეტი და ფიქრით ეტოლება პირამიდებს, ფიქრით მიელტვის უკვდავებას, ფიქრიანი წამით ხედავს ოცნების იქითა შორეთს: „ფიქრი, ყოველ წამს ფიქრი, გუშინაც ასე ვწერდი. თეთრი ოცნების იქით ვხედავ შორეულ წერტილს“.

ეს ყოვლისშთანმთქმელი, ემოციებითა და სტრესებით დამუხტული წამები ხდება კარგი ამინდის, უკეთესი მომავლის საწინდარი: „ვუცდი სხვა ამინდს, ახლა წამია, ასეთი წამი კლავს ადამიანს“.

„ფქროსფერი წუთის“, ქარის, ძიების, „დიდი წამის“ მოლოდინი იყო პოეტის მთელი ცხოვრება: „და ქარი ხმაზე და წამი – დიდი, და ვხედავ, მთაზე რომ ვიღაც მიდის“.

შთაგონებული წამები მისთვის ზეციურივით დიადია: „და ვგრძნობ ზეციურ წამებს“.

„ფიქრების წუთები“, „ცისფერი წამი ზმანების“, „გარინდების წყნარი წამი“, „წამი სხვა გარინდების“, „სხვა წამი“ პოეზიასთან, ნათელზოდვასთან დაკავშირებული წამებია.

ზეცა, ცა ზემთაგონების დედაა ტერენტი გრანელის-თვის და ბედნიერი წამებიც თითქოს ცითაა გაპირობებული: „ზეცა ბედნიერ წამის მთოველი, უმშვენიერესს დღეებს მოველი“.

ზეციურ, მდუმარე წამებს მოაქვს უძილო ღამე: „და ვგრძნობ ზეციურ წამებს, ახლო მდუმარებს ბალი. ასე გაივლის ღამე, ღამე უძილო სახის“.

ასეთ წამებში დაინახება უხილავი, ქართან შეთანაბრებით, ცადმიმსწრაფი აღტაცებით ხდება ჭეშმარიტების გასხივოსნება: „ეს წამი ჩემთვის უდრის ანთებას“... „ალბათ, გამაფრენ ზეცისკენ, ქარო, როცა დადგება დრო აღტაცების“ („მოწყენილია ახლა თბილისი“). „ეს იყო წამი, ცისფერი წამი

და იყო წამი სხვა გარინდების“, ამბობს პოეტი და ეს „ცისფერი წამი“ ნათელხილვის წამია.

ფიქრის ქარიშხალთან შეწყვილება, ქროლვა. მოძრაობა მაძიებელი წუთის თანმხლებია: „შორს მიდიოდა ღრუბელი ლეგა და იდგა ღამე ლურჯი წყალივით და იყო წუთი, როდესაც ყველგან დაჰქროდა ფიქრი ქარიშხალივით“.

ვარსკვლავების, მთვარიანი ღამის სივრცის, ქუჩის პირისპირ პოეტია და საოცარი წამი: „და ვარსკვლავები ბრნყინავენ მაღლა, სივრცეა, ქუჩა, მე ვარ, წამია, მშვენიერ სოფელს ვიგონებ ახლა და მთვარიანი თეთრი ღამეა“.

პოეტის სიცოცხლის აზრი განიზომება შთაგონებული წუთებით, წვიმის შემდეგ გამოპრწყინებული მზის სიხარულით: „და ვიცი, დღემდე რას ნიშნავს წუთი, მე წვიმის შემდეგ მთელი დღე ვწუხდი“.

პოეტი ხშირად უპირისპირებს ერთმანეთს დიად. ზეშთაგონებულ წამებს „და მძიმე წამებს“. თუ შთაგონებული წამი მზესთან, ცასთან, აღტაცებასთან დაკავშირებულია, ნაღვლიანი წამი – პირიქით, ყველაფერს ბნელში ძირავს: „ჩემი სახელი უფრო დიდია.ჩუმი ნაღველის წამი ბინდია“.

ტერენტი გრანელისთვის ფასეულია ერთი, უძილო, თეთრი და არა მრავალი წარმავალი წამი. პოეტი გოეთესავით, გალაკტიონივით „მავალ წამს“ უპირისპირებს ერთ, მაგრამ დამუხტულ, დიად, ნათელ წამს: „წამი მრავალი და წამი ერთი. წამი მავალი და წამი თეთრი. წამი მავალი და წამი ერთი“.

„მხოლოდ ახლა, მხოლოდ წამი და ამ წამიერებაში მოქცეული მარადისობა არსებობდა მისთვის“ (ლ. ალიმონაკი. „კვირის წირვები“. თბილისი, 1984წ., გვ. 26).

იგი „აქვავებდა წარმავალში წარუვალს, უჭვრეტდა მცირედში საყოველთაოს, მიწიერში ზეციერს“ (იქვე, გვ. 1).

პოეტი „მიელტვოდა მარადისობის განამიერებას და წა-
მის შეჩერებასა და გამარადიულებას“, წერს ლ. ალიმონაკი
(„კვირის წირვები“, გვ. 164).

იმპესიონისტული მანერით ამუშავებს პოეტი თბილისის
პეიზაჟს.

მშობლიურზე შეყვარეული პოეტისთვის თბილისის გა-
რემო, მშობლიური ბაღები, მზე, შინაგანი ანთების, „სხვა წა-
მის“ იმპულში ხდებოდა და ეხებოდა რა პოეზიის თემასაც,
სულიერი თრთოლვა, შინაგანი ღელვა, დიდი სულიერი ძვრე-
ბი და ქართან, მოძრაობასთან წილნაყარობა გადმოიცემოდა
იმპერესიონისტული მინიშნებებით, სათემელის დაუმთავრებე-
ლობით. გაუმთლიანებელი ლოგიკით: „ჩანს დღეა თბილი, თა-
ნაც ქარია. დავყურებ თბილისს და მიხარია. და მზიან ამინდს
შევნის წუთები. მოვა სხვა წამი და შევწუხდები. მზე სხივებს
გაშლის, როგორც კრებული, ვარ ისევ ქარში გაჩერებული. და
ვნანობ გვიან, დღეა ანთების და მზეში კრთიან შორს გუმბა-
თები. ირევა ფიქრი, ცა გაშლილია და ბალის იქით მთების
ჩრდილია. უფრო ვარ ისე, გზა მიდის სწორედ, გული ქარის-
კენ გადავისროლე. ჩანს დღეა თბილი, თანაც ქარია. დავყუ-
რებ თბილისს და მიხარია“.

სხვაგან ხედვითი სახეა მთავარი: „შორს სოფელივით
ჩნდება დიდუბე, ძირს ასანთივით ყრია სახლები“.

პოეტი შთაპეჭდილებას აყენებს წინა პლანზე, იგი ბუნე-
ბის თვითმიზურ კონტურებს კი არ ქმნის, არამედ მისთვის
მთავარია თბილისის მზით მოვლინებული შთაგონება. შინაგა-
ნი ქროლვის მოტივით „ანთებისა“ და პოეტური ხილვის წუ-
თები.

სალექსო განწყობა, ლექსით ცხოვრება ტერენტი გრა-
ნელს მრავალ ლექსში აქვს გაცნობიერებული: „ხომ მაღელ-
ვებს მე ასე თეთრი ფიქრის თარეში. სხვა პოეტი ვერ დას-
წერს ლექსს ოთახის გარეშე. და ზეციდან – ეს ღმერთი და
გულიდან – ეს სისხლი და ვარ თითქმის ყოველთვის განწყო-

ბილი ლექსისთვის. მიწა, ცა უმაღლესი ხომ პოეტის გულია და მგონია მე ლექსი ყველგან გაპნეულია“.

ზოგჯერ ფიქრი, ქარი, მშობლიურის ხელშესახები გან-ცდა, კვნესა, დაფასების ნატვრა და კითხვა ერთმანეთშია გა-დახლართული: „ფიქრი და ველი ქარს უკავია. დღეს რუსთა-ველის ქუჩას გავიარ. შენ გესმის კვნესა და შენ იხრები და ვიცი, დღესაც რომ დავიღლები. უნინ, ოდესლაც შენ მაფასებ-დი ახლა? – როდესაც დღეა ასეთი“.

სხვაგან თბილისის ნისლიანი ცის მწუხარება, ღრუბლია-ნი მზე, ქარის ქროლვა, ავდარიც ვერ აღონებს პოეტს, რად-გან ვიღაცასთან საუბარი (ამ პიროვნებას გაურკვევლობის, იდუმალების მოტივი შემოაქვს) დიდი სტიმულია და გულგაშ-ლილი პოეტი „თეთრი ფიქრის ტყვევა“: „ცაზე ნისლია, ცა მწუ-ხარეა, ეს თბილისია, თუ სხვა მხარეა. და თეთრი ფიქრი ისევ გულს გაშლის. ქარი ქრის ირგვლივ და მივალ ქარში. გესაუბ-რები, ათი სრულია და მზე ღრუბლებით დაფარულია“.

„შორეული ყვავილები“ მრავალთემიანია, ლექსში ლირი-ული აღსარება უაღრესად განზოგადებულია, დაკარგული, „თეთრი იმედი“, „ფერადი ცრემლებით“ სავსე ღამის უბე, უძი-ლობა და სულში დაგანებული ცისფერი ყვავილი, ნისლივით გასაქრობად განწირული სინაზე და სანთელივით დნობა – ყო-ველივე ეს „თბილისის ნინაშე“ ხდება: „მე უფსკულთან მივე-დი, ყოფნა ისე მომბეზრდა. ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც და ცრემლები ფერადი დარჩა ღამის უბეში. სადღაც მიდის ბარათი დატვირთული ნუგეშით. ჩამორეკეს წარები და ქალწული ატირდა. ფიქრი ჩადგა ქარივით შემოდგომის ნაპირ-თან. ღამე ასე გაივლის და ლანდები სურვილთა და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან. მიდის ჩემი სინაზე, როგორც ნისლი დილების და თბილისის ნინაშე სანთელივით ვილევი“.

ტერენტი გრანელისთვის ორგანულია კონტრასტული აზროვნება, ქარიშხალი და ვარდის რტოები, ქარი და ყვავი-ლები, ქარი და ალვა, მზე და ჩრდილი.

გვხვდება ამ თემის ვარიაციები. ქარისგან გადარჩენილი

თეთრი ყვავილი ლექსის ლირიკული გმირია, რომელსაც დარღი და მარტოობა ახრჩობს: „ქარს გადაურჩა თეთრი ყვავილი... ფიქრების გროვა და დარდი ახლო. არავინ მოვა, არავინ მნახავს“.

ტერენტი გრანელის ზოგი იმპრესიონისტული ლექსი ცეცხლის, ყვავის სახის გამოყენებით ქმნის შავი დროის ფერწერულ სურათს: „ფიქრს ცეცხლი მოსდევს და დროა შავი. ვზივარ და შტოზე ჩამოჯდა ყვავი. მზე ცაზე ავა, მომბეზრდა თავი. სასახლეს ავად დასჩავის ყვავი. მისდევენ ქუჩებს და დროა შავი. ვზივარ და უცებ გაფრინდა ყვავი“.

ბედი და უბედობა, ქარი და სიკვდილი, მზე და ჩრდილი ფიგურირებს ტერენტი გრანელის ერთ იმპრესიონისტულ ლექსში: „აჟა, მგოსნებო, მოდის ზამთარი. ბედზე ყოცნებობ ასე გამხდარი და მოპქრის ქარი და სიკვდილია. შენსკენ მზე არის, ჩემსკენ ჩრდილია“.

ქარის მუქარა, სიკვდილის მოლოდინი, ღრუბლიანი დღის სევდა, ყვავის ჩხავილი, ტირილი, ცხედარი და ამ მნარე რეალობას დაპირისპირებულია ერთადერთი უმაღლესი რეალობა – „ცისფერი ქვეყანა“: „ქარი ეწვია ყვავილს და მე სიკვდილთან ვდგევარ. მაღლა დაფრინავს ყვავი და ღრუბლიანი დღეა. ეს ხელებია ჩემი, ცისფერ ქვეყანას ვხედავ, სადღაც ტირიან ცრემლით, სადღაც მარხავენ ცხედარს“.

ტერენტი გრანელის ზოგ ლექსში ინტელექტუალიზებული გრძნობებია. წვიმიანი დღის სევდასა და მზის ნატვრას-თან ერთად: „შენ ჩემო თავო, გრძნობ გულის ანთებას, იგონებ ტაროსს და მზე გენატრება, ქარი დგება წინ და დღენი მიდიან. გარეთ ისევ წვიმს, ცუდი ამინდია“.

ანგელოსის (პოეზიის) მოვლინების წუთებს მეგობრის, სიყვარულის ნატვრაც უკავშირდება: „მე შენ გელოდი, ვვგრძნობდი კაეშანს, როს ანგელოსის ფრთები დაეშვა“.

ერთი იმპრესიონისტული ლექსი პოეტის მარტოობას, გრიგალებთან, ცასთან, მაღალ იდეალებთან წილნაყარობას, მის კენტობას, ერთადერთობას და განსაკუთრებულობას

გვაგრძნობინებს კენტ რიცხვზე აქცენტირებით: „რიცხვი პოეტის წყნარი კენტია, ფიცი პოეტის – ცის ტრაგედია. რიცხვი ყოველთვის წყნარი წყვილია. ფიცი პოეტის – შორის ჩრდილია. ბედი ყოველთივს არის სპეტაკი, დიდი პოეტი გრიგალს ეძახის. დიდი პოეტი – ბედის მსურველი. ვარდი ყოველთვის – ბაღის სურნელი. რიცხვი პოეტის წყნარი კენტია. ფიცი პოეტის – ცის ტრაგედია“.

ტერენტი გრანელისთვის ძალზე მახლობელია პოეტის. თემა და მას იმპრესიონისტული მანერით ამუშავებს. ისევ ერთზე ხაზგასმა, რაც ღმერთობის იდენტურია, პოეტის შედარება გედთან, წილნაყრობა ქართან, დარდი, სიკვდილის გარდუვალობა, მაგრამ მაინც ღმერთთად დარჩენა, სევდის, მარტობის მიუხედავად, ლექს აცლის ტრაგიზმის იერს: „პოეტი არის ყოველთვის ერთი. პოეტი არის ყოველთვის ღმერთი. პოეტი არის ყოველთვის გედი, მოვიდა ქარი, წავიდა ბედი. პოეტი არის, პოეტი მხოლოდ. და სიკვდილია პოეტის ბოლო. პოეტი არის ყოველთვის მარტო, პოეტი არის, პოეტი დარდობს. პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი“.

ფიქრის თარეში, მისი დაკავშირება ქარებთან, წამება, თრთოლვის წუთები და ლამაზი თოვა, შემოქმედების ფსიქოლოგია, ახალი ვარიაციით ჩნდება ერთ უსათაურო ლექსში: „ისმის შრიალი თოვლის; ეს ფიქრი ისევ ელავს. ფიქრი გაივლის ქარებს... რამდენ წამებას ვიტან, ქრიან წუთები თრთოლვის. ნელა ეცემა ციდან თეთრ ყვავილივით თოვლი“.

ღამის თრთოლვა, მარტობის განცდა, თოვლის და ყვავილის ასოცირება ამაღლებული სიწმინდის განცდის ფიქსირებას ემსახურება: „არა მყავს ტოლი, დგას წამი თრთოლვის, ახლა ლამეა, წავალ, გავივლი. კვლავ, როგორც თოვლი, დგას მაგიდაზე თეთრი ყვავილი“.

ლექსთან ყოველთვის ცა და ყვავილი გვევლინება: „სდუმს, როგორც ლექსი, ცა უცნაური... ჩნდება ღრუბელი, თეთრი ყვავილი“.

ლაკონურობა, ფრაზებს შორის ქვეტექსტები, სათქმე-ლის ფრაგმენტულობა, სიწყნარის, სილამაზის აქცენტირება – აი რა მრავლისდამტევია ტერენტი გრანელის ერთსტროფიანი ლექსი: „ეს შემოდგომა წყნარი, ქარი, ზარები, ფიქრი. მიდის ცისფერი წყალი და სიჩუმეა ირგვლივ“.

პოეტის თემა ისევ სხვა ასპექტში შეგვხვდება სხვაგან. უმზეობა, წვიმები, გრიგალი, ლამე, წამება, დუმილი და მოთმინება, შემოქმედებითი წამების სიყვარული კარგად წარმოაჩენს პოეტის არსებობის მიზანს: „მე ქუჩაში ვარ, ისევ ლამეა და ქრიან ლამის შავი წამები. და გარინდების წყნარი წამია, ამგვარ წამებას მივესალმება. და ის იმედი ისევ იქ არი და უმზეობა იგრძნო მინებმა. იყოს წვიმები, იყოს გრიალი, იყოს დუმილი და მოთმინება“.

პოეზიისთვის შენირული, სანთელივით დამდნარი გულის, ტკივილებიანი არსებობის საფასური მომავალი დიდებაა, ასე სწამს პოეტს: „გული ისეა, გული ასეა, მე დაბრუნება არ შემიძლია. ეს ყველაფერი სიძვირფასეა, ეს ყველაფერი მხოლოდ ნისლია. გული ისეა, გული ასეა და გული დნება, როგორც სანთელი. ალბათ იქნება სხვა დაფასება და სხვა ფიქრების კორიანტელი“.

ტანჯვის, სასჯელის, გრიგალის და სიკვდილის მოლოდინიც არ ყოფილა პოეტისთვის უცხო: „დღეების ქროდნენ და იყო დასჯა და მოელოდე ყოველთვის ტანჯვას. და მძიმე ლოდებს ეძინა იქაც და მოელოდე ყოველთის გრიგალს და ნაძვის ტოტებს ვხედავდი იქით და მოელოდე ყოველთის სიკვდილს“.

მტრობა, მარტოობა, უილბლობა, მიწაზე ყოფნის სიძნე-ლე ცისკენ გაფრენის სურვილს წარმოშობს: „იღბალს ვინ აცდა. შორს ვარ სრულიად. ვრჩები მიწასთან და ცა მწყურია“.

მიწაზე დარჩენა წარმავლობაა, ცისკენ წასვლა მარადიულობა: „ამნაირ ბედზე ვნალვლობ, ბედმა მიწაზე დამტოვა. შენ ხარ ჩემს სულთან ახლო და სული მუდამ მარტოა. ისევ ლექსებთან ვრჩები, ეს ლექსი სულის ლანდია“.

უიმედობა, სევდა, სიკვდილის მოლოდინი პოეტმა რით-მებად აკინძა: „ქვეყნის გლოვა და წყევლა ჩემს იღბალს უკვე მიწვდა, თითქოს კუბოში ვწევარ, თითქოს მაყრიან მიწას. ხვალაც იქნება წვიმა, რა საშინელი თვეა! უიმედობა მიმაქვს და ღრუბლიანი დღეა“ (ზამთრის არია).

სიკვდილის შიში, ქარი, მტკვარი, ყვავები, სისხლისგან დაცლილი გული. მარტობა, დუმილია ლექსში „ისევ სიკვდილის შიში“.

სიბნელის, ქარის პირისპირ დარჩენილი პოეტი ფიქრით, ლექსით უახლოვდება ცას: „ფიქრი ცას მოიარს, ეს დღეები ქრიან და ახლო როიალს გული მაღლა მიაქვს“.

აღმაფრუენის წამებში პოეტი გაფრენას, ქრისტეს, ჭეშმარიტების ხილვას ნატრობს, ფიქრობს ადამის ცოდვაზე, ბრალს სდებს ღმერთს, რომელიც აგიუჟებს და არ იცავს ადამიანს, ნატრობს გრიგალის მიერ გატაცებას, სხვა პლანეტაზე გაღვიძებას (ლოცვა გაფრენენისთვის).

მოკლე, ნაწყვეტ-ნაწყვეტ ფრაზებში გადმოსცემს პოეტი თავის ცრემლიან განწყობას, სიყვარულის მოლოდინს. ცისკენ წასვლის, თავისი თუ სხვისი გლოვის გაუკვდავების სურვილს: „მარტი. ყვავილი, ცრემლი, გაწყდა ნერვების ძაფი. ასე ღამდება, გემი მიუახლოვდა ნაპირს ზღვა სარკესავით ელავს, სადა ხარ, მე შენ გელი. ასე ღამდება ნელა, ზღვიდან იძახის გემი. წისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა სხვისი და ჩემი. ახლა ღამდება ისევ და ნელა მიდის გემი“.

იმპრესიონისტულია „ქარში ერია“, რომელშიც ალიონის მოლოდინია, მზით, ყვავილებით მონიჭებული ძალა და ცისკენ წასვლის სურვილი. აქ თითქოს განონასწორებულია პოეტის აფორიაქებული სული: „ქარში ერია ფიქრი დილების. მზეს შესცექრიან ეს ყვავილები. ბაღში, მიწაზე სიჩუმე სუფევს და ვხედავ ცაზე გაცრეცილ ღრუბელს. ცის მზერა მღალავს, იქ სხვა მხარეა. ისევ მაქვს ძალა და მიხარია. ქარში ერია ფიქრი დილების, მზეს შესცექრიან ეს ყვავილები“.

ტერენტი გრანელის ლექსებში დღევანდელობა, მომავალი, რწმენა, უიმედობა, დუმილი და ნეტარება, ბოლომდე დაუმთავრებელი სათქმელია: „და ვარდისფერი ჩემი ოცნება ანგელოზივით კვლავ მოფრინდება. ანდა ვინ იცის, რას ვგრძნობდი გუშინ, თმა ამინენეს წუხელ ქარებმა. ახლა თოვლია, ახლა ჩემს სულში კვლავ დუმილია და ნეტარება“.

„ვარდისფერი ოცნება“ იმპრესიონისტული ხილვის სილამაზეში გვაჯერებს. „ოცნების მენამული ფრთა“ და გრიგალით უხილავი სივრცისკენ ქროლვა ისევ პოეტური მდგომარეობის თანმხლებია: „და იყო მეტი გამოცოცხლება და ყველაფერი გრიგალს დანებდა. და იყო სივრცე, სადაც ოცნება მენამულ ფრთებით მიმაქანებდა“.

იმპრესიონისტულია „გლეხთა სასახლე“, რომელშიც შექმნილია ქარიშხალთან შეჭიდებული, ცეცხლით მოცული, შორეული მიზნისკენ მაცქერალი პოეტის სულიერი პორტრეტი.

უიმედო დღე, ქარით მოხრილი კვიპაროსი, „ცისფერი ღამით“ დატყვევებული „მდუმარე ფიქრი“, გრძნობით ცისკენ წასვლა, სისხლის ნთხევა ლექსისთვის, ყოფნის დავიწყება, გრანელისთვის ტიპიური განცდა.

სხვაგან ქარიშხლისებური აბობოქრების, სიკვდილის დამარცხების, ბედისწერის გადალახვის სურვილი სურვილად რჩება და გულისტყივილით შეპყრობილი პოეტი იტყვის: „ისევ მიწაზე ვრჩები, ისევ მიწაზე მივალ“.

პოეტი ზოგჯერ მიწისძვრის და სასწაულის მოლოდინით ცხოვრობს: „მიჰქონდა ბედი სევდიან წამებს სადღაც გოდებით... ველი მიწისძვრას და ველოდები მართლა სასწაულს“.

ზოგჯერ წამის ცვალებადობა პოეტს თოვლის თამაშს აგონებს: „ისე იცვლება წამი, როგორც თამაში თოვლის“.

„მზის დაბნელებაში“ ზეშთაგონებული წუთებია, როცა პოეტი „სხვა სახეს“ იღებს, „სხვა მხარეს“ ეძებს და ეს „სხვა მხარე“ პოეზიაა.

ტერენტი გრანელი ქმნის შრომისგან დალლილი ადამიანის სურათს, რომელსაც აწვალებს „ყოველ წამს გულში ლექსი“ და „რაღაც შავის“ მოახლოება, თეთრი ფიქრების ქროლა (ზაფხული).

ფიქრით შეპყრობილი პოეტი, მზის და ქარის გარემოში აკვირდება თავისი სულის მოძრაობას: „მოდის ასეთი ფიქრი, ნიჭია, თანაც ცოდნა. ვზივარ და მზეა ირგვლივ, ვზივარ, ქარია ოდნავ“.

იდუმალებასთან შეფიცული, ბედისწერით გაწვალებული პოეტი ცას მიმართავს ვედრებით მოწყალებისათვის, მაგრამ ისიც სწამს, რომ მისი ტკივილები პოეტის ბედისწერითა განსაზღვრული, შემოქმედებითი ტკივილებია: „ეს გული დაისერა, ნისლია ნაპრალებთან. ასეა ბედისწერა, ასეა გაწვალება. არ მინდოდა ნიღაბი, დარდი მქონდა ისედაც. მე ოთახში ვიყავი, მთვარე მაღლა იწევდა. იდუმალ მხარეების მოდიოდა გრიგალი და მკლავდნენ დამეები ბედის მძიმე გრიალით. პირჯვარი გადვიწერე და გთხოვე მოწყალება. ასეა ბედისწერა, ასეა გაწვალება“.

ცრემლებთან დამშვიდობებული, გლოვის, წამების უარ-მყოფელი პოეტი ეძებს ნუგეშს, როგორც „ცისფერ მტრედს“ და ქროლვას ემეზობლება, რადგან წამებიც ცვალებადია: „დღეა ამნაირ ქროლვის, ისე იცვლება წამი. როგორც თამაში თოვლის“ და თოვლის სიმშვიდეში ეძებს სიტყვას, რომლის იქითაც ტკივილია და ცრემლი... თოვლის სიმშვიდე, სითბოხდება შთაგონების იმპულსი (თოვლი).

ერთ ლექსში ბლოკით გატაცებული პოეტი იგონებს „გუშინდელ“ მზეს, დასცექრის წამებულ გულს, სწყურია „სადმე შორს“ გემით წასვლა. მტრებისგან გარიდება და ქარიშხლის, ბედისწერის ულმობლობის მიუხედავად, ფიქრით ებრძის დროს და სწამს, რომ „მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე“ (ვიწყებ ლექსის წერას).

ტერენტი გრანელის იმპრესიონისტული ლექსი ერთი შეხედვით ალოგიკურია მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტებით:

„ცოცხალი დავრჩი, ცოცხალი არ ვარ. ყოველთვის ბავშვი წა-მილო ქარმა“.

ტერენტი გრანელის პოეზიაში უმთავრესია ანთებისა და ქრობის მოტივი. ანთება აქტიური შინაგანი ცხოვრებაა, პოე-ზიაა, მარადიულობა („ავენთები... როგორც... პლანეტები“) ქრობა ფოთოლივით უმწეო, მწუხარე სულის, ქარებით მოხ-რილი ალვის ტრაგედიაა, მწუხარე მოლოდინი: „დამწვა საკუ-თარ ალმა, ვატყობ, თანდათან ვქრები. სადღაც ხარობენ ალ-ბათ ჩემი პატარა მტრები. რა ვქნა, ციხეა, ვშფოთავ, ცისკენ მივყავარ სურვილს და ემსგავსება ფოთოლს ჩემი მწხარე სუ-ლი. მოდის შაბათი, კვირა, საშინელ სურათს ვხედავ და მე-სიზმრება ხშირად მიცვალებული დედა. ღუნავს ქარები ალ-ვას, ელავს მუსიკის ხმები. დამწვა საკუთარ ალმა, ვატყობ, თანდათან ვქრები“...

როგორც მანანა გვეტაძე მიუთითებს, ტერენტი გრა-ნელს ახასიათებს „საკუთარი მდგომარეობის ფიქსაცია ლექ-სის დაწერის მომენტში“ (მანანა გვეტაძე, „ტრაგიკული ბედის პოეტი“, „მნათობი“, 1981წ., №10, გვ. 168).

იდუმალების, საიდუმლოებების მოტივი გასდევს ტერენ-ტი გრანელის იმპრესიონისტულ პოეზიას. ლექსში „ცისფერი სინათლე“ ფიქრით ფრენაცაა, შორეული იმედიც, სიკვდილის უარყოფა, სიცოცხლის სიმწარე, წამება, ყორანი, „ყრუ სიშო-რეში“ – სიცარიელეში გაუჩინარებული წარსული, ჩუმი გა-ზაფხული, საოცრების მოლოდინი, უიმედო წამები. „გულში ნისლიანი ღამე“ – „სულში – ცისფერი სინათლე“.

და ეს „ცისფერი სინათლეა“ ლექსის მთავარი ტონი, არ-სებობის ქაოსში მიკვლეული შუქი და იმედი, ღმერთი და პოე-ზიაა.

იდუმალი და დაფარული დაკავშირებულია ლექსით გა-რინდების მომენტის ფიქსირებასთან: „ფიქრი და შავი დღეთა კრებული.... და ვარ ქვასავით გარინდებული. დღეა ფარული და მეც ეს მინდა, ქრის სიხარული ისევ ლექსიდან“.

„შეშლილი ცრემლები“ მრავალთემიანი ლექსია – ვნებით შეშლილი ღამე, სიყვარულის გაუცხოება, უხმო ტირილი, სასიკვდილო გაყვითლება, წამება, თბილისის კუთხეში უპატრონოდ სიკვდილის მოლოდინი“, „სულის თეთრი შუქი“ – პოეზიის ღმერთია, „სევდის ლურჯი ოდები“ ტკივილების გაუკვდავებაა პოეზიით: „თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“...

ეს „სულის შუქია“, რომ გვაჯადოებს ტერენტი გრანელის შემოქმედებაში.

მთაწმინდის თემას ვინ არ შეეხო ჩვენს ლიტერატურაში. ტერენტი გრანელი მართალც იმპრესიონისტივით აღიქვმს თბილისის გარემოს. მთაწმინდიდან მორიელად ეჩვენება ქალაქი და ილიასა და, აკაკის სალავებთან მისული, თავს ღმერთად გრძნობს (მთაწმინდა).

საკუთარი თუ სხვისი ვედრება, ცრემლიანი და ნისლიანი სატკივარი, ვედრება ნელი თუ ქარივით საზღვარსგადაცდენილი, ქვეტექსტები და ვედრების გარშემო მოქცევა მთელი მონოლოგისა, სურვილების დაუკონკრეტებელი ხასიათი... და ყველაფერი მაინც ერთი ტკივილით ხდება საგულისხმო: „ვედრება ჩემი, ვედრება სხვისი, ვედრება – ცრემლი, ვედრება – ნისლი, ვედრება ნელი, ვედრება წყნარი. ვედრება – ხელი, ვედრება – ჩემი, ვედრება – სხვისი“ (ვედრება დიდ ღმერთს).

სხვაგან აქცენტი ვედრების სიწმინდეზეა. სიწმინდე კი მარადიული თანამგზავრია პოეტის: „როგორ ვძერდები წმინდა ლოცვებით, წმინდა ვედრებით, წმინდა ოცნებით“,

ტერენტი გრანელისთვის საერთოდ ორგანულია „ეს ვარიაციები სევდის თემაზე“, რომლებიც, „უმეტეს შემთხვევაში შთამბეჭდავნი არიან და, ცხადია, საჭირო განწყობილებასაც ქმნიან“ (მანანა გვეტაძე, „ტრაგიკული ბედის პოეტი“, „მნათობი“, 1981 წ., 10, გვ. 168).

ტერენტი გრანელის „წმინდა შარა“, „შორი გზა“ მიწიდან ზეცამდე გადებული ხიდი იყო და, ამასთან, ზეციდან ქვეყნად ჩამოსასვლელი კიბე.

„მემენტო მორის“ ღვთაებასთან წილნაყარი ავტორის ჭეშმარიტ სამყაროში შესასვლელი ჯვარცმული ღმერთის „საოცრების კარია“.

პოეტის გზა მართლაც „უვალი გზა“ იყო, სიწმინდეზე მლოცველის, განდობილის, მისტერიულ საიდუმლოებებს ნაზიარების, „იქაური ბრწყინვალე ცის“ შუქით გაალებული გზა. იგი ჭეშმარიტად იყო „ბავშვი უფალი“, „ღრუბლის ბავშვი“.

გარდა გალაკტიონისა, არცერთ სხვა ქართველ პოეტთან არ გვხვდება ამდენი საღვთო სახელი, ასეთი ორგანული განცდა უზენაესისა, ასეთი მისტიკური ხილვები.

ტერენტი გრანელმა ქართველი კაცის სული იოგების ფილოსოფიას, ორფეოსელთა, პითაგორელთა, პლატონის, დიონისე არეოპაგელის ღვთაებრივ იდეებს აზიარა. მათი გაუხუნარი სამყაროს მარადიულ მშვენიერებასთან წილნაყარმა გაგვიცნობიერა ყველა დროისათვის აქტუალური პრობლემები, ახალი ენერგიით დამუხტა ქართული სიტყვა და ახალ ეთიკურ ჭეშმარიტებებს გვაზიარა.

პოეტმა მლოცველთა ორდენის, ტირილის ორდენის, ზიარებულთა ორდენის წევრების დარად იცხოვრა, სამუდამო სამყაროდან მოსული უხორცო სულად გაცხადდა და „მესამე გზის“ საიდუმლოებებს ნაზიარებმა თავისი მარადიულობისაკენ სავალი საკუთარი ღვთაებრივი სულის შუქით გაინათა, რათა ისევ მშობლიურ წიაღს დაბრუნებოდა.

„მემენტო მორის“ ავტორის ხილვები იმდენად ამაღლებული და განუმეორებელია, თითქოს მართლაც ქვეყნის გაჩენიდან ეცხოვროს „ღრუბლის ბავშვად“ მოვლენილს და მთელი მისი ხანმოკლე არსებობა ზეციური ნათლის მოვანებას გაებრნებინოს, როგორც ეკლესია.

მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტები აქვს ტერენტი გარენლის „ლანდებს“, მოგონებებს, „მკვდრებთან საუბარს“. პოეტი „ადამის ძეა“, არსებობის თავისებური წესით, „სიცოცხლის გრადაციით“ მავალი ზეცისაკენ, „მესამე გზისკენ“. ზე-

ცის წყურვილით და მინის შიმშილით ერთდროულად დაინტერესებული „უცნობი სფინქსი“.

მის მიერ მიკვლეული, ორიგინალურად გადაჭრილი პრობლემები ჩვენი დროის გლობალურ სატკივართან შეხმიანებაა და დარჩება დიდ პოეზიად ყველა დროისათვის.

ტერენტი გრანელის შემოქმედებითი კრედო არა მარტო პოეტის ესთეტიკურ პრინციპებს გვიდგენს, მის დაუმონებელ და დოგმებში ჩატევარ შესაძლებლობებს გვიჩვენებს, არამედ უაღრესად საინტერესოა ხელოვნების ფიქციონისა და ფილოსოფიის თვალსაზრისითაც. არასოდეს დაკარგავს მიმზიდველობას პოეტის იდუმალების ესთეტიკა, ღვთაებრივი სახეები.

ტერენტი გრანელის ბუნების ფენომენის გაანალიზებამ ცხადყო, როგორ შემოქმედებითად აგრძელებდა პოეტი წინაპართა ტრადიციებს, რა ახლებურ ხილვებს უდებდა სათავეს კოსმიური და ქვეყნიური პრობლემების თავისებური გააზრებით.

პოეტი უზენაესივით ერთია და „სიჩუმის ყვავილებს“ ახარებს, მონოლოგს აღავლენს „უდაბნოს ყვავილებზე“, გრძნობს მთელ სამყაროს, მიელტვის სიმბოლურ „უხილავ ძალებს“, „შორეულ ყვავილებს“. ის არის ნისლი, წვიმა, მიძინებული შემოდგომით, ლურჯი სიზმარივით მიმზიდველი გაზაფხულით, „ზამთრის არით“ გატაცებული, „შორეული გრიგალის“ მომლოდინე, გრიგალის სამყაროს ბინადარი.

საქართველოს ბედზე, „უხილავ საქართველოზე“ დაფიქრებული პოეტის ამოსავალი ეროვნული წიაღია და აქედან წვდება ზოგადსაკაცობრიოს. მისი ლირიკა პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის მართებული გაგების ნიმუშია.

„ცისფერ სიშორედ“ ქცეული ქართველი პოეტის „აღმართმავლობა სულისა“ მარადიული პრობლემათა ისეთი გაალებაა, როგორიც მხოლოდ რჩეულებს ხელენიფებათ.

ტერენტი გრანელის იმპრესიონისტული ლირიკა შემოქმედებითად გაგებული რეალიზმის შესაძლებლობათა არეალშია და თავისებური სახეა კლასიკისა.

პოეტი ერთდროულად მინისა და ზეცის განზომილებებიდან ხედავდა სამყაროს, მის ყოველ პრობლემას, სახეთა სისტემას მაღალი ეთიკური კრედო ედო საფუძვლად. იგი „დიდი ტკივილების ორბიტაში“ ტრიალებდა, მაგრამ ის სევდა მაინც „ნათელი კათარზისის“ წყაროა, რადგან ამ ტანჯული ყოველდღიურობის მიღმა ყოველთვის გულისხმობს უცდომელ მსაჯულს, შვებას. ამიტომაც ტერენტი გრანელის ლექსები თანდათან იქცევა დროის სახარებად, სამაგიდო წიგნად და იგი გამუდმებით უნდა ვიკითხოთ, „ნუგეშს რომ ვეზიაროთ“, რათა შევიცნოთ ამაღლებული ტკივილების სიდიადე, რათა შევძლოთ სულის ხსნა.

მეოცე საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურა მოდერნისტულია: იმპრესიონიზმთან ერთად მასში ვლინდება სიმბოლიზმის, ექსპრესიონიზმის ნიშნები, პოსტმოდერნიზმი.

გალაკტიონის და ტერენტი გრანელის შემოქმედებაში საცნაურია როგორც იმპრესიონიზმის, ისე სიმბოლიზმის ეს-თეტიკური პრინციპები. მათ პოეზიაში გვხიბლავს ბიბლიური სახე-სიმბოლოები, სასულიერო პოეზიის მეტაფორები, რაც რენესანსული მხატვრული სიტყვის უპირველესი მახასიათებელია.

წერილში „ახალ სამყაროში“ ტერენტი გრანელი საუბრობს „სიმბოლიზმის ჯადოსნური ცეცხლის ალზე“ და გვამცნობს: „დაინტ ჩქარი რენესანსი ხელოვნებისა, რომლის სწრაფი გაქანებით იბნევა ბრილიანტებით შემოსილი ლანდები და წითელ რაშების თეთრი ზმანება. ამიერიდან ჩვენ აღარ შეგვაწუხებს ძველი დახავსებული პოეზიის მკრთალი ფერები. დღეს ალურ ფრთხებით ვეშვებით ახალ სამყაროში, სადაც უხილავი სახეების ჩუმი თამაშია გამეფებული. ჩვენ არ შეგვაშინებს სივრცის უსაზღვროება, არც პატარა კაცუნების პრიმიტიული იერიშები, ჩვენ უკვე თეთრი სამოსით დავიწყეთ

ჯირითი იქ, სადაც იზრდება სიმბოლიზმის მწვანე ყვავილები. ჩვენ დავტოვეთ სინამდვილე, დავგმეთ შავი წარსული და ახალ ფერებთან დავიწყეთ ვრცელი საუბარი. დღეს ჩვენ წინ იშლება ახალი ქვეყნის მუქი სურათები, რომლის მშვენიერი სანახაობა მეტად გვაძრმავებს.

„ფერად კრიალოსნებით და მზის ნათელ ელვარებით იმოსება ჩვენი სავალი გზა. ოცნება ჩვენი ამაყია და ციურ ბგერებში იფერფლება ყვითელი ალმურით. არ გვაწუხებს სიკვდილის შიში. ჩვენი უახლესი მიზანია შევქმნათ მარადი-სობა და უტეხი სხეულით მივეგებოთ ყოველგვარ საშინელებას.

სული ჩვენი ჩქარია და შეუკავებელი.

გვიყვარს ქანაობა უმაღლეს ლიცენციაში“ (ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ. 1999, გვ. 359).

„უცნობი სფინქსის“ შემოქმედებაში, განსაკუთრებით, როცა რელიგიური, ქრისტიანული სახისმეტყველების პრობ-ლემებს აშუქებს, წინა პლანზეა სიმბოლურ-მეტაფორული სახეები.

აშკარაა, რომ რენესანსის პრობლემა მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში სიმბოლიზმს, საერთოდ მოდერნიზმს უკავშირდება.

თავი II ფილოსოფიური ლირიკა

ჰლანების სევდა

მეოცე საუკუნე ღირებულებათა ტოტალური გადაფასებით გამოირჩა. მრავალი შემოქმედის სახელი ჩაიძირა დავიწყების უფსკრულში. გაღმა ნაპირამდე ვერ გააღწიეს მთავრობის მიერ ხელდასხმულმა, ხუთწლედების პრემიებით და ორდენებით წახალისებულმა კალმოსნებმა. სულინებიდის მადლით ცხებული სიტყვის ოსტატები კი, რომლებიც თავის დროზე დევნილნი, ტერორიზმებულნი, რეპრესირებულნი იყვნენ, ნათლის სვეტივით გაბრწყინდნენ და სულის სასწაულებით გაგვაოცეს. ცოტანი არიან ასეთები, მსხვერპლის ფასად რომ გადაარჩინეს უმაღლესი იდეალები, ერთ-ერთი ასეთი უპირველესი ლირიკოსის შარავანდედით მოსილი პოეტია ტერენტი გრანელი. იგი ბოლომდე დარჩა მოუსყიდავი, მოუთვინიერებელი.

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა „მემენტო მორის“ ავტორს. მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულებელყოფნენ და მკითხველს უმაღლესი მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ მისი სიდიადის დაფარვის მოსურნები.

დღეს ტერენტი გრანელის გამორჩეული პოეტური აზრი მეუფებს ყველგან. აზრთან კი, როგორც დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლეურია.

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა მისი პოეტური პლანეტა, მთელი არსებით იწამა ეს „პოეტი ბავშვი“ და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები.

სიტყვის ჯადოქართა ქვეყანაში, პოეტების მეფე გალაკტიონის გვერდით ცხოვრობდა ცრუ პოეტების ლეგიონების-გან გამორჩეული, ზეგარდმო მადლით ცხებული ლირიკოსი და ისეთსავე ფურორს ახდენდა მეოცე საუკუნის 20-30-იანი

წლების ქართულ სინამდვილეში, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში.

ტერენტი გრანელის შემოქმედებამ უკვე ჩააბარა დროის გამოცდა და ერის მუდმივ მეგზურად იქცა.

ცხოვრებაში იგი იობივით მრავალტანჯული და იობივით ღმერთის რჩეული იყო, თითქოს საგანგებოდ უფლენდა უზენაესი ყოველგვარ განსაცდელს, რათა წამების ცეცხლში ნაწრთობს, ბოლომდე გამოევლინებინა თავისი განსაკუთრებული შესაძლებლობები, უფსკრულიდან მიეკვლია მარადიული შუქისთვის.

მიწიერი, წარმავალი ბედნიერებისგან განზე დარჩენილი, მაინც დიადად განიცდებოდა. ერის ნერვებს ათრთოლებდა პოეზიითაც და ცხოვრებითაც. მეშჩანობის ჭაობს, ბრბოს ცდუნებებს ბოლომდე განრიდებულ ტერენტი გრანელს დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: „შევიძულე კრებული უკეთურთა და ბოროტთა გვერდით არ დავჯდები“ (ფს. 25/26,5) (1,545).

„უცნობი სფინქსის“ „მინანქრის სტრიქონებით“ მოიხიბლა საუკუნის უპირველესი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, ხოლო თვითშეცნობილმა პოეტერმა გენიამ გალაკტიონმა აღტაცება ვერ დაფარა წალენჯიხიდან მოვლენილი ჭეშმარიტი ტალანტის „საამო ქართულით“ და „მემენტო მორის“ ავტორს „ხალასი გენია და ნიჭი, ბუნებით პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი“ უწოდა.

ზეცანართმეული, ღმერთწართმეული ეპოქის შვილი იყო ტერენტი გრანელი, ღმერთის გმობა კი ადამიანის გაარაფრების, ყოველგვარი უკეთურების დაკანონების გზა იყო.

მაგრამ „უცნობი სფინქსის“ ნიღბით მოვლენილ პოეტს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, არასოდეს შეუქია მიწიერთა პრაგმატიზმი, სოციალისტური ქვეყნის არარსებული წარმატებები, ცრუ ბელადები, რომელთაც „დიქტატორ იმპერატორებს“ უწოდებდა.

ტერენტი გრანელისთვის მთავარი იყო „მამული, ენა, სარწმუნოება“, კოსმიური პრობლემები.

სისხლიანი ბოლშევიზმის ტერორითაც დაუმარცხებელი პოეტია ტერენტი გრანელი, რომელმაც სავსებით განსხვავებული, „უვალი გზა“, ნამდვილი პოეტის გზა აირჩია.

აკაკი წერეთელი გვაფრთხილებდა: „თქვენ რომ გგონივართ, ის არ ვარო“.

ტერენტი გრანელი ირწმუნებოდა: „მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობსო“.

თუმცა მის სიდიადეს გრძნობდნენ, ბოლომდე ვერ აცნობიერებდნენ და შეუცნობლობის ტკივილმა ათქმევინა: „სადაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება“. ეს ღვთაებრივი სიბნელე იყო, ანუ სინათლე, ჩვეულებრივი მზერისთვის მოუხელთებელი.

ჭეშმარიტი პოეტები დიდი განსაცდელის უამს ევლინებიან ხოლმე ერს. ბუნებრივია, ჩვენს დროს ასე რომ აედევნა ტერენტი გრანელის აჩრდილი და ხალხს ძილს უფრთხობს მისი პოეზის „ცისფერი შუქი“, სალმრთო ემბაზში განპანილი აზრები.

„მემენტო მორის“ ავტორის შემოქმედება გვიზიდავს იგავურ – სიმბოლური ფორმით გამოხატული ჭეშმარიტებებით, იგი იმ მარადიული სიბრძნის წყაროს დანაფების შედეგია, რაც უფლის მიერ შთაგონებული ბიბლიიდან მომდინარეობს.

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწის სიბრძნეს და ზეციურს (ბარუქი), წუთისოფლის სიბრძნეს და მაღლიდან გარდმოვლენილ ღვთის სიბრძნეს (პავლე მოციქული, I, კორინთელთა, 2,6,7) (1,3,5,8).

ტერენტი გრანელის პოეზიაში სწორედ ზეციური, მარადიული სიბრძნე მოიძიება. კერპების, ცრუ მოციქულების, ანტიქრისტეების ეპოქაშიც გაიგნო პოეტმა გზა ჭეშმარიტი ღმერთისკენ.

მისი პოეზიის ნაყოფელვარე ხე უფლისგან არის კურ-თხეული.

მისი ცეცხლი უზენაესი ცეცხლია, ჩვენ მასზე ვითბობთ ჩრდილოეთის ყინვისაგან გათოშილ ხელებს, ვწმენდთ დროის მტვრისაგან გაუხეშებულ სულს. ფაქტია, რომ „უცნობი სფინ-ქსის“ მწუხარე მუზამ მოაზროვნე, მსოფლიოს მრავალი კუთ-ხე შესძრა.

მის ენიგმურ, სიმბოლურ-მეტაფორულ სამყაროში შე-სასვლელი „საოცრების კარი“ ანუ ქრისტიანული ღმერთია. პოეტი ამრავალფეროვნებს, ახალი ნიუანებით ავსებს საღ-მრთო სახელებს. ამ გამორჩეულ სამყაროში უბერავს სულინ-მიდის ნიავი, გვეცნაურება გამოცხადების სიბრძნე, საღვთო ნისლი.

სისხლის, ტერორის, ძალმომრეობის ეპოქაშიც შეძლო პოეტმა ანგელოზური სულის შენარჩუნება.

განსაკუთრებული განსჯის საგნად აქცია ფილოსოფიუ-რი პრობლემები, სიკვდილ-სიცოცხლის მიმართება, ადამიანის ზნეობრივი განწმენდა, ბედისწერის იდუმალება.

იგი დაემყარა მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ადა-მიანში ორი არსია: ღვთაებრივი და მდაბალი. ღმერთის სამყა-როში, ჩვენს ნამდვილ სახლში დასაბრუნებლად აუცილებელია წმინდა სული.

ტერენტი ჰეგავდა ზიარებულთა ორდენის წევრს, რო-მელსაც უნდა გაევლო ინიციაციის, კათარსისის რთული და ძნელი გზა, სიწმინდის გადარჩენის აუცილებლობის შეგნე-ბით.

პოეტის სული წმინდა გიორგის მსგავსად განიწმინდა“ წამების ცეცხლით, მადლის მდინარით, სულინმიდით, გულის სისხლით.

ზიარებულთა ინიციაციის ერთ-ერთი საფეხურია ლოც-ვა, მსხვერპლის გაღება, მონანიება.

„პოეზიის უმანკო მსხვერპლი“ – ტერენტი გრანელი გა-მუდმებით ლოცულობდა, მარხულობდა უკეთესი დროის სა-

ხელით: „ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ
წამებას, სხვაგვარ დროს ველი“... (ვდგავარ ქვეყნის წინ)
(2,137).

მისტიკოსები საღმრთო ტრაფიალის იდეას იზიარებენ.

პლატონის დარად, ტ. გრანელი განარჩევდა ორგვარ
ეროსს და „ციური ეროსის“ პანგებს ქმნიდა, პითაგორეულ
სფეროთა პარმონიას ეზიარებოდა.

სულიერი განსაწმენდელი ორფეოსელთათვის იყო არ-
გონავტების ლაშქრობა, გაჭირვების დათმენა.

ტერენტი გრანელისთვის განსაწმენდელია პოეზია, მუ-
სიკა, „ლექსი მისტერია“.

პოეტის ცხოვრება სიკვდილისათვის მზადება და სიკ-
ვდილის შიშის დაძლევა იყოო.

დიდი ადამიანები ამაღლებული სულით, ესთეტიკური
ფენომენით ამარცხებენ სიკვდილს და ფერებში წარმოიდგე-
ნენ მას. მაღარმესთვის სიკვდილი ოქროსფერია, ვერლენთან
– მზისფერი, რემბოსთან – წითელი. გალაკტიონთან ვარდის-
ფერი, ტერენტი გრანელთან ცისფერი: „ეს იყო წამი, წამი,
როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს“.

სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეიქმნა ხელოვნება,
მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია.

სიკვდილის გაცნობიერება წყაროა ჩვენი გაღვიძების,
ამაღლების, იგი ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი
ძალების გამოვლენას.

ტერენტი გრანელის რწმენით, ადამიანი კვდება არა მა-
შინ, როცა სული სხეულს შორდება, არამედ სიკვდილის
ტოლფასია სულის დაშორება ღვთისგან.

ლაო ძი ამბობს: „ყოვლადბრძენი დაფარულს მიელტვის
და არა ხილვად მშვენიერებას. იგი ეძიებს დაფარულს, უარ-
ყოფს ყოფიერს“ (3,184).

„ადამიანი გაუკვდავდება იმიტომ და იმ დროს, ოდეს
შეითვისებს თავის წიაღმი ღვთაებრივ ძალას, ოდეს უკვდავე-

ბის წყალს დალევს სიკეთისა და სიბრძნის სახით, ოდეს გარემოიცავს თავის თავში ღვთაებრივ საწყისებს.

„ვინც არყოფნას უჭვრეტს, სრულქმნილია, ვინც წარუვალში გარდაიცვალა, მარადიულია“ (3,201).

„უნდა იცხოვრო არა სხეულისთვის, არამედ სულის-თვის“ (3,247).

ტერენტი გრანელს არ უძებნია მიწიერი, პრაგმატული ბედნიერება, მისთვის ბედნიერება იყო ერის, რწმენის, სიმართლის მსახურება, ცის და მიწის საიდუმლოებათა შეცნობა, მისი მრნამსი მსოფლიოს დიდი მოაზროვნეთა შეხედულებებს ემთხვეოდა: „ო, უბედურებავ! შენ ძირი ხარ ბედნიერების ო, ბედნიერებავ! შენ ძირი ხარ უბედურების“ (ლაო-ძი, დაო დე ძინი) (3,219).

ტერენტი გრანელი დარწმუნებული იყო, რომ სული სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას, იგი იკვდის ახალ გარემოში, ვითარდება და ამბობდა: „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

პოეტმა გაიზიარა გარდასხეულების თეორია, გადაიხედა მიღმურში, ჩანვდა ყოფნა – არყოფნის საიდუმლოებებს.

იოგების მიხედვით, სამყარო დაყოფილია მაღალ, შუა და დაბალ პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ეძებდა „მესამე გზას“, „სხვა პლანეტას“. მას სწამდა უკვდავება, „სიცოცხლე სხეულის გარეშე“. მისი „უვალი გზა“, „მესამე გზა“ ხორციასაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სულიერი ნათელლების პირობების ერთგული დაცვის შემდეგ. აკი გვიჩვენა კიდეც ზეცამდე ასამაღლებელი საფეხურები.

„უცნობმა სფინქსმა“ შექმნა თავისებური გარდაცვალების სახელმძღვანელო, „მიცვალებულის დღიური“, მაგრამ ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ნივთს, ყოველდღიურობას, ვულგარულ გრძნობებს აიდეალებდა, ვერაფერი გაუგო პოეტის უზენაეს სიპრძნეს და მის გენიალურ წიგნს „შავი წიგნი“ უწოდა.

ტერენტი გრანელის სულის გზები იწყება კაცობაში „ადამის ძის“ სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. მის მიერ განვლილი გზა მთელი კაცობრიობის სულიერი გზაა და ამიტომაც არის იგი „მსოფლიო პოეტი“.

„მემენტო მორის“ ავტორს ბიბლიური წინასწარმეტყველებივით, აღაშფოთებდა ადამიანის განშორება ლვთისგან და ურჩევდა მოძმეთ, შერიგებოდნენ უზენაესს.

„აპა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე.

„ის შეარიგებს მამების გულს შვილების გულთან და შვილების გულს მამების გულთან, რომ ჩემი მოსვლისას ქვეყანა შეჩვენებით არ შევმუსრო“ – აცხადებდა მალაქია წინასწარმეტყველის პირით უზენაესი (3,23,24)(4,704).

პავლე მოციქული მოძღვრავდა ხალხს: „ყოველივე ლვთისგან არის, რომელმაც შეგვირიგა იესო ქრისტეს მეშვეობის და მოგვცა შერიგების მსახურება.“

„იმიტომ, რომ ლმერთმა ქრისტეში შეირიგა წუთისოფელი და არ ჩაუთვალა მათ მათი დანაშაულებანი და გვიბოძა შერიგების სიტყვა.

„ამგვარად, ჩვენ ქრისტეს სახელით ვართ მოვლენილი და თავად ლმერთი შეგაგონებთ ჩვენი მეშვეობით, ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ლმერთს“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა 5,18,19,20)(1,390-391).

შერიგების დღეს ნატრობდა გალაკტიონი და მზის – ქრისტეს სახელით ურიგდებოდა ფიზიკურ სიკვდილს, რაც სულიე-

რი უკვდავების სავანეში გამგზავრებად ესახებოდა (შერიგება)(5,53).

განშორების გულისტკივილი, განშორების წამებით ჩამქრალი სანთლები, ღმერთისგან განშორება აწამებდა ტერენტი გრანელს, მაგრამ მაინც სჯეროდა განწმენდის, შერიგების: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“.

პოეტს ელანდებოდა ცოდვილთა განკითხვა, „უფლის დიდი დღე, ძალზე საშინელი“ (იოველი, 2,11).

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „დაწვებოდა კვლავ ბინდი, გულში მეწყო ლოდები, მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტა-ოდენი“.

ღმერთი არის მარად ლია თვალებით მზირალი მართალი მსაჯული, რომელიც დამსახურებისამებრ მიუზღავს თითოეულს: „დიდგანმზრახველო და მრავლადმოქმედო, რომელსაც ლია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელის და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 34,19)(4,156).

ტერენტი გრანელის უნიკალური ხედვა და ინტუიცია სამყაროს გლობალურ მოვლენებს აფიქსირებდა: „ვუმზერ სამყაროს ლია თვალებით“.

ადამიანებზე გულგატეხილი, ღმერთზე ამყარებდა იმე-დებს: „მე ისევ ციდან ველი ტაროსებს“.

„მემენტო მორის“ ავტორი ეპოქისგან გამდგარი პოეტი კი არ იყო, როგორც ამტკიცებდნენ დაქირავებული კრიტიკოსები, არამედ თავისი თანამედროვეობის არსს, შავი დროის კონტურებს განუმეორებელი სახე – სიმბოლოებით აფიქსირებდა.

არაპუმანური, სატანური პერიოდის შინაარსს გვიცნობიერებს ხატოვანი სახეები: ულირსი თვალი, მხეცი (აპოკალიფსური მხეცების ნაშიერი), კაენი, დემონი, ბნელი შუალამე.

ეშაფოტი და საფლავები, დროის თანამდევია გველი და მკვდარი დღეები (უარყოფილი ღმერთი).

სიმბოლური ჩანაფიქრისაა შუქის ჩაქრობა, შავი ღრუბების მოვლინება, ფინიების გააქტიურება: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიბნელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყვეფს ფინია“.

იკრძალებოდა ღმერთის ხსენება, სამშობლოს სიყვარული, ირგვლივ კი მრავლად იყვნენ ჭოტები, ყვავები, ყორნები, კატები, ფინიები.

ეროვნულ ტრაგედიაზე მიგვანიშნებდა ქარისაგან ყაჩაღივით აკლებული, მიტოვებული ბალების სახეებით (ბალი კაცური ბუნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით). მიტოვებული ბალი ღმერთისაგან მიტოვებული ადამიანის სულია.

ჰელიონის „უკუღმართობას“, დალუპვის გარდუვალობას, ალაშფოთებდა კოსმიური ავდარი, მთელი პლანეტის ბედი: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

ტოტალურ კატაკლიზმებს, წინაპარი კლასიკოსების დარად, ღმერთის უარყოფით ხსნიდა, რუსული ბოლშევიზმის ბაცილებით გადაგვარებას, უღმერთობას სიმბოლურად შემდეგნაირად გამოხატავდა: „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, მზე თითქოს გაქრა, მზემ ცა დატოვა, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც, ქარისაგან იღუპება ტოტი, ახლა ვხედავ ხის გაძარცულ შტოებს, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, და ძველებური სახლი იქცევა. გამქრალი ზაფხულის (ზაფხული საღმრთო სახელია), ზამთრის სიცივის ქვეტექსტებით გვაგრძნობინებს ეროვნულ –სარწმუნოებრივ ტრაგედიას.

პოეტს ეზმანებოდა სიავის ალსასრული, ქართველი ერის– ლაზარეს აღდგინება, რწმენისკენ მიბრუნება: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს)(2,246).

ბოროტების იმპერიის დანგრევაზე ოცნება ასოცირდებოდა ბიბლიური ბაბილონის დაცემასთან, მის ნანგრევებზე ყორნების ჩხავილთან („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“) (2,85).

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: „ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“. თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა „ზეციური სახლი, ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა“.

მაგრამ, ამასთან, ყოველ ადამიანს აქვს თავისი მიწიერი სამშობლო, ნალენჯიხიდან, ზუგდიდიდან დაწყებული მისი გზა თბილისზე გადის და ქვეყნის ამ მთავარი მაგისტრალიდან მიერთვის მსოფლიოს და უსაზღვროს.

ტერენტი გრანელი ილია ჭავჭავაძესავით ხედავდა საქართველოს თანამდევ უკვდავ სულს, „უხილავ საქართველოს“.

მისი დევიზი იყო: „სამშობლოს დაცვა და აყვავება“, რისთვისაც მარტო სიტყვით კი არა, საქმით იბრძოდა 1918 წელს, რათა ბათუმიდან იარაღით განედევნა თურქი ასკერები.

იგი გრძნობდა სამშობლოს ტკივილს, უფსკრულს და სათყვანებელი ქვეყნის სიდიადეს დარდის თანხლებით მოიაზრებოდა: „და საქართველო ჩემთვის დიდია და საქართველო ჩემთვის დარდია“, ზოგჯერ კი სამარედ აღიქვამდა მშობლიურს.

21-ის, 24-ის, 30-იანი წლების ტრაგედიების მომსწრე ყალბი პოეტები ხალხს არწმუნებდნენ, ჩვენი სიცოცხლის ხე ყვავისო, ტერენტი გრანელი კი გულისტკივილით წერდა: „მოკვდა სამშობლო მხარე“, „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“.

პოეტს „ლურჯ გალიად“ ეჩვენებოდა დედამიწა, აღაშ-ფოთებდა „სისხლით დაფენილი გზები და შარა“, „სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების“, ამხელდა ხელისუფლების ტირანიას, „ქვეყნის უკულმართობას“, უნიჭო მჯდაბნელები კი რენეგატი კომუნისტების ხოტბაში ცვეთდნენ კალმებს.

ტერენტი გრანელს აქვს ჩვენს სულთან, დღევანდელ პრობლემებთან შემხები საოცარი სტრიქონები: „შრება სისხლისგან გული-აუზი და მიპყრობს ქუჩა, ვით თაფლი ფუტკარს, თითქმის ყოველდღე სასაფლაოზე ვხედავ მათხოვარს და პროსტიტუტკას“.

ნებისმიერი დიდი პოეტი, მოაწერდა ხელს გაუცხოების თემაზე შექმნილ ტერენტი გრანელის შედევრებს: „ის იღუპება, მას არ უვლიან, ქვეყნის სიმძიმე მის გულს მოება და სიჩუმეში დაფარულია ჩემი სიმართლე და სათნოება“, „მოდის ფარული ეს გამწარება, ვეძებ თანამგრძნობ მეგობრის ხელებს“, „სხვა მეგობარი მე არ მყოლია, მხოლოდ ქარია ჩემი მხლებელი, უფრო ხშირია მელანქოლია და გაფიქრება შეუძლებელის“, „რა ვქნა, გრიგალში გული ვატკინე და ჩემი ფიქრი ცისკენ წავიდა, ახლა ხომ კმარა, რაც მოვითმინე, მეტ დამცირებას ვეღარ ავიტან“.

გაუცხოების გვირგვინია საოცრად მიგნებული „უცნობი სფინქსი“.

ტერენტი გრანელი ნათელმხილველი და ნათელმსმენი იყო.

მან ზუსტად იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების წელი, თვე და რიცხვის განსაზღვრაში მხოლოდ ხუთი დღით შეცდა.

პოეტმა განჭვრიტა თავისი მომავალი დიდება („მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება მოსდევს“), თბილისში დასაფლავება („მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე, რომ დამაყრიან თბილისის მიწას“), იწინასწარმეტყველა მომავლის კატაკლიზმები, ღმერთისკენ მიბრუნება, დაქირავებული პროლეტარული პოეზის აღსასრული.

ტერენტი გრანელი ერთდროულად ხედავდა ცას და მიწას, სულს და ხორცს, წარმავალს და მარადიულს, „გონიერ ზეცას“: „რა ბრწყინვალეა ცა იქაური“.

პოეტი ჭვრეტდა საკუთარ აჩრდილს, ლანდებს, სულიერ და ეთერულ სხეულებს, სულის გაფითრებას, წვდებოდა უს-ხეულო არსებობის საიდუმლოებას.

მან დალანდა ბედის მწვერვალი, უსაზღვროება, სიცოც-ხლის ბოლო, იგრძნო, რაც იქნებოდა გარდაცვალების შემდეგ.

ტერენტი გრანელი ფრენდა სულით, მოგზაურობდა ას-ტრალური სხეულით, ამიტომ ხშირია მის პოეზიაში „ლოცვა გაფრენისთვის“, „ექსკურსია ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“.

ცხოვრება დარდისთვის, გლოვისთვის მეტ საფუძველს იძლეოდა და პოეტის ხილვები ცრემლითა და ნაღველით იყო შეფერილი: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერნამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით, და ჩემი მწუხარე სული მსგავსია დათოვლილ სანთლის, დროა, გრიგალმა მაღ-ლა აგწიოს, როგორც ოცნება დიდი ნაღველის, ჩუმად ძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით, და ჩემი სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად“.

ეკლესიასტე გვმოძღვრავს: „ბრძნენთა ფიქრები გლოვის სახლშია, უგუნურთა ფიქრები მხიარულების სახლში“ (6,484).

ღმერთთან ახლო მდგომ მცირერიცხოვან პოეტებში უპირველესია ტერენტი გრანელი, რითაც განაღდებული ჰქონდა სამოთხე: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კა-რეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“.

ქართველი ხალხის დიდ გულისტკივილს დიდი მკურნალობა სჭირდება უპირველესად ღმერთით, რჩენით, მადლით, ცრემლით, სიტყვით და სიკეთის ის ფლუიდები, რაც ასე უხვად იყრქვევა ტერენტი გრანელის პოეზიიდან, ჩვენი გაბზარული გულის განახლების უპირველეს წამლად უნდა ვიგულვოთ.

„ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, მას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია“, აცხადებ-და კონსტანტინე გმსახურდია.

„მწერალი ჰგავს ბერძნულ მითიურ არსებას, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ველარ დააწყნარა“, გვარწმუნებდა მი-ხეილ ჯავახიშვილი.

უეჭველია, რომ სულინმიდის მადლია ტერენტი გრანე-ლის შემოქმედებაში და მისი ლექსებიდან დაძრულ გრიგალს დაცხრომა არ უწერია.

ვფიქრობთ, ბედნიერია ყოველი კაცი, ვინც შეისუნთქა პოეტის სამყაროდან მონაბერი ზეციური ქარი.

„ტირილში წასვლა სჯობს ღებინში წასვლას, რადგან იქ არის ბოლო კაცისა“ (ეკლესიასტე, 7,2).

„ყოველივეს თავისი დრო აქვს და ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.

„ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა“ (ეკლესიასტე, III, 1,3) (ბიბლია, 1990:47).

გალაკტიონი ხედავდა ძე ღმერთის – „მომავლის ჩრდილის“ მჭმუნვარებას, ყოვლისმხილველ უფალს აძრწუნებდა ადამიანთა უზნეობა, უზნაესის დავინყება (მიმღერე რამე) (გალაკტიონ ტაბიძე, „პოეზია“, თბ. 2014, გვ. 18).

უმბერტო ეკოს „ვარდის სახელშიც“ მუდმივად აქცენტირებულია ის, რომ ადამიანთა უზნეობის გამო ქრისტე მუდმივად ჭმუნავდა.

ტერენტი გრანელის სევდა-გოდება პირადული კი არ არის, არამედ ეროვნული და საკაცობრიო მასშტაბებისაა.

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
2. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, თბ. 2012
3. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1983
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
5. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული „მერანი“, თბ. 1982
6. ბიბლია, თბ. 2013

სიკვდილის პროგლემა

კაცობრიობას დასაბამიდან აშფოთებს სიკვდილზე ფიქ-
რი, სიცოცხლის წარმავლობა.

სხვადასხვაგვარია ამ პრობლემისადმი მატერიალისტის
და იდეალისტის დამოკიდებულება.

წმინდა წერილის მიხედვით, „ხორცის საქმეები აშკარაა:
ეს არის სიძვა, უწმინდურება და თავაშვებულობა, კერპთამ-
სახურება, მისნობა, მტრობა, ჩხუბი, შური, რისხვა, შუღლი,
უთანხმოებანი, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, ლო-
თობა, გაუმაძლობა და სხვა. ამის ჩამდენი ღვთის სასუფე-
ველს ვერ დაიმკვიდრებენ.

„ხოლო სულის ნაყოფია: სიყვარული, სიხარული, მშვი-
დობა, სულგრძელობა, სახიერება, სიკეთე, ერთგულება, სიმ-
შვიდე, თავშეკავება-ამათ წინააღმდეგ არ არის რჯული“ (პავ-
ლე მოციქული, გალატელთა, 5,19-23) (1,411).

აღმოსავლურ ფილოსოფიაში, ბჟდიზმში დაგმობილია
სიმდიდრის მონობა და უპირატესობა ენიჭება რწმენას, ზნეო-
ბას, სიკეთეს.

„უკვდავია სული უწმინდესი“, ასეთია ლაო-ძის „დაო დე
ძინის“ აზრი (2,16).

„დაოს მფლობელი მრავალუამიერია, გვამი იხრწნება,
სული კი უკვდავია“ (2,40).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ გარდაცვლილები
ღვთაების სამსჯავროზე წარდგებიან, განიკითხებიან და
ცოდვილები ჯოჯოხეთში, ხოლო წმინდა სულის ადამიანები
სამოთხეში იგზავნებიან.

მოპასანი, ჩეხოვი შეძრწუნებული იყვნენ იმით, რომ
ორმოცი წლის შემოქმედებითი შრომის საზღაური „ხრწნილე-
ბა, მატლი და მიწა“ უნდა ყოფილიყო.

სიკვდილის გაშინაურებაზე, სიკვდილზე ფიქრისკენ მი-
მართავდა ძალისხმევას მიშელ მონტენი, რომელიც ირწმუნე-
ბოდა, რომ სიკვდილი „ახალი სიცოცხლის დასაწყისია“.

სიკვდილის შემდეგ ადამიანის უფრო მაღალ არსებად
გარდასახვის შესახებ საუბრობდა ფრენის ბეკონი (ცდები).

სიცოცხლესთან ერთად, სიკვდილის რაობის გაცნობიე-
რებას ცდილობდა უოტ უიტმენი (ჰიმნები სიხარულისადმი) (3,36).

შარლ ბოდლერი ჰადესში მოგზაურობდა და სულის უკ-
ვდავების რწმენა ასულდგმულებდა(4,18).

„სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომანი“, წერდა
ნიცშე (5,88).

სიკვდილის გარდუვალობას რომ აღიარებდნენ, სიცოც-
ხლის აზრიანად გატარებისკენ მოგვიწოდებდნენ შოთა რუს-
თაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი.

სიკვდილ-სიცოცხლის გამოცანას ასე ეხმიანებოდა ვა-
ჟა-ფშაველა: „ლმერთმა გიშველოს სიკვდილო, სიცოცხლე
შვენობს შენითა (მოგონება) (6,282-283).

კონსტანტინე გამსახურდია სიკვდილს „უკანასკნელ
ომს“ უწოდებდა და მასთან ღირსეულ შეხვედრებზე საუბ-
რობდა.

„სიკვდილს მე როდი შევუშინდები, იგი ძმა, მუდამ
ჩვენს მხარეზეა, მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის, სიკვდილს
რომ ჰგავს და უარესია“, აცხადებდა გალაკტიონი, რომელიც
დაინტერესდა „ყოფნისა და არყოფნის წიგნებით“, „შავი წიგ-
ნით“, და „ვარდისფერი სიკვდილის“ გზაზე „შუქთა კამარას“
მიესალმა.

ეგვიპტელებს დღესასწაულის დროს საუცხოო საჭ-
მელ-სასმელთან ერთად, დარბაზში შემოჰქონდათ მუმია ან
ჩონჩხი შეძახილით: „მემენტო მორი!“ – გახსოვდეს სიკვდი-
ლი!“

ტერენტი გრანელმა სწორედ ამ სიტყვებით გააფრთხილა მტარვალნი, რომელთაც ექვსი ათასი პატრიოტი ქართველი დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისთვის.

სიკვდილთან მომზადებულ შეხვედრაზე საუბრობდა მისაიღ ზოშჩენკო, რომელსაც საწერ მაგიდაზე ეკიდა სოფოკლეს ლექსი: „ლვთის წყალობაა არგაჩენა ამ ქვეყანაზე, მაგრამ თუ მაინც დავინახეთ ჩვენ მზის ნათელი, დაბრუნდი მეთქი, ო, დაბრუნდი იმავ ბილიკით, არარსებობის და არყოფნის მშობლიურ ჭერქვეშ“.

ასევე, ზოშჩენკოს მონიწებას აღუძრავდა ბაირონის სტრიქონები... „განჭერიტე ყველა სიყვარული ნეტარ თასებით, ყოფნის ნადიმზე რომ შეგისვამს –ნუთუ გეყოფა? ვინც გინდა იყავ, დამერწმუნე, ერთიც არსებობს, ყველაზე დიდი სიხარული – არარსებობა“ (7,214-215).

გარდაცვალების შემდეგ ყოველი ადამიანის სული საღვთო სამსჯავროზე უნდა წარდგეს. ამ პროცესის გარდუვალობას ამტკიცებს იუდაიზმი, ბუდიზმი, ზოროასტრიზმი, მუსულმანური, ქრისტიანული რელიგია.

ოფიციალური ეგვიპტური იდეოლოგიის მიხედვით, მიცვალებულის სულს უნდა გაევლო ოზირისის – მიცვალებულთა მეუფის სამსჯავრო, სადაც სიმართლისა და წესრიგის ქალღმერთი მაატი სწონიდა მის გულს, რომელსაც ფრინველის გული არ უნდა გადაეწონა. ცოდვილს დემონი შთანთქავდა, უცოდველი კი ანუბისს – ძალლისთავა ღვთაებას გადაჰყავდა იალუს მინდვრებზე, რათა მზის ღმერთის თანამხლები ყოფილიყო მზიან ნავზე მის მუდმივ მოგზაურობაში. მიცვალებულს სამსჯავროზე უნდა წარმოეთქვა ორმოცდაერთი ცოდვის უარყოფის ტექსტი, ხოლო ბოლო ფორმულა უნდა ყოფილიყო: „მე სუფთა ვარ, მე სუფთა ვარ“ (8,130).

ტიბეტური მიცვალებულთა წიგნი ამტკიცებს, რომ სიკვდილი არის ცნობიერების გადასვლა უფრო მაღალ საფეხურ-

ზე, ამიტომ საჭიროა სიკვდილისთვის მზადება, შიშის დაძლევა.

ტიბეტური წიგნი მოგვითხრობს ღვთაებრივ სასამართლოზე, სადაც მიცვალებულთა მოსამართლე დხარმა—რადქა აფასებს განსასჯელი მიცვალებულის საქმეებს კარმის სარკის საშუალებით (8,145-151).

ძველ ინდოეთში ძვ. წ. II და ა.წ. III ს. გვხვდება სიკვდილის ღმერთი „იამა“, მანუს კანონებში საუბარია სულის სხეულთან გაყრაზე, მის ხელახალ დაბადებაზე, გარდასხეულებაზე, უმაღლეს ადამიანზე, მაღალ და მდაბალ სულებზე, კარმისგან განთავისუფლებაზე.

ამერიკაში მიცვალებულთა წიგნს ეწოდება „გარდაცვალების მეცნიერება“ ანუ „გარდაცვალების ხელოვნება“.

ამერიკელი გოულდის სწავლების საგანი იყო „შეგნებული სიკვდილის მეცნიერება“ დევიზი – „მოკვდი სიკვდილზე ადრე“.

დოქტორ უორდენის პროგრამას ეწოდებოდა „სიკვდილის პირადი გაცნობიერება“, რაც მომაკვდავებს საშუალებას აძლევდა, შეეცვალათ თავიანთი ცხოვრების მოდელი, ახლებურად გაეცნობიერებინათ სიკვდილის, ავადმყოფობის, ჯანმრთელობის საკითხები.

მინი სიკვდილის გადატანა ადამიანს საშუალებას აძლევდა, გაეკონტროლებინა თავისი უკანასკნელი წასვლა ამ ქვეყნიდან.

გოულდის პრინციპი იყო: „სიცოცხლე არის ილუზია“.

სიკვდილი შემოქმედების გამაღვიძებელი ფაქტორია, შემოქმედებითი ძალები მძაფრდება საკუთარი სიკვდილის გაცნობიერებისას.

სიკვდილისათვის ვარჯიში, სიმბოლური სიკვდილი იწვევს სულიერ განახლებას, შთაგვაგონებს ამქვეყნიური არსებობის წამიერებას და ტრანსცენდენტური სამყაროს მშვენიერებას.

რებას, ხელს უწყობს ადამიანის დაფარული სულიერი პოტენ-ციის გააქტიურებას.

საკვდილი არის დიდი გამოცდა. ადამიანის მიზანია უზენაესის სახლში, სულიერ სამყაროში დაბრუნება, რასაც მომზადება სჭირდება. ადამიანის სრულქმნის პროცესი სიკ-ვდილის ჟამს სრულდება (9).

„ბჰაგავად-გიტას“ მიხედვით, ყოფიერების რა მდგომა-რობაც ახსოვს ცოცხალ არსებას სხეულის დატოვებისას, იმა-ვე მდგომარეობას მიაღწევს.

ადამიანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ, და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა შუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველგან არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანის მიზანი უნდა იყოს სულიერი სხეულის მიღება, სუ-ლიერ პლანეტამდე მიღწევა.

„ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს უფალი, ყოველი-ვე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს“ გვამცნობს ეკლესიასტე (11,14)(10,487).

აქვე ნათქვამია: „მოიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც იყო და სული დაუბრუნდეს ლმერთს, რომელმაც შთაბერა“, (11,7)(10,487).

ქრისტე შეგვაგონებს: „ნუ გეშინიათ მათი, ვინც სხეულს კლავს, სულის მოკვლა კი არ ძალუდთ“ (მათე, 10,28)(1,21).

„ხრწნადი უხრწნელობით, მოკვდავი უკვდავებით უნდა შეიმოსოს.

„აჰა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკ-ვდებით, მაგრამ ყველანი შეიცვლებით“, გვმოძლვრავს პავლე მოციქული (I კორინთელთა, 15,51,53)(1,381).

პლატონის მიხედვით, „ფილოსოფია სიკვდილისთვის მზადებაა, ე.ი. მას ევალება იმდენად სრულყოფის სული, რომ

იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაპრუნებას“ (11,110).

ბიბლიაში მეფე ბალთაზარმა ნადიმის დროს იხილა კედლიდან გამოსული ხელი, რომელმაც კედელზე სამი საბედის-წერო სიტყვის წარწერით ამცნო მისი და მისი სამეფოს აღსასრული (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5,1-30) (12,252-253).

რუდოლფ შტაინერი ირწმუნება, რომ „ადამიანს სულიერ სამყაროშიც გააჩინია ცნობიერება, მიღმურ სამყაროში მხოლოდ ცნობიერების ცვლაა“ (13,121).

გოეთეს მოსაზრებაც ანალოგიურია: „მე ეჭვი არ მეპარება არსებობის გაგრძელებაში, ყოველი ენტელექტია ზიარებულია მარადისობას. ეჭვი არ მეპარება, ჩვენ განვაგრძობთ არსებობას, მაგრამ ყველანი ერთნაირად უკვდავნი არ ვართ“ (14,64).

არსებობს მოსაზრება, რომ შესაძლებელია რადიოკონტაქტი მკვდრებთან, აჩრდილების ფოტოგრაფირება, გარდაცვლილთა ხმების ჩაწერა. ხდება მიცვალებულთა გამოცხადება ცოცხალთა გასაფრთხილებლად, ხმის გაგონება, სუნთქვის შეგრძნება (9,14).

ბიბლიაში მეფე საულმა მესულთანე ქალს სთხოვა სამოელის გამოძახება მიღმური სამყაროდან. სამოელმა იწინასწარმეტყველა საულის და მისი ოჯახის ტრაგედია, რაც ახლა კიდეც.

პლუტარქეს პარალელურ ბიოგრაფიებში მოთხრობილია ბრუტუსთან იულიეს კეისრის გამოცხადების შესახებ.

დანტე სიზმარში მოევლინა შვილს, რათა „ღვთაებრივი კომედიის XIII თავის ადგილსამყოფელი მიენიშნებინა.

„ღვთაებრივ კომედიაში“ გვხვდება წარსულის, აწმყოს, მომავლის ლანდები, მისტიური აჩრდილები.

გოეთე მიიჩნევდა, რომ „სულთა სამეუფო არ არის კარ-დახშული“ (12,117).

ვასილ ბარნოვის რომანებში და მოთხრობებში მუდმივი კავშირია ორ სამყაროს შორის. ადამიანის ფიზიკური სიკვდი-ლის შემდეგ სული აგრძელებს არსებობას და ეცხადება ახ-ლობლებს (აჩრდილი სიკვდილისა).

მოგონების, გარდაცვლილთა აჩრდილების გაცოცხლე-ბის, ჰადესში დამკვიდრებულებთან „კომუნიკაციის“ უნარია შემოქმედება.

სამშობლოს ღირსეული შვილები, ნათლითმოსილები სა-იქიოდან უნათებდნენ ვაუა-ფშაველას და პოეტი ესაუბრებო-და მათ: „ჰყოლია სულით მტკიცენი მშობელს ქვეყანას გმირე-ბი, საიქიოდან მინათებს მათი ნათელი პირები. ცოცხალი მკვდრებთან ვსაუბრობ, შევტროი შუბლ-შეკრულს შოთასა, მკვდრები მიშაქვრენ ცხოვრების გულში ჩანაწვეთ შხამასა“ (ერთხელ კი ჩვენც ვყოფილვართ) (6,32).

ეს „კომუნიკაცია“ ორმხრივი იყო (სიყრმითგან საიქი-ოსთან).

„მამა—პაპათა აკლდამებიდან“ გმირთა აჩრდილების გა-მოწვევაზე, „ლეშთა“ გაცოცხლებაზე გვესუბრება ვაუა ფშავე-ლა.

ფშაველ გენიოსს ეცხადებოდნენ რუსთველისა და გუ-რამიშვილის აჩრდილები და ამხნევებდნენ: „სრულდება, მალე იქნება ღვთისაგან დანაპირები“ (ხმა მესმის) (6,329-330).

წინაპრებთან პოეტის სულიერი ერთობის დასტურია ვა-უას „აკაკის საიუბილეოდ“, „ილიას საღამო“ (6,144-145,169-171).

გოეთესავით, ვაუასაც სწამდა ქვეყნის რჩეულთა სულის უკვდავება: „მრნამს, მარად მინამებია მუდმივ სიცოცხლე სუ-ლისა, კარგისა, ქვეყნის მოყვარის, ქვეყნის ბედისგან წყლუ-ლისა“ (მრნამს, მარად მინამებია) (6,246-247).

ასევე ეუწყებოდა პოეტს ქრისტიანული საქართველოს მფარველის – მარიამ ლვილისმშობლის თანადგომა და ქვეყნის მტარვალთა დასჯის მსჯავრი (ხმა სულეთიდამ) (6,214-215).

ნათელმხილველები თავიანთ ასტრალურ სხეულს გზავნიან იქ, სადაც სურთ და მოგზაურობენ მთელ პლანეტაზე.

მისტიკოსების აზრით, ეფირული ორეული, ელექტრული სული აგრძელებს არსებობას კლინიკური სიკვდილის შემდეგ.

პლატონის მიხედვით, ნებისმიერ მატერიას გაჩნია შესატყვისი იდეების ქვეყანაში.

ადამიანს შეუძლია ერთდროულად ყოფნა ორ სხვადასხვა ადგილას (შდრ. ტერენტი გრანელის „იქაც და აქაც“).

გალაკტიონმა უცდომლად წაიკითხა, როგორც „ყოფნის წიგნი“, ისე „არყოფნის წიგნი“ (დღეთა გარდასულთა) (17,113-120).

პოეტს სჯეროდა, რომ „სული ცოცხლობს, როს სხეული სამარეში სდუმს“. ხორცისგან განშორებულ სულს „ცის ლაჟვარდის უსასრულობაში ხედავდა (მას სიკვდილის დროს ეჩვენებოდა).

„ბნელი ბინდპუნდით მოცულ მხარიდან“ გამოიხმობდა გალაკტიონი „ქალწულის აჩრდილს“, რომ „მშვენიერი სული“ და „მშვენიერი სახე“ დაენათლებინა (სიტყვა და ლოცვა).

„ბრილიანტებით“ იმოსებოდა ტერენტი გრანელის ლანდები.

ნუგეში და თანაგრძნობა გალაკტიონს თავისი წინაპრების სავანეში, „მარადიულ მხარეში“ ეგულებოდა (მშვენიერებით ვიპოვე).

სულიერი სიახლოვე პოეტების მეფეს ყველა ქართველ კლასიკოსთან ჰქონდა (ო, ნანა, ნანა).

ასევე ეცხადებოდა პოეტს სატანაში განსხეულებული გოეთე: „ობობებიან კუთხეში დივანს ვხედავ: „ვით გიოტე, ზის იქ სატანა“ (მაგიდა ალემქებიკებით).

ქართველი პოეტის „აჩრდილი თანაზიარი“ იყო ედგარ პო (საუბარი ედგარზე).

„და ჩემთან ერთად ოქროსფერ ნავში იყვნენ ედგარი და ნოვალისი“, – ასეთი სულიერი ერთობა ჰქონდა გალაკტიონს სხვა უცხოელ წინამორბედებთან.

ეს კომუნიკაცია „ორმხრივია“, თითქოს წინაპრებიც გრძნობენ გალაკტიონის პოეტურ გმირობას და მოწინებით ეგებებიან: „კარს გაუღებენ მას წინაპრები: გიცდიდით, ვიცით, ხომ მიატოვე ის ნაპირები ჩვენი სიმტკიცით? მიეგებება არაგვის პირი და ხმა ძლიერი, შენ უსათუოდ კაცი ხარ გმირი და ნიჭიერი“ (კარს გაუღებენ).

მერაბ კოსტავა სიკვდილზე ფიქრებს „სიბრძნის დედას“ უწოდებდა და ტრაგიულად დაღუპულ შვილს ასე მიმართავდა: „...კიდევ კარგი, რომ ჩემთვის ირაკლი გარდაცვლილები არ არსებობენ... გარდაქმნებიან ღვთის საოცრებად, რადგან ისინი მუდამ რჩებიან ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად“ (ირაკლის) (6,158).

როსტომ ჩეეიძე ხაზს უსვამს „დიდი ხნის წინათ გარდაცვლილთა აჩრდილებთან მერაბ კოსტავას სულიერ, ღრმა და ინტენსიურ მეგობრობას და ეს მისთვის მეტაფორა ან აბსტრაქცია კი არ არის, არამედ ის იდუმალი რეალობა, ყოფითი სინამდვილისგან რომ არც განერჩევა და არამარტო გონებით, არამედ გულითაც იცის აჩრდილებთან მეგობრობის ყადრი“ (17,113-114).

ტერენტი გრანელმა მოიახლოვა და გაიშინაურა სიკვდილი, იწამა სულის მარადისობა და „მესამე გზას“ პიაპურო მზერა. პოეტს სამშობლოდ ესახებოდა „ლაუვარდები ცისფერი“, „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“, გვარწმუნებდა „მემენტო მორის“ ავტორი.

ცნობილია ეგვიპტელების მაგალითი, რომელთაც დღესასწაულის დროს, საუცხოო საჭმელ-სასმელთან ერთად

დარბაზში შემოჰქონდათ მუმია შეძახილით: „მემენტო მორის! – გახსოვდეს სიკვდილი“.

ტერენტი გრანელმა სწორედ ამ სიტყვებით გააფრთხილა მტარვალი, რომელთაც ექვსი ათასი პატრიოტი ქართველი დახვრიტეს 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობისათვის.

ტერენტი გრანელი შეჩვეული იყო სიკვდილს, ხედავდა ლანდებს, სულს, ბედის მწვერვალს, სიკვდილის შემდეგ მოსახდენ მოვლენებს, გრძნობდა შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს: „და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას, ახლა დედის აჩრდილი დებს და მამას მახარებს, თითქოს მეძახის საიქიოდან მამა სამსონი, დედა ივლიტა“, წერდა პოეტი, რომელიც ჭვრეტდა „სიკვდილის ყვითელ მანტიას“, თითქოს თავად მიჰყებოდა საკუთარ ცხედარს.

გიორგი ლეონიძე წინაპრებთან მიმართებით ამონმებდა საკუთარ გულისთქმას: „...შორეულ ელვამ თუ კალამი დამისხურა, მე გულს მესობა წინაპართა შემოხედვანი, უწყალო მზერა მე მამონმებს ყოველდღიურად“ (წინაპართა შემოხედვანი).

„ნიკო სამადაშვილს გამოარჩევდა „სულის უფსკრულების“ ჩვენება, ირეალური, იდუმალი სამყაროს გადარჩენა.

„ამ კაცს შეეძლო საკუთარი გარდაცვალებაც დაენახა და ეს დრამატული ხედვა პიროვნების გაორების ამავე ხერხის თავისებური სახეცვლილება, პირველყოვლისა, საკუთარ გულსა და გონებაში არის გამოტარებული და არ არის ლიტერატურული ზეგავლენის ნაყოფი“, წერს როსტომ ჩხეიძე (18,110).

რუდოლფ შტაინერი ირნმუნება „შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლად გამოთავისუფლდეს, აღიქვას და იმოძრაოს სულიერ სფეროში.

„მესამე ხარისხის შემეცნება ხელენიფება მხოლოდ სულიერ ადამიანს, როდესაც იგი ფიზიკური ორგანიზმიდან იმ-

დენად გამოთავისუფლება, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ არ ჰქონია“ (19,317).

ტერენტი გრანელი მრავალგზის საუბრობდა სიკვდილზე, სამარეზე, დაღუპვაზე: „...რომ მდომოდა სიცოცხლეზე, სიკვდილს არ ვიწამებდი, მიწა არ იქნებოდა ჩემთვის შავი სამარე... რომ დაღუპვა მომელის, ვიცი, დანამდვილებით (memento mori) (22,3).

„პოეზიაში უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული“ პოეტი, როგორც თვითონ აცხადებდა, არა მარტო სიკვდლზე, თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა (ქრიან ფიქრები თეთრი და შავი (22,11).

ის თავის თავს „ქრისტეს სისხლიანი ბედის“ თანაზიარად მიიჩნევდა (MABCUE BITE) (23,11).

პოეტი, ხშირად საუბრობდა „დამღუპველ გზაზე“, სამარის ხვედრზე, სიკვდილის სიახლოვეზე, თავის კუბოსთან სერაფიმები, ანგელოზები, ღვთისმშობელი ევლინებოდა.

სამარის გზას ხედავდა, სიკვდილის ლანდის სიახლოვეს შეიგრძნობდა, ცხოვრებისგან განაწამებს, „სასაფლაოს სიჩუმე“ ენატრებოდა, სატანურ დროს, „ქვეყნის უკულმართობას“ ვერ ეგუებოდა, გლოვა, პანაშვიდები ელანდებოდა (თეთრი შუადღე, ვხედავ ამგვარ დროს) (22,48,50).

უცნობ მიცვალებულებს აცილებდა სამარემდე, საათობით იჯდა სხვათა სამუდამო განსასვენებელთან.

„მსოფლიო სევდით“ შეპყრობილი „სიკვდილის ყვითელმანტიას“, ხედავდა (მარადისობის ლაქვარდები) (23,59).

სასაფლაო იყო მისი დასვენების და ფიქრის ადგილი (ცისფერი სიშორე) (23,127-128).

„სასიკვდილო არია“ ესმოდა (ისევ წინ მიდის პოეტის მკერდი) (23,129).

აკაკის, ილიას, ვაჟას საფლავებს, მთაწმინდის პანთეონის ენვეოდა (დაო, არ ვიცი, რისთვის მებრძვიან (23,144).

რწმენის „ზვარაკი“, „შერისხული“, აღსასრულს ნატრობდა (ვედრება) (23,146).

„...და ეს სასაფლაოა ჩემი თავშესაფარი“, აღმოხდებოდა ურწმუნოთაგან, ტირანებისგან გაუცხოებულს.

„ეშაფოტი“ ელანდებოდა, „მარადიულ ლამეს“ ნატრობდა.

„სიკვდილის პირდაპირ გზას“ ხედავდა, მაგრამ სიკვდილის შიშს ამარცხებდა საკუთარი პოეზიის უკვდავების რწმენით: „...ჩემი ფიქრები არ მოკვდებიან“ (ვდგავარ მაღლობთან, როგორც გუშაგი (23,181).

აღაშფოთებდა ურწმუნობა, უსამართლობა.

„შორეულ ყვავილები ხებიან“, აცხადებდა ცხოვრებაზე გულგატეხილი და ამით რწმენის იგნორირებას აფიქსირებდა, რადგან ყვავილი საღმრთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე „უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (2,12).(10,488).

რეალური ვითარების ანარეკლია ტერენტი გრანელის განაცხადი: „არ შემიძლია, ტყვია მესროლე, ანდა მომეცი მე გასაქანი“ (ისევ დაბნელდა, მიდის დღე სწორედ) (23,196).

საპყრობილები გამომწყვდეული ქრისტეზე ამყარებდა იმედებს. „...ახლა შორს ელავს ცა მონმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (პოეტი პატიმარი) (22,200).

მხოლოდ ლექსების სიხარული“ იყო მისი ნუგეში (ვარ ასეთი, ვარ ყოველთვის კენტი) (22,201).

მუსიკით ცდილობდა სიკვდილის გაადვილებას: „სხვაგვარ დუმილით ვუსმენ მუსიკას და ახლა სიკვდილი ასე ადვილია“ (მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ) (22,205).

„სევდის ლურჯი ოდებით“ იქარვებდა გულისტკივილს (შეშლილი ცრემლები) (22,209).

არ ასვენებდა სიკვდილზე ფიქრები: „სიკვდილს ყოველთვის თვალებში ვუმზერ, ვგრძნობ, ვიღუპები და მიხარია“...

სიკვდილი სიხარულს ანიჭებდა, რადგან ეს მოვლენა ტანჯვისგან განთავისუფლებად ესახებოდა და არა სამუდამო გაქრობად, ასულგმულებდა იმის რწმენა, რომ თავისი მხატვრული სიტყვით მსოფლიოს ყურადღებას და აღიარებას მიაღწევდა: „...ასე მარტო მიხარია ყოფნა, როცა თავს ვგრძნობ მე სიკვდილთან ახლოს. ახლა მინდა ვარსებობდე ყველგან, მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი... და ძირფასო, ჩემს პრეცინვალე სახელს, ვგრძნობ, მსოფლიო აღიარებს მალე“ (ღამის სტრიქონები) (22,255).

„ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“, წერდა ლექსში „სამშობლოს“ (22,93-91).

ენატრებოდა „სხვა პლანეტების“, მთელი მსოფლიოს, „სხვა ზეცის“ (ცათა ციის) ხილვა.

ლექსში „მიცვალებულის დღიურიდან“ ასეთი ღრმააზროვანი განაცხადია: „და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ (22,101-102).

წმინდა წერილში წვიმა ძე ღმერთის სახელია: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მინას რომ რწყავენ“ (ფს.71/72,6)(1,598).

„ღრუბელი, შორეული ღრუბელი მარიამ ღვვისმშობლის სიმბოლოა (24,125).

ტერენტი გრანელს სიკვდილის დამარცხებად ესახებოდა საკუთარი ღრმააზროვანი შემოქმედება (მიდის წამება ჩემი) (22,261).

გაცნობიერებული ჰქონდა, „სიცოცხლის აზრი“, „ყოფნა არ კმარა, რაღაც მსურს მეტი“, აცხადებდა და მისი სიცოცხლის აზრი იყო ღრმააზროვანი პოეზიის დატოვება შთამომავლობისთვის.

ნამდვილი ადამიანების ნაცვლად ქარს და ნისლს ხედავ-და, სროლის ხმა ესმოდა და ესენინივით თავის მოკვლის სურვილიც ეუფლებოდა (რა ვქნა, მტერია დაუნდობელი) (22,33).

შეჩვეული იყო სიკვდილს, ობლობას, მარადიულ სევდას, საფლავზე ფიქრს და დარწმუნებული იყო, რომ მხატვრული სიტყვით გაარღვევდა სიბნელეს, ბურუსს და მისი საფლავიც ტანჯულთა დაფიქსირების სავანედ იქცეოდა (უმიზნო ხეტიალი) (22,41).

მინიერ ცხოვრებას უარყოფდა ზეცის და პოეზიის ადეპტით (მივდივარ, გზაზე ადის ალმური) (22,42).

„ქვეყნის გლოვა და წყევლა“ მის ბედსაც ადევნებოდა და კუბოში ყოფნის შეგრძნება აწამებდა (ზამთრის არია) (22,107).

საფლავებზე ხეტიალი უმძაფრებდა ალსასრულის შეგრძნებას: „...ვხედავ ქვეყანას, ვხედავ შენს საფლავს და ჩვენც, ძვირფასო, ეს დღე მოგველის“ (საფლავი) (22,116).

ენატრებოდა „სიცოცხლის შუქი“ (შუქი სალვთო სახელია) და სიცოცხლის წყურვილი იპყრობდა, რადგან სიცოცხლე, ცხოვრება სალვთო სახელია.

მარადისობის (ლმერთის), სხვა პლანეტის მაძიებელი „სიცოცხლის ბოლოს“ ხედავდა, აღაშფოთებდა ურწმუნება, ეკლესიის დადუმებული ზარი, როგორც კონსტანტინე გამსახურდიას მნათე იქროპირს ნოველაში „ზარები გრიგალში“.

დედამინა უკეთურებს „ლურჯ გალიად“ ექციათ, და ისევ „სიცოცხლის გზების“ ძიებაში იფერფლებოდა (სიცოცხლე) (22,90).

დაპტედებოდა არა წინააღმდეგობებისგან გაქცევა, არა-მედ ეპოქის მოვლენებზე დაკვირვება: „და გული იღბალს ქარისკენ მიჰყავს“ (სადღაც შორს) (22,6).

სახეზე იყო ეპოქის გამანადგურებელი ქარიშხალი: „მღუბავს ბედისწერა, ქარიშხალია წინ“ (ვიწყებ ლექსის წერას) (23,230).

ობიექტურად აფიქსირებდა ეპოქის ტრაგედიებს, უზენა-ესთან კავშირს არ წყვეტდა და ეიმედებოდა თავისი პოეზიის მომავალში გაღწევა: „...ახლა ჩემი ხმა ზეცას მოიარეს. ამ სა-
158

უკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის ტკივილი (ნელა ქრებიან სულის ლანდები) (23,7).

ეპოქის „უამინდობისგან“ – უკეთურობისგან განზე გამდგარს და სიკვდილის მომლოდინეს, ეიმედებოდა უზენაესის მსჯავრი, ქრისტეს ყოვლისმხილველი თვალი (ჩემო ზოზია, მე წავალ მალე (23,19).

საქვეყნო სატკივრებით შეპყრობილი „ცისფერ წვიმაზე“ ანუ ღმერთზე ფიქრობდა, რადგან წვიმა საღვთო, სახელია.

წმინდა წერილში ნათქვამია: „ბარაქიანი წვიმა აწვიმე, ღმერთო, შენს სამკვიდროს და თუ დაუძლურდება, შენ გაა-მაგრებ“ (ფს.67/68)(1,590).

„არა სიცოცხლე, არა სიკვდილი, არამედ მესამე გზა“, აცხადებდა პოეტი და ეს ცალკე კვლევის სფეროა.

„ის კვდება, მაგრამ რჩება გენია“, წერდა ჭეშმარიტი პოეტი (23,195).

„ლექსების სიხარული“ აცოცხლებდა სატანური ეპოქის მტარვალთაგან გარიყულს (ვარ ასეთი, ვარ ყოველთვის კენტი (23,201).

საკუთარი „სევდის ლურჯი ოდები“ იყო პოეტის ნუგეში (შეშლილი ცრემლები) (23,209).

მტარვალთა ხრიკები არ აშინებდა, ეიმედებოდა საკუთარი შემოქმედების მომავალი: „...დამამარცხებენ? დე დამა-მარცხონ, ვგრძნობ, მომავალი მაინც ჩემია“ (სამყაროს ვეძებ) (23,253).

„სევდის ტრიუმფატორს“ ახარებდა „ვარსკვლავებიანი ზეცა (ნელა მივდივარ, გული მკვდარია) (23,265).

ვარსკვლავი საღმრთო სახელია: „...მე ვარ ფესვი და მოდგმა დავითისა, ცისკრის კაშკაშა ვარსკვლავი“ (გამოცხა-დება იოანე ღმრთისმეტყველისა, 42,16) (12,999).

წამებას მიესალმებოდა, რადგან „გარინდების წყნარ წამში“ შედევრებს მოიხელთებდა) (მე ქუჩაში ვარ) (23,259).

დამონმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1992
2. ლაო ძი, „დაო დე ძინი“, თარგმანი, შესავალი და კომენტარები ლერი ალიმონაკის, თბ. 1983
3. უოტ უიტმენი, „ბალახის ფოთლები“, თბ. 1966
4. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა, „იანუსი“, თბ. 1992
5. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ. 1993
6. ვაჟა-ფშაველა ხუთ ტომად, ტ. 2, „პალიტრა L“, თბ. 2011
7. მიხაილ ზოშჩენკო, მზის ამოსვლის წინ, გონებისათვის, თარგმნა ეთერ თვარაძემ, თბ. 1986
8. ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია, თბ. 1990
9. Жизнь после смерти, М.1990
10. ბიბლია, თბ. 2013
11. უილიამ გათრი, პლატონი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ. 1983
12. ბიბლია, ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
13. რუდოლფ შტაინერი, ქრისტე გოლგოთას მისტერიის დროს და ქრისტე XX საუკუნეში, თბ. 1984
14. გოეთეს საუბრები ეკერმანთან, თარგმანი აკაკი გელოვანის, ბათუმი, 1988
15. ცხოვრება გარდაცვალების შემდეგ, მოსკოვი, 1995
16. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად, ტ. 3, „პალიტრა L“, 2011
17. გალაკტიონ ტაბიძე 5 ტომად, ტ.2, „პალიტრა L“, თბ. 2011
18. მერაბ კოსტავა, ლექსები, თბ. 1990

19. როსტომ ჩხეიძე, „ძენი მუსიკის, დღენი ქარიშხლის; „ჩვენი მწერლობა, თბ. 2017
20. როსტომ ჩხეიძე, ორეული, შეხვედრები და სინანული, „მე-რანი, თბ. 1995
21. რუდოლფ შტაინერი, ჩემი ცხოვრების გზა, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) (გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ. 1994)
22. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერებქი, თბ. 2012
23. ტერენტი გრანელი, „ქართული სიტყვიერება“, თბ. 2011
24. ტიტე მოსია, სალვისამშობლო სახისმეტყველება, ზუგდი-დი, 1996

„ცისფარი სიკვდილი“

ტერენტი გრანელის პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ფერებს. პოეტის ლექსებში საუბარია არა მხოლოდ საგნების, არამედ სულის ფერზეც და ამით მინიშნებულია სიკეთეზე თუ ბოროტებაზე.

ფერებს გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი კონოტაცია.

ბიბლიის მიხედვით, შავი ფერი არის ეშმაკეულის, ბოროტების, ტკივილების, უიღბლობის სიმბოლო.

ეს ფერი ასევე, გაიგება, როგორც ლამის, სიმშვიდის, წყვდიადის, საიდუმლოს, მოწყენილობის, შეუცნობლობის, დათრგუნულობისა და სიკვდილის გამომხატველი.

ტერენტი გრანელის პოეზიაში ზოგჯერ „შავი და უსაშველო ლამე“, სიბნელე თრგუნავს სინათლეს, სიკეთეს.

„მემენტო მორის“ ავტორის პოეზიაში ცისფერის პრიმა-ტია, რომელიც მიმანიშნებელია ცაზე, მშვიდობაზე, გაგებაზე, ჰარმონიაზე, სიწმინდეზე, ზამთარზე, რწმენაზე, სიბრძნეზე, სინათლეზე, დიდსულოვნებაზე, უკვდავებაზე.

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში ცისფერია იმედი, წვიმა შუქი, ყვავილი, ქვეყანა, საღამო, ცისფერია ოცნება, ბაღი, ზმანება, სიშორე, სინათლე, თოვლი.

„ჩემი ნაზი სამშობლო-ლაჟვარდები ცისფერი“, აცხა-დებს პოეტი.

„დათოვლილ სანთელში“ პოეტისგან შორს არის „ცის-ფერი იმედი“ (1,5).

იმედი საღვთო სახელია. დავით წინასწარმეტყველი მი-მართავს ღმერთს: „შენა ხარ ჩემი იმედი, ღმერთო ჩემო, ჩემი სასო ყრმობიდანვე“, (ფს. 70/70,5)(2,595).

ლექსში „ახლა ასეა, რა იყო წინათ“ (1,32). პოეტის სა-ფიქრალია „ცისფერი წვიმა“: „არის ფიქრები „ცისფერ წვიმა-ზე“...

წმინდა წერილში წვიმა უზენაესის სიმბოლოა: „იგი ჩა-მოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთე-ბი, მიწას რომ რწყავენ“ (ფს.71/72,6)(2,597).

ძალიან ხშირად პოეტის ლექსებში კანონიკურ საღვთო სახელებს „ცისფერის“ ეპითეტი ემატება.

„მარადისობის ლაჟვარდების“ მიხედვით, „სულთან ახ-ლოა ცისფერი შუქი მარადისობის“(1,59).

„შუქი“ საღვთო სახელია ფსალმუნში: „უფალი ჩემი შუ-ქი არის და ხსნაა ჩემი, ვის შევუშინდე?“ (26/27)(2,547).

„მარადისობა“ საყოველთაოდ ცნობილი პარადიგმაა უზენაესის.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, დავით გურა-მიშვილს „დავითიანში“, გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში ღმერ-თის სახელია „მზიანი ლამე“.

ლექსში „მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა“ (1,82). ტერენტი გრანელის საღამოთი დამწუხრებული პერსონაჟი „ცისფერი ღამისკენ“ მიისწრაფვის: „მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერი ღამისკენ“.

„ცისფერი ღამე“, მოაზრებული „მზიანი ღამის“ საპირნინედ, მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის სახელი შეიძლება იყოს (3,71–80).

„ცისფერი საღამოს“ მოვლინება პოეტს შემოქმედებითი აქტიურობისთვის განაწყობს (ახლა საღამო ხომ ცისფერია) (1,77).

ლექსში „ბაღში ქარია ისევ“ პოეტის „მდუმარე ფიქრი ტყვევა ცისფერი ღამის“ (1,159).

„სიცოცხლის გრადაციაში“ მოლოდინია „ჩუმი და ცისფერი ღამის“, ანუ ღმერთის მოვლინების, რადგან ნიჭი, შთაგონება სულინმინდის მადლია (1,183).

„ჰა, შემოდგომა იწყება ანი და ჩვენ ვსაუბრობთ ცისფერ ღამეზე“, ნათქვამია ლექსში „მეგობარს“ (1,258).

პოეტის მანუგეშებელია „ოცნების ცისფერი მხარე“, (სიცოცხლის გრადაცია“, მთვარე ფანჯარასთან (1,179).

მთაწმინდაზე, უკვდავთა სავანეში „სულს ცისფერი სინათლე“ ევლინება (მთაწმინდიდან) (1,158).

ცხოვრებისგან გატანჯული პოეტის ნუგეშია ღმერთი, ანუ „ცისფერი შუქი მარადისობის“ (მარადისობის ღაფვარდები) (1,59).

„სხვა გარინდების ცისფერი წამი“ პოეტურ ინსპირაციას უკავშირდება ლექსში „ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი (1,55).

ბოროტების, გრიგალების მძინვარების პროცესში „ცისფერი ქვეყანა“ ეიმედება: „...მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა“ (გრიგალს მიაქვს ხელები) (1,73).

„ცისფერი საღამო“ განაწყობს აქტიურობისკენ, უკეთუ-რებასთან დაპირისპირებისკენ (ახლა საღამო რომ ცისფერია) (1,77).

„ცისფერი ქვეყნის“ ბინადარი შემოქმედებითი წამების საფასურში „ცისფერ ყვავილს“ მოიხელთაებს: „ეს წამება გა-ივლის, თუ აისმა ინათა და ცისფერი ყვავილი დაეცემა მინას-თან“ (მგლოვიარე სერაფიმები) (1,63).

პოეტი ცდილობს შეიცნოს „ცისფერი და შორეული“ სამყაროს საიდუმლოება (მივყვები მარტო ამნაირ იღბალს) (1,80).

ლექსში „ახლა არ ვდარდობ და ვიღიმები“ – „დგება ცისფერი წამი ზმანების“, რაც შემოქმედებით ინსპირაციაში ჩართვას მოასწავებს (1,114–115).

ტერენტი გრანელის ნუგეშია ზეცასთან, უზენაეს ძა-ლებთან კავშირი: „ეს ჩუმი ზეცა და სიცისფერე, იყოს მარა-დის ჩუმი ნუგეში“ (გუმინ ცხელოდა, დღეს სიცივეა) (1,146-147).

პოეტის ნიჭის გაბრწყინების იმედია „ჩუმი და ცისფერი ღამე“ (სიცოცხლის გრადაცია) (1,183).

შემოქმედებით ინსპირაციაში, „სიზმარში“ ჩართული, ყოფით გარემოს სცილდება და „ცისფერ მხარეს“ ეკონტაქტე-ბა: „იცი, მაისი გაჰქრა, ჩანს ცისფერი მხარე. სინამდვილეში აქ ვარ და სიზმარში გარეთ“ (დადგა ამინდი ცუდი) (1,243).

სულში მოგონებების, ხილვების „ცისფერი ქსელია“ და-ვანებული: „...და ფოთოლივით სულში კანკალებს მოგონებე-ბის ცისფერი ქსელი“ (მოგონებების ქსელი) (1,224).

ლოცვებით „ცისფერ თოვლს“, სიზმრებს (სათქმელს) მოიხელთებს პოეტი: „....არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოც-ვების გაღმა, სული ფარული თრთოლვით მოსდევს სიზმრების დაღმართს“ (ლოდინი ბედის) (1,184-185).

„მე ვარ დუმილია და ცისფერი ქვეყანა“, წერს ერთგან. პოეტს აბედნიერებს არა ათეისტ თანამედროვეებთან სიახლოვე, არამედ მშვენიერების სამყაროს, ჭეშმარიტების მიგნება (გრიგალს მიაქვს ხელები) (1,73).

„ცისფერ ოცნებას“ „ზამთრის ქარები“ ენაცვლება ლექ-სში „ამდენ წვალების და გლოვის შემდეგ“ (1,97).

„ცისფერი მხარისგან“ განშორება ასევდიანებდა, სევდას აღუძრავდა: „სევდა ელავდა ხმაში, სდუმდა ცისფერი მხარე“ (მთვარე ლამის სამ საათზე) (1,260).

„ცისფერი სინათლე“ განაშორებდა ეპოქის ნისლს, გაუცხოებას „...გულში ნისლიანი ლამეა, სულში ცისფერი სინათლე“ (ცისფერი სინათლე) (1,264).

„შორეული სინათლე“ უსხიოვსნებდა სულს, „ლურჯ ფიქრებს“ უვლენდა (შორეული სინათლე) (1,188).

სინათლე, ნათელი საღვთო სახელია.

„და...შენი სული მზეზე ფერს იცვლის“, ნათქვამია ლექ-სში „თოვლიანი სამარე“ (1,204).

მზე საღვთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84,12)(2,614).

გარდაცვალება სხეულის ბორკილებისგან განთავისუფლებაა, ტანჯვისგან სულის ხსნაა, ამიტომ სიკვდილიც ცისფერს უკავშირდება.

ღმერთი „ცისფერი ლამეა“ და სიკვდილის წამებიც ცისფერია, როგორც ტანჯვისგან განთავისუფლება, სულის ხსნა: „...ეს იყო წინათ, წინათ, როდესაც იცოდნენ ცისფერ სიკვდილის წამებს“, აცხადებს პოეტი.

სიკვდილი ფერებში წარმოედგინათ სიმბოლისტებს. მალარმესთან ოქროსფერია სიკვდილი, ედგარ პოსთან წითელი, გალაკტიონთან –ვარდისფერი.

ტერენტი გრანელმა სიკვდილიც ცისფერს დაუკავშირა, რადგან გარდაცვალებას შემოქმედის საბოლოო გაქრობად კი არა, უკვდავების სამყაროში გადანაცვლებად მიიჩნევდა და

ამის საწინდარი იყო მის მიერ დატოვებული სულიერი საგანძურო, რომელიც თაობების ამაღლების, სრულქმნის საწინდარი უნდა ყოფილიყო.

„მემენტო მორის“ ავტორს აქვს ძალზე საგულისხმო წინასწარმეტყველური განაცხადი: „....ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“.

ზეციდან, ლაჟვარდებიდან მოევლინა გენიოსი სამყაროს, რათა თავისი სწორუპოვარი პოეზიით გაებრნებინა ადამიანთა სული, სამყარო, მერე კი ლაჟვარდებში, მარადიულ „ცათა ცაში“ დამკვიდრებულიყო.

„თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“, გვიანდერძა პოეტმა და ამ შუქს ჩაქრობა არ უწერია.

დამოწმებანი

1. ტერენტი გარნელი, ლექსები წერილები ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკპოლმი, 1992
3. ლუარა სორდია, ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016

გამოღვიძება გარდაცვალების შემდეგ

პლატონის „მენონში“, „ფედონსა“ და „ფედროსში“ განხილულია „მოგონების“ (ანამნეზის, რემინისცენცია), როგორც თანდაყოლილი ცოდნის თეორია.

„მენონში“ გამოიყოფა პლატონის მრავალწახნაგოვანი აზრის შინაგანი განვითარების ათი საეტაპო საფეხური, ათი ძირითადი მომენტი, რომელთაგან ერთ-ერთია მეექვსე – მოგონების თეორია.

„მენონში“ სოკრატე იზიარებს სულის უკვდავების ორფიკულ-პითაგორულ პრინციპს, რომლის მიხედვითაც, „რაკი ადამიანის სული უკვდავია, ამიტომ მრავალგზის იბადება; მას ყველაფერი უნახავს და ყველაფერი იცის. სული ყოვლის-მცოდნეა“. სოკრატეს აზრით „ძიება, შემეცნება და ცოდნა სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1, 100).

ცნებებით გამოხატული ყოველგვარი ცოდნა „ანამნესისია“ – მოგონებაა, როგორც დასაბამიერი, ყოველგვარ აღქმამდე შეძენილი კუთვნილება სულისა“ (ფედონი“).

„მენონის“ მიხედვით, ცოდნის შეძენა ახლის შეცნობა კი არ არის, არამედ იმავეს ხელახლა შემეცნებაა, ცოდნის შეძენა მხოლოდ წინასწარ მოცემული ცოდნის საფუძველზე ხორციელდება“ (1, 112).

პლატონის მიხედვით, ადამიანის სული წინასწარ ფლობს აზროვნების აპრიორულ ფორმებს, ცოდნის გარკვეულ ზოგად საწყისთ, რომელთაც ის მხოლოდ „იგონებს“ და, ამრიგად, თავისსავე თავში პოულობს მათ“ (მენონი) (1, 112).

„მენონსა“ და „ფედონში“ მოგონება შემეცნებასთანაა იდენტიფიცირებული, „მოგონებას“ კი „ღვთიური ნიჭი“ ეწოდება: „სული, რომელსაც არასოდეს უხილავს ჭეშმარიტება, ვერ შეიმოსავს კაცის სხეულს, რადგან კაცი რომ იყო, უნდა გესმოდეს, რა არის იდეა, რომელიც მრავალი კერძო შეგრძნების მონაცემთაგან გამომდინარე, ლოგიკური მსჯელობის გზით, ერთ უზოგადეს მთლიანობად ირწყმის და ყალიბდება. ამ ერთობის წვდომა კი იმის მოგონებაა, რაც ოდესლაც უხილავს ჩვენს სულს, როცა ღმერთის თანამდევი და თანამავალი, ზიზღით არიდებდა თვალს ყველაფერს, რასაც ამქვეყნიურ არსთა სახელს ვუწოდებთ და ნეტარებით აღვსილი ჭვრეტდა ჭეშმარიტ არსს... სრულყოფილების მიღწევა ხელენიფება იმას, ვინც მართებულად იყენებს მოგონების მისეულ უნარს და, ამრიგად, გამუდმებით ეზიარება უზენაესი სრულ-ქმნილების წმინდათა-წმინდა მისტერიებს. კაცთა ფუჭ ფუს-

ფუსს განშორებულს და მხოლოდ ღმერთის მიმართ მზირალს, მას შლეგად თვლიან უმეცარნი და დასცინიან. რა იციან საწყალობლებმა, რომ ის შლეგი კი არ არის, არამედ ზეშთაგონებული“ (1,193).

„სული ყოვლისმცოდნეა... ძიება და შემეცნება სხვა არა არის რა, თუ არა მოგონება“ (1,135).

ამ ასპექტით აუარებელ მასალას გვაწვდის ტ. გრანელის პოეზია და აშკარაა, რომ იგი იზიარებს სულთა რეინკარნაციის იდეას. ამ შეხედულებას ავითარებდნენ ინდოელი ფილოსოფოსები, ორფეოსელები, პითაგორელები, პლატონი და მისი არსი ისაა, რომ ერთი სხეულის სიკვდილის შემდეგ სული გარდასხეულდება, სხვა სხეულში გადასახლდება. გარდასხეულების მოძღვრების პითაგორულ-ორფეოსული ტერმინია „დაბადებათა ბორბალი“, რაც მიწაზე სულის მუდმივ დაბრუნებას ნიშნავს.

რეინკარნაციის ჯაჭვისაგან სული მაშინ განთავისუფლდება, როდესაც ძლევს ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მინის უგუნო შფოთს და უნინდებურ ნეტარ მდგომარეობას დაუბრუნდება (პლატონი, „ტიმეოსი“, 42).

ეს აზრი გამოთქმული აქვს რუსთაველს ნესტანის სიტყვებით: „ღმერთსა შემვედრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა, ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა“ (ამაზე მიუთითებენ 6. ნათაძე, რ. თვარაძე).

ტ. გრანელს სწავლის მარადიულობის, გარდასხეულების, სამყაროში კვლავ მობრუნების: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ რომ ავენთები, როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ (პოეზია) (2,65).

ასევე სჯერა პოეტს, რომ იგი არსებობდა ოდესლაც: „მე ვიყავი, ეს არ ვიცი როდის, ჩემი ფიქრი გაიშალა დღესაც, თავზე მადგას კვიპაროსის ტოტი და საღამოს ვარდისფერი ზეცა“.

სულთა განმეორების თეორიის გაზიარებას მოწმობს შემდეგი სტრიქონები: „განმეორებას ისევ ელიან და ეს ლექ-სია განმეორება“.

გ. ტაბიძე იზიარებს სულის მარადიულობის იდეას: „ნუ დალონდები... არსებობს მხარე, სად თანაგრძნობაც არსებობს შენთვის, იქ დაუდეგარ, მეოცნებე სულს ბინა ექნება მუდამ, ყოველთვის“.

ასევე ავითარებს გალაკტიონი სულთა, სიცოცხლის განმეორების მოსაზრებას: „მაგრამ გულში დარდს ნუ ისევ, ოცნება ნუ გშორდება, ყოველივე იგი ისევ ისე განმეორდება“. ამ ლექსს იმოწმებს რ. თვარაძე თავის „თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობაში“ და პარალელს ავლებს არისტოტელეს მოწაფე ევდემოსის ირონიულ სიტყვებთან: „პითაგორელებს თუ ვერ-წმუნებით... მე ოდესმე, ამავე ჯოხის ხელში მჭრელი, კვლავაც გესაუბრებით თქვენ ახლანდელივით მსხდომთ ჩემს წინაშე და ყოველივე დანარჩენი ასევე განმეორდება“(3,136)

გარდასხეულების მოძღვრება თავდაპირველად გავრცელებული იყო ინდოეთში. XX ს. მოაზროვნე ვივეკანანდა ამბობდა: მე შანკარნას (VIII-IX ს.ს. ფილოსოფოსის) გარდასხეულება ვარო.

ფილოსოფია, პლატონისეული სიტყვებით რომ ვთქვათ, „სიკვდილისათვის მზადებაა. ე.ი. მას ევალება, იმდენად სრულყოს სული, რომ იგი სამუდამოდ დარჩეს იდეათა სამყაროში და გადაურჩეს მოკვდავთა ნაკლულ ქვეყანაში კიდევ ერთხელ დაპრუნებას“ (უილიამ გათრი, „პლატონი“)(4,110).

„მოგონების“, როგორც თანდაყოლილი ცოდნის, როგორც უკვე არსებული სიცოცხლის გახსენების გამომხატველი სტრიქონები მრავლად მოეპოვება ტ. გრანელს: „ძველი დღეები შენს წინ ჩნდებოდა, როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის“.

ამ მოგონებას ზოგჯერ სულის ფარდები აუჩინარებს: „ვარ ისეთი, ვარ ყოველთვის კენტი, ჩამოეშვა მოგონების ფარდა“.

„შორეული მოგონება“ იმ შორეულის წარსულის გაცოცხლებაა, რომელიც მის ხორცშესხმამდე იყო ხსოვნაში: „ჩნდება შორეული ჩემი მოგონება, ო, ეს მოგონება – გაფრენილი მტრედი“ („ცრემლი შუალამის“) (5, 54).

შორეული მოგონება „მკრთალია“ დიდი დისტანციის გამო, მირაჟია: „მირაჟების კრებული არის გათეთრებული“, „მირაჟების სერია“ ხსოვნის ჯურლმულებშია ჩასვენებული: „ჩაესვენა სურვილების გროვა, როგორც შორი მირაჟების სერია“ („სიცოცხლის გრადაცია“) (2,183).

ლექსის სახელწოდებაც ღრმა, მნიშვნელოვანი ქვეტექსტის მქონეა, იგი შორეული სიცოცხლის განმეორებაზე, სულისა და სხეულის მიერ გასავლელ, სიცოცხლის საფეხურებზე აკეთებს აქცენტს.

„ხსოვნის სიმაღლე“, „მკრთალ მოგონებას“ უპირისპირდება და მოგონების გაუკვდავებაა.

როცა ხსოვნის ფარდა იხსნება, მოგონებების ქროლვაცინყება დიად წამებში: „გაიხსნა თეთრი ფიქრების რკალი და მოგონების წამები ქრიან“ („ქალი მატარებელში“) (2, 67).

„მოგონება“ პერსონიფიცირებულია და იდუმალი: „მოგონება ფითრდება სინანულის ფარდებში“ („მწუხარე მელოდია“) (2,162).

განვლილი დღეების ჩრდილები რიალებენ ირგვლივ: „განვლილ დღეების კრთიან ჩრდილები“ („შემოდგომის პასტორალი“) (2,105).

ოდესლაც ყოფილი წარსულის შუქი და მოგონება ცოცხლდებოდა სულში: „ჩნდება წარსულის შუქი მწუხარე და მოგონება, ასე რომ დარჩა“ („ფერისცვალება“)(2,27).

ამიტომაც ხდება ტ. გრანელის შემოქმედებაში მოქმედება „სადღაც“, „ოდესლაც“.

ზოგჯერ სულ უჩინარდება ხსოვნის ფენებში დალექილი: „და ყოველივე, რაც იყო, ყრუ სიშორეში წავიდა“.

ტ. გრანელის ცხოვრება მოგონებაა ყოფილის, ხორცი-ელ არსებობამდე ყოფილის, გვიანი მოგონება: „და ახლა გვი-ან მე მაგონდება ფიქრი მოსული და გაფრენილი“.

ჭეშმარიტი ყოფნა კი იქაა და არა აქ: „და მგონია ბედი ქარში დამარხული“, ყველაფერი „ყრუ სიშორეში“ მიდის. მაგრამ რჩება ხსოვნა და ღმერთი: „ხსოვნა დარჩება და დღენი წავლენ, უხილავია ალბათ ხილულშიც“, „ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას, სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“...

დღიურებშიც ეს გრძნობა, წარსულის გაცოცხლება და გარდასულის მოგონებაა: „ვიგონებ ქალს, რომელიც ერთხელ ნახვის შემდეგ დაიკარგა და დარჩა ლანდი შორეული მოგონებების“.

„განვლილ დღეების კრთიან ჩრდილები“, „განვლილ დღეების ნისლიან ლანდთან მე ისევ მივალ ვთუოდ მალე“ – ასე არსებობდა წარსული ანმყოში და ანმყო კი იქცეოდა წარსულად.

მერე დაბადების ბორბალზე ისევ ენაცვლება ყოფნა, რომელიც არყოფნაა და არყოფნა, რომელიც სულის სიცოცხლეა. ამ საუფლოში ერთი მიდის, მეორე მოდის, მერე არსებული იქცევა სხვის მოგონებად: „არ შემიძლია და მე ავადვარ, ქარი ენვია წუხელ ამ ყვავილს. ცხოვრობდი უწინ, ახლა არა ხარ, მე მივდიოდი, შენ არ იყავი. იყო ოცნება, როგორც შენობა, იყო გაფრენა ხიდან იმ ყვავის. მკლავდა ილბალი და უშენობა, მე მივდიოდი, შენ არ იყავი. კრთოდა გულიდან სხვა სტრიქონები. ქრებოდა ლანდი შავი ნიღაბის. შენ მიდიოდი და მიგონებდი, შენ მიდიოდი, მე არ ვიყავი“.

გონების სფეროშია დავანებული მთელი წარსული, სულიერი ყოფნა, რომელიც სააქაოს გადასახედიდან არყოფნად ალიქმება: „იყო სალამო და მომაგონდა ის ბალი, სადაც მე ვკრეფდი ყვავილს. მე შიში თითქოს გულში არ მქონდა, მე მაშინ თითქოს აღარ ვიყავი. და სადღაც შუქი ბრწყინავდა ოდნავ და ისევ წუხდა უმანკო გული. მე მივდიოდი, მზე ჩადიოდა, მე მივდიოდი, შენკენ მოკლული“.

სულში ელავს მოგონებათა ზღვა: „და სარკესავით ელავს ზღვა მოგონების ლანდი“.

„ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ფიქრია“, „ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ლექსია“, ამბობს პოეტი და მიაცილებს ეს ფიქრები, ჩრდილი და არა ლეში: „მომდევს ფიქრების გროვა და საკუ-თარი ჩრდილი“.

მოგონებებშია „სიხარულის დღე“, ანუ შორეული ღმერ-თი: „ვუმზერდი სანთელს და მომაგონდა, დღე სიხარულის რომ კრთოდა წინათ“.

წარსულს შემთხვევით არ უკავია უდიდესი ადგილი ტ. გრანელის პოეზიაში. პოეტის მიზანი აწმყოდან მომავალში გაღწევაა, მაგრამ დღევანდელი უკვე ყოფილის, გარდასულის მოგონებად ისახება. ამიტომ ხდება შორეულის მოგონება, „ძველი დღეების“ გახსენება, რომელიც სიზმრისეულ ლან-დებს მიაგავს: „ძველი დღეები შენს წინ ჩნდებოდა, როგორც ლანდები ლურჯი სიზმარის“... „ჩნდება წარსულის შუქი მწუ-სარე და მოგონება, ასე რომ დარჩა“, „ეს გული მხოლოდ შენ გესალმება, შენ, ანგელოზო, მძიმე წარსულის“, „და შენ მა-გონდები, როგორც მზე წარსულის“.

ტ. გრანელი იზიარებს აზრს ყოფნის სიზმარეულობა-ზე, მისთვის ყოფნა, არსებობა შორეული სიზმარია: „ყოფნას ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ სიზმარს“, „არის ძვირფასი და სიზმარია, როცა იგონებ შორეულ წარსულს, „შენ იგო-ნებდი შორეულ წარსულს“, „შენ იგონებდი გაფრენილ დღე-ებს“, „ასე ჩნდება მოგონება ზარის ხმაზე გაფრენილი“, „შე-მოდგომის სურნელება დადგა, შორეული მოგონებაც ელავს“, „სოფელი – ჩემი ტკბილი ოცნების ლურჯი ნამოსახ-ლარი“.

შორეული წამები, ცისფერი ფიქრები, წმინდა სიყვარუ-ლის ხილვები კიაფობენ სულში: „ისევ ვიგონებ შორეულ წა-მებს, ვიგონებ ცისფერ ფიქრების გროვას“.

ხსოვნის ფერფლნაყარი ფენებიდან ამოდის მრავალი მოგონება: „ახლა შორიდან ვიგონებ ქუჩებს, ქალაქს დაფერ-

ფლილს“. პოეტს იტაცებს „მოგონების ქარები“, „სამყაროს მისტიური შეგრძნება“.

მოგონებას სიძნელე ახლავს: „ეს მოგონება ასე ინთება და ეს წამები ჩემთვის მძიმეა“, მწუხარეა მოგონების წამი: „მოგონება – ჩემი მძიმე ლოდი“.

„რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება?“ – კითხულობს პოეტი.

უკვე ყოფილის, უკვე განცდილის ხელახლა განცდა მოსაწყენი და დამდლელია, ამიტომ იწვევს უსიამოვნო განცდას: „მღალავს დღების განმეორება, მესმის, ვიღაცა უკრავს გიტარას და მეორდება, რაც იყო დღემდე“, „გველივით გდევდა ცრემლების ზღვაზე მკვდარი დღეების ცისფერი ხაზი“.

პოეტი არის როგორც „საოცრების წარსული, ეშაფოტზე ასული“

ტ. გრანელის ლექსებში მოქმედება ხდება „სადღაც, ოდესლაც“, „იქ“, „საგნების გადაღმა“, „ლოცვის გაღმა“, „სიტყვის იქით“: „მატუსალებდა ოდესლაც ეს ხმა“, „სადღაც შორს იყო გამოსალმება“, „ალბათ სადღაც შორს ვიღაც ნალვლობდა“.

წარსულისა და დღევანდელის ზღვარზე მდგომი პოეტი არის „იქაც და აქაც“, ზოგჯერ ტოტალურია ეს გაორება: „აქ ბრნყინავს სევდა, იქ სილურჯეა“... „და მინდა ვიყო იქაც და აქაც“, „თითქოს ვარ აქაც, თითქოს ვარ იქაც, „ისევ აქა ვარ, თუმცა ვარ იქაც“...

ყოფნა არყოფნას ჰგავს და არყოფნა – ყოფნას: „მე მგონია ბედი ქარში დამარხული, მგონია ვიყავი და ახლა ალარ ვარ“.

ხშირად ენაცვლება ერთმანეთს „ის მხარე“ და „აქ“: „მე ვამბობ იმ მხარეზე, რომელიც უკვე დავტოვე და ახლა აქა ვარ“ („გული თბილისისათვის“) (2,305).

ზოგჯერ ერთნაირია ორივე ყოფნა: „ისე ვარ, როგორც ვიყავი წინათ“. მთელი ცხოვრება „შორეულთან“ კონტაქტია: „მგონია, სადღაც შორს ვიმყოფები და ახლა თითქოს არ ვარ მინაზე“.

ძალზე ძლიერია ეს სულიერი კომუნიკაცია წარსულთან: „ახლა სრულიად სხვა სივრცეს ვხედავ“, „მივდივარ, მომდევს სხვა მოგონება“.

ზოგჯერ წარსულშია ყოველივე საუკეთესო: „და ძვირ-ფას დღეებს დრომ დამაშორა. მე ახლო ვხედავ ჩემს მოგონებას, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას“, „მოგონებების ქრი-ან ლანდები“.

სიკვდილით ხდება იმ განვლილთან დაბრუნება სულთა სამეფოში: „განვლილ დღეების ნისლიან ლანდთან მე ისევ მი-ვალ უთუოდ მალე და კანკელივით ხმება თანდათან ჩემი სი-ნაზე და სიბრწყინვალე“.

ასევე, რაც იყო, გაუჩინარდა, მაგრამ რაც არის, ისევ განმეორდება: „და ვამბობ: კიდევ ასეთი წამი ალბათ ოდესმე განმეორდება“. საბოლოოდ სულთა წავსაყუდელში მიდიან ადამიანები ბორნით: „მიდის ბორანი გაღმა, მიყავს ქალი და კაცი“.

იმ სამყაროში გადასვლის მოლოდინია მთელი ცხოვრება: „და როგორც ცეცხლი, გარს მეხვეოდა ფიქრი სიკვდილზე და სიმორეზე“.

განვლილთან დაბრუნება სიკვდილის შემდეგ ხდება და სხეულის არყოფნაში წასვლა პირობაა სულის სამუდამო მხა-რეში დავანებისა, ამიტომ ცხედარია წინამძღვარი: „წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი და მივდიოდი, მივკითიდი საშიშ ქარიშხალს. და ხმა მესმოდა: სამარადოდ იყავ ნეტარი, წუხელ ანაზდად ქარიშხალმა თავი აიშვა“, „მოგონებების ქრი-ან ლანდები და საფლავები მე წინ მიმიძლვის“. პოეტის სამ-შობლო სამარეა, რადგან სულის, ჭეშმარიტი თავისუფლება სიკვდილის მერე იწყება: „ჩემთვის სამშობლო ხომ სამარეა, ვეძახდი დედას მე სამარიდან“.

გარდაცვალება განთავისუფლებაა სხეულის ბორკილე-ბისაგან, ტანჯვისაგან სულის ხსნაა, ამიტომ სიკვდილის წამე-ბი „ცისფერია“.

ღმერთი „ცისფერი ღამეა“ და სიკვდილის წამებიც ცის-ფერია, როგორც ტანჯვისაგან განთავისუფლება, სულის ხსნა: „ეს იყო წინათ, წინათ, როდესაც ელოდნენ ცისფერ სიკ-ვდილის წამებს“.

ფერებში წარმოედგინათ სიკვდილი სიმბოლისტებს. მა-ლარმესთან იგი ოქროსფერია, ედგარ პოსთან – წითელი, გა-ლაკტიონთან – ვარდისფერი.

გარდაცვალების შემდეგ ხდება ახალი ყოფნისთვის გა-მოლვიძება, ახალ გზაზე გასვლა: „გამომელვიძა, და ძილის შემდეგ ლიანდაგიან გზაზე გავედი“, „გამომელვიძა, მგონი, გარდაცვალების შემდეგ“ („გამოლვიძება გარდაცვალების შემ-დეგ“) (4,223).

ასე ეძებდა ტ. გრანელი არსებობის დაფარულ არსს, უხილავს, პლატონის თქმით კი, „ჩვენ უცნობისა და დაფარუ-ლის ძიებისას უფრო უკეთესნი, უფრო მხნენი და ქმედითნი ვხდებით“ („მენონი“, გვ. 146).

„პლატონიზმი ორი სამყაროს ფილოსოფიაა. „მიწიერი მშვენიერება იმ კიბის პირველ საფეხურებს შეადგენს, რომე-ლიც სხეულებრივი მშვენიერებით დაიწყებს და შემდეგ მშვე-ნიერების სხვა სახეებსაც აზიარებს მას, ჯერ მეცნიერების მშვენიერებას დაანახებს, ბოლოს კი გააოგნებს თავისთავადი მშვენიერების ჭვრეტით. ეს მშვენიერება მარად უცვლელია, განძარცული სხეულებრიობისა და წარმავლობის ყოველგვარი ნაშთისაგან. ის განისვენებს უკვდავ შარავანდედში, სადაც მშვენიერება და ჭეშმარიტება ერთია“ (უილიამ გათრი, „ბერ-ძენი ფილოსოფოსები“ (4, 139)).

დამოწმებანი

1. პლატონი, „იონი, დიდი ჰიპია, მენონი“, ძველი ბერძნული-დან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, „ნაკადული“, თბ., 1974

2. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
3. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ. 1975
4. უილიამ გათრი, პლატონი, ბერძენი ფილოსოფოსები, თარგმანი გ. ნოდიასი, წინასიტყვაობა და რედაქცია გ. თევზაძის, თბ. 1983
5. ტერენტი გრანელი, თბ. 2011

პედისცერის კონცეპტი

როგორც ჭეშმარიტ პოეტს, ტერენტი გრანელს აინტერესებდა შემოქმედთა ბედისწერა და შთაგონების პროცესში მშვენიერების „ცისფერი სამყაროსკენ“, „ცისფერი ღამისკენ“ (ამ სახეს უზენაესის სიმბოლოდ გაიაზრებდა)ისწრაფოდა: „ელვარებს ისევ მდუმარე სარკე, მივიღტვი ცისფერ სამყაროსაკენ. დუმილი ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა. ეს წამი მიდის, ფიქრია მეტი, ასეა დიდი პოეტის ბედი“ (ელვარებს ისევ მდუმარე სარკე) (1, 113).

მორწმუნე შემოქმედთ ემტერებოდა ათეისტური ხელისუფლება, მრავალ დაბრკოლებას უქმნიდა, დაღუპვისკენ უბიძებდა: „მღუპავს ბედისწერა“ (ვინყებ ლექსის წერას) (1,235), „ისევ საშინელ იღბალს მივყვები“, წერდა პოეტი (1,206), რომელსაც მრავალ აუტანელ წინაღობას უქმნიდა ოფიციოზი.

დროის უკეთურობას, ქარიშხლებს აყურადებდა პოეტი: „დღეს ჩემი ბედი ქარიშხალს მისდევს“ (არ ვხედავ ღრუბელს) (1,126).

სიტყვის დიდოსტატი ახალ მხატვრულ სინამდვილეს ქმნიდა და ამით სამყაროს შემოქმედს ედრებოდა: „პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი“.

ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრებს იქით გაღ-ნევა, პიროვნულ ტანჯვაზე ამაღლება იყო მთავარი მიზანი: „...ეს განცდა ისევ საზღვარს გასცილდა და მე ვფიქრობდი სხვანაირ ბედზე“ (1,116).

დიდი პოეტის სიტყვას გრიგალისებური ძალა ენიჭებო-და, ამიტომაც ბედს „სპეტაკად“ მოიხსენიებდა: „ბედი ყოველ-თის არის სპეტაკი, დიდი პოეტი გრიგალს ეძახის“ (რიცხვი) (1,129).

ლექსში „უცნობი ლანდი“ თანამედროვეთაგან შეუცნო-ბელი, გაუცხოებული პოეტის სატკივარია: „ცხოვრობდა იგი, მთრთოლვარე, ცივი და ბედისაგან შეწუხებული, თითქოს სა-ეჭვო ქურდი კაცივით უყვარდა დამის შავი ხვეული. ის დადი-ოდა უცნობი სფინქსი და მწუხარების სწეული ლანდი“ (უც-ნობი ლანდი) (1,75).

პირად ცხოვრებაში უიღბლობას ჩრდილავდა ზეშთაგო-ნებული პოეტის სახის შედარება გაბრწყინებულ ეკლესიას-თან: „...უიღბლო ყოფნის სინანული სულში გროვდება. საქარ-თველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია“ (საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამ-რეკლოს) (2,24).

პოეტის ბედისწერა იყო „განვალება“ „იდუმალ მხარეე-ბის გრიგალით“ და შთაგონების ქარებით, რასაც მოჰქონდა ტკივილთან ერთად გამარჯვება (ბარათი ცისკენ) (1,107).

ქრისტეს „სისხლიანი ბედის“ თანაზიარს, უდაბნოს ზა-რის ხმა ესმოდა, აწვალებდა თოვლი და ქარი, სამაგიეროდ, ევლინებოდა „ძველი დღეები“ (ძველი დღე საღმრთო სახე-ლია), „ლანდები ლურჯი სიზმარის“, ანუ მხატვრული გამონა-გონი (MARCUERITE) (1,6.).

სიტყვასთან ჭიდილი გრიგალთან დაპირისპირების ტოლფასი იყო, მაგრამ პოეტი არ ღალატობდა თავის მოწოდებას: „მე ისევ ბედის გრიგალს მივყვები“ (ქარმა ხომ ბევრი ფიქრი დატოვა) (3,104).

ათეისტურმა ეპოქამ რწმენით, ნიჭით გამორჩეულები გარიყა, რეპრესიები, გლოვა და წყევლა გააძატონა, განსაკუთრებით ამოილო მიზანში ტერენტი გრანელი: „ქვეყნის გლოვა და წყევლა ჩემს იღბალს უკვე მისწვდა“ (ზამთრის არია) (1,104).

თუმცა ბედის წყაროს, ვარდს, რწმენას (ვარდი საღმრთო და სალვთისმშობლო სახელია) ემტერებოდა დემონური ხელისუფლება, პოეტის თვალები ნუგეშისკენ იყო მუდამ მიპყრობილი (ნუგეში, ნუგეშისმცემელი უზენაესის სიმბოლოა წმინდა წერილში) და ეს ანიჭებდა სიხარულს: „ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მისაროდა“ (ხსოვნის სიმაღლე) (1,26).

ეპოქამ უარყო რწმენა, ვარდი, დააჭვნო ია, რაც უბედურებად მიაჩნდა: „ასე მწვავს ბედი, მე ასე ვიარ და მიკავია დამჭერარი ია“ წერდა ლექსში „რა ვენა ცხოვრებას ვერ ვუღალატე“ (1,21).

ია სალვთისმშობლო სახელია და პოეტი გლოვობდა დედა ძის უარყოფას, რაც უსამართლობის, სულის გატიალების მომტანი იყო.

სიჩუმე, სიმარტოვე სჭირდებდა ნანახ-განცდილის ქაღალდზე გადატანას, ფანტაზის სიმბოლოს – სიზმარს თუ ყოფნის სიზმარეულობის განცდას: „ჩემი სული სიზმარია, ბედზე დარდი მივატოვე და მე ასე მიხარია სიჩუმე და სიმარტოვე“ (სიჩუმე და სიმარტოვე) (2,111).

სული ლაჟვარდოვანი ცისგან იღებდა შთაგონებას, მაგრამ სახეზე იყო „უმზეო დღეები“ და პოეტი სხვაგან გაფრენას ნატრობდა. „ისევ იღბალმა და საოცრებამ უმზეო დღენი

ჩემს წინ გაფინეს. შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ! – მომეცი ფრთები და გამაფრინე“ (გათენდა. ვალებ დაკეტილ კარებს) (2,123).

ქვეყნის ქარიშხლის თანამოზიარე ხდებოდა პოეტი: „და ქარიშხალი სოფელს არ აცდა, ამნაირ იაღბალს არც მე ავ-ცდები“ (წალენჯიხა) (1,27-28).

მიწის აუტანელი ბედი ზეცისკენ უბიძგებდა: „სალამოა და ბედია მწველი, ზეცა მინდა და ვშორდები მინას“ (ირა რა-დოვსკაიას) (2,226).

პოეტის „ილბალი“ იყო „ქარი, სიკვდილის შიში, ყვავები“ და ჩიოდა: „...და ეს ილბალი დაჲყვა ჩემს გულს, სისხლისგან დაცლილს“ (ისევ სიკვდილის შიში) (3,34).

ტერენტი გრანელს დროება სიცოცხლეს უმწარებდა ჭორებით, ბედისგან გარიყულის ნიჭს არათუ არ აფასებდნენ, მისი გაყილვით იყვნენ გართული: „ახლა იქნებ ჭორებიც მო-მედება ტალახად, მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება. ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გა-კილვა ყველას ეპატიება“ (დაბრუნება სოფელში) (1,46-47).

პოეტის ხვედრი იყო ბოროტების გრიგალთან დაპირის-პირება სულის ყვავილთან – მიმოზებთან, ის კი „ცისფერ უსაზღვროებასთან“ – მარადიულობასთან იყო კავშირში და მხოლოდ ღმერთი ეიმედებოდა. „არ ვესალმები ამგვარ დროე-ბას, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს. ახლაც ვგრძნობ ცის-ფერ უსაზღვროებას და თანაც ვფიქრობ წითელ ღვინოზე. ეს ხმა, ეს ბედი ისევ ჩემია, სადღაც შორს ღმერთის აჩრდილი ცხოვრობს“... (1,102).

პოეტის ბედისწერა იყო წვალება მხატვრული სიტყვის-თვის, საღვთო სიბრძნის მსახურება და „იდუმალ მხარეების გრიგალის“ მოვლინებას პირჯვრის წერით ხვდებოდა, გაცნო-ბიერებული ჰქონდა, რომ ჯვარცმის გარეშე ვერ მიიღწეოდა სიტყვის მწვერვალების დაპყრობა (ბარათი ცისკენ) (2,72).

პირად ცხოვრებაში დატანჯული, პრაგმატულ ბედნიერებას, მატერიალურ უზრუნველყოფას როდი ეძებდა, არამედ თავის პოეტურ ბედზე დარდობდა (გულს სევდა ჩრდილავს) (1,59).

ტერენტი გრანელი ქვეყნის დაწყევლილი ბედის თანაზიარი იყო. „ქვეყნის გლოვა და წყევლა ჩემს იღბალს უკვე მისწვდა. თითქოს კუბოში ვწევარ, თითქოს მაყრიან მინას“ (ზამთრის არია) (2,126).

უსამართლობას ებრძოდა, „უხილავზე“ (ლმერთზე), „სილურჯეზე“ ფიქრობდა, ბედს გაურბოდა და დაღუპვის შიში აემგზავრებოდა (ბედს გავურბოდი) (1,150).

ბედის წყალობად მიაჩნდა ქვეყნის თავისუფლება, ეიმედებოდა მომავალი, სჯეროდა, რომ „დიდი ხნის მერე“ მაინც შეიცნობდნენ მის შემოქმედებას: „და უეჭველი ბედია დღემდე, უეჭველია ახლა ნიღაბი. და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ (ჩემი დუმილი გრძელდება დღემდე) (2,281).

წამებას კი არ გაურბოდა, მიესალმებოდა, რადგან მხოლოდ წამებით შეიძლებოდა ჭეშმარიტების მოხელთება (დღე უზრუნველი). თამაზ ბორელს) (1,13).

მისთვის ბედნიერება იყო სიჩუმეში მოვლენილი ფიქრები, პოეტური მიღწევები: „...ეს ბედია მხლებელი და სიჩუმე მდინარე, ფიქრი დაულეველი მოდის, როგორც მდინარე“ (მგლოვიარე სერაფიმები) (2,63-64).

ქვეყნის უბედურების თანაზიარი იყო და ურნწმუნო, უსამართლო ეპოქაში კუბო და მიწის მიყრა ეზმანებოდა: „ქვეყნის გლოვა და წყევლა ჩემს იღბალს უკვე მისწვდა, თითქოს კუბოში ვწევარ, თითქოს მაყრიან მინას“ (ზამთრის არია) (2,126).

პოეტის ბედნიერება იყო განმარტოება, „გაფრენა ცისკენ“, მუზის მოვლინება (ახლა ღამეა) (1,96).

„ცისფერ სამყაროსკენ“ (მშვენიერებასთან) ლტოლვა იყო მისი მიზანი, ზეცის „ცისფერ ღამესთან“ ზიარება მიაჩნდა დიდი პოეტის ბედისწერად: „ელვარებს ისევ მდუმარე სარკე მივილტვი ცისფერ სამყაროსაკენ. სიცოცხლე ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა. ეს წამი მიღის, ფიქრია მეტი, ასეა დიდი პოეტის ბედი“ (1,113).

„ავი ბედისწერა“, „საშინელი ილბალი“ ვერ თრგუნავდა, მისგან გაქცევის ძალა ამხნევებდა: „მე ისევ მინდა გავექცე ილბალს“ (უფრო გრძნობა, უფრო ანთება) (2,230).

მოწინებას აღუძრავდა ნიკო ფიროსმანიშვილის ამაყი სული „...არ კადრულობდი შებრალებას ბედის წინაშე“ (ფიროსმანაშვილს) (2,43).

არც თვითონ ემორჩილებოდა ბედს: „...მე ისევ მინდა გავექცე ილბალს“ (უფრო გრძნობა, უფრო ანთება) (3,244).

„სხვა ილბალს“ ეძებდა, მიწიერი უკეთურობებით დატან-ჯულს, ცაში ამაღლება ენატრებოდა (შენ მიცქერ მტრობით) (3,249).

„ბრბო მიცქერის უხეში“, წერდა „ბედის კუთხეში“ დარჩენილი პოეტი (მონოლოგი უდაბონოს ყვავილებზე) (3,85).

მოწმუნე, უანგარო პიროვნებას ემტერებოდა ტირანული ხელისუფლება, მრავალ წინააღმდეგობას უქმნიდა, დაღუპვისკენ მიაქანებდა: „მღუპავს ბედისწერა“ (ვიწყებ ლექსის წერას) (1,135), „ისევ საშინელ ილბალს მივყვები“, აფიქსირებდა პოეტი, რომელსაც გამუდმებული დევნის მიუხედავად, მაინც ვერ ჩაუკლეს ნიჭი.

„სიჩუმე და სიმარტოვე“, შემოქმედებითი წამები, სიზმრის, გამონაგონის მხატვრულ სახედ ქცევა ამხნევებდა (სიჩუმე და სიმარტოვე) (1,108).

ქვეყნის უსამართლობით განამებულს, ცის წყურვილი შეიპყრობდა ხოლმე (შენ მიცქერ მტრობით) (2, 249).

„დიდი პოეტი“ გრიგალს უპირისპირდებოდა, ბედს ებ-

რძოდა, ჩვეულებრივთათვის დაწესებული საზღვრის იქით გაღწევისათვის არ იშურებდა ძალისხმევას: „ეს განცდა ისევ საზღვარს გასცილდა და მე ვფიქრობდი სხვანაირ ბედზე“ (2,125).

იშვიათი ნიჭით მომადლებული პოეტი ბედს მოიხსენებდა, როგორც „სპეტაკს“ და გრიგალისებური ძალას ევლინებოდა: „ბედი ყოველთივს არის სპეტაკი, დიდი პოეტი გრიგალს ეძახის“ (რიცხვი) (1,128-129).

კაეშნიანი პოეტი თითქოს ანგელოზის ფრთების შეხებას შეიგრძნობდა: „მე შენ გელოდი, ვგრძნობდი კაეშანს, როს ანგელოზის ფრთები დაეშვა (ანგელოზი „ანგელოზს ეჭირა გრძელი პერგამენტი“. გალაკტიონი) (2,97).

უპოვარი, ბედით უკმაყოფილო „სხვა იღბალს“ ეძებდა (გულს სევდა ჩრდილილავს) (2,59).

სიკვდილის მოლოდინს, საფლავების ხილვის სევდას უქარვებდა „უხილავის“, „საოცრების“ – ღმერთის მოვლინება, პოეტური ნიჭი (საფლავი) (2,116).

ანგელოზური სულის პოეტს „უზრუნველობა და სიხარული“ კი არ ენატრებოდა, შუალამის ლოცვებით უახლოვდებოდა და ზნეობრივ სიწმინდეს და „სევდის ბალში“ იების, ვარდის და მიმოზების აყვავებას შეჰქაროდა: „უზრუნველობა და სიხარული ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა. მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბალისა. ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუალამის თეთრი ლოცვები და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები“ (ნისლიანი ბედი) (2,166).

ია, მიმოზა მარიამ ღვთისმშობლის, ვარდი ძე ღმერთის სიმბოლოა, სევდის ბალი მისი მხატვრული სამყაროა, ლოცვის მსგავსი ინტონაციებით, ორიგინალობით გამორჩეული.

იის, მიმოზის, ვარდის, წყაროს, ნუგეშის (საღვთო და საღვთისმშობლო სახელებია) მაძიებელი პოეტი ათეიზმის ბა-

ტონობის დროსაც ერთგულებდა უზენაეს საწყისებს და, ნიჭ-
თან ერთად, ეს იყო მისი წარმატების გარანტი.

რწმენით, სიბრძნით, უხილავის ხილვის უნარით მომად-
ლებულ პოეტს, სულინმინდის რჩეულს, დაებედა უცდომლად
ეხილა არამარტო თავისი თანმედროვე, ეპოქის არსი, არამედ
მომავლის მოვლენები, „ცისფერი და შორეული“, დანტესავით
შეეგრძნო უფლისა და წმინდა სულების სავანე – ცათა ცა,
„ცისფერი და შორეული“, „სიცოცხლის ბოლო“ (მიღის დალ-
ლილი ხალხი).

საბოლოოდ, ბედს მაინც არ ემორჩილებოდა, ჩვეულებ-
რივი თვალისთვის უხილავი იტაცებდა „...ბედს გავურბოდი
და გული გავხსენ და ვსაუბრობდით ჩვენ უილავზე“.

„ამა ქვეყნის ამაოებით შეძრწუნება მისი ბედისწერა
იყო“ (4, 31).

დამოწმებანი

1. ტერენტი გრანელი. „ქართული თეატრი“, თბ. 1991
2. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
3. ტერენტი გრანელი, ტ.I , ლექსები, წერილები, ჩანაწერები,
პალიტრა L“ თბ. 2012
4. ზურაბ ცხონდია, „გრანელის სევდა“, ზუგდიდი, 1997.

პედიარების პრიტერიუმი

ალბათ მსოფლიოშიც ვერ დიძებნება ნებისმიერი სფეროს შემოქმედი, ტერენტი გრანელივით ტანჯული, უბინაო, ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს მოკლებული, ათესტური ხელისუფლებისგან გარიყული, მოშურნეთა მიერ უგულებელყოფილი, ამა ქვეყნის მესაჭეთაგან მიზანში ცუდად ამოღებული, რეპრესიების მსხვერპლი, შეურაცხად პიროვნებად გამოცხადებული და ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამომწყვდეული, წლობით თავის პოეტურ იდეალებს მოწყვეტილი და მიუხედავად ამისა, სწორედ სულით დაავადებულთა სავანები შექმნა პოეტმა 860 გამორჩეული ნახატი, რომელსაც მაღალ შეფასებას აძლევენ მსოფლიოში ცნობილი ფერმწერები.

პირადი, პრაგმატული ბედნიერება, სახლი, ფული, ოქრო, სამოსელი არასოდეს ყოფილა ამ გამორჩეული პოეტის იდეალი, პირიქით, უბინაოს, ქუჩებში და ბალებში მოხეტიალეს, მოშურნე–მოძულეთაგან გამნარებულს, ბალებში, მინდვრებში (ერთგან წერს სანაგვე ყუთში) უთავსასთუმლოდ ღამისმთეველს, შეეძლო მთელი ძალისხმევა თავისი უმაღლესი სათქმელის დაფიქსირებისკენ მიემართა და შედევრებით მდიდარ ქართულ პოეზიაში თავისი განსაკუთრებული ნიჭით ზეზეურად შექმნილი ლექსებით, წერილებითა და მინიატურებით ახალი ფურცელი ჩაეწერა არა მხოლოდ ეროვნული სიტყვის საგანძურში, არამედ კაცობრიობის ყურადღების მისაქცევი ჭეშმარიტებები დაეფიქსირებინა.

„მე უარვყავი მთელი ცხოვრება, ვანამე ზეცა და პოეზია“ (მოვდივარ, გზაზე ადის ალმური), აცხადებდა ნიჭთა მომმადლებელი სულინმინდისგან ხელდასხმული პოეტი და მართლაც, მხოლოდ მხატვრული შედევრების შექმნას შეალია თავისი ტანჯული ცხოვრება.

შეუძლებელია გულგრილად წაიკითხო ასეთი განაცხადი. „ჩემთვის წამება სიხარული და მიხარია, რომ ვიტანჯები“ (კითხვა ასეთი: ყოფნის რაობა) (1,159).

„ახლა ეს დარდი უფრო კარგია“ (ახლა ასეა, რა იყო წინათ (2,32), გულწრფელად ამბობს შემოქმედებითი მუშაობის წერით ატანილი პოეტი.

მხოლოდ მგრძნობიარე, ცრემლიანი ადამიანები ესათ-ნოებოდა: „და ვესალმები იმ ადამიანს, ვისაც ცრემლები ლო-ყას უსველებს“, წერს ლექსში „უმიზნო ხეტიალი“ (2,41).

„მემენტო მორის“ ავტორისთვის ბედნიერების მომნიჭებული იყო შთაგონების „ცისფერი წამი“: „ეს იყო წამი, ცისფერი წამი და იყო წამი სხვა გარინდების“ (ასე თეთრია ჩემი ფიქრები) (2,59).

ეს შემოქმედებითი ტანჯვა და წვა ანიჭებდა სიხარულს და არა ნივთიერი ფუფუნება: „ჩემთვის წამება სიხარულია და მიხარია, რომ ვიტანჯები“ (კითხვა ასეთი: ყოფნის რაობა) (1,159).

და თუ როდისმე წარმავალი მოვლენებით სიხარული განუცდია, ღმერთს პატივის შესთხოვდა მუდმივად პოეტურ ინსპირაციაში ჩართული: „ღმერთო მიშველე და მაპატივ ეს აღტაცება და სიხარული“ (მივალ, სხვა დღეა, გულს ამოვიტან (2,3).

მხოლოდ პოეტური გარინდების წამებს აფასებდა: „...და ქრიან ღამის შავი წამები... ეს გარინდების წყნარი წამია, ამგვარ წამებას მივესალმები“ (მე ქუჩაში ვარ) (1,259).

„ყოფნა არ კმარა, რაღაც მსურს მეტი“, აცხადებდა მაღალი იდეალებისთვის ჯვარცმული (ახლა ღამეა) (2,269).

მუდმივად თავისი ცხოვრების წესში გვახედებს პოეტის სტრიქონები: „უზრუნველობა და სიხარული ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა, მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბაღისა“.

მიწიერი, პრაგმატული მიზნების უარმყოფელი ისევ აკონკრეტებდა: „მე უარვყავი მთელი ცხოვრება, ვინამე ზეცა და პოეზია“ (მოვდივარ, გზაზე ადის ალმური) (2,42).

ბედნიერებად ესახებოდა პოეტური იდეალის – „ცისფერი ყვავილის“ მიგნება, ეიმედებოდა „საოცრება“ (ლმერთი), არ უფრთხოდა წამებას, რადგან მხოლოდ ასე შეიძლება „ფიქრის მდინარის“ მოხელთება“. „ეს წამება გაივლის, თუ აისმა ინათა და ცისფერი ყვავილი დაეცემა მინასთან. მწუხარე ეგ ოცნება, მწუხარე ეგ სანთთელი და ისევ საოცრება და ისევ განსაცდელი. არ თავდება თარეში მოგონების და ნისლის, ღამე დაჰქრის თვალებში და წამებას განვიცდი. ეს ბედია მხლებელი და სიჩუმე მძინარე, ფიქრი დაულეველი მოდის, როგორც მდინარე“ (მგლოვიარე სერაფიმები) (2,63-67).

ანგელოზები ჩაესახლებინა სულში, სერაფიმებივით სინმინდე გამოარჩევდა და მუდმივად პოეტურ ინსპირაციაში ჩართულს, სიკედილიც არ აშინებდა, რადგან სულიერი ფენომენი ესახებოდა უკვდავების გარანტიად: „ის კვდება, მაგრამ რჩება გენია“ (2,195).

ტერენტი გრანელს სჯეროდა, რომ ფუჭად არ ჩაივლიდა მის მიერ პოეზიისთვის გაღებული მსხვერპლი: „ჩემი ფიქრები არ მოკვდებიან“ (ვდგავარ მაღლობთან, როგორც გუშაგი (2,181).

მისთვის „ლექსი მისტერია და სასიკვდილო განცდა“ იყო (მისტერია) (3,226).

ღამის „შავ წამებას“ „გარინდების წყნარი წამი:“ „ფიქრის მდინარე“ უპირისპირდებოდა, რაც გამარჯვების გარანტია იყო (მე ქუჩაში ვარ) (2,259).

უზრუნველობას, მიწიერ სიხარულს თავის ანგელოზურ სულს უპირისპირებდა: „უზრუნველობა და სიხარული ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა. მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბალისა“.

პოეტური იდეალისთვის შეწირულის მრნამსის გამომხატველია მრავლისმთქმელი განაცხადი: „მე უარვყავი მთელი ცხოვრება, ვიწამე ზეცა და პოეზია“ (მივდივარ, გზაზე ადის ალმური) (3,42).

როცა მხოლოდ რჩეულთათვის განკუთვნილი მიზანს და შედეგს მიაღწია, ბედნიერებად მიიჩნია სამუდამო განსასვენებლის თბილისში პოვნა: „ქვევით საფლავებია და ზევიდან ფიქრები (ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე) დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები, სადმე ახლოს თბილისთან თუ სამარე ვიშოვე“, (ცისფერი სიშორე) (3,127-128).

ირწმუნა, რომ ამდენი მსხვერპლის და წამების შემდეგ მიზანს მიაღწია და უზენაესის ნათელი იხილა: „ბედმა ისევ ინათა“ (უიმედო სივრცეები) (2,95).

ამ ასპექტში ტერენტი გრანელის უცდომელი მოსაზრება სავსებით ემთხვევა დიდი ჩინელი ფილოსოფოსის ლაო-ძის განაცხადს: „ო, უბედურებავ! შენ ძირი ხარ ბედნიერების. ო, ბედნიერებავ. შენ ძირი ხარ უბედურების“ (4,219)

შთაგონების მოვლინების მომენტს „ცისფერ წამს“, „სხვა გარინდების წამს“ უწოდებდა (ასე თეთრთა ეს ჩემი ფიქრები (1,55).

„სევდანარევი ხმები“ ესმოდა, წამება სჭირდებოდა ჭეშმარიტების მიგნებას და როცა მიზანს აღწევდა, მადლიერებით წერდა: „ბედმა ისევ ინათა“ (უიმედო სივრცეები) (3,206).

„ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის კივილი“, განაცხადა და ამ მიზნის მიღწევის ნათელი მაგალითია „მემენტო მორის“ ავტორის გამორჩეული შემოქმედება, არა მხოლოდ პოეზია, არამედ ოპოზიციონერი პოეტის მიერ ფსიქიატრიულ კლინიკაში შექმნილი 860 სურათი, რომლებიც, როგორც გამორჩეული მხატვარი და მწერალი რეზო ადამია აცხადებს, ევროპის დიდ მხატვართა ქმნილებებს გაუნევს მეტოქეობას.

უკეთურთა მიერ ნისლშემოსილი პოეტი და მხატვარი დღეს ნათელშემოსილია, რომელმაც პოეზიაშიც და მხატვრობაშიც ახალი, „უვალი გზებით“ იარა და ამ ჯვარცმული დიდოსტატის შემოქმედება ბედნიერებას ანიჭებს ყოველ გონებაგახსნილ მეტეველს.

„ტერენტი გრანელის მრავალნახნაგოვანი სული მხოლოდ და მხოლოდ იმით იყო ბედნიერი, რომ მგოსანმა უფლის დონეზე წმინდანად იმოგზაურა და მოგზაურობს პოეზიის კოსმიურ სივრცეში“, წერს საყოველთაოდ ცნობილი დიდოსტატი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია (5,48).

„შემოდგომის დღეში“ გაძლაკტიონი საუბრობდა „ბედნიერებით გამოწვეულ უბედურებაზე“ და ამ შემთხვევაშიც მიწიერი გატაცებები არა შემოქმედებითი ამაღლების, არამედ უბედურების სათავედ მიიჩნევა (შემოდგომის დღე) (6,17).

„როგორ არ მინდა ბედნიერება“, წერდა ნიკო სამადაშვილი და მიელტვოდა არა მატერიალურ უზრუნველყოფას, არამედ „სიტყვის, ჭეშმარიტების კოშკის“ აგებას.

მიწიერი, პრაგმატული ბედნიერების უარმყოფელი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში „მსოფლიო სევდის ცეცხლი“ იხილვება, მსოფლიოს სატკივარია გაცხადებული. პოეტი გარიყა ათეისტურმა ეპოქამ, მაგრამ ანუგეშებდა „ცისფერი შუქი მარადისობის“, რაც გახდა პოეტის ზეცამდე ამაღლების ნაწინდარი.

დამოწმებანი

1. ტერენტი გრანელი, ტ.I, „ქართული თეატრი“, თბ. 1991
2. ტერენტი გრანელი, ტ.I, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
3. ტერენტი გრანელი, „საოჯახო ბიბლიოთეკა“, თბ. 2011

4. ლაო-ძი „დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საქართველო“, თბ. 1983
5. რეზო (ემელიანე) ადამია, „სისხლიდან ცრემლი“ ინტელექტი“, თბ. 2008
6. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია „პალიტრა L“ თბ. 2014

„მესამე გზა“

ტერენტი გრანელი მიუთითებდა, რომ „ცხოვრება მრავალგზიანია“. მის შემოქმედებაში ნაჩვენებია როგორც სამარისკენ მიმავალი, ცოდვით დაცემული ადამიანის გზა, ისე ზეცამდე ასამაღლებელი გზა.

„მემენტო მორის“ ავტორის პოეზიაში აშკარად არის დაპირისპირებული ხილული და უხილავი, მინა და ზეცა, ხორცი და სული. მის ლექსებში ძიების უკიდეგანობაზე მიგვანიშნებს ფრაზები: „საგნის გაღმა“, „ლოცვის გაღმა“, „ოცნების იქით“, „სიტყვის იქით“ მონიშნული „უვალი გზა“.

მატერიალური სამყაროს ტრივიალური, პირვანდელი სახის უკუგდების გამო ტ. გრანელის პოეტურ სამყაროში საგნების პირვანდელი კონტურები კი არ ფიგურირებენ, არამედ მათი ლანდი, მოჩვენება, აჩრდილი, მოგონება.

პოეტს ტანჯვას განაცლევინებდა საგანი: „და ვხედავ საგანს, როგორც წვალებას“.

შეიძლება ეს პლოტინის აზრის გაზიარება იყოს, რომლის მიხედვითაც „მატერია არის ბოროტი“.

„ფერიული ყოფა“ იზიდავდა ტ. გრანელს.

დაპირისპირებულობათა ისეთ გაგებას, როგორც მის შემოქმედებაში შეინიშნება, შორეული ისტორია აქვს.

ორფეიზმის მიხედვით, სიცოცხლე სატანჯველია, რომლითაც ადამიანი გამოისყიდის ტიტანების შეცოდებას. ადამი-

ანის უკვდავი ნაწილი – სული მოკვდავშია დავანებული. სული სხეულში არსებობისას დამონებულია. სხეული სულის სამარეა, სული წყვდიადშია, სანამ სხეულებრივ გარსში იმყოფება. მხოლოდ ღმერთს შეუძლია ადამიანის განთავისუფლება სიცოცხლის დილეგიდან. მანამდე კი განწმენდის ძნელი გზაა გასასვლელი. სიცოცხლე სიკვდილისთვის მზადებაა, სიკვდილის პატიმრობისაგან თავის დაღწევისა და ცოდვათაგან განწმენდის გზა. სულისათვის სიცოცხლე სიკვდილია და სიკვდილი – სიცოცხლე. სიკვდილის შემდეგ სული სამჯავროს წინაშე წარდგება. ცოდვილი სული მუდმივად იტანჯება, განკურნებული და განწმენდილი ისევ უკან იგ ზავნება, სხვა სხეულებში გადასახლდება, რომ, ბოლოს და ბოლოს, ბოროტებისაგან განთავსისუფლდეს.

„ორფიუსული ცხოვრება მოითხოვს ასკეტიზმს, ავხორცობის უკუგდებას. განწმენდილი სული უკვდავია და ამარცხებს სიკვდილს. იგი მარადიულ სამყოფელში გადადის (მთვარესა და ციურ სხეულებზე). განწმენდისათვის კი მთელი რიგი პირობებია გასათვალისწინებელი.

იდეათა ეს კომპლექსი გადაამუშავეს და მიიღეს პითაგორელებმა, ნაწილობრივ პლატონმა, ნეოლატონიზმმა და ქრისტიანობამ“ (1,60-63).

მთავარი ორფეიზმში იყო მოძღვრება ადამიანში ორი არსის – უმაღლესის, ღვთაებრივის და მდაბალის – ტიტანურის შესახებ. ეს ემყარებოდა დიონისეს კულტს, კერძოდ, მითს დიონისეს ტიტანების მიერ დაგლეჯის შესახებ. ორფეიზმის მიხედვით, ადამიანის ბედი ტანჯული ღმერთის ბედია, ოღონდ მისი მდაბალი ბუნება ტიტანურია. იმისათვის, რომ ღმერთს დაუბრუნდეს, ადამიანი უნდა განიწმინდოს. სწორედ ორფიკულ მისტერიებში ეძღეოდა ზიარებულს ინიციაციის, სულის უზენაესი ნათელდების საშუალება და ეს იყო ხანგრძლივი მორალურ-ეთიკური შემზადებისა და წინასწარი გამოცდების გავლა (1,68).

სულის სრული თავისუფლება მიიღწევა ცეცხლის, წყლის, ჰაერისა და მიწის უგონო შფოთის დაძლევით და შემ-დეგ ხდება უწინდელ ღვთაებრივ, ნეტარ მდგომარეობაში დაბრუნება (პლატონი) (2,42).

ორფიკული ჰიმნების ავტორებს ღრმად სწამდათ სიზ-მრების წინასწარმეტყველური ბუნება. ორფიკოსთა შეხედუ-ლებით, მომავლის წინასწარმეტყველება ციურ მნათობებსაც შეეძლოთ. ასტროლოგიისადმი ყურადღება საერთოდ შეინიშ-ნება ორფიკოსებში (1,42).

ცხოვრებისეულ ცოდვათა გარდა, ორფეოსელნი თანდა-ყოლილი ცოდვიანობის თვალსაზრისსაც მისდევდნენ. ღვთა-ებრივი საუფლოდან მინიერ არსებობაში სულის ჩამოტყორ-ცნა მისი ზესთასოფლური დაცემის, პირველცოდვის შედეგად მიღებული სასჯელია, რომლის გამოსყიდვა ხდება განუნ-ყვეტლად, ხელახალი გარდასხეულებებით, ვიდრე ყველა და-ნაშაული არ იქნება გამოსყიდული და საბოლოო განწმენდა არ იქნება მიღწეული. ამის შემდეგ უბრუნდება სული თავის ჭეშმარიტ სამშობლოს, თავდაპირველ ღვთაებრივ ნეტარებას. მაგრამ საბოლოო განწმენდისთვის ერთი ცხოვრება არ კმარა. ამის შედეგია ახალ-ახალ შობათა გრძელი, ათასწლეულებში განელილი მწკრივი – დაბადებათა ბორბალი (ინდური ტერმი-ნია) (3,111).

სახარებაში სულიერ განწმენდას „მეორედ შობა“ ეწოდე-ბა. განწმენდა ხდება წყლით და სულიწმიდით: „უკუეთუ ვინმე არა იშვეს წყლისაგან და სულისა, ვერ ხელენიფების შესვლად სასუფეველსა ღმრთისასა. შობილი იგი ხორცთაგან ხორცი არს და შობილი – იგი სულისაგან სული არს“ (იოანე, 3,5,6) (4,181).

პავლე მოციქულის მიხედვით, ყოველი ხორცი ერთი და იგივე როდია. არიან სხეულნი ზეციერნი და სხეულნი მინიერ-ნი. არის სხეული მშვინვიერი და არის სხეული სულიერი. პირველი კაცი ადამი შეიქმნა ცოცხალ მშვინვად, უკანასკნე-

ლი ადამი კი ცხოველმყოფელ სულად. პირველი კაცი მიწის-გან – მიწიერი, მეორე კაცი – ზეციერი.

„ხრწნადმა უნდა შეიმოსოს უხრწნელობა. ამ მოკვდავმა უნდა შეიმოსოს უკვდავება.“

„მაშინ აღსრულდება სიტყვა დაწერილი: დაინთქა სიკ-ვდილი ძლევით. ადამიანი უნდა იყოს მსახური არა ასოსი, არამედ სულისა, ვინაიდან ხორცი კლავს, ხოლო სული აცოც-ხლებს“.

მზერა უნდა მივაპყროთ არა ხილულს, არამედ უხი-ლავს, ვინაიდან ხილული წარმავალია, უხილავი კი – წარუვა-ლი „პავლე მოციქული“ I კორინთელთა მიმართ, თავი XV, 39,40,44,46,47,49)(4,381).

პავლე მოციქულმა ყველაზე მნიშვნელოვანი რამ გაან-დო თავისიანებს: „აპა, გეტყვით თქვენ საიდუმლოს: ყველანი როდი მოკვდებით. მაგრამ ყველანი შეიცვლებით“ (I კორინ-თელთა 5,17) (4,381).

„ხორცის საქმეში აშკარაა, ესენია: სიძვა, უწმინდურება, ბილნება, კერპთმასახურება, მწამვლელობა, მტრობა, შუღლი, შური, რისხვა, განხეთქილება, მწვალებლობა, სიძულვილი, მკვლელობა, მემთვრალეობა, ლირწება... და ამის მოქმედნი ვერ დაიმკვიდრებენ ღმერთის სასუფეველს.“

„ხოლო სულის წაყოფია: სიყვარული, მშვიდობა, სიხა-რული, დიდსულოვნება, სიტკბოება, რწმენა, თვინიერება, თავშეკავება.“

„ხორცში მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრწნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სი-ცოცხლეს.“

„ხორცის ზრახვა სიკვდილია, ხოლო სულის ზრახვა სი-ცოცხლე და მშვიდობა.“

„ხორცის ზრახვა ღმრთის მტერობაა...“

„ხორცისამებრ მოარულნი ვერ ესათნოებიან ღმერთს“ (პავლე მოციქული, გალატელთა, 6,16-23) (4, 411).

„უფალი სულია, ხოლო სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლება“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 4,17) (4, 388).

„სულიერი კაცია“ იდეალი ნეტარი ავგუსტინესთვის, „ღმერთის მარადისობაა მისი სახლი“.

ტ. გრანელის სამშობლოც ცაშია: „ჩემი ნაზი სამშობლო-ლაჟვარდები ცისფერი“. (მემენტო მორი) (5,3).

ღმერთთან მიახლოება, განლმრთობა ნიშნავს ზესთა-სოფლად ასვლას, პეტრე იბერის სიტყვებით, ეს არის „აღმართ მავლობა სულისა“.

ტ. გრანელიც ხომ სულ ცისკენ მიიწევს: „სულს ლაჟვარდოვან ცისკენ ვაგზავნი“.

ტ. გრანელის პოეზიაზე დაკვირვება აუცილებელს ხდის სულის მოძღვრების რელიგიურ პრობლემებზე ყურადღების გამახვილებას.

პლატონის მოძღვრების ცენტრში დგას გალმერთებული ადამიანის პრობლემა: „ადამიანი სამართლიანობას ესწრაფვის და სათნოებაში გავარჯიშებული ღმერთს ემსგავსება, რამდენადც ეს შესაძლოა კაცისთვის“ („სახელმწიფო“, X, 613).

„ვისაც სურს სათნო ეყოს ღმერთს, უეჭველად მას უნდა დაემსგავსოს, რამდენადაც შესაძლოა. მაშასადამე, ვინც ჩვენს შორის კეთილგონიერია, ღმერთსაც ის ესათნოება, რა-მეთუ მსგავსია მისი“ („კანონები“, IV, 716).

„ყოველი ადამიანი თავის თავს უნდა მიიჩნევდეს ღმერთის ერთ-ერთ თანამგზავრად“ („კანონები“, IV, 716, ვ).

„გვიღირს თუ არა უვარგისი და დარღვეული სხეულით ცხოვრება?“ კითხულობდა პლატონი („კრიტონი“, d-e).

მაგრამ, ამავე დროს, „უმრავლესობის სულიერ თვალებს არ ძალუდთ ღვთაებრივის მზერა“ („პლატონი, „სოფისტები“, 254, a-b).

ხორცისგან განთავისუფლება ხდება სიკვდილით: „აღ-სასრულის უამს სულის შემკვრელი კვანძები ხომალდის საპ-მელი ბაგირებივით იხსნებიან და ჩვენი არსების უკეთესი და უკვდავი ნაწილი თავს აღწევს სხეულის დილეგს“ (პლატონი, „ტიმეოსი“, 65, 85).

არეოპაგელის ღმერთი ნეოპლატონიანელთა „ერთისა-გან“ განსხვავებული სამპიროვანი ღმერთია.

არეოპაგელის დეიფიკაციის იდეა ამოზრდილია ქრისტი-ანობის წილიდან და არ ენინაალმდეგება ღმერთის განკაცე-ბის ქრისტიანულ მოძღვრებას: „განლმრთობა არს ღმრთისა მიმართ, რაოდენ დასატევნელ არს, მსგავსება და ერთობა“ (6, 158,10).

არეოპაგელის ნააზრევში შერწყმულია ანტიკური ფი-ლოსოფია, ნეოპლატონიზმი, ქრისტიანობა.

ღმერთი სიყვარულია, და იგია „მძვრელ ყოველთა“.

ადამიანთა სიყვარულით განკაცებული ქრისტეა ადამია-ნის შემწე.

ღვთაებისადმი მიმსგავსების პირობაა ქმედითი ცხოვრე-ბა. ქმედება ღვთაებრიობაა.

ტ. გრანელისათვის განლმრთობის გზა პოეზიაა.

მან ყურადღების ცენტრში მოაქცია სოფლისა და ზეს-თასოფლის მიმართების საკითხი და უსახო პროლეტარულ ლეგიონთა თვალში ამითაც იქცა გამოცანად.

ორფესელთა, პითაგორელთა, პლატონიკოსთა დარად, ისიც განლმრთობას თვლიდა უმაღლეს იდეალად და ინიცია-ციის ყველა საფეხურის გავლას ცდილობდა. ამის მომასწავ-ლებელია თანდაყოლილი ცოდვის განცდა, მსხვერპლით გა-მოსყიდვა შეცოდებებისა, ხორციელი სურვილების უკუგდება.

პოეტის „სიცოცხლის გრადაცია“ ინიციაციის ერთი სა-ფეხურიდან მეორეზე თანდათანობით გადასვლაზე, თანმიმ-დევრულ ზნეობრივ განწმენდაზე მიგვანიშნებს.

ტ. გრანელი ეძებდა განლმრთობის გზებს, მარადიულობას: „ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას“. ეძებდა „მარადისობის ლაჟვარდებს“.

„სხვა ყოფნა“ იყო მისი მიზანი: „დაცვენილ ფოთლების გროვა, დღეა სხვა ყოფნის“.

პლატონის დარად, ეს სიცოცხლე იმ ნამდვილი ქვეყნის ანარეკლად ეჩვენებოდა: „ახლა სიცოცხლე ჩემთვის ლანდია“...

იგი თავისთავს უწოდებდა „პოეტს, წამოსულს მაღალ ზეციდან“, რომელიც ქრისტესავით განსხეულებამდეც იყო. ჯვარცმის გზა იყო მეორე გზა, მესამე კი – „გამოღვიძება გარდაცვალების შემდეგ“, ანუ სულით განწმენდილის სამოთხეში მოხვედრა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“ (ლოცვა მთვარესთან) (7,156).

მანამდე კი რთული და ძნელი გზა იყო გასავლელი, ხორციელი სურვილების, ბიწიერების უკუგდების გზა. ამიტომ მტრობდა ხორცს: „რა ვქნა, როდესაც ლეშს არ შეუძლია შეასრულოს სულის მოწოდება, მე ისევ მიწაზე ვრჩები“.

„ვიდრე სხეულში ვსახლობთ, ღმერთის გარეთ ვსახლობთ“ – შეგვაგონებდა პავლე მოციქული.

„განხრწნადმან ხორცმან დაამძიმოს სული“ – ქადაგებდა ეკლესიასტე. ტ. გრანელის გზა ჩვეულებრივ სურვილთა დათმობის გზა იყო: „დავტოვე სურვილი ბევრი, დაეშვა დღეები ცივი“.

ტ. გრანელს თავისი ღვთაებრივი სულის საპატიმროდ სხეული წარმოედგინა: „ვიცი, სხეულმა რომ დამატყვევა. ტანი ციხეა, მე – პატიმარი“, „ტანი სიმძიმეა, სული ქაოსია“.

სხეულის დილეგიდან ამოხტომას ლამობდა მისი ანგელოსური სული: „სული სხეულის ჩუმი ტუსალია, სული უცნობი. სული ანგელოზი“ (ლამის მოუსვენრობა) (5, 52).

„რაღაც მინდა სიცოცხლეზე მეტი“, „რაღაც სხვა მინდა სიკვდილზე მეტი“ – ამბობდა პოეტი.

„მსურს გადავლახო სივრცე, მინდა გავექცე სიკვდილს“ – არის არა მხოლოდ ფიზიკური სიკვდილისგან გაქცევა, არამედ სულის გაუკვდავების სურვილი.

პოეტი კითხულობდა: „შორს დაჰქრის სული დაუცხრო-მელი, საით წავიდა სხეული – ლეში?!“

და ამშვიდებდა, რომ „სული გაფრინდა თეთრი მტრედი-ვით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“.

თანდაყოლილი ცოდვის განცდა არ ტოვებდა ორფეოს-თა დარად: „წარსული ყრმობის სიმახინჯე მომაგონდება“, „უშნო წარსულის სიმახინჯე მივლის გარედან“.

მაგრამ პოეტის ტკივილს ბადებდა ის, რომ არავის არ ესმოდა მისი, ხალხის თვალში არც გამართლება ეძებნებოდა ასეთ უჩვეულო თვითგალებას: „ეს წამი გამართლების ასე და-ფარულია, ეს წამი გამართლების – ასე დაუნახავი“.

მათ არ ესმოდათ, საფლავი და სიკვდილი როგორ უნდა ქცეულიყო ამალების გზად: „სიჩუმეა. წევს თბილისი დაბლა. მე დაყურებ მიტოვებულ საფლავს. გუშინ მე აქ სხვა სიმაღ-ლე ვიგრძენ, ჩემს წინ ისევ გაშლილია სივრცე“.

ტ. გრანელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული მსხვერ-პლის, ზვარაკის აუცილებლობა: „შენი ზვარაკია, ღმერთო ჩე-მი სული“, „არ უნდა ფიქრი, პირველი მე ვარ, მე პოეზიის უმანკო მსხვერპლი“.

თითქოს სიცოცხლეშივე განთავისუფლებული იყო ხორ-ცისაგან, ბიწისაგან და სულიერი ზეობისათვის მიეღწია, ამი-ტომაც იყო „ლანდი გრძნეული“, „უცნობი ლანდი“, „ფარული წამების ლანდი“, ამიტომ უვლიდა სამარეს: „და ირგვლივ სა-მარეს უვლის ფარული სურვილის ლანდი“ (დათოვლილი სან-თელი) (5,12).

ქრისტე ეგულებოდა პოეტს უდიდეს ნუგეშად და სწამ-და უსხეულო არსებობის: „მე არ მინდოდა სიცოცხლე. არც

სიკვდილი. მე რაღაც სხვა მსურდა. ახლაც ვფიქრობ და მნამს მესამე გზის არსებობა, როგორც იდუმალების.

მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც დამიხსნის მე განსაცდელისგან.

მე მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

მე მივმართავ მთელ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

მე მინდა გაფრენა.

მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი“.

პოეტი ცდილობდა გაქცეოდა ცოდვილ ქვეყანას, მიწის მნიკვლს და ტალასს: „ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე. და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალაზიდან, რომელსაც ეწოდება მინა“ (გულიდან სისხლის წვეთები) (7,6).

გზაჯვარედინებზეც არ ერევა, პირიქით, ეცნაურება პოეტს თავისი ეკლიანი გზა: „ძვირფასო, ვდგავარ გზაჯვარედინზე და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია“.

ეს სიკვდილის გზაა, ხორცის კვდომის, სულის გამარადისების გზა, ამიტომაც არ აძრწუნებს სამარე.

სამარის არც გალაკტიონს ეშინია, რადგან მშვენიერების გაუკვდავებით ამარცხებს სიკვდილს: „ნუ გეშინია, არ დავკარგავთ გზას აკლდამაში“ („ო, გადავეშვათ უფიქრებლად“) „მელანქოლიის ამ აკლდამაში ბედმა დიდება გამომატანა“ – ამბობს ერთგან.

ეს გზა სახელდებულია „განმეორების“, „დაბრუნების“ გზად: „განმეორებას ისევ ელიან და ეს ლექსია განმეორება“, „ნაწვიმარია, ძინავს ბუნებას. ცა სიზმარია, გზა – დაბრუნება“. ეს სულთა საუფლოში დაბრუნებაა და არა მიწაზე.

„შორი გზების“ ფიქრი იპყრობდა უცნაურ წამებში: „იშლება ფიქრი და გზები შორი. ეს წამი ჩემთვის უცნურია“ („მატარებლიდან“) (8,70).

ტ. გრანელი ურიგდებოდა სიკვდილს სულის უკვდავების სახელით და ნათელმხილველივით წინასარ გრძნობდა

შემდგომი არსებობის საიდუმლოებას: „ვგრძნობ, რაც იქნება სიკვდილის შემდეგ. ეს შერიგება და ქარი დღემდე“...

„გახსოვდეს სიცოცხლე!“ – ამბობდა გოეთე.

„გახსოვდეს სიკვდილი“ – შესძახებს ტ. გრანელი და ორივეს ერთი მიზანი აქვთ: გამოაფხიზონ ადამიანი ყოველ-წამიერი აზრიანი არსებობისათვის.

შემთხვევით არ ჩნდება ტ. გრანელის ლირიკაში ჰამლეტის სახე: „ლოთი ჰამლეტი გადამიშლის მარცხენა პირებს („სონეტი“) (5,66).

ყოვნა-არყოფნის შექსპირული კითხვა სევდით მსჯვა-ლავს ცველა ადამიანს, ასევეა ტ. გრანელთან: „კითხვა ასეთი: „ყოფნის რაობა. სევდა მეტია, მე დღესაც ვნაღვლობ“.

„არა სიცოცხლე.

არა სიკვდილი.

არამედ რაღაც სხვა“ („გულიდან სისხლის წვეთები“) (7,6).

ეს „მესამე გზა“ იყო იდუმალების, მარადისობის გზა.

ხორცზე ამაღლების გზა კი პოეზია: „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწერალე სული“ (7,6).

პოეტი „ფიქრიდან“ ხედავდა „შორეულ მიზანს“, თრგუნავდა ხორცს და სულის ფრთებით დაფრინავდა ზეცაში: „სხეული კვდება. გული ვისროლე. მივდივარ ცისკენ, ვშორდები მიწას და გასაფრენი ფრთა გავისწორე“.

„უფალო, გამოიყვანე საპყრობილით ჩემი სული“ – ეველრებოდა უზენაესს ფსალმუნის ავტორი.

„მესამე გზის“ ძიებით გაურბოდა პოეტი სიცოცხლეს, რომელიც სიკვდილისათვის, მარადისობისათვის მზადება იყო: „იდუმალია ის გზა მესამე, ნუთუ ცხოვრებას ვერ გავექცევი“.

უსასრულოა ეს ძიება: „დაო, რა ვქნა, მესამე გზას ვეძებ და მაღლიდან მთვარე ტყვიას ისვრის“ (დილა მთაზე) (5, 177).

„რაღაც მესამეს“ იგულვებდა დაპირისპირებულ მოვლენებს შორის კ. გამსახურდია: „ადამიანური ლექსიკონი ძლიერ ღარიბია. ძილსა და სიცხადეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, ბნელსა და ნათელს შორის კიდევ არის რაღაც მესამე“ („დიონისოს ღიმილი“).

ტ. გრანელთან სიკვდილით ხდება მარადიული არსებობის გზების ძიება. „...ხელახლა მინდა ისევ სიცოცხლის გზები ვეძიო“.

ეს გზა ტანჯვის, მარტოობის, დათმენის, მსხვერპლის გზაა: „ისევ მარტო ვარ სევდიან გზაზე“.

ის გზები განგებამ დაუსახა პოეტს: „მოგელოდა შენ გზები, როგორც ანგელოზები“.

„ნისლიანია“ ის გზა: „შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე“.

„მემენტო მორის“ ავტორმა ამ კითხვებზე სრულიად თავისებური და სანუგეშო პასუხი იპოვა და იწამა რა სულის უკვდავება, მისი განწმენდისაკენ, ღვთაებამდე მიახლოებისაკენ მიმართა მთელი ძალისხმევა, ამასთან თაობებსაც დაუსახა მარადიული ზნეობრივი იდეალი, რითაც იგი მართლაც განუმეორებელი და ერთადერთია.

უფალი, სიშორის მიუხედავად, ადამიანის შემწე, მფარველი და მხსნელია: „ღმერთი მახლობელი მე ვარ – იტყვის უფალი და არა ღმერთი შორეული“ (იერემია წინასწარმეტყველი, 23, 23) (9,147).

ეს შორეული უფალი მახლობელი იყო ტ. გრანელისათვის, იგი მუდამ გრძნობდა „შორეულ, მარადიულ სამყაროსათან ახლობელ კავშირს“, „გრძნობდა მარადიულ ლაუვარდს“, ზეციდან ხმა ჩაესმოდა თითქოს: „ისევ მიხმობენ და მეძახიან, მგონია ციდან მეძახის ვიღაც“ (შდრ. ვაჟა: „ციდან ძახილი მესმოდა წყნარი“).

ქრისტეს სული უხმობდა თითქოს ვარსკვლავიდან: „იყო სიჩუმე, მასი წერტილი. მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა. ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარ-სკვლავიდან“.

პოეტს სურდა გაელო ღვთაების დაგმანული კარი, სიკე-
თის, სილამაზის, ჭეშმარიტების კარი, რათა მიწვდომოდა მე-
სამე გზას და ცის გახსნას აყურადებდა განდობილივით: „ცა
გაიხსნება, არ ვიცი, როდის“.

ორფეოსელებივით, ღვთაება ზეცაში განსხეულებულად
წარმოედგინა და ვარსკვლავში დავანებული სულის ხმობაც
ესმოდა: „მე მგონია, ვარსკვლავიდან მიხმობს ჩემი გაფრენი-
ლი სული... ჩემსა და იმ ვარსკვლავს შორის გაბმულია რაღაც
უხილავი ძაფი, რომელიც მე მაერთებს მთელ ზეციურ სამყა-
როსთან“.

იმ „ბედის ვარსკვლავს“ მისჩერებოდა პოეტი.

„ეს „კომუნიკაცია“ ორმხრივი იყო: „და ჩემს ტყვეობას
გრძნობს ვარსკვავები“.

ასე ჩააყენა პოეტმა ასტროლოგია პოეზიის სამსახურში.

ამაშიც იგი ორფეოსელთა და პლატონიკოსთა გზას მიჰ-
ყვებოდა.

ტ. გრანელის „მესამე გზა“ შორეული გზა იყო, ღმერ-
თისკენ მიმავალი გზა და მერე „არ ფიქრობდა დაბრუნებას“,
რადგან საბოლოოდ განწმენდილი მისი სული ცის სამყაროში
დაივანებდა, ვარსკვლავში და აღარ ჩამოიტყორცნებოდა მი-
ნაზე სელახალი განწმენდისათვის, რადგან უკვე გავლილი
ჰქონდა სულიერი ნათელდების გზა: „განწმორებისთვის გული
მტკითადა და არ ვფიქრობდი მე დაბრუნებას“.

თავის მარადიულ სამყოფელად ეგულებოდა ზეციური
სახლი, „ცისფერი სახლი“, „ცისფერი ქვეყანა“.

ტ. გრანელის ცხოვრების გზები იწყება კაცობაში, „ადა-
მის ძის“ სახით და სრულდება ღმერთობაში. ეს არის ინდივი-
დუალური განლმრთობის გზა.

ტ. გრანელის სულის მიერ განვლილი გზა მთელი ცოდ-
ვილი და უცოდველი კაცობრიობის გზაა და „ამ გაგებით“ იგი
მართლაც არის „მსოფლიოს პოეტი“.

პოეტის გზა არ სრულდება ფიზიკური სიკვდილით, პი-
რიქით, მერე იწყება მარადიული არსებობა, „გამოლვიძება

გარდაცვალების „შემდეგ“ სულის სამუდამო ღვიძილი, ამიტო-
მაც, ტ. გრანელის აზრით, ადამიანს მართებს მიწაზე ისეთი
ყოფნა, რომ ამქვეყნიური საქმეები სამოთხეში მისასვლელ ხი-
დად იქცეს. აქ არსებითა რწმენის მომენტი, რომელიც იძლე-
ვა ცდუნებებთან გამკლავების ძალას. ეს ფანატიკური რწმენა
იყო საწინდარი იმისა, რომ გრანელს არასოდეს შეშლია უმ-
თავრესი. თუმცა იგი ჩვეულებრივი პრაგმატისტების თვალით
ალბათ, „გზააბნეულიც“ ჩანდა.

ასეთ რწმენაზე და იმქვეყნიური, არამიწიერი არსებობის
დამამტკიცებელ სენსაციურ ფაქტებზე გვესაუბრებიან. რ.
მუდი, ე. როსი, ს. და კ. გროფები, ლ. უოტსონი, კ. რინგი, რ.
ამანიანი, რ. ალმედერი, ჩ. ფიორე, ა. ლანდსბერგი და მეცნი-
ერულად ცდილობენ დაამტკიცონ სულის უკვდავება, რენ-
კარნაცია (10).

„მესამე გზის“ ძიება ამქვეყნიური არსებობის საზ-
ღვრების გარღვევას და ჭეშმარიტ ყოფიერებაში გადასვლას
გულისხმობს. ეს კი საკუთარ არსში შეღწევაა და მის უკიდე-
განო წრიალში ღმერთის აღმოჩენის და შეცნობის გზაა.... იგი
მიელტვის ჭეშმარიტ ადამიანს, ჭეშმარიტ ურთიერთობას,
ჭეშმარიტ ცხოვრებას“ (ზერაბ ცხინდია, „გრანელის სევდა და
სხვა“, „ინტელექტი“, თბ. 2019, გვ. 20).

მერაბ კოსტავა გალაკტიონისადმი მიძლვნილ ლექსში
როცა სიკვდილზე საუბობს, ვერც ლადო ასათიანთან, ვერც
ნიკო სამადაშვილთან, ვერც ლეონიძესთან ვერ პოულობს
„სულეთის სიღრმეს“, ამ ასპექტში მისი იდეალია მხოლოდ
ტერენტი გრანელი: „ეს დედამინა აკრთობდა გრანელს, როცა
ოცნებით ცაში ვიდოდა, იმ ცეცხლის აღიარებით დაიგრაგნა,
ვიდრემდე სამზღვარს გარდავიდოდა. ბოლოს იფიქრა სასო-
მიხდილმან, არ განიყოფის მთლიანი ორად, არა სიცოცხლე,
არა სიკვდილი, რადგან თრივეს მიიჩნევ სწორად. დიახ, მათ
შორის მესამე ჰგავა, ორთავ საწყისის მაერთებელი, თუ ზეცა
გწყურის და მიწა გშია, თუ შენი თავის ხარ განმგებელი, სინ-

დისის შენის წინაშე წარსდექ, იცან სიკვდილი და მკვდრეთით აღსდექ! დიახ, ის მუდამ ემახსოვრებათ, მისი ლექსები და მისი ბოლო, თუმც ვერ იცხოვრა მიწის ხორვებით, ის მესამე გზა ინატრა მხოლოდ“ (გალაკტიონი) (11,154).

დამოწმებანი

1. ორფიკული არგონავტიკა, თარგმანი და გამოკვლევანი ნ. მელაშვილის, თბ. 1977
2. პლატონი, ტიმეოსი, თბ. 1978
3. რევაზ თვარაძე, თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა, თბ. 1977
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
5. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
6. დიონისე არეოპაგელი, შრომები, თბ. 1961
7. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
8. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
9. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
10. Жизнь после смерти, Москва, 1990
11. მერაბ კოსტავა, ლექსები, „მერანი“ თბ. 1990

ასტრალური მოგზაურობა

ტერენტი გრანელი რელიგიური მსოფლგანცდის პოეტი იყო, რომელსაც გათავისებული პქონდა ზეციური სიბრძნე, სიწმინდე, სიკეთე, რაც მიწიერებაზე ამაღლების საწინდარია.

ოკულტისტები, იოგები ირწმუნებიან, რომ ნებისმიერ ფიზიკურ სხეულს აქვს ჰაეროვნი (ეფირული) ორეული, რომე-

ლიც თვით სიცოცხლის კვიტენსენციაა და შეუძლია იცხოვ-როს ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგაც (1,175).

დიდი ფსიიკური ძალის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ჩვეულებრივ პირობებში გამოყონ ასტრალური ორეული და იფრინონ განუსაზღვრელ სივრცეში, დროში.

ასტრალური მოგზაურობისას სული ეთიშება სხეულს, იქმნება უწონობისა და სიმსუბუქის შეგრძნება და ეს მდგომა-რეობა გაიგივებულია ფრენასთან, რაც საჭიროებს უდიდეს ძალისხმევას, უმაღლესი წესრიგის გამბედაობას, ასტრალური სივრცის საოცარი სანახაობის წინაშე შიშის დაძლევას, სიმ-შვიდეს, საკუთარი თავის რწმენას (2,231).

ელენე რერიხის მიხედვით, წმინდა, დისიპლინირებულ სულს ლოცვით, დუმილით ეზრდება ფრთები. ფრენა ბრნყინ-ვალე სიტყვაა. ფრთები იზრდება ფიქრით, გაფრინდით ფიქ-რით, ასეთია მისი მოწოდება (3,32,51,59,88,98,102,523).

„არეოპაგიტულ კრებულში“ „სათნოების ფრთით“ ხდება ზეცამი ამაღლება: „სათნოებისა ფრთითა ამაღლდი ზეცად“ (4,60).

დიონისე, არეოპაგელს ანგელოსურმა ბუნებამ, ზეციურ მეცნიერებაში განსწავლულობამ მიჰმადლა ფრთა: „ანგელო-ზად კაცთაგან გამოუჩნდა დიდი დიონისე ყოველთა, ვითარცა ფრთოვანი, განსწავლული გონებითა ზეციურისა მეცნიერები-სათა“ (4,81).

სულიერ ზეცაში შეღწევა შესაძლებელია მხოლოდ სუ-ლიერი სხეულით. სულიერ ზეცაში მოგზაურობენ არა ხელოვ-ნური თანამგზავრებითა და კოსმოსური ხომალდებით, არა-მედ სულიერი თვითმფრინავებით, კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით (შრიმადბჟაგავატამის II სიმღერა).

დანტე გვარწმუნებდა: „სულს განწმენდილს და გასპე-ტაკებულს ცადამაღლების სრული ნიჭი მოევლინება“.

სულის ფრთებით მიეახლა დანტე ზეცის სივრცეს: „მი-წაზე რა გვაქვს იარაღი ჩვენ იმნაირი, ასასვლელი ან სიმაღ-

ლიდან ჩამოსასვლელი, თავის სისწრაფით შევადარო ჩემს ფრთებს მაშინდელს“ (5,366).

პლატონი აცხადებდა: „პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსია (6, 30-31).

ჭეშმარიტების მიგნების ბედნიერებაზე გვესაუბრება შარლ ბოდლერის „ამაღლება (7,18).

ჰაერში აწეული და ღრუბლებში შეჩერებული დიდი ჩინელი ფილოსოფოსი, მოძღვარი ლაო-ძი ჩინეთის იმპერატორთან შეხვედრისას თავის საოცარ შესაძლებლობებს ავლენდა, ჰაერით გარემოსილი მიწაზე ფეხს არ აკარებდა და დასცინოდა ხელმწიფის კვერთხს, სიმდიდრეს და გამოჩინებას.

მისი ცად, ქარსა და ღრუბლებში ამაღლების, იანის ციური სხივებით შემოსვის უნარი ანცვიფრებდა კონფუცის (8,45,49).

„უხილავ ლანდების ფრთებით ქროლვაზე საუბრობდა რუსი პოეტი ვლადიმერ სოლოვიოვი, ფრთების გაზრდაზე, „ფრთების სავსავით ზეამაღლებაზე“ აკეთებდა აქცენტს ალ. ბლოკი (მარადი დღე).

„ჰაერით მოგზაურობა იწვევს აზრის, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით“, წერდა ზევიად გამსახურდია (9,304).

ესპანეთის მეფე ფილიპე მეორე მეუღლესთან და დიდებულებთან ერთად ესწრებოდა ლევიტაციის მოვლენას, რომელსაც ასრულებდა დომენიკი, კარმელიტის მონასტრის ბერი.

ჯორდანი ბრუნო წერდა თომა აქვინელის შესახებ: „როცა იგი თავისი სულიერი ძალისა და ღვთისმოსაობის წყალობით აზრობრივ განჭვრეტამდე ამაღლდა, მაშინ მისი მგრძნობიარე სხეული მიწას მოწყდა და ჰაერში აიჭრა“ (10,298).

თომა აქვინელის ბიოგრაფი (მე-13ს) ადასტურებს: „სალერნოს მონასტრის ბერებმა იხილეს საკურთხევლის წინ მლოცველი თომა აქვინელი როგორ ასცილდა მიწას და ლოც-

ვის დროს ჰაერში გაჩერდა. სხეული მის სულს, რომელიც არ იყო დაზიანებული არავითარი ვნებათალელვით, მორჩილად მიჰყვებოდა, რადგან მან მისი მიღრეკილებები აღკვეთა“ (10,95).

ასეთი იყო ვინმე შინდლერი, რომელსაც შეეძლო ორი-სამი საუნის სიმაღლეზე აწეულიყო იატაკიდან (11,299).

გოდერძი ჩოხელის რომანში „მგელი“ ფრენენ ბერები, ვიდრე სულიერი სიწმინდე გამოარჩევთ. სულ ცისკენ მიინევენ დიდი მწერლის პერსონაჟები (ცასწავალა, არწივთან ფრენა).

ჰიმნოგრაფ ბასილის მახასიათებელი იყო „ზეშთა სიმაღლედ ამაღლება სულიერი ფრთით“ (12,263).

ზოსიმე ათინელი „გონიერი ფრთით“ აღწევდა ცაში და ხდებოდა ღმერთის ხილვის ღირსი (12,263).

სულის ფრთების მზრდელია საღმრთო სიყვარული: „სიყვარულითა საღმრთოითა ფრთოვან იმენ შენ“ (იოანე მტბევარი) (12,123).

სულინწმინდისგან ხელდასხმულთ ენიჭებათ სათნოების ეტლით ზეცაში ამაღლების უნარი.

ამ ჭრილში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გალაკტიონის, ანა კალანდაძის, ნიკო სამადაშვილის შემოქმედება.

პრობლემას ასე ეხმაურება რუდოლფ შტაინერი: „შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლად გამოთავისუფლდეს, აღიქვას და იმოძრაოს სულიერ სფეროში.

„მესამე ხარისხის შემეცნება ხელენიფება მხოლოდ სულიერ ადამიანს, როდესაც იგი ფიზიკური ორგანიზმიდან იმდენად გამოთავისუფლდება, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ არ ჰქონია (13,317).

ზეცისკენ ლტოლვის მიზანი მიწის სრულყოფას ემსახურება.

„ცათა შინა სწრაფვამ კვლავ სამშობლოს გზაზე უნდა დაგვაყენოს“, გვმოძლვრავს წმინდა გრიგოლ ნოსელი (14,397).

„ფრთხები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ“, ამბობდა აკაკი წერეთაელი.

იოგების მიხედვით, ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისათვის, სულიერი ზეცის მისაღწევად საჭიროა სულიერი სხეული.

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მსურველს ჰქვია „სარვა-გატა“, რაც ნიშნავს მას, „ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს“.

„შრიმად-ბჟაგავატამის II სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცის და მისი მცხოვრებლების ბუნება.

„ბჟაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა საუბარი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში.

ეს შესაძლებელია არა კოსმოსური ხომალდებით, არა-მედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით.

სრულყოფილი იოგისთვის, რომელიც ცნობიერად ტოვებს სხეულს, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისთვის მაღაზიაში შესვლა. უნდა მივიღოთ სულიერი სხეული.

„მოგზაურობა, ხეტიალი ანტიურ და შუასაუკუნოებრივ პოემებში ერთ-ერთი კომპონენტია ინიციაციისა, ასე მაგალითად, მოგზაურობა იაზონის, ოდისევსის, ენეასისა, შუასაუკუნეთა საგებისა და რაინდული რომანის პერსონაჟებისა“ (ზვიად გამსახურდია) (9,212).

მსოფლიო სევდით შეპყრობილი ტერენტი გრანელის სული ცდილობს გაშორდეს „ცოდვილ მინას“, სიკვდილის სავანეს და მარადისობის ცისფერ შუქს“ ეზიაროს: „...სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მინაზე. ასე მგონია, სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის. მე ვიფერფლები, გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია“... (მარადისობის ლაუგარდები) (15,158).

ფრენა, ცაში ამაღლება იმდენად ორგანულია პოეტის-

თვის, რომ მრავალგზის უკეთებს აქცენტს ამ მდგომარეობას, მისთვის მთავარია ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესაებული საზღვრების იქით გაღწევა: „...სული საზღვარს გადას-ცდება ფრენით“ (გაზაფხულის საღამო) (15,154).

მიწიერ უკეთურობებს განშორებული პოეტი თავის მარადიულ სამშობლოდ ცისფერ ლაჟვარდებს მიიჩნევს: „...მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო – ლაჟვარდები ცისფერი“ (MEMENTO MORI)(15,192).

„მემენტო მორის“ ავტორისთვის ორგანული იყო „ექ-სკურსია ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“, „ლოცვა გაფრენისთვის“.

ტერენტი გრანელის პოეზიაში ძალზე ხშირია საუბარი სულის ფრენაზე, მიწიდან ამაღლებაზე, მარადიული ლაჟვარ-დის შეგრძნებაზე.

ფრენაზე საუბრობდნენ გალაკტიონი ტაბიძე, ანა კა-ლანდაძე, ნიკო სამადაშვილი, გოდერძი ჩოხელი.

„შემოდგომის პასტორალში“ ტერენტი გრანელი სულით მიფრინავს ცისკენ, ამქვეყნიურ ცხოვრებას კი სიზმრად აღიქ-ვამს: „ეს ჩემი სული სადღაც გაფრინდა, მწამს, ყოველივე რომ რომ სიზმარია“ (15,81).

ფრენა პოეტის „შორეულ იმედებს“ უკავშირდება: „შენ-სკენ გამაფრინეს ფიქრებმა, რაღაც შორეულ იმედით“ (ცის-ფერი სინათლე) (15,108).

ცისკენ სწრაფვაზეა საუბარი ლექსში „თან მზეა, თანაც დღე მიდის ასე“ (15,109).

ცაში გაფრენის მიზანია დაკონკრეტებული ლექსში „ლოცვა გაფრენისთვის“: „წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვე-ვი ღმერთო! გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე“ (15,111).

„მარადიული ლაჟვარდის“ შეგრძნებაზეა აქცენტი „მა-რადისობის ლაჟვარდებში“: „მდუმარება მთელ სამყაროს იცავს, სადღაც კენტად ჩაიარა ვაჟმა. მე ოცნებით მოვშორ-დები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“ (15,116).

გაფრენა „სიშორის ცეცხლის“ (ღმერთის) სიახლოვეს, უკვდავებას, უზილავ მხარეს, საღვთო ნისლში შეღწევას უკავშირდება: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს, არ მინდა გული სამარეს მივცე. მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ. იმ პლანეტებზე ფიქრი მიმძიმდა და გაგიჟებას ველოდი ისევ“... (15,135).

სულის ცაში ფრენის უნარი ვლინდება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში: „არ მიბობლნია დაბლა ქვემძრომად, მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი“ (წუგეში მგოსნისა) (16,4).

მიწიერი უკეთურობების მაყურებელი ტერენტი გრანელი ზეციური სამყაროს საიდუმლოების წვდომაზე ფიქრობდა: „...ჩემი ფიქრები ზეცას უვლიან“ (15,137).

მთა „გადამწვარი“, მიწა განადგურების პირას მისული ესახებოდა და „მაღალი ზეცა“ ეიმედებოდა: „...ისევ მიცქერის მაღალი ზეცა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი“ (ოცნება ისევ მაღლა წავიდა (15,138).

მიწაზე ხეტიალით დაღლილი იყო, მისი საიდუმლო უკვე გაეშიფრა და ახლა მაღლა გაფრენა ენატრებოდა: „ეს შემოდგომა და ეს მინდორი მიხმობს უმიზნო ხეტიალისთვის. მაღლა გაფრენა მე მოვინდომე რადგან მიწაზე სული არ იცდის“ (უმიზნო ხეტიალი) (15,140).

ათეისტურ, „მეფისტოფელის საუკუნეში“ (გალაკტიონი) დაღლილს, უსამართლობით განამებულს, ზეცაში ეგულებოდა ღმერთი, საღამოს, უკეთურებას შორდებოდა და ღმერთისკენ – „ცისფერი ღამისკენ“ მიისწრაფოდა: „.... მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ“ (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (15,141).

ცისკენ სწრაფვის მიზეზს ასე აკონკრეტებდა უკეთურ დროში მოქცეული: „....ვარ მწუხარე და მივფრინავ ცისკენ“ (ირას) (15,146).

პოეტის ოცნება მუდამ ზეცას, სიწმინდის სავანეს დასტრიალებდა: „ოცნება ადის ცამდე“ (რვა ივნისი, ცხელა) (15,157).

გაფრენის, მიწიდან გასვლის სურვილი არ ტოვებდა „...მინდა ფრთები და მიწიდან გასვლა და გაფრენის სურვილია უფრო“ (ღამის სტრიქონები) (15,208).

„...ბალს მდუმარება იცავს. სული გაფრინდა ცისკენ, სხეული დარჩა მიწას“, აფიქსირებს პოეტი მრავალგზის განცდილს (ისევ თეთრია სივრცე).

დამოწმებანი

1. Жизнь после смерти, М.1990
2. Рамачарака, основы миросозерцания индийских иогов, Петербург,1913
3. Мозаика Агни Иоги, составление Аллы Тер Акопян, в двух книгах, книга I,Тбилиси,1990
4. არეოპაგიტული კრებული , თბ. 1981
5. დანტე, ლვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ. 2012
6. პლატონი, იონი, დიდი პიპია, მენონი, ძველი ბერძნული-დან თარგმნა, და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ. 1974
7. შარლ ბოდლერი, „ბოროტების ყვავილები“, ფრანგულიდან თარგმნა დავით აკრიანმა, „იანუსი, თბ. 1992
8. ლაოძი, „დაო დე ძინი“, თარგმანი, შესავალი და კომენტარები ლერი ალიმონაკის, თბ. 1983
9. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, თბ. 1991

10. კარლ ბრანდლერ ბრახტი, ოკულტიზმი, მთარგმნელები ლია ხუბაშვილი, ვაჟა ოთარაშვილი, თბ. 1991
11. ვიქტორ რცხილაძე, სულთა გამოცხადებანი და სპირი-ტიზმი, „სამშობლო“, თბ. 1992
12. ჩვენი საუნჯე, თბ. 1961
13. რუდოლფ შტაინერი, „ჩემი ცხოვრების გზა“, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „იანუსი“, თბ. 1991
14. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, II, თბ. 1991
15. ტერენტი გრანელი, ტ. I, „ქართული თეატრი“, თბ. 1991
16. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად, ტ. I, „პალიტრა L“, თბ. 2011

თავი III

პატრიოტული ნაკადი

„მე მაფიქრებს საქართველოს გედი“

ტერენტი გრანელის მოქალაქეობრივი და პატრიოტული ლექსები თავისუფლად შეიძლება მივიჩნიოთ XX საუკუნის ქართული ლირიკის შედევრებად.

ყველა პოეტის უპირველესი მიზანი მშობელი ხალხის გულის დაპყრობა იყო, ყველა შემოქმედის ადრესატი, უპირველესად, საკუთარი ერი იყო.

ტერენტი გრანელის პოეზია, უპირველესად, ეროვნულია და მშობლიური გადასახედიდან ცდილობს იგი წვდეს საკაცობრიოს.

წალენჯიხიდან, ზუგდიდიდან დაწყებული მისი გზა თბილისზე გადის და ქვეყნის ამ მთავარი მაგისტრალიდან მიერვის „მსოფლიოს და უსაზღვროს“.

განსაკუთრებულია პოეტის მიმართება თბილისისადმი, ერის ორგანიზმის ამ მთავარი არტერიისადმი.

ტერენტი გრანელის პოეზიის თავისებურება აქაც ვლინდება. იგი აშკარად განირჩევა იმ პოეტებისაგან, რომლებიც სამშობლოს შესამკობად სიტყვებს და ფერებს არ იშურებენ, უპირატესად ხედვითი მიმართება აქვთ საგანთან და მხოლოდ მის გეოგრაფიულ კონტურებს ქმნიან. ტერენტი გრანელისათვის მთავარი სამშობლოსთან სისხლხორცეული კავშირი იყო და შესაშური გულწრფელობით გვიჩვენებდა ამ სიყვარულს, აღნერით მხარეს უგულებელყოფდა უმეტესად.

ტერენტი გრანელის სიტყვა და საქმე ერთი იყო და სამშობლოსათვის მარტო სიტყვით კი არა, იარაღითაც იბრძოდა.

ცნობილი პოეტი ალ. გაბესკირია იგონებდა: „ტერენტი გრანელი აქტიურად მონაწილეობდა ბათუმიდან თურქი ასკერების განდევნაში. სხვაგვარად ვერც მოიქცეოდა: ტერენტის ხომ თავდავიწყებით უყვარდა სამშობლო, ქართველი ხალხი...

სამწუხაროა, რომ ვერ არავის გაუმახვილებია ყურადღება იმაზე, თუ როგორ უყვარდა ტერენტის სამშობლო. იგი პირ-დაპირ გაოგნებული დადიოდა ამ სიყვარულით, რომელსაც ჩუმად, უხმაუროდ დაატარებდა თავისი დიდი და უსაზღვრო გულით. ამიტომ ვერ ისვენებდა და არც იღლებოდა ქართულ მიწაზე ხეტიალით. ტერენტი გრანელი ახლოს იყო რევოლუ-ციასთან, მის იდეებთან, მაგრამ უფრო ეროვნული საკითხები აინტერესებდა. მიწა ამძიმებდა თითქოს, მაგრამ არა იმის გა-მო, რომ არ უყვარდა ის. პირიქით, ისე უყვარდა მიწაც და ცხოვრებაც, რომ ეგონა, ვერ დაეტეოდა იქ“ (მოგონება, მოგ-ვაწოდა გივი ცქიტიშვილმა და ინახება ჩვენთან).

ასევე, პროფესორ დავით კობიძის ცნობის მიხედვით, ტ. გრანელს თავის მეგობარ პოეტთან გრიგოლ ცეცხლაძესთან ერთად მონაწილეობა მიუღია თურქი ასკერების წინააღმდეგ ბრძოლაში 1921 წლის გაზაფხულზე, ქ. ბათუმში (დ. კობიძე, „რამდენიმე სიტვა ტერენტი გრანელზე“, „კრიტიკა“, 1981 წ., გვ. 122, №3).

ტერენტი გრანელის პატრიოტული ლექსები მისი რეა-ლისტური ლირიკის ერთ-ერთი ძალზე საინტერესო ნაწილია.

პოეტს ასულდგმულებდა და შთააგონებდა ქართველი ხალხის სპეტაკი სული: „მწუხარე ბალის დლები კრული, ქარ-თველი ხალხის სპეტაკი სული“.

პოეტს არ აკმაყოფილებდა ჩვეულებრივი სიცოცხლე, მას „რაღაც... სიცოცხლეზე მეტი“ უნდოდა. იგი გრძნობდა მთელ კოსმოსს, შეყვარებული იყო უსაზღვროზე, საქართვე-ლო იყო მისი დიდი ტკივილი, ფიქრი, სიმღერა, უკვდავება, თავის გულწრფელ გრძნობებს ასე გამოხატავდა: „რაღაც მინ-და სიცოცხლეზე მეტი, უფსარულია და შენ მარტო ჰყივი. მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობ-ლოს ტკივილს. როგორც ოხვრა შორეული გედის, ანდა რო-გორც მარმარილო ცივი, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემს სამშობლოს ტკივილს. ვგრძნობ მსოფლიოს

და უსაზღვროს ვეტრფი, შენ გაიგებ ჩემს ამნაირ ტირილს, მე მაფიქრებს საქართველოს ბედი, მე განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს“.

სამართლიანად წერს მანანა გვეტაძე: „პოეტური აზ-როვნების მხრივ, ტერენტი გრანელი ბევრად არის დავალებული ევროპისაგან, მაგრამ ის კოსმოპოლიტი არასოდეს ყოფილა ლირიკაში. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ლექსი „სამშობლო“ (მ. გვეტაძე, „ტრაგიკული ბედის პოეტი“, „მნათობი“, 1981 წ., №10, გვ. 170).

პოეტი მართალი და გულწრფელია მაშინაც, როცა სამშობლოს სიდიადეს და მასზე დარდს არ აცილებს ერთმანეთს: „და საქართველო ჩემთვის დიდია და საქართველო ჩემთვის დარდია“.

შშობლიური მიწის შემოდგომა, მისი დარი თუ ავდარი აცოცხლებდა პოეტს და მიზანმიღწეულიც შფოთავდა. გოდებდა, უკმარისობის განცდით იყო შეპყრობილი: „მე მივაღწიე შორეულ მიზანს, ეს გული შფოთავს და მაინც გოდებს. მე ფეხს ვაბიჯებ მშობლიურ მიწას და შემოდგომის დაცვენილ ფოთლებს“.

ზოგჯერ მხოლოდ ზამთარი ელანდებოდა: „გარშემო ზამთრის თეთრი არეა, მოვიდა ფიქრი და გამარინდა. ჩემი სამშობლო ხომ სამარეა, ვეძახი დედას მე სამარიდან. სჯობია წასვლა, სიმშვიდე არ მსურს, დღენი მიდიან და მზეა ცაზე. მე ახლა ვსდუმვარ, ვიგონებ წარსულს, მე ახლა ვსდუმვარ და ვწუხვარ ასე“.

მისი სამშობლოა „ლაჟვარდები ცისფერი“. პოეტის განსაკუთრებული სიყვარული, ნუგეში, შთაგონება, პოეტური დიდება დაკავშირებულია თბილისთან.

„თბილისი მართლაც რომ გამოკვეთილი თემაა ტ. გრანელის შემოქმედებაში. თბილისი დათოვლილი და თბილისი მდუმარე, თბილისი წვიმიანი და თაკარა მზით გამთბარი. ყველანაირ თბილისს იპოვით მის ლირიკაში“ (მ. გვეტაძე, იქვე, გვ. 166).

„სოფლის მეშინია, თბილისს ვეფარები“, ამბობს პოეტი და „მტანჯველი თბილისის“, „საყვარელი თბილისის“ ნახვას მიეღწვის, „თბილისის ნისლით და ღამეებით გაწვალებული“, „თბილისის კვამლში“ ეხვევა „მკვდარი ფოთლების თანამ-გზავრი“ პოეტი („ზამთრის მოახლოება“).

თბილისი იყო ერთადერთი და უდიდესი ნუგეში, რომე-ლიც ყოველგვარი წამების ატანაში შველოდა: „ფრინველივით ვზივარ ღამის უბეში, თბილისია ერთადერთი ნუგეში... თბი-ლისია და წამებას ავიტან, დღევანდელი მზიანი დღე წავიდა“.

პოეტის საუკეთესო მოგონებები თბილისს უკავშირდება: „ეს მოგონება ელავს თბილისით“. უსაზღვრო იყო თბილისის მონატრება ხანმოკლე განშორების შემდეგ: „ისევ თბილისის მიწა მიზიდავს, ისევ თბილისის ცა მენატრება“.

თბილისთან დროებითი განშორებაც კი სევდას ალუძ-რავდა „მე მომაშორეს თბილისს დროებით, თბილისი გახდა ჩემთვის ოცნება“.

„მე უთბილისოდ ერთი დღე ვერ ვძლებ“, თმბობს პოეტი და ბაქოში მყოფს ისევ თბილისი ეზმანება: „მიმაქვს ცისფერი სევდა, ისევ თბილისზე ვდარდობ, ისევ თბილისი მინდა“.

თბილისთან განშორების გულისტკივილს ამძაფრებდა მწუხარების დუმილი, ნისლიანი მთები, საღამო, წვიმა და სა-მუდამო არდაბრუნების შიში: „იყო სილურჯე ჩემი მხლებელი და მწუხარება დუმილს ისვრიდა, მიჰეროდა ჩქარი მატარებე-ლი და არ მოჩანდა მთები ნისლიდან. ხან ირხეოდნენ ხეები ოდნავ, ღრუბლიან ცის ქვეშ სთვლემდა ბუნება, განშორების-თვის გული მტკიოდა და არ ველოდი მე დაბრუნებას: სხვებიც ფიქრობდნენ შორეულ გზაზე და მოდიოდა საღამო ციდან. მიმქონდა გული სამარის მსგავსი, მკვდარი ვიყავი და წვიმა ცრიდა“...

ანგელოზური სულით ევლინებოდა პოეტი მზიანი თბი-ლისის ქუჩებს, ენატრებოდა მისი შუქი, ცა, „შუადლის ანთე-ბა“ და უნდოდა ეხილა იგი სხვაგვარი, უცხო და უკეთესი მო-მავლით: „მე ისევ ძალას ვიკრებ დილისთვის და ანგელოზი

ჩემს სულში ცხოვრობს. რა ვქნა, დღეს მინდა ვნახო თბილისი, ვნახო თბილისი და მეუცხოვოს. მზის ნაპერწყალი ეშვება ციდან, მოდის შუადღე, როგორც ანთება. ისევ თბილისის შუქი მიზიდავს, ისევ თბილისის ცა მენატრება“ („სოფლიდან თბილისი“).

თბილისი იყო შთაგონების, ანთების იმპულსი, თბილისის მზე, ქარი, ბალები და მთები წარმართავდა მის პოეტურ სულს ქარისკენ, აქტიურობისკენ: „ჩანს დღეა თბილი, თანაც ქარია. დავყურებ თბილის და მიხარია, და მზიან ამინდს შვენის წუთები. მოვა სხვა წამი და შევნუხდები. მზე სხივებს გაშლის, როგორც კრებული, ვარ ისევ ქარში გაჩერებული. და ვნანობ გვიან, დღეა ანთების. და მზეში კრთიან შორს გუმბათები. ირევა ფიქრი, ცა გაშლილია და ბალის იქით მთების ჩრდილია. უფრო ვარ ისე, გზა მიდის სწორედ, გული ქარისკენ გადავისროლე“.

ციხის საკნიდან დანახული თბილისი, მტკვარი, მთვარიანი ღამე და ქარი უმძაფრებდა სიყვარულის ნატვრას, ევლინებოდა შთაგონების „დიდი წამი“: „ვერ გავალ მარტო, გამეფდა ქარი, ამოდის მთვარე და მიდის მტკვარი. თვალი იყსება, გული ქარს გაჰყვა. არ მეღირსება თბილისის ნახვა. ეს ღამე მარად განცდას იძლევა და იქ თამარა ჯაფარიძეა. დარდი ამ სახის, გული მტკივანი, და თეთრი სახლის ჩანს აივანი. და ქარი – ხმაზე და წამი – დიდი და ვხედავ მთაზე რომ ვიღაც მიდის“.

მთაწმინდა, ოცნება და პოეზია განუყოფელია: „თავი მივეცი წამების მორევს და ეს ოცნება ჩანს ალმაცერად. დღეს სულს ცისფერი სინათლე ახლავს“ („მთაწმინდიდან“).

თბილისის სასაფლაოც კი აღუძრავდა ათასნაირ ფიქრებს, ამაღლებული ცხოვრების სურვილს: „დღეს ნოემბრის შაბათია ჩუმი და ყურს ვუგდებს სასაფლაოს დუმილს. გუშინ მე აქ სხვა სიმაღლე ვიგრძენ, წინ იშლება სევდისფერი სივრცე. სიჩუმეა, წევს თბილისი დაბლა, მე დავყურებ მიტოვე-

ბულ საფლავს. გუშინ მე აქ სხვა სიმაღლე ვიგრძენ, ჩემს წინ ისევ გაშლილია სივრცე“.

იმპრესიონისტული მიდგომა სხვადასხვაგვარი კუთხით დაანახვებდა თბილისს, „ქალაქი ხან დაფერფლილია“, ზოგ-ჯერ კი „ქალაქი ჰეგავს მორიელს“. ქაშუეთის საყდარი, სიონის ზარი სიყვარულზე მეტი და ძვირფასია: „ზარი სიონის გულზე მეტია“.

ზოგჯერ „სხვა ყოფნას“ უმზადებს სოფლის სიჩუმე, და-ფერფლილი ქალაქისგან სიშორე.

იმპრესიონისტებივით მკრთალი კონტურებით ხატავდა პოეტი თბილისს, რუსთაველის ქუჩას, იღლებოდა იქ ხეტია-ლით, ფიქრით და ენატრებოდა სიყვარული, დაფასება: „ფიქ-რი და ველი ქარს უკავია. დღეს რუსთველის ქუჩას გავიარ. შენ გესმის კვნესა და შენ იხრები. და ვიცი, დღესაც რომ და-ვიღლები. უნინ, ოდესალაც შენ მაფარებდი. ახლა? როდესაც დღეა ასეთი. ფიქრი და ველი ქარს უკავია. დღეს რუსთავე-ლის ქუჩას გავიარ“.

ზოგჯერ ეუცხოებოდა ნისლიანი, მწუხარე, ქარიანი თბილისი და „თეთრი ფიქრით“ გატაცებული ვიღაცასთან სა-უბრობდა, რასაც იდუმალების მოტივი შემოჰქონდა ლექსში: „ცაზე ნისლია, ცა მწუხარეა. ეს თბილისია, თუ სხვა მხარეა. და თეთრი ფიქრი გულს ისევ გაშლის. ქარი ქრის ირგვლივ და მივალ ქარში. გესაუბრები, ათი სრულია და მზე ღრუბლე-ბით დაფარულია.“

ნავთლუშში იზიდავდა ლექსივით მდუმარე ცა, „თეთრი ღრუბელის“ მსგავსი ყვავი და გულწრფელად აღმოხდებოდა: „ეს სივრცე სულის ნათესავია“.

საბურთალოსაც ხშირად ევლინებოდა „დაუცხრომელი, მოხეტიალე პოეტი“ („საბურთალოზე“).

ხედვითი სახეებიც არ არის ტერენტი გრანელისთვის უცხო და ავლაბრისა თუ ორთაჭალის კონტურებსაც ხატავს: „დახავსებული დგას ავლაბარი და ძირს ბალებით წევს ორთა-ჭალა“.

დიდუბისა და საბურთალოს ქუჩებში ევლინებოდა შთა-გონება, მშობლიურის სიყვარული აძლევდა გრიგალების, მძი-მე დროის გაძლების ძალას, აქ მიელტვოდა მისი რომანტიკუ-ლი სული სიშორეს და სიახლეს: „ეს დილა ელავს, როგორც ლამპარი, ქარმა ფიქრები ისევ დაშალა... ახლა შორიდან ხომ ძვირფასია ჩვენი დიდუბე და საბურთალო. ვიცი, გავუძლებ ამნაირ დროსაც, თუმცა გარშემო გრიგალი მივლის. ჩემი ფიქრები სადღაც გარბიან, შორს მიჰქრის სული მოუსვენარი. ეს სურვილები ისევ კვდებიან, ჩნდება ახალი ფიქრის ლანდე-ბი“.

ბოტანიკურ ბალში მთებიდან მიჰქროდა მისი ოცნება ცისკენ, „ფეხზე დგებოდნენ“ ფიქრები: „ოცნება ისევ მაღლა წავიდა, თეთრმა ღრუბლებმა ცა გადახურეს. და ბოტანიკურ ბალის მთებიდან ხელის გულივით თბილისს დავყურებ... ფიქ-რები ისევ ფეხზე დგებიან“.

თბილისი მისთვის უპირველესად პოეზიის სავანე იყო, „პოეტების მეფე“ გალაკტიონის ნავსაყუდელი და ეტალონად ქცეული პოეტის გვერდით ზოგჯერ ეჭვი ეუფლებოდა საკუ-თარი თავის მიმართ: „ერთად ვხეტიალობდით თბილისის ბულვარებში, რესტორნებში, ბალებში, მე არსად არ გტოვებ-დი. შენ პოეტად შეგიცნეს, რომ ჩაგხედეს თვალებში, მე კი დავრჩი მტკვრის პირად – უსახელო პოეტი“.

ტერენტი გრანელი ხშირად ეწვევოდა მთაწმინდასა და დიდუბის პანთეონებს და წინაპარი კლასიკოსების საფლავებს: „ქალაქი ისევ დანისლულია, გული გუშინდელ ქარიშხალს გაჰ-ყვა. ახლა აკაკის საფლავთან ვდგავარ, წავალ, ილიას საფ-ლავსაც ვნახავ“.

და მათ საფლავებთან მდგარი თავს ღმერთად აღიქვამ-და: „ახლა რა დროს ძილია, აქ მარხია ორივე აკაკი და ილია... როგორც ღმერთი ისე ვარ და ეს ფიქრი არ მიდის, ასეთია თვისება ღრუბლიანი ამინდის“.

პროვინციიდან თბილისს მოვლენილი გრანელის მიზანი იყო ქართული პოეტური კულტურისთვის შეემატებინა თავისი

წვლილი და სწამდა კიდეც, რომ თვითონაც ქმნიდა პოეტური თბილისის სახეს: „აღარ ექნება სახე ახლა უჩემო თბილისს“.

ის დარწმუნებული იყო, რომ საყვარელი ქალაქისთვის უმისობა დიდი დანაკლისი იქნებოდა: „ახლა თბილისი გრძნობს უჩემობას და ჩემს ტყვეობას გრძნობს ვარსკვლავები“ (მთვარე ციხიდან).

„და აქ თბილისში თვით მათხოვარს შევეცოდები“ – ასე ფიქრობდა პირად ცხოვრებაში უილბლო პოეტი.

ტერენტი გრანელის თვითდამკვიდრების გზა პოეზია იყო და, ბუნებრივია, ზოგჯერ შიში იპყრობდა, რომ არ გათქვეფილიყო, არ დაკარგულიყო ქალაქის უსახო მასაში: „ო, ჩემი სული უერთდება ქალაქ მტვერიანს. დავიკარგები, როგორც მამის ძველი ნისია, როცა იელვებს კვირები და ისტერია“ („საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს“).

ზოგჯერ „მღელვარე თბილისის“, „თბილისის ნისლით და ღამეებით გაწვალებული“ პოეტი ქუთაისისკენ მიიღო სიმშვიდის საძიებლად, ელოდა „სხვანაირ დღის გათენებას“, მაგრამ არც იქ ეკარებოდა ძილი („აღსარება ქუსაისს“).

ყოველგვარი ამქვეყნიური ბედნიერებისგან უკუმდგარი, პოეზიის უმანკო მსხვერპლი, ხანდახან გულისტკივილით შეასენებდა სამშობლოს თავის ნიჭს: „მხოლოდ მე ვარ დამწვარი, მხოლოდ მე ვითერფლები და დროა საქართველომ იგრძნოს ჩემი გენია“.

თბილისი იყო პოეტის დიდების მოწმე და თბილისის წინაშე კარგავდა სინაზეს, სინათლეს: „მიდის ჩემი სინაზე, როგორც ნისლი დიდების და თბილისის წინაშე სანთელივით ვიღევი“.

ერთ დროს ბრწყინვალებითა და აღზევებით გარემოსილი პოეტი თვითვე სტიროდა თავის ტრაგედიას: „და ყვავილივით ხმება თანდათან ჩემი სინაზე და სიბრწყინვალე“.

სიცოცხლეში თბილისზე ლოცულობდა და სიკვდილის შემდეგაც თბილისის სამარე ენუგეშებოდა: „ბედნიერი ვიქნები, სადმე ახლოს თბილისთან თუ სამარე ვიშოვე“.

სიკვდილსაც ურიგდებოდა თბილისში სამარის საფასურად: „კარგია ახლა სიკვდილი დეპთან, შემდეგ თბილისში თუ წამასვენეს“.

მხოლოდ თბილისის მიწაში თავშესაფრის ძიება ესახებოდა მარადიულობის საბუთად: „თბილისი – წმინდა თავშესაფარი, თბილისი მინდა, როგორც საფლავი“.

და პოეტი წინასწარმეტყველებდა თავის ნაადრევ სიკვდილსაც, თბილისის სამარეში მოსვენებასაც: „მალე მოვკვდები და ვიცი გულზე რომ დამაყრიან თბილისის მიწას“.

სიკვდილის წინაც თბილისის ღამეები აბოდებდა: „სიკვდილის წინ მომაგონდება თბილისის ღამეები და ჩემი უნაზესი და. ეს ორი შეერთებული კოცონი, რომელიც მწვავდა მე ყოველთვის“ („სიკვდილის შემდეგ“).

მისთვის სიკვდილი, უპირველესად, თბილისთან განშორება იყო: „გაქრება თვალები, რომელზედაც ესვენა თბილისის ღამეები მძიმე ლოდებივით“ („სიკვდილის შემდეგ“).

ყველაზე უნაზესი განცდები, თვით გული და სიცოცხლე თბილისისათვის უნდოდა პოეტს („გული თბილისისთვის“).

თავისი „უბედური ბედის რექვიემი“ თვითვე დაწერა და გულისტკივილით გამოეთხოვა ქართველ ახალგაზრდობას: „გათავდა, მორჩა, მე არ ვარსებობ, ახლა თქვენს შორის არ ვიმყოფები. მშვიდობით, ჩემო ახალგაზრდებო, მე სამუდამოდ გემშვიდობებით“.

ინინასწარმეტყველა თბილისში სიკვდილი: „ჩუმად სძინავს გულს ტყეში სევდის ლურჯი ოდებით. და თბილისის კუთხეში სადმე ღამით მოვკვდები („შეშლილი ცრემლები“).

ტერენტი გრანელს მხოლოდ ეს ერთი ნატვრა აუხდა. თბილისის მიწას მიბარებული პოეტის სამარე მართლაც იქცა მისი მარადიულობის საბუთად, წმინდა ადგილად. მისმა სახელმა ცოტა გვიან, მაგრამ მაინც გააერთიანა ხალხი, ასწავლა ტანჯვის სიკეთე, ცრემლის სილამაზე, მსხვერპლის აუცილებლობა, ამაღლებულის სიყვარული და უანგარო პატრიოტიზმი.

სამშობლო ღმერთის რანგში აიყვანა პოეტმა და, ალბათ, ამით აიხსნება მისი მოხსენიება „უხილავად“ – ანუ ღმერთად, რაც აქცენტია აგრეთვე სულიერი საქარველოსად-მი: „სიონში ვუსმენ ქართულ გალობას და ვიგონებ საქართველოს, როგორც უხილავს“ (დლიურიდან).

ძველ პალეპი და ცხოველი ქართი ყაჩაღი ღია ღივით

ბალს, ტყეს, ხეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ტერენტი გრანელის პოეზიაში. ერთ შემთხვევაში, ბალი აღიქმება რეალისტურად, მისი პირდაპირი მნიშვნელობით, როგორც ჟანგბადის, სიმშვიდის, ფიქრის, სიცოცხლის წყარო, საცხოვრისი. ხშირად პირდაპირ არის მითითებული მისი ადგილსამყოფელი, გეოგრაფიული სახელწოდებები, დაფიქსირებულია ბალის ხეები, ბალის ფერები, მდგომარეობა (მზიანი, ქარიანი, თოვლიანი, ბნელი, მიტოვებული, განადგურებული). ბალი პოეტის სულის მეგობარია, ადამიანური ბუნების მახასიათებელია, როგორც ღვთისმეტყველებაში. ტერენტი გრანელის პოეზიაში ბალის სახე ხშირად ქვეტექსტების შემცველია, მას უკავშირდება ეროვნული, რელიგიური, ფილოსოფიური, ესთეტიკური პრობლემები.

პოეტი საუბრობს უხილავ, შორეულ, ზეცის, ცისფერ ბალებზე, რაც მისი იდეალისტური რწმენის ანარეკლია.

ბალიც ფერებით წარმოიდგინება, ის თეთრია, ღურვია, ცისფერია, ბნელია.

ტერენტი გრანელის პიროვნება და შემოქმედება უჩვეულო მოვლენა იყო თვით მსოფლიოს მასშტაბით. ის იყო უბინაო, უსახლკარო, უთავშესაფრო ამ ცნების პირდაპირი გაგებით: „გრიგალს არ სძინავს და ქრება სანთელი. არა მაქვს ბინა ღამის გასათევი“ (უბინაობა) (1, 171).

არ შეიძლება გულისტკივილით არ გაგახსენდეს პოეტის მიწიური ყოფის, უსასთუმლო არსებობის მაუნტყებელი

სტრიქონები: „... და მაგონდება ისევ ის ლამე, როცა მეძინა სანაგვე ყუთში“ (უმიზნო ხეტიალი) (1, 148).

მაშინ, როცა სულით უპოვართ, მედროვეთ, შავის თეთრად წარმომჩენ ხელისუფლების ლაქიებს, ვაიპოეტებს, ასევე სულიერი არარაობები, ქვეყნის სათავეში მოსული სატანები თავიანთი დესპოტური, ანტიქართული პოლიტიკის ერთგულებისთვის ორდენ-მედლებს ჰკიდებდნენ და სასათბურე პირობებს უქმნიდნენ, უნიჭიერესი, მაგრამ პრინციპული, მოუთვინიერებელი ტერენტი გრანელის საცხოვრისი იყო ქუჩა, სასაფლაო, ბაღი, ტყე, სადაც დაეხეტებოდა დღე და ღამე და ასე ქმნიდა შედევრებს.

ერთგან ამბობს: „დღესაც ბაღში ვიმალები, როგორ თეთრი მდუმარება და მიზიდავს გრიგალივით სიჩუმე და მწუხარება“ (სიჩუმე და სიმარტოვე) (2, 103).

ტყე იყო ქუჩაში დარჩენილი პოეტის სავანე: „...და ყაჩალივით სადმე დავიმალები ტყეში“, „რატომ არა მაქვს თავშე-საფარი?“ (ხე შორეული) (1,56), კითხულობდა ქუჩაში დარჩენილი, ადამიანთა გულგრილობით გაწამებული.

ერთგან წერს: „...და ეს სასაფლაოა ჩემი თავშესაფარი“ (ბლაგოსლოვაკის სასაფლაო) (3, 149)

ტერენტი გრანელის ლექსებში იხსენება მუშტაიდის, ალექსანდროვის, ორთაჭალის, კრწანისის ბალები, პოტანიკური ბაღი, პუშკინის ბაღი, ზუგდიდის ბაღი, ბაქოს ბაღი.

ბაღში, ქუჩაში ხვდებოდა (და არა ბინაში) პოეტი თავის უძვირფასეს ადამიანებს—გალაკტიონ ტაბიძეს, ლადო გუდიაშვილს, იოსებ გრიშაშვილს, ცისფერყანწელებს, სერგეი ესენინს, ყარაჩოლელებს, მებაღეებს, თავისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

ქუჩა იქცა პოეტის ბედისწერად: „...ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ბინა“...

საკუთარ ჭერს დანატრებული პოეტის ბედისწერა იყო ქარიშხალი, გრიგალი, რომელიც ხელს უყინავდა, სულში,

გულში დამანგრეველ სტიქიას ათარეშებდა, ფიქრებს უშლი-და, მაგრამ ლამესთან, ქართან რჩეული ნიჭის პოეტი იდგა, „როგორც ქანდაკება“.

არავინ შებრძოლებია ისე ძლიერ ლამის ქარებს, უამინ-დობას, პუნების თუ ადამიანთა მიერ მოგვრილ ყინვას, სული-ერ ავდორებს, როგორც ტერენტი გრანელი.

მან თოვლი, ქარი, წვიმა, ქარიშხალი, კორიანტელი, ადამიანთა სულის სიბნელე, სიცივე, გულგრილობა პოეზიად აქცია და გმირულად დაამარცხა ის წარმოუდგენელი სიძნე-ლები, რაც, ერთი შეხედვით, ფანტაზიის სფეროს შეიძლება განეკუთვნოს, არადა მწარე, გაუგონარი სიმართლე იყო. არა-ვის მიუღია ბედისგან ისეთი დარტყმები, გამოცდა-განსაცდე-ლები, რაც ტერენტი გრანელს, როგორც სულით რჩეულს და არავის გაუმარჯვნია ამდენ სიძნელებზე ისე მამაცურად, როგორც „მემენტო მორის“ ავტორს.

დიდი პოეტისთვის ავდარი, უამინდობა, ყინვა და სიცი-ვე, უპირველესად, ყინულიანი სულის, გულცივი, მედროვე ვა-იადამიანების მახასიათებლებია.

მიუხედავად გაუგონარი ფიზიკური და სულიერი წვალე-ბისა, ტერენტი გრანელმა დააფიქსირა ლოკალური ბალების სიცივე, მიმზიდველობა, თანაგრძნობა, ზაფხულის სითბო თუ ზამთრის ქარების თარეში, ყინვის და თოვლის პირდაპირ დარჩენილი ადამიანის მდგომარეობა, ყვავ-ყორანთა საბუდ-რად ქცეული ტყე-პარკები, გვიჩვენა ადამიანის ნიღაბმორგე-ბული ყორნების, ქორების მიერ მიერ დაკორტნილი გული, წითელ აფთრებთან გმირული შერკინების მაგალითი, რო-გორც ნ. ბარათაშვილმა, ედგარ პომ, ალ. ბლოკმა, გალაკტი-ონმა.

ბალში ქარისაგან იღუპებოდა ტოტი, იღუნებოდა ალვა, ეპოქის ქარი ანადგურებდა ყვავილებს (რწმენას), „ყაჩალი ქა-რები“ ემტერებოდნენ „ძველ ბალებს“... დახურულ ბალში „ყვა-ვი ჩხაოდა“ – ასეთი მრავლისმთქმელი იყო პოეტის ხილვები.

ქარიან, ყვავილიან ბალს შეხიზნული, უბინაო პოეტი ამბობდა: „როგორც იქნა, დავისვენე ცოტა, როგორც იქნა, გავიჩინე ბინა“ (მოსჩანს ქარში ყვავილები ცოტა) (1,28).

ნამებულ, დიდი ტალანტით გამორჩეულ პოეტს ენატრებოდა კიდევ უფრო დიდი გაქანება, რომ მოველო მთელი სამყარო: „ეს არის ბალში ახლა მოვედი, მომაქვს ტალანტი დიდი პოეტის“ (ეს არის ბალში ეხლა მოვედი) (1,32).

„გულდანყვეტილ, მწუხარე“ პოეტს „ცისფერი ბალი“ უზენაესისადმი წმინდა ვედრების სტრიქონებს ჩააგონებდა: „ღმერთო! სიცოცხლის შუქი მალირსე, დღეს ასეთია ჩემი პროფილი და მივალ ასე ცისფერ ბალისკენ და მივალ ასე გამოწყობილი“.

„სიცოცხლის შუქი“ ღმერთის სახელია დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „შენ ხარ ღმერთი ჩემი სიმაგრისა“

„გამოავლინე შუქი შენი და ჭეშმარიტება შენი (ფს. 42/43, 2,3) (4,566-567)

„...რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“ (ფს. 55/56, 14) (4,580).

ამაღლებული იდეებით საზრდოობდა პოეტის სული, მას „მწუხარე არია“ ჩაესმოდა, რადგან არეული იყო ყვავილები, ანუ შერყვნილი იყო რწმენა (ყვავილი საღმრთო სახელია), მაგრამ თვითონ სულ „სიცოცხლეს“ უმღეროდა, („გზა, ცხოვრება, ჭეშმარიტება“ საღვთო სახელებია (იოანე, 14,6) (5,211).

„და შენ მწუხარე არას ისმენ, ეს ყვავილები ვინ აურია. და მე სიცოცხლეს ვუმღერი ისევ და მე სიცოცხლე ისევ მწყურია“, ასე გამოხატავს პოეტი ღმერთის სიყვარულს, რელიგიური სიტყვის ერთგულებას.

დამდებოდა, ნისლი იყო ლაუვარდების, ანუ გონიერი ზეცის იქით და პოეტს გულით მიჰქონდა „ძვირფასი წიგნი“.

წიგნი საღმრთო სახელია ესაია წინასწარმეტყველთან: „გაიგონებენ იმ დღეს ყრუები წიგნის სიტყვებს და ბრმათა თვალები ბნელიდან და უკუნიდან გამოხედავენ“ (ესაია 29,18) (4,94).

ასევე ღმერთს წიგნის სახელით მოიხსენებენ ნეტარი ავგუსტინე (6, 217), დანტე (7,384) გალაკტიონი (8,12-86).

პოეტის გულში ქრიზანთემა (ყვავილი) ანუ ღმერთი იყო დავანებული: „ნისლია მხოლოდ ლაშვარდის იქით, ეს დღე წავიდა, აწი ღამდება. მიმაქვს ეს ჩემი ძვირფასი წიგნი, მიმაქვს ეს გული და ქრიზანთემა“.

ლექსი ღმერთისადმი ვედრებით დაიწყო და „სიცოცხლის, წიგნის, ყვავილის“ (ღმერთის) სიყვარულით დამთავრდა („ღმერთო სიცოცხლის შუქი მაღირსე“) (1,92).

თბილისზე, მის ბალებზე შეყვარებული პოეტი მთელი ქალაქს ბალივით აღიქვამდა: „... მთელი თბილისი გულში მიწყვია... ჩნდება თბილისი ბალის ოდენა“ (დროა ძილისთვის) (1,157).

ბალი იყო პოეტის სულთან ახლოს, ბალი იყო მისი სულის ნათესავი: „ღმერთო, ეს ბალი ახლოა სულთან, ეს ბალი სულის ნათესავია“ (დღე უზრუნველი) (3,13).

როცა სევდა ოცნების კარებს კეტავდა, მოგონებაში რჩებოდა ბოდლერი, იხურებოდა სულის ბალი და ყვავის ჩხავილი აკრთობდა სმენას: „ირგვლივ ეყარა ვარდის კონები, სევდა ოცნებას კარს არ უღებდა... ერთ დროს მიყვარდა მხოლოდ ბოდლერი და მე ვეძებდი მაშინ სხვა ოთახს. ბალს დაბურული ჰქონდა ფოთლები და ჩემს მახლობლად ყვავი ჩხაოდა“ (ირგვლივ ეყარა ვარდის კონები) (3,147).

წამებული სულის პოეტი ქარიან ბალში კვიპაროსის რხევას აკვირდებოდა, ირგვლივ გამვლელთაგან განსხვავებით, მისი ფიქრი „ცისფერი ღამის“ ტყვე იყო, მიწიურ ყოფას კი აღიქვამდა, როგორც „შორეულ სიზმარს“: „ბალში ქარია ისევ და კვიპაროსის რხევა. გული წამებას მისდევს და უიმედო დღეა. ასე დადიან ირგვლივ და ასე გადის წამი. ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის... ყოფნას ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ სიზმარს“ (ბალში ქარია ისევ) (3,159).

ვფიქრობთ, „ცისფერი ღამე“ შ. რუსთაველის და დ. გურამიშვილის სალვოთო სახელის – „მზიანი ღამის“ ანალოგით შექმნილი სიმბოლოა უზენაესისა.

„ნისლიან ბალში“ „მფარველ ლანდს“ – ლმერთს დაეძებ-და პოეტი, ბალივით იმოსეპოდა მისი სული, (შდრ. მისივე: „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება“) და „სევდის ბალში“ (მის შემოქმედებაში) ისევ ყვაოდა იები, ვარდი და მიმოზები, უცნობი პოეტი გვევლინებოდა, როგორც თეთრი ბალის ანგელოზი, თავისი ბედის ამაღლებას გვაუწყებდა სევდის ბალში აყვავებული ნაირგვარი ვარდებით.

ბალივით შემოსილი პოეტი ასე მიმართავს ნისლიანი სულის საუფლოს: „მფარველი ლანდი მაშინ არ მყავდა, ახლა შენსავით მეც ვიმოსები და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები. უზრუნველობა და სიხარული ცოდვილმა ბედმა მე არ მაღირსა, მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბალისა. ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუალამის თეთრი ლოცვები და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები“ (3,166).

პოეტის „სევდის ბალი“ პოეზიაა, მასში აყვავებული იები, ვარდი და მიმოზები მისი რელიგიური შედევრებია, რადგან ია ლვთისმშობლის სახელია (9,18).

ვარდი და მიმოზა სალვოთო სიმბოლოა.

ლექსში არის ასეთი ფრაზა: „მე ვარ უცნობი, მე ვარ ფარული და ანგელოზი თეთრი ბალისა“.

ტერენტი გრანელი ხედავდა და აფიქსირებდა არა მხოლოდ მიწიერ ბალს, არამედ ზეციურ ბალს, როგორც დანტე, გალაკტიონი.

ამ თვალსაზრით, ის მართლაც „უცნობი და ფარული“, ანგელოზური სული იყო.

ტერენტი გრანელს სწამდა ზეციური ბალის არსებობა, მას სჯეროდა წმინდა სულის უკვდავება, ამიტომ აცხადებდა თავის სამშობლოდ „ცისფერ ლაშვარდებს“, ... ზეცის ბალს.

პოეტს მორგებული ჰქონდა ანგელოზის ნიღაბი: „მე ვა-ტარებ ანგელოზის ნიღაბს“...

ლექსში ტერენტი გრანელის პოეტური ძლევამოსილებაა ნაჩვენები, რომელიც მიწიერ ბალში „სევდის ბალის“ ყვავილებზე, ზეცის ბალზე ოცნებობდა და ეიმედებოდა თავისი რელიგიური პოეზიის, წმინდა სულის მარადიულობა, ზეცის ბალში დამკვიდრება.

ვფიქრობთ, ზეციური ბალია ნაგულისხმევი შორეულ ბალში: „სდუმს სადღაც ბაგე შორეულ ბალში“ (შენ მიცქერ მტრობით) (1,263).

ბალში სამრეკლოს ზარებზე, „ნუგეშზე“ თანამგზავრებზე ფიქრობდა: „ბალია ამ სილურჯეში, შორს სამრეკლოა, ზარები. გაჩნდება ჩემი ნუგეში და ჩემი თანამგზავრები“ (ბალია ამ სილურჯეში) (1,274).

ნუგეში, ნუგეშისმცემელი საღვთო სახელია (ესაია წაინასწარმეტყველი, 51, 12) (4,112)

ეკლესიის სამრეკლო, ზარები პოეტს უზენაესის იმედს უნერგავდა.

მრავალგზის ვლინდება ტერენტი გრანელის ინტერესი ზეციური ბალისადმი.

ერთგან ამბობს: „იქ დუმილია შორეულ ბალის“ (ქალი მატარებელში) (3,67).

„მარადისობის ლაშვარდებში“ (3,126), რეალური ბალის იქითა ბალისკენ მიისწრაფოდა პოეტის წმინდა ოცნება: „დღე თეთრია და ბალია იქით, არის გული და ოცნება წმინდა“.

პოეტი ცხოვრებას უდაბნოდ აღიქვამდა, ხატებთან მდგარი „მწუხარე დის ცისფერ ლანდს“ – ღვთისმშობელს ამ-ჩნევდა და თავის მწუხარებას ზეციური ბალისგან განშორებით ხსნიდა: „.... შეიძლება ჩემი მწუხარების მიზეზი უხილავი ბალების სილურჯე იყოს“ (მე და გაფითრება) (1,223).

„და“ წმინდა წერილში მარიამ ღვთისმშობლის სახელია: „ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყა-

რო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 4, 12) (4,16).

ლექსში „მიყვარდა ერთი“ (3,236) პოეტი მარიამ ღვთის-მშობელს ევედრება შველას და ბალის იქით „თეთრი და მდუ-მარე სივრცე“ – ზეცა ეიმედება.

ტერენტი გრანელს არ აშინებს სიკვდილი, ის დარწმუნე-ბულია, რომ სამოთხეში დაივანებს მისი მაღალი იდეებისთვის ტანჯული სული და ზეციური „ბალის კარებთან“ დაიმსხვრევა „ზამთრის ვარდები“ – ანუ მარადიული გაზაფხულის სავანე იქნება მისი სამუდამო თავშესაფარი: „გლოვის ზარებით გამა-ქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდე-ბით... ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან“ (ლოცვა მთვარესთან) (1, 156).

პოეტს იზიდავდა კვიპაროსები, ნაძვები, ალვა, შორეუ-ლი ხე. ეს სახელები საღვთო სიმბოლოებია და მათდამი ინტე-რესი აქცენტს უკეთებს პოეტის რელიგიურობას.

ლექსში „სიზმარი“ (9, 138) პოეტი თითქოს ათი წლის „ბავშვი უფალია“, უქარო, „უცხო ბალის“ თავისუფალი მკვიდ-რი: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბალში მე მივდიოდი თავი-სუფალი“

ლექსი სიზმრის საშუალებით გამოხატავს პოეტის ოცნე-ბას ინიციაციის უმაღლესი საფეხურის მიღწევაზე, ზეციურ ბალში დამკვიდრებაზე, თავისუფლებაზე, რაც დედამიწაზე მიუღწეველი იყო.

„...სიზმარშიც ოცნებაშიც ჩვენ არარაობაში ან ცაში როდი ვიმყოფებით, არამედ დედამიწაზე, სინამდვილის სფე-როში, ოღონდ ნამდვილ ნივთებს სინამდვილისა და აუცი-ლებლობის შუქში კი არ ვუყურებთ, არამედ წარმოსახვისა და თვითნებობის წარმტაც მოჩვენებებში“.

გამოყოფენ „განცდილის, მომასწავებელ, წინასწარმეტ-ყველურ სიზმრებს“ (რ. ნათაძე) (10,36)

ტ. გრანელის სიზმარი განცდილის ასახვაა, ინიციაციას-თან დაკავშირებული.

ველზე, ბალში ტერენტი გრანელი „იდუმალი ძალის“ – ომერთის არსებობას შეიგრძნობდა: „....ალბათ, ამნაირ ველზე იდუმალ ძალას სძინავს“ (რა ვქნა, რაღაცას ვეძებ) (3,201).

პოეტი ბალში ზეცას, ცათა ცას ხედავდა (სადღაც სდუმს მთები) (3, 244), ენუგეშებოდა „შორეული ხე“ (ხე შორეული ისევ იქ იცლის) (3,56).

მძაფრი ეროვნული ტკივილი უკავშირდება ბალის სახეს ტერენტი გრანელის შემოქმედებაში.

ბიბლიის მიხედვით, ორგვარი ბალი და ვენახი არსებობს. ზეციური ბალი ანგელოზების სავანეა, მიწის – ებრაელი ხალხის საცხოვრისი.

ებრაელთა მისამართით ბიბლიაში ნათქვამია: „იქნები მორწყული ბალივით და წყაროსავით, რომლის წყლები არა-სოდეს დაშრება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 58, 11) (4, 117).

წმინდა წერილში ებრაელი ხალხის გადახვევა ღვთის გზიდან, ეროვნული იდეალების ღალატი მკაცრად ისჯება ომერთისგან და მას მკა და გასხვლა ეწოდება. ომერთი ბრძანებს: „დაუარეთ მის ვაზებს და გაანადგურეთ, მაგრამ საბოლოოდ არ მოსპოთ, ტოტები შეაჭრით, რადგან უფლის არ არიან ისინი, რადგან ღალატით მიღალატეს ისრაელის სახლმა და იუდას სახლმა, ამბობს უფალი“ (იერემია წინასწარმეტყველი, 5, 10,11) (4, 129).

ტერენტი გრანელის პოეზიაში ძალზე ხშირად ქართველი ხალხის მეტაფორად ბალი გვევლინება.

ლექსში „1921“ (3,245), საუბარია „გაუსხლავ ლურჯ ბალზე“, რაც, ვფიქრობთ, ამ ბალში, ანუ ხალხში სამშობლოს მოღალატეთა არსებობას აფიქსირებს, რადგან ჩვენი ქვეყნის ხელახალი ოკუპაცია 1921 წელს გარეშე და შინაური ძალების ერთობლივი ძალისხმევით მოხდა. კიდევ უფრო სავალალო ის იყო, რომ მამულის თავისუფლებისთვის ბრძოლაში დაჭრილ

რაინდებს ცოცხლად მარხავდნენ, პატრიოტებს ციხეში ამ-წყვდნევდნენ. ეს ფაქტი პირუთვნელად დააფიქსირა ლექსის ავტორმა: „...ციხეში ვზივართ, გარეთ მთვარეა, შორს გაუს-ხლავი ლურჯი ბალი და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი მარხია ხალხი“.

ნაწარმოებს ახლავს შენიშვნა: „მასობრივი რეპრესიების დროს იყო შემთხვევები, როცა დაჭრილი მეომრები მკვდრებ-თან ერთად დაუმარხავთ“ (11,398).

1924 წლის აჯანყების დამარცხება პოეტმა აღიქვა, როგორც საქართველოს (მისი ეროვნული იდეალების) სიკვდილი: „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“. მაგრამ ლექსი მაინც ლაზარეს – საქართველოს აღდგომის რწმენით მთავრდება: „მაგრამ ლაზარე აღსდგება მკვდრეთით, აღდგება, როგორც ღვთის სიყვარული“ (ფიქრები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მკვლელობის დღეს“. ლექსს აქვს მინაწერი: „მადლობა ღმერთს, ეს მათ მიერ გავრცელებული ჭორი ყოფილა“ (11,400).

ტერენტის მოუნახულებია წყაროს ქუჩა, სადაც 1924 წ. გამოსვლების მონაწილეთა დიდი ჯგუფი დახოცეს. იმ ადგილზე მაშინ გაძლიერებული დაცვა იდგა, რომ ახლოს არვინ მისულიყო. ტერენტის მაინც გაურღვევია დაცვა და აკანკალებული უყვებოდა ალექსანდრე გაბისკირიას: „იქ ვიყავო წუხელ. დაცვას დავუსხლეთი ხელიდან. იცი, საკუთარი თავი შემჯავრდა. ისეთი რბილი იყო მიწა, ფეხები შიგ მეფლობოდა. ფეხები ადამიანის სისხლის სუნი მცემდა.. მეგონა, მეც იმ სისხლიან მიწაში ვეფლობოდი... გამოვალნიე!... მაგრამ ხომ ხედავ, მთელი ლამე არ მიძინია“ (11,213-214).

1924 წ. აჯანყებამ შთააგონა პოეტს თავისი ახალი წიგნი სათაური: „მემენტო მორი! (გახსოვდეს სიკვდილი!), რაც იყო მტარვალთა გაფრთხილება, სისხლიანი ტირანებისადმი სიკვდილის გარდუვალობის, მომავლის ობიექტური მსჯავრის შეხსენება.

პოეტის სხვა ლექსებშიც ჩანს ბალის გააზრება ეროვნულ ჭრილში. განსაკუთრებული ტკივილის მასაზრდოებელი იყო მიტოვებული ბალი (ბედის ანაბარა მიტოვებული ბალი—ხალხი). თითქოს თავისი ხალხის, უდანაშაულო მსხვერპლის კვამლს ხედავდა მისი სულის თვალი, ესმოდა თანამემამულეთა ტირილი, ანამებდა ღამე, სიბნელე, გულგრილობა და წყევლიდა თავის გაჩენას: „მიტოვებული ბალი კიოდა, დაჟეროდა ლურჯი სურნელი კვირის, კვამლია მსხვერპლის საიქიოდან და სადღაც ქალი სიზმარში ტირის. სული ვერ უძლებს ღამის ნაპრალებს, ო, სიბნელეა და გულგრილობა. კრულვა ჩემს ოთახს, კრულვა ჩემს თვალებს, თვალებს, რომელთაც სწვავთ უძილობა“ (ლამე თვალებში) (1,205)

ვფიქრობთ, ქარისგან განადგურებული ველიც საქვეყნი უბედურებაზე მიგვანიშნებს (და ეს ველი ქარისგან განადგურდა სრულიად) (269).

„მიტოვებული ბალის“ სიჩუმეც მრავლისმეტყველია (ისე დუმს) (1,186).

ეროვნული ტრაგედიით დაღდასმული ბალის – ხალხის ეპითეტია „მწუხარე“, აქცენტირებულია „ქართული ხალხის სპეტაკი სული“, რითაც მინიშნებულია უსამართლოდ დასჯილ სამშობლოზე: „მწუხარე ბალის დღეები კრული. ქართველი ხალხის სპეტაკი სული. ქართველი ხალხის სპეტაკი გული. მწუხარე ბალის დღეები კრული“ (ხალხი) (1,233).

ქარიშხალში მოქცეული ბალიც შეფარვით გამოხატავს სამშობლოს ტრაგიკულ ბედისნერას: „... ბალში გამეფდა ქარი, ბალს ქარიშხალი უვლის“ (მე შენ გამტყუნებ,—რაში) (1,126).

ასევე, იგავური ხერხით გამოხატავს ქვეყნის ტრაგედიას ლექსი „შენს გაქცევას (3,84): „ძველ ბალებს დაეცნენ ქარები ყაჩალივით და აიკლეს ფოთლები. თავზე დამტირის ბებერი მზის მწუხარე სხივი, ო, ლოცვით მელის ბოდვები“.

ვფიქრობთ, „ძველი ბალები“ უძველესი წარსულის მქონე ხალხია, ყაჩალი ქარი – ჩვენს მიწაზე დადარაჯებულ ჩრდი-

ლოელი მტარვალი, რომლის გაუგონარი ვერაგობა „პეპერ მზეს“ – ღმერთსაც ამნუხრებს.

შემდეგ ისევ შეფარულად ხდება მინიშნება „კაინივით“ გმობილ სიმართლეზე, აკლდამებში ჩაწყობილი ერის მამის ფეხებზე: „შენს ძვირფას სახელს ამ ტირილში მე არ ვეხები და ვარ კაინივით გმობილი. ძალლებმაც იგრძნეს მამაჩემის კოჭლი ფეხები, აკლდამებში ძირს ჩაწყობილი“.

არც შიშის, მდუმარების და საფრთხის ხსენებაა შემთხვევითი: „ვოცნებობ შენზე, როგორც ბავშვი შიშით დაღლილი, თან მდუმარებაც მიზიდავს ტყეში. ო, ეს საღამო ჩემს ნაზ სულში რჩება დაღივით, მაგრამ ვიქნები მაინც საფრთხეში“ (შენს გაქცევას) (3,84).

ლექსში „ქალაქის ბალი“ (3,248) საღამოს ბინდში ნაძვებთან დაფიქრებული პოეტი იხსენებს ცხედართან უდროო გამოსალმებას, დედასთან გამოთხოვებას, განვლილ წამებას, ბავშვის მიერ „საშინელ ილბალთან“ შერიგებას. აკაკი წერეთლის „თავო ჩემოს“ უბედობაზე მღალადებელი სტრიქონების აკვიატება, შორს მიმავალი „საღამოს ბინდი“ უიმედობას აძლიერებს და ნუგეში მხოლოდ ზეცის იმედია...

პოეტს გამუდმებით ახსოვდა მტერი, მაგრამ სიტუაცია დუმილს აიძულებდა, სიცოცხლეს აუფასურებდა მიტოვებული ბალის სიჩუმე: „ის მახსოვს, ვინც მტერია (ვსაუბრობ უცნობ კაცთან). ეს ლექსი – მისტერია და სასიკვდილო განცდა. მე ვსდუმვარ, ვით მუმია, ალბათ სიცოცხლე არ ლირს და ახლა სიჩუმეა მიტოვებული ბალის“ (მისტერია) (2,187).

ისევ და ისევ ბალი-მშობლიური ხალხია ტერენტი გრანელს ფიქრის, სევდის საგანი. არც „შორეული მიზნის“ ქარაგმას ხსნის, მაგრამ ხაზგასმით საუბრობს „ბალის დუმილის“ მნიშვნელობაზე: „....ისევ გამეფდა სევდა, ბალს მდუმარება იცავს. და ღრუბელივით ვხედავ ახლა შორეულ მიზანს“.

მერე „შორეული ღრუბელია“ ხსოვნაში, „აქეთ“ და „იქაც“ გამეფებული სიჩუმე მოიაზრება „ბალის“ დამცველ ძალად:

„ვხედავ შორეულ ღრუბელს, ბალს მდუმარება იცავს. აქეთ სიჩუმე სუფევს და დუმილია იქაც“.

ოთხგზის ხდება დუმილის სიკეთეზე ხაზგასმა, რაც თეთრ სივრცეში სიმშვიდის განცდას ქმნის, ხოლო სული ცის-კენ მიფრინავს და , ალბათ, უზენაესზე ამყარებს იმედებს: „ისევ თეთრია სივრცე, ბალს მდუმარება იცავს. სული გაფ-რინდა ცისკენ, სხეული დარჩა მიწას“ (ისევ თეთრია სივრცე) (2, 190).

ცნობილია, რომ პოეტის „შორეული მიზანი“ ჩვენი ქვეყ-ნის დამოუკიდებლობა იყო, რაც იწინასწარმეტყველა კიდეც (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე (11,387-416).

ვფიქრობთ, „შორეული ღრუბელი“ ჩვენი ქვეყნის მფარ-ველი მარიამ ღვთისმშობლის მეტაფორაა, რადგან ღრუბელი საღვთისმშობლო სახელია (12, 125).

ხოლო „აქეთ“ გამეფებული სიჩუმე ჩვენი ხალხის თავის გადასარჩენად მოფიქრებული პოზიციაა, რათა „იქაც“ დუმი-ლი იყოს და არ მიეცეთ ჩვენდამი ხელახალი აგრესის საბაბი. ამას ევედრება ღმერთს პოეტის ცისკენ სალოცავად გაფრე-ნილი სული.

ტერენტი გრანელი ხაზს უსვამდა, რომ მის ლექსებში არ იყო „წითელი აგიტაცია-პროპაგანდა, რომ მასში სულიწ-მინდის მადლი იყო განფენილი, სტრიქონებში – ღვთისმშობ-ლის და მაცხოვრის ხატები ჩაწნული“, რომ მის ლექსებში „მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილ-ხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განღმრთობის სა-ფეხურები... არამცთუ მთარგმნელი, არამედ ქართველი წამ-კითხავიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს; უფრო მეტიც, განდობილი“... (11,412).

„ბალის იქით“ „თეთრი და მდუმარე სივრცე“ აფიქრებს პოეტს და „დას“ – მარიამ ღვთისმშობელს ევედრება შველას,

რადგან „დაძველებული სახლი“ იქცევა „ყრუ საღამოში“, „ჩუმ სივრცეში“ (მიყვარდა ერთი) (2,236)

საგულისხმო შიფრის შემცველია „დაძველებული სახლის“ წაქცევა.

მიხეილ ჯავახიშვილის „ქალის ტვირთში“ ურჩხულისგან ინგრევა კოშკი, იშლება სახლი, რაც რევოლუციის სახელით ჩვენი სახელმწიფოებრიობის ნგრევას მოასწავებს.

ტერენტი გრანელის დაძველებული, წასაქცევად გამზადებული სახლიც შეიძლება ჩვენი სამშობლოს დიდ ტრაგედიას მოასწავებდეს, ხოლო „თეთრი და მდუმარე სივრცე“ მეზობელი თოვლიანი იმპერიის ზრახვებს დუმილით ფარავდეს.

„დაღვრემილი ხალხი“ და „ღრუბლიანი ზეცაც“ მრავლისმთქმელია (მიდის დაღლილი ხალხი (...3,74)).

ისევ გზაჯვარედინი და „ჩამქრალი ბალია“ პოეტის მწუხარების მიზეზი (ჩამქრალი ბალი) (1, 117).

ბალის ეპითეტებია „მიტოვებული“, „დაღვრემილი“, „მწუხარე“, „ჩამქრალი“, „დაცარიელებული“.

პოეტის იმედია რწმენა, „სამრეკლო, ზარები“, ნუგეში (ღმერთი), თანამოაზრენი (ბალია ამ სილურჯეში) (2,274).

დამოწმებანი

1. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
2. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
5. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
6. ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, საქართველოს ეკლესიის კალენდარი, თბ. 1985

7. დანტე, ლვთაებრივი კომედია, თარგმანი კ. გამსახურდია-სი, თბ. 1941
8. გალაკტიონ ტაბიძე, მშვიდობის წიგნი, თორმეტ ტომეუ-ლი, ტ. 12, თბ. 1973
9. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, თბ. 1975
10. რევაზ ნათაძე, რა არის სიზმარი, თბ. 1948
11. ტერენტი გრანელი, ცისფერი სიშორე, თბ. 1997
12. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, ზუგდი-დი, 1996

თავი IV. ტერენტი გრანელის ოპოზიციური ლირიკა

გასაოცარი იყო ტერენტი გრანელის ინტუიცია, იგი უც-დომლად ცნობდა ადამიანის სულს და უკეთურთ, ბოროტე-ულთ ყოველთვის გაურბოდა. მოჩვენებითი ღიმილის, თეთრი კბილების, მოწონების შეძახილებს მიღმა ყოველთვის გან-ჭვრეტდა მოპირისპირეთა ზრახვებს და არასოდეს შეეფიცე-ბოდა ბოროტებას, თუნდაც უზარმაზარ მიწიურ სიკეთეთა საზღაურად, თუმცა სწორედ მიწიური, ელემენტარული პირობები აკლდა ღამის გასათევს დანატრებულს და გამუდმებით თავშესაფრის მაძიებელს.

ამ მხრივ ძალზე საგულისხმოა ლავრენტი ბერიასთან დაკავშირებული ეპიზოდები, პოეტის თვალით ხილული სტა-ლინი. აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები (ლ. ლოლობერიძე, ს. ორჯონივიძე).

ტერენტი გრანელი ხედავდა სულს და ეს საშუალებას აძლევდა, „გაეშიფრა“ მოპირისპირეთა ზრახვები აწმყოსა და მომავალში, რათა ურთიერთობებში არ დაეშვა შეცდომა. ცდუნების სიტუაციები კი მრავლად იყო.

პოეტი ღმერთის გადასახედიდან ხედავდა მოვლენებს და მას არ აშინებდა ამა ქვეყნის ძლიერთა, მიწიერ, წარმავალ მტარვალთა მუქარა.

„ფოლადზე უმეტეს, კოლხეთის ჯავარდენის სიმტკიცეს იჩინდა პოეტი, როცა ყველას გასაგონად სტალინს მიმართავ-და“, წერს ტერენტი დის-ზოზიას შვილიშვილი, ექიმი, პროფე-სორი მამანტი როგავა (მამანტი როგავა, ტერენტი გრანელი) „მწერლობა XXI“, №1/5, 2000).

„ყოვლისშემძლე „პარტიული ინტელიგენციისთვის“ სუ-ლიერად გაუტეხავი და მოუსყიდველი ადამიანის– ტერენტი გრანელის და მისი სამყაროსმომცველი პოეზიის–როგორც თავისუფლების ჰიმნის არსებობა მათი ზეობის ხანაში წარმო-

უდგენელი და შეუძლებელი იყო, რადგან მათ უსუსურობასა და არარაობას უსვამდა ხაზს. სხვადასხვა წარმომადგენელ კოლაბორაციონისტებისთვის თვით გრანელის სიცოცხლე, ცხოვრება და პოეზია იყო და დღესაც არის ყოველწუთიერი შეხსენება საკუთარი (როგორც პიროვნების და მოქალაქის) მოღალატეობის, სულმდაბლობისა და სამარცვინო არსებობისა“ (მამანტი როგავა, იქვე).

„ვუმზერ სამყაროს ლია თვალებით“, ამბობდა პოეტი. „ლია თვალებით“ მზერა კი მხოლოდ ღმერთის, ღმერთის სახედ და ხატად შექმნილ რჩეულ ადამიანთა, წინასწარმეტყველთა პრეროგატივაა: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ლია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი წამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32, 19).

პოეტს არ ტოვებდა ქართველი ერის, ქართული ენის-ლაზარეს ალდგომის რწმენა და ჩვენი მშობლიური ხალხის სანუკვარ იდეალს იმედიანად ეხმაურებოდა: „მაგრამ ლაზარე ალდგება მკვდრეთით, ალდგება, როგორც ღვთის სიყვარული“ (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეებს „ცისფერი სიშორე“, გვ. 18).

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბლია და „დიდი დღის“ (მამალმერთის სახელია) დადგომის, ცოდვილთა განკითხვისა და მართალთა გაბრნყინების იმედით ცხოვრობდა: „....მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“...

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „(კა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“... (1,154).

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა-მწუხარება-

საც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარღისკენ მიჰქოის“...

ტერენტი გრანელი ხსნის გზად რელიგიას, რწმენას, ღმერთის გზით სიარულს, უზენაესთან შერიგებას მიიჩნევდა, როგორც წინასწარმეტყველები, ღვთისმეტყველები: „...და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი ნისლის).

ურნმუნო ეპოქაში ისევ ღმერთისკენ მიპრუნებას, „ძველი ფიქრების“, რწმენის აღორძინებას ხედავდა განგების ძალით: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“.

„შერიგების“ ცნებაში წინასწარმეტყველები, მოციქულები გულისხმობენ ადამიანის შერიგებას ღმერთთან, მიპრუნებას რწმენისკენ.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობს მამებისა და შვილების ღმერთთან შერიგებაზე (მალაქია, წინასწარმეტყველი (3,24) (2,307)).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურებას“ (II კორინთელთა, 5,18) „შერიგების სიტყვას“ (II კორინთელთა, 5,19) და გვმოძლვრავს: „ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა 5,20).

„და ქრისტე ყვავილს ისვრის მთვარიდან“, აცხადებდა ტერენტი გრანელი და თითქოს ხედავდა ძე ღმერთის საშველად გამოწვდილ ხელს.

ცნობილია, ვანო სარაჯიშვილზე დაწერილი ტერენტი გრანელის ლექსით დაინტერესდა ლავრენტი ბერია, რომელიც ყველანაირი გზით ცდილობდა პოეტთან კონტაქტის დამყარებას. ერთხელ თავისი დამქაშების მეშვეობით კაბინეტში დაიბარა, კარგად მიიღო, შეუქო პოეზია, მწვანე მზა მისცა მისი ლექსთა კრებულის გამოცემას.

უბინაო, სანახევროდ ქუჩაში მცხოვრები, უპოვარი ტერენტი გრანელი ბერიას მხრიდან ხელის გამოწვდებას აღტა-

ცებით არ შეხვედრია. თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნო პოეტმა, რომ ხელისუფლება იშინაურებდა, მის მოთვინიერებას იწყებდა, ქამანდს ესროდა და მიზანმიმართულად ეპატიუებოდა ხელმწიფის ეკიპაჟში – მისი განსაკუთრებული ნიჭის სამართავად, პარტიული დოქტრინის ყმად, ამა ქვეყნის ძლიერთა პოლიტიკის სამსახურში ჩასაყენებლად.

ტერენტი გრანელი არ აჲყვა დიდშეყრობელთა ხრისტიანული პრინციპის პოზიცია არ დათმო და „ლამესთან“ დადგა, „როგორც ქანდაკება“. მან კარგად ამოიცნო პოეზიის რჩეულთა ნიჭიერება მონადირე მიწიერი სამყაროს თავადნი, რომელთაც სურდათ ავტორიტეტული მხატვრული სიტყვით მომადლებულნი თავიანთი სატანისტური საქმიანობის მეხოტბედ ექციათ.

„...მიდის ჩემი გზა სწორი“, აცხადებდა გულმართალი ლირიკოსი და კარგად არჩევდა ამა სოფლად დროებით მოვლენილ ფეოდალთ და ზეციურ თავადს, მიწიურს და მარადიულს.

ჩვენი ქვეყნის ოკუპაციას კი არ მიესალმებოდა, დამოუკიდებლობის იდეებს ერთგულებდა და ყინულოვანი მონსტრის მიერ გამეფებულ სიძნეელეს, „ღრუბლებს“ ებრძოდა, ფინიად სახელდებულ უკეთურთ უპირისპირდებოდა: „და ჩაქრა შუქი თავისუფლების, სიძნეელე ირგვლივ დაფენილია, ნელა მიდიან ღრუბლები ცისკენ, გარეთ ვიღაცას უყეფს ფინია“.

პოეტი ამხელდა ეპოქის საძულველ კერპებს, მარქსიზმ-ლენინიზმის შხამით მოწამლულ აპოკალიფსურ ტირანთა ნაშიერებს და უზენაეს, მარადიულ არსებათა თანამგზავრად მიიჩნევდა თავს.

ეს უკვე იყო ბიოკოტი, მედროვეთაგან განდგომა.

იმ პერიოდში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ტერენტი გრანელის ლექსი, რომელიც ხელიდან ხელში გადადიოდა, პოეტის მაღალ გულისთქმას ავლენდა, მთლიანად უპირისპირდებოდა „ძლევამოსილი სოციალიზმის“ მეხოტბეთა დოქ-

ტრინას და შეახსენებდა მხატვრული სიტყვის უმაღლეს მისიას – რწმენის, სიმართლის მსახურებას, ეროვნული იდეალების ერთგულებას: „ფიქრი გადადის შორეულ ხეზე, როგორც სისწრაფე და შენელება, აქ სხვები წერენ ქალის ფეხებზე, როცა მე ვუმზერ საშინელებას! ვფიქრობ, ეს ქალი როგორ ვიწამე, ვფიქრობ, ეს ქალი ჩემთვის მკვდარია, აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას“.

აქ მთლიანად უარყოფილია ტრაფარეტული ესთეტიკური კლიშეები და უმაღლესი პოეზიის საგნად ქცეულია „შორეული ხე“ (საღმრთო სახელია) ზეცა, კოსმოსი, სულიერება, რწმენა, მხილებულია ცოდვილი მიწის საშინელებები.

ამავე დროს, ლექსი არ არის დროისგან გაქცევა, პირიქით, მასში არის ცდა ეპოქის გამრუდებული ორიენტირების გასწორების.

ლექსში ნაჩვენებია თანადროულობის ხასიათი, სოციალური მისი დიქტატორული მესვეურნი, ირონიული დამოკიდებულება ვლინდება წითელ დროშასთან, ნამგალთან.

მარადიულად მიჩნეულია არა ეფემერული საბჭოთა წყობილება, რომლის ნგრევა – წარმავლობას იოანე დვითის-მეტყველის აპოკალიფსი გვამცნობს, არამედ „შორეული ალი“ (ცეცხლი-ღმერთის სიმბოლო), მარადისობა (ღმერთი), ნაწინასწარმეტყველებია უკუთურთა, სატანისეულთა წარდგომა ღვთაებრივი სასამართლოს წინაშე. უაზრო ხმაური, უნიჭოთა მიეთ-მოეთი, წითელი დროშის „მშვენიერება“, ნამგლის გაფეტიშება მარადისობის ძალით დაიფარება, ასეთია პოეტის აზრი: „ფიქრის ტრიალი ისევ მოშალეს, ისევ ხმაურის დადგა დროება, აქ სხვები წერენ მხოლოდ დროშაზე, როცა მე ვუმზერ უსაზღვროებას. ჩნდება ფიქრები შორეულ ალზე, ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა, აქ სხვები წერენ მხოლოდ ნამგალზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას“.

ნამგალი და ურო სატანისტური ბოლშევიზმის იარაღებია, ნამგალი მოცელავს, ურო ანგრევს.

ამ ლექსით ტერენტი გრანელმა უცდომლად განჭვრიტა სამართლიანობის სახელით მოსული ტირანია, ძალაუფლების-მპყრობელნი და შავბნელი ხელისუფლებისთვის გახდა შავსი-ელი.

პოეტი ნეგატიურად აფასებდა ხალხის სახელით მოსულ სისხლიან პროვოკატორებს და ალექსანდრე სიგუას (პატრი-ოტს, შემდგომ პოლიტკატორლელს-ლ.ს.) ეუბნებოდა: „ჩემი საბა, შენ რა, ეს წყობილება გვინია? ესენი დამხვრეტელები არიან, დამხვრეტელები“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე“, ცისფერი სიმღრე, გვ. 414).

ტერენტი შემთხვევას არ უშვებდა, რომ არ გაეკენწლა სოციალიზმის ფალავნები, ანტიეროვნული ვაიპოლიტიკოსები, ერის გადაგვარების მოსურნე ღამურები, უბირი ტირანები. სერგო ორჯონიკიძეს „ლუდაედს“ ეძახდა, მის მიერ გადაგვა-რებულ ახალგაზრდებს – „უთვისტომოებს, კაცუნებს“ და გა-დაუგდებდა რა მათ თავიდან ორჯონიკიძის მსგავს ძაბრის-მაგვარ ქუდებს, იტყვოდა: „მაგრად უნდა იდგეთ, მაგრად! მძი-მე ხვედრი ერგო ჩვენს ტანჯულ სამშობლოს. უფრო მძიმე გზაც გაუვლიათ ჩვენს წინაპრებს, ჩვენც უნდა გავუძლოთ“ (იქვე, 415-416).

ტერენტი კიცხავდა „ავადსახსენებელ“ ლევან ლოლობე-რიძეს, ხშირად ამბობდა, რომ „ამ გინამ ქართველ თავადაზ-ნაურთა და მოაზროვნე ინტელიგენციის სისხლი ბოლომდე დალია. „ავადსახსენებელთა“ რიგში პოეტი სერგო ორჯონიკი-ძეს, ლევან ლოლობერიძეს, 1924 წლის „შემოქმედთ“ გულის-ხმობდა და ამბობდა: „ესენი უცხო თესლები არიან ქართვე-ლებისთვის, ჩემო საშა! და რბილად რომ ვთქვათ, მათ უზნეო დედათა ნაშიერად მიჩნევდა“ (იქვე)..

იმდროინდელ ცხოვრებას ტერენტი გრანელი ჯოჯო-ხეთს უწოდებდა („როგორც გალაკტიონი, კ. გამსახურდია“).

თურმე ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა ხალხში ტე-რენტის ლექსი, რომელიც თავის არქივში შეუნახავს ალ. სი-

გუას: „დავდივარ მარტო ლანდივით, დარდის პერანგი მაცვია, ცხოვრება ჯოჯოხეთია, სიცოცხლე – დეკორაცია“ (იქვე, 407).

ტერენტის ლექსი „სულის ცეცხლი“ ზოგიერთებმა „წითელი საუკუნის“ ხოტბად გამოაცხადეს. იგი ასე იწყება: „შრომის სამეფო და ქარხნების ნელი გრიალი, ქალაქის ცეცხლი, დაისრული დროშა წითელი, ბნელ შუალამეს აკრთობს შუქი მოხეტიალე, ო, საუკუნე წითელია და მიმზიდველი“.

შალვა დადიანი ამ სტრიქონებზე დამყარებით ლექსში საბჭოთა სინამდვილის თანაგრძნობას ხედავდა, მაგრამ ტერენტი გრანელი აღაშფოთა ასეთმა გაეხებამ და ხაზგასმა დანარჩენ ორ სტროფზე გააკეთა. მართლაც, აშკარაა, რომ მასში ნახსენები სისხლის მდინარე, ბურუსი, ტყვიები, განსაცდელი, კვამლი, მღელვარება, შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება და ეშაფოტი ვერაფრით ვერ იქნებოდა ჯოჯოხეთური სინამდვილისადმი პოეტის მხარდაჭერის სტიმული: „სისხლის მდინარე, დაბინდული მთები და შარა, დამწვარ ტყვიების სურნელება და განსაცდელი, ო, განახლების ქარიშხალმა ფრთები გაშალა, კრთის ნანგრევებზე აღმაფრენა, როგორც სანთელი. ქალაქის კვამლი, მღელვარება, ღამის ალები და შორეული რაინდების უმწეო შფოთი, სამარადისო მწუხარება მოკლულ თვალების და ჩემი სული ამართული, ვით ეშაფოტი“.

„შორეული რაინდების უმწეო შფოთი“ ქვეყნის თავისუფლებისათვის ამაო შემართებაზე მიგვანიშნებს.

1924 წლის აჯანყების დამარცხებამ შთააგონა პოეტს თავისი ცნობილი წიგნი „მემენტო მორი“. სწორედ ამ სიტყვებით მიმართავდნენ გამარჯვებულ ტრიუმფატორებს ძველ რომში – „გახსოვდეთ სიკვდილი, თქვენც ხომ მისი შვება სართო“ (იქვე, 397).

1924 წლის ტრაგედიამ სტიმული მისცა თავისუფლებანართმეულ საქართველოს შვილთა განსაკუთრებული ნიჭიე-

რების გამოვლენას ახალი, გენიალური ნაწარმოებებით, ესენია: კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისის ღიმილი“, (კოჯორშეთის სცენები, სატანისტური წითელი კირიპა, ჩრდილოეთისკენ გაფრენილი წითელი გველი ბოლშევიზმის ტრიუმფითა და აჯანყების დამარცხებით არის შთაგონებული), გრიგოლ რობაქიძის „ლამარა“, ტერენტი გრანელის „მემენტო მორი“, გალაკტიონის პოემა „მოგონებები იმ დღეების, როცა იელვა“, მისივე დემონების, სატანების, მეფისტოფელ-ლუკიფერებისა და ბელზიებელის თარეშის ამსახველი ლექსები.

ალ. სიგურა გვამცნობს: „საქართველოს თავს დატეხილი ამ დიდი ტრაგედიის „შემოქმედს“ იოსებ სტალინს მიმართავს პოეტი, რომლის ერთი სტროფი დღესაც შიშის ჟრუანტელს გვგვრის: „იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით, მამის საფლავზე რად დაგავიწყდა, აგენთო თუნდაც ერთი სანთელი“ (იქვე, 398).

თავისუფლებადაკარგული, „მკვდარი საქართველო“ იყო ტერენტი გრანელის იერემია წინასწარმეტყველისებური გოდების მიზეზი.

1921 წლის 25 თებერვლის კატასტროფის შემზარავი მოვლენები აუსახავს პოეტს ლექსში 1921, რომლის ეპიგრაფია: „დახოცილებთან ერთად დაჭრილი იუნკრებიც დაუმარხავთ: „ახლა ეს ლექსი სხვა სამარეა, მოვიდა ქარი, ხე შეარხია და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“...

ეშმაკის ხელდასხმული, სატანისტთა მოძღვარი და მართალი სიტყვის ნამდვილი სულთამხუთავი ლავრენტი ბერია ადრე „აღტაცებული“ იყო ტერენტის ნიჭით, ვიდრე პოეტი ქვეყნის მესვეურთა დამღლუპველი პოლიტიკის მხილებას დაიწყებდა, მერე კი სისასტიკით, მუქარით შეცვალა „მემენტო მორის“ ავტორისადმი დამოკიდებულება, „ცივი და გამყივანი ხმით“ მიანიშნა თავის რისხვაზე მოუსყიდავ და გადაუბირებელ პიროვნებას.

ამ ფაქტით ყოფილა შთაგონებული ტერენტი გრანელის ლექსი, რომელშიც კარგად ჩანს მართალი პოეტის აზრი „მზრუნველ“ ხელისუფლებაზე: „ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშ-ხალია და ჩემი გული მიწას ეცემა. რომელი იგრძნობს შორუ-ულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამცირებას“.

ტერენტი გრანელი შეუცდომლად გრძნობდა მისდამი ბერიას ინტერესის შორსმიმავალ მიზანს, მაგრამ იგი არ გატ-ყდა, არ გაინვრთნა და ამის გამო დაუნდობლად გაუსწორ-დნენ ციხით, დევნით, ცილისწამებით, ბოლოს კი გიუსის დიაგ-ნოზი დაუსვეს და იძულებით მკურნალობას დაუქვემდებარეს.

ბერიამ და მისმა დამქაშებმა მოშურნე, ხელმოცარულ პოეტებთან ერთად, საბედისწერო როლი შეასრულეს ტერენ-ტი გრანელის ცხოვრებაში.

და ბოლოს, როცა შეშლილად მონათლული, შერისხული პოეტი ფიზიკურად წავიდა ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ გა-მოჩნდა პილატესავით ხელდაბანილი ბერია და ცდილობდა, მისი რეჟისორობით ჯვარცმული პიროვნების თაყვანისმცემ-ლად გამოჩენილიყო.

იქნებ ეს იყო სისხლიანი ტირანის ერთგვარი მონანიება და სინდისის ქენჯნა იმის გამო, რომ მის ხელებს ერის საამა-ყო შვილების ბევრი სისხლი ეცხო.

შალვა დადიანს ბერიასთვის უკითხავს, ტერენტი გრა-ნელს თუ იცნობდითო. ბერიას უპასუხნია: „ტერენტი დიდე-ბული პოეტი გახლდო, ბატონი შალვა“. შალვა დადიანს გუ-ლისტკივილით შეუნიშნავს: „კი, დიდებული პოეტი იყო ის ცხონებული... მაგრამ ცხოვრებას მან ვერ გაუგო და დამარ-ცხდა, თავი დაიღუპა“.

ტერენტისადმი შალვას ამ „ბრალდების“ პასუხად ბერი-ას პათეტიკურად უთქვამს: „ცხოვრებას კი არა, ბატონო შალვა, თვით ცხოვრებამ ვერ გაუგო მას“.

ბერიას ასეთი აზრით გაოცება ვერ დაუფარავს შალვა დადანის და აკვიატებაა ტერენტის ლექსი: „ქართველმა ხალ-ხმა გიჟი მიწოდა, მზე მიდის გალმა, ცის ხმა ისმოდა“ (იქვე, 441).

ტერენტი გრანელის ინტერესი რელიგიური თემებისად-მი, საპჭოთა წყობილების „სიკეთეთა“ შეფასება და რაინდუ-ლი დაპირისპირება აპოკალიფსურ ტრიუმფატორებთან, ხალ-ხის მტრების გაბედული მხილება, საქართველოს ოქუპაციისა და 1924 წლის აჯანყების ასახვა ნათელ პასუხს იძლევა იმა-ზე, თუ ვინ და როგორ ცდილობდა პოეტის ზეშთაგონებული სახის წაშლას, მისი შედევრების „პესიმისტურად“, „უიდეოდ“, „შავ წიგნად“ გამოაცხადებას.

ტერენტის „დიქტატორი იმპერატორის“, „ლუდაედების“, „გიენას“ გვერდით „ავი თვალის, უღირსი თვალის, პატარა მტრების, ყაჩალი ქარების, კაენის, გველის სახეებიც იმ მი-ზანს ემსახურებოდა, რომ ნიღაბი აეხადა საქვეყნო-სახელი-სუფლო ბოროტებისთვის.

უეჭველია, რომ „მემენტო მორის“ ავტორის იდეოლოგი-ამ კ. გამსახურდიას, გრ. რობაქიძის, მ. ჯავახიშვილის, გ. ტა-ბიძის მხატვრულ ნააზრევთან ერთად, დიდი როლი შეასრულა ბოროტების იმპერიის თიხის საძირკვლების შერყევაში.

ტერენტი გრანელი ერთ-ერთი პირველი დაუპირისპირ-და ჩვენს ლიტერატურასა და ცხოვრებაში სიყალეს, კერ-პთმისახურებას. მისი ლექსებიდან მონაბერი წმინდა ჰაერი სულს აჯანსაღებდა სიკეთის, სათნოების ფლუიდებით, აპოკა-ლიფსურ მხეცთა ნაშიერებს აფრთხობდა.

ობიექტურად შეაფასა პოეტმა სამართლიანობის სახე-ლით მოვლენილი ბოლშევიზმი, ქვეყნის ტირანი მესვეურები, უცდომლად იწინასწარმეტყველა მათი ეფემერულობა და მო-მავალი სამსჯავროს წინაშე მათი სიავეების გამო უცილობე-ლი განკითხვა, რაც ზედმიწევნით ახდა კიდეც, როგორც

ღმერთისკენ მიბრუნების და საქართველოს დამოუკიდებლობის წინასწარმეტყველება

ათეიისტურ ეპოქაში ბევრმა მედროვემ მიჰყიდა ეშმაკს სული. ისინი არათუ არ ებრძოდნენ ბოროტებას, მასთან სისხლით სდებდნენ ხელშეკრულებას და შავის თეთრად წარმოჩენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რადგან ხელისუფლებისაგან ბოძებული ხალათით იყვნენ სტიმულირებულნი.

ტერენტი გრანელი ეპოქალური სიავის მხილებით არის ცნობილი. მისი ტრაგიზმის წყარო ღმერთის უარყოფა და ანტიქრისტეს აღზევება იყო. ეზობეს ენით, დაშიფრული მეტყველებით მიგვანიშნებდა რწმენისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე: „ეს ყვავილები ვინ აურია, და ქარიშხალთან ვარდის რტოები, შორეული ყვავილები ხმებიან, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, ღუნავს ქარები ალვას, და მიკავია დამჭკნარი ია, ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, შენთვის მზე ჩაქრა, შენთვის ქარია, და ლამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო, ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, ლამე თანდათან შუქს იპარავდა, ახლა ეს შუქი აღარ ინთება, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც, ეს შორეული იმედიც ჩაქრა, იმედი არჩანს, ქარმა დარეკა, ისევ მიცექრის მთა გადამწვარი, დადის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს ისფერ თვალის ასე ულონო მზერა, და ჩემი სანთელიც ჩაქრა, ეს ცა შიშველი ვინ მოგვიტანა, შავი წირვები ატირდება წითელ ნარმაში...

ტერენტი გრანელი ებრძოდა საშინელ დროს, გრიგალებს, „ლამესთან“ იდგა, როგორც „ქანდაკება“, რწმენის, სიკეთის ფლუიდებს ავრცელებდა თავისი ლექსებით და არ ტოვებდა ღმერთთან შერიგების, ლაზარეს ალდგომის, „დიდი დღის“ (ღმერთი) მოვლინების, სიწმინდის, ქართველი ერის გადარჩენის რწმენა: „მაგრამ ლაზარე ალდგება მკვდრეთით, აღდგება როგორც ღვთის სიყვარული“.

პოეტს აწამებდა ადამიანის განშორება ღმერთისგან, მაგრამ სჯეროდა მომავალში ადამიანის განწმენდა და უზენა-ესთან შერიგება: „... და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი კვირის).

ღვთისმეტყველებაში, „შერიგება“ რელიგიური შინაარსი-სა და იგულისხმება ადამიანის შერიგება ღმერთთან, ადამია-ნის მიბრუნება სარწმუნოებისკან, რასაც ბიბლიაში დიდი ად-გილი უჭირავს.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობდა მამებისა და შვილების შერიგებაზე ღმერთთან (მალაქია წინასწარმეტყვე-ლი 3,24).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურე-ბას“ (II კორინთელთა, 5, 18), „შერიგების სიტყვას“ (II კორინ-თელთა, 5, 19), ღმერთთან შერიგებას: „.... ქრისტეს სახელით გთხოვთ: „შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა, 5, 20).

ტერენტი გრანელის სული „ცისფერი ყვავილის“ (ღმერ-თის) სავანე იყო: „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სული-დან“ (მორეული ყვავილები).

სულის თვალით ჭვრეტდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“ (შარა).

გზა, შარა საღვთო სახელია: „აპა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია წინასწარ-მეტყველი, 30,21).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აპა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28, 16).

პოეტმა იწინასწარმეტყველა ქართველი ხალხის მიბრუ-ნება ქრისტიანობისკენ, რელიგიური გრძნობის მარადიულობა: „კაცი, ეს გრძნობა არ მოისპობა“ (პოეზია).

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბ-ლია და „დიდი დღის“ დადგომის (ცოდვილთა განკითხვისა და

მართალთა გაბრწყინების) იმედით ცხოვრობდა: „მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა ილრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა-ტკივილებსაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“.

უცდომელი ინტუიციით გამორჩეულმა, რამდენიმე ათეული წლით ადრე განჭვრიტა ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი თვალებგაბრწყინებული“ ეუბნებოდა ალ. სიგუას: ესენი (გულისხმობდა სერგო ორჯონიშვილს, ლევან ლოლობერიძეს და მათ მიმდევრებს – ლ.ს.) საქართველოს ვერ დააჩიქებენ. მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი ეიქნება“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, 1997, გვ. 416).

აპოკალიფსირ მხეცაგთან მებრძოლი

მეოცე საუკუნე ღირებულებათა ტოტალური გადაფასებით გამოირჩა. მრავალი შემოქმედის სახელი ჩაიძირა დავიწყების უფსკრულში. გაღმა ნაპირამდე ვერ გააღწიეს მთავრობის მიერ ხელდასხმულმა, ხუთწლედების პრემიებით და ორდენებით ნახალისებულმ კალმოსნებმა. სულიწმინდის მადლით ცხებული სიტყვის ოსტატები კი, რომლებიც თავის დროზე დევნილნი და შერისხულნი იყვნენ, ნათლის სვეტივით გაბრწყინდნენ და სულის სასწაულებით გაგვაოცეს. ცოტანი არიან ასეთები, მსხვერპლის ფასად რომ გადაარჩინეს უმაღლესი იდეალები. ერთ-ერთი ასეთი უპირველესი ლირიკოსის

შარავანდედით მოსილი პოეტია ტერენტი გრანელი. იგი ბოლომდე დარჩა მოუსყიდავი, მოუთვინიერებელი.

გარდაცვალებიდან თითქმის სამი ათეული წელი გაუცხოების ნისლი ებურა „მემენტო მორის“ ავტორს. მის შემოქმედებას საგანგებოდ უგულებელყოფნენ და მკითხველს უმაღლეს მედროვეები, პრიმიტივები, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ მისი სიდიადის დაფარვის მოსურნენი.

დღეს ტერენტი გრანელის გამორჩეული პოეტური აზრი მეუფებს ყველგან, აზრთან კი, როგორ დიდი ილია ჭავჭავაძე ბრძანებდა, არტილერიაც უძლურია.

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა ნატიფი ლირიკოსის პოეტური პლანეტა, მთელი არსებით იწამა ეს „პოეტი ბავშვი“ და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები.

სიტყვის ჯადოქართა ქვეყანაში, პოეტების მეფე გალაკტიონის გვერდით ცხოვრობდა ცრუ პოეტების ლეგიონებისა-გან გამორჩეული, ზეგარდმო მადლით ცხებული ლირიკოსი და ისეთსავე ფურორს ახდენდა მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების ქართულ სინამდვილეში, როგორც არტურ რემბო თავის თანამედროვე საფრანგეთში.

იობივით მრავალტანჯულ, წარმავალი მიწიერი ბედნიერებისგან განზე დარჩენილ, ცხოვრების ცდუნებებისგან ბოლომდე განრიდებულ ტერენტის დავით წინასწარმეტყველოვით შეეძლო ეთქვა: „მევიძულე კრებული უკეთურთა. ბოროტთა გვერდით არ დავჯდები“ (ფს. 25/26,5).

„უცნობი სფინქსის“ „მინანქრის სტრიქონებით“ მოიხიბლა საუკუნის უპირველესი პროზაიკოსი კონსტანტინე გამსახურდია, ხოლო თვითშეცნობილმა პოეტურმა გენიამ გალაკტიონმა აღტაცება ვერ დაფარა წალენჯიხიდან მოვლენილი ჭეშმარიტი ტალანტის „საამო ქართულით“ და „მემენტო მორის“ ავტორს „ხალასი გენია და ნიჭი, ბუნებით პოეტი, ნამდვილი პოეტი“ უწოდა.

ზეცანართმეული, ღმერთწართმეული ეპოქის შვილი იყო ტერენტი, ღმერთის გმობა კი ადამიანის გაარაფრების, ყოველგვარი უკეთურების დაკანონების საშუალებას იძლეოდა.

მაგრამ „უცნობი სფინქსის“ ნიღბით მოვლენილ პოეტს არასოდეს უწერია პარტიული დიქტატით, არასოდეს შეუქია მიწიერთა პრაგმატიზმი, სოციალისტური ქვეყნის გამოგონილი წარმატებები, ცრუ ბელადები, რომელთაც „დიქტატორ იმპერატორებს“ უწოდებდა.

ტერენტი გრანელისთვის მთავარი იყო „ენა, მამული, სარწმუნოება“, კოსმიური პრობლემები.

სისხლიანი ბოლშევიზმის ტერორითაც დაუმარცხებელი პოეტია ტერენტი გრანელი, რომელმაც სავსებით განსხვავებული, „უვალი გზა“, ნამდვილი ხელოვანის გზა აირჩია.

იმანე ნათლისმცემელი ამბობდა: „ვინც თქვენ გგონივართ, არა ვარ იგი“.

აკაკი წერეთელი გვაფრთხილებდა: „თქვენ რომ გგონივართ ის არ ვარო“.

ტერენტი გრანელი ირწმუნებოდა: „მე სხვა ვარ, ხალხი სხვაგვარად მიცნობს“.

თუმცა მის სიდიადეს გრძნობდნენ, ბოლომდე ვერ აცნობიერებდნენ და შეუცნობლობის ტკივილმა ათქმევინა: „სა-დაც მე ვდგავარ, იქ სიბნელეა, იქეთ არავინ არ იხედება“. ეს ღვთაებრივი სიბნელე იყო, ანუ ჩვეულებრივი მზერისთვის მოუხელთებელი სინათლე.

ჭეშმარიტი პოეტები დიდი განსაცდელის ჟამს ევლინებიან ერს. ბუნებრივია, ჩვენს დროს ასე რომ აედევნა ტერენტი გრანელის აჩრდილი და ხალხს ძილს უფრთხობს მისი პოეზიის „ცისფერი შუქი“, საღმრთო ემბაზში განბანილი აზრები.

„მემენტო მორის“ ავტორის შემოქმედება გვიზიდავს იგავურ-სიმბოლური ფორმით გამოხატული ჭეშმარიტებებით, იგი იმ მარადიული სიბრძნის წყაროს დაწაფების შედეგია, რაც უფლის მიერ შთაგონებული ბიბლიიდან მომდინარეობს.

ბიბლიაში განარჩევენ ორგვარ სიბრძნეს: მიწის სიბრძნეს და ზეციურს (პარუქ წინასწარმეტყველი), ეშმაკეულს და მაღლიდან გარდმოვლენილს (პავლე მოციქული).

ტერენტი გრანელის პოეზიაში სწორედ ზეციური, მარა-დიული სიბრძნე მოიძიება. მან კერპების, ცრუ მოციქულების, ანტიქერისტების ეპოქაშიც გაიგნო გზა ჭეშმარიტი ღმერთის-კენ.

მისი პოეზიის ნაყოფელვარე ხე უფლისგან არის კურ-თხეული, მისი ცეცხლი უზენაესი ცეცხლია, ჩვენ მასზე ვით-ბობთ ჩრდილოეთის ყინვისაგან გათოშილ ხელებს, ვწმენდთ დროის მტვრისგან გაუხეშებულ სულს და გვჯერა, რომ „უც-ნობი სფინქსის“ მუზა ხვალ თუ ზეგ მოაზროვნე მსოფლიოს მრავალ კუთხეს შეძრავს.

მის ენიგმურ, სიმბოლურ-მეტაფორულ სამყაროში შე-სასვლელი „საოცრების კარი“ ანუ ქრისტიანული ღმერთია. პოეტი ამრავალფეროვნებს, ახალი ნიუანსებით ავსებს საღ-მრთო სახელებს. ამ გამორჩეულ სამყაროში გვეცნაურება საღმრთო ნისლი, გამოცხადების სიბრძნე.

სისხლის, ტერორის, ძალმომრეობის ეპოქაშიც შეძლო პოეტმა ანგელოსური სულის შენარჩუნება.

განსაკუთრებული განსჯის საგნად აქცია ფილოსოფიუ-რი პრობლემები. სიკვდილ-სიცოცხლის მიმართება, ადამიანის ზნეობრივი განწმენდა, ბედისწერის იღუმალება.

იგი დაემყარა მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ადა-მიაში ორი არსია: ღვთაებრივი და მდაბალი. ღმერთის სამყა-როში, ჩვენს ნამდვილ სახლში დასაბრუნებლად აუცილებელია წმინდა სული, ინიციაციის, კათარსისის ძნელი გზის გავლა.

პოეტის სული, წმინდა გიორგის მსგავსად განიწმინდა წამების ცეცხლით, მაღლის მდინარით, სულიწმინდით, გულის სისხლით.

ზიარებულთა ინიციაციის ერთ-ერთი საფეხურია ლოც-ვა, მსხვერპლის გაღება, მონანიება.

ტერენტი გრანელი გამუდმებით ლოცულობდა, მარხულობდა უკეთესი დროის სახელით: „ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მღლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი“.

მისტიკოსები სალმრთო ტრფიალის იდეას ავითარებდნენ. პლატონის დარად, ტერენტი გრანელი განარჩევდა ორგვარ ეროსს და „ციური ეროსის“ ჰანგებს ქმნიდა, პითაგორეულ სფეროთა ჰარმონიას ეზიარებოდა.

მისი ცხოვრება სიკვდილისათვის მზადება, სიკვდილის შიშის დაძლევა და ესთეტიკური ფენომენით მარადიულობასთან შეხმიანება იყო, ამიტომაც იყო მისთვის სიკვდილი ცისფერი, როგორც მალარმესთან ოქროსფერი, ვერლენთან – მზისფერი, რემბოსთან წითელი, გალაკტიონთან – ვარდისფერი.

სიკვდილთან ბრძოლის სურვილით შეიქმნა ხელოვნება, მეცნიერება, ფილოსოფია, რელიგია.

სიკვდილის გაცნობიერება წყაროა ჩვენი გაღვიძების, ამაღლების, იგი ემსახურება ადამიანის დაფარული სულიერი ძალების გამოვლენას.

ტერენტი გრანელის რწმენით, ადამიანი კვდება არა მაშინ, როცა სული შორდება სხეულს, არამედ სიკვდილის ტოლფასია სულის დაშორება ღვთისგან. სული სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას, სრულყოფას და ამბობდა: „სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“.

პოეტმა გაიზიარა გარდასხეულების თეორია, გადაიხედა მიღმურში, ჩანვდა ყოფნა-არყოფნის საიდუმლოებებს. იგი გამუდმებით ეძებდა „მესამე გზას“, „სხვა პლანეტას“, სწამდა უკვდავება, „სიცოცხლე სხეულის გარეშე“. მისი „მესამე გზა“ ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სულიერი ნათელლების პირობების ერთგული დაცვით. ეს იყო ზეცამდე ასამაღლებელი საფეხურები.

„უცნობმა სფინქსმა“ შექმნა თავისებური გარდაცვალების სახელმძღვანელო, „მიცვალებულის დღიური“, მაგრამ

ფუჭად მოზეიმე საზოგადოებამ, რომელიც ნივთს, ვულგა-რულ გრძნობებს აფეტიშებდა, ვერაფერი გაუგო პოეტის უზენაეს სიბრძნეს და მის გენიალურ წიგნს „შავი წიგნი“ უწოდა.

ტერენტი გრანელის სულის გზები იწყება კაცობაში „ადამის ძის“ სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. მის მიერ განვლილი გზა მთელი კაცობრიობის სულის გზაა და ამიტომაც არის იგი „მსოფლიოს პოეტი“.

პოეტს, ბიბლიური წინასწარმეტყველებივით, აღაშფო-თებდა ადამიანის განშორება ღვთისგან და ურჩევდა მოძმეთ, შერიგებოდნენ ღმერთს, როგორც მაღაქია წინასწარმეტყვე-ლი, პავლე მოციქული.

ტერენტი გრანელს ელანდებოდა ცოდვილთა განკითხვა, „უფლის დიდი დღე, ძალზე საშინელი“ (იოველ წინასწარმეტ-ყველი, 2,11).

ღმერთი არის მარად „ღია თვალებით“ მზიარალი „მარ-თალი მსაჯული“ (იერემია, 32,19). ტერენტი გრანელის უნიკა-ლური ხედვა სამყაროს გლობალურ მოვლენებს აფიქსირებდა: „ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“.

„მემენტო მორის“ ავტორი თავისი თანამედროვეობის არსს განუმეორებელი სახე—სიმბოლოებით მიგვანიშნებს: უღირსი თვალი, მხეცი (აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერი), კაე-ნი, დემონი, გველი, ფინია, ჭოტი, ყვავები, ყორნები.

ეროვნულ ტრაგედიას ასახავდა ქარისგან ყაჩაღივით აკ-ლებული, მიტოვებული ბაღების სახეებით (ბაღი კაცური ბუ-ნებაა იპოლიტე რომაელის მიხედვით). 1921 წლის აჯანყების მონაწილე, ცოცხლად დამარხული დაჭრილების საფლავებით: „...და საქართველო ეს ის მხარეა, სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“.

ტიროდა „ქვეყნის უკუღმართობას“, აღაშფოთებდა კოს-მიური ავდარი, მთელი პლანეტის ბედი: „ცა იღრუბლება, მო-დის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“...

ტოტალურ კატაკლიზმებს ღმერთის უარყოფით ხსნიდა სიმბოლურად: „ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, შორეული ყვავილებიც ხმებიან, გრიგალი არხევს ოცნების ხომალდს, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს“...

პოეტს ეზმანებოდა სიავის ალსასრული, ქართველი ერის – ლაზარეს აღდგინება: „...მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება როგორც ღვთის სიყვარული“.

ნებისმიერი დიდი პოეტი მოაწერდა ხელს გაუცხოების თემაზე შექმნილ ტერენტი გრანელის შედევრებს. გაუცხოების გვირგვინია საოცრად მიგნებული „უცნობი სფინქსი“.

ტერენტი გრანელი ნათელმხილველი, ნათელმსმენი, წინასწარმეტყველი იყო. მან ინინასწარმეტყველა საკუთარი გარდაცვალების თარიღი, მომავალი დიდება, თბილისში დაკრძალვა, მომავლის კატაკლიზმები, ღმერთისკენ მობრუნება, დაქირავებული პროლეტარული პოეზიის ალსასრული.

იგი ერთდროულად ხედავდა სულს და ხორცს, მიწას და ზეცას, წარმავალს და მარადიულს, საკუთარ აჩრდილს, ეთერულ სხეულს, სულის გაფითრებას, ბედის მწვერვალს, უსაზღვროებას, მოგზაურობდა ასტრალური სხეულით.

ტერენტი გრანელის ქარიშხლიანი ცხოვრება და გამორჩეული პოეზია ამა ქვეყნის ძლიერთა ყურადღებასაც იმსახურებდა. ლავრენტი ბერია აფასებდა პოეტის ნიჭს, გადაბირების მიზნით დაიახლოვა კიდეც, მაგრამ ტერენტი მიხვდა მის სატანურ ხრიკებს და ამის გამო დაწერა: „ამ ხალხის ქება არ მიხარია“...

იმ დროს, როცა ლენინიადა და სტალინიადა დიდი კარიერისა და კეთილდღეობის შანსს იძლეოდა, სტალინს ასე მიმართა: „იმპერატორო, შენ დიქტატორო, მძვინვარებ სისხლის კორიანტელით“.

ცნობილია, ძველ რომში თავდავიწყებულ მონადიმეებთან მონა მიცვალებულის მუმიით შევარდებოდა ხოლმე და წამოიძახებდა: „მემენტო მორი!“ („გახსოვდეს სიკვდილი!“).

ტერენტი გრანელს თავის სისხლიან თანამედროვეთა თანამდებობებით გალალებულთა ვაკებანალიამ შთააგონა გენიალური ფრაზა: „მემენტო მორი!“, რადგან ჩინიანთ, ცხოველური ინსტინქტებით მოვლენილთ დავიწყებოდათ ადამიანის არსი, მისი ამქვეყნად მოვლინების ღვთაეპრივი მისია. ეს იყო გაფრთხილება ყველა ეპოქის მედროვეთათვის, რადგან ყველა მოკვდავს ელოდება ცოდვებისთვის განკითხვა უცდომელი უზენაესი მსაჯულისაგან.

„მემენტო მორი!“— ტერენტი გრანელის ეს მიგნებული სტრიქონი აქტუალური იყო ყოველთვის, ასეა დღესაც და აქტუალური იქნება მუდამ, ვიდრე არსებობენ ადამიანებთან კავშირგანწყვეტილი აპოკალიფსურ მხეცთა ნაშიერები.

თავი V. პოეზია პლანეტების

ტერენტი გრანელის უკიდეგანო თვალსაწიერი ვერ იგუ-
ებდა ჩარჩოებს, დოგმებს, პორკილს. ის გამუდმებით ლოკა-
ლურიდან გლობალურისკენ, საზღვრის, მიჯნის მიღმა მიის-
წრაფოდა. მისი დაუდეგარი სული არა მხოლოდ დედამიწას,
არამედ ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზვერავდა და სამყა-
როს ცენტრში ყოფნის განცდა უეფლებოდა. უხილავის ხილ-
ვის უნარით მომადლებული სხვათათვის განუჭვრეტელს უღ-
რმავდებოდა და „მსოფლიო რადიუსით“ ქართული ლექსის
გამართვის, დასავლურ-აღმოსავლურის შემოქმედებითი სინ-
თეზირების მიზანი (რაც „ცისფერყანწელთა“ დევიზიც იყო),
რეალობად აქცია.

მის პოეზიაში ბუნებრივად დაისვა მსოფლიოს შემოქმე-
დებით ტრადიციებთან, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან
მიმართების, საერთაშორისო არენაზე ქართული მხატვრული
სიტყვის ადგილის და მნიშვნელობის გააზრების საკითხი.

გალაკტიონს „ქვეყნის ყველა პოლუსების“ ხილვა ეწადა,
რომ თავისი ღრმააზროვანი სიტყვით მიემართა მსოფლიოს-
თვის: „მინდა გადმიშვას ნისლმოხვეულმა მთებმა, რომ დავი-
ნახო ქვეყნის ყველა პოლუსები: მე მოვითხოვ სიტყვას, მე გა-
დავხედავ ქვეყნებს და ხმამაღლა ვამბობ: უარგყოფ, მიყვარ-
ხარ! ორი მილიონი თვალებით ვუცქერი ახალ, 1923 წელს და
ვამბობ: გაუმარჯოს მომავალს!“ („ეს იყო ოქტომბრის დამ-
ლევს“).

პოეტის სურვილი იყო „ცის კაბადონზე... მსოფლიოს
შესახედავად“ დაწერა „გიყვარდეთ !“ („ფანტაზია“).

საოცარი გაბედულება ვლინდებოდა ყოველ განაცხადში:
„სული დაეძებს უშორეს ხაზებს“, მის მშფოთვარე გულში
„ეჯახებიან პლანეტები ერთიმეორეს“, „უუდიდებულეს რით-
მებში“ უნდა ისმოდეს „ომი ვარსკვლავეთის რაზმის“...

„უკანასკნელ საზღვართან“ მისული გრძნობდა პლანეტათა შეჯახების“ შეკავებულ „ქვითინს“ („უკანასკნელი საზღვარი“).

გალაკტიონს გათავისებული ჰქონდა „უზარმაზარი მსოფლიო ქნარის“ მოთხოვნები, „მსოფლიო ორკესტრის“, „მსოფლიოს ყველა ხმათა ხვეულის“ თავისებურებები, ინყებდა „ბაის ბერიდან“, ექებდა „ბგერა-ბგერა, საგან-საგან“ და ესმოდა კოსმიური რიტმი, საღვთო მუსიკა,

ტერენტი გრანელი უეჭველად გალაკტიონის ჯუფთი გენიაა. ამას თვით გალაკტიონი აღიარებდა: „ტერენტი გრანელი ხალასი გენია და ნიჭია. საიდან ისწავლა ტერენტი გრანელმა ასეთი საამო ქართული?“

„მემენტო მორის“ ავტორის მიხედვით, „გული მსოფლიო ღერძია“, „გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია“ („მარადისობის ლაუვარდები“).

გულთან, განცდასთან, მოვლენათა ინტუიციურ ალემას-თან ერთად, პოეტს მომადლებული ჰქონდა ყოვლისმხედველი, სამყაროს საიდუმლოებათა განჭვრეტის უნარით გამორჩეული უტყუარი თვალი: „გუმზერ სამყაროს ღია თვალებით“.

ამავე დროს, ის იყო „ღია ბალისებრ“, ანუ ალალი, მართალი, ბუნებასავით შეუნილბავი.

„ღია თვალებით“ მზერა უფლის პრეროგატივაა: „დიდ-განმზრახველი და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თი-თოეულს თავისი საქციელის და ნამოქმედარის მიხედვით“ (იერემია წინასწარმეტყველი, 32,19).

„ღია თვალებით“ მიიცვალა მზე (ქრისტე) გალაკტიონის ლექსში „მას გახელილი დარჩა თვალები“.

ტერენტი გრანელი ამჩნევდა არა მხოლოდ ლოკალური ქრილის მოვლენებს, არამედ მსოფლიოს, პლანეტებს, მთელ სამყაროს, უსაზღვროებას და მომავლის კატაკლიზმებს აფიქ-

სირებდა მისი სულის თვალი: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიქრის”.

და ის ლოცულობდა მთელი ქვეყნის სახელით: „ვდგევარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი”. პოეტი დაატარებდა საკაცობრიო სევდას და შიში იპყრობდა ჭაობის, გალის, ყუთის, საპყრობილის სახედ მოზმანებული ქვეყნის გამო: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ”...

ტერენტი გრანელი ხედავდა გონიერ, სულიერ ზეცას („რა ბრწყინვალეა ცა იქაური“) და საქვეყნო ვედრებას აღავლენდა მარადიული ცისადმი: „ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა ჩემი და სხვისი“.

ცისკენ ლტოლვა სამყაროს მოუწესრიგებლობით იყო ნაკარნახევი და პოეტის სული ცას უვლიდა: „ექსკურსია ცისკენ“, „ბარათი ცისკენ“.

ეიმედებოდა ცასავით მარადიული პოეზია: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“.

მთელი ძალისხმევა სულისა მარადიულს, მსოფლიოს, უსაზღვროს უტრიალებდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“, „გულია ისევ მსოფლიო ლერძი, თანამედროვე ცხოვრება მებრძვის“ („ვდგავარ ქვეყნის წინ როგორც მლოცველი“), „მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო, მე ისევ ვეძებ მარადისობას, და მინდა ყოფნა აქაც და იქაც შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელი კავშირი გამოარჩევადა.

რაკი დედამიწა ეპატარავებოდა, სხვა პლანეტებისკენ მიიღობოდა სულით: „აქ სხვები წერენ მხოლოდ მიწაზე, როცა მე ვუმზერ პლანეტარიას“, „მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“, „მიპყრობს პლანეტა შორი“...

განსაკუთრებით მარსი აინტერესებდა: „მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება“ („სონეტი”), „მთელი ლამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“.

მერე უფრო იზრდებოდა მასშტაბები და სულის უკიდე- განობას გვაუწყებდა ეს სურვილი: „მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ლმერთი“, „მინდა ვარსებობდე ყველგან“, „მსურს სამყარო მეკავოს“, „...ავენთები..., როგორც სიძორე და პლა- ნეტები”...

პოეტმა მართლაც მისნური უნარით, გასაოცარი ძალის- ხმევით შეძლო მოკვდავთათვის დაწესებული საზორების გა- დალახვა, მოსალოდნელი მოვლენების განჭვრეტა, მაგრამ ამან ნუგეში ვერ აპოვნინა, მსოფლიოს პრობლემებისათვის თვალის გადევნებამ მის მოუწყობლობაში, დისპარმონიაში დაარწმუნა, მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო, რამაც თანდაყოლილი დარდი კიდევ უფრო გაულრმავა: „ცა იღრუბ- ლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“, „მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო“ („ჩემი ბედი“).

რა იყო ასეთი მასშტაბურობის, გამბედაობის საფუძვე- ლი?

ამის პასუხი თვით ტერენტი გრანელის პოეზიაშია: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“. რწმენის, უსაზღვროების (ლმერთის) გულწრფელი სიყვარულით ეზრდე- ბოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებოდა: „ვუმზერ პლანეტარის... უსაზღვროებას, მარადისობას...“

მაგრამ მსოფლიოს, უსაზღვროს, პლანეტების სიყვარუ- ლი, მარსით დაინტერესება არამც და არამც არ ნიშნავდა გულგრილობას სამშობლოსადმი. პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე მის სულიერ ზეცას, „უხილავ სა- ქართველოს“.

ტერენტი გრანელის ყოვლისმხილველი თვალი უფლის „დიდი დღის“ დადგომას, ანუ ცოდვებისათვის განკითხვასაც აფიქსირებდა: „მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

„პოეზია პლანეტების“ – გენიალური პოეტის ეს უნიკალური წიგნი (უსათუოდ უნიკალური იქნებოდა, როგორც სხვა კრებულები) ავტედობით დაკარგულია და არის უდიდესი დანაკლისი როგორც ჩვენი ქვეყნისათვის, ისე მსოფლიოსთვის, რადგან ასეთი მსოფლგანცდის და ასეთი არაჩვეულებრივი აზროვნების პოეტი საერთოდ იშვიათია, თუ არა ერთადერთი.

ტერენტი უთუოდ არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმედებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებდა.

ტერენტი გრანელი დაბეჯითებით უსვამს ხაზს არა მარტო თავის დაინტერესებას მსოფლიო პრობლემებით, არამედ საკუთარი ლექსების საკაცობრიო მნიშვნელობასაც და თვით-შეცნობილი პოეტური გენის ეს განაცხადი არ უნდა მოგვეჩვენოს უსაფუძვლო ქადილად: „და ვიცი, უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი“, „მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი“.

ჩვენმა დრომ ხელახლა აღმოაჩინა სულინმიდის მიერ გაბრძნობილი შემოქმედის პოეტური პლანეტა, უფრო დიდი ძალით იწამა ეს „პოეტი ბავშვი“ და ლამის ჩვენი დროის სახარებად შერაცხა მისი განუმეორებელი კრებულები. მან უკვე ჩააბარა დროს გამოცდა და ერის რჩეულთა თანავარსკვლავედში ჩაიწერა.

ტერენტი გრანელი თავის სამშობლოდ ზეცას იგულვებდა: „ჩემი ნაზი სამშობლო ლაჟვარდები ცისფერი“. თავის მარადიულ სავანედ ესახებოდა „ზეციური სახლი, ცისფერი სახლი, ცისფერი ქვეყანა“. ამავე დროს, თავისი მიწიერი სამშობლოდან, როგორც მთავარი მაგისტრალიდან, მიერთვოდა მსოფლიოს, უსაზღვროს და ნატრობდა: „ღმერთო, გამალვიძე მე სხვა პლანეტაზე“.

იოგების ფილოსოფიის მიხედვით, სამყარო დაყოფილია დაბალ, მაღალ და შუა პლანეტარულ სისტემებად. დედამიწა

შეუა პლანეტარული სისტემის შემადგენლობაშია. სიკვდილი ყველაზე არსებობს, გარდა მაღალი სულიერი პლანეტისა. ადამიანმა ისე უნდა იცხოვოს, რომ მიიღოს სულიერი სხეული და მიაღწიოს სულიერ პლანეტას.

ტერჯენტი გრანელი გამუდმებით ექცებდა „სხვა პლანეტას“, „მესამე გზას“, იზიარებდა სულის უკვდავების და ყოვლისშემძლეობის თეორიას, ჯეროდა „სიცოცხლე სხეულის გარეშე“. მისი „უვალი გზა“ ხორცისაგან გასაღწევი, სულის გამარადისების გზა იყო, რაც სიკვდილის შემდეგ უნდა დაწყებულიყო სულიერი ნათელლების პირობების ერთგული დაცვის შემდეგ.

პოეტის სულის გზები სათავეს იღებს კაცობაში „ადამის ძის“ სახით და სრულდება უმაღლეს სავანეში. დაღლილი მგზავრის მიერ განვლილი გზა მთელი გონიერი, მორნმუნე კაცობრიობის სულიერი გზაა და ამიტომაც არის იგი მსოფლიო პოეტი.

„უცნობი სფინქსის“ მწუხარე მუზა ხვალ თუ ზეგ მოაზროვნე მსოფლიოს მართლაც შეძრავს.

ტერჯენტი გრანელის აღიარება, მისი მსოფლიო მასშტაბების დანახვა უკვე დაიწყო.

მწერალი და მეცნიერი რევაზ მიშველაძე საუბრობს მის „ცადამაღლებულ სულზე“, მის მიერ გაკვალულ „ახალ ბილიკზე“, „პრიმიტიულობისა და გენიალობის ზღვარზე შექმნილ მის ლიტერატურულ ციხე-კოშკზე“ („მწერლის გაზეთი“, 10-23 ივნისი, 2004 წ.).

მურმან ჯგუბურია წერს, რომ „მომავალი კოსმოდრომების პოეტის სტრიქონებში „მთელი კოსმოსი იკითხება“.

ადარებს რა ყალმისა და სიტყვის მხატვრებს – ნიკო ფიროსმანს და ტერჯენტი გრანელს, მურმან ჯგუბურიას აღაფრთოვანებს „გენიოსი და შეძლილი გრანელის“ გენიალური პრიმიტიულობიდან გენიალურ მისტიურობამდე ამაღლებული სტრიქონები და დარქმუნებულია ამ ორი შემოქმედის (ფიროსმანისა და გრანელის) მარადიულობაში: „ასე ივლიან მხარდამხარ მხატვრი-

სა და პოეტის ნახელავნი საუკუნეების განმავლობაში (მურმან ჯგუბურია, „მომავალი კოსმოდრომების პოეტი“, „ლიტერატურული გაზეთი“, 10-23 ივნისი, 2004 წ.).

პოეტი დილარ ივარდავა ტერენტის პოეზიაში ხედავს „საღმრთო ფერებს“, ზეციურ განზომილებებში მოარულ სულს: „მას სხეულის სიმძიმე აიძულებს ამ ქვეყანაზე დროებით ყოფნას, თორემ სული ზეციური განზომილებების ლურჯ ფრინველად ჰყავს მიმინოსავით განვრთნილი“.

აკეთებს რა შედარებას უცხოელ ავტორებთან, დილარ ივარდავა მიკიბ-მოკიბვის გარეშე აღნიშნავს ტერენტის უპირატესობას: „ვერც როლინა, ვერც რემბო, ვერც ვიონი და მით უმეტეს ნადსონი – ბოჰემისა და მელანქოლიის თავგადაკლული რაინდები, დღენიადაგ ქალებივით ატირებულნი, თავიანთ ლექსებში ვერ ედრებიან ინფანტას ცრემლივით მონანწერე გრანელის სტრიქონებს“ („მწერლის გაზეთი“, 22-28 ნოემბერი, 2001 წელი).

პოეტი თამაზ ფიფია ასე ალაპარაკებს ტერენტი გრანელს: „მწამს ლაშვარდები მარადისობის და პლანეტების მწე პოეზია... მე კი ვიწექი ფრთებზე გრიგალის – განედებს ვანდე უკვდავი სული... გული, სამყაროს ნამდვილი ღერძი მე მაგრძნობინებს მსოფლიო სევდას... მინდა შორეულ პლანეტის მწამდეს – სული დაეძებს ოცნების ყურეს... სივრცენი მიხმაბს მე გასაკვირი“.

და უმთავრესია აზრი, რომ ტერენტი გრანელი მარადისობის და ღმერთის რჩეულია: „მარადიული გიცავს სამყარო, ახლოს გეგულვის თვითონ უფალი“ (თამაზ ფიფია, „ფრაგმენტი გრანელის ფიქრებიდან“, „მწერლის გაზეთი“, 10-16/X, 2002 წ.).

ტერენტი გრანელის დიდი მოამაგე ლერი ალიმონაკი წერს: „ტერენტი გრანელის შემოქმედებას როცა მთლიანად წაიკითხავ, ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, რომ მიწაზე დაბადებული კი არ არის, არამედ სხვა სამყაროდანაა მოსული.

თითქოს მისტირის სხვა, უხილავ სამყაროს, სადაც რაღაც აქვს დატოვებული. ბავშვს რომ გადმოსვამ უცხო სამყაროში და არ იცის, სად მიდის, ასე გადმოსულს ჰგავს ამ პლანეტაზე“ (ჟურნალი „სარკე“, 2003 წ. 26/III-1/IV).

„იგი“, „განუწყეტელ პოეტურ ინსპირაციაში ჩართული, დუმილით იძნდა კოსმიურ ძალებს“ (ლერი ალმონაკი, „გრანელის ლანდი“, თბ. 1998, გვ. 32).

ვლადიმერ ნორაკიძის აზრით, „ყოველდღიური მოვლენა ვერ იწვევს პოეტში პოეზიის ცეცხლს, – პოეტს ანუხებს მსოფლიო რაობა, ფართო ფორმით. მისი პესიმიზმი თუ ოპტიმიზმი არ არის რუტინის, მიეთ-მოეთის, არამედ საერთოა, მსოფლიო.

...მისი რკალი ინტუიციური ცდაა მსოფლიო რკინის რკალის გარღვევის“ (ვლ. ნორაკიძე, ტერენტი გრანელის პოეზია, ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, გვ. 138).

გრიგოლ შავიშვილი საუბრობს ტერენტი გრანელის პოეზიის „კოსმიურ ელემენტებზე, პოეტის „კოსმიურ იდეალებზე“ (იქვე, გვ. 151).

აპოლონ ქელბაქიანის დაკვირვებით, „ტერენტი გრანელის პოეზია „ყოფნა-არყოფნის“ საკითხია, სიკვდილ-სიცოცხლის“ პრობლემაა. ეს არის მსოფლიო სევდა, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ ისეთი ბუმბერაზი პოეტები, როგორიც იყვნენ ბაირონი და ბარათაშვილი... გრანელის სევდა უფრო უიმედოა. ინტუიციური ხედვა ტ. გრანელში უმაღლეს წერტილამდე აღნევს“ (იქვე, გვ. 21).

მხატვარ რეზო ადამიას წიგნები „სისხლიდან ცრემლი“ (2008) და „უკვდავება სიკვდილშია“ (2011) წარმოადგენს „მე-მენტო მორის“ ავტორის აპოლოგიას. მხატვარი პოეტს უნოდებს „პლანეტების მგოსანს“, „კოსმიური ფენომენის უცნაურ ბინადარს“ და მის შემოქმედებაში ესმის „კოსმიურ ხმათა კივილი, კოსმიური ბგერები, მარადიული მარტვილობის სიტყვები, კოსმიური მონოლოგი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური სევდა, კოსმიური სივრცის მარადიულობაში გახმიანებული გრა-

ნელისეული, წმინდანური, სევდიანი, მაგრამ მოციქულებრივი მართალი ხმა“ (გვ. 7), ღამეული, ნისლდაფენილი, ჩვენი პლანეტის გარეთ გამავალი ხმა აფორიზმი: „შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ...”

მხატვარი გრანელის პოზზიაში ხედავს კოსმიურ მოგზაურობას, კოსმიურ სივრცეს, კოსმიურ სურათს, კოსმიურ ფერებს, კოსმიურ სიდიდეებს, კოსმიურ აზროვნებას, კოსმიურ ველს, კოსმიურ გენს, კოსმიურ სამკაულებს, კოსმიურ სულს, კოსმოსის მარადიულ სამყაროს, მგოსნის ლექსად ნააზრევ კოსმიურ სურათს, კოსმიურ სიმართლეს...

ტერენტი გრანელის გენიალურობის დაუზინებული და დამაჯერებელი მტკიცებაა რეზო ადამიას განაცხადი: „ძლიერი, ღვთისნიერი, ყოველმხრივ განწმენდილი ანგელოზური ბუნების და კოსმიურად დამოუკიდებელი სული მხოლოდ დიდ ადამიანებს და გენიებს გააჩნიათ: „ამდაგვარი სულის მატარებელი გახდათ ტერენტი გრანელი“ (იქვე, გვ 6).

რეზო ადამია საუბრობს მგოსნის „შეუდარებელ გენიაზე“ და იმოწმებს პოეტის სიტყვებს: „წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“ – მილიარდობით წლის შემდეგაც, ამ თითქმის ტრაგიკულ გოდებას მწარედ იტყვიან სიკვდილის კარამდე მისულნი... ამდაგვარი, კოსმიური პოეტური თემის გახსნა, თანაც ასეთი მაღალი დონით, თუ მუსიკალური სიღრმეებით და მაღალმხატვრულად, მხოლოდ გენიათ ძალუძთ“ (იქვე, გვ 7).

რეზო ადამიას გენიებად, კოსმიურ წმინდანებად ესახება ნიკო ფიროსმანიშვილი და ტერენტი გრანელი: „...ორივე გენია წმინდანებია კოსმიურ სივრცეში... ისინი უფალთან მარადისობაში თანაარსებობენ“ (იქვე).

„გაზაფხულის საღამოა მშვიდი, ხიდან ხეზე გადაფრინდა ჩიტი“ – ასეთ კოსმიურ ბგერებს, ალბათ, მთავარანგელოზის გაფრენისას მისი უნაზესი ფრთათა რხევა თუ ტოვებს“...

„ლექსით „ფიროსმანი“ ტერენტი გრანელი მსოფლიოს პო-
ეზის შედევრთა გალერეაშია ექსპონირებული“ (იქვე, გვ. 14).

ტერენტი გრანელი იყო კოსმიური სულით და სევდით
ნაკვები პოეტი. გრანელში ჩაისახა და მკაფიო სურათად ჩაი-
ხატა ადამიანის მოდგრის მარადიული ტრაგედია, სული და
მისი ბედის მთლიანი სახე“ (იქვე, გვ. 3).

„ალბათ, წინაპართა კოსმიური ველის ცოცხალი ხაზიც
უნაკლოდ გადიოდა ტერენტის სულში“ (იქვე).

„ტერენტი გრანელმა მთელი მსოფლიო შემოიტანა თა-
ვის სულში, კოსმიურ პრობლემებს ლირიკით გასცა პასუხი“ –
სამართლიანად აღნიშნავს მკვლევარი აპოლონ ჟორდანია
(„დრო და შემოქმედება“, თბ. 1987).

„ბედნიერი ხარ, თუ დრო გათანგე და მის სალესზე სუ-
ლი ალესე“, მიმართავს ზვიად გამსახურდია მგლოვიარე სე-
რაფიმს („მარტოობა“ – ტ. გრანელს, „მწერლის გაზეთი“, 22-
28 ნოემბერი, 2001).

მუხრან მაჭავარიანი ტერენტი გრანელს უწოდებს „ჭეშ-
მარიტ პოეტს, ვაუსა ნაღდ აჩრდილს“ („დიდ სალამს უძლვნის
ახლა მუხრანი“, „მწერლის გაზეთი“, 2001, იქვე).

მერაბ კოსტავა გაოცებულია იმით, როგორ „ჰკვირობდა
სულეთის სიღრმეს „მემენტო მორის“ ავტორი და საზღვრის
გალმა გაღწეულად წარმოიდგენს მას: „ეს დედამიწა აკრთობ-
და გრანელს, როცა ოცნებით ცაში ვიდოდა, იმ ცეცხლის
ალით თვით დაიგრაგნა, ვიდრემდე საზღვარს გადავიდოდა“
(მერაბ კოსტავა, „გალაკტიონი“).

პარიზში მცხოვრები ქართველი, ტერენტი გრანელის
შემოქმედების მთარგმნელი და მკვლევარი დათო თოთიბაძე
ხაზს უსვამს კოსმიური სივრცეებისადმი ტერენტი გრანელის
ინტერესს: „ლამე შეახსენებს პოეტს შემოქმედების უსასრუ-
ლობას და კოსმიური სივრცეების მონაწილედ ხდის“ (დათო
თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, ხელნაწერი).

აქვე ნათქვამია, რომ ტერენტი გრანელმა „მთელი ცხოვრება მარტოსულად გაატარა და შეეპარა კოსმიური სპლინის თავისებური ნაირსახეობა, რომელიც შემდგომში მისი შემოქმედების ფუძედ და შთაგონების ერთ-ერთ წყაროდ გადაიქცა“ (იქვე, გვ. 38).

შემდეგ „სამყაროს სინათლედ ქცეული პოეტი როგორც იქნა, თავის ორმაგ განზომილებას იღებს, მისტიურს და კოსმიურს – ამას უწოდებს გრანელი „მესამე გზას“, ცხოვრების აზრს, მიწიერ ცხოვრებასაც, რა თქმა უნდა, მაგრამ უპირველესად ციურ და სულიერ ცხოვრებას. მან გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო“ (იქვე).

ტერენტი გრანელმა „საუკუნოვანი ომი გადაიხადა ყოფნა-არყოფნის კანონმდებელთან – დროსთან და სძლია იგი. მისმა ნაგვემმა სულმა ლოცვით გამოაღწია მეოცე საუკუნის მშფოთვარებასა და ულმერთობას და განწმენდილი, ოცდამე-ერთე საუკუნის კარიბჭესთან ლეგენდად მდგარი, განახლების ძალითა და რჩმენით გვიხმობს ახალ საუკუნეებთან მისაახლოებლად“ (ლერი ალიმონაკი, მამანტი როგავას წერილიდან „ტერენტი გრანელი“, ქართული მწერლობა – XXI, №1 (5), 2009, გვ. 21-22).

„...ქვეყნად მოვლენილი გრაალის თასში ჩამოლვრილი სისხლისა და სულის მატარებელი წმინდა პოეტი შინაგანი, მშობელი ერის გულისხმით ენაცვლება ჯვარზე გაკრულ ქრისტეს, რათა საბოლოო დალუპვისგან იხსნას ადამიანთა სულები, ქართველ ერში რომ არ ჩაკვდეს თავისუფლების ნაპერნკალი, სიყვარულისა და ლაზარეს აღდგინების დიადი მომავლის რწმენა“ (მამანტი როგავა, იქვე, გვ. 28).

თავი VI. სახისძებულების საკითხები ერისტიანული ციმბილები

ტერენტი გრანელი ქართული კლასიკური პოეზიის მა-
გისტრალური ხაზის გამგრძელებელია და, მაინც, სრულიად
თავისებური, განუმეორებელი და განსხვავებული მოვლენა.
მისი მსოფლგანცდა ქრისტიანულია და, ამავე დროს, ამაღლე-
ბული ფენომენი.

პოეტის ულრმესი, ურთულესი, მრავალნიშნადი, ენიგმე-
ბით სავსე შემოქმედება ბოლომდე უცხო და გაუგებარი დარ-
ჩა პროლეტარული პრიმიტივისთვის.

ტ. გრანელი თავის თავს უწოდებდა „პოეტს, წამოსულს
მაღალ ზეციდან“.

„ზეცა მწყურია და მიწა მშია“ – პოეზიის მისის ყველა-
ზე სრულყოფილი გაგებაა, მაგრამ საერთოდ მიუწვდომელი
ერთსახოვანი, დაქირავებული პოეტების ლეგიონებისათვის,
რომელთაც მიხეილ ჯავახიშვილმა „დაბადებითვე სულიერი
საჭურისები“ უწოდა.

მიწასა და ჭაობში ბოლომდე ჩაფლული კალმოსნების-
თვის ყველაზე გამაღიზიანებელი მაინც ტ. გრანელის ანგე-
ლოსობა, ღმერთისკენ სწრაფვა, ცაში ფრენის მოტივები იყო,
რისის პირობაც არის სულიერი ამაღლებულობა, უცოდველო-
ბა, ტრივიალური არსებობის უგულებელყოფის უნარი.

თუ ჭეშმარიტი პოეტობა ზეციურთან წილნაყარობაა, ტ.
გრანელი ამით იყო დაიდი და მრავალი საღვთო სახელიც მო-
იპოვება მის შემოქმედებაში.

„მემენტო მორის“ ავტორი გამუდმებით აღავლენდა
ლოცვებს და დაეძებდა ღმერთს, ჭეშმარიტებას: „ღმერთო,
სადა ხარ, მე შენ დაგეძებ“, „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მა-
ღირსე...“

უსასრულო იყო ეს მოლოდინი: „წმინდაო ღმერთო, მე
დიდხანს გელოდი!“ („ღამის მოუსვენრობა“).

პოეტის სული ღმერთისთვის, უზენაესისთვის შენირული სული იყო: „შენი ზვარაკია, ღმერთო, ჩემი სული“ („ვედრება“)

უფალს ევედრებოდა, დაეფარა უკეთურობისაგან, მოეცა პოროტებასთან გაძლების უნარი: „ო, ჩემს გარშემო მკვლელებია და გამცემლები, უფალი იყოს ამ ქალაქში ჩემი მფარველი“.

კიდეც პოულობდა ძალას, გაქცეოდა უხამსობას: „აპა, მოვშორდი იმ მეშჩანობას, რომლის გარშემო მე მოვემწყვდიე“.

დიადი მიზნები ვერასოდეს იგუებს დახურდავებას. ტ. გრანელი, საბედნიეროდ, მუდამ ინარჩუნებდა სულის სიწმინდეს: „ძვირფასო, მხოლოდ მე დავრჩი წმინდა და სხვებმა სული ფულზე გაყიდა“.

მას დავით წინასწარმეტყველივით შეეძლო ეთქვა: „მოვიძულე კრებული უკეთურთა და უღმრთოთა თანა მე არა დავჯდე“ (ფს. 26, 5).

„ვიდრე სხეულში ვსახლობთ, ღმერთის გარეშე ვსახლობთ“.

„ხორცისაგან მთესველი ხორცისაგან მოიმკის ხრნილებას, ხოლო სულში მთესველი სულისაგან მოიმკის საუკუნო სიცოცხლეს“ – შეგვაგონებს პავლე მოციქულის ერთ-ერთი ეპისტოლე. (პავლე მოციქული, გალატელთა, 6, 8).

უსხეულო არსებობის საიდუმლოებას ნაზიარები ტ. გრანელი ლანდად, ღმერთის სულად იყო ქცეული: „ეს ჩემი სული ლანდი ღმერთის“. ამ გაგებით ლანდად ქცევა ღმერთად ქცევის ტოლფასია: „როგორც ლანდი, ისე ვარ... როგორც ღმერთი, ისე ვარ“ („მთაწმინდა“).

დიდი ძალისხმევის მეოხებით შესაძლებელი ხდებოდა თეოზისის მიღწევა უსხეულო, წმინდა არსებობით, ამიტომაც იყო „გრძნეული ლანდი“, რომელსაც „სულის ლანდი“ – ღმერთი აძლევდა ცხოვრებასთან შერიგების სტიმულს: „და სულის

ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ („ისევ დადგება“).

„საოცრების ლანდები“ ღმერთია: „საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ, როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით“ („მწუხარე მელოდია“). „საოცრების წარსულ-საც“ ანალოგიური ქვეტექსტი აქვს: „საოცრების წარსული, ეშაფოტზე ასული, ჩქარი და მოქანცული სიკვდილს არ ვენანები“ („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“). ეს სახეები უნდა მომდინარეობდეს ბიბლიოდან, სადაც ღმერთი არის „საკვირველი საოცარი“ (I, 975).

ყურადღებას იქცევს „მფარველი ლანდის“ სახე: „მფარველი ლანდი მაშინ არ მყავდა“.

„ცისფერი ლანდის“ ადრესატიც ღმერთია: „ცისფერ ლანდებით გაივლის ღამე და ჩემი შიში გაიფანტება“.

ანალოგიურ კონტექსტშია მოაზრებული „მფარველი თვალი“: „არ ჩანს მფარველი თვალი, ირგვლივ გზებია შორი“ („ლოდინი ბედის“). „მფარველი“ ღმერთია ბიბლიაში (I, 69,81), დ. გურამიშვილის პოეზიაში.

„თვალთა წათელი“, „მზის თვალი“ ასევე ღმერთის სახედ მოიაზრება დ. გურამიშვილთან, ჰიმნოგრაფიაში.

„ღმერთო, ძალა მომეცი“, „ღმერთო, სიცოცხლის შუქი მალირსე“ – ევედრება პოეტი უფალს და ეს „ვედრება“ ზოგჯერ „ხელია“...

„მარტო ვიყავ, არვინ მყავდა მე ღვთის მეტი სხვა პატრონი“ – გვაზიარებდა თავის უნუგეშობას დ. გურამიშვილი.

ანალოგიურ მდგომარეობას გვიცნობიერებს ტ. გრანელი: „ანდა ვინ მოვა, არა მყავს კაცი, მე თუ დამიხსნის – მხოლოდ უფალი. როდის იქნება ის დღე ძვირფასი, როცა ვიქნები თავისუფალი“ („ახლა სადღაც შორს“).

ტ. გრანელის პოეზიაში გამრავალფეროვნებულია საღმრთო სახელები, რაც ამ ცნებისადმი ღრმა და თანმიმდევრული ინტერესების გამოხატულებაა.

„მზერამოლლილი და მიზეზიანი“ ენოდება ერთ ლექსში ღმერთს, რომელიც ცოდვათა განმკითხავად უნდა მოევლონოს ლირიკულ გმირს: „ჩემი სავანე უდაბნოა და შეცოდება, ვერ გავექცევი მზერამოლლილს და მიზეზიანს“ („საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს“).

პოეტის უსაყვარლესი სახეა ქრისტე.

ქრისტე „წმინდა მაცხოვარია“, რომელთანაც მოწინებულ მიმართებას გვაგრძნობინებს სტრიქონები: „უნინ მაცხოვარს სანთელს ვუნთებდი“, „შენ წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“

ადამის ცოდვების მტვირთველი პოეტის გახელებული სურვილია ქრისტეს მიერ სულის ხსნა: „ნამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი. ღმერთო, გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე, ხელს მაღლა აგიშვერს ცოდვა ადამისა: „ღმერთო! გამაგიუე და შენვე დამიცავ“ („ლოცვა გაფრენისათვის“).

ქრისტეს ეპითეტია ტ. გრანელის ლექსში „მწუხარე“: „მე შენთან მოვალ დღესაც, როგორც მწუხარე ქრისტე“ („აწეწილი ბედი“).

მწუხარებით, ცრემლებით ქრისტესებურად დიადია პოეტი: „და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან მე ვიხედები, როგორც იესო“ („შემოდგომის პასტორალი“), „როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“ („დამის სტრიქონები“).

ჯვარცმული ქრისტე დიადი მსხვერპლია და ამ ტრაგიკულ მომენტს არაერთხელ უბრუნდება პოეტი: „ჯვარზე შეღება ქრისტე გულის უმანკო სისხლმა“ („მოგონება შორეულზე“).

ჯვარცმის ანალოგიურია თვით ტ. გრანელის ხედრი: „ეს იყო დარდი, სულის დაღალვა და სისხლიანი ბედი ქრისტესი“.

ჯვარცმის მისტერიის მთავარი წევრია მარიამ ღვთისმშობელი, რომელიც ტირის თავის ძეს.

ტ. გრანელი სახარების ამ მომენტს ორგანულად ურთავს თავისი ჯვარცმული ცხოვრების აღსასრულს სიკვდილის წინასწარ ხილვებში: მასზე – ჯვარცმულ იესოზე – ტირის დედა მარიამი ანგელოზებთან ერთად: „კუბოსთან იდგნენ სე-

რაფიმები და ლვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ („მიცვალებულის დღიურიდან“). ან: „ალბათ სამარესთან ვარდი მრავალია, ალბათ მარიამიც ტირის თავდახრილი“ („სიჩუმის ყვავილები“).

„როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“ – ამბობს პოეტი და ისიც ზეცის ბინადარია ქრისტესავით.

ქრისტესებური სულიერი კომპლექსები იყო პირობა იმისა, რომ ასე ორგანულად განეცადა ეს ორბუნებოვანი ღმერთი, ასე ახლოს ყოფილიყო ჯვარცმულ ღმერთთან, ღმერთის ზეცასთან, „სხვა ზეცასთან“: „მივყვები გაყინულ რიყეს, სიცივე ძალლივით მიყევს. სიცივე მიყევს და მიტევს. მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს. ქალაქსაც ძვალ-რბილში უვლის სიცივე – თებერვლის სული. სხვა ზეცა მპირდება ამინდს, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“

ორმხრივი იყო ეს „კომუნიკაცია“, თვითონაც ქრისტეს რჩეულად ისახებოდა: „იყო სიჩუმე, სამი წერტილი, მას შემდეგ ბევრი ხანი გავიდა. ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“.

პოეტი არამარტო სისხლიანი ქრისტეა, არამედ მისი უმანკო ბავშვობის თანაზიარია, ის არის „ლრუბლის ბავშვი“. გრიგოლ ნოსელისათვის ლრუბელი ნიშნავს სულიწმიდას, ბერძნულ ლიტერატურაში მარიამს ეწოდება „გაბრწყინებული ლრუბელი სულისა“ (ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველება“ თბ. 1991 წ. გვ. 66).

განღმრთობის ძალზე საინტერესო მაგალითია „ბავშვი-უფალის“ სახე, სიზმრისეული ხილვის საშუალებით გახსნილი: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავი-სუფალი... ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავი-სუფალი“.

ბავშვს სიწმიდის სიმბოლოდ ხშირად წარმოგვიდგენს პოეტი და ამაშიც ქრისტეს იმ შეგონების მიმდევარია, რომ-ლის მიხედვითაც, ლვთის სასუფეველში შესვლა მხოლოდ ბავშვური სიწმინდით და უმანკოებით შეიძლება. ამიტომ ელოდე-

ბა მის სულს გარდაცვალების შემდეგ სამოთხე: „გლოვის ზა-რებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“.

შემოქმედებითი წვალების გამო პოეტიც ქრისტესავით გოლგოთას გაივლის: „ყოველი ღამე არის გოლგოთა“ („ცრემ-ლი შუალამის“).

უფალი პოეტის მარადიული მცველია: „ო, უფალი დამი-ცავს კვირეების კეცაზე“ („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებ-ზე“), „და მაღლიდან ქრისტე ყვავილს ისკრის“...

მარადისობის კარიბჭესთან ქრისტე ენუგეშება პოეტს, როგორც უკვდავების მომნიჭებელი: „მე ისევ ვდგავარ მარა-დისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერა-ფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც მე დამიხსნის გან-საცდელისაგან“ („გულიდან სისხლის წვეთები“).

სიკვდილთან დაკავშირებულ ხილვებში „ქრისტეს თვა-ლები“ ელანდება პოეტს („ჩემო ზოზია“). ქრისტეს, მარიამ ღვთისმშობელს, სერაფიმებს და ანგელოზებს წარმოიდგენს მიცვალებისა და გასვენების მომენტში: „კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა... მიმასვენებ-დნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძლოდა“ („მიცვა-ლებულის დღიურიდან“).

ქრისტეს სიმბოლურ სახელად უნდა მივიჩნიოთ „მგლო-ვიარე კარი“: „ყოველივე მორჩა მგლოვიარე კართან, ეშაფოტი მოჩანს, საფლავების გარდა“ („სიშორის ცეცხლი“).

„კარის“ ადრესატი ქრისტეა სახარებაში: „მე ვარ კარი ცხოვართაი... მე კარ ვარ“ (იოვანე, 585, 7, 585, 9).

ამ სახეს პოეტმა „მგლოვიარე“ წაამატა (სხვაგან „მწუ-ხარე“ იყო).

„მე საოცრებას მივდევ და მცილდებიან სხვები“ – ვფიქ-რობთ, ასეთსავე კონტექსტში უნდა იქნეს გაგებული „საოც-რების კარები“: „ვდგევარ საოცრების კარებთან, როგორც სიზმარი წარსულის“ („ცისფერი სინათლე“). ასევე ღმერთთან

მიახლოების სურვილია „დაკეტილი კარის“ გაღება: „მინდა ავ-
დგე, გავიხედო გარეთ და გავალო დაკეტილი კარი“.

„საოცრებაში“ იგვე აზრი უნდა მოვინიშნოთ: „და ისევ
საოცრება“, „და ვუცდი ისევ სხვა საოცრებას“, „საოცრება
მოგელის“, „ისევ იღბალმა და საოცრებამ უმზეო დღენი შენს
წინ გაფინეს“...

ეს „საოცრება“ სულშია დავანებული: „აელვარდა გუშინ
უიმედო მინა და წამებულ სულში საოცრებას სძინავს“ („სი-
შორის ცეცხლი“).

„ლამის ლანდი“ და ლამის ცეცხლი“ ასევე ღმერთის სიმ-
ბოლოდ ისახება: „ლამის ლანდი მე ფანჯრიდან ვნახე, ლამის
ცეცხლი ეკიდება თვალებს“. „სიშორის ცეცხლსაც“ ასეთი გა-
გება აქვს: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს“.

პირველი სახის წყარო უცნობია, ხოლო „ცეცხლი“
ღმერთის სახედ არის მიჩნეული ბიბლიაში, დ. არეოპაგელ-
თან, ჰიმნოგრაფიაში. ამ ცნებას პოეტმა დაამატა „ლამის“ ნი-
უანსი, სადაც ლამე ღმერთის შეუცნობლობაზე ხაზგასმაა
(მდრ. რუსაველის „მზიანი ლამე“).

ღმერთი ყველა რელიგიაში ნათელია. ნათელია ქრისტე:
„მე ვარ ნათელი სოფლისაი“ (იოვანე, 581, 5).

ტ. გრანელი უცდის არა ჩვეულებრივ, არამედ ზებუნებ-
რივ ნათელს, რათა გაიფანტოს ირგვლივ გაფენილი სიბნელე:
„და ასე ფიქრო უფრო ძნელია, როცა თვალები ნათელს უც-
დიან, ღმერთო, ჩემს ირგვლივ რა სიბნელეა, ღმერთო, ჩემს
ირგვლივ რა ბურუსია?! („უმიზნო ხეტიალი“).

ღმერთი ბიბლიაში არის „ნათელი თუალთაი (I, 1171),
„ნათელი დიდი“ (მათე, 4, 16), „ნათელი“, „ნარუვალი ნათელი“
(დ. გურამიშვილი).

„თეთრი იმედიც“ ნათლის ვარიაციაა: „მე უფსკრულთან
მივედი, ყოფნა ისე მიმბეზრდა, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა
ოდესლაც“. ასეთივე აზრის მქონე სახეა სხვა იმედი: „იქ მი-
ვალ, სადაც მუსიკა უკრავს, სადაც ცხოვრობენ სხვა იმედები.

ამ სახის ახლებური ნიუანსია „თეთრი სავანე“: „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე“ („ციხის ელეგია“). ეს სახეები აშკარად ორიგინალურია.

ღმერთის სახელია „უსაზღვრო“, „უსაზღვროება“ (ი. და-მასკელი, ჰიმნოგრაფია): „ჩემს სულს სწყურია თეთრი სავანე, ჩემს სულს სწყურია „უსაზღვროება“, „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“.

მისტიკოსი პოეტი ხედავდა უსაზღვროებას: „შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ (შდრ. ნეტარი ავგუსტინე: „...დავინახე ... უხილავი იგი შენი, უფალო“ ... მე დავინახე უხილავი იგი ღმერთისა“ („აღსარება“, 1985 წ. გვ. 245, 247).

ბიბლიის, ღვთისმეტყველების მიხედვით, ღმერთის სამყოფელია არა ხილული ცა, არამედ „ცანი ცათანი“: ცანი ცათანი გონიერი ზეცაა“ (ნეტარი ავგუსტინე, „აღსარება“, გვ. 353, 386).

ცანი ცათანის“ შესატყვისია ტ. გრანელის „მარადიული ცა“ („მე მარადიულ ცისკენ მივიწევ“), „მარადისობის ლაუგარდები“, „ლაუგარდოვანი ცა“, ხოლო „მარადისობა“ ღმერთია: „მე ისევ ვეძებ გულისთვის საფლავს, მე ისევ ვეძებ მარადისობა“.

„შორეული და უხილავი მზის“ ხილვის სურვილი ღმერთის მოვლინების სურვილია, თვით პოეტი კი თითქოს კი, მარადიული ადამიანია, ქვეყნის გაჩენიდან მიმსწრაფი მზე ღმერთისკენ: „მე ქვეყნის გაჩენიდან ნელა მივდიოდი სინათლისაკენ, რომ მეხილა მზე. ალბათ მიზიდავდა შორეული და უხილავი“ („გულიდან სისხლის წვეთები“).

„ქართლის ცხოვრებაში“ მეფე ფარნაოზს სწორედ მზის სახით ეზმანა ღმერთი.

ღმერთის გამოცხადების ტოლფასია „ცისფერ ღამეში“ აელვარებული „წითელი მზე“, „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე“ („სიცოცხლის გრადაცია“).

ქრისტიანული სამება მზის სახეშია მოაზრებული, მა-
მალმერთი – მზეა, შუქი – ძე, ნათელი – სულინმიდა.

ქე ღმერთის შუქს მიელტვის პოეტი: „ღმერთო, სიცოც-
ხლის შუქი მაღირსე, დღეს ასეთია ჩემი პროფილი“.

„სიცოცხლის შუქს“ წყაროა ფსალმუნი: „...ღმერთო,
იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, აგერ ჩემი ფეხი წაბორძი-
კებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“
(ფს. 56, 14).

მერე ეს „შუქი“ ცისფერთან ფიგურირებს და, ამავე
დროს, ტრადიციული ატრიბუტიც ახლავს, „მარადისობის“ სა-
ხით: „სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“.

ღვთაებრივია პოეტის სულის შუქი და თეთრი, წმინდა:
„თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“, „თეთრი სიჩუ-
მეც“ და „თეთრი იმედიც“ ღმერთია: „სულში თეთრი სიჩუმეა
დღესაც“. „ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც“.

ღმერთი სულია: „ხოლო უფალი სულ არს“ (კორინთელ-
თა მიმართ, 3, 4, 521, 17), „ღმერთი სულია სახიერი“ (დიონი-
სე არეოპაგელი, „შრომები“, 1961 წ., 15, 14).

მერე ამ ცნებას „ცისფერის“ ნიუანსი შესძინა ტ. გრა-
ნელმა: „მოვა ცისფერი სული“.

„ცისფერი სიშორე“ ხაზს უსვამს განლმრთობას პოეზიის
ძალით: „ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე“.

ნეოლოგიზმიც შექმნა ცისფერის გამოყენებით და ისიც
უზენაესს მიუახლოვა: „ეს ჩუმი ზეცა და სიცისფერე იყოს მა-
რადის ჩემი ნუგეში“.

ღვთაების „ცისფერ სამყაროში“ დამკვიდრებას ნატრობს
პოეტი: „მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ, მე ისევ ვეძებ მა-
რადისობას“.

„ცისფერი იმედიც“ ღმერთია: „ეს მხარე ღამდება, რად-
გან ცისფერი იმედი მიდის. როგორი სიჩუმე დადგა, ო, რო-
გორ ჩამოწვა ნისლი“ („დათოვლილი სანთელი“).

ამ კატეგორიის ხილვებია „ცისფერი ბალი“, „ცისფერი ყვავილი“, „ცისფერი ქვეყანა“: „ისევ იშლება ჩემს წინ დილის ცისფერი ბალი“, „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სული-დან“, „მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა“.

ყვავილი საერთოდ მიჩნეულია ხან ქრისტეს, ხან მარია-მის სიმბოლოდ.

„ცისფერი სარკეც“ იდუმალებასთან წილნაყარი სახეა: „ელვარებს ისევ ცისფერი სარკე, მივილტვი ცისფერ სამყა-როსაკენ“.

„ცისფერი წამი“ უზენაესთან ზიარების მაცნე, განუმეო-რებელი წამია: „და იყო წამი, ცისფერი წამი და იყო წამი სხვა გარინდების“.

სხვაგან არის „ნუგეშის შუქი“, „უმანკო შუქი“: ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, მე ქვეყნის წინაშე ვდგავარ მგლო-ვიარე“. გული ასვენია მაღალ სიჩუმეში, ისევ სიშორეზე ტი-რის როიალი“.

შუქი ქრისტეს სახელია, ქრისტე კი მწუხარებასთან და-კავშირებული, ამიტომ პოეტი ლოგიკურად „შუქთან“ „მწუხა-რეს“ ახსენებს: „მწუხარე შუქი ჩნდება“, „ჩნდება წარსულის შუქი მწუხარე“.

სხივი, ციმციმი ღმერთს უკავშირდება და განღმრთობი-ლი პოეტი თავის თავში გრძნობს ამ სახეებს: „იგი, რაც მნამ-და, ჩემთან ციმციმებს“, „ჩემი სიცოცხლე ხომ ციმციმებდა“, „ჩემში ზეცის სხივია“.

ამ ღვთაებრივი შუქის მოლოდინია მისი არსებობა: „ველო-დი, შუქმა იელვა ადრე. მზე მაღლა იწევს და ნისლში ცურავს“.

ღმერთის ტრადიციული ეპითეტია „შორეული“ (ნეტარი ავგუსტინე). ამ ცნების მრავალნაირ ვარიაციას არაერთხელ მიმართავს ტერენტი გრანელი: „შორეულს ელი, ისმენ ამ არი-ას და ბინა შენი ბნელი სამარეა“ („წვიმიანი დღე“).

„შორეული იღბალის“ მოლოდინია ლექსში „ლოდინი ბე-დის“: „მღალავს სხეული სუსტი და მძიმე ხსოვნა მამის, შო-რეულ იღბალს ვუცდი, როგორც უმზეო ამინდს“.

ღმერთის სიმბოლოა „შორეული“ და „ცისფერი ყვავილი“: „ლამე ასე გაივლის და ლანდები სურვილთა და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ („შორეული ყვავილები“).

ნოვალისიდან მომდინარეობს „ცისფერი ყვავილის“ სახე, რომელიც პედნიერებას უქადის ჰენრის (ჰენრის ფონ-ოფტერდინგენ). „ცისფერი ყვავილი“ რომანტიკოსებისათვის არის არამიწიერი, მიუღწეველი იდეალის, მარადიული ჭეშმარიტების სიმბოლო.

პოეტს იტაცებს „შორეული ზეცის“, „შორეული მიზნის“ სახეში სახელდებული ღმერთი: „ვხედავ „შორეულ მიზანს, დროა, გავფრინდე ცისკენ, დროა, გავექცე მინას, „და ღრუბელივით ვხედავ ახალ შორეულ მიზანს“, „დღესაც ვეტრფი მე შორეულ მიზანს“.

„შორეული ფიქრიც“ ღმერთის სიმბოლოა: „დავიღალე შორეული ფიქრით“.

პოეტის ღმერთია ასე მოახლოებული „შორეული იმედი“: „ვგრძნობ წამებას და შორეულ იმედს, ვზივარ ასე ყვავილივით მკრთალი“, „შენკენ გამაფრინეს ფიქრებმა რაღაც შორეულ იმედით“.

ხალხის რწმენით, ცეცხლი ცას უკავშირდებოდა, პრომეთემ ღმერთს მოჰკარა ცეცხლი, ხალხს ჩამოუტანა მინაზე და ამისთვის დაისაჯა მწარედ.

ცეცხლი სიკეთის ღმერთის სიმბოლო იყო და მუდამ ენთო აღმოსავლურ ტაძრებში.

ირანელთა საღმრთო წერილის „ავესტა“ ცეცხლს თაყვანს სცემდა, როგორც სიწმინდეს, შემოქმედის ქმნილებას, ღვთიური ბუნების მატარებელს. ამიტომ ინახავდნენ პატივით ნაკვერცხალს, როგორც ცეცხლის წყაროს (ქართულ სოფლებშიც ხომ ასე იყო, ცეცხლს კერაზე ნაცარში ახვევდნენ, „კერა არ ჩააქრო“ სიცოცხლის მარადიულობის გამოხატულება იყო).

ირანული საღმრთო წერილი გამოყოფს მინის, ადამიანთა, პირუტყვის, მცენარეულობის მასულდგმულებელ ცეცხლს, ელ-

ვის ცეცხლს, წმინდა ცეცხლს, რომელიც არის ირანული სიკეთის ღმერთისა-აპურა მაზდას სიმბოლო.

ცეცხლს იგულვებენ მიწაში, მთათა გულში, ადამიანებში.

ცეცხლი სულის სიმბოლოცაა, რადგან ძველ ფილოსოფოსებთან ცეცხლი შემადგენელია ოთხი ელემენტისა, რომელთაგან სამყარო შეიქმნა. სიცოცხლის ცეცხლი არის ნათელი.

ცნობილია სტოელთა ცეცხლი, მსოფლიო ცეცხლი, ინდური რელიგიის ცეცხლი, ძველი აღთქმის ცეცხლი (ფსალმუნი, 96,3).

სიტყვა ცეცხლი ბიბლიაში ფიზიკური და ზესთაბუნებრივი მნიშვნელობისაა. სიცოცხლე სინათლეა, ღმერთი – ნათელი, იესო ქრისტე არის ნათელი – ნათელი ნათელთა, სულინმიდა არის ნათელი. არსებობს მოქმედი და ჩამქრალი, შთანმთქმელი და საშიში, ერთგული, მარადი, უმანკო, ნაზი, სიყვარულის, საიდუმლო და კიდევ მრავალნაირი ცეცხლი.

ცნობილია სიყვარულის ცეცხლი „ქებათა ქებაში“, სანსკრიტულ, სპარსულ, ქართულ მწერლობაში. ცეცხლი და წვა დაკავშირებულია სულებთან და მას აქვს ზეობრივი მნიშვნელობაც (ვიქტორ ნოზაძე, „მზისმეტყველება“, 194–196).

ცეცხლი ტ. გრანელის შემოქმედებაში, ერთ შემთხვევაში, პოეტური ტემპერამენტია, ლექსით, უზენაესით წვა: „და სულს ცეცხლისკენ მივყავართ თროლვით“, „ცეცხლი მსგავსია ჩემი ფიქრების“, „და იწვევს გაოცებას შორეული ალები“, „მე ჩემი ცეცხლი ისევ მაოცებს“, „და ეს გული უცნაურად იწვის“, „სხვაგვარი ანთება“, „სულის ცეცხლი“, „ცეცხლიანი სურვილი“, შენ იწოდი, „ანთებული გრძნობა“. მერე გლობალურად იზრდება ამ ცეცხლის სინათლე: „მე – მზე ანთებული“.

ასეთივე დიდი ძალისაა ტ. გრანელის „მსოფლიო სევდის ცეცხლი“.

„სიშორის ცეცხლი“ ღმერთის მიუწვდომლობის დარდია.

სიყვარული ცეცხლია: „და ცეცხლივით მწვავს ფიქრი სიშორეზე“, „გრძნობის კოცონი ისევ ძლიერდება“.

სიყვარულის ცეცხლიც აენთება ყველას დასანახად: „მე შენზე ფიქრით ბევრჯერ ავენთები“.

„უფროა გრძნობა, უფრო ანთება“ – ამბობს პოეტი, რომლის გულში მართლაც გაუნელებელი ცეცხლი ენთო.

„მე ასე ვიწვი დიდი ხანია“, „ჩემი გული იწვის მწუხარე გრძნობით“, ასეთი დიდი დარდის, ტკივილის ცეცხლი გამოარჩევდა ტ. გრანელს. „ცეცხლის რკალები“, „წითელი ფერების კორიანტელი“ ეხვია პოეტს. „მუსიკის ცეცხლიც“ ედებოდა გულზე.

და „ცეცხლი საიდუმლოც“ იყო ზოგჯერ, როგორც მისი ტკივილები თუ გამწარება.

ამ გამუდმებულმა წვამ, გაუნელებელმა პოეტურმა ცეცხლმა შესძინა ტ. გრანელის პოეზიას თაყვანისმცემლები, მარადიულობის ძალა: „უკვე იწამეს ჩემი გენია და ჩემი ცეცხლი დაუშრეტელი“, ცეცხლის დროებითი მინელების შემდეგ „ისევ ანთების“ უნარი: „და ვიცი, ისევ რომ ავენთები“.

თავისებურია და გამორჩეული ტ. გრანელის „სულის ცეცხლი“.

ცეცხლი ღმერთის სიმბოლოა ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში, ღვთისმეტყველებაში: „უფალი ღმერთი არის ცეცხლშემცველ“ (გამოსვლათა, 360, 122). „სახე უფლისა ვითარცა ცეცხლი მოტყინარე“ (გამოსვლათა, 180, 16). ქრისტე არის „ცეცხლი უვნებლად განმანათლებელი“ (პეტრე იბერი, ფსევდოდიონისე არეოპაგელი „შრომები“, 1961 წ. გვ. 108).

ტ. გრანელთან „ცეცხლის“ ცნება ღმერთის სიმბოლოდ ფიგურირებს „შორეული ალების“, „სიშორის ცეცხლისა“ და „ღამის ცეცხლის“ სახით: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს, არ მინდა გული სამარეს მივცე, მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცისკენ“; „ვარდისფერი ოცნება ქარზე შეიმოსება და იწვევს გაოცებას შორეული ალე-

ბი“, „ლამის ლანდი მე ფანჯრიდან ვნახე, ლამის ცეცხლი ეკი-დება თვალებს“.

„შორეული მიზანი“ ხშირად ფიგურირებს ტ. გრანელის ლექსებში და მის ქვეტექსტებში მხოლოდ და მხოლოდ ღმერ-თი უნდა იგულისხმებოდეს: „ფიქრიდან ვხედავ შორეულ მი-ზანს“, დღესაც ვეტრფი მე შორეულ მიზანს“, „და ღრუბელი-ვით ვხედავ ახლა შორეულ მიზანს“.

„შორეული ფიქრის“ მოლოდინშიც ღმერთის მოვლინება იკითხება: „აქაც შორეულ ფიქრს ველოდები“, „ჰა, საღამოა შორეულ ფიქრის“.

„შორეული ოცნებაც“ ამ სიმბოლური სახის ვარაციაა: „შენ, შორეულო ჩემო ოცნებავ, მომეცი ფრთები და გამაფრი-ნე“.

„შორეული სიმწუხარეც“ იდუმალი სახეა: „ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა“.

ბიბლიაში ღმერთი ადამიანებს „ცეცხლის სვეტისა“ და „ღრუბლის სვეტის“ სახით ევლინებოდა: „ხოლო ღმერთი უძ-ღოდა მათ დღისი უკუე სუეტითა ღრუბლისათა, ჩუენებად მათდა გზასა, ხოლო ღამე – სუეტითა ცეცხლისათა“ (გამოს-ვლათა 169, 21).

ტ. გრანელთან თეთრი, ფერადი „შორეული ღრუბლის წვიმად არის“ ღმერთის სახე ტრანსფორმირებული: „და ეცე-მოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“, „მიმზიდველია თეთრი ღრუბელი შორს მიმავალი“, „ვხედავ შორეულ ღრუბელს“. ღრუბელი – სულინმინდის სიმბოლოა გრ. ნოსელისთვის, ბერძნულ ლიტერატურაში კი იგი მარიამს გულისხმობს (ზ. გამსახურდია).

სასულიერო პოეზიაში მარიამს ეწოდება „სულ მცირე ღრუბელი“.

ტ. გრანელი მუდამ გრძნობდა „შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“.

ნეტარი ავგუსტინე ასე მიმართავს ღმერთს: „ღმერთო, ახლოს ხარ იმათთანაც კი, ვინც შორს წავიდა შენგან“.

უფალო, რომელი ჰგიებ მაღალთა შინა და, ამავე დროს, ახლოსვე ხარ“, „უშორესი და უახლოესი“ („აღსარება“, 184, 296).

დამთხვევა ინტერესების ერთგვარობით, სულიერი სიახლოვით აიხსნება.

პოეტის გასვენების დღეს აიშლებიან „ფერადი ღრუბლები“.

ძველ და ახალ აღთქმაში ფიგურირებს „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“.

ამ სახის გრიგოლ ნოსელისეული კომენტარი ასეთია: „ხე ცხოვრებისაი, ვითარცა ხატებაი ღმერთისა“ („კაცისა აგებულებისათვის“, 1964 წ. გვ. 190).

პიმნოგრაფიაში გაიგივებულია „სიცოცხლის ხე“ და „ცნობადის ხე“ და ორივე უკავშირდება ქრისტეს.

სიცოცხლის ხის სიმბოლოა ალვა, პალმა, კიპარისი, ჩინარი (ზ. გამსახურდია), ვაზი (რ. სირაძე, ე. მეტრეველი, გ. მურლულია), ნაძვი (ა. ბაქრაძე).

ტ. გრანელის პოეზიაში მოიპოვება ამ ცნების როგორც ზოგადი, ისე კონკრეტული სახეები.

ზოგადია „შორეული ხე“, ღმერთის სიმბოლოდ ჩაფიქრებული: „აქ მტრებია ირგვლივ, იქ შორეული ხე, მოვა თეთრი ფიფქი და სიხარულის დღე“.

პოეტს „შორეულ ხედ“ მოლანდებულ ღმერთთან გამუდმებული „კონტაქტი“ აქვს: „ხე შორეული ისევ იქ იცდის და ჩემს გარშემო სხვები არიან. ეს დღე მაღვიძებს სიხარულისათვის, დღეს ისევ მზეა და დღეს დარია“.

ეს ხეები სიმბოლურ კონტექსტში ფიგურირებს ტ. გრანელის პოეზიაში: „ღუნავს ქარები ალვას, ელავს მუსიკის ხმები“, „თავზე მადგას კიპარისის ტოტი და საღამოს ვარდისფერი ზეცა“, „შენ მიდიოდი ნისლიან გზაზე და კანკალებდა რტოები ვაზის“, „იყო ღრუბლიან დღის მდუმარება და მოლოდინი მაღალ „ნაძვების“, „და ნაძვის ტოტებს ვხედავდი იქით

და მოელოდე ყოველთვის სიკვდილს“, „ეს მაღალი ჩინარი აქ წამებას განიცდის“.

„შორეული ხის“ ვარიაციაა „მდუმარე ხე“: „ყვავილებია და კვლავ სიშორე და ჩემს წინაშე მდუმარე ხეა და ჩემს გარშემო ფიქრი ირევა“...

„შორეული ბალი“ აგვირგვინებს ამ სახეს: „სდუმს სადღაც ბაგე შორეულ ბალში“.

ამ ასპექტის ხილვებია „ცისფერი ბალი“, „დილის ცისფერი ბალი“, „უხილავი ბალების წყურვილი“...

ქარის მრავალნაირი ვარიაცია გვხვდება ტ. გრანელის პოეზიაში, რომელთაგან უმთავრესია „შორეული გრიგალი“, „შორეული ქარი“, სულინმიდის, შთაგონების ქარი: „ეს ცა, ეს ყოფნა ხომ სიზმარია, ისმის ძახილი შორეულ ქარის, ქარი და წვიმა მოვიდა ერთად“.

ქრისტე ღმერთის ტრადიციული სიმბოლოა ვარსკვლავი. იოანეს გამოცხადებაში ქრისტე ამბობს: „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი და ვარსკვლავი ბრწყინვალე განთიადისა“ (თ. 22, 7).

ტ. გრანელი ერთმანეთის გვერდზე იყენებს „ვარსკვლავისა“ და „მარადისობის“ სახეს: „ეხლა მე ცას ვუცქერი, ცაზე ანთებულია ვარსკვლავები, სიმბოლო თეთრი მარადისობის“ („მემენტო მორი“).

სხვაგან „თეთრი ვარსკვლავები“ და მისი „სხივებია“ აქცენტირებული: „თეთრი ვარსკვლავი კაბადონზე რომ გამოჩნდება, მისი სხივები მსურს შევკონო ბრილიატებად“.

„შორეული ვარსკვლავი“, რომელზედაც ამბობს, „მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედსო“, ღმერთის სიმბოლოა, ამიტომაც ადიდებს მას: „დიდება შენ, შორეულო ვარსკვლავო, დიდება შენ!“ ასევე ღმერთს ეწოდება „ბედის ვარსკვლავი“.

ტერენტი გრანელის პოეზიაში ყურადღებას იქცევს აგრეთვე არანაკლებ ორიგინალური და თავისებური სახე „ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით“: „დავრჩი ბედის კუთხეში, ბრბო მიცქერის უხეში, მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნა-

რებით. მირაჟების კრებული არის გათეთრებული და მე გაფითრებული შენსკენ მოვექანები“.

„ქნარი“, კერძოდ, „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარი“, გვხვდება სასულიერო პოეზიაში.

„დაუჯდომლის“ თანახმად, მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“: „გიხაროდენ ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო“.

გურამიშვილი იმეორებს ამ სახეს: „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარო“, რაც ნიშნავს მაცხოვრის, ქრისტეს დამბადებელს“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებისა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989 წ. გვ. 242).

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ქნარს ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ერთი გაგებით იგი ჩანგია, მეორე გაგებით – ვარსკვლავი. („სიტყვის კონა“, 1949 წ. ს. იორდანაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, 1949 წ., გვ. 373). ასეა ეს სახე გაგებული ს. ცაიშვილის მიერ „ქართული პოეზიის“ I ტომის წინასიტყვაობაშიც.

თუ „ქნარის“ მეორე გაგება გავიზიარეთ, მაშინ „საიდუმლო ქნარი“, „საიდუმლო ვარსკვლავს“ ნიშნავს, ვარსკვლავი კი ქრისტეს სინონიმია.

რაც შეეხება ტ. გრანელის ფრაზის პირველ ნაწილს – „ქალის ნუგეშს“, ქრისტეც და მარიამიც კაცობრიობის ნუგეშია და ამ კონტექსტში იგი „საიდუმლო ვარსკვლავის“ – ქრისტეს დედაა, ცოდვილი ადამიანების იმედი და ნუგეში.

სხვაგან „ნუგეშის“ ქვეტექსტში ქრისტეს სახე იკითხება: „ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა“.

საანალიზო ლექსში „საიდუმლო ქნარების“ პარალელურად ღმერთის სახელად ფიგურირებს „საოცრების წარსული ეშაფოტზე ასული“, „შორეული ალები“ და „უფალი“.

„თეთრი ფიქრიც“ ღმერთია: „მოვა თეთრი ფიქრი და სისარულის დღე“, „თეთრი ფიქრებით დაფრინავ იქაც“.

ასეთივეა თეთრი ოცნება: „დუმილი არის თეთრი ოცნების. ღამეა ქარის და საოცრების“.

„მე შენ მშიოდი და მწყუროდი, ჭეშმარიტებავ“, „მე შინაგანი საზრდო მშიოდა, შენ მშიოდი, ღმერთო ჩემო“ ამბობდა ნეტარი ავგუსტინე („აღსარება“, 1985, გვ. 150, 153).

ტ. გრანელი კი ასე ეხმაურება უშორეს წინაპარს: „ზეცა მწყურია და მინა მშია“.

ღმერთი ნეტარი ავგუსტინესთვის არის „უშორესი და უახლოესი“ ერთდღოულად, ტ. გრანელისთვის ასეთივე მახლობელია მარადიულ ცაში დამკვიდრებული უზენაესი: „მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“.

„ძველი ფიქრიც“ ღმერთია: „ეს ფიქრი ძველი, ცივი, ვით რკინა“, „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა ნება განგების“, „წმინდა, ცისფერ ფიქრსაც“ ანალოგიური ადრესატი აქვს: „ცისფერია ფიქრი წმინდა“.

„საიდუმლოსთან“ დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს „საიდუმლო ფიქრი“, „დილის ფიქრი“, „თეთრი ფიქრი“ და „საიდუმლო ოცნება“.

„საიდუმლო დღე“ ქრისტეს სინონიმია „დავითიანში“ (ტ. მოსია).

ტ. გრანელის ზემოთხსენებული სახეები შესაძლოა დ. გურამიშვილიდან მომდინარეობდეს და მიემართება ღვთაებას: „და საიდუმლო ფიქრი გეწვია“. „დილის ფიქრის“ მოლოდინი ღმერთის მოლოდინია: „ქარში ერია ფიქრი დილების“. ასეთივე „მაღალი ფიქრი“, „ფარული ფიქრი“, „მე კიდევ ბევრი ღამე ვათიე და მოდიოდა ფიქრი ფარული“, „და ისევ მოდის მაღალი ფიქრი“.

ლექსში „მწუხარე მელოდია“ ღმერთის რამდენიმე სიმბოლური სახელია: „საოცრების ლანდები შენს წინ გლოვას ანთებენ, როგორც ბრილიანტები საიდუმლო ოცნებით“.

„საოცრებაზე“ წინა გვერდებზე ვისაუბრეთ, მისი ვარიაცია „საოცრების ლანდები“ და ნიშნავს უფალს.

ამ სტრიქონებში ინტერესს აღძრავს „ბრილიანტები“ და „საიდუმლო ოცნება“.

ქართულ სასულიერო და სახოტბო პოეზიაში ძვირფასი ქვები სიკეთის სიმბოლოებია (ნ. ჯიშკარიანი), ასევე, სულიერი ოცისებებისაც (გ. იმედაშვილი).

ნეტარი ავგუსტინესთან ღმერთია „მარგალიტი კეთილი“ (აღსარება“, გვ. 251), მიქაელ მოდრეკილთან წმინდანია „მარგალიტი მრავალსასყიდელი“. მარგალიტი სახელია წმინდა გორგისა“ (ლ. კვირიკაშვილი).

ტ. გრანელის „ბრილიანტი“ ამ კონტექსტში მხოლოდ ღვთაებრივ სიწმინდეს შეიძლება გულისხმობდეს. ასევე საიდუმლო ოცნებასაც“ ვერ ეძებნება სხვა ჩანაფიქრი.

„სონეტში“ კი ნათქვამია: „ღამის აჩრდილი შეიმოსა ბრილიანტებით“.

სხვაგან: „ცის კაბადონზე ვარსკვლავები რომ გამოჩნდება, მისი სხივები მსურს შევკონო ბრილიანტებად“...

ეს ბრილიანტებიც და მისი სხივებიც სიმბოლურია.

ბიბლიის მიხედვით, ღმერთი სულია, ტ. გრანელთან კი ყველაფერი, რაც სულთან არის დაკავშირებული (ოცნება, ფიქრი, იმედი, ნუგეში, ღვთაებრივად შეირაცხა.

ქრისტიანული ღმერთის სიმბოლოა „მზიანი ღამე“, შოთა რუსთაველისა და დავით გურამიშვილის პოეზიის მიხედვით (ვ. ნოზაძე, თ. ბაგრატიონი, კ. ეკაშვილი, ზ. გამსახურდია, შ. ხიდაშელი, ნ. ნათაძე, ს. ცაიშვილი, ე. ხინთიბიძე, ტ. მოსია).

ტ. გრანელი ახერხებს ღვთაების ამ ორიგინალური მხატვრული სახის გამრავალფეროვნებას. პოეტს ღვთაება ევლინება: „ცისფერი ღამის“, „იდუმალი ღამის“, „ნისლიანი ღამის“ სახეებში.

რეალურ საღამოს მოწყვეტილი პოეტური სული „ცისფერ ღამისკენ“ – ღმერთისკენ მიისწრაფვის: „მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ“, „ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის“.

დიდი პოეტის ხვედრია ღვთაების შესაცნობად ხეტიალი „ცისფერ ღამეში“: „ელგარებს ისევ ცისფერი სარკე, მივიღ-ტვი ცისფერ სამყაროსაკენ. სიცოცხლე ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა. ეს წამი მიდის, ფიქრია მეტი. ასეა დიდი პოეტის ბედი“.

სარკე ნეოპლატონური გაგებით, – სიმბოლოა სამყაროს გონებისა“ (ზ. გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანის სახისმეტყველება“, თბ. 1991 წ. გვ. 36).

„გონებამან დაფარულმან“ კი ღმერთია „ვეფხისტყაოსანში“ (ვ. ნოზაძე).

ბედ ღამეს ყოველთვის „ცისფერი საღამო“ უპირის-პირდება, როგორც სულიერებით, სიწმინდით, ღვთაებრიობით სავსე: „ახლა საღამო ხომ ცისფერია, (სადღაც ქარები მთაზე ტიროდნენ), მე დასვენება არ მიწერია, ყოველთვის მინდა რომ მივდიოდე“.

ვფიქრობთ, „წმინდა საღამოც“ ამ კატეგორიის სახეა: „საღამო – წმინდა, ქვეყანა – ქარი. ვარსებობ, მინდა სიცოცხლე წყნარი“.

„საღამოს ცისფერი ბინდი“ კიდევ ახალი ნიუანსით ამ-რავალფეროვნებს ამ სახეს.

„იდუმალი ღამე“ ღმერთია და იგია პოეტის ნუგეში: „ისევ მოვა იმედების გროვა, ისევ მოვა იდუმალი ღამე“.

„საღვთო ნისლში“ შეღწეული პოეტი „ცისფერ სინათლეს“ წვდება სულის თვალებით: „ახლაც უიმედო წამია. წუხელ გაფრენა ვინატრე, გულში ნისლიანი ღამეა, სულში – ცისფერი სინათლე“.

„უცხო ღამეც“ ამ ასპექტის სიმბოლოებს ავსებს: „სევ-დიან სარკეში და უცხო ღამიდან სანთლებით მისდევენ ყვავები ამ აპრილს“ („ფარული ვედრება“).

„ცისფერი თოვლი“ ღმერთის სიმბოლოა (ამაზე ქვემოთ), ხოლო ზეცის „თოვლიანი ღამე“, რომელსაც სიხარული მოაქვს პოეტისათვის, ღმერთის კიდევ ერთი ახალი მხატვრუ-

ლი სახე: „დღეს მიხარია ღამე, მაღლა ზეცისკენ მივქრი და თოვლიანი ღამე და თოვლიანი ფიქრი“.

„თოვლიანი სულიც“ და „დათოვლილი სანთელიც“ ამ ტრადიციის შემოქმედებით გამრავალფეროვნებაზე მიგვანიშნებს. ასეთად გვესახება ფრაზა: „ნომპერია, სულში მოთოვა, საღამო ისევ ზეცას მოება“, „ჩემს სულში სევდა თოვლივით ელავს“, „და შენი სული თითქოს თოვლია“.

„ძველი დღე“ ღმერთია ბიბლიაში, არქობაგელთან, ჰიმნოგრაფიაში.

„ახალი დღე“ – მესიაა, მაცხოვარი (დ. გურამიშვილთან არის „გრძელი დღე“ – (ჭ. მოსა).

ტ. გრანელთან გვაქვს ამ სახის ტრანსფორმირებული გვარიაცია. „ახალი დღის“ (ქრისტეს) შესატყვისია მისი „თეთრი დღე“, „თეთრი დღეები“ ღვთით სავსე არსებობაა, რაც სიცოცხლის სიყვარულს განუმტკიცებს პოეტს: „თეთრი დღეები მარად ივლიან და მე სიცოცხლის აზრი ვიწამე“.

სხვაგან არის განსხვავებული კონტექსტი. უკვე მივუთითეთ, რომ „მფარველი თვალი“ ღმერთის სინონიმია. ასევე არის გამოყენებული ეს მიგნება განსხვავებულ კონტექსტში: „დღე თეთრი თვალია“.

„ფარული დღეც“ ღმერთია, რომელიც რეალურ შავ დღეს უპირისპირდება: „ფიქრი და შავი დღეთა კრებული... და ვარ ქასავით გარინდებული. დღეა ფარული და მეც ეს მინდა, ქრის სიხარული ისევ ლექსიდან“.

„იდუმალი დღეც“ ანალოგიური აზრისაა: „იდუმალია ეს დღე მზიანი“. ასეთივე „ნმინდა დღე“: „და გადიან ეს დღეები წმინდა“...

„ოქროსფერი დღეც“ ამ რიგის ხილვებს ავსებს: „იდგა ოქროსფერი დღე“ (შდრ. გალაკტიონი: „დღე წამოიჭრა ოქროსთმიანი, დღე ახალგაზრდა და გამბედავი“).

„მზიანი დღე“ ღმერთის შთაგონებით სავსე დღეა: „მზიანი დღეა, გულს ამოვიტან და ისევ მოდის დღე აღელვების“.

„მზიანი დღის“ ადრესატი ლმერთია დ. გურამიშვილის პოეზიაში (ტ. მოსია).

„სიხარულის დღე“ წარსულში რომ კრთოდა და მოგონებაში ელავს, პოეტის მარადიული უფლის სახელია: „ვუმზერდი სანთელს და მომაგონდა დღე სიხარულის რომ კრთოდა წინათ“.

ამ „სიხარულის დღის“, „თეთრი ფიქრის“ (ამ სახის ადრესატიც ლმერთია), მოლოდინია პოეტის მთელი ცხოვრება: „მოვა თეთრი ფიქრი და სიხარულის დღე“, ასეთივეა „სიხარული დილის“ („სიხარული დილის ოდესმე იქნება“).

„თეთრი დღე“ და „ვარდის დღე“ ამ ტრადიციის უსასრულოდ და შემოქმედებითად განვითარების დასტურია : „და დღეა თეთრი და დღეა ვარდის“.

„ძვირფას დღეებთან“ დაშორების სევდა დროით არის ახსნილი: „და ძვირფას დღეებს დრომ დამაშორა“.

დანიელ წინასწარმეტყველის, არეოპაგელის მიხედვით „ძველი დღე“ მამალმერთია, „ახალი დღე“ – ის ლმერთი. ტ. გრანელი შემოქმედებითად იყენებს ამ სახეს.

ნუგეშივით „სიხარულიც“ ლმერთის რანგშია აყვანილი: „ისევ სიხარულს ვეძებ“. „და მოვიდა სიხარულის წამი დიდი ტანჯვის და წამების შემდეგ“, „ეს დღე მაღვიძებს სიხარულისთვის“. სახარებაში ქრისტე არის „სიხარული ყოვლისა ერისა“ (ლუკა 2, 10).

პოეტის იდეალია აგრეთვე „სხვა იმედი“, „სხვანაირი სიცოცხლე“.

ზეციური ვარდი, ყვავილი ხან მარიამის, ხან ქრისტესა და ანგელოზების სიმბოლოა ბიბლიაში, ჰიმნოგრაფიაში. ტ. გრანელი ამრავალფეროვნებს ამ სახეს, აქცევს მას ღვთაებრიობის, ჭეშმარიტების, სულიერების სიმბოლოდ და ათავსებს სულში: „ლამე ასე გაივლის და ლანდები სულვილთა, და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“, „ციდან ცისფერი ყვავილი ცვივა“, „და მაღლიდან ქრისტე ყვავილს ისვრის“, მერე დაკონკრეტებულია მისი სახე: „ეს არის ცისფერი ზეცის ყვა-

ვილი – მიმოზა“ (შდრ. გალაკტიონი: „მწყუროდა ცისფერი ვარდები“).

„სხვა ზეცის“, „სხვა ქვეყნის“, „ცისფერი ქვეყნის“, „ცისფერი სამყაროს“, „სხვა ძალის“, „სხვა პლანეტის“ ძიება სხვა არაფერია, თუ არა ღმერთის, ღვთაებრივი მშვენიერების ძიება. ღმერთი და პოეზია, ზეცა და ლექსი კი ერთია ტ. გრანელისთვის და ეს იდეალი ზოგადად სხვა პლანეტების სახეშია პერსონიფიცირებული: „ეს ოცნება სხვა პლანეტას მისდევს“, „რა ვქნა, ისევ სხვა პლანეტას ვეძებ“, „მე ისევ ვფიქრობ სხვა პლანეტაზე და სიკვდილს უდრის ეს დაფიქრება“. მერე ებადება სურვილი თავის წიგნს უწოდოს „პოეზია პლანეტების“, ანუ ღვთაებრივი და მარადიული.

„სიტყვა“ იოანეს სახარებაშივე ისახება საღმრთო სახელად: „პირველითგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყუაი იგი“ (იოვანე, 544, 1).

ტ. გრანელის ენიგმურ პოეზიაში არც „სიტყვას“ აქვს ჩვეულებრივი გაგება, ის ღვთის სიმბოლოა: „მჭირდება სიტყვა, ვით წყალი თევზებს“ („მოვა საღამო“).

„წყარო“ ღმერთის სიმბოლური სახელია.

დავითის ფსალმუნებში უფალი გააზრებულია, როგორც „წყარო ცხოვრებისა“ (178, 10). ასეა ჰიმნოგრაფიაშიც.

ტ. გრანელის პერიფრაზირებით, უფალი არის „ბედის წყარო“ (შდრ. ხალხური „უკვდავების წყარო“).

ხშირად იდუმალების ფრთები შრიალებს ტ. გრანელის ლექსებში. ასეა ეს „ხსოვნის სიმაღლეშიაც“. ვარდის გაუჩინარება, ბედის წყაროდან მოსმენილი გლოვის ხმები და ნუგეშის ძიება, იდეალის ტრაგიზმი და ამაღლებულის ძიების სიხარული, ღმერთის ნუგეში ერთადაა ლექსში: „ახლოს არ დარჩა ვარდი არც ერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ჩამქრალ თვალებით ნუგეშს ვეძებდი, ვეძებდი ნუგეშს და მიხაროდა“. („ხსოვნის სიმაღლე“).

პოეტი ეძებდა „საგნების გაღმა“, „სულის გადაღმა“,

„ლოცვის გაღმა“, ანუ ჩვეულებრივი მოკვდავისათვის დაწესებული საზღვრების გადალახვას ცდილობდა და მისი იდეალი იყო „ცისფერი წვიმა“ („არის ფიქრები ცისფერ წვიმაზე“), „ცისფერი თოვლი“ („არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა“), „კანდელი“ („სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“), „ცისფერი ყვავილი“ („და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“).

ლმერთის სიმბოლოდ გვესახება ტ. გრანელის „ცისფერი წვიმა“: „არის ფიქრები ცისფერ წვიმაზე, არის ძვირფასი ქალის პირობა“.

მსაჯულთა და ფსალმუნის წიგნებში „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვრის სიმბოლოა: „გარდამოხდეს ვითარცა წვიმაი საწმის-სა ზედა და ვითარცა ცუარი რაი ცურინ ქვეყანასა ზედა“ (ფსალმუნი, 71, 6). აქ იგულისხმება ლმერთი, რომელიც გარდამოხდება ციდან და იხსნის ქვეყანას, როგორც წვიმა და ცვარი – გვალვისგან გამხმარ მინას. „ალეგორიულად აქ „საწმისი“ მარიამ ლვთისმშობელია, ხოლო „წვიმა“ და „ცვარი“ მაცხოვარია. სასულიერო პოეზიაში ასეა ახსნილი ეს „იგავი“...

მაცხოვრის სახელად ცვართან ერთად წვიმაც გვხვდება სასულიერო მწერლობაშიც და „დავითიანშიც“ (ტ. მოსია, „დავითიანის“ ლიტერატურული წყაროებსა და პოეტიკის საკითხები“, თბ., 1989 წ., 193-194).

ვფქრობთ, ეს ბიბლიური წყარო დაედო საფუძვლად ტ. გრანელის „ცისფერ წვიმას“. როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან ვნახეთ, „ცისფერი“ მრავალ კონტექსტში ფიგურირებს ლვთაებასთან დაკავშირებით მის ლექსებში და ლოგიკურია დავასკვნათ, რომ ამ შემთხვევაში ქრისტეს ტრადიციულ სიმბოლოს „ცისფერის“ ნიუანსი წაამატა პოეტმა (ანალოგიისათვის: გალაკტიონთან „ცისფერი ლვინო“ მიგნებული სახეა და მისი ადრესატი ლმერთია. „ცისფერი“ რომანტიკოსებისა და სიმბოლისტების საყვარელი ფერი იყო და ისინი საერთო წყაროს ენაფებოდნენ ამ შემთხვევაში).

„წვიმასთან“ დაკავშირებით საინტერესოა ვაჟას „წვიმა“ და გალაკტიონის „მსოფლიო წვიმა“.

ტ. გრანელთან „შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ მოვალინებული წვიმა სიმბოლურად ღვთაებაზე მიუთითებს: „და ეცემიდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპირო-დან“.

„ცისფერი წვიმის“ პარალელურად, ტ. გრანელთან ფიგურირებს „ცისფერი თოვლი“, ლოცვით, ვედრებით, თვით-გვემით მოახლოებული ღმერთის ახლებურ სახელად: „არის ცისფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა, სული ფარული თრთოლვით მისდევს სიზმრების დაღმართს“.

მერე ეს თოვლი სულში ისადგურებს: „ჩემს სულში სევ-და თოვლივით ელავს“, „სული თოვლია“.

ეკლესია ქრისტეს სხეულია ახალი აღთქმის მიხედვით, ტ. გრანელთან კი ეკლესია და სიმბოლური თოვლია გაიგივებული: „დგას საფლავების მწვანე სიმშვიდე და ეკლესია თითქოს თოვლია“. თოვლის სახეში პერსონიფიცირებული ღმერთი უნდა იგულისხმებოდეს სტრიქონებში: „ის ალბათ თეთრი თოვლია სადღაც, ის შორეული სიმწუხარეა“.

ღამეც (მრავალი ნიუანსით), თოვლიც, ნისლიც, წვიმაც, ცეცხლიც საღვთო სახელებია ტერენტი გრანელის პოეზიაში და, ბუნებრივია, განღმრთობილი პოეტი თვით არის ყოველი-ვეში:

„დავდივარ ღამით და ვარ თოვლი და მე ვარ ნისლი და მე ვარ წვიმა, და სულს ცეცხლისკენ მივყვავარ თრთოლვით, ისე ვარ, როგორც ვიყავი წინათ“ („ზამთრის მოახლოება“).

სახარების მიხედვით, ქრისტე არის „ჭეშმარიტება“, „ცხოვრება“, „გზა“: „მე ვარ გზაი და მე ვარ ჭეშმარიტებაი და ცხოვრებაი“ (იოვანე, 602, 6).

ტ. გრანელთან „გზის“ ეპითეტია „შორეული“, „სწორი“, „წმინდა“, „სხვებიც ფიქრობდნენ შორეულ გზაზე და მიდიოდა საღამო ციდან“, „იშლება ფიქრი და გზები შორი. ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები“...

„პოეტის „მესამე გზა“ უკვდავების გზაა და მას „დაბრუნება“ ჰქვია, დაბრუნება სულთა სამყოფელში: „ნაწვიმარია, სძინავს ბუნებას. ცა სიზმარია, გზა – დაბრუნება“.

დიონისე არეოპაგელის მიხედვით, ღმერთი არის „უხილავი“, „უსახელო“.

არა ხილული, არსებული, არამედ „უსახელო“ ენატრება ტ. გრანელს: „ახლა რაღაც სხვა მინდა, რაღაც სხვა, უსახელო“ („მემენტო მორი“).

ახალი ალთქმის მიხედვით, „ხილული წარმაგალია, უხილავი კი წარუვალი“ (პავლე მოციქული).

ამ უხილავს, მარადიულს მიელტვის ტ. გრანელი: „ბედს გავურბოდი და გული გავხსენ და ვსაუბრობდით ჩვენ უხილავზე“, „ვფიქრობ შორეულზე, ვფიქრობ უხილავზე“.

უხილავ მხარეს, საღვთო ნისლს იგულებს ზეცაში ტ. გრანელი: „იქ უხილავი მხარე მიცდიდა და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე“.

უხილავია „ვეფხისტყაოსნის“ ღმერთი: „ვინ არს ძალი უხილავი“.

ღმერთის ყველაფერში განფენილობის იდეას ასე გამოხატავს ტ. გრანელი: „უხილავია ალბათ ხილულში“.

„უხილავად“ სახელდებულ საქართველოში მისი ღვთაებრივი სული უნდა იგულისხმებოდეს: „სიონში ვუსმენ ქართულ გალობას და ვიგონებ საქართველოს, როგორც უხილავს“.

საღვთო სახელია „იდუმალი“, „იდუმალი ძალა“.

ტ. გრანელი უდიდეს ინტერესს ავლენს ამ ცნებისადმი: „სადღაც სუფევს იდუმალი ძალა“, „სული ტყვევა იდუმალი ძალის, „სად მალავს ბუნება იდუმალ ძალას“, „და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს აღფრთოვანებას“, „მესმის შრიალი იდუმალ ძალთა და იდუმალი წამები ქრიან“, „იდუმალ მხარეების გრიგალი“.

„ერთი“ ღმერთის სახელია („ღმერთი ერთ არს“) (წიგნი სიბრძნისა, 56, 27).

ტ. გრანელი პოეტობას განლმრთობის გზად თვლის და

აიგივებს ღმერთს და პოეტს: „პოეტი არის ყოველთვის ერთი, პოეტი არის ყოველთვის ღმერთი“, „და ვარ ისევ ერთი“... „ეს ჩემი სული მუდამ ერთია“.

„პირველიც საღვთო ატრიბუტია: „მე ვარ, მე – პირველი და მე ვარ უკუნისამდე“ (ესაია, 132, 12).

პოეტი ახდენს ამ ცნების აქცენტირებას: „არ უნდა ფიქ-რი, პირველი მე ვარ; მე – პოეზიის უმანკო მსხვერპლი“.

პოეზიას, როგორც ღვთაებრივ ფენომენს, საღვთო სახელები მიემართება: „პოეზია რა არის გარდა იდუმალების... უსაზღვრობის, მარადისობის“...

ტ. გრანელთან „ადამის ძე“ღმერთის ძედ იქცევა და თეოზისის საშუალებაა პოეზია. ამიტომაც გამოცხადებისთვის ლოცულობს: „წამი აღმაფრენის და ფიქრი ნაჩვევი. ღმერთო, გამაფრინე და ქრისტე მაჩვენე“. („ლოცვა გაფრენისთვის“). „ამ მაღლობზე ველოდი ქრისტეს გამოცხადებას, შემდეგ თეთრმა სიჩუმემ ის იმედი წაიღო“.

მერე თვით პოეტი გარდაისახება სისხლიანი სამარიდან გამოსულ ქრისტედ: „ტერენტი გრანელი მოდის სისხლიანი სამარიდან. იქნებ ის იყოს ქრისტე მეორედ მოსული“.

ქრისტიანული ზნეობა ორგანული აღმოჩნდა ქართველი კაცის ბუნებისთვის და შემთხვევითი სრულიადაც არ არის, რომ გალაკტიონი „ახალი ღმერთია“, ჯვარზე გაკრული ქრისტეა, ტ. გრანელი – სისხლიან სამარიდან ამოსული იესო, ქართველი ერიც ჯვარცმულია უფალივით, რომელიც ელის აღდგომას.

გამუდმებით უფლის სამსჯავროს წინაშეა პოეტი და არა უკეთურთა გავლენის ქვეშ: „მე და მზე“, „მე და ღმერთი“... „მე და ცისფერი ქვეყანა“...

იგი სამყაროს ცენტრში გაიაზრებს თავის თავს: „მე ვარ და დუმილია და ცისფერი ქვეყანა“, „ვიგრძნობთ სამყაროს მხოლოდ მე და მზე“, „მე და ვარსკვლავი“, „მე და თბილისი“, „მე ვარ პირველი“.

ეს მისი დიდი პოეტური ძალისადმი რწმენით, სულიერი ინდივიდუალობით, აზროვნების საოცარი პარადოქსულობით აიხსნება, მაგრამ პოეტური ლოგიკა ამართლებს ამ პარადოქსულობას.

საოცრებით და საიდუმლოებითაა სავსე ტ. გრანელის სულიერი ცხოვრება, მაგრამ მის სულიერ ინდივიდუალობას აქვს შესაბამისი ახსნა ფსიქოლოგიაში.

საერთოდ, „ინდივიდუალობა... ფსიქიური ცხოვრების განვითარების ნაყოფია“, რომელსაც უკავშირდება მიდრეკილება „უნივერსალობისაკენ“.

„ფსიქიური ცხოვრების შუაგულში; ერთსა და იმავე დროს, მრავალი ტენდენცია“ შეინიშნება, რომელნიც ძალიან ხშირად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს“, მაგრამ რომელთა შორის „ერთდროული ჰარმონიაც“ არსებობს.

„ადამიანი ერთს, არსებულს ორად აპობს და ორ ნაწილს შორის წყვდიადის უფსკრულსა თხრის. ერთი მხრივ, იგი თავის მესა აყენებს, მეორე მხრივ კი – მთელ დანარჩენ მსოფლიოს, ადამიანი ამ მსოფლიოს ორად გაყოფის შემდეგ მთელ თავის ძალას, მთელს თავის ენერგიას იქითვენ წარმართავს, რომ მისგანვე ამოთხრილი უფსკრული თვითვე ამოავსოს, ან ხიდი გასდოს ამ უფსკრულზე და ის, პირდაპირ მდგომი მეორე მხარე, გარეშე მსოფლიო, ახლა მას დაშორებული, დაიახლოვოს, მას შეუერთოს, იგი შეითვისოს. და ეს შეუჩერებელი მისწრაფება, ეს მარადიული მოთქმა ნებით დაკარგული ნახევრისთვის უცილობლად მუღავნდება ადამიანის შემეცნებით მიდრეკილებაში... აქ, ამ ლტოლვაში ადამიანის ფსიქიკა საკვირველ საუნჯეთა სალაროს ჰგავს, უთვალავ იდუმალ ძალებს ააშკარავებს, გონში ჩასავარდნ განვითარების უნარს იჩენს და ამით თავის ყოვლისშემძლეობას ერთხელ და სამუდამოდ გვიმტკიცებს“. (დიმიტრი უზნაძე, „ინდივიდუალობა და მისი გენეზისი“, „შრომები“, IX, თბ., 1986 წ. გვ. 144-145).

ტერენტი გრანელის მთელი ცხოვრება და პოეზია ამ ორი ტენდენციის ჭიდოლია. იგი ლაპარაკობს „გულის ნაპ-

რალზე, კლდის ნაპრალზე, ცხოვრების ნაპრალზე, უფსკრულზე და შლის რა სამყაროს, მოვლენებს, ამავე დროს, მსოფლიო ერთიანობისკენ ისწრაფვის. ამისთვის სჭირდება მას ტიტანური პოეტური ძალისხმევა.

ზოგჯერ აღნევს ამ უნივერსალობას, უფროს ხშირად კი მათ შორის უფსკრული ამოუგსები რჩება და პოეტი იტანჯება.

ტერენტი გრანელის სალმრთო სახელებზე დაკვირვება ნათელს ხდის, რამდენად თავისებური, გამორჩეული და ერთადერთი იყო იგი ამ ასპექტით, რელიგიურობასთან ერთად, პოეტის ხილვები ამაღლებულობით, სულიერი ინდივიდუალობით იქცევს ყურადღებას.

როცა ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობის კვლევის ორიენტირი ვულგარული მატერიალიზმი იყო, ბუნებრივია, მხოლოდ ხილული და ხელშესახები ამოიკითხებოდა ტერენტი გრანელის პოეზიაში, მაგრამ აშკარაა, რომ რელიგიურ მოძღვრებაზე გვერდის ავლით შეუძლებელია ამ თავისებურ სამყაროსთან მისვლა.

ტერენტის „შორეული იმედის“, „ლამის ცეცხლის“, „შორეული ფიქრის“, „სიშორის ცეცხლის“ ცნებაში... ღვთის ხატება ილანდება“ (11, 21).

ცის პარადიგმა ტერენტი გრანელის პოეზიაში

წმინდა წერილის მიხედვით, არსებობს ჩვეულებრივ მოკვდავთათვის ხილული ზეცა და ღმერთის, ანგელოზების, სერაფიმების სამყოფელი ზეცა, რომელსაც „ცათა ცა „ ეწოდება.

დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში ნათქვამია: უფალი „ამაღლებული ძველთუძველეს ცათა ცაში – აგერ ის გამოსცემს თავისი ხმით ძლიერების ხმას“ (ფს. 68,34)(1,592).

ტერენტი გრანელის პოეზიაში მოიხილება როგორც ხილული ცა, ისე ბიბლიური „ცათა ცა“.

პოეტი სულის თვალით ხედავდა მთელ პლანეტას, სააქაოს თუ საიქიოს, ღმერთის, წმინდა სულების ზეცას.

როგორც მორნმუნეს, ემედებოდა „სხვა ზეცა“. „...სხვა ზეცა მპირდება ამინდს, წმინდაო მაცხოვარო, ამინ“ (მივყვები გაყინულ რიყეს) (2,112).

„სულს ლაუვარდოვან ცისკენ ვაგზავნი“, აცხადებდა პოეტი (2, 115).

ცოდვილი მინისგან განშორებული „მარადიული ლაუვარდისკენ“ ისწრაფოდა (მარადისობის ლაუვარდები) (2,126).

„ცას მივაპყრობ შეწუხებულ თვალებს, შემიფარე მოწმენდილო ცაო“, ივედრებოდა პოეტი (2,132).

მიწიერ უკეთურობათა მხილველი, ქვეყნიდან გაქცევაზე, ცისკენ გაფრენაზე ოცნებობდა(ჩანს სამიოდე ჯირკი) (2,139).

„...ჩუმი ზეცა და სიცისფერე იყო პოეტის ნუგეში“ (გუშინ ცხელოდა, დღეს სიცივეა) (2,146).

„მაღალი ზეციდან“ მოვლენილი პოეტის სული „საზღვარს იქით“ ისწრაფოდა (გაზაფხულის საღამო) (2,264).

„და ცა ლაუვარდი ჩემს გულს მოება“ წერდა ტერენტი გრანელი და ენუგეშებოდა, რომ ზეცის რჩეული იყო (ახლა ლამეა, თენდება მალე) (2,269).

„სიშორის ცეცხლი“, „ცისფერი ლამე“ ანუ უზენაესი იზიდავდა.

ცეცხლი და „ცისფერი ლამე“ საღმრთო სახელებია.

„მაღალ ცას“, უზენაესთა სავანეს ეთაყვანებოდა (სოფლიდან თბილისი (2,164).

„ციდან ძახილი“ ესმოდა, თავის ამაღლებულ ოცნებას „ცის კალთაში“ ხედავდა (სონეტი) (2,259).

ცის და მიწის დაპირისპირებას განაპირობებდა ციდან „განთიადების“, მიწიდან „საღამოების“ მოვლინება (მამას) (2,262).

„უმაღლეს ცაში“, „წმინდა ნისლში“ შეღწევას ცდილობდა (წმინდა კვირა) (2,284).

„გულზე ლოდი“ ედო და ღმერთის სურათის მზერა ენუ-გეშებოდა (დგას ძელებურად ეს ლოდი გულზე) (2,187).

დიდი პოეტის მოწოდებად ესახებოდა „ცისფერი სამყაროსკენ“ ლტოლვა, „ცისფერი ღამის“ (ღმერთის) სიყვარული (ელვარებს ისევ მდუმარე სივრცე) (3,113).

ციდან ელოდებოდა „ტაროსებს“ (მე ისევ ციდან ველი ტაროსებს) (2,91).

ზეცის იდუმალი ძალა, ზეცის მზე იზიდავდა: „ზეცა გულისკენ მსურს მივიზიდო, ცას იდუმალი ძალა ერევა“ (თან მზეა, თანაც დღე მიდის ასე) (3, 109).

„შორეული ცა“, „მაღალი ცა“ იყო იმედი „შორეული დარღებით“ შეპყრობილისთვის (დგას სიხარული) (3,226).

განსაკუთრებული სულიერების პოეტისთვის მახლობელი იყო „ცისფერი შუქი მარადისობის“ (მარადისობის ლაჟვარდები) (3,60).

ცისკენ მზირალი პოეტებიდან გალაკტიონს გამოარჩევდა: „...გალაკტიონი ყოველთვის დიდი, გალაკტიონი ზეცისკენ მიდის“ (3,71).

ამასთან ასკვნიდა: „გალაკტიონში მიწა ანათებს და ჩემ-ში უფრო ზეცის სხივია“ (მე და გალაკტიონი) (3,68).

ეს უცდომელი დასკვნა იყო, რადგან პოეტების მეფის-თვის მთავარი იყო „ცის და მიწის შეზავება“ (შეხვედრა) (4,13).

ტერენტი გრანელს აღშფოთებდა მიწის უკეთურობები და ზეცას შესთხოვდა შველას, რადგან ასკვნიდა, რომ „ციდან მოდიან განთიადები, საღამოები ქრიან მიწიდან“.

ტერენტი გრანელის იდეალი იყო „ცათა ცა“, სხვა ზეცა, ლაუგარდოვანი ცა, მარადიული ლაუგარდი, მაღალი ცა, უმაღლესი ცა, უცნაური ცა, შორეთის ცა, დიადი ცა, მოწმენდილი ცა, ცისფერი უსაზღვროება, უწმინდესი ზეცა, ზეცის ცისფერი ღამე, იქაური ბრნეყინვალე ცა“, სადაც სულს გზავნიდა.

„მარადისობის ცისფერი შუქი“ ჩაესახლებინა სულში, ხოლო ცხოვრებას აღიქვამდა როგორც „ტალახს“, ქვეყანა ეჩვენებოდა, როგორც „ყუთი“, „ლურჯი გალია“, ხოლო ციდან ევლინებოდა შთაგონება, სიხარული, მიწიერი ინტერესები, მიწასთან მიჯაჭვულობა აღიზიანებდა, ზეცა და პოეზია ეიმედებოდა პრაგმატულ ბედნიერებაზე უარისმთქმელს.

„პოეზია ზეცა – ცხოვრება ტალახი“, ასკვნიდა და „უმაღლესი ცისკენ“ ილტვოდა, ლექსები ესახებოდა ცაში გაფრენილ ძალად, ლექსისთვის გულის სისხლის გაღება იყო იქაური, „ბრნეყინვალე ცის“ ხილვის საწინდარი: „...და ჩემი ლექსი შეღება სისხლმა, რა ბრნეყინვალეა ცა იქაური“ (ახლაც ვიგონებ მეგობრის საფლავს) (2,214).

„უმაღლესი ცა“ იყო პოეტის სულის გზამკვლევი, რაც ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის მიგნების საწინდარი ხდებოდა: „...და ზეციდან – ეს ღმერთი, და გულიდან ეს სისხლი და ვარ თითქმის ყოველთვის განწყობილი ლექსისთვის. მიწა, ცა უმაღლესი – ხომ პოეტის გულია და მგონია მე ლექსი ყველან გაბნეულია“ (ხომ მაღლელვებს მე ასე) (3,222).

„სხვა ზეცას“ ხედავდა პოეტის ყოვლისმხილველი თვალი (სადღაც სდემს მთები, სადღაც ნისლია) (3,244).

„ზენარის ნათელი“, „სხვა ზეცა“, „მაღალი ცა“, „ბრნეყინვალე ცა“ იზიდავდა მუდმივად პოეტურ ინსპირაციაში ჩართულს, ცის გახსნას ელოდებოდა.

ზეშთაგონებული დედამიწას – „ლურჯ გალიას“ შორდებოდა და ზეცის სიწმინდის მიწაზე დამკვიდრებაზე ოცნება იტაცებდა, „ციდან ტაროსის“ მოლოდინი ავსებდა.

„მოწმენდილ ცას“ შეფასებული, ქრისტეს იმპულსებით იგსებოდა, „ლექსების სიხარული“, პოეზიით ცასთან მიახლოების სურვილი აცოცხლებდა.

აღაშფოთებდა წარმავალი სამყარო, ამაოების მსახურება, სიპნელე, კავშირს არ წყვეტდა „ცისფერ ღამესთან“, ანგელოზი ჩაესახლებინა სულში, ადამიანთათვის დაწესებული საზღვრების გარღვევას ცდილობდა, „ცის ძახილი“ ესმოდა და ეიმედებოდა საკუთარი წაზრევის ცაში, მარადისობის სავანეში დამკვიდრება: „...ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სონეტი) (2,259).

მთაწმინდას, ქართველი მწერლების პანთეონს აღიქვამდა, როგორც „ზეცის გულს“: „...ეს მინა ზეცის გული მგონია. ვზივარ, სივრცეა და ეს ადგილი ქართველ მწერლების პანთეონია“ (ისევ ლექსია ჩემთვის ნუგეში) (2,275).

„უმაღლესი ცაში“, „წმინდა ნისლში“ შეღწევა იყო პოეტის იდეალი და ამის საწინდარი იყო სულის თვალი. „როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“, აცხადებდა პოეტი (ღამის სტრიქონები) (2,25). სიკვდილის შიშს ამარცხებდა იმის რწმენით, რომ ცას, მარადიულობას აზიარებდა თავისი პოეზია: „...ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სონეტი) (3,259).

ცის უპირატესობის აზრია დაფიქსირებული ლექსში „ქვეყანა“: „ციდან მოდიან განთიადები, საღამოები ქრიან მიწიდან“ (3,94).

„ზეცა ბედნიერ წამის მთოველია“, პოეზია ზეცაა“, ცხოვრება ტალახია“, ზეცა ნათელია, მინა ბნელი, ზეცა ლაჟვარდია, დედამიწა – კუბო“.

„შენ დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ, წმინდაო ღმერთო, რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მითხოვია“, აცხადებდა „უმიზნო ხეტიალში“ (3,41).

ლექსში „პოეტი პატიმარი“ ცა ეხსნებოდა და ქრისტეს ხედავდა: „ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (3,200).

„პოეზია ზეცაა“, მინა – ტალახი“ (არ ვიცი, სად ხარ) (3,210).

რაკი „ცხოვრება სულს ახრჩობს“, „ცისკენ მიფრინავს თვალი“.

„ზეცა ბედნიერ წამის მთოველია“, „უმშვენიერესი დღე-ების“ მომავლინებელი.

იმედია „შორი ცა“, „ცათა ცა“.

ტერენტი გრანელი გვევლინება, როგორც „ძლიერი ტა-ლანტი, ზეციური არსება“, მისი სამშობლოა „ლაუვარდები ცისფერი“.

პოეტი დარწმუნებულია, რომ ცა შეიფარებს მის წმინდა სულს, მისი ოცნება ცაში დამკვიდრდება ანუ მარადიული იქ-ნება: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერნამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“.

„მემენტო მორის“ ავტორი მოგვევლინა, როგორც „ძლი-ერი ტალანტი, ზეციური არსება“, რომელმაც შექმნა „ზემინი-ერი პოეზია“ (რეზო ადამია, „სისხლიდან ცრემლი“, „ინტე-ლექტი“, თბ. 2008, გვ. 7).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტანერი აკ-რიტიკებდა მინასთან მიჯაჭვულ, მინასთან შეზრდილ, სულიე-რების, ზნეობისგან დაცლილ ადამიანებს.

დანტეს „ლვთაებრივ კომედიაში“ ზეცისგან გაუცხოექ-ბულ, მუდმივად მინისკენ მაცქერალ ადამიანებს მისჯილი აქვთ მინის ცქერა: „რადგანაც თვალი არასოდეს მიგვიქცე-ვია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მინიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მინისკენ ცქერა“.

„ლვთაებრივ კომედიაში“ განუვითარებელი, ბნელი სუ-ლები ცის ძახილისადმი ყრუ არიან, ვერ ხედავენ მარადიულ მშვენიერებას და ამიტომაც ისჯებიან: „ცა გიხმობთ ისევ და

ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩვენებთ თანაც მარადუამულ მშვენებას თვისაა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას მისჩერებიხართ და სასჯელს გიწვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი“ (5,256).

გალაკტიონი აღწევდა „ცის და მიწის შეზავებას“ (შეხვედრა).

ანა კალანდაძე აცხადებდა: „რაა ციური, თუ მიწისაც არ ექნა ძალი?“ (10,186).

ტერენტი გრანელისთვის თავიდან მიწა „ყუთი, სამარე“ იყო, ნიკო სამადაშვილისთვის – ქვიშა, ტალახი.

ბოლოს, „მემენტო მორის“ ავტორი ცდილობდა სამყაროს ჰარმონიულობის ძიებას და აცხადებდა: „ზეცა მწყურია და მიწა მშია“ ...

ნეტარი ავგუსტინეს რწმენით, „ადამიანს ზეცამდე ამაღლება შეუძლია“ (6,117).

ლვთისმეტყველები ზეციურ იმპულსებს აყურადებენ და მიწაზე სიკეთის დამკვიდრებას მიიჩნევენ ადამიანის მოწოდებად.

„ზეცა ყველა რჩეულის მამულია. ცაზეა წმინდა ადგილი“ აცხადებდა წმინდა ეპისკოფოსი ეგნატე (7,113).

„თუ განწმენდილი ხარ ვნებათაგან, შენშია ცა“, ირწმუნებოდა წმინდა ისაკ ასური (4,76).

უნდა გვიყვარდეს „მშვიდთა მიწა, უკვდავთა მიწა, ცვალებადი მიწა, სადაც ქრისტე დადიოდა“, გვირჩევს იოანე და-მასკელი (8,197).

„ზემიწიერი ძალებისგან მოწყვეტაზე, ადამიანის მიწიერ არსებად ქცევაზე წუხდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი და ასკვნიდა: „ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (9,269,270,273).

„შევიძულე ამაოების დამცველები და მივენდე უფალს“, გვამცნობს დავით წინასწარმეტყველი (ფს. 30,7) (1,46).

ანა კალანდაძე წუხდა მინისგან მიქცეულ, რწმენისაგან გაუცხოებულ, ცა და ციურის დამვიწყებელ სულებზე: „....და-ვიწყებოდათ მიუწვდომელი, კანდელი ხატთან ობლად კრთე-ბოდა, ო, მინისაკენ მიქცეულ სულებს ცა და ციური დავიწყე-ბოდა“ (შემოიკრიბენ ტაძრად გლეხკაცნი“) (10,224).

ტერენტი გრანელი მუდმივად რწმენის, ჭეშმარიტების მსახური იყო და ეს იყო წარმატების საწინდარი...

„მემენტო მორის“ ავტორი მოგვევლინა, როგორც „ძლი-ერი ტალანტი, ზეციური არსება“, რომელმაც შექმნა „ზემინი-ერი პოეზია“ (რეზო ადამია) (11,7).

დამოწმებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკპოლმი, 1992
2. ტერენტი გრანელი, ერთტომეული, „პალიტრა L“, თბ. 2012
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
4. გალაკტიონ ტაბიძე, „პალიტრა L“, თბ. 2014
5. დანტე, „ლვთაებრივი კომედია“, კონსტანტინე გამსახურ-დიას თარგმანი, „პალიტრა L“, თბ. 2012
6. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, თბ. 1995
7. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა“, II, თბ. 1991
8. წმ. იოანე დამასკელი, გარდამოცემა, თბ. 2000
9. რუდოლფ შტაინერი, ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება, გიორგი ნიშნიანიძის საერთო რედაქციით, წინასიტყვაობი-თა და კომენტარებით, „ხომლი“, თბ. 1994
10. ანა კალანდაძე, ერთტომეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1984
11. ზურაბ ცხონდია, „გრანელის სევდა“ ზუგდიდი, 1997.

„ცისფარი ლამა“

ტერენტი გრანელის რელიგიური, ფილოსოფიური, ეროვნული, ესთეტიკური იდეალები, როგორც მარადიულობის კატეგორიის კუთვნილება, ძალზე ხშირად ენიგმური სახეებით არის გამუღავნებული.

იზიარებდა რა სახე – სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპს, „უვალი გზებით“ მავალი პოეტი ახალი ელფერით, ახალი შინაარსით ტვირთავდა ცნობილ სახეებს, ახლებურ ჭრილში მოიაზრებდა კანონიკურ ცნებებს, ზოგჯერ სრულიად ახალ, ორიგინალურ სიტყვათშეთანხმებებს მიმართავდა. ამიტომაც არის გაუნელებელი ინტერესის საგანი მისი „სიტყვა ძვირფასი, სიტყვა ახალი“.

დასაბამიდან, ადამიანის სული შეძლებისდაგვარად ტრიალებს დღისა და ღამის, მიწისა და ზეცის, ლაჟვარდებისა და უფსარულის, სინათლისა და სიბნელის, სიკეთისა და პოროტების, ხილულისა და უხილავის, საგნობრივისა და ტრანსცენდენტურის, ცნობიერისა და ქვეცნობიერის არეალში, ლოკალურისა და გლობალურის მასშტაბებში.

ტერენტი გრანელს, როგორც ბედისწერის რჩეულს, ხელენიფებოდა შეეღწია ისეთ განზომილებებში, რომლებსაც მხოლოდ „გონის თვალით“ გამორჩეულნი, „გულის სმენის“ უნარით მომადლებულნი ეზიარებიან.

ნებისმიერი ასპექტით ფართოა პოეტის თვალსაწიერი.

ამჯერად გვაინტერესებს, როგორ არის მის შემოქმედებაში „ლამე“ ჩაყენებული უმაღლესი პოეზიის სამსახურში.

ერთ შემთხვევაში, „ლამის რკალებში მოქცეული ქვეყანა“ ტერენტი გრანელის უილბლო სამშობლოა, მეოცე საუკუნეში სოციალიზმის იდეებით გაბრუებული, ხელმეორედ ოკუპირებული და „ყაჩაღების ცრუ მანიფესტით“ მოტყუებული.

„ნაპრალებიანი შავი ღამის“, სასტიკი ქარიშხლის ეპოქა არ ინამა პოეტმა / მოგზაურობა თბილისისკენ (1, 126).

„ქვეყნის უკუღმართობა“ აღქმულია, როგორც „საღამო, ორუბელი, წვიმა, გრიგალი“ (ვხედავ ამგვარ ცას) (1, 48-49).

ეროვნულმა ტრაგედიამ სიბნელე, ბურუსი გააბატონა, აშ-კარა გახდა ნათლის გაუჩინარება (უმიზნო ხეტიალი) (1, 41-42).

სისხლის მდინარე, ტყვიები, კვამლი, მღელვარება, „შორული რაინდების უმწეო შფოთი“ (ამაო შემართება სამშობლოს თავისუფლებისათვის) აღიქვა, როგორც მთებისა და გზების დაპინდვა, „ბნელი შუალამე“ (სულის ცეცხლი) (1, 48).

„თავისუფლების შუქი ჩაქრა“, სიბნელემ მოიცვა სამშობლო, ღრუბლით შეიძურა მაღალი მისწრაფებები, ასპარეზი გაეხსნათ „ფინიებს“, რაც გაბედულად ამხილა „მემენტო მორის“ ავტორმა (ახლაც ვიგონებ) (1, 219).

გამეფდა „ყრუ ღამეები“ (მთვარე ფოთლებიდან) (1, 39), „გრძელი და დიდი ღამე“ იქცა „ყრუ სამარედ“, გოლგოთად, გლოვად, ლოდად, აფთრად, კუბოდ, იმედების სასაფლაოდ (შორული სინათლე) (1, 188).

სიბნელემ მოავლინა ბაბილონის ნაპირის ყორნები, აღზევდნენ ჭოტები, ყვავები. დღეც სიბნელეს ამკვიდრებდა (ისევ დაბნელდა) (1, 198).

ღამე იყო უკეთურთა დედა, ღამე წერტილს უსვამდა დიად იდეალებს, ტაბუ ედო ეროვნულ სატკივარს, ცენზურა კლავდა მართალ სიტყვას. „და სინათლეზე მე გადავმალე ჩემი ლექსები“, გვამცნობს პოეტი (მოვა საღამო, როგორც ნამება) (2, 165).

შფოთვა და კორიანტელი იყო მართალთა ხვედრი. პოეტი დაეხეტებოდა სამშობლოსათვის დაცემულ რაინდთა სასაფლაოზე, როგორც ჩრდილოეთიდან მოვლენილი განსაცდელის მოწმე, გაუგონარი ტრაგედიის მსხვერპლთა გულწრფელი ჭირისუფალი.

ტერენტი გრანელი გლოვობდა „მკვდარ“, თავისუფლებადაკარგულ სამშობლოს: „... და საქართველო ეს ის მხარეა,

სადაც ცოცხალი ხალხი მარხია“ (1921) (3, 18). „და საქართველო ახლა მკვდარია“ (ფიქრები ქაქუცას მკვლელობის დღეს) (3, 18). ეს სტრიქონები იმდროინდელი შემზარავი ვითარების ანარეკლია, რადგან ქვეყნის მტარვალები, სატანისეულნი სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ დაჭრილ რაინდებს ცოცხლად მარხავდნენ.

პოეტს მოუნახულებია წყაროს ქუჩა, სადაც 1924 წ. გამოსვლების მონაწილეთა დიდი ჯგუფი დახოცეს. იქ გაძლიერებული დაცვა მდგარა. ტერენტის გაურღვევია დაცვა და აკანკალებული ყვებოდა თურმე: „იქ ვიყავი წუხელ! დაცვას დავუსხლტი ხელიდან! იცი, საკუთარი თავი შემჯავრდა, ისე-თი რბილი იყო მიწა, ფეხები შიგ მეფლობოდა. ფეხქვეშ ადამიანის სისხლის სუნი მცემდა. მეგონა, მეც იმ სისხლიან მიწაში ვეფლობოდი... გამოვაღწიე... მაგრამ მთელი ღამე არ მიძინია“ (ალექსანდრე გაბისკირია, დიდი პოეტი) (4, 213-214).

პოეტი ცხოვრებამ „გაფითრებულ შემოლამებას“ დაამსგავსა (დაბრუნება სოფელში) (1, 223).

აშკარა იყო ეროვნული იდეალების დასამარება, „ლამის“ გაბატონება, „მფარველი თვალის“ - მესის გაუჩინარება (ფიქრები ქაქუცა ჩოლოყაშვილის მკვლელობის დღეს) (3, 246).

მაგრამ ტერენტი გრანელი „ლამესთან“ დადგა, „როგორც „ქანდაკება““ (კვირის ნისლები) (1, 130).

ნუგეში იყო „შუალამის ვედრება“ (მწუხარე მელოდია) (1, 162-163), „შუალამის თეთრი ლოცვები“ (ნისლიანი ღამე) (1, 166), „სიცოცხლის შუქის“, „ნათლის“ (ლმერთის) მოლოდინი (ლმერთო! სიცოცხლის შუქი მალირსე) (1, 99).

პოეტი იმედს მაიც არ კარგავდა, მას ასულდგმულებდა სამართლიანობის რწმენა, სამშობლოს თავისუფლების მოლოდინი: „... საქართველოს ვერ დააჩოქებენ, მოვა ჩვენი დროც

და საქართველო ისევ თავისუფალი იქნება“, სჯეროდა პოეტს (3, 416).

თუ სხვები სიმართლეს თვალს არიდებდნენ, უფსკრულის, სიბნელის საშიშროებას ამხელდა ტერენტი გრანელის „მწუხარე მუზა“ და „სევდის ოდებს“ ქმნიდა (შეშლილი ცრემლები), „შორეული ყვავილების“ ჭკნობას-ლმერთის უარყოფას აფიქსირებდა, სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკურ ავდარს შეიგრძნობდა, მთვარიანი თეთრი ღამის შუქი ახარებდა, „მაღალი სურვილი“, „მაღალი ფიქრები“ არ ტოვებდა, იდეალი იყო „ცისფერი სალამო, ცისფერი ყვავილი, ცისფერი ქვეყანა, ცისფერი ბალი, ცისფერი იმედი, ცისფერი სინათლე“ და სიცოცხლის წყურვილი ავსებდა.

„ბედის ამაღლებას“ შეიგრძნობდა, „შუაღამის თეთრ ლოცვებს“ ეძლეოდა, რათა თავისი „სევდის ბალში“ მშვენიერების იდეალი დაემკვიდრებინა: „ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუაღამის თეთრი ლოცვები და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები“ (ნისლიანი ბალი) (1, 166).

პოეტს ეიმედებოდა „შორეული სინათლე, ცისფერი სინათლე, ცისფერი ღამე“.

ტერენტი გრანელმა შექმნა ორიგინალური ელფერით აღბეჭდილი „ნისლიანი ღამის“, „ცისფერი ღამის“ სახეები.

„სიცოცხლის გრადაციაში“ პოეტი საუბრობს გაცრუებულ, მირაჟებად ქცეულ სურვილებზე, შეცდომებზე, ფიქრის, ანალიზის აუცილებლობაზე: „ჩაესვენა სურვილების გროვა, როგორც შორი მირაჟების სერია. ახლა უფრო დაფიქრების დროა, ჩადენილი შეცდომები ბევრია“.

სამარისკენ ცხედარს ადევნებული, სამგლოვიარო მუსიკის ხმებს ისმენდა, თვითონაც გაყვითლებული, „შორეული ყვავილების“ ხმობით შეძრნუნებული: „ჩემი სახე რომ ყვითლდება, ვხედავ, შორეული ყვავილებიც ხმებიან. სამარისკენ აცილებენ ცხედარს და მუსიკის მგლოვიარე ხმებია“.

უსიცოცხლო ველების სიჩუმე კიდევ უფრო უძლიერებდა ტკივილს.

და, როგორც ლექსის დასაწყისში, ისე ფინალში, პოეტი სულის თვალით ხედავდა „ცისფერ ღამეს“, „წითელ მზეს“ და „წმინდა მაცხოვრის“ მოლოდინი ანელებდა უიმედობას: „წითელი მზე აელვარდა მინებთან, მოდის ჩუმი და ცისფერი ღამე. უიმედო გულისძგერა მინელდა, შენ, წმინდაო მაცხოვარო, ამინ!“ (1, 183).

„სიცოცხლის გრადაციის“ მთელი შინაარსი ორგვარ რეალობას უღრმავდება: რეალურად იავარქმნილია აწმყო, შეცდომების, არასწორი ნაბიჯების გამო, ხმება „შორეული ყვავილები“, ანუ კვდება რწმენა.

ყვავილი, ვარდი საღმრთო სახელია: „ყვავილები დაჩნდნენ მიწის პირზე, უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“, გვამცნობს „ქებათა ქება“ (2, 12) (5, 15).

ტერენტი გრანელის პოეზიაში მრავლად გვხვდება მისტიკური ვარდები. ვფიქრობთ, „შორეული ყვავილები“ უზენაესის მეტაფორაა, ხოლო მისი ხმობა – რწმენისდამკარგავი ქვეყნის ტრაგედია.

დაცვენილი, გათელილი, გაუჩინარებული, გაყინული, გარდაცვლილი ვარდების მთელი ციკლი გალაკტიონის პოეზიაში ურწმუნო, ღმერთისუარმყოფელ ეპოქაზე მიმანიშნებელი სახეებია (6, 10-24).

ანალოგიური სახეების არსებობა ამ პოეტებთან ეპოქის შინაარსით აიხსნება. სატანისეული დრო განუდგა ღმერთს, მაგრამ მხატვრული სიტყვის რჩეულთ არ გაუწყვეტიათ კავშირი ქრისტიანულ სამებასთან.

ტკივილებით გულდამძიმებული პოეტი თვალს არ აცილებდა „წითელ მზეს“, მზე კი საღმრთო სახელია: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 84, 12) (7, 614).

ტერენტი გრანელისთვის ღამე ხან ნისლიანია, ხან მთვარიანი, ტრადიციის კვალობაზე, მაგრამ საანალიზო ლექ-სში გვხვდება „ცისფერი ღამე“.

ცნობილია, შოთა რუსთაველიდან მომდინარე და შემ-დგომი ეპოქის (დავით გურამიშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, ნო-დარ დუმბაძე) მიერ გათავისებული განუმეორებელი სახე ოქ-სიმორონი „მზიანი ღამისა“, ქრისტიანული ღმერთის სიმბო-ლოდ მოაზრებული (8, 3-127).

ტერენტი გრანელის ღამე, ერთი მხრივ, „წითელი მზით“ ელვარებს, ამასთან იგი ცისფერია. „ცისფერ ღამეს“ ანალოგი არ ეძებნება, ვფიქრობთ, იგი „მზიანი ღამის“ ანალოგით შექ-მნილი უზენაესზე მიმანიშნებელი მხატვრული სახეა.

ზემოხსენებული ლექსის სტროფში წმინდა მაცხოვრის გამოცხადება უფრო აკონკრეტებს სათქმელს და „წითელი მზე“, „ცისფერი ღამე“ ძე ღმერთის სახეებთან ასოცირდება, რაც პოეტის რელიგიურ ინტერესს ავლენს. ქრისტიანული ლმერთის სიყვარულს პოეტი კანონიკური სახეებითაც გამო-ხატავდა და ენიგმური, ორიგინალური მეტაფორებითაც მიგ-ვანიშნებდა თავის საღვთო იდეალზე.

ლექსის სათაურიც მიგვანიშნებს სასიცოცხლო იმპულ-სების გაძლიერებაზე, რაც უზენაესის მოვლინების შედეგია.

„ცისფერი ღამის“ სიმბოლოსთან შეხვედრა გვინევს აგ-რეთვე ლექსში „მეგობარს“ (9, 149), რომელშიც უსაზღვრო-ბით, „საიდუმლო ფიქრით“ გატაცებული მეგობრები „ცისფერ ღამეზე“ საუბრობენ.

გრძნობისა და გონების ბრძოლა, ხილვა შორეულის, მი-უწვდომლის პოეტისთვის ორგანული იყო, რაც ამ ლექსშიც ვლინდება: „ეს გრძნობა ისევ ებრძვის გონებას და ძვირფას დღეებს დრომ დამაშორა. მე ახლო ვხედავ ჩემს მოგონებას, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას“.

ლენორა სახელია ედგარ პოს ნაადრევად გარდაცვლილი სატრაფოსი, რომელიც ექსაჯერ იხსენება ტერენტი გრანელის პოეზიაში.

განსაკუთრებული ჭვრეტის უნარით მომადლებული სიტყვის ოსტატი ამბობდა: „ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“ და იგი ხედავდა როგორც ხილულს, საგნობრივს, ისე მიღმურ მოვლენებს, არასოდეს წყვეტდა კავშირს ძვირფას სახელებთან.

ტერენტი გრანელისთვის პოეზია იყო „უსაზღვროება, მარადისობა, იდუმალება“, უხილავის ხილვა.

ობივით ნაწამები პოეტის სული ისევ უზენაესს ელტვოდა, უიმედობას სულიერი ამაღლება ცვლიდა, ლექსის-თვის გულის სისხლის გამღები, სიზმარივით იგონებდა ყოფნას, სიცოცხლეს და მუდამ ერთგულებდა ზეციურ ძალებს.

უსათაურო ლექსში „ბაღში ქარია ისევ“ ქარისგან შეწუხებულ კვიპაროსში თვით ნაწამები პოეტი გვეცნაურება: „ბაღში ქარია ისევ და კვიპაროსის რხევა. გული წამებას მის-დევს და უიმედო დღეა“.

სხვები ჩვეულებრივი ყოფით კლავდინენ დროს, პოეტს კი „ცისფერი ღამე“ იტაცებდა: „დადიან ირგვლივ და ასე გადის წამი. ჩემი მდუმარე ფიქრი ტყვეა ცისფერი ღამის“ (1, 159).

„ცისფერ ღამეზე“, „ცისკენ სწრაფვაზე ფიქრი მაშინაც არ ტოვებდა, როცა ოჯახს, ემპირიულ გარემოს იგონებდა, როცა ირგვლივ ქარი იყო, გულის სისხლით იწერებოდა ლექსი და ყოფნა, ცხოვრება შორეულ სიზმარს ემსგავსებოდა: „ბაღში ქარია ისევ, ლექსი შეღება სისხლმა, ყოფნას ვიგონებ ისევ, როგორც შორეულ სიზმარს...“

ყოფნა, ცხოვრება საღვთო სახელია: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე“ (იოანე 14, 6) (7, 211).

გალაკტიონის პოეზიაშიც ხსოვნაშია ყოფნა და დიონისი (წარმართული თრობისა და შვების ღმერთი)... დარჩება ხსოვნა ყოფნას, დიონისს“ (ცისფერი) (10, 305).

ტერენტი გრანელის იმპრესიონისტულ ლექსში, ერთი შეხედვით, ირლვევა ტრადიციული ლოგიკა, მაგრამ აქაც, როგორც საერთოდ, სევდის მიზეზი „ქვეყნის უკუღმართობა“, რწმენის იგნორირებაა. ამიტომ ჰგავს „ყოფნა“ „შორეულ სიზმარეულობის განცდაც ორგანული იყო პოეტისათვის.

ლექსში მთავარი აქცენტის მატარებელი სახეა „ცისფერი ლამე“ და „ყოფნა“. შემთხვევითი როდია, „ცისფერი ლამის“ ტყვეობა, რადგან პოეტს არასდროს გაუწყვეტია კავშირი უზენაეს ძალებთან.

ყოფითი, ჩეულებრივი, პრაგმატული მისწრაფებების და პოეტის ამაღლებული, რელიგიური გრძნობის კონტრასტია სხვაგანაც: „ახლა ჩემს ირგვლივ მეტი ხალხია, მე მაინც ვფიქრობ ცისფერ ლამეზე, ჩრდილია, ვწევარ და მეშინია, რომ სახურავი თავზე დამეცეს“ (ახლა ჩემს ირგვლივ მეტი ხალხია) (2, 119).

ანალოგიური, რელიგიური შინაარსის „ცისფერი საღამო“ გვხვდება ლექსში „ახლა საღამო ხომ ცისფერია“ (1, 77).

ერთი მხრივ, სულის მანამებელი „ლამის ჩრდილები“, ქარები, „ცხოვრების ნაპრალებია“ პოეტის დარდების, მოუსვენრობის, საზღვარსგადაცდენილი გრძნობების მიზეზი (სიგიურ რომ არის სახელდებული უმეცარი ბრბოს მიერ), მაგრამ ეს ბნელი ლამე სულის ძალით შენაცვლებულია ცისფერით: „ახლა საღამო ხომ ცისფერია, სადღაც ქარები მთაზე ტიროდნენ, მე დასვენება არ მიწერია, ყოველთვის მინდა, რომ მივდიოდე“.

დაღატის სამყაროს, ბნელი საღამოს მეუფებას შორიდან უმზერდა პოეტი, წყდებოდა უკეთურ რეალობას, რათა „ცისფერი ლამის“ - უზენაესის ნუგეში შეეგრძნო: „ისევ შორიდან ვუმზერ სამყაროს, ეს გრძნობა თვალებს ცრემლით ამივსებს. მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ლამისკენ“ (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (1, 82).

ლექსში აშკარად განსხვავებულია საღამო, როგორც ნე-უზენაესი სიკეთე, სამართლიანობა, წმინდა სულების შემწე-მფარველი.

„ცათა ცაში“ ეგულებოდა პოეტს „ცისფერი ღამე“: „სი-ცოცხლე ისევ არ შეიძლება, და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა“ (ელვარებს ისევ) (2, 113).

ამ გონიერი ზეცის, „ცათა ცის“ მხილველი სულის თვა-ლები ჰქონდა ტერენტი გრანელს.

ტერენტი გრანელის რწმენა, სულში განუშორებლად ჩა-სახლებული „ცისფერი ღამე“ იყო, დიდ ნიჭთან ერთად, მისი განუმეორებელი, კოსმიური, მასშტაბური მხატვრული სიტ-ყვის გამოვლენის გარანტი, მხოლოდ ეს რწმენა აცოცხლებდა: „ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერი სიშორე“... (ცისფერი სიშო-რე) (9, 11).

„ღამის“, ცისფერი მხარის“, „ცისფერი შორეთის“ სიმბო-ლოებში ხდება „ტრადიციების ნოვატორული გაცოცხლება“ (5, 176).

დამოწმებანი

1. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანახატები, თბ., 2012
2. ტერენტი გრანელი, ორ ტომად, ტ. I, თბ., 1991
3. ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ., 1997
4. გივი ცქიტიშვილი, ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების. თბ., 1990
5. ზურაბ ცხონდია, „გრანელის სევდა და სხვა“, „ინტელექ-ტი“, თბ., 2019
6. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ., 1990
7. ლუარა სორდია, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკტიო-ნის პოეზია, თბ., 2011

8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
9. ტიტე მოსია, ოქსიმორანი „მზიანი ღამის“ პრობლემატიკა, თბ., 1999
10. ტერენტი გრანელი, პოეზია, თბ., 2011
11. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1977.

პოეტის „ცისფერი და“

უდავოა ტერენტი გრანელის ქრისტიანული მსოფლგან-ცდა, მკაფიოდ გამოხატული რელიგიური იდეალები. პოეტი ზეციური სიმალლიდან აფასებს მიწას, მონუსხულია სულიერი, გონიერი, შორეული ცის სიდიადით („რა ბრწყინვალეა ცა იქაური“), ვოცნებება შეუბლალავი სიწმინდის დამკვიდრება დედამიწაზე, მაგრამ ამის მიუღწევლობა სევდით ავსებს, ისევ ლაუგარდების წმინდა სავანეს უბრუნდება, უზენაესთან მართავს მონოლოგ-დიალოგს („მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“), გამუდმებით ქრისტესა და მარიამის გვერდით წარმოიდგენს თავს მიწაზე თუ ზეცაში წასვლის (გარდაცვალების) შემდეგ.

დაუინებული, გაუნელებელი ინტერესი დედა-ძის მარადიული სახეებისადმი განაპირობებს, ერთი მხრივ, მათი სიმბოლიკის ორგანულ გათავისებას და, ამასთან, ორიგინალური, ახალი, თავისებური ნიუანსებით გამდიდრებული მხატვრული ხატების მიგნებას პოეტის მიერ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც თითქმის დაივიწყეს მეოცე საუკუნის 20-30 -იანი წლების პრიმიტივებმა, ტერენტი გრანელის ხსოვნამ უზადოდ შემოინახა, რათა ტრადიციები ახლებურად შეეგრძნო და მათზე დამყარებით გაქანების სასწაულებრივი ველისთვის მიეღწია.

ტერენტი გრანელის ლირიკაში თვალში გვეცემა მრავალგზის მიმართვა მარიამისადმი: „შემინდე, შემინდე, წმინდაო მარიამ!“ („ფარული ვედრება“), „და შენ მიშველე ახლა, მარიამ!“ („მიყვარდა ერთი“), „კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ („მიცვალებულის დღიურიდან“).

გარდა ასეთი პირდაპირი სახელდებისა, მარიამის კანონიკური და ინდივიდუალური ელფერით შემოსილი ხატებაც მრავალგზის შემოგვანათებს მისი პოეზიდან.

მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოდ მიგვაჩნია ტერენტი გრანელის „დიადი ცა, ცა ლაჟვარდი, ცა უმაღლესი, მარადისობის ლაჟვარდები, შორეული ზეცა, მაღალი ცა, ზეცის ყვავილი. მარიამზე მიმანიშნებელია მისივე „ქალწული, და, მწუხარე და, პრინცესა, გადამწვარი მთა, ღრუბელი, შორეული ღრუბელი, ფერადი ღრუბელი, იაგუნდი, საიდუმლო ქნარი, მთვარე“.

როგორც „საღვთისმშობლო სახისმეტყველების“ ავტორი ტიტე მოსია მიუთითებს, „ნევმირებული ძლისპირნის“ თანახმად (იგი გამოქვეყნდა 1982 წელს X საუკუნის დამლევისა და XI საუკუნის დასაწყისის ხელნაწერის მიხედვით), მარიამ ღვთისმშობელი არის „სულიერი ცა“ (გვ. 337).

სინურ მრავალთავში (864 წლისა, 1959წ.) ყოვლადწმინდა დედოფალი წოდებულია,... ცად,... ქერუბიმის ცად, საცნაურ ცად (201), ... ზეცის საყდრად, ზეცის ქერუბიმად.

„უძველესი იადგარის“ მიხედვით (გამოიცა 1980წ. X საუკუნის რამდენიმე ხელნაწერის საფუძველზე) მარიამ ღვთისმშობელი არის „ცათა და ქვეყნის კარავი“ (7),... „ზეცისა სძალი“ (184), „ცა ცათა“, „ღვთის ცა“,... „საცნაური ცა“.

VII საუკუნის ბიზანტიური პიმნოგრაფიის შედევრში „აკათისტო“ (ქართულ თარგმანში მას „დაუჯდომელი“ ეწოდე-

ბა) მარიამი სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია: „გიხაროდენ, ქნარო სიტყვიერთა ცხოვართაო“ („დაუჯდომელი“).

ტერენტი გრანელის შემოქმედებაში მრავალგვარი ეპითეტით ფიგურირებს მარიამზე მიმანიშნებელი ცა: „ისევ შორეულ ცას გავენდობი“ („დგას სასაფლაო“), „და ცა ლაუგარდი ჩემს გულს მოება“ („ახლა ლამეა“), „ისევ მიცქერის მაღალი ზეცა“, „გული იგრძობს მარადიულ ლაუგარდს“, „ახლა ლამეა და შორეული ზეცა მიტაცებს“ („ახლა ლამეა“), „ცა დიადია, ცა ლურჯი არი“ („მტკვარის შრიალი განთიადზე“), „ისევ მიზიდავს ცა უმაღლესი“, („ცას დაემუქრა“), „და ზეცა უფრო ახლოა გულთან“ („გაზაფხულია“).

მარიამზე მიგვანიშნებს ტ. გრანელის „სხვა ზეცა“: „სხვა ზეცა მპირდება ამინდს“ („მიყვები გაყინული რიყეს“), „ცისფერი ზეცა“ (ეს არის ცისფერი ზეცის ყვავილი – მიმოზა – „სარკე“).

ამ სახის ორგანულ განცდაზე მეტყველებს სტრიქონები: „ზეცა ჩემთვის გულია“ („კელაპტრებივით დგანან“), „და ზეცა უფრო ახლოა გულთან“ („გაზაფხული“.).

სიკვდილის წინ, უცხო მხარეში გადასვლის მოლოდინით გათანგულს, ისევ „მაღალი ცა“, ანუ მარიამი და ქრისტე (გზა) ელანდება: „მაღალო ცაო, ისევ შენ გიმზერ, იქ, უცხო მხარეში, ალბათ, მიმელიან. ძვირფასო, ვდგავარ გზაჯვარედინზე და ვიცი, ჩემი გზა ახლა რომელია“ (მაღალო ცაო“).

ლექსში „მორჩა, არავის ველი“ – მარიამი ისახება, როგორც „შორი ცა“, ქრისტე – როგორც „იმედი“: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა, მარად მუქი“.

არანაკლებ საინტერესოა და ორიგინალურია ზეცის სახეში მოაზრებულ მარიამთან „ცისფერი ლამის“ ასოცირება, რაც, ვფიქრობთ, ძე ლმერთის სიმბოლური შიფრია, საყოველთაოდ ცნობილი „მზიანი ლამის“ კვალდაკვალ შექმნილი: „სიცოცხლე ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ლამეს იძლევა“ („ელვარებს ისევ“). ამ სტრიქონების „ზეცა“ მარიამია, „ცისფერი ლამე“ – ქრისტე. ეს სახეები მოაზრებულია „მდუმარე

სარკის“ (სულის) ელვარების, „ცისფერ სამყაროსკენ“ (ზებუ-ნებრივისკენ) ლტოლვის ფონზე.

ღრუბელს მარიამის სიმბოლოდ მიიჩნევენ (მათეს სახა-რებაში მარიამი არის „ღრუბელი ნათლისაი“, მათე, 17,5), „უძველეს იადგარში“, „ღრუბელი ნათლისაა“, გვ. 200).

ყოვლადწმინდა ხშირად იწოდება სასულიერო მწერლო-ბაში „სულმცირე ღრუბლად“: „სულმცირე ნიშნავს „მსუბუქს, მჩატეს“. სულმცირე ღრუბელი (მარიამი) არის სიმართლის მზის შემწყნარებელი: „დედაო ღმერთისაო, ვითარცა ღრუ-ბელმან სულმცირემან დაჰფარა მზე სიმართლისაა“ (ნევირე-ბული ძლისპირნი, 501), „მოვიდა (ღმერთი ტ.მ.) ღრუბლითა სულმცირითა, რომელ არს ქალწული გამოუცდელი“ (ძლის-პირნი, III, 210) – (ტიტე მოსია, „სალვოო სახისმეტყველება“, გვ. 115-116).

ტერენტი გრანელის მიერ მარიამი განიცდება, როგორც წვიმის მომყვანი შორეული ღრუბელი: „და ეცემოდნენ სად-ლაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან“ („მიცვალებუ-ლის დღიურიდან“).

ცვარი, წვიმა ქრისტეს სიმბოლოა ბიბლიაში: „იქნება ია-კობის ნატამალი, როგორც უფლის ცვარი, როგორც შხარუნა წვიმა ბალახზე“ (მალაქია, 5,6).

ქრისტეს მოვლინება ფსალმუნშიც მდელოს გამაცოც-ხლებელ წვიმად წარმოიდგინება: „იგი ჩამოვა, როგორც წვიმა მოთიბულ მდელოზე, როგორც წვეთები, მიწას რომ რწყავენ“ (ფს. 71/72,6).

ცისა და წვიმის ასოცირებაში ტ. გრანელის ლექსებში მარიამისა და ქრისტეს სახე ამოიცნობა: „თუ ხარ წვიმისთვის – ცაო ცისფერო. მივალ იმისთვის, რომ დავისვენო“ („თუ ხარ წვიმისთვის“). ნაწარმოებში მეტყველებს სამყაროს ფართო თვალებით მხილველი პოეტი: „გაჩნდა საღამო ისევ წვალე-ბით, ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“.

ესაიას წინასწარმეტყველებაში მარიამი მოხსენებულია, როგორც ღრუბლები, რომელიც ასხურებს სიმართლეს: „იწვეთოს მაღლიდან ზეცამ და ღრუბლებმა ასხურონ სიმართლე“ (15, 8).

ტ. გრანელის ლექსში „დადგა მაისი“ ყურადღებას იქ-ცევს „ღრუბლის ბავშვის“ სახე, რომელიც ევლინება პოეტს დიდი ტკივილების, მარტოობის, წვალების, დაცემის გზაზე, როგორც უმაღლესი ნუგეში: „და ღრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან. მე ვზივარ ბალში და ვუმზერ ზეცას“.

ამ კონტექსტის მზე, ვფიქრობთ, მამალმერთია, ღრუბელი – მარიამის, ბავშვი – ქრისტეს სიმბოლო, ზეცა – ცანი ცათანი, ანუ გონიერი ცა. „ღრუბლის ბავშვს“ წყარო არ ეძებ-ნება.

ასეთი სპირიტუალიზმი შეინიშნება ტერენტი გრანელის პოეზიაში, ასეთი ორგანულია მისი კავშირი უზენაეს საწყი-სებთან.

საღვთო ქვეტექსტის შემცველ სახედ მიგვაჩნია აგრეთ-ვე ფარული ღრუბლიანი დღე: „ეს ღრუბლიანი დღე ფარულია“. აქ „დღე ფარული“ ქრისტეს სიმბოლოა (დღე საღმრთო სახელია), ღრუბელი – მარიამის.

ფსალმუნში, დანიელის წინასწარმეტყველებაში, სასუ-ლიერო პოეზიაში მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია მთა, რომ-ლისგანაც გამოიკვეთა ლოდი – ქრისტე (ტ. მოსია, „საღვთის-მშობლო სახისმეტყველება“ გვ. 98).

ტ. გრანელის ლექსში „ოცნება ისევ მაღლა წავიდა“ – „გადამწვარი მთის“ სახე გვეცნაურება, რაშიც უღმერთო ეპო-ქის მიერ უარყოფილი მარიამი იგულისხმება: „ისევ მიცქერის მაღალი ზეცა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი“.

მთვარის სახესაც მარიამს უკავშირებენ. პროფ. ტ. მო-სია აღნიშნავს: „მზესთან, მზის თვალთან ერთად, მარიამის სიმბოლურ – ალეგორიული სახელია მთვარეც: „მთვარე დადგა წმინდასა ზედა თვისა, ქალწული უბინო“ (უძველესი

იადგარი გვ. 439). „წყობილსიტყვაობის“ ავტორი წერს: „საყდრად მზედ, ვითა წინაშე ღმრთისა ქმნილად, ხოლო მთვარედ განმტკიცებული სავსედ“ (საღვთისმშობლო სახისმეტყველება გვ. 98).

ტ. გრანელის ლექსში – „აწენილი ბედი“ – საუბარია ავბედისწერასა და დემონზე, რომელიც მთვარეს შესჩენია: „დადის დემონი მთვარის და ავი ბედიწერა. მიპყრობს იისფერ თვალის ასე უღონო მზერა“. დემონი ღმერთდაკარგული ეპოქის რეჟისორია, რომელიც რწმენას შენაცვლებია. „იისფერ თვალის უღონო მზერა“ ჯვარცმული ქრისტეს წამებას შეგვაგრძნობინებს. პოეტის თანამედროვე ეპოქამ ისევ აცვა ჯვარს თავისი ღმერთი და ამით თვით განიმზადა ჯოჯოხეთური ყოფა.

პროფ. ტ. მოსიას დაკვირვებით, დავით გურამიშვილს ლვთის დედის სახელად გამოუყენებია „ანთრაკ-ალმას – საფირონი, იაგუნდი – ლალი“ (საღვთისმშობლო სახისმეტყველება გვ. 99).

გ. ტაბიძის ლექსში ყურადღებას იქცევს სიმბოლური „იაგუნდის დღე“: „დღე გაფითრდა იაგუნდის, დგას ღრუბლების ჯგუფები“ („დღე გაფითრდა იაგუნდის“).

ვფიქრობთ, ამ კონტექსტის იაგუნდი მარიამის სიმბოლოა, დღე – ქრისტესი.

ტ. გრანელის ერთ ლექსში „დაბრუნება ნავთლულიდან“ პოეტის ტკივილიანი, იარებით სავსე სახე შემოგვანათებს, რომელიც შეებას მარიამისაგან მოელის, ლვთის დედა კი ფიგურირებს იაგუნდის სახით: „გულს რად უღირდა იაგუნდები“.

მარიამი იწოდება ქალწულად. ეს სახე მიმდინარეობს ძველი აღქმიდან: „აპა, მუცლადილებს ქალწული და შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუილს (ჩვენთან არს ღმერთი), - (ესაია 7, 14).

ტ. გრანელი ჩივის „თეთრი იმედის“ (ღმერთის სიმბოლოა) უარყოფაზე, რამაც უფსკრულის პირას მიიყვანა ლექ-

სის ოირიკული გმირი: „მე უფსკრულთან მივედი, ყოფნა ისე მომბეზრდა. ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც“.

ლექსში, ზარებთან ერთად, ატირებული ქალწული გვხვდება, რომელიც შვილის (ქრისტეს) ჯვარცმით შეძრნუნებულ მარიამად გვესახება: „ჩამორცეს ზარები და ქალწული ატირდა, ფიქრი ჩადგა ქარივით შემოდგომის ნაპირთან“ („მე უფსკრულთან მივედი“).

მარიამი მოიხსენება, როგორც „მეფის ასული, ასული დავითისა, ასული სიონეველი, ასული ადამისა“ (ტ. მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება გვ. 74, 75, 76).

ეს სახე მომდინარეობს ფსალმუნიდან: „მთელი დიდება მეფის ასულისა შიგნითაა. მოიქროვილია მისი სამოსი“ (ფს. 44/45, 14). ე.ი. მარიამი მეფის ასულია, ანუ პრინცესა (ფრან-გულად). ტ. გრანელს გაუთავისებია ეს სიმბოლო.

შავ, დარდიან, კვნესით სავსე ღამეში თითქოს პოეტის ოთახში „თეთრი სიჩუმე“ და „პრინცესა“ (მარიამი) დადის ნუ-გეშად: „ღამეა შავი და ჩნდება დარდი, გულიდან ისევ ამოდის კვნესა. ოთახში თეთრი სიჩუმე დადის, სიჩუმე დადის, რო-გორც პრინცესა“ („ღამე ვაკეში“).

დედოფალთან, სძალთან, მეფის ასულთან ერთად მარიამის სიმბოლოდ მიჩნეულია და, რომელიც მომდინარეობს სოლომონის „ქებათა ქებიდან“: „ბალი ხარ დახშული, სძალო, დაო ჩემო, ჭა დაგმანული, წყარო დაბეჭდილი“ (ქებათა ქება სოლომონისა, 4, 12).

ტ. გრანელის „მე და გაფითრების“ ლირიკული გმირი, ანუ თვით პოეტი ხატების წინ ხელაპყრობილი გვევლინება. იგი შორს, თეთრ უდაბნოში შუქივით, სანთელივით აელვარებულ მწუხარე დის ცისფერ ლანდს ხედავს: „სადღაც შორს ბნელი თვალებით ვამჩნევ: თეთრ უდაბნოში სანთელივით რომ კრთის ჩემი მწუხარე დის ცისფერი ლანდი“.

„ხატების წინ ხელაპყრობილ“ პოეტს მწუხარე დის ცისფერი ლანდი „ღამის შუქივით“ ენუგეშება ცხოვრების უდაბ-

ნოში: „დამის უფსკრული გაიხსნა. უნდა გათენდეს. ხატების წინ ისევ ხელაპყრობილი ვარ მე და გაფითრება და ჩემი მწუ- ხარე დის ცისფერი ლანდი ისევ დამის შუქივით ელავს თეთრ უდაბნოში“.

ვფიქრობთ, „თეთრი სანთელივით“ გაელვებული „და“ მხოლოდდამხოლოდ მარიამია და არა ტ. გრანელის ფიზიკუ- რი დები, რომლებიც ასევე მრავალგზის უკვდავყო პოეტმა თავის შემოქმედებაში.

„დამის შუქი“ კი ქრისტეს მოასწავებს. „შუქი“ ძე ღმერ- თის აღიარებული სახელია ბიბლიაში, ფსალმუნში, ესაიას წი- ნასწარმეტყველებაში, სასულიერო ლიტერატურაში, დავით გურამიშვილის „დავითიანში“.

მარიამი მეფე ჰეროდესგან გადარჩენის მიზნით გაიქცა უდაბნოში ყრმა ქრისტესთან ერთად, უდაბნოში გამოიცადა იესო ეშმაკისაგან, ამასთან, ტ. გრანელისათვის ცხოვრება უდაბნო იყო, სადაც მხოლოდ დედა- ძის სახეები ანუგეშებდა. ასე რომ, შემთხვევით როდი ფიგურირებს „და“ შუქსა და სი- ნათლესთან ერთად თეთრ უდაბნოში.

ლექსში „მიყვარდა ერთი“ მარიამის იდენტურია მისი სიმბოლური სახელი „და“. დასაწყისში ლვთისმშობელი გვევ- ლინება თავისი პირვანდელი სახელით:

„მიყვარდა ერთი, დავტოვე იგიც

და შენ მიშველე ახლა მარიამ!

ნელა მივდივარ და ბალის იქით

სივრცეა თეთრი და მდუმარია“.

„ერთი“ ღმერთის სახელია: „უფალი ერთ არს“ (წიგნი სიბრძნისა, 56, 27).

შემდეგი სტრიქონები ისევ მარიამს – დას მიემართება ძე ღმერთთან ერთად, რომელიც წარმოიდგინება, როგორ „დაძველებული სახლი“, დაქცევისათვის გამზადებული:

„დაო, მე შენთან მალე ამოვალ,

დაძველებული სახლი იქცევა.

რაღაც სხვაგვარი ყრუ საღამოა,

ან რანაირი ჩუმი სივრცეა“.

(„მიყვარდა ერთი“).

სახლი, რომელიც სავალალო მდგომარეობაშია, განადგურებულ რწმენაზე მიგვანიშნებს.

VII საუკუნის ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის შედევრის – „აკათისტოს“ (ქართულ თარგმანში „დაუჯდომელი“) თანხმად, მარიამი „სიტყვიერთა ცხოვართა ქნარია“.

ტ. გრანელის ლექსში – „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ უხეშ ბრძოსთან დაპირისპირებულ პოეტს უმძიმეს წუთებში მარიამი და ქრისტე ევლინება ქალის ნუგეშად (ძე ღმერთი, ქრისტე ხომ „ნუგეშისმცემელია ცხოვრებისა“ (გოდება იერემიასი, I 16) ქალის, მარიამის ხორციელი ძე, „საიდუმლო ქნარებთან“ – ლვთისმშობელთან ერთად: „მოვა ქალის ნუგეში საიდუმლო ქნარებით“.

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, ქნარს ორგვარი მნიშვნელობა აქვს, ერთი გაგებით, იგი ჩანგია, მეორე გაგებით – ვარსკვლავი (სიტყვის კონა, 1949 წ. ს. ორდინაშვილის რედაქციით და წინასიტყვაობით, გვ. 373). ასეა ეს სახე გაგებული ს. ცაიშვილის მიერ „ქართული პოეზიის“ I ტომის წინასიტყვაობაშიც. თუ ქნარის მეორე გაგება გვიზიარეთ, მაშინ „საიდუმლო ქნარი“ „საიდუმლო ვარსკვლავს“ ნიშნავს, ვარსკვლავი კი ქრისტეს სინონიმია.

მაშ, ქრისტე ლექსში წარმოიდგინება, როგორც მარიამის მოვლენილი „ნუგეში“, „საიდუმლო ქნარი“, ანუ საიდუმლო ვარსკვლავი.

დიდი პოეტი გრიგალს ეძახის

ინდური მოძღვრების მიხედვით, სამყარო გრიგალისებურად მოძრავია და ეს გრიგალი, მოძრაობა არის აქტიურობა, აზროვნება, გონიერი მისწრაფება, ოღონდ ღმერთით გაპირობებული.

ქარის სტიქიის გარეშე ვერ წარმოიდგინება დიდი ხელოვნება.

უოტ უიტმენის, ედგარ პოს, ალექსანდრ ბლოკის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის ქარების შემდეგ ტერენტი გრანელი ქარებით ისევ ახერხებს მკითხველის გაოცებას.

ქარი ქართველი პოეტისთვის იყო „სამარადისო საგანი პოეზიისა... დაუსრულებელი ფანტასმაგორია, შორეული მისტიკის სინონიმი, სამყაროს მისტიური შეგრძნება“...

გამოარჩევდა „მუსიკის და ორკესტრის ქარებს, ჯადოსნურ ქარს, შემოდგომის და მოგონების ქარებს, ველის ქარებს“...

„პოეტები იბადებიან ქარში და ისინი მისდევენ ქარების ნაკვალევს“, წერდა „მემენტო მორის ავტორი“. მისი იდეალი იყო ისეთი შემოქმედი, „ვინც ათასნაირი ფიქრებით დატვირთული ქარებთან დაგას, როგორც ქანდაკება“ (პოეზია ქარის და ღამეების) (1,298-300).

ტერენტი გრანელის ფართო თვალსაწირში ქარი უკავშირდება შთაგონება, სამყაროს მოვლენებს, მახასიათებელია ათეისტური ეპოქის, სიკვდილის, სიცოცხლის, ქცეულია მოვლენათა სიმბოლიზაციის საშუალებად.

„ქვეყანა – ქარი, ცხოვრება ქარი, ცხოვრება კორიანტელი, ქარიშხალი“ – ასეა განზოგადებული პოეტის მსოფლგან-ცდაში ეს მარადიული სტიქია.

ტრადიციულია ქარის და ვარდის, ქარის და ტირიფის, ქარის და ალვის, ქარის და ტოტის, ქარის და ფოთლის სიმბოლიკა. ამ დაპირისპირებაში პოეტის ლექსის პერსონაჟი „ფოთოლივით უმწეოა“: „ქარი ყოველთვის ფოთოლს ეხება, რა ვქნა, მე გრიგალს ვერ გავუძელი, მღუპავს ბედისწერა, ქარიშხალია წინ“ (ვიწყებ ლექსის წერას) (2,235).

ეს ბოროტი სტიქიონი ცხოვრებისეული წინააღმდეგობაა: „....და ქარიშხალი მყავდა მხლებელი, მოვიდა ქარი, წავიდა ბედი, მე ისევ ბედის გრიგალს მივყვები, უწინ გრიგალში

ყვავილს ვფანტავდი, ახლაც ქარები ახლოს არიან, ბედის სიშორეს ქარივით მისდევს რიცხვები გლოვის და აღშფოთების, წამება ისევ წინ არი, ფრთები აიშვა გრიგალმა, უფსკრულია და უფსკრულში ვრჩები და ახლოა ქარიშხალი ისევ, ახლაც დაპქრის, არ ეშველა ქარებს და ჰკიდია შორს მდუმარე ზარი, ახლაც ქარში ვარ, თავს ვერ უუშველე“ (უმიზნო ხეტიალი) (2,118) „იდგა სალამო და მე მომდევდა შავი ფიქრების კორი-ანტელი“ (მე მივდიოდი) (3,184).

„გული – მსოფლიო ლერძი“, ბუნებრივია, ყოველთვის ქარის მთავარი დარტყმების სამიზნეა: „ალბათ ქარები დღე-საც გვეძებდა, რომ კვდება გული–მსოფლიო ლერძი, ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მიწას ეცემა, რა ვქნა, გრიგალში გული ვიტკინე, ქარიშხალს უნდა გული დასეროს, გული ქარებმა ისევ დათოვეს, გულს გრიგალები შემოესია, და გრიგალს უნდა გული წაიღოს, გული წაიღეს ცივმა ქარებმა, მებრძვის დროება (ჰა, სალამოა) (1,215).

ქარის მიზანი სულის ჩაკვლაა: „ქარია გარეთ, ქარია სულში, ვატყობ, ცრემლია იქაც და გრიგალია სულში“ (ფიქ-რი) (2,135). „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არ-ხევს სულის მიმოზებს“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (2,102), ასე გამოხატა პოეტმა მხატვრულ სიტყვასთან, მშვე-ნიერებასთან, მართალ სიტყვასთან მებრძოლი ეპოქის არსი.

ეპოქის გრიგალი ემტერება ვარდებს – რწმენას: „ეს ქა-რიშხალი და ეს წამება და ქარიშხალთან ვარდის რტოები“ (ეს ქარიშხალი) (2,99).

ათეიზმის ზეობისას დაიკეტა და დაინგრა ეკლესიები, დუმდნენ ზარები: „....ახლაც დაპქრის, არ ეშველა ქარებს და ჰკიდია შორს მდუმარე ზარი“ (ლამის სტრიქონები) (1,255).

გრიგალი, „გრიგალთან შეხლა“, უმზეობა იყო ეპოქის წყევლა: „გრიგალს არ სძინავს და ქრება სანთელი“ (უბინაობა) (2,171).

სანთელი საღვთო სახელია (4,122).

„ქარისაგან იღუპება ტოტი“, „ქარმა ხეს ტოტი გადაუზნიერა“ – ამბობს პოეტი, რაც რწმენის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიანიშნებს, რადგან ტოტი ღვთის სიმბოლოა.

ნერგი, რტო, ყლორტი, ფესვი, ტოტი საღმრთო მნიშვნელობის სახელებია. დავიმოწმებთ ერთ მაგალითს: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: „ავიღებ ტოტს მაღალი წაძვიდან და დავრგავ, მაღალ და ასვეტილ მთაზე დავრგავ“ (ეზეკიელ წინასანარმეტყველი, 17,22) (5,208).

ტერენტი გრანელი შეფარვით ამხელდა ეპოქის ურნმუნოების ქარებს.

პოეტს აწუხებდა არა პირადული, არამედ საყოველთაო უბედურების მეგზური ქარი: „და ქარიშხალი სოფელს არ აცდა“ (წალენჯიხა) (2, 27-28), „კვდება ეს მდელო და ეს ქარია და საქართველო ახლა მკვდარია“ (საქართველო) (1,245) „და ქვეყნის ბედი ქარს უკავია.“ დროის თანამდევი იყო „უსახო ქარი, ღამის ქარები, ქარის გზა, ეკლის გზა“, „შავი დროების ღამის ქარები“ (გული გამითბეს მზიან ქარებმა) (2,60).

„ოცნების ხომალდსაც“ (პოეზიას) გრიგალი აედევნებოდა (ეს დღე) (2,81).

სიზმარშიც ქარიშხლის, სიკვდილის ხილვები ისადგურებდა: „წუხელ სიზმარში მიმიძლოდა ჩემი ცხედარი და მივდიოდი, მივკიოდი საშიშ ქარიშხალს, ზარი რეკავდა: სამარადოდ იყავ წეტარი! წუხელ ანაზდად უკუნეთმა თავი აიშვა“ (წუხელ სიზმარში) (2,96).

ქარები, სიცივე გაუძლისი ხდებოდა და სიკვდილს ანატრებინებდა: „...დამეტებს გარეთ, ვერ მოვიცილე. სალამი ქარებს, სიკვდილს, სიცივეს“ (მისალმება ზამთრისადმი) (2,94-95).

„წითელი აფთრის“ სამეფოში ცხოვრება გრიგალის ძალით სხვა პლანეტაზე გაღვიძებას ანატრებინებდა: „წეტავ,

ზღვის ძახილზე გრიგალს გავეტაცე, ღმერთო! გამაღვიძე მე სხვა პლანეტაზე“ (ლოცვა გაფრენისთვის) (2, 430).

უნდოდა გრიგალი დარდის მარწუხებისგან თავის და-სალწევად ექცია: „და მინდა დარდი გრიგალს გავაყოლო“ (მივდივარ მარტო) (2, 164).

ეპოქის ქარის, გრიგალების თარეშს მოჰქონდა შიში: „თეთრი დღე არის და სუფევს შიში და ახლა ქარი მე წერას მიშლის“ (თეთრი დღე არის) (2, 36-37) ბუნებრივია ქარში და-კარგვის შიში: „არარაობა გამაბნევს ქარში“...

ციდან მერცხლის მოლოდინი ქარიშხლის მოვლინებით სრულდებოდა: „ისევ ციდან ველოდები მერცხალს, მაგრამ ციდან ქარიშხალი მოვა“ (შემოდგომის მოლოდინში) (1,172).

სული ნოემბრის ქარით იყო განამებული: „წამებულ სულში დანავარდობს ქარი ნოემბრის“. ზამთრის ქარები ენაცვლებოდა ცისფერ ოცნებას: „თითქოს ცისფერი ოცნების შემდეგ ისევ გამეფდნენ ზამთრის ქარები“. მარტის ქარების სუფევა სანთლის ჩაქრობით სრულდებოდა: „მარტის და ქარე-ბის დღეა და ჩემი სანთელიც ჩაქრა“. არც აპრილის ქარები აძლევდა მოსვენებას: „ახლა თოვლივით ვილევი მზეზე და მომდევს ქარი შორი აპრილის“ (ალსარება ქუთაისს) (1,18).

უშედეგო იყო „დაკარგული ილბლის“ ძიება თოვლასა და ქარში: „მე სად გეძიო: თოვლში თუ ქარში? ბედი სად არის: თოვლში თუ ქარში“...

ნიღბებიც გრიგალებით იყო დაღდასმული: „ხომ ეკარგე-ბა აზრი ნიღაბსაც, თუ მან გრიგალი გადაიტანა, წამება ისევ წინ არი, ფრთები აიშვა გრიგალმა“ (თბილისის გარეთ) (2, 114).

ქარები პოეტი გედების მაღალ იდეალებს ემუქრებოდ-ნენ და ასეთ დროს მუსიკა, „სხვა იმედები“ იყო ნუგეში: „ქა-რები ისევ ცას დაემუქრა, ატირდებიან თეთრი გედებიც, იქ

მივალ, რადაც მუსიკა უკრავს, სადაც ცხოვრობენ სხვა იმე-დები“ (მიყვები მარტო ამნაირ ილბალს) (1,80).

იმედი საღვთო სახელია.

ტ. გრანელს სიკვდილის ქარიც არ დარჩენია შეუმჩნეველი: „და მოჰქრის ქარი და სიკვდილია“, „მოვარდა ქარი და სული მიჰყავს“...

საყურადღებოა სინანულის ქარიც: „გაჩნდა მუსიკიდან ქარი სინანულის“.

გვხვდება „ქარები მძიმე დარდების“, „სევდის ქარი“ (შდრ. ფერდის ქარი, ნეკრესის ქარი).

ქარი შეყვარებულთა გამთიშავი ძალაც არის: „ისევ ქარია და უშენობა, ის დაიკარგა ქარში ოდესლაც, იყო გრიგალის და წვიმის შემდეგ უფრო მწუხარე გამოსალმება“.

ზოგჯერ ქარი გაქვავებულია, „ატირებულია“, გრიგალი – „მიძინებული“.

ფიქსირდება ფიქრის, ოცნების, დარდის, მდუმარების, მოგონების, „ლურჯი სურნელის“ ქარები, თავისუფლების ქარი, ვედრების ქარი, დღეების ქროლვა.

სიმბოლურ-მეტაფორული ქარების პარალელურად, ქარი მოაზრებულია რეალურ ჭრილში. ვაზუალურ წარმოდგენებთან დაკავშირებული ქარის მაგალითებია: „მთვარეს იტაცებენ მრისხანე ქარები და ქუჩის ფარნები ბუუტავს ფერნასული, ხეებს დაეცნენ ქარები ყაჩალივით და აიკლეს ფოთლები, გზაში ძალლივით ყმუის მავთული და ღამის ქარი აწვალებს მიწას“...

პოეტს აემგზავრებოდა ნიკოლოზ ბარათაშვილის ქარებისა და ავბედითი ყორნის ხსოვნაც: „ქარები შენთან, ქარები შფოთავს. პოეტის სევდა მიჰყონდა ყორანს“ (ქარები) (3,282).

ტერენტი გრანელს მრავალი გამოცდა და განსაცდელი განუმზადა „შავმა დროებამ“, მაგრამ იგი არ გაიწვრონა, არ მიეყიდა სატანისულ ხელისუფლებას, რისთვისაც იწვნია ციხე, ფსიქიატრიული რეპრესიები, მაგრამ ღამესთან, ქართან

დადგა „როგორც ქანდაკება“ და შთამომავლობას დაუტოვა სულიერი რაინდობის იშვიათი მაგალითი.

ცნობილია, ლავრენტი ბერიას მოსწონდა ტერენტი გრანელის პოეზია და ცდილობდა მისი დიდი ნიჭის ამა ქვეყნის ძლიერთა სამსახურში ჩაყენებას. ამ მიზნით დაიხლოვა, მწვანე გზა მისცა მის კრებულს, ქება-დიდებით ცდილობდა გადაებირებინა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ პოეტი ვერ შეეგუებოდა ამა ქვეყნის მესვეურთა, ანტიქრისტეთა ანტი-ქართულ პოლიტიკას, საშინელი რისხვა და მეხთატეხა აწვნია, რაც ასე აისახა მარტოსული ტერენტის პოეზიაში: „ამ ხალხის ქება არ მიხარია, ეს ხალხი ჩემს სულს როგორ ექცევა? ჩემი ცხოვრება ქარიშხალია და ჩემი გული მინას ეცემა. რომელი იგრძნობს შორეულ საგანს, რომელმა იგრძნო ეს ატირება. და მე ამნაირ ცხოვრებისაგან თითქმის ყოველდღე ვგრძნობ დამ-ცირებას“ (6,414).

ასე რომ, „მემენტო მორის“ შემოქმედებაში გაპერსონა-ჟებული ქარიშხლის, გრიგალის, კორიანტელის ადრესატები ხშირად არაეროვნული ძალები არიან (ი. სტალინი, ლ. ბერია, ს. ორჯონივიძე, ლ. ღოლობერიძე).

პოეტი „დამის ქარების“ და „შავი დროების“ სახეებით უკეთებდა აქცენტს თავისი უკულმართი თანამედროვეობის მოვლენებს: „უცებ იყივლეს ლამის ქარებმა და უცბად დადგა შავი დროება“ (საავადმყოფო) (2, 59-60).

საკუთარი გასვენებაც კი ქარის თანხლებით წარმოიდგინა ტერენტი გრანელმა (როგორც ალ. ბლოკმა): „ჩემი და-საფლავების დღეს აიშლებიან ფერადი ღრუბლები და ამოვარ-დება შორეული გრიგალი, პანაშვიდი გათავდება ქარში“ (სიკ-ვდილის შემდეგ) (3,288-290).

ტერენტი გრანელს ამ მტანჯველი ქარების წარმავლობა და თავისი პოეზიის მარადიულობის რწმენა ენუგეშებოდა: „ქარმა ფოთლები დიდხანს აწვალა, ვიცი, დრო მოვა ჩემი გა-

გების“, „ვიცი, „გავუძლებ ამნაირ დროსაც, თუმცა გარშემო გრიგალი მივლის“ (სადღაც და ვიღაც) (1,222).

დღესაც ჩაგვესმის მატერიალურად უპოვარი პოეტის გმირული შემართების მაუწყებელი სიტყვები: „ისევ მინდა შევებრძოლო ქარებს და ვიღაცას უდარდელად ძინავს, ვიყო ასე დარჩენილი გარეთ, ქუჩა იყოს სამუდამო ბინა“, „რა ვქნა, გრიგალში გული ვიტკინე და ჩემი ფიქრი ცისკენ წავიდა, ახლა ხომ კმარა, რაც მოვითმინე, მეტ დამცირებას ვეღარ ავიტან“, „ისევე საშინელ გრიგალებს ვებრძვი, ისევ საშინელ დრამას განვიცდი“ (მე ხომ ასე ვარ) (2,104).

ტერენტი გრანელმა პოეზიით, მშვენიერებით, რაინდული სულით დაამარცხა ეპოქის გრიგალები. არსთაგამრიგისა-გან ნიჭით გამორჩეული, ამიტომაც გამოარჩია ერმა, მომავალმა დრომ.

დიდი შემოქმედისგან განუყოფელია ქარი, ქარიშხალი, ის თვითონ არის უძლეველი ძალა, გრიგალი. ამიტომ იყო გრიგალი გალაკტიონ ტაბიძის „მძლავრი ძმა“, „ამიტომ განაცხადა პოეტების მეფემ: „პოეტი იყო გრიგალი, შერყევა“ (პოემა ვეზევისა) (7,219).

კონსტანტინე გამსახურდია „ვაზის ყვავილობის“ ერთ-ერთ პერსონაჟს – სოლომონ გულუხაიძეს ათქმევინებს: „...ჯადო აქვს მწერლის სიტყვას, შენს სიტყვას წვიმები მოჰყავს, გრიგალების ატეხა და ზღვათა ამბოხება შეუძლია. შენ არსთაგანმრიგემ მოგანიჭა მრავალი საუკუნის წინათ გარდაცვლილთა კვლავ ამეტყველების უნარი“ (8, 635). ასეა ხაზ-გასმული მწერლის შემოქმედების გრიგალისებური, წარუხო-ცავი ძალა.

შხატვრული სიტყვის, ხელოვნების მარადიულ, დაუმარცხებელ, გრიგალისებურ ძალას აიდეალებდა მიხეილ ჯავა-ხიშვილი: „...ხელოვანი იმ ბერძნულ მითიურ არსებას ჰგავს, რომელმაც გრიგალი გამოიწვია და ვერ დააწყნარა“ (როგორ იწერებოდა არსენა მარაბდელი) (9, 349).

ტერენტი გრანელის პოეზიიდან დაძრული გრიგალები
მარადიულია, მათ დაცხომა არ უწერია...

დამონშებანი

1. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
2. ტერენტი გრანლი, ტ. I, თბ. 1991
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
4. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1995
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
6. ტერენტი გრანელი, ცისფერი სიშორე, თბ. 1997
7. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, თბ. 1982
8. კონსტანტინე გამსახურდია, ვაზის ყვავილობა, თბ. 1996
9. მიხეილ ჯავახიშვილი, თხზულებანი შვიდ ტომად, ტ. 7,
თბ. 2011

თავი VII.
ქართული და უცხოური პოეზიის
რეაგირების ფონით ტერანტი გრაველის
შემოქმედებაში

მთაგონების „უსილავი ქარი“ ვაჟა-ფშაველასა
და ტერანტი გრაველის პოეზიაში

ცნობილია, რომ სიბრძნის სიტყვა, ცოდნის სიტყვა, რწმენა, მკურნალობის ნიჭი, სასწაულმოქმედება, წინასწარ-მეტყველების უნარი, ენების ცოდნა სულინწმინდით მონიჭებული მადლია ახალ აღთქმაში (პავლე მოციქული, I კორინთელთა მიმართ, თავი XII, 14,7,8,9,10)(1,374).

სულინწმინდა პერსონიფიცირებულია მტრედის სახეში: „და გარდამოხდა სული წმიდა ხორციელი სახით, ვითარცა მტრედი“ (ლუკა, 3,22)(1,116).

ტერენტი გრანელის პოეზიაში სულინწმინდა ფიგურირებს თეთრის ეპითეტით: „...სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“ (მარადისობის ლაჟვარდები) (2,59).

„თოვლში“ ცისფერია მტრედის მახასიათებელი: „მოდის ნუგეში ჩემი, როგორც ცისფერი მტრედი“ (2,27).

სულინწმინდის მოვლინებას ღვთისმეტყველებაში „საღმრთო მობერვა“, „საღმრთო ნიავი“ ეწოდება.

„ორფიკულ არგონავტიკაში“ უფალი მოიხსენება, როგორც „მომბერავი“, ხოლო „მობერვა“ შთაგონების აზრის გამომხატველია შუა საუკუნეების ქართულ საგალობლებში.(3,39).

გრიგოლ ნოსელის მიხედვით, „საღმრთო სულითაა გაპირობებული ღვთიური მობერვა, შთაგონება“ (წმინდა გრიგოლ ნოსელი „პასუხი ექუსთა მათ დღეთათვის“) (4,363).

სულინმინდის საღვთო ნიავის მოვლინების სიხარულს გამოხატავდა ნეტარი ავგუსტინი: „აი, როგორც იქნა, შევი-სუნთქე მონაბერი შენმიერი ქარისა“ (ალსარება) (4,278).

ღვთიური სულის მოფენაზე ლოცულობდა დავით გურა-მიშვილი: „აწ მომფინე სული, მამით გამოსულია“.

„საღმრთო ნიავის“ მოვლინება ენატრებოდათ ქართველ ჰიმნოგრაფებს.

ვაჟა-ფშაველას „ქებათა ქებაში“ სულინმინდა ნიავის სა-ხით ფიგურირებს: „ნიავიც მიდუდუნექბდა ველებზე სულინმინ-დადა, იგივე იყო უცვლელად, რაც ათასი წლის წინათ“.

„სვავში“, „ციური ნიავია“ სულინმინდის სიმბოლო: „შენ, ციურო ნიავო, მიეშველე მზეს, ერთად შეზავდით და თესეთ მადლი ქვეყანაზე“ (5,312-316).

სულინმინდის მოფენაზეა საუბარი ვაჟას „ბუნების მგონსხებში“, ასევე მოთხრობაში „ფშაველი და მისი წუთისო-ფელი“.

„დაჩაგრულ მესტვირეში“ განსაცდელის უამს სულინმინ-დას ევედრება ვაჟა.

ქარის, ნიავის სულინმინდის სიმბოლოდ მოაზრების მრავალი მაგალითია ტერენტი გრანელის პოეზიაში: სიჩუმის ქარი, იდუმალ მხარეების გრიგალი, სულში ამღერებული ქა-რები, უხილავი ქარი, ძვირფასი, შორეული ქარი, განახლების ქარიშხალი... (იხ. დაწვრილებით – „შთაგონების „უხილავი ქა-რი“ ტერენტი გრანელის პოეზიაში, „უცნობი სფინქსი“, 1992, გვ. 37-41).

ვაჟა ფშაველა და ტერენტი გრანელი, როგორც ორთო-დოქსი ქრისტიანები, უზენაესის გამოცხადების ღირსნი ხდე-ბოდნენ.

ფშაველი გენიოსის მოთხრობაში „მოჩვენება“ პატრიოტი ადამიანი ტირის მტერთან უთანასწორო ბრძოლაში დამარ-ცხებული რაინდების გამო, ხოლო ბოროტი ქაჯი ხარობს. ამ დროს თეთრწვერა მოხუცის გამოჩენით დამფრთხალი ქაჯი

გაქრება, ხოლო ეს რწმენის, ქვეყნის გულშემტკივარი არსება დამხვდურს ახედებს დასავლეთისკენ, სადაც „საუცხოო მნა-თობი ანათებდა, ერთ ადგილას გაჩერებული, – მზე იყო, მაგ-რამ ის მზე არა, დილით რომ ამოდის და მიეშურება საღამო-ზედ გორს რომ მიეფაროს, იმ მზეს არ ეჩქარებოდა ჩასვლა, თვით იმას სწყუროდა ენათა ქვეყნისთვის, თვალდამშეული უცქეროდა ჩვენს მხარეს“...(6,220-224).

მზე ღმერთის სახელია წმინდა წერილში: „მზე და ფარია უფალი ღმერთი“ (ფს. 79/80,2)(1,614).

ტერენტი გრანელის თვალთახედვა მუდმივად უზენაესი ძალებისკენ იყო მიპყრობილი და ამის გამო ათეისტურ ეპო-ქაში საშინელი გაუცხოება და დევნა იწვნია. ჯვარცმული პო-ეტი ქრისტეს სისხლიანი ბედის თანაზიარი იყო. თავის ამ-ქვეყნიდან გასვლას წინასწარ რომ ჭვრეტდა, კუბოსთან სერა-ფიმებს, ანგელოზებს, ღვთისმშობელს და ქრისტეს წარმოიდ-გენდა: „...კუბოსთან იდგენენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა. მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრის-ტე წინ მიუძღვდა“ (2,21-22).

პოეტისთვის მთავარი იყო ქრისტიანული მრწამსი, უზე-ნაესი ძალები ესახებოდა წინამძღვრად: „და ანგელოზი ჩემს სულში ცხოვრობს“ (სოფლიდან თბილისი) (2,110).

ქრისტეს მარადიული ნათელი მხოლოდ მორწმუნეთა სულებში ივანებს: „თუკი ყოველთვის საღმრთო აზრებით იქ-ნები დაკავებული, მაშინ ჭეშმარიტად იხილავ შენს სულში ქრისტეს ნათელს, დაუღამებელს“ (4,240).

დამოწმებანი

1. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
2. ტერენტი გრანელი, ტ. I, ლექსები წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012

3. ორფიკული საგალობლები, პროკლე დიადოხოსის საგალობლები, თარგმანი და კომენტარები ლ. კვირიკაშვილის, თბ. 1989
4. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, I, თბ. 1989
5. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, „საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986
6. ვაჟა-ფშაველას ხუთტომეული, ტ. I, პროზა, თბ. 2011

ეროვნული და ზოგადსაპაცობრივი სატკიცრების გათავისება ვაჟა-ფშაველასა და ტერენტი გრანელის პოეზიაში

მეცნიერებაში, მყითხველთა წრეებში ტერენტი გრანელი ერთხმად არის აღიარებული მწუხარების, გლოვის, ცრემლის პოეტად.

დღეს უკვე ეჭვს აღარ იწვევს, რომ პოეტის შემოქმედებაში დაფიქსირებული სევდა პლანეტის, კაცობრიობის სევდაა. აკი თვითონ პოეტია გზამკვლევი ამ ასპექტით: „ცა იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს ყველა ჩვენი პლანეტის...“

ნიჭიერთა იგნორირებით, სიმართლის მსახურთა დევნით იყო გამორჩეული ტერენტის თანამედროვე ეპოქა. ხელისუფლება გულზე ჩინ-მედლებს ჰკიდებდა, მატერიალურ დახმარებას უწევდა ტირანული ეპოქის მეხოტე ვაიმწერლებს, ხოლო „ქარის პირისპირ“ მავალ. ობიექტურობის, ჭეშმარიტების მსახურთ დევნიდა, ციხეში ამწყვდევდა, ღალატის ბრალდებით ასამართლებდა ან ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აგზავნიდა.

ტერენტი გრანელი გამოირჩა სიმართლის სიყვარულით, ობიექტურობით, აპოკალიფისურ მხეცთა ნაშიერების კრიტიკით, რის გამოც აითვალწუნა ურნმუნო ხელისუფლებამ და

ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გამოამწყვდია ოთხი წელი, სა-დაც პოეტმა 860 წახატი შექმნა, რომლებსაც უმაღლეს შეფა-სებას აძლევენ ამ დარგის სპეციალისტები.

ტერენტი ჰგოდებდა არა პირადულ, არამედ ერის, კა-ცობრიობის ტრაგედიებზე.

დიდი შემოქმედის უპირველესი მისია სწორედ საზოგა-დოებაში გამეფებული უსამართლობის მხილებაა და ტერენტი გრანელი ამით იყო გამორჩეული.

საკაცობრიო და ეროვნული სატკივრებით, ვარამით, ცრემლით, ტკივილით სავსეა გენიოსი ვაჟა-ფშაველას პოე-ზია, რაც მას ჩრდილს კი არ აყენებს, პირიქით, მის უმაღლეს გრძნობებს უკეთებს აქცენტს.

ლექსში „ქართლი“ ნათქვამია: „...ლამედ დღე მქონდა მზიანი“ (1,221).

ტირილი, ვითარების შესაფერისი ცრემლი ვაჟას სააუ-გოდ კი არა, ღმერთან დგომის საწინდრად მიაჩნდა: „მე რო ტირილი მენადოს, თქვენ ვის რა გინდათ ნეტარა? ერთი იცი-ნის, სხვა სტირის, ესეთი არის ქვეყანა. ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დაჯდებით ჩემთანა: მტირალის სტვირის პატ-რონი ფეხს როგორ გაესწვდი თქვენთანა?! მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლოს ვდგავართ ღმერთთანა“ (სიმღერა. პა-სუხად) (2,231).

ვაჟა-ფშაველას მართებული აზრით, ვარამი, განცდა, კარგი საქმისთვის გამიზნული დარდი არა უმოქმედობის, ან დაძაბუნების დასტურია, არამედ კაცური კაცობის ნიშანი: „ვერას დამაკლებ, ვარამო, რაგინდ გულს მჭიდო ბჯლალები, თუ შენ მე დამაძაბუნო, ნუმც მიტირებენ თვალები... დაგლევ და დაგლევ, ვარამო, ცივი მთის წყაროს წყლებურა. ტყუი-ლად იტყვის –კაცი ვარ, თავზედა ქუდი მხურია, – ის, ვისაც კარგის საქმისად ვარამიც არა სწყურია“ (ვერას დამაკლებ, ვარამო) (2,236-234).

კეთილის დამკვიდრებისთვის მებრძოლი პოეტი მუდამ

შეძრნუნებულია, ბედნიერებად, თავისუფლების გზად ესახება ქვეყნისთვის შეწუხება, მოვლენების უცდომელი ჭვრეტა: „...მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძლე, მოვკვდე მშიე-რი... ნუ დამასვენებ ნურასდროს, მამყოფე შეძრნუნებული, მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული. როცა გულს ცეცხლი მედება, გონება მსჯელობს საღადა, – მაშინ ვარ თავისუფალი, თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა“... (ჩემი ვედრება) (2,316-317).

გენიოსი პოეტის სიტყვა, სიბრძნე ტანჯვით, ჯავრით არის მიგნებული: „სიტყვა გადვაგდე ერშია, სიტყვა, რა სიტ-ყვა ეული, ტანჯულის გულის ნაცრემლი, ჯავრით ნაკვები, სნეული, გულ-განგმირული, ბეჩავი, თავს მანდილ-ჩამოხეუ-ლი“...

„ასე წვა-დაგვით გაზრდილმა სიტყვამ... წვერს მარგა-ლიტი მოისხა, ტანი ზურმუხტით იფარა; მთელ ქვეყანაზე სხივსა ჰფენს, როგორც ცამ, გამოიდარა. დაბრძანდა ოქროს ტახტზედა, ვით მეფე, ქვეყნის მპყრობელი: ისაა ქვეყნის ნუ-გეში, იმას შეჰხარის სოფელი“ (სიტყვა ეული) (2,333).

პოეტის „მღერანი“ „ცრემლით მორწყულია“ (ანდერძი) (3,64).

„შორს მიდის ფიქრი, შორს მიდის, თან გლოვა-ცრემლი მიჰყება“, ნათქვამია ლექსში „მტრისამც გულია ასეთი“ („სიმღერა“) (3,104-105).

ცრემლის დენა კაეშანის, გულს დაწოლილი ლოდების შემსუბუქების ნამალია (ჩონგურს სიმები დამაწყდა სიმღერა) (3,105-106).

„ბრჭყალით ვუპყრივართ სევდასა, როგორც არწივს გნოლია. გულზე წყლულები გამრავლდა“, აცხადებს პოეტი და ცრემლის დენა, ტირილი ნუგეშად, შვებად ესახება (და-მუნჯებულსა ენითა („სიმღერა) (3,120-123).

ლექსი „ალბომში“ პირდაპირ აკონკრეტებს პოეტის ტი-რილის, ნაღვლის მიზეზს: „დღე და ღამ ვსტირი, გულს მაწევს

სევდა. ერთი დარდი მაქვს, ერთი ნაღველი, საგანი ნაღვლის: ქართველი დედა, იმათან ერთად ივერის ბედი, დღეს უბატ-რონო... მას უნდა შველა“... (3,145).

პოეტი ქვეყნის „ათი-ათას წყლულს, ტანჯვა-ვაებას“, „ცრემლის მორევს“ ხედავს და ასკვნის: „ქვეყნის ავ-კარგის გაცნობას თურმე თან ცრემლი ხლებოდა“ (გული გავგზავნე ქვეყნადა) (3,157).

და ისევ: „მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შე-ნუხებული“, განაცხადა კეთილის, საღი აზრის მაძიებელმა, ივერიის, ქართველი დედის ბედზე შენუხებულმა პოეტმა, რომლისთვისაც უპირველესი იყო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემები.

სწორედ ეს ანათესავებს ტერენტი გრანელს ფშაველ გენიოსთან, რომლის პოეზიაში საძიებელი კი არ არის, ყოველთვის თვალში საცემია საკუთარი ეთნოსის თუ პლანეტის სევდა...

ტერენტი გრანელის ბედნიერება იყო ჭეშმარიტების, სიმართლის მსახურებისთვის გაღებული ცრემლი და სისხლი.

დამოწმებანი

1. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად, ტ. I, „პალიტრა L“, თბ. 2011
2. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად, ტ. II, „პალიტრა L“, თბ. 2011
3. ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი 5 ტომად, ტ. III, „პალიტრა L“, თბ. 2011

ნისლის პარადიგმა ვაჟა-ფშაველასა და ტერენტი გრაველის კოეზიაში

ბიბლიის, ქრისტიანული ღვთისმეტყველების მიხედვით, ღმერთი კაცთაგან დაფარულია, უზენაესი ღვთაებრივ ნისლში სუფევს და ადამიანებს ეცხადება ელვის, ღრუბლის ან ნათლისა და ცეცხლის სვეტის სახით.

ჭეშმარიტი არსებობის მიზანი გამოცხადებაა და ღვთაებრივ ნისლში შეღწევა მხოლოდ ზნეობრივად განწმენდილ ადამიანებს ხელენიფებათ.

ფსევდო დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი) წერდა საღვთო ნისლის შესახებ: „ზეშთაარსებისა იგი ვიხილოთ ნისლი ყოვლისგანვე არსთა შორის ნათლის დამალული“ (1, 201).

ბიბლიაში მოსე იყო ღვთის რჩეული და ამიტომაც ხელენიფებოდა საღვთო ნისლში შეღწევა: „მოსე მიადგა ნისლა, სადაც ღმერთი იყო (გამოსვლა, 20, 21) (2, 77).

„არეოპაგიტულ კრებულში“ დიონისო არეოპაგელია უხილავის მხილველი. ჰიმნოგრაფიაში საღვთო ნისლში შესვლას ესწრაფვიან ი. მტბევარი, ეზრა, ი. მინჩხი, ისინი ელტვიან „შეუვალსა ნისლსა ღვთისასა“.

სასულიერო პოეზიაში ნისლი ცოდვის, წვალების, ვნებისა და უღმერთობის სიმბოლოცაა.

ნ. ბარათაშვილის ნისლიდან მბჟუტავი ვარსკვლავი – სატრფოა, აკაკის ნისლით დაბურული სატრფო – სამშობლო, ვაჟას ნისლიანი ვარსკვლავი – მისი პოეტური იდეალი.

ნისლი მრავალგვარ ჭრილში გაიაზრება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში („სტუმარ–მასპინძელი“, „გველის მჭამელი“, „მთათა ერთობა“, „ბახტრიონი“, „უიღბლო იღბლიანი“, „სისხლის ძიება“, „მანდილი“, „ხის ბეჭი“, „ბახტრიონი“, „ძაღლიკა სიმიკაური“, „სინდისი“).

ნისლის საშუალებით დაახასიათა ვაჟამ ბედი, ფიქრი, განწყობილება, სიყვარული, ცხოვრების სწრაფწარმავლობა, შური, მტრობა, იუდა, კაენი.

სიკეთის სიმბოლოდ გააზრებული ნისლია „ბუნების გლოვაში“, „მოლოდინში“.

ნისლით გრძნობების და ფიქრების დახასიათებაა ლექ-სებში „კახეთს“, „ფანდურს“.

ვაჟას განუმეორებელ ხილვათა რიგს ეკუთვნის განაცხადი: „ნისლი ფიქრია მთებისა, იმათ კაცობის გვირგვინი“.

ნისლის საშუალებით გამოხატა ვაჟამ შეუცნობლობის, სხვათა დაუნახაობის ტკივილი, პერსონის უგულებელყოფის, ჩრდილში მოქცევა, მისი ღირსების დაფარვა.

ასეთი ხერხი ცნობილია ლიტერატურის ისტორიაში.

ლესინგი აღნიშნავს, რომ „პომეროსმა დაამუშავა არსი-სა და მოქმედების ორგვარი სახეობა: ხილული და უხილავი... პოეტისათვის ნისლი, ღრუბელი, ღამე... პოეტური ხერხია... იეროგლიფია, სიმბოლური ნიშანია, რაც ცვლის გამოთქმას: „უჩინარი, გაუჩინარება... და დამკვირვებელს ეუბნება: „უნდა წარმოიდგინოთ, რომ უჩინარია“. პომეროსთან გმირის წინასწარ ნისლში გახვევა იმ მიზნით კი არ ხდება, რომ ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა გმირის ნაცვლად ნისლი დაინახონ, არა-მედ იმისთვის, რომ მნახველმა იგრძნოს, კაცი გაუჩინარდაო. რაკი ნისლით დაიბურა, ის უკვე უხილავია“.

პომეროსისეული ნისლები... გაუჩინარების, გაქრობის ნიშანია და ლესინგი უკიუინებს მხატვრებს პოეზიისა და მხატვრობის საზღვრების მოშლას, შენიშნავს, რომ ისინი პო-მეროსისეულ ნისლებს ყოველთვის და არასაჭირო შემთხვევა-ში იყენებენ (3, 92, 94, 95)

პომეროსის „ილიადაში“ ტიდევსის პირმშოს „ლმერთი იცავს, მხრებზე ნისლი დაუფენია, მოფრენილ ისარს მეყსეულად აშორებს ხოლმე“ (4, 84).

ზევსი ჰერას ოქროს ღრუბელს მოახვევს, რათა სხვათათვის უჩინარი გახდეს მათი შეხვედრა: „შემოგეხვევა შენ გარშემო ოქროს ღრუბელი, შიგ ვერ შეაღწევს შუქმფინარი მზე – ჰელი-ოსი... იწვნენ უკვდავნი, მოებურათ ოქროს ღრუბელი“ (4, 270).

აპოლონმა „გმირი შებურა ყომრალი ღრუბლით“ (4, 440)

იგივე ხერხია გამოყენებული „ოდისეაში“: „ტელემაქე და ოდისევსი ათინამ ნისლით შებურა და უგრძნეულოდ გაიყვანა ქალაქიდან“ (5, 371).

მოვლენათა გაუჩინარება – გაიდუმალების ხერხი უცხო არაა ხალხური შემოქმედებისთვისაც.

ჰომეროსისეულ კონტექსტში გამოიყენა ვაჟამ ნისლები „იალბუზში“, რომელშიც ნისლი სხვათა ღირსების გაუფასურების, მიჩქმალვის საშუალებაა. ბუნების ეს მოვლენა ბოროტთა და შურიანთა მსახურად აქცია ჰოეტმა. მთელი წელი იალბუზს ნისლი ჰავარავდა. ის ასკვნის: „მიზეზად მძულვარებისა ჩემი სიდიდე ვცანია. ალარც ეს მინდა, თუ მისგან შემიძულებენ ძმანია“.

იალბუზი ღმერთს ევედრება: „გთხოვ, გამასწორო სხვებთანა და შემიმცირო ტანია. მით მოვსპოთ საშუალება, შურისა მოსაყვანია“ (6, 253-257).

მაგრამ ღმერთმა არ განირა იალბუზი. მან ბრძანა ჰავოთის შეჩერება და ნისლების უკან მოდენა. ანგელოზების ნასროლი შურდულით ეშმაკი ჯოჯოხეთში ჩავარდა და ხანმოკლე გამოდგა მისი ზეიმი. მთებს ანგელოზი დაეპატრონა.

„იალბუზის სიმღერაში“ ქარით და ნამქერით განამებული იალბუზი ამბობს: „იქნებ სიმაღლემ მიმრავლა საგრძნობი – საწუხარია?!“ ამ ლექსში ნისლი იალბუზის მანუგეშებელია.

„ალუდა ქეთელაურში“ ნისლი პერსონაჟის გაუცხოებას მიასწავებს.

„სტუმარ-მასპინძელში“ ჯანლი ფარავს პოემის ბოლო თავის სასიამოვნო სანახავს.

ტერენტი გრანელის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედები-

თი პრინციპი იყო სახე-სიტყვათა მრავალმნიშვნელოვნების პრინციპი, საგანთა, მოვლენათა ხილვა არა მხოლოდ ერთ ჭრილში, არამედ მისი მოაზრება სოციალურ, ეროვნულ, ფი-ლოსოფიურ, ფსიქოლოგიურ ასპექტებში.

მის პოეზიაში ერთ-ერთი ასეთი საინტერესო სახეა ნის-ლი.

„მემენტო მორის“ ავტორს ზეცაში, ცათა ცაში ეგულე-ბოდა საღვთო ნისლი, სადაც მხოლოდ ერთეულებს, ღვთისა-გან რჩეულთ ხელენიფებათ შესვლა, როგორც ებრაელი ხალ-ხის წინამძღოლს – მოსეს.

ტერენტი გრანელს არა მხოლოდ მიწა და ცა აინტერე-სებდა მზის, მთვარის, ვარსკვლავეთის, პლანეტების საიდუმ-ლოების წვდომას ცდილობდა. პოეტის ყოვლისმომცველი სუ-ლი მიწიდან პლანეტებზე მაღლდებოდა: „...მე ხომ მიწიდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მიწიდოდა გაფრენა ცისკენ. იქ უხი-ლავი მხარე მიცდიდა და ნისლიანი უსაზღვრო სივრცე... იმ პლანეტებზე ფიქრი მიმძიმდა და გაგიჟებას ველოდი ისევ“... (ექსკურსია ცისკენ)(7, 30).

პოეტის სურვილი იყო, ნისლივით ცამდე აეზიდა პიროვ-ნული და საერთო სატკივარი: „ნისლივით მიმაქვს ცისკენ გლოვა ჩემი და სხვისი“ (გემი) (7, 122).

ზღვები და ნისლი ხელს უშლიდა „მემენტო მორის“ ავ-ტორის იდეალთან მიახლოვებას: „სადღაც ზღვები ღელავ-დნენ, სადღაც მხოლოდ ნისლია, დავიღალე, შენამდე მოსვლა არ შემიძლია“ (ლენორას) (8, 174).

„...სადღაც შორს, ნაპრალებში“ ნისლი ელანდებოდა (8, 247).

ნისლიდან, ბურუსიდან ფიქრის დაბადებას ეხება ღექსი „ნელა მოვალ, სიჩუმეა ირგვლივ“ (8, 235).

ნამება, ნისლი, ცრემლი და სისხლი უძღვის წინ სანთ-ლის – სათქმელის გამობრყინებას: „საღამო – კანკალი სან-

თლის, ირგვლივ დაწოლილი ნისლი. ფარული წამების ლანდი, პოეტის ცრემლი და სისხლი“ (ზამთრის ბარელიეფი) (8, 42).

„ვედრება და ნისლი მოედო ჩემს თვალებს“, ნათქვამია ლექსში „კვირის წირვები“ (8, 83).

„რად შრება სისხლი, რას ვფიქრობ ხშირად, ეს წმინდა ნისლი, ეს წმინდა კვირა“, წერს პოეტი, რომლის მიზანი იყო საღვთო ნისლში შეღწევა (წმინდა კვირა) (8, 24).

ტერენტი გრანელი ისე წავიდა ფიზიკურად ამ ქვეყნიდან, რომ არათუ აღიარება და დაფასება, მუდმივი დევნა განიცადა ათეისტური იმპერიის ხელისუფლებისა და დაქირავებული პროლეტარული კრიტიკის უნიჭო, წარმომადგენლებისან, უფრო მეტი, მოვლენების ობიექტურად შემფასებელი, „სისხლით დაფენილი გზების“ პირუთვნელი მამხილებელი, მოუთვინიერებელი პოეტი გიუად გამოაცხადეს და ფსქიატ-რიულ საავადმყოფოში გამოამწყვდიეს, სადაც 860 ნახატი შექმნა, (დიდი ნაწილი მისი ნახატების დაკარგულია,) რომელთაც ევროპის დიდი მხატვრების შედევრების გვერდით ახსენებს გამოჩენილი, მსოფლიოში ცნობილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია.

„მემენტო მორის“ ავტორი შეიწირა კატიჭამიების ეპოქამ, ის, როგორც შემოქმედი, მუდმივად იგნორირებული იყო, გაუცხოების ნისლი ებურა, რადგან ასე სჭირდებოდა სიცრუის მსახური ეპოქის ვაიმწერლებს, ზოგჯერ ზღვის ღელვისას ანუ შთაგონების მოვლინებისას ყველაფერს ნისლის, გამოუცნობლობის ბურუსი ებურა: „... და სადღაც ღელავს ზღვა ძლიერი და ზღვა ირხევა და ყველაფერი მიწიერი ნისლში ებვევა“ (ეს ყველაფერი ჩემზე ითქვა) (8, 225).

ვედრებისას ნისლმოდებული მზერაა „კვირის ნისლებში“ (8, 83).

„სულში... ბოროტების შავი ნისლი“ ფიგურირებს ლექსში „საიდუმლო მისალმება ჭლექიან სამრეკლოს“ (7, 24).

სალამოს ლოცვა მთაზე ნისლს მოაზმანებს, ფოთლის შრიალს შეაგრძნობინებს: „...როგორც სალამოს ლოცვა, დადგება მთაზე ნისლი. მიყვარს, ღამეში როცა ფოთლის შრიალი ისმის“ (ღამე, მთვარე და ქარი) (8,211).

პოეტი ნისლის სურნელს შეიგრძნობს, ფიქრები და ხილვები აემგზავრება, „სულის ლანდს“ ხედავს (სული საღმრთო სახელია) და რწმენის გზას, უზენაესთან შერიგებას მიეღოვის მისი ლექსის ლირიკული პერსონაჟი: „ისევ დადგება სურნელი ნისლის, სულს წაიღებენ თეთრი ფიქრები... და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (7, 193).

ზოგჯერ ხედვის ხელისშემშლელი ნისლი იელვებს ტერენტი გრანელის შემოქმედებაში: „თითქოს ნისლია, არაფერს ვხედავ და თითქოს მქონდა შავი ნიღაბი და ბოლოს უცებ წამილო ნისლმა“ (სიზმარი) (7, 265).

ასეისტურ ეპოქაში მცხოვრებ პოეტს არასდროს გაუწყვეტია კავშირი რწმენასთან და ბუნებრივია, მისი მთავარი სურვილი იყო თანამედროვეთა ქრისტიანობისკენ მიბრუნება, რაც მოგვიანებით მოხდა კიდეც.

დამოწმებანი

1. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), „შრომები“, თბ., 1961
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი I, 1990
3. ლესინგი, „ლაოკონი“ ანუ მხატვრობისა და პოეზიის საზღვრების შესახებ“, თბ., 1986
4. პომეროსი, „ილიადა“, ძველბერძნულიდან თარგმნა რომან მიმინოშვილმა, თბ., 1990
5. პომეროსი, „ოდისეა“, თარგმანი ზურაბ კიკნაძის და თამაზ ჩხენკველის, თბ., 1975
6. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად, ტ. 3, „პალიტრა L“, თბ., 2011

7. ტერენტი გრანელი, ტ. I, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტა L“, თბ., 2012
8. ტერენტი გრანელი, თბ., 2011

ყვავ-ყორადითა ციკლი ვაზა-ფშაველასა და ტერენტი გრანელის პოეზიაში

ტერენტი გრანელის პოეზიის უპირველესი პრობლემაა ბრძოლა სიკეთეს და ბოროტებას, ამაღლებულ იდეალებსა და მიწიერ, პრაგმატულ ინტერესებს შორის.

„მემენტო „მორის“ ავტორის სახისმეტყველებაში ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უკავია ყვავ-ყორანთა ციკლს, რომელიც მოაზრებულია ნეგატიურ კონტექსტში.

ამ ჭრილში ქართველ პოეტს მრავალი წინამორბედი თუ თანამედროვე ჰყავდა ქართულ თუ უცხოურ პოეზიაში, მაგრამ ეს ბოროტების სიმბოლოც პლანეტების პოეზიის ავტორ-მა მოიაზრა სრულიად განსხვავებულ მხატვრულ კონტექსტში, „უვალი გზით“ მავალი ავტორი არასოდეს დამონებია ბოროტებას, პირიქით, ყოველთის თავისუფლება იყო მისი უპირველესი იდეალი.

ტერენტი გრანელის ყვავებს, ყორნებს, ძერებს თავიანთი ადრესატები ჰყავდათ ტოტალიტარულ ეპიქაში, მაგრამ ნაწამები პოეტი, რომელიც არანაირი მიწიერი უზრუნველყოფის საფასურში არ შეეფიცებოდა ბოროტებას, მუდმივად „საოცრების კარებთან“ (საოცრება საღვთო სახელია) იდგა თავისი ამაღლებული ჩანაფიქრით, უიმედობას უქარწყლებდა შთაგონება – „ცისფერი სინათლე“.

ბოროტებას – ყორანს წამება მოჰქონდა: „...ეს გული ყორანმა წაიღო, წამებას კიდევ ავიტან, თითქოს ყოველივე, რაც იყო, ყრუ სიშორეში წავიდა“.

არსებული ვითარება მწუხარებას იწვევდა, მაგრამ პოეტი შეჰებაროდა გაზაფხულს, საოცრებას: „შემდეგ მწუხარება გამეფდა, ჩუმად მოვიდა გაზაფხული. ვდგავარ საოცრების კარებთან, როგორც ყიზმარი წარსულის“.

გაზაფხული, ძველი ქართულით ზაფხული საღმრთო სახელია წმინდა წერილში: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 64/65, 12)(1,586).

ყორანი, რომელიც სიმბოლოა პოეტის თანამედროვე ავგენითი დროის, უიმედობას ავრცელებს, სიკეთეს, სინათლეს ებრძის, მაგრამ პოეტი ისევ გაფრენის – შთაგონების ძალით, სულში დავანებული „ცისფერი სინათლის“ წყალობით მაინც ერთგული რჩება თავისი მოწოდების: „ახლაც უიმედო წამია, წუხელ გაფრენა ვინატრე. გულში – ნისლიანი ღამეა, სულში-ცისფერი სინათლე“ (ცისფერი სინათლე) (2,264).

სინათლე, ნათელი საღვთო სიმბოლოა, რომელსაც ტერენტი გრანელის ლექსში ეპითეტად „ცისფერი“ უძღვის (ზეცის, ამაღლებულობის სიმბოლო) და ამ სიმბოლურ-მეტაფორული სახით ხდება მინიშნება, რომ ყორანი – ბოროტება უძლურია უზენაესთან – „ცისფერ სინათლესთან“ დაპირისპირებაში.

ზვიად გამსახურდიამ ლექსების მთელი ციკლი უძღვნა ტერენტი გრანელს. ლექსში „გაქცევა“ პოეტი გარიურაჟს მოელის, ხოლო „სვავი უტიფარი“ ნამკვდრევის სუნს. ტერენტი გრანელს ასდევნებია „სულთამხუთავი“, „სახრიობელა“ „დაბილნ მოლოდინში ნერწყვს ყლაპავს ყვავი“, რათა „სიკვდილის ცელი“ დააწიოს პოეტს, ირგვლივ „ჩექმების გრიალია“ და აშკარაა, რომ ყვავის, სვავის „უტიფარ“ სახეში ქვეყნის სათავეში მდგომი დიქტატორია მოაზრებული („გაქცევა“, ციკლიდან „ტერენტი გრანელი“) (3,92-93).

სინათლის, სიკეთის მაძიებელ, შორი გზებისკენ მაყურებელ პოეტს ქორივით ასდევნებია „შუალამე“, „მფარველი თვა-

ლი“ არ ჩანს ათეისტურ საუკუნეში: „ეს შუალამე მკრთალი დამეცა, როგორც ქორი. არ ჩანს მფარველი თვალი, ირგვლივ გზებია შორი“.

პოეტი გულმხურვალედ ლოცულობს „იისფერ თოვ-ლზე“, მიჰყვება სიზმრებს, გასცექრის „შორეულ გზებს“, ელოდება „შორეულ იღბალს“: არის ცისფერი თოვლი, თეთრი ლოცვების გაღმა, სული, ფარული თრთოლვით მისდევს სიზმრების დაღმართს... შორეულ იღბალს ვუცდი, როგორც უმზეო ამინდს“ (ლოდინი ბედის) (2,184-185).

„თვალი, მფარველი თვალი“ ათეისტური ეპოქიდან გან-დევნილი უფალია.

გზაც საღვთო სახელია, ისევ გაუცხოებული ურნმუნო დროში.

პოეტი მაინც ლოცულობს, სიზმრებზე (მხატვრულ გა-მონაგონზე) ფიქრობს და უმზეო, ღმერთისგან განშორებულ დროში ელოდება „შორეულ იღბალს“.

ყორნის, ყვავების ენიგმა გაშიფრულია ზვიად გამსა-ხურდიას ზემოხსენებული ციკლის ლექსებში „ქარის გობელე-ნი“ და „ყორნების დილა“.

„ყვავები ბექობზე ლევენ ჩვილ სისხლის ნაღებს“... სახე-ზეა წამება, ცივი განთიადი, ავის მაცნე ზარი, არნახული კუ-ბო“ (ქარის გობელენი) (2,93).

„ყორნების დილაში“ ყორნები მორიგეობენ, ლეშებზე სხდებიან, „სისხლის ფიალას სცლის ყორანი თამადა, თანამე-ინახენი ჩხავიან ჰიმნს, მართალთა გულლვიძლი მიართვეს ქრთამადა, ცოცხლად შთენილებზე იკლავენ ჟინს. დაიწყო ყორნების ვაკხანალია, წყვდიადის სტომაქმა ნათელი დალია“ (3,93-94).

აუტანელი ვითარება ხშირად სიკვდილს ანატრებინებდა პოეტს, რადგან ყორნისგან მოვლენილ წამებას ბოლო არ ჰქონდა: „...ჩუმი დღეა და მწვანეა გორა, და კარგია, მოვ-კვდებოდე ჩქარა. თითქოს გული გადავეცი ყორანს, მთისკენ

მიდის ცარიელი შარა... ჩემს წამებას ბოლო აღარ უჩანს“ (ფიქრები ნაძალადევში. ირა რადივსკაიას) (2,180).

მიუხედავად იმისა, რომ პოეზიის მოყვარულ ინტელექტუალთა შორის, დიდი გალაკტიონის გვერდით ტერენტი გრანელი გასაოცარ ფურორს ახდენდა, დროის თანამდევი ქორი იყო, რომელიც ყველგან დაპეროდდა და სიკვდილს ანატრებინებდა სიმართლის მსახურთ, პოეტს კი, რომელიც „წამების მორევში“ ცხოვრობდა, ენუგეშებოდა თავისი შემოქმედების და მოუთოკავი სულის პოპულარობა (2, 257).

ლექსში „ირგვლივ ეყარა ვარდის კონები“ ისევ სევდით გულმოკლულია პოეტი და ამის მიზეზს სიმბოლურ-მეტაფორული ხელნერით გვავგრძნობინებს: „...ბალს დახურული ჰქონდა ფოთლები და ჩემს მახლობლად ყვავი ჩხაოდა“ (2, 147).

ბალი, „მორწყული ბალი“ ებრაელი ხალხის პარადიგმაა წმინდა წერილში (იერემია წინასწარმეტყველი) (თ. 31,11) (4,155).

ვფიქრობთ, ტერენტი გრანელის ლექსშიც ამგვარი გაგების არის ბალი, ანუ ჩვენი ქვეყნის სიმბოლოა, ხოლო მახლობლად აჩხავლებული ყვავი ისევ და ისევ უკეთურების, უადამიანობის ტკივილს მოასწავებს, რადგან ათეისტურ ეპოქაში მოვლნილ ხელისუფალთ, ყვავივით მტაცებელთ, დიქტატორთ, ხალხის, მოაზროვნე საზოგადოების დამონება დაუსახავთ მიზნად.

ლექსში „ფარული ვედრება“ (2,151) სევდიანია გარემო, აპრილს ყვავები ასდევნებიან, მათ არ აინტერესებთ რწმენა, ხატები, ანგელოზები, ხოლო პოეტი ტაძარში „მწუხარე ლოცვებით“ შედის და ამბობს: „წირვებით წამიღებს წამების მწვერვალი“... ირგვლივ უდაბნოა, ურნმუნოება, შთაგონებული პოეტი „ლანდების ასეულს“ ანუ შთაგონებისას მოვლენილ ხილვებს მიჰყება და „ქუჩაში მცხოვრები, სახლიდან გაქცეული“ შენდობას ევედრება წმინდა მარიამ ღვთისმშობელს.

მოგონებებით, შთაგონებით ატანილ, გრიგალთან, ბოროტებასთან მეპრძოლ პოეტს ყვავი და მისი ნაშიერები მტრობით ხვდებიან და მწუხარების ტყვეობაში აქცევენ (ელავს ზეცა და ღრუბლები შავი) (2,56).

ყვავის მოვლინებას მოაქვს დარდი, დალუპვის შიში, ქალულის მძიმე გოდება, სიყვითლე, სიკვდილის მოახლოება (შემოდგომა მინდვრებში) (2,20).

ღრუბელს, ქარს, ყვავს სიკვდილის შიში, ცრემლი უკავ-შირდება, პოეტი მაინც „ცისფერ ქვეყანასთან“, პოეზიის საუფლოსთან არ წყვეტს კავშირს (ქარი ეწვია ყვავილს (2, 136).

მიუხედავად იმისა, რომ დღეს, სინათლეს „შავი და საშინელი ლამე“ ენაცვლება და ბოროტება – „შავი ყორანია“ სახეზე, რომელსაც საფლავებზე ფიქრი მოაქვს, პოეტს არ ტოვებს ფიქრი საკუთარი გენიალობაზე, იმაზე, რომ მისი პოეზია მარადიულია და ბედნიერებად თბილისში – პოეზიის სავანეში საფლავის პოვნა ესახება: „...ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი... ქვევით საფლავებია და ზევით ფიქრები (ალბათ გენიოსი ვარ და ცისფერ სიშორე). დაო, ასე მგონია, ბედნიერი ვიქნები, სადმე ახლოს თბილისთან თუ სამარე ვიშოვე“ (ცისფერი სიშორე) (2,11).

ლექსში „სასახლის ბალი“ ისევ ყვავის ჩხავილი ესმის პოეტს, მაგრამ „სიცოცხლე“, „ყვავილზე“ ფიქრი ანუგეშებს (2,9).

სიცოცხლე საღვთო სახელია.

ყვავილი უფლის სიმბოლოა წმინდა წერილში: „ყვავილები დაჩინდნენ მიწის პირზე, უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა, 2,12).(4,15).

მიუხედევად იმისა, რომ გრიგალი მძვინვარებდა, ყორანი არ ცხრებოდა და „საშინელ ბედზე“, სიკვდილზე ფიქრობდნენ ადამიანები, უბინაო პოეტი ლექსებს „გარეთ“ წერდა და მთელი მსოფლიოს სატკივრების გათავისება შეეძლო: „მომკლეს დღეებმა გაუგონარმა, ახლა აქედან მე ვგრძნობ მსოფ-

ლიოს. გული წაიღოს ტყეში ყორანმა, სული გრიგალმა გაიყოლიოს. დღეს ბევრი ფიქრობს საშინელ ბედზე, მოდის სიკვდილი და ეს იციან. არ მინდა ბინა, ლექსებს გარეთ ვწერ და ჩემთვის ბინა ხომ თბილისია“ (მომკლეს დღეებმა გაუგონარმა) (2, 135).

მიუხედავად „ლამის“ და ყორნის მეუფებისა, უფსკრულის, სამარის ხილვისა, პოეტი უზენაეს ძალებთან არ წყვეტდა კავშირს, ქრისტეს და ანგელოზების მოვლინება ეიმედებოდა: „...გამოჩნდა ქრისტე და ყვავილებით ანგელოზები ჩემსკენ მოდიან... და სასიკვდილო თეთრი ცრემლიდან მე ვიხედები, როგორც იქსო“ (შემოდგომის პასტორალი) (2, 105-106).

პოეტს უფლის მიერ ცოდვებისთვის დანგრეული ბაბილონიდან ყორნების ხმა ესმოდა, „ბედის კუთხეში“ დარჩენილს „უხეში ბრძო“ უცქეროდა, სიკვდილის ზარები აწამებდა ლოცვებით გატაცებულს, რწმენის ერთგულ მსახურს, თავის მისიად ქრისტიანობის ერთგულება ესახებოდა, უდაბნოში (უდაბნო ურწმუნო ადგილის სიმბოლოა) ყვავილების (ყვავილი საღმრთო სახელია) დაცვა, შორეული ალების (ალი, ცეცხლი ღმერთის სიმბოლოა) მსახურება ესახებოდა მიზნად (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე) (2, 85).

ყორნის ავტედითი ჩხავილი კი არ თრგუნავდა, „უვალგზებს“ კვალავდა პოეტის თვალში, „თეთრი ყვავილი“ სიყვარულის, თავისუფლების გზას უჩვენებდა: „...თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი. ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“ (სიზმარი) (2, 138).

საყოველთაოდ ცნობილია ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ და მასში ნახსენები „თვალბედითი შავი ყორანი“.

ვაჟა-ფშაველას პოეზიაში დაჭრილი არწივი ყვავ-ყორნებს ეომება (5, 246).

„სიკვდილის მსურველი ყორნები“ ჩხავიან ვაჟას ლექსში „კიდევაც ვნახავ გაზაფხულს (5, 122-123).

„ვხდებით ყვავ-ყორნის სადილად, ტურა-მგელთ გასაყ-ვლეფები“, ჩიოდა ვაჟა ლექსში „ილია ჭავჭავაძის სახსოვრად“ (5, 133-134).

ლექსში „ამგლიჯა გული შავმა ყორანმა“ (სიმღერა) იმ უბედურებაზეა საუბარი, რაც ყორანს – ბოროტებას მოაქვს საზოგადოებისთვის (5, 135-137).

„ამაო ომში“ ყვავი და ყორანი ცდილობენ არწივის საბუდრის დასაკუთრებას (5, 146).

როგორც ყორანი, ისე ოცნებაც მუდმივი თანამდევია გე-ნიოსი პოეტისთვის (გავხედავ გამოვლილ გზასა) (5, 162-165).

ლექსში „პასუხი ბაჩანას“ (მისი ლექსის გამო) პოეტი წუხს არაობიერებურობაზე, არასწორ კრიტერიუმებზე, რაც დამკვიდრებულა საზოგადოებაში: „...ყორნის ყრანტალად ქცეულა ბულბულის სტვენა ჭალებში“ (5,188-189).

ვაჟას „ქებათა ქებაში“ ისევ უკეთურთა მიერ სხვისი ნიღბის მორგებაა მხილებული: „ვირები ბედაურობენ, ყვავი ბულბულობს... დიახო“ (5, 181-183).

„ქებათა ქებაში“ ქათმები ბეცები აღარ არიან, ისინი ნიღბიან ქორს ამოიცნობენ და ურჩევენ, ფრთები შეიკვეცოს.

როგორც ვნახეთ, ვაჟა-ფშაველას და ტერენტი გრანე-ლის ყვავ-ყორნების ციკლი ეპოქის ბოროტებას ამხელს, ეს პოეტები უკომპრომისო არიან უკეთურობასთან დაპირისპი-რებაში.

დამონშებანი

1. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
2. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პა-ლიტრა L“, თბ. 2012
3. ზვიად გამსახურდია, „კოსმიური წირვა“, ლექსები, თბ. 2014

4. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
5. ვაჟა-ფშაველა 5 ტომად, ტ.2, „პალიტრა L“, თბ. 2011

სულთა სიახლოვე

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის სულიერი ნათესაობის ერთობლივი ასპექტი

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის შემოქმედებითი ნათესაობა, მათი სულიერი სიახლოვე, მრავალ ასპექტში გამოვლინდა. თავის თანამედროვეთაგან პოეტების მეფეები განსაკუთრებულად მხოლოდ ტერენტი გრანელი გამოარჩია, უწოდა მას „ხალასი გენია და ნიჭი, ჭეშმარიტი პოეტი“ და „მემენტო მორის“ ავტორის „საამო ქართულით“ მოხიბლული გულწრფელად მიესალმა ამ უაღრესად თვითმყოფი მხატვრული სიტყვის ოსტატის ლირიკას. ტერენტი გრანელმა მეოცე საუკუნის ქართული პოეზიის რენესანსის გალაკტიონის სახელს დაუკავშირა და თავიანთი ინტერესების ერთგვარობას უტყუარი დიაგნოზი დაუსვა: „ისევ ერთმანეთს უახლოვდება სული ჩემი და გალაკტიონის“.

ეს „მგლოვიარე სერაფიმები“, გედის ორდენის რჩეული რაინდები მრავალგზის ტოლებივით პირველობდნენ სიტყვიერ ფარიკაობაში ეროვნულ თუ მსოფლიოს არენაზე, ახალი მერიდიანიც გაავლეს სულის გლობუსზე და ერის მარადიულ მეგზურებად იქცნენ.

ჩვენი მიზანია ამჯერად ამ ორი გამოჩენილი პოეტის შემოქმედებითი ნათესაობის ერთ ასპექტს გავადევნოთ თვალი.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნებისათვის საბედისწერო გამოდგა ათეიზმი, ახალი კერპების ძიება ლმერთის უარყოფის ხარჯზე, გამოგონილი ბელადების, არარსებული წარმატებების ხოტბა. იდევნებოდა რწმენა, ღვთისნიერობა, სიკეთე, პოლიტიკურ დეზერ-

ტირობად ცხადდებოდა ცხოვრების საზრისის ძიება, იკრძალებოდა ეროვნულ პრობლემებზე წერა, მოვლენებისთვის ნამდვილი სახელის დარქმევა. შერისხული და რეპრესირებული იყვნენ ჭეშმარიტების მსახურნი.

მერე გაირკვა, რომ გეზსამცდარი მარქსიზმ-ლენინიზმის ხომალდი ვერასოდეს მიადგებოდა ბედნიერების ნაპირს, ხოლო უდაბნოში მოხეტიალეებს სამუდამოდ დაკარგვოდათ ორიენტირი.

გალაკტიონ ტაბიძისა და ტერენტი გრანელის განსაკუთრებულობა, მათი შემოქმედებითი ნათესაობა საძიებელია უპირველესად რელიგიურობაში, რაც უცხო იყო ათეისტური საუკუნისთვის.

პოეტების მეფისთვის უმთავრესი იყო პირველი სიყვარული, ტრფობა სრული, მზიანი სიყვარული, სიყვარულის სიმღერა, სიმღერათ სიმღერა, ანუ ღმერთი, უზენაესისადმი აღვლენილი საგალობლები.

ტერენტი გრანელი „ციური ეროსის“ ციურ ჰანგებს გვასმენდა, იგი იყო სიცოცხლის შუქის, ცისფერი სულის, წმინდა გზის, მარადისობის (ღმერთის) მიჯნური.

ორივენი პოეზიას სულინწმიდით მონიჭებულ მადლად სასავდნენ და მხატვრული სიტყვის უპირველეს მისიას იმაში ხედავდნენ, რომ ხალხი წაეყვანათ რწმენის, ტაძრის გზით.

ისინი იყვნენ ეროვნული ტრიადის – ენა, მამული, სარწმუნოება – მსახურები, უფლის ხეხილის მებაღეები, ზეციური ვაზის მევენახები.

დღეს ეჭვს არ იწვევს, რომ „კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია. არარელიგიური კულტურა ფსევდოკულტურაა. კულტურა თავისი არსით და საფუძვლებით რელიგიურია, ეროვნულ-ნაციონალურია და, ამდენად, საკაცობრიო. ცივილიზაცია არარელიგიურია, ინტერნაციონალური (აკაკი მინდიაშვილი, ხელოვნების რელიგიურობის და თანამედროვე სინამდვილის შესახებ).

ათეისტური ბოლშევიზმის სავალალო შედეგებზე დაკვირვებით გამოტანილ იქნა დასკვნა: „უნაყოფო, კულტურის საწინააღმდეგო ნიპილისტური მორალიზმიდან პირი უნდა ვიბრუნოთ შემოქმედი, კულტურისმქმნელი, რელიგიური ჰუმანიზმისკენ“ (სემიონ ფრანკი, ნიპილიზმის ესთეტიკა) (1,66).

პავლე მოციქული მოუწოდებდა რწმენის ერთგულებს: „ელაპარაკეთ ერთმანეთს ფსალმუნით, გალობითა და სულიერი საგალობლებით, უმღერეთ და ეფსალმუნეთ უფალს გულებში“ (პავლე მოციქული, ეფესელთა 5,19) (2,420).

გალაკტიონი ერთგულებდა „სრულ ტრფობას“, ძველ გზას, ძველ ლვინოს, ძველ სიყვარულს (გზა, ლვინო, სიყვარული საღმრთო სახელებია), გამუდმებით ახსოვდა „ერთი შორი ოცნება,... ძველ მოტივიდან“, ანუ საღმრთო სიყვარული.

ახალი, „უვალი გზით“ მავალი ტერენტი გრანელი „ძველ ფიქრებს“ მიაგებდა პატივს და ამ შემთხვევაშიც ძველი რწმენა იგულისხმებოდა: „ძველი ფიქრები ისევ დგებიან, ალბათ ასეა წება განვების“.

ისინი იბრძოდნენ რწმენის, სულიერების გადარჩენისათვის. მათი ცხოვრება სულის გამუდმებული ლვიძილი იყო, ზნეობრივი სიწმინდით, ლოცვა-ვედრებით ლმერთან მიახლოების სურვილი, უზენაესისადმი აღვლენილი უებრო საგალობლებით გატაცება.

არეოპაგიტიკის მიხედვით, ლმერთის ხილვა, სულიერი განწმენდა ლოცვით არის შესაძლებელი: „...ხოლო ჩუენ თავთა ჩვენთა ლოცვით აღვიყვანებით უმაღლესთა მიმართ აღხილვათა საღმრთოისა შარავანდედთა“ (3,226,10).

„ლოცვათა ფრთა, უბინო ლოცვა, ლოცვის სათნოება, მდუმარე ლოცვა“ იქცევს ყურადღებას იოანე პეტრინის „სათნოებათა კიბეში“, ლოცვის ფრთა კი სარწმუნოებაა: „სარწმუნოება ფრთოვან ჰყოფს ლოცვასა და უმისოდ ზეცად ვერ ძალუძს აღსვლად იმას“ (4,231).

ლუდეიგ ფოიერბახის „ქრისტიანობის არსებაში“ არის

სპეციალური თავი – „გრძნობის ყოვლისშემძლეობა ანუ ლოცვის საიდუმლო“, რომელშიც ნათქვამია: „განა რა არის ლოცვა, თუ არა სურვილი გულისა, იმ ღრმა რწმენით გამოხატული, რომ იგი ასრულდება? ლოცვა ცვლის ბუნების მსვლელობას, ლოცვა განსაზღვრავს და იწვევს ღმერთის მოქმედებას... ლოცვაში ადამიანი ივიწყებს, რომ არსებობს ზღუდები მისი სურვილისა და ამ დავიწყებაში იგი ნეტარი, ბედნიერია“ (4,169).

დიდი გერმანელი პოეტი ერიხ მარია როჟკე წერდა: „ლოცვა უეცრად აალებული ჩვენი ყოფიერების გაბრნყინებაა – თავად ლოცვაა შემოქმედება“ („წერილები“).

ფრანც კაფკას თქმით კი, „წერა თავისებური სულების შელოცვაა... პოეზია გვაღვიძებს ჩვენ... პოეზია ლოცვას ჩამოჰვას“.

ლოცულობდნენ ქართველი ჰიმნოგრაფები, შოთა რუს-თაველი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა.

მეფისტოფელის საუკუნეში კი პროლეტარული პოეზიის პრიმიტივებმა „დაცინვა, წყრომა და ირონია“ (გალაკტიონი) დაუპირისპირეს უმაღლეს სიბრძნეს, ამიტომაც „დაეცა ლოცვა და პოეზია“ (ალ. აბაშელი).

გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში გრძელდება ჩვენი კლასიკური ლირიკის საუკეთესო ტრადიციები, რელიგიურობაზე წარმოდგენას გვიქმნის ბიბლიური, სახარებისეული თემები, ეპიზოდები, სახეები, იგავები, საღვთო სახელები, მის ლექსებში მოქმედება ხდება სიონში, ტაძარში, უმანკო ჩასახების მამათა სავანეში.

პოეტი დაეძებს „წმინდა ნათელს“, ლოცულობს მარადიული მშვენიერებისათვის: „მშვენება, სული და სილამაზე ჩვენს ლოცვაშია, მუდამ რომ ჰგიეს“ („ავე მარია“) (6,100,106).

მხოლოდ „ლოცვის სიმხურვალეში“ ისმის სულის (ღმერთის) ხმა: „გაქრა ვნება-წამება, როგორც დამის ზმანება, ვით

სულის ხმოვანება ლოცვის სიმხურვალეში“ („ლურჯა ცხენები“) (7,55-56).

„პირველი ტრფობისთვის“ (ლმერთისთვის) აღავლენს გასაკვირველ ლოცვას, ვარსკვლავებით (ვარსკვლავი საღმრთო სახელია) სწირავს: „ვარსკვლავებით მწირველი, ლოცვა გასაკვირველი, ასეთია პირველი ტრფობის ინტერვალები“ („Voiles“).

გალაკტიონი წუხდა, რომ დაიკარგა და აიკრძალა საღვთო ჰანგები, „სიმღერათ სიმღერა“, მაგრამ იგი მზად იყო ისევ ძველებურად ელოცა და რწმენის ჩირალდნები აენთო: „რად ჩაქრა სიმღერათ სიმღერა მქჩეფარე? ავანთებ ჩირალდნებს და ლოცვად დავდგები“ („ტრიოლეტები“) 8,540).

„დომინოში“ გაისმის „სანთლების, წიგნების წყევლა და ვედრება“ (8,165).

გალაკტიონი იყო საღვთო შინაარსის ლექსების – „გაზელების“ ოსტატი, მგოსანი სასახლის („შემოდგომა უმანკო ჩასახების მამათა სავანეში“). სასახლე საღმრთო სახელია, ე.ი. პოეტის მისიაა ქრისტიანობის მსახურება, მხატვრული სიტყვით რელიგიური მოტივების გაშუქება.

„იდუმალი ლოცვა ბაგისა“ გვესმის ლექსში „ხომალდს მიჰყვება თოვლის მადონა“.

„შეუნდე, შეუნდე, შეუნდე ბნელცოდვილს ლიუციფერს, ჩემს სულში ავობით მძვინვარეს“, ევედრება პოეტი „უმანკო ნათელს“, „სასწაულს“ – ღმერთს („სასწაულს“).

„ციურ ალერსზე“ აღვლენილია ვედრება ლექსში „სხვისი სისპეტაკე უფრო აგიუშებს“ (8,362).

გალაკტიონს ქნარი იყო „მარადის ცეცხლის“ (ლმერთის) საგალობელი: „მარადის იგი ხმოვანებს ქნარი, მარადის ცეცხლის საგალობელი“ („პოეტს“).

გულში დაუნჯებული ვედრების ზღვა იასამანთა გროვასთან არის ასოცირებული: „იასამანთა გროვად გროვდება გულში ვედრების ზღვა ნელი ნელი“ („პარალელი“) (8,185).

გალაკტიონი „ჩვეულ გალობას“ არ სწყალობდა, მისი მიზანი იყო „ლურჯი სტანდარტის“ დაძლევა, პოეზიის ახალი, „სხვა კართაგენის“ აგება: „სასტიკი იყო ჩემი დემონი, ვერ ითვისებდა ჩვეულ გალობას, ანგელოზები უედემონი ტიროდნენ გზათა მიუვალობას“ („918“) (7,32).

ტაძრისკენ სვლისას ლოცვის, ზარის ხმა ესმოდა: „ჩვენ მივდიოდით ტაძრისკენ ორი, იყო საღამო, ლოცვები, ზარი“ („ედგარი მესამედ“) (7,118).

ლექსში „გვიანი ოცნება“ ყურადსალებია „წიგნი ვედრებიანი, ალოცება სატანის“ (7,129).

ბერ ღამეში მრუშე მთის (მთა მარიამის სიმბოლური სახელია) ფონზე, ქართან შებრძოლებულ პოეტს მიზნად დაუსახავს ვარდის (ვარდი სლმრთო სახელი) გადარჩენა, რწმენის ქადაგება, ღმერთის ლოდინის სიმღერების შექმნა: „ვით ლოცვა, ედება საღამო მთის კალთებს, შორს ქარი გაჰკივის, ბნელდება თანდათან. მე გავალ ამ ქარში, გავიტან ამ ვარდებს და შენი ლოდინის სიმღერას გავატან“ („ლოცვისთვის“) (7,142).

გალაკტიონის ღვთიური ჰანგები აიაზმასავით მოესხურა ღმერთსმოწყურებულთა სულებს, მოემსახურა რწმენას, პოეტმა შექმნა „გადარჩენის ჰიმნი“, უმღერა „გადარჩენის ბედნიერებას“, რადგან დარწმუნებული იყო, რომ აკრძალვების მიუხედავად, ხალხი მაინც მიუბრუნდებოდა ტაძრის გზას.

პოეტს ეიმედებოდა უზენაესზე ლოცვით გაღვიძებული და გაზრდილი სულის მარადიულობა: „არ მჯერა, სული რომ გაიფანტოს შეზე ლოცვებით აღმონაცენი, ის თვით სიკვდილოის შემდეგაც, მაინც, სამარადისოდ შენია, შენი“ (შემდეგაც, მაინც“).

„...ლოცვად მუხლმოყრილი გრაალს შევედრები“ – ასეთი მავედროებელია პოეტის სული, რომელსაც უმაღლესი განწმენდისათვის მიუღწევია, რადგან გრაალი სულინმინდის სიმბოლოდ მიიჩნევა.

„მზეო თიბათვისა!“ „დედაო ლვთისავ!“ ასეთი უზენაესი სახეებია პოეტის მხურვალე ვედრების საგანი.

თავის განსაკუთრებულობას გალაკტიონი უმაღლესი სიწმინდის ხატის საშუალებით წარმოაჩენდა „ახლა მარტოდ-მარტო ვარ, როგორც მთის ეკლესია“.

ჭეშმარიტი მორწმუნეობის გამო გვხვდება ტერენტი გრანელის ლექსებში ტაძრები, ჯვრები, სამრეკლო, ლოცვები „ტაძარში შევდივარ მწუხარე ლოხვებით, ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება. ლოცვით სული აქაც აივსო, იელვებს ძვე-ლი ლოცვების გროვა, დადგა დრო ფარული და წმინდა ვედ-რების, ჩემს ფიქრებს თან სდევდა ლოცვები სიწმინდის, მე ეს შუადლე გამაოცებს თავის ლოცვებით, შუალამის ვედრება სამრეკლოსთან ბერდება“.

ტერენტი გრანელი ეძებდა ოცნების იქით, სინათლის იქით, სულის გადალმა, სიტყვის იქით, ლოცვების გაღმა, ეძებდა ღმერთს, ჭეშმარიტებას, სილამაზეს და ამაო ძებნა ტკივილით ავსებდა: „უმანკო ლოცვები კვირის ფრთებზე ატირდა, ზამთრის ვედრება მწარე ჩამქრალ ვარდებთან გამი-ნავს, ო, გაქრა ლოცვის ფარული სფერო, და გაფრინდა ლოცვა ციდან მონაბერი“...

ვედრება საღმრთო ნისლში შეღწევის სურვილს უღვი-ძებდა: „ვედრება და ნისლი მოედო ჩემს თვალებს, ფოთლებ-ზე ჩამოწვა სინათლე ღამისა, საღლაც იმალება უცნობი სიმ-კრთალე, ამნაირ ფიქრისგან, უფალო, დამიცავ!“ („კვირის ნისლები“).(9,130).

ლოცვას ხშირად ნისლი მიჰყვებოდა: „როგორც საღამოს ლოცვა, დადგება მთაზე ნისლი“ („ღამე, მთვარე და ქა-რი“)(9,137).

ლოცვა მთვარესთან, ღამის ვედრება, ლოცვა გაფრე-ნისთვის – ასეთია პოეტის ლოცვის არეალი.

ლოცვის მიზანია „შორეული ნიუანსების“ მიგნება, რის-თვისაც საჭიროა მთელი ძალისხმევა: „იელვებს ძველი ლოც-

ვების გროვა, აპრილის დამდეგს მოვიქანცები. იქნება ისევ უცნობი გლოვა და შორეული ნიუანსები“.

ლოცვასთნ მოიხსენიებენ ბოდვას.

პლატონი ბოდვას პოეზიას უკავშირებდა და ამბობდა, ბოდვის გარეშე პოეზია შეუძლებლად მიმარინია. პოეზის თანმხლებ ბოდვას პუშკინი „ღვთაებრივ ბოდვას“ უწოდებდა, ალ. ბლოკი – „დიადი ჭყუის ბოდვას“.

ტერენტი გრანელის ლოცვის თანამდევია ბოდვა: „თავზე დამტკირის ბებერი მზის მწუხარე სხივი, ო, ლოცვით მე-ლის ბოდვები“ („შენს გაქცევას“) (9,84).

ვედრებით მაღლდება პოეტის სული, ხოლო ლოცვით სევდის ბალში იზრდება პოეზიის ყვავილები: „ეს ჩემი ბედი ახლა ამაღლდა, ვით შუალამის თეთრი ლოცვები და სევდის ბალში ისევ აყვავდა იები, ვარდი და მიმოზები“ („ჩემზე“) (10,79).

„ლოცვების გაღმა“ იპოვა პოეტმა თავისი იდეალი – ცისფერი თოვლი, სიზმრების სამყარო, – პოეზია: „არის ციფერი თოვლი თეთრი ლოცვების გაღმა. სული ფარული თრთოლვით მისდევს მიზმრების დაღმართს“ („ლოდინი ბედის“) (9,109).

ქრისტეს ჯვართან იწყება ფარული ვედრება წამებით, წირვებით, რადგან ამაღლება ჯვარცმის ტოლფასი ტანჯვის გარეშე წარმოუდგენელია: „ჯვარებთან გაივლის ფარული ვედრება, წირვებით წამილებს წამების მწვერვალი“.

ქრისტიანული ღვთასმეტყველების, ჰიმნოგრაფების მიხედვით, ღვთაებრივი სული ლოცვის ნაყოფია: „ნაყოფად ლოცვისა აღმოცენდი, ლირსო, ეფთვიმი, ღმერთშემოსილო“ (ი. მინჩი).

თეთრ ლოცვებს ჰგავს ტკივილიდან, გლოვიდან აღმოცენებული ტერენტი გრანელის „მინანქრის სტრიქონები“: „და ჩემს სული თეთრ ლოცვებში დატეხილი გლოვის ხაზებად“.

ასეთ სულს კი თეთრი კარეტა და სამოთხე ელოდება („ლოცვა მთვარესთან“).

პოეტის წმინდა ლოცვებით გაბრწყინებული სახე წმიდა-თა სავანეს – ეკლესიას ჰგავდა: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩჩემი სახე, ვით ეკლე-სია“ („საიდუმლო მისაღმება ჭლექიან სამრეკლოს“) (11,102).

ამაღლებული წმინდა სული ბრწყინავს, როგორც ეკლე-სიის გუმბათი: „მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივით ელავს“.

ამ არაჩვეულებრივი სახის წყარო აღბათ სახარების ის ადგილია, სადაც იესომ პეტრე, იაკობ და ოოანე წაიყვანა მთა-ზე და ლოცვისას გაბრწყინდა მზესავით : „და იცვალა მათ წინაშე სხუად ფერად და განბრწყინდა პირი მისი, ვითარცა მზე. ხოლო სამოსელი მისი იქნა სპეტაკ, ვითარცა ნათელი“ (მათე, 17,2).

სამოსლის სისპეტაკეც პოეტის სიწმინდეზე მიუთითებს: „რა ვენა, ცხოვრებას ვერ ვუღალატე, მივალ, მაცვია თეთრი ხალათი“.

წერის პროცესი ლოცვასავით წმინდაა და სახეც კი უს-ხვაფერდება „დავიწყე წერა, სხვა სახეს ვიღებ, სხვა მხარეს ვეძებ“ („მზის დაბნელება“) (12,69).

ტერენტი გრანელისთვის ძალზე ორგანული იყო ლოცვა უღმერთო დროში, მაგრამ იგი სხავარი დროის იმედით ცხოვრობდა: „ვდგავარ ქვეყნის წინ, როგორც მლოცველი, ვითმენ წამებას, სხვაგვარ დროს ველი“.

აქაც შეხვდნენ ერთმანეთს ქრისტიანობის ადეპტები – გალაკტიონი და ტერენტი გრანელი, რადგან სულის სიღრმემ-დე იყენენ შეძრული რწმენით, სათნოებით, უზენაესის ხატი სამუდამოდ დავანებულიყო მათ არსებაში.

ახალი სიტყვით, ახალი საგალობლებით, მარადიული სათქმელით, წუთისოფლის წარმავალი დიდების უარმყოფელ-ნი წარუდგენენ თავიანთ ხალხს. მათ ის ზეციური სიბრძნე

გაითავისეს, რომლის მიღება მხოლოდ უპინო სულის ადამიანებს ხელეწიფებათ.

სულის განმაახლებელი ლოცვა-ვედრების, საღვთო ინტონაციების შესწავლა იოანეს აპოკალიფსში მხოლოდ თეთრად შემოსილი წმინდანების ხვედრია.

გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი სულინმიდი-საგან ხელდასმული პოეტები იყვნენ, ზეციური მადლის მიმღები, ერს ღმერთის, ტაძრის გზაზე მოუძღვებოდნენ და გამოცხადების წაუბილწავთა დარად, სულისშემძვრელ საღვთო ჰანგებზე გალობდნენ.

მათ უფლება ჰქონდათ, სულინმინდის ქარად წოდებული პავლე მოციქულის სიტყვები გაემეორებინათ: „კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახლა კი მიმელის სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული“ (პავლე მოციქული, II ტიმოთე, 4,7,8) (2,460).

დამოწმებანი

1. სემიონ ფრანკი, ნიპილიზმის ესთეტიკა, რუსი ფილოსოფოსები დემოკრატიასა და რევოლუციაზე, თბ. 1994
2. ახალი აღთქმა და ფსალუმუნები, სტოკჰოლმი, 1992
3. პეტრე იბერი (ფსევდო დიონისე არეოპაგელი), „შრომები“, თბ. 1961
4. იოანე პეტრინი, „სათნოებათა კიბე“, თბ. 1968
5. ლუდვიგ ფოიერბახი, „ქრისტიანობის არსება“, თბ. 1956
6. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი 15 ტომად, ტ. I, თბ., 2016
7. გალაკტიონ ტაბიძე, თბზულებანი 15 ტომად, ტ. II, თბ. 2016
8. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ. 2014

9. ტერენტი გრანელი, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ. 2012
10. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
11. ტერენტი გრანელი, „ცისფერი სიშორე“, თბ., 1997
12. ტერენტი გრანელი, ტომი I, თბ. 1991

ფრიდრიხ ნიცშეს რეაგირების ტერანტი გრანელის შემოქმედებაში

ტერენტი გრანელი იყო ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო პრობლემებით დაინტერესებული პოეტი, რომელსაც შემოქმედებითად ჰქონდა გათავისებული წმინდა წერილის, ღვთისმეტყველთა, ქართული და მსოფლიო კლასიკური მწერლობის სიბრძნე.

„მემენტო მორის“ ავტორის პოეზია სიტყვიერი ხელოვნების ყველა უმაღლეს კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

ჭეშმარიტი ხელოვნება არის აღმოჩენა, გამოგონება, ახლის შექმნა, რაც ზედმინევნით მიესადაგება ტერენტი გრანელის ლირიკას.

პოეტების მეფედ აღიარებულმა გალაკტიონ ტაბიძემ აღტაცება ვერ დაფარა წალენჯიხიდან მოვლენილი სიტყვის ოსტატის გამოჩენით და მას „ხალასი გენია და ნიჭი, ნამდვილი პოეტი, ჭეშმარიტი პოეტი“ უწოდა.

ფრიდრიხ ნიცშეს წიგნმა „ესე იტყოდა ზარატუსტრა“ მთელი მსოფლიო შეძრა.

კონსტანტინე გამსახურდია, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონ ტაბიძე, ნიკო სამადაშვილი, კონსტანტინე კაპანელი განსაკუთრებულ ყურადღებას ავლენდნენ ნიცშეს ნააზრევისადმი.

მიუხედავად იმისა, რომ ნიცშეს წიგნის ერეკლე ტატიშვილის მიერ შესრულებული თარგმანი მხოლოდ 1993 წელს გამოქვეყნდა, ტერენტი გრანელი მას ზედმინევნით კარგად იცნობდა სხვა ენებზე შესრულებული თარგმანებით თუ დედნით, რადგან ქართველმა პოეტმა გერმანულიც იცოდა, ფრაგნულიც და რუსულიც.

ნიცშეს „ესე იტყოდა ზარატუსტრათი“ დაინტერესდნენ მორწმუნენიც და ათეიისტებიც, რადგან მასში მთელი მსოფლიოსთვის საინტერესო, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებია წამოჭრილი.

ლევან დალაქიშვილს ეკუთვნით წერილი: „ნიცშეს ათვისების კულტურული პირობები საქართველოში“ (1, 45).

თამაზ ბუაჩიძე ნიცშეს დამსახურებად მიიჩნევს „თანადროულობის გამანადგურებელ კრიტიკას. ეს კრიტიკა აღსავსეა ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის დამახასიათებელი სიმართლისმოყვარეობით“ (1, 245).

„ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრების“ (1, 245).

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ტერენტი გრანელის დის შვილიშვილი მამანტი როგავა წერს: „1922 წელს ქართველი ერის სულიერი გამხნევების მიზნით დიმიტრი უზნაძის და კონსტანტინე გამსახურდიას ძალისხმევით ჩატარებულ ნიცშესადმი მიძღვნილ საღამოში დევიზით – სული იქმნეს ბატონი – ტერენტი გრანელი აქტიურად მონაწილეობდა. ქვეყნის ანექსია თავისი სისხლით ნარევი მეღნით დაწერილი ლექსების კრებულის გამოცემით – „სამგლოვიარო კანკალი ხატებთან“ გამოხატა. ამ წიგნს გალაკტიონ ტაბიძემ „ტერენტი გრანელის კოსმოსში წუთიერი გაელვება“ უწოდა (სულის ბორკილები) (2, 58).

„მემენტო მორის“ ავტორი მეგობრობდა აკაკი ანდრიაშვილთან, რომელიც ბეთხოვენის მეცხრე სიმფონიას უკრავდა და ნიცშე აინტერესებდა: „მუსიკის ცეცხლი გედება გულზე,

უკრავ ბეთხოვენს, შენ ასე ქებულს. მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ შენს სულს ტანჯვისგან გასპეტაკებულს. კითხულობ ნიცშეს, სისხლით დაფერილს, თეთრი ფიქრებით დაფრინავ იქაც, შენ მიატოვე სხვა ყველაფერი და შენ მიჰყვები მუსიკის გრიგალს“ (3, 155).

ტერენტი გრანელმა ფრიდრის ნიცშეს უწოდა „მამა“: „შავი ღამეა, სადღაც მღერიან, ახლა დუმილი არ შეიძლება და მამაჩემი ბედნიერია, და მამაჩემი ფრიდრის ნიცშეა, და რაღაც ასო ცაზე სწერია, ეს მიპასუხეს გულის ნიშნებმა და მამაჩემი ბედნიერია და მამაჩემი ფრიდრის ნიცშეა“ (მამა) (3, 51).

ნიცშე ჭეშმარიტებას ღაღლადებდა: „ყოველ დაწერილთა შორის მიყვარს იგი, რაც ადამიანს თავისი სისხლით დაუწერია. სისხლითა სწერდე და შეიტყობდე, რომ სისხლი სულია.

„ადვილი არ არის სისხლის შეცნობა“.

„რომელი სისხლითა და იგავებით სწერდეს, არა ისურვოს, რომ მას კითხულობდნენ, არამედ იზეპირებდნენ“ (ესე იტყოდა ზარატუსტრა) (4, 35).

„სევდის ტრიიუმფატორის“ ტერენტი გრანელის ნააზრევი ასე ეხმიანება დიდ გერმანელ წინაპარს: „ალბათ გულიდან სისხლი მდიოდა და გული ჩანდა უფრო სტრიქონთან“ (ასე თეთრია ეს ჩემი ფიქრი) (3, 45).

ქართველი პოეტისთვის „ლექსი გული“, „ლექსი სისხლი“ იყო (მაღალო ცაო) (3, 205).

„ზამთრის ბარელიეფში“ პოეტის მახასიათებელია „ცრემლი და სისხლი“.

ნიცშეს მთარგმნელი ერეკლე ტატიშვილი წერს: „ნიცშე ახორციელებს XIX საუკუნის ანტირელიგიურ ტენდენციას. სინამდვილე და არა ილუზია. სამყარო მოკლებულია ღმერთს“ (4, 8).

„ღმერთი მოკვდა. არ დაუჯეროთ მათ, ვინც საიქიო იმედებზე გელაპარაკებიან“.

„ზარატუსტრამ დიდი ხანია ღმერთი უარყო და ეზიზლება ყველა ჩოქზე მდგარი და ლოცვისთვის გულხელდაკრეფილი. ლოცვა სიბილწეა.“

ზარატუსტრა აცხადებს: „მე ვარ უღმერთო ზარატუსტრა და ჩემგან უნდა იშვას ზეკაც“...

„სიკეთე უღელია, რომელიც სულით სუსტა კისერზე დაუდვიათ.“

„ზარატუსტრას უფრო ბოროტნი მოსწონს, მათში მეტი ენერგიაა“ (4, 12).

ანტიქრისტეს ტახტზე მჯდარი ზარატუსტრა ამბობს: „ზეკაცი მიწის აზრია, იყავით ერთგულნი მიწისა და არ უჯეროდეთ, რომელნი საიქიოთი გაიმედებენ, ღმერთი მოკვდა“ (4, 16).

„სახელმწიფო ცივი, საშინელი მხეცია“ (4, 42).

თამაზ ბუაჩიძე წერს: „ნიცშემ ჩვენი დროის ადამიანის ეგზისტენციური შეჭირვების მრავალ სიმპტომს მიაგნო. ამან, ბუნებრივია, გერმანელ ფილოსოფონს უდიდესი პოპულარობა მოუპოვა თანამედროვე სამყაროში“.

„ქართულ სულთან ნიცშეს ანათესავებს განსაკუთრებული სიძულვილი ჯოგური, მონური ცხოვრებისა, მასაში გათქვეფილი, საკუთარ სახეს მოკლებული ადამიანისა, მდორე, უშფოთველი არსებობისა, „პანია“ ბედნიერებისა და და „პანია“ კეთილდღეობისა. ქართული სულის მისწრაფებებთან ახლოსაა ნიცშე, როცა ეთაყვანება მოძრაობით, ბრძოლით, ხიფათით და რისკის სავსე „დიონისურ“ ცხოვრებას, უშურველ, ანგარიშიანი, განსჯის მოთხოვნათა უარმყოფელ, ლალ, გულუხვად გამცემ, ბრძენსა და მამაც ადამიანს“ (4, 245).

„ტრაგედიის დაბადებაში“ ნიცშემ გამოყო ხელოვნების ორი სახე, სამყაროს ორი საწყისი – აპოლონური და დიონისური.

ზარატუსტრას მსოფლმხედველობა მიმართულია ნიცშეს თანადროული კულტურისა და ცხოვრების წესის წინააღმდეგ“ (4, 250).

„ღმერთი მკვდარია“, იმეორებს ზარატუსტრა, რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა დაჟყარგა „ლვთიური“, „ზეგრძნობადი“, ტრანსცენდენტური სამეფო ილუზია აღმოჩნდა. დადგანიპილიზმის ეპოქა.

ნიცშეს სძაგს „უკანასკნელი ადამიანი“, მორწმუნე.

„უკანასკნელ ადამიანს“ უპირისპირდება ზეკაცი, რომელიც ერთგულია „მიწისა“, სიცოცხლისა, ის „მიწის აზრია“ (4, 252).

ნიგნში უარყოფილია ტრანსცენდენტური, ძველი ღირებულებები.

სამყაროში, სადაც აღარ ისმის შემოქმედი ღმერთის ხმა, შემოქმედი უნდა იყოს თავად „მიწის“ ერთგული ადამიანი.

„ზარატუსტრასთვის „სხეული დიდი გონებაა“, სული კი „მცირე გონებაა“, მხოლოდ იარაღია სხეულისა“ (4, 254).

ზარატუსტრა ზიზლით უყურებს ქრისტიანობას, ბუდიზმს.

ნიცშესთვის „ჭეშმარიტი შემოქმედი არის ადამიანი და არა ღმერთი“ (4, 254).

გერმანელი მწერალი ამხელდა „უანგარობის, მოყვასის სიყვარულის, უმანკოების“ ნიღაბქვეშ ამოფარებულ ანგარებას, მანკიერებებს, კეთილზნიანის ფასადს მიღმა პოულობდა ბოროტებას, რაც არ ნიშნავს იმას, რომ სიკეთე საერთოდ არ არსებობს.

ნიცშეს იდეალია „ სისხლსავსე, მძაფრი, ჰეროიკული, რისკით და ხიფათით სავსე ცხოვრება“ (4, 256).

მოყვასის სიყვარულს ზარატუსტრა უპირისპირებდა „სიყვარულს შორეულისას“ – ზეკაცისას“.

„ამასთან, ზარატუსტრა ებრძოდა ეგოიზმს, თავკერძობას. გამოარჩევდა პიროვნებებს და არა ბრძოს.

ნიცშეს ღმერთი ესახებოდა, როგორც „ადამიანის შემოქმედებითი თავისუფალი მოღვაწეობის შემბორკავი ძალა“. ის ღმერთის არარსებობას ამტკიცებდა.

„მიწა“ არის სიცოცხლე, რომელიც იკავებს ღმერთის ადგილს. ის არის სიცოცხლის მომნიჭებული ძალა, თავად სიცოცხლე.

თანასწორობას უძლური ქადაგებს, ვისაც არ შეუძლია ბატონობა, წერდა ნიცვე.

ზარატუსტრა ადამიანებს „მიწის“ ერთგულებისკენ მოუწოდებდა, რადგან ზეგრძნობადი იდეალური სამყარო – ღმერთი ილუზია აღმოჩნდა.

„მიწა“ რაღაც პასიური, ინერტული ნივთიერი საწყისი კი არ არის, არამედ „სიცოცხლეა, ცხოვრებაა“.

მთავარია „ნება ძალაუფლებისა, „ნება ხელმწიფებისა“.

სამყარო ძალაუფლების ნებაა და არა არსებობის ნება.

ცხოვრება დიონისურია, მარადი ბრძოლაა სხვასთან და საკუთარ თავთან. აქ მთავარია „მიწიერების“ კულტი, „მიწიერი“ სამყაროს ერთგულება.

საჭიროა ბატონობა გარემოზე, საკუთარი თავის დაძლევა.

მთავარია „მიწის“, „სიცოცხლის“, „ძალაუფლების“ ნების მსახურება.

ნიცვესთან ადამიანი მიჩნეულია სწეულებად. იმქვეყნიურის რწმენაც სწეულებაა.

ზარატუსტრასთვის მთავარია ნიჰილიზმით დაავადება და შემდეგ განკურნება.

მთავარია „მიწის“ ერთგულება.

არა ასკეტიზმი, არა ნირვანა, ან ქრისტიანული ცხოვრების ნესი.

მთავარია ზეკაცამდე ამაღლება, ცდომილებების და ცალმხრიობების დაძლევა.

ზეკაცისთვის მთავარია სამყაროს, სიცოცხლის სიყვარული.

ზარატუსტრას მთაზე ასვლა ჭეშმარიტების მწვერვალზე ასვლას, საკუთარ თავზე ამაღლებას ნიშნავს (4, 260). ამისთვის კი საჭიროა გულადობა, სიმამაცე.

წიგნში გაზიარებულია გარდასხეულების თეორია.

„მარადიულობა აქაა, „მიწაზეა“.

ადამიანს სურს განმეორდეს სამყარო, რომელშიც ღვთაებრივის ნატამალი არ არის (4, 270).

წიგნში არის „დიდი ქალაქის“ დაკინინებული სულის კრიტიკა. ეს მლიქვნელთა, უსირცხვილოთა, მჯდაბნელთა, პატივმოყვარეთა, ანგარებიანთა სამეფოა და არა თავისუფალი სულის ადგილი.

ზარატუსტრას სამშობლოა მთა, მარტოობა.

ნიცშემ თანადროულობის სამართლიანი კრიტიკა მოგვცა.

როსტომ ჩხეიძის წერილში „ერეკლე ტატიშვილი“ ყურადღება ექცევა ტერენტი გრანელის აკაკი ანდრიაშვილისადმი გაგზავნილ ბარათს, რომელშიც იხსენება ქართველი პოეტის შეხვედრა ერეკლე ტატიშვილთან ალექსანდროვის ბალში, რასაც განსაკუთრებული სიხარული მიუნიჭებია „მემენტო მორის“ ავტორისათვის (4, 280).

„თავის დროზე ნიცშეანელობა ლამის ახალ რელიგიად გადაიქცა“, წერს როსტომ ჩხეიძე.

ბუნებრივია ისეთი ფართო თვალსაწიერის პოეტის დაინტერესება ფრიდრიხ ნიცშეთი, როგორიც იყო ტერენტი გრანელი.

ნიცშე იზიარებდა გარდასხეულების თეორიას, სიკვდილის შემდეგ სიცოცხლეში ხელახლა მოვლინებას: „სად საფლავნი ჰგიებენ, ჰგიებენ აღდგომანი“.

ტერენტი გრანელი აცხადებდა: „მე ვიყავი, ეს არ ვიცი, როდის“, „ვიცი, მე ამ ადგილას ისევ მოვალ ფიქრისთვის“.

ნიცშე გამუდმებით აკრიტიკებდა სახელმწიფოს, უწოდებდა „ცბიერ ძალლს“, „საშინელ მხეცს“, „მარჯვე მაიმუნების სავანეს“ (4, 103).

ქართველი პოეტი ამ სამყაროში „გველს, აფთარს, კუდიანებს, მკვლელებს, გამცემებს, ჯიბგირებს, ყორნებს ამ-

ჩნევდა. „... ლამის ადამიანი მხეცად იქცეს უმაღლეს გან-ცდათ მოვლებული და პოროტების მორევში სავსებით გადა-ვარდნილი“, წერდა ტერენტი გრანელი წერილში „ახალ სამყა-როში“ (3, 0294).

პოეტი ვიეთთა სულში „აფთარს“ ხედავდა (განშორების ლოდები) (3, 193).

ჩიოდა „მკვლელებისა და გამცემლების“ თარეშზე (ვედ-რება უფალთან) (3, 244).

ნიცშეს აღიზიანებდა მიწიერთა პრაგმატული მისწრაფე-ბანი, სწრაფვა სიმდიდრისკენ და საუბრობდა „ოქროს ბედნი-ერების შავ წევთზე“, „ბედნიერების სამსალაზე“, ვიეთთა გა-მარჯვებას დამარცხებას უწოდებდა: „ვინ არ დაუმარცხებია თავის გამარჯვებას“... აქილიკებდა „მდიდარ ღატაკებს“ (4, 206).

ნიცშესთვის „ქვეყანა ბნელ ცოდვილთა ტყეა. ის მონა-დირეა ჭოტებზე, ღამურებზე“ (4, 113, 126, 216).

ტერენტი გრანელს აღაშფოთებს ეპოქის ცოდვები, „ცოდვილი პოეტი“, მის ლექსებში მთელი ციკლია ყვავების, ყორნების, ჭოტების, რომლებიც ნეგატიურ ძალებს განასახი-ერებენ და მთავარია მათი მხილება.

ყოველ დიდ შემოქმედს ენატრება გაგება, ინტელექტუა-ლების შეხმიანება. თითქმის ყველა ხელოვანი უჩივის თავის გაუცხოებას, აღიზიანებს ბრბო.

ნიცშეს სძულდა „მხიარული ბრბო“: „ავი სუნი ასდის მყრალი ბრბოის ყოველ გუშინსა და დღეს“ (4, 46, 78).

ტერენტი გრანელს ბრბო მაღალი აზრის, პოეზიის მტრად ესახებოდა: „პოეტის სახელს ბრბო არ ითმენდა“ (მიჰ-ქროდა წამი მძიმე გოდებით“) (3, 206).

ზარატუსტრა საუბრობდა „უგრძეს მგზავრობაზე, უმაღლესი მწვერვალების დაპყრობაზე, გულადი და დაუღა-ლავი მეზღვაურის მთამდე ამაღლებაზე“ (4, 163).

„მთაზე ასვლა ჭეშმარიტების მწვერვალზე ასვლას ნიშნავს“ (თამაზ ბუაჩიძე) (1, 123).

ტერენტი გრანელი სულით მოგზაურობდა მთელ სამყაროში, ის იყო ხეტიალით „მოღლილი მგზავრი“, მისი უკიდეგანო ხეტიალის მიზანი იყო ჭეშმარიტების შემეცნება, მთამდე ამაღლება: „მე ვდგავარ მთაზე და მიხარია“ (5, 190).

ნიცშესთვის „სამშობლო“ იყო მარტოობა, ობლოობა“

ტერენტი გრანელს ცხოვრება გაიგივებული აქვს „უდაბნოსთან“, სამარესთან, უფსკრულთან, აღაშფოთებს მკვლელების, გამცემთა, ჯიბგირების, ქურდების სავანე (ვედრება უფალთან) (3, 240).

ნიცშესთვის „ქვეყანა ბნელ ცოდვილთა ტყეა“ (4, 113, 126).

ტერენტი გრანელი წერდა: „ტყეა, მარტო ვარ და მეშინია“...

ნიცშესთვის „სამშობლო ობლოობა, მარტოობა“ იყო (4, 140).

მარტოობით, ობლობით, უმეგობრობით განაწამები იყო ქართველი პოეტი.

ნიცშესთან გვხვდება „სასაფლაოს სიმღერა“.

ტერენტი გრანელი დაეხეტებოდა უცნობების გასვენებაზე, სასაფლაოებზე და წერდა: „და ეს სასაფლაოა ჩემი თავ-შესაფარი“.

ნიცშე „მთვრალი“ იყო „მწუხარებით, გამოცანებით“

ტერენტი საუბრობს „ჯავრით თრობაზე“.

(შდრ. ლექსში „პრომეთე“ გოეთე ხაზს უსვამს „რწმენით თრობას“) (6, 51).

ნიცშე აკრიტიკებდა „უნიჭო მჯდაბნელებს“, ვაიმეცნიერებს, ცრუ კალმოსნებს „კალმის მელიას“ უწოდებდა.

გერმანელი მწერალი პრეტენზიულ პოეტებს მოიხსენებდა, როგორც „დამშრალ ზღვებს, უწმინდურთ“: „და სულის

მაგიერ ხშირად მათ შორის მლაშე ლორწო მინახავს. ამაოებაც მათ ზღვისგან ისწავლეს. მათი სული ზღვა ამაოებისა“... (4, 110, 146).

ტერენტი გრანელი საუბრობდა „ზღვა მწუხარებაზე“...

„მე შენ მიყვარხარ, მარადისობა!“ წერდა ნიცშე (4, 174).

ტერენტი გრანელი ცხოვრებას აღიქვამდა, როგორც გალიას, ორმოს, ტალახს, უფსკრულს, სამარეს, ცოდვილთა მინას და ცისკენ, „მარადისობის ლაშვარდებისკენ“ ისწრაფოდა „კაენივით გმობილი, იობივით ტანჯული“. მისთვის მთავარი იყო რწმენა, სულიერება: „ეს მხარე უფრო სულის მხარეა“ (გუშინ ამ ხესთან ვიტკინე თითი) (5, 83).

ტერენტი გრანელის მზერა მიემართებოდა არა მაცდურ წუთისოფელს, არამედ უსაზღვროებას, მარადისობას და აქილიკებდა მიწიერ, წარმავალ გრძნობებს და იდეებს: „.... „აქ სხვები წერენ ქალის ფეხებზე, როცა მე ვუმზერ მარადისობას, ... უსაზღვროებას“ (პოეზია) (3, 65).

ნიცშესთვის „ძლიერი ქარია ზარატუსტრა. ქარი სულია“ (4, 169).

ტერენტი გრანელის პოეზიაში ქარი მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. მის ლექსებში ვიპოვით შთაგონების „უხილავ ქარს“, ქარივით დაუმარცხებელ სულს. ქარი ხან ბოროტებაა, ხან ცადამწევი ძალა, ლექსში „რიცხვი“ „დიდი პოეტი გრიგალს ეძახის“ (5, 128-129).

ნიცშეს ესმოდა „მომავლის ქარების ხმა“ (4, 203).

ნათელსმენის უნარით მიმადლებულ ტერენტი გრანელს ესმოდა „ფოთლების კვნესა, ფიქრის შრიალი, ცრემლის შრიალი“, „იდუმალ ძალთა შრიალი“.

ნიცშე ხედავდა სულს, როგორც „მლაშე ლორწოს“. აქილიკებდა „შეკვამლულ, განაზებულ, გაცვეთილ, დამყაყებულ სულს“...

ტერანტი გრანელი იყო ნათელმხილველი, ნათელსმენით უნარით მომადლებული, მას ესმოდა სულის ხმა... მისი სული

იყო „ცისფერი ყვავილის“ – უზენაესის სავანე: „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სულიდან“ (შორეული სინათლე) (3, 106).

„დღეს სულს ცისფერი სინათლე ახლავს“, წერდა ლექ-სში „შორეული სინათლე“ (3, 106).

ორივენი მარტოსულები იყვნენ. მათი შემოქმედება სავ-სეა ტკივილით, სამშობლოს მიერ გამოჩენილი გულგრილო-ბით, ამაოებაზე ფიქრით...

ნიცშე ხაზს უსვამს ნავთსაყუდელის უქონლობას.

გერმანელი მწერალი არის „გზადაწყევლილი ზამთრის ცივი ხეტიალისთვის“, ის დაზაფრულია „ყინვით, უგულობით, დამცინაობით“...

„უბედურია, ალარა აქვს სამშობლო ვისაც“, აცხადებს ლექსმი „მარტოსულობა“ (თარგმანი ნინა სტოკერის) (7, 88).

ნიცშესთვის ეკლესიაც სახელმწიფოს მსგავსებაა, „მატ-ყუარა“.

მწერალი ირონიულად მოიხსენიებს „უკეთურ, ყალბ, ბრძნულ მღვდელთა ზებრძნულ სირეგვენეს“.

აკრიტიკებდა რა ფსევდოპროზას, ფსევდოპოეზიას, ნიცშე „საუბრობდა „ბერნ“ მეცნიერებზე: „დაიცავით თავი მეცნიერთაგან, მათ ეზიზლებით, ისინი ბერნი არიან. მათ ცივი, გამხმარი თვალები აქვთ, მათ წინაშე ყველა ფრინველი გაბურტყნულია“.

გერმანელი მწერალი ირგვლივ „თამაშისა და დაცინვის დიდ მაგიდას“ ხედავდა (4, 216).

საუბრობდა რა შიშის დაძლევაზე, ხაზს უსვამდა თავის „თალს სიბრძნეს“ და „სიბრძნის ელვაზე“ აკეთებდა აქცენტს“ (4, 215).

„ჩვენ ვსაჭიროებთ ღვინოს! – ის იძლევა მხოლოდ უე-ცარ გამოჯანსაღებას, მოულოდნელ ჯანმრთელობას“ (4, 211).

ღვინო, ძველი დაწმენილი ღვინო უფლის სახელია წმინ-და წერილში: „გაუმართავს ცაბაოთ უფალი ყველა ხალხს ამ მთაზე ნადიმს მსუყე კერძებით, ნადიმს ძველი ღვინით,

ძვლის ტვინიანი მსუეე კერძებით, ძველი, დაწმენიდილი ღვინით“ (ესაია წინასწარმეტყველი) (25, 6) (8, 91).

ზარატუსტრა ღვინოს რელიგიური გაგებით არ ახსენებდა.

ეპოქალურ უსამართლობა-უბედურებათა შეცნობამ და ანალიზმა, „ბედნიერების სამსალაზე“, შავ უვიცობაზე, ოქროსფერ სევდაზე, ოქროს ბედნიერების შავ წვეთზე“ შიშის დაძლევაზე, ვაჟკაცობაზე საუბარმა, უფსკრულის ხილვამ ფრიდრიხ ნიცეს ზარატუსტრას აქცენტი გააკეთებინა არა ღმერთისკენ მიბრუნების აუცილებლობაზე, არამედ „ძველი ღმერთის გარდაცვალებაზე“, ზეკაცის ძიებაზე: „ღმერთი მოკვდა, ან გვსურს ჩვენ, რათა ზეკაცი ცხოვრობდეს“ (4, 213).

ზარატუსტრამ საბოლოოდ უარყო ზეცა, ღმერთი, „განკურნების ადგილად“ მინა მიიჩნია და ზეკაცს მიაპყრო მზერა.

ტერენტი გრანელს არასდროს გაუწყვეტია ზეცასთან კავშირი, პირიქით, ღმერთის მიმსგავსებით იცხოვრა: „მე ვგავ უთუოდ ქრისტეს“ (მივყვები გაყინულ რიყეს) (5, 74).

ქართველი პოეტი სულიერებას, რწმენას ანიჭებდა უპირატესობას: „ეს მხარე უფრო სულის მხარეა“ (5, 104).

მისი მზერა მიემართებოდა ღმერთის, „მარადისობის ლაჟვარდებს“ (5, 123), ზეცის სინმინდის მინაზე დამკვიდრების ოცნებაში ჩაიფერფლა „უვალი გზებით“ მავალი პოეტი.

ტერენტის თანამედროვე ათეიისტური ეპოქა აქილიკებდა ღმერთს, დასცინოდა ტერენტი გრანელის მორწმუნეობას, მაგრამ არჩეული გზიდან ვერაფრით გადაახვევინა „ცათა ცის“ მხილველ შემოქმედს, მისი სული ღმერთის, ანგელოზების, სერაფიმების, ღვთისმშობლის სავანე იყო.

ტერენტი გრანელმა წინასწარ დაინახა ბოროტების დამარცხება, ქვეყნის დამოუკიდებლობა, ლაზარეს – ქართული ენისა და ქართველი ერის გადარჩენა, თავისი შემოქმედების აღიარება მსოფლიო მასშტაბით. პოეტს ესმოდა თავისი მხატვრული სიტყვის მისამართით აღვლენილი ტაშისცემა და ეს

იყო იმის შედეგი, რომ ათეისტური სოციალიზმის პატონობის დროსაც უერთგულა რწმენას, ზენა სამყაროს.

წმინდა წერილის მიხედვით ნიჭთა მომმადლებელია, სა-მების მესამე წევრი – სულიწმინდა (პავლე მოციქული, I კო-რინთელთა, 12, 1-11) (8, 374).

„მემენტო მორის“ ავტორი სწორედ სულიწმინდამ გამო-არჩია ნათელზოლვის, ნათელსმენის ფენომენებით.

უბინაო, უპოვარ, თითქმის ქუჩაში მცხოვრებ პოეტს მა-ტერიალური უზრუნველყოფის, სიმდიდრის საფასურში არა-სოდეს გაუკეთებია კომპრომისი მიწიერი ბედნიერებისთვის, მისთვის ბედნიერება იყო ჭეშმარიტებასთან ზიარება, ბრძნუ-ლი აზრების მოხელთება, „ყოფნის რაობის“ ამოხსნა უზენაესი გადასახედიდან, „ცისფერი ყვავილის“ (რწმენის, შედევრების) მიგნება.

ნიცშეს იდეალი იყო „შემეცნების მაღალ ანძაზე ჯდომა“ (4, 149).

ტერენტი გრანელის შემეცნება უმაღლეს, ზოგადსაკა-ცობრიო იდეალებს ემსახურებოდა. მისთვის მთავარი იყო „ვარდის სურნელი“. ვარდი საღმრთო სახელია. პოეტი ოცნე-ბობდა „სევდის ბაღში იების, ვარდების, მიმოზების აყვავება-ზე, ანუ პოეტური შედევრების შექმნაზე, რწმენით ცნობიერე-ბის ამაღლებაზე.

წმინდა წერილში საუბარია „ქრისტეს შემეცნების კე-თილსურნელებაზე“ (პავლე მოციქული, II კორინთელთა, 2, 14) (9, 387).

ნიცშეს საუბრობს „მყობად სიმღერათა სურნელებაზე“ (4, 144).

ტერენტი გრანელთან, წმინდა წერილის კვალობაზე, ყვავილი ხან ღმერთის, ხან მარიამ ღვთისმშობლის სიმბოლოა და მისთვის „ვარდის სურნელი“ სარწმუნოების სურნელია.

ტერენტი გრანელი მინას „გალიად“, „ტალახად“ მიიჩ-ნევდა, მაგრამ მისი მიზანი იყო მიწაზე ზეციური იმპულსების

დამკვიდრება, ღმერთთან შერიგება: „და შერიგების დღე მოვა
მალე“.

პოეტს გათავისებული ჰქონდა წმინდა მამის შეგონება: „... ქრისტეს სახელით გთხოვთ: შეურიგდით ღმერთს“ პავლე
მოციქული (II კორინთელთა, 5, 20) (ახალი აღთქმა და ფსალ-
მუნები, 1992, გვ. 391).

„ყოფნა მიწისთვის რა მიზანია“, აცხადებდა უზენაეს
იდეალებზე ორიენტირებული ტერენტი გრანელი (ახლა ლა-
მეა) (5, 40).

ზარატუსტრამ საბოლოოდ უარყო ღმერთი, ზეცა, გან-
კურნების ადგილად მიწა მიიჩნია.

ქრისტიანობაზე მოქილიკე გერმანელი მწერალი „გზებ-
გადამცდარი“ (ნ. სამადაშვილი) გახდა და ფსიქიურად დაა-
ვადდა.

ზარატუსტრა ამბობდა: „ჰეი, ხშირად ვისროდი ბადეს
მათ ზღვაში და კარგი თევზი მსურდა დამეჭირა, ხოლო ზე-
ვით ყოველთვის მარად მოხუცი ღმერთის თავი ამომქონდა“
(4, 101).

„.... ეს მოხუცი ღმერთი აღარ ჰგიეს, ის საბოლოოდ
მოკვდა, ესე იტყოდა ზარატუსტრა“ (4, 195).

ნიცშეს გამოეხმაურა გალაკტიონი ლექსში „მას გახელი-
ლი დარჩა თვალები“, რომელშიც მზის – ღმერთის მიცვალე-
ბას მოსდევს ნაყოფიერების, ღმერთის – ცერერას ტირილი,
ანუ უნაყოფობა სულიერ სფეროში (გალაკტიონ ტაბიძე, პოე-
ზია, „პალიტრა ს“, თბ., 2014, გვ. 149–150).

„ნიკო სამადაშვილის გონება ნიცშეანური ეპოქის დამა-
ხასიათებელი ფიქრების სამჯედლოა. აქ „ქუჩებში მარტო და
გაცრეცილი გზებგადამცდარი ნიცშე ბლაოდა“, წერს თამაზ
ბუაჩიძე (1, 61).

მაგრამ ნიკო სამადაშვილის მერყეობა ქრისტიანობასა
და ნიცშეს ღმერთის სიკვდილს შორის, საბოლოოდ ძე ღმერ-

თის ერთგულებით დასრულდა. ამის დასტურია გერმანელი მწერლის მოხსენება „გზებგადამცდარად“.

ნიცშეს უბედურება იყო „მოხუც ღმერთზე“ ქილიკი, მისი აუგად მოხსენება, უზენაესის, რწმენისგან საბოლოოდ განდგომა და ზეკაცის, ანტიქრისტეს ძიება.

„გზებგადამცდარი“ ნიცშე ფსიქიურად დაავადდა.

ტერენტი გრანელმა საკუთარ თავზე გამოსცადა ათეისტური ხელისუფლებისგან საშინელი დევნა, რეპრესია, გიუად გამოცხადება, დიდი პოეტი ჯერ თბილისის, მერე სურამის სულით დაავადებულთა სავანეში გამოკეტვა, სადაც რვაას სამოცი ისეთი მაღალხარისხიანი ნახატი შექმნა პოეტური სიტყვის ჯადოქარმა, რომელზეც მსოფლიოში ცნობილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია წერს: „მიწიერი სრულყოფილება და ბედნიერება მისთვის უცხო იყო, რის შედეგადაც დაჩქარდა ახალგაზრდა მგოსნის ამქვეყნიდან ტრაგიკული გასვლა“ (9, 70-71).

„მან შექმნა მიწიერთათვის ძნელად ჩასაწვდომი წმინდა კოსმიური პოეზია, რომელიც მომავალი საუკუნეების, ადამიანის გონების მხოლოდ მეცნიერული თვალია. ტერენტი გრანელი იყო კოსმიური სულით და სევდით ნაკვები პოეტი, რომელმაც ჩვენი პლანეტის მძიმე მომავლის სევდაც გაიაზრა“ (9, 86).

„ტერენტი გრანელი სამყაროს მკრთალი ცისფერი არეალის შემადგენელი გენი გახდა და მთელის სისავსით გაითავისა გენის მერვე ფერის შემადგენლობა“ (9, 83).

„პლანეტათაშორისო მგოსანმა ტანჯულ სულთა მკურნალად კარაბადინივით ქართული სულის მარადიული და სელთუხლებელი განძი დაგვიტოვა“ (9, 24).

„...უახლეს საუკუნეებს კოსმიური სიჩქარით გაუსწრო და მომავალი ათასწლეულების, პლანეტათაშორისო პოეტად მოგვევლინა“ (9, 15).

საბედნიეროდ, ტერენტი გრანელის ნახატები დაბეჭდი-

ლია. პროექტის ავტორია წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მე-რი გია ხარჩილავა, წინასიტყვაობის ავტორია კულტურის კვლევათა დოქტორი თამარ ბელქანია, წალენჯიხის მუნიცი-პალიტეტის მერის მოადგილე. სტატიის ავტორია მამანტი როგავა.

წიგნი დაიბეჭდა სტამბა „სეზანში“, თბილისში, 2022 წელს (10, 5–215).

ტერენტის თანამედროვე ათეისტური ეპოქა არათუ ლმერთზე წერას, მის ხსენებასაც კრძალავდა, მაგრამ პოეტს არასდროს უნერია ლმერთის სიკვდილზე, განსხვავებით ნიც-შეს ზარატუსტრასგან, ზეკაცი, იგივე ანტიქრისტე არ უძებ-ნია და ბოლომდე დარჩა ლმერთზე, ანგელოზებზე, სერაფი-მებზე მლოცველი.

პოეტმა უერთებულა რწმენას, ქრისტეს მიმსგავსებით იცხოვრა, მაცხოვარივით ჯვარცმულმა: „მე შენთან მივალ დღესაც, როგორც მწუხარე ქრისტე“ (აწენილი ბედი) (3, 156), „მე ვგავარ უთუოდ ქრისტეს“, განაცხადა ტირანებისგან ჯვარცმულმა. საკუთარი გასვენებაც წინასწარ წარმოიდგინა ძე ლმერთისა და ანგელოზების თანხლებით : „მიმასვენებდნენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მოუძლოდა…“

ასევე იხილა პოეტმა თავისი სიკვდილით დამწუხრებუ-ლი მარიამ ლვილისმშობელი.

მინაზე საშინელი ბოროტების მხილველი, ლმერთისუარ-მყოფელი ეპოქის მსხვერპლი ქრისტეს სიკვდილზე კი არა, მისა ამაღლებაზე აკეთებდა აქცენტს, „მარადიული ლაჟვარდე-ბისკენ“ ისწრაფვოდა „ცათა ცის“ მხილველი და სწამდა, რომ სწორ გზას აცდენილი საზოგადოება ისევ მიუბრუნდებოდა უზენაეს საწყისებს და შეურიგდებოდა ჯვარცმულ ლმერთს: „და ისევ მოვა დღე შერიგების“...

„ჩემი სიბრძნე ითალება, რომელმან ერთ დროს უნდა ელვა შვას, ელვა ჩემი სიბრძნისა“, აცხადებდა გერმანელი მწერალი (4, 215).

ნიცშესთვის „სამშობლო მარტოობაა, ობლობა“ (4, 140).

ტერენტი გრანელი მართლაც ობოლი იყო, ამასთან, განაპირებული ათეისტური ხელისუფლებისა და უნიგნური კრიტიკოსებისგან.

ზარატუსტრამ საბოლოოდ უარყო ზეცა, ღმერთი, განკურნების ადგილად მიწა მიიჩნია და ზეკაცს მიაპყრო მზერა.

ნიცშე იყო თავისი თანამედროვე ეპოქის შეუდარებელი კრიტიკოსი, ის ხედავდა „შეკვამლულ, განაზებულ, გაცვე-თილ, ფერწასულ, დამჟავებულ, შხამიან, მატლიან სულს“ (4, 133).

ზარატუსტრა „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ ყოფნას ქადაგებდა. მას სცემდა „მყობად სიმღერათა სურნელება“ (4, 170).

ამავე დროს, ნიცშე შეიგრძნობდა „წუმპის სუნს“.

მისთვის სული იყო „მლაშე ლორნო“, „შეკვამლული, განაზებული, გაცვეთილი, დამჟავებული“ (4, 133).

„მრავალი რამ ბავშვურია ძველ წიგნთა და სიბრძნეთა შორის“, წერდა ნიცშე (4, 155).

გერმანელი მწერალი ეწაფებოდა „ახალი და ძველი სიბრძნის ლვინოს. მისი სული „ვენახია ოქროს მტევნებით“ (4, 170).

მარადიული, საღვთო სიბრძნის ძიებაში დაიფერფლა ტერენტი გრანელი.

ნიცშე გამუდმებით აქცენტს აკეთებდა ღმერთის სიკვდილზე, სახელმწიფოს „ცბიერების ძალლს“ უნოდებდა, „ცივ მხეცს“, „მარჯვე მაიმუნების სამყაროს“ (4, 103).

„ქვეყანა ბნელ ცოდვილთა ტყედ“, ჭოტებით, ღამურებით, სავსედ ესახებოდა (4, 13, 12, 216).

ნიცშესთვის „ადამიანი ცხოველია“, „სამშობლო მარტოობა, ობლობა“ (4, 140).

ზარატუსტრამ საბოლოოდ უარყო ზეცა, ღმერთი, განკურნების ადგილად მიწა მიიჩნია და ზეკაცს მიაპყრო მზერა.

ტერენტი გრანელი გმობდა უსამართლობას, უგულებელყოფდა პრაგმატულ ინტერესებს და აცხადებდა: „ყოფნა მიწისთვის რა მიზანია“ (ახლა ღამე) (11, 186).

დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ მაღალი იდეალების უგულებელმყოფელთ, მიწას მიჯაჭვულთ, საიქიოში მართლმსაჯულების მიერ მისჯილი აქვთ მიწისთვის ცქერა: „რადგანაც თვალი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის მზერა“ (12, 256).

რუდოლფ შტაინერი აკრიტიკებდა „ზემიწიერ ძალებს“ მოწყვეტილთ: „ჩვენ პირდაპირ მიწაში ვართ ჩათხრილი. სრულიად მოვწყდით ზემიწიერ ძალებს. მიწამ დედამიწისზედა ზემოქმედებანი წაგვართვა, გაგვძარცვა ყოველივე იმისგან, რაც დედამიწის ზედაპირზე ზემოქმედებდა.

„ადამიანი ოდესლაც თავის თავს ღმერთების იმაგინაციად მიიჩნევდა, შემდეგ ღმერთების ჩანაფიქრად, შემდეგ კონსტელაციების შედეგად და ბოლოს მიწიერ არსებად.

„ადამიანი არ უნდა შეეზარდოს მიწას, არ უნდა დაიძიროს მასში“ (13, 269, 270, 273).

იგივე პრობლემა ანუხებდა მარკუს ავრელიუსა: „რა ვიწროა წრე, რომელიც გარშემოწერს და ზღვარს უსაზღვრებს შენს სახელსა და დიდებას, რადგან ჯერ მთელი მიწა რა არის, ეგ ერთი ციცქა შავი წერტილი და შენი საცხოვრისი რა უნდა იყოს?“ – კითხულობდა „ფიქრების“ ავტორი (14, 105).

ურწმუნო, ხატისგან გაუცხოებული, მიწასთან შეზრდილი ადამიანის ხილვა ამწუხრებდა ანა კალანდაძეს: „...დავიწყებოდათ მიუწვდომელი, კანდელი ხატთან ობლად კრთებოდა. ო, მიწისაკენ მიქცეულ სულებს ცა და ციური დავიწყებოდათ“ (შემოიკრიბნენ ტაძრად გლეხკაცნი) (15, 244).

ტერენტი გრანელმა საკუთარ თავზე იწვნია ულმერთო ეპოქის უსამართლობები, გამუდმებული დევნა, რეპრესია.

გამომცემლობაში ოთხი პოეტური კრებული დაუკარგეს, ფსიქიატრიული რეპრესიის მსხვერპლად აქციეს, მთელი ტო-მარა ხელნანერი დაუწვეს. ცხოვრება ჯოჯოხეთად უქციეს, მაგრამ მაინც ვერ გადაიბირეს, თავიანთი ანტიადამიანური პოლიტიკის მსახურად ვერ აქციეს. მისი იმედი მხოლოდ ცა და ლმერთი იყო.

ნიცშე მხოლოდ მიწას იყო მიჩერებული, თვალს არ უს-წორებდა ცას მაშინ, როცა ცაში იწერება მიწის პროგრამა, რომელსაც, სამწუხაროდ, ბრძანდშობილი ვერ ხედავენ.

უსამართლობის მხილველი ზარატუსტრა ღმერთს გა-ნუდგა, მისი სიკვდილი იწამა და არა გაცოცხლება, „ზეკა-ციო“ ჩაანაცვლა უზენაესი, რაც ფაქტიურად ანტიქრისტეა.

გერმანელმა მწერალმა საოცარი გაბედულებით გამა-ნადგურებელი განაჩენი გამოუტანა არაჰუმანურ სახელმწი-ფოს – მხეცის ინსტინქტებით ცნობილს, ამხილა ანგარებიანი სამღვდელოება, ფსევდოკულტურა, ფსევდომეცნიერება, უმართებულო კრიტიკა, ულიმლამო პოეზია, მაგრამ ნეგატიუ-რი მოვლენების გამოსწორების გზად ესახებოდა არა ადამიან-თა მიბრუნება რწმენისკენ, ღმერთისკენ, არამედ ზეკაცი, მას-ზე დაამყარა იმედები, ღმერთზე მაღლა დააყენა და სწორედ ეს გახდა მისი ტრაგედიის მიზეზი.

აქ გაიყარა ორთოდოქსი მორწმუნის – ტერენტი გრანე-ლისა და ფრიდრიხ ნიცშეს გზები, რომელსაც ქართველმა პო-ეტმა „მამა“ უწოდა, იქნებ იმიტომ, რომ უნიჭიერესი გერმანე-ლი მწერლის შეცდომამ „მემენტო მორის“ ავტორი კიდევ უფ-რო დაარწმუნა თავის მიერ არჩეული გზის სისწორეში.

საბოლოოდ გაიყარა ზეკაცის (იგივე ანტიქრისტეს) მა-ძიებელი ზარატუსტრასა და ორთოდოქსი მორწმუნის – ტე-რენტი გრანელის გზები.

ტერენტი გრანელმა, როგორც სულინმინდისგან ხელ-დასმულმა, იწინასწარმეტყველა საქართველოს დამოუკიდებ-

ლობა, ლაზარეს აღდგომა, ჩვენი ერის მიბრუნება ქრისტიანობისკენ, საკუთარი შემოქმედების პოზიტიური შეფასება, პლანეტის „ავდარი“.

ნიკო სამადაშვილისთვის ნიცშე იყო თავისი თანადროულობის მგზნებარე კრიტიკოსი, სიმართლის, სამართლიანობის მაძიებელი, მაგრამ „გზებგადამცდარი“.

ნიცშეს შემოქმედებას თვალს ადვენებდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი, რომელმაც განჭვრიტა ნიცშეს „სულიერი აგებულება“. „კომატოზურ მდგომარეობაში“ მყოფი ნიცშეს ტრაგედიის მიზეზად შტაინერს ესახებოდა რწმენის უარყოფა, „ინდივიდუალისტური ამპარტავნობა“, ის ხედავდა „ბუნების ადამიანს და არა სულის ადამიანს, ფინალურ აქტს მისი ტრაგედიისას, მისი ცოდნა არ მოიცვა სულიერ ჭვრეტას, ის თვალს არ უსწორებდა სულს. ის იყო თანამედროვეობის მგზნებარე კრიტიკოსი, რომელსაც ეს კრიტიკა ხდიდა ავად. მან წარსული მიწიერი ცხოვრებიდან წამოიღო მდიდარი ოქროვანი ელვარება, მაგრამ ვერ შეძლო გაებრნებინა იგი ამ ცხოვრებაში. სულის სამეფო მატერიალურის მიღმა მისთვის სიცრუედ იქცა.

„გოეთე ყველგან ჰპოვებდა მატერიაში გამეფებულ სულს.“

„ნიცშე, მიმსწრაფი სულის სამეფოსკენ, გახდა ბუნებაზე არსებული შეხედულებების ტყვე“.

ფიზიკურ სამყაროსთან ერთად, შტაინერს აინტერესებდა ასტრალური სამყარო, დევახანური ანუ სულიერი სამყარო, სულიერი ხედვა, სულიერი ყური, სულიერი სმენა.

„როგორც სინამდვილეს, ისე ვჭვრეტდი სულიერ სამყაროს“ წერდა ანთროპოსოფიის ფუძემდებელი (15, 76).

შტაინერმა დაწერა წიგნი: „ნიცშე, თავისი დროის წინააღმდეგ მებრძოლი“ (16, 247, 250, 261).

ნიცშესთან ადგილი ჰქონდა „ყველა ღირებულებათა გა-დაფასებას“, სულის სამყარო მატერიალურის მიღმა მისთვის სიცრუედ იქცა“ (16, 253).

„გოეთემ მიაკვლია სულს ბუნებისეულ სინამდვილეში, ნიცშემ დაჲკარგა სული მის ბუნებისეულ სივრცეში, რომელ-შიც ის ცხოვრობდა“ (16, 255).

„ბუნებაზე შეხედულებათა ბორკილები ბოჭავდნენ ნიც-შეს“ (16, 256).

„განვითარების ნატურალისტური იდეა მას დაანახვებდა ზეკაცს არა გრძნობად – ფიზიკურ სფეროში სულიერად გა-მეფებულ არსებად, არამედ ბუნებისმიერი განვითარების შე-დეგად წარმოქმნილ ადამიანად.

.... ნიცშე, მიმსწრაფი სულიერი სიმაღლისკენ, გახლდათ ბუნებაზე არსებული შეხედულებების ტყვე“, აცხადებს შტაი-ნერი, რომელმაც შესძლო „ნიცშეს სამშვინველის განჭვრეტა“ (16, 261).

„ნიცშეს ცნობიერება არ მოეცვა სულიერ ჭვრეტას... იგი მიჩვენებდა პიროვნებას, რომელიც თვალს არ უსწორებ-და სულს, მაგრამ რომელშიც თავად სული არაცნობიერად იბრძოდა იმ დროის უსულო შეხედულებათა წინააღმდეგ“ (16, 236).

ნიცშე იყო „თანამედროვეობის, მგზნებარე სულის კრი-ტიკოსი, რომელსაც ეს კრიტიკა ხდიდა ავად“... (16, 247).

შტაინერმა ჯეროვანი პატივი მიაგო ნიცშეს გენიას, მის ახალ იდეებს, მაგრამ ეს „მსხვერპლი ამპარტავნობისა, ნეგა-ციით საკუთარი თავის დამღუპველი, მისთვის ნარმოადგენდა ძალოვანი ინტელექტის ნანგრევთა ტრაგიკულ სურათს... რო-მელიც გააფთრებული ძალით ირღვევს თავისთავს სპირიტუა-ლური ცოდნისგან განდგომის შედეგად“ (16, 16).

ტერენტი გრანელი ნიცშეანური გზის საპირისპირო მი-მართულებით მიდის. ტერენტი გრანელისთვის მიწა, განსხვა-

ვებით ნიცშეანური იდეისა, სამარეა. პოეტის სურვილები შავ სამარეში არ უნდა დაიმარხოს, ამიტომ სული ზეცისკენ იღ- ტვის.

„ცისა და მიწის კონფლიქტი დაპირისპირებულ მხარეთა ერთიანობაა დიდი მიზნის მისაღწევად. ეს არის პოეტის მიზა- ნი – მისტიკის გზით შეუერთდეს ჭეშმარიტებას, უმაღლეს ტრანსს – ღმერთს.

ქართველი პოეტის მიზანი იყო „ზენაართ სამყოფისა და მიწიერი სამყაროს მაქსიმალური შემეცნება და მათი სინთე- ზი.

„ზეცა მწყურია და მიწა მშია“ ამ ორი საწყისის მორიგე- ბამდე მისვლას ნიშნავს (გელა მამფორია) (17,112,121).

ნიცშეს განსაკუთრებული სიძულვილი ქრისტიანობი- სადმი გამოვლინდა წიგნში „ანტიქრისტე. წყევლა ქრისტიანო- ბას“, რომელშიც ნათქვამია: „ქრისტიანობა – ეს არის გონე- ბის, სიამაყის, მამაცობის, თავისუფლების სიძულვილი, ესაა გონების გარყვნილება“.

„ქრისტიანობას უწოდებ ერთ დიად წყევლას, ერთ დი- ად შინაგან ხრნნას... კაცობრიობის ერთ უკვდავ და სამარ- ცხვინო ლაქას“.

ნიცშე ზიზღით მოიხსენიებს ქრისტეს, პავლე მოცი- ქულს, როგორც „ძალაუფლებისადმი ლტოლვის სიმბოლოს“.

გერმანელი მწერლის ეს წიგნი, მისი ავტორის განაცხა- დით, მხოლოდ „მომავლისთვის, რჩეულთათვის არის განკუთ- ვნილი“ (18,21,23,112).

მიმდევრები არა, მაგრამ მგმობელები გაიმრავლა ნიც- შემ, მისმა არაპუმანურმა პოზიციამ ანტიქრისტეს გზა კი არა, ტაძრის გზა აარჩევინა ყველა გონიერს.

ცნობილია, რომ ფსიქიურად დაავადებული მწერლის გონების დაბნელების მიზეზად რუდოლფ შტაინერმა ღმერ- თისგან განდგომა, უზენაესის ზიზღით მოხსენიება მიიჩნია.

დამონმებანი

1. კრებული „ნიცშე საქართველოში“, თბ., 2007
2. მამანტი როგავა, „სულის ბორკილები“, წალენჯიხა, 2023
3. ტერენტი გრანელი, ერთტომეული, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ., 2012
4. ფრიდრიხ ნიცშე, „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თარგმანი ერეკლე ტატიშვილის, თბ., 1993
5. ტერენტი გრანელი, ტ. I, „ქართული თეატრი“, თბ., 1991
6. გოეთე, ლექსები, თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილის, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1952
7. ჟურნალი „მწვანეყვავილა“, 2019, №2
8. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
9. რეზო (ემელიანე) ადამია, „სისხლიდან ცრემლი“, „ინტელექტი“, თბ., 2008
10. ტერენტი გრანელი, „ნახატები“, „სეზანი“, თბ., 2022
11. ცისფერი სიშორე, თბ., 1997
12. დანტე, „ლვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ., 2012
13. რუდოლფ შტაინერი, „ვარდისა და ჯვრის საიდუმლოება“, თარგმანი გიორგი ნიშნიანიძის, თბ., 1994
14. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძის, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972
15. ანა კალანდაძე, ლექსები, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987
16. რუდოლფ შტაინერი, „ჩემი ცხოვრების გზა“, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურდიასი, „პითაგორა“, თბ., 1994

17. გელა მამთორია, „დათოვლილი სანთელი“ – ტერენტი გრანელის პოეზია, წიგნი I, „ეგრისის მაცნე“, ზუგდიდი, 2000
18. ფრიდრიხ ნიცშე, „ანტიქრისტე. წყევლა ქრისტიანობას“. გერმანულიდან თარგმნა ვახტანგ გორგიშვილმა, გამომცემლობა „აქტი“, თბ. 2020.

ედგარ პო და ტერენტი გრაველი და ყორვებება დარეკას ჩაბილონის ნაკირთან

ყორნის სახით დაინტერესებას იჩენდა მითოლოგია, ეროვნული თუ მსოფლიოს კლასიკური მწერლობა. ცნობილია რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის წერილი: „შენთვის მოვკვდები, გავხდები ყორანთა დასაყივარად“, ა. მიუსეს, ნ. ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის ყორნები და მისი ვარიაციები...

ყორნის ჩხავილი, ყორნის სახეს გამოჩენა ითვლებოდა უბედურების, ტრაგედიების, სიკვდილის მაცნედ.

მსოფლიოში ყველაზე გახმაურებულია დიდი ამერიკელი პოეტის ედგარ პოს „ყორანი“.

ქართულ ლიტერატურაში არსებობს ედგარ პოს „ყორნის“ 22 თარგმანი, მათ შორის, ვაჟა-ფშაველასიც.

ედგარ პოს ლექსში ყორანი დახასიათებულია, როგორც „ბნელი უფსკრულის რაინდი, მისანი, ქაჯის მოგზავნილი“ („ყორანი“, თარგმანი კ. ჭიჭინაძის) (1, 123), „დემონური თვალების, სიკვდილის შავი გედი, ეშმაკის სული“ (თარგმანი კ. ყუბანეიშვილის) (1, 124-126), „ბნელი ასსახა, ჯოჯოხეთის ძველი სული ჰადესიდან, ბნელმეტყველი, უნასი, ავტედითი, მაცილი, იქიდნე, გველის ნაშიერი, ბილწი ხიზანი, ბოროტი სული, დემონი“ (თარგმანი გ. ნიშნიანიძის) (2, 200-206).

ყორნის პარალელურად, ედგარ პოს შემოქმედებაში გვხვდება ქორის სახეც. ამერიკელი პოეტი აკრიტიკებდა მეცნიერის ნიღბით მოვლენილ ჭკუამოკლე სწავლულს, რომელიც „ქორის ბრჭყალებით კორტნის პოეტის გულს და მოსაწყენი რეალობის ფრთებით დაფრინავს“ (სონეტი მეცნიერებას) (1, 37).

ტერენტი გრანელს არც ედგარ პოს „ყორანი“, ქორი, ლენორი თუ ამერიკელი პოეტის აჩრდილები, მოჩვენებები და ლანდები დარჩენია ყურადღების გარეშე. მრავალგზის ჩნდება „მემენტო მორის“ ავტორის შემოქმედებაში ედგარ პოს რემინისცენციები.

ქართველი პოეტის „სონეტი“, „ობობას ქსელს“, „ფართო ზმანებას“, „შეშლილ ხელებს“, „ყრუ სიცოცხლეს“ და „უცხო ნაპირებს“ მიაქცევს მკითხველის ყურადღებას, რაც იმთავით-ვე ედგარ პოს რემინისცენციას იწვევს: „ობობას ქსელში ჩა-ვაქსოვე ფართო ზმანება, შეშლილ ხელებით ვათამაშებ ბოქ-სის საპირებს, ყრუ სიცოცხლეში ილენება აღიფრთოვანება, ლურჯი ოცნება თვალწინ მიშლის უცხო ნაპირებს“.

„ოქროს ტყეში“ ზეიმისთვის გამზადებული სონეტი, მარსის წიაღში გაქანების სურვილი, „ლოთი ჰამლეტის“ ხსენება ააშკარავებს ქართველი პოეტის ფართო თვალსაწიერს...

ბრილიანტებით შემოსილი ლამის აჩრდილები, მთვარის სხივებში გამოჩენილი „მწვანე პროფილი“, ისევ ლანდები და ედგარის ხსენება გვაგრძნობინებს ამ ორი, სრულიად სხვა-დასხვა კონტინენტის მკვიდრი პოეტების სულიერ ნათესაობას: „ლამის აჩრდილი შეიმოსა ბრილიანტებით, მთვარის სხივებში იფერფლება მწვანე პროფილი, მაგრამ ედგარი არ ჩერდება, მიდის ლანდებით“.

პოეტურ თავისუფლებას უსვამს ხაზს ლექსის „უცხო ფერები“, „წითელი რაშის“ მიერ განიავებული „მენამული ნალები“: „უცხო ფერებთან იზმორება ლექსი ყოფილი, წითელი რაში ანიავებს მენამულ ნალებს“ (სონეტი) (3,260).

ტერენტი გრანელის „სიზმარი“ (4, 138) სულიერი ინიციაციის თემას ძალზე ორიგინალური ხილვებით ათვალსაჩინოებს. პოეტი თითქოს „ბავშვი უფალია“, უქარო, ჰარმონიული სამყაროს მკვიდრი, თეთრი ყვავილით მავალი თავისუფლების გზაზე: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავისუფალი“.

„ცისფერი ბაღი“, „უცხო ბაღი“ ხშირად იხსენება ტერენტი გრანელის პოეზიაში და, ვფიქრობთ, ზეცური ბაღის მეტაფორაა. ლექსში შემდეგ საუბარია უცებ მოვარდნილ ქარზე, დაღუპვის შიშზე, მაგრამ „ვიღაც უცხობი ქაღი“ (ალბათ, უფლის დედა) ისევ თავისუფლებას ანიჭებს.

ტერენტი გრანელს ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებით ესმის თავისუფლება. ეს ცნება პოეტისთვის როდი მოიცავს სიმშვიდეს, უშფოთველობას, სიმდიდრეს, ობივატელურ აუმღვრევლობას, თვითკმაყოფილებას, არამედ თავისუფლების პირობაა „უგალი გზებით“ სიარული, ბრძოლა, დაპირისპირებულობაში რწმენის რჩევანი, სიკეთის, სათნოების მსახურება, ყორნის ჩხავილის მიუხედავად ზეციური ჰანგების გათავისება: „თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლება გზები უვალი. ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“.

ყვავილი უფლის მეტაფორაა: „ყვავილები დაჩნდნენ მინის პირზე, უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონისა 2,12) (5,1)

ყვავილი – ღმერთი, რწმენაა სწორედ სულიერი თავისუფლების პირობა.

ლექსში მოვლენები ხდება არა სინამდვილეში, არამედ სიზმარში. სიზმარი, ხილვები ანტიციპაციასაც უკავშირდება. იუნგი გამოყოფს წინასწარმეტყველურ სიზმრებს, საუბრობს სიზმრის პროსპექტულ ფუნქციაზე, რაც გულისხმობს „მომავალი, ცნობიერი წარმატებების არაცნობიერ ანტიციპაცი-

ას „... „სიზმარი შეიძლება მოიცავდეს გარდაუვალ ჭეშმარიტებას, ფილოსოფიურ დებულებას, ილუზიებს, ველურ ფანტაზიებს, მოგონებას, გეგმებს, ანტიციპაციას, ტელეპატიურ ხილვებს“ (6,26,255,293,305).

ზემოხსენებულ შემთხვევაში სიზმარი საკრალურია, ის ინიციაციის უმაღლესი საფეხურის მიღწევას უკავშირდება.

ვაჟა-ფშაველას „თეთრი მოხუცის“ სახით ეცხადებოდა ღმერთი („მოჩვენება“, „სიზმარი ამირანისა“).

ლექსში „სიზმარი სასოწარკვეთილისა“ ვაჟას სულინმინდა მოევლინა მკურნალად სიზმარში ღმერთის გამოცხადება რჩეულთა ხევედრია: „რათა მოგცეთ ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს ღმერთა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების სული მის შესაცნობად.

„და გაანათოს თქვენი გონების თვალები, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის“ (პავლე მოციქული, ეფესელთა, 2, 17, 18) (8, 414)

გოდერძი ჩოხელის რომან „მგლის“ ნამგლარი პერსონაჟი თევდორე უკუაგდებს მგლების -კომუნისტების ზნეობას, რწმენას უბრუნდება და ამის ნიშნად მკერდზე ვარდს ატარებს – უფლის სიმბოლოს, ვარდის საშუალებით აფრთხობს მგლებს.

ტერენტი გრანელის ირგვლივ მრავალგზის ჩნდება ყვავი, ყორანი, როგორც პოეტის თანამედროვე უკეთური სინამდვილის თანამდევი: „ვატყობ, სილურჯე იშლება ირგვლივ და ხიდან მესმის ჩხავილი ყვავის“ (სისხლის ბალი) (4,9). დალუპვის შიშთანაც ასოცირდება ყვავი: „ვწუხვარ დალუპვას ჩემს სულთან ერთად, სილაზე ნელა დაფრინავს ყვავი“ (შემოდგომის მინდვრებში) (4, 20).

გრიგალთან, მტრობასთან შემთხვევით როდი იხსენება ყვავი: „დილა არის, ძლივს მიფრინავს ყვავი, გრიგალს მივ-

სდევ და მიწევენ მტრობას“ (ელავს ზეცა და ლრუბლები შავი) (4,56).

ღამეა ყორნის საასპარეზო: „როგორც ყორანი, გაჩნდება ხვალეც ღამე ასეთი და უფრო გრძელი“ (შემოდგომის პასტორალი) (4, 105).

„ცისფერ სიშორეში“ (4, 127) შავი ყორნის სახეშია ბოროტებაა განსხეულებული: „ბოროტება მიცქერის, როგორც შავი ყორანი“.

პოეტის აპრილს „სანთლებით“ ასდევნებია ყვავები (ფარული ვედრება) (4, 151).

გაზაფხულის ცაზე, მღვრიე მტკვარზე ისევ ყვავები ჩნდებიან: „და ვიხედები ცისკენ, დგას გაზაფხული კარზე. დღეს დაფრინავენ ისევ ყვავები მღვრიე მტკვარზე“ (ისევ სიკვდილის შიში) (4,37).

„მფარველი თვალის“ (ლმერთის) გაუჩინარების დროს შუალამით იწყება ქორების თარეში: „ეს შუალამე მკრთალი, დამეცა, როგორც ქარი. არ ჩანს მფარველი თვალი, ირგვლივ გზებია შორი“ (ლოდინი ბედის) (4, 184).

როცა „იმედი არ ჩანს“, ყვავის ჩხავილი ეწვეთება სმენას (იმედი არ ჩანს) (9,110).

მიწაზე, ცაში ყვავები რიალებენ, „ყვავი კაცივით დადის“ (ჩიტი აფრინდა სადღაც მაღლობთან) (9,19).

როგორც ედგარ პოს გულს ბრჭყალებით კორტნიდა ყორანი,ტერენტი გრანელთანაც გულს და სულს ემტერება ყორანი და გრიგალი: „გული წაიღოს ტყეში ყორანმა, სული გრიგალმა გაიყოლიოს“ (მომკლეს დღეებმა, გაუგონარმა) (4, 135)).

სიცარიელეში, უადამიანო სივრცეში პოეტს ისევ ყორანი უკორტნის გულს: „ჩუმი დღეა და მწვანეა გორა, და კარგია, მოვკვდებოდე ჩქარა. თითქოს გული გადავეცი ყორანს, მთისკენ მიდის ცარიელი შარა“ (ფიქრები ნაძალადევში) (4,180).

ქარების, ყორნის გახსენება დიდი ქართველი წინამორბედის – ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელსაც უკავშირდება: „ქარები შენთან. ქარები შფოთავს. პოეტის სევდა მიჰქონდა ყორანს (ქარები 6. ბარათაშვილს) (3, 282).

ურთულესი, მრავალთემიანი ლექსია „მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე“ (4, 85).

„საოცრებასთან“, „შორეულ ალებთან“ (ლმერთთან) შეფიცული პოეტი ლოცვა-ვედრებას აღავლენს ზეცისკენ, ქალის ნუგეში, „საიდუმლო ქნარები“ (ძე ლმერთი), ანგელოზები ეიმედება, მაგრამ „უხეშ ბრბოსთან“ მოქცეულს, „ავი ზმანება“, „სიბნელე“ აშფოთებს, ცრემლებად იღვრება, რადგან „კვდება ზარებთან ყვავილების სერია“, ამასთან, „ყორნებმა დარეკეს ბაბილონის ნაპირთან“.

ძალზე საგულისხმო ჩანაფიქრის მატარებელია ეს ორი სახე. პოეტს მოესმის არა ეკლესიის, მორწმუნეთა ზარი, არა-მედ საბედისწერო მოვლენის მაუწყებელი ზარი, რომელიც „კლავს“ „ყვავილების სერიას“... ყვავილი უფლის მეტაფორაა და ამ ფრაზით მინიშნებულია ლმერთისუარმყოფელ ეპოქაზე, ასევე ბაბილონის ნაპირთან მოსმენილი ყორნების ხმა ღრმა ქვეტექსტის შემცველია და, ერთი მხრივ, იოანე მოციქულის აპოკალიფსის ასოციაციას იწვევს, რომელშიაც ინგრევა ცოდვილთა სავანე – ბაბილონი. რეალურად, ათეისტური ეპოქა, რომელშიაც იცხოვრა პოეტმა, ისეთივე ბოროტებით, უზნეობით, კაციჭამიობით იყო ცნობილი, როგორც ბიბლიური ბაბილონი.

ბაბილონის სახეს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ქართულ მწერლობაში (გრიგოლ რობაქიძე, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭილაძე).

შეიძლება ამ სახის წარმომჩენი რეალური ვითარება იყო, რადგან ბაბილონის მშენებელთა დარად, მრავალ ენაზე მოსაუბრე უცხო თუ შინაურ უკეთურთა თავშესაფრად იყო ქცეული ჩვენი მშობლიური შემოგარენი.

ფაქტი ერთია: ტერენტი გრანელის ლრმააზროვანი სახე-ები სერიოზულად დაგვაფიქრებს როგორც ჩვენი ქვეყნის აწ-მყოზე, ისე მომავალზე.

დამოწმებანი

1. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ. 2001
2. ინგლისური და ამერიკული პოეზიის მცირე ანთოლოგია, თარგმანი და შენიშვნები გიორგი ნიშნიანიძის, თბ. 1985
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
4. ტერენტი გრანელი, თბ. 2012
5. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, თბ. 1990
6. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ. 1995
7. ვაჟა ფშაველა ხუთ ტომად, ტ. I, თბ. 1961
8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკოლმი, 1992
9. ტერენტი გრანელი, ტ.I, თბ. 1991

იდუმალი ქალი ლეონრა

ედგარ პოს სახელი, მისი იდუმალებით, აჩრდილ-მოჩვენებებით, სიკვდილის ლანდებით სავსე პოეზია ძალზე ახლობელი იყო ტერენტი გრანელისთვის.

თავისი ტრაგიკული ბედით ტერენტი გრანელი ამერიკული რომანტიზმის წარმომადგენელს ედგარ ალან პოს (1800-1849) მოგვაგონებს ორივეს ადრე მოუკვდა დედა, ორივემ ბავშვობაშივე შეიგრძნო სიკვდილის ძლიერი, მსხვრალი ძალა. ორივე გამუდმებით მიელტვოდა სასაფლაოებს-ჭაბუკი პო საყვარელი ქალის სამარესთან ათენებდა დამეებს... ტერენტი

გრანელისთვის სასაფლაო არის არა მხოლოდ ტრაგიკულის სიმბოლო, არამედ ფიქრისა და განმარტოების, თვითჩალრმა-ვების ადგილი, რაღაც მეტაფიზიკური ველი, სადაც ადამიანი თითქოს დროებით ეთხოვება თავის მიწიერ, ყოველდღიურ ფიქრებს და მარადისობას უერთდება“ (1, 167- 168).

მიგნებული აზრია, „რომ ედგარ პო და ტერენტი გრანე-ლი ფსიქიკის უცნაური წყობითაც ჰგვანან ერთმანეთს და უკიდურესი პესიმიზმითაც... ორივეს შორეული და მარადიუ-ლი, იდუმალი და მიუწვდომელი ხიბლავდა... ორივემ ახალ-გაზრდამ, მიტოვებულმა და მიუსაფარმა, ქალაქის საავად-მყოფოებში დაასრულა ტანჯული სიცოცხლე, ორივესთვის ეს ერთგვარი შვება იყო და მარადიული, პოეტური სიცოცხლის დასაწყისიც“ (მარინე ტურავა, ტერენტი გრანელი) (1, 169).

დიდი ამერიკელი პოეტის შემოქმედებაში უმთავრესია ორი იდეა: სიკვდილი და სიცოცხლე, ჭიდილი სიყვარულსა და სიკვდილს შორის, რაც სიკვდილის ზეიმით მთავრდება.

ჭარბი მელანქოლიური ინტონაციებით გამოირჩევა ედ-გარ პოს „ლინორი“, „იულეილი“, „ყორანი“, „საქორწინო ბა-ლადა“, „ელენე“.

ზოგჯერ სიყვარულის ძალა ამარცხებს სიკვდილს და სიყვარული ხორცშესხმული ძალით ბრუნდება სატრფოსთან („მორელა“, „ლიგეია“) (ლეილა გამსახურდია, ედგარ პოს ლი-რიკის თავისებურება) (2,16).

ლექსში „ლინორ“ (2, 43) შავი სიკვდილი სტიქსის ნაპი-რებისკენ მიუძღვის მშვენიერ ასულს.

ანაბელ ლის გული ადრე დააზრო სუსხიანმა ქარმა, და-აშორა სატრფოს, რომელიც აკლდამასთან ელის მიჯნურის აჩრდილს, ან სიზმარში ევლინება საყვარელი სახე (ანაბელ ლი) (2,91-93).

სიკვდილის თემაზე დაწერილი შედევრია „ულალუმ“, რომელიც ეძღვნება ნაადრევად გარდაცვლილი მეუღლის – ვირჯინიას ხსოვნას.

მიუთითებენ, რომ „ულალუმზე“ მუშაობისას ედგარ პომ ასტრონომიულად გამოთვალა საკუთარი სიკვდილის დრო და საათი.

ედგარ პო, ოქტომბრის ბოლოს, „ლამეთა ლამის“ დადგომამდე სამი დღით ადრე გარდაიცვალა.

„ლამეთა ლამეს“, შუასაუკუნოებრივი გადმოცემის თანახმად, გარდაცვლილთა სულები იძენენ ძალასა და გავლენას ცოცხალ ადამიანებზე... ლამეთა ლამეს ყველაფერი შეიძლება მოსდე“ (კ. ჯანდიერი კომენტარები) (2,110).

ედგარ პოს „ყორანში“ გარდაცვლილი სატრფოს სახელია ლენორა (ლინორ) მისი მოგონებით გატანჯული ავტორი ეკითხება ყორანს, თუ შესძლებს ლენორასთან სულით წვდომას, მასთან შეხვედრას, რაზედაც ავი სული პასუხობს: „აღარასოდეს“.

ლენორა არის მთავარი პერსონაჟი გალაკტიონ ტაბიძის ლექსში „ედგარი მესამედ“.

ლენორას სახელი ტერენტი გრანელის ექვს ლექსში გვხვდება.

„იდუმალი ქალი ლენორა“ (3, 145) ხაზს უსვამს, რომ ქართველი პოეტისთვის „ძვირფასია“ ედგარ პოს პოეზია.

ლენორას სახე მოაზრებულია მძიმე ქარების, ვარდის და იის, „ძვირფასი პოეზიის“, გულთან დაპირისპირებული გრიგალების ფონზე: „...გულს გრიგალები შემოესია, დღემდე ოცნება სივრცე მეგონა. რა ძვირფასია ეს პოეზია და იდუმალი ქალი ლენორა“.

ლექსი „მეგობარს“ (3,189) „საიდუმლო ფიქრის“, „ცის-ფერი ლამის“ ტყვეობაში მყოფი სულების ხილვას უღრმავდება, სულის, რომელიც ახლოს ხედავს თავის მოგონებას, ძვირფას ლენორას: „ეს გრძნობა ისევ ებრძვის გონებას და ძვირფას დღეებს დრომ დამაშორა. მე ახლო ვხედავ ჩემს მოგონებას, მე ახლო ვხედავ ძვირფას ლენორას“.

ლექსი „ლენორას“ (3,174) ზღვების, ნისლის იქით, მიღ-
მურ სამყაროში გაუჩინარებულ, მოუწვდომელ ლენორაზე
გვესაუბრება: „სადღაც ზღვები ღელავდნენ, სადღაც მხოლოდ
ნისლია. დავიღალე, შენამდე მოსვლა არ შემიძლია“.

სევდა, გლოვა ორგანული იყო ქართველი პოეტისთვის
და, ბუნებრივია, ლენორას გახსენება ამ გრძნობებს უკავშირ-
დებოდა: „სევდა და სევდა, გლოვა და გლოვა, მსდევდა და
მსდევდა ფიქრების გროვა“ (სევდა. ლენორას) (3,225).

ერთი უსათაურო ლექსი, რომელიც ეძღვნება ლენორას,
ხაზს უსვამს მის სინმინდეს, ერთადერთობას, ღმერთობას.
ლენორა წარმოისახება კუბოთი, ლოდით, გლოვით, სხვებთან,
მარტო, თითქოს პოეტის ოთახს სწვევია ეს უბედური არსება
და მარტოობის განცდა, ცრემლების ღვარი დაუტოვებია.
ლექსის დასაწყისის სტროფი მეორდება ბოლოშიც: „ლენორა
წმინდა, ლენორა – ერთი. ლენორა მინდა, ლენორა – ღმერ-
თი“ (4, 130-130).

დამოწმებანი

1. მარინე ტურავა, სიცოცხლე შვენობს შენითა, თბ. 2012
2. ედგარ პო, რჩეული ლირიკა, თბ. 2001
3. ტერენტი გრანელი, თბ. 2011
4. ტერენტი გრანელი; თბ. 2012

დაწის რეანისცემის თარეთი გრანელის პოეზიაში

ოკულტისტები, იოგები აღნიშნავენ, რომ ნებისმიერ ფი-
ზიკურ სხეულს აქვს ჰაეროვანი (ეფირული) ორეული, რომე-
ლიც თვით სიცოცხლის კვიტენსენცია და შეუძლია იცხოვ-
როს ფიზიკური სხეულის სიკვდილის შემდეგაც (1, 175).

ვისაც სხეულისგან სულის დროებითი გაყრის მომენტი განუცდია კლინიკური სიკვდილის დროს, იხსენებენ, რომ მათ ჰქონდათ არაჩეცულებრივი სიმსუბუქისა და ფრენის განცდა.

დიდი ფსიქიკური ძალის მფლობელ ადამიანებს შეუძლიათ ჩვეულებრივ პირობებში გამოყონ ასტრალური ორეული და იფრინონ განუსაზღვრელ დროში, ნებისმიერ სივრცეში.

ასტრალური მოგზაურობისას სული ეთიშება სხეულს, იქმნება უწონობისა და სიმსუბუქის შეგრძნება და ეს მდგომარეობა გაიგივებულია ფრენასთან.

მაგრამ ასეთი მდგომარეობის მიღწევა საჭიროებს უდიდეს ძალისხმევას, უმაღლესი წესრიგის გამბედაობას, ვინაიდან, აღნევს რა ასტრალურ სიბრტყეს, ადამიანი მოწმე ხდება საოცარი სანახაობის, რისი გადატანაც ყველას არ შეუძლია. ამიტომ საჭიროა შიშზე გამარჯვება, სიმშვიდე, საკუთარი ძალების რწმენა“ (რამაჩარკა) (2, 287).

ელენე რერიხის მიხედვით, სიკეთით განთავისუფლებული სული ფრენს სინათლეში. სულის დისციპლინა შეიძლება გავიგოთ, როგორც ფრენა. საჭიროა ლოცვა, სულის ფრთები იზრდება დუმილში, ხოლო მატერიას ფრთები არა აქვს. როცა ადამიანები გაიგებენ, სად და რატომ უნდა იფრინონ, მაშინ შეიძლება გაათმაგდეს „მფრინავი აპარატები. საჭიროა სწრაფვა აბსოლუტისკენ. მიწიერი სილამაზე იკარგება დედამიწის ლურჯ სხივებში.“

„კარგია, გქონდეს ისეთი სხეული, რომლითაც სულს არ ეშინია შორს ფრენის. ფრენა ბრწყინვალე სიტყვაა. როცა მძიმე დროა, იფიქრეთ გაფრენაზე, დაე, ყოველი ოცნებობდეს ფრთებზე. ფრთები იზრდება აზრით, გაფრინდით ფიქრით“ (3, 32, 51, 59, 88, 89, 102, 508).

ხელოვნური თანამგზავრითა და კოსმოსური ხომალდით ადამიანები ვერასოდეს მიაღწევენ სხვა პლანეტებს, ტრანსცენდენტურ პლანეტებზე გამგზავრებისას საჭიროა როგორც ნატიფი, ისე უხეში სხეულის გამოცვლა, ვინაიდან სულიერი

ზეცის მიღწევა ბოლომდე სულიერი სხეულით შეიძლება (იქვე).

სხვა პლანეტებზე მოგზაურობის მიდრეკილება მუდამ ახასიათებს ცოცხალ არსებას. მას ჰქვია სარვა-გატა, რაც ნიშნავს იმას, ვისაც ყველგან მოგზაურობა სურს.

„შრიმად – ბჰაგავატამის II სიმღერაში აღწერილია სულიერი ზეცისა და მისი მცხოვრებლების ბუნება. აქვე ნათქვა-მია, რომ სულიერ ზეცაში არსებობს სულიერი თვითმფრინავები და განთავისუფლებული არსებები ელვის სისწრაფით მოგზაურობენ ამ პლანეტაზე (4, 105–109).

„ბჰაგავად-გიტაში“ დიდ მოგზაურობაზეა ლაპარაკი. ჩვენ უნდა გადავლახოთ მატერიალური სამყარო და შევიდეთ სულიერ ზეცაში. ეს შესაძლებელია არა კოსმოსური ხომალ-დებით, არამედ კრიშნას ცნობიერებით, სულიერი განვითარებით (5, 139).

სრულყოფილი იოგისთვის, რომელიც სრული ცნობიერებით ტოვებს სხეულს, პლანეტიდან პლანეტაზე გადასვლა ისევე ადვილია, როგორც უბრალო ადამიანისთვის მაღაზიაში შესვლა. ენერგია კრიშნას ცნობიერების განვითარებისთვის უნდა გამოვიყენოთ, რათა მივიღოთ სულიერი სხეული, რომლითაც კრიშნას პლანეტაზე მოხვედრა შეიძლება.

„ჰარით მოგზაურობა ნიშნავს აზრის შეცვლას, გონებისმიერი განწყობის შეცვლას, პროგრესირებას მენტალურ უნართა განვითარების გზით (6, 304).

ანთროპოსოფიის ფუძემდებელი რუდოლფ შტაინერი წერდა: „შინაგან, სულიერ ადამიანს ძალუძს ფიზიკური ორგანიზმიდან მთლად გამოთავისუფლდეს, აღიქვას და იმოძრაოს სულიერ სფეროში.

„მესამე ხარისხის შემეცნება ხელეწიფება მხოლოდ სულიერ ადამიანს, როდესაც იგი ფიზიკური ორგანიზმიდან იმდენად გამოთავისუფლდება, თითქოს ეს უკანასკნელი საერთოდ არ ჰქონია“ (7, 317).

შტაინერი განარჩევდა ფიზიკურ სამყაროს, ასტრალურ სამყაროს, დევახანურ ანუ სულიერ სამყაროს. საუბრობდა სულიერ ხედვაზე, სულიერ ყურზე, სულიერ სმენაზე.

„როგორც სინამდვილეს, ისე ვჭვრეტდი სულიერ სამყაროს“, წერდა „ჩემი ცხოვრების გზაში“ (7, 70).

ნეტარი ავგუსტინეს მიხედვით, „ადამიანს, გონებით აღმატებულს, თვით ზეცამდე ამაღლება შეუძლია“ (8, 121).

ღვთისმეტყველები საუბრობდნ „ხორციელ თვალსა“ და „სულიერ თვალზე“ (წმინდა ეპისკოპოსი ეგნატე (ბრიანჩანოვი) (9, 392).

დანტეს ევლინებოდნენ წმინდა სულები, ანგელოზები, სერაფიმები, ესმოდა „სინათლის ხმა“, „წმინდა ნათელის“ საუბარი (10, 442–443).

სულის ფრთებით მიეახლა დანტე ზეცის სავანეს: „მინაზე რა გვაქვს იმნაირი ჩვენ იარალი, ასასვლელი ან სიმაღლიდან ჩამოსავლელი, თავის სისწრაფით შევადარო ჩემს ფრთებს მაშინდელს“ (10, 366).

პლატონი აცხადებდა: „პოეტი მსუბუქი, ფრთაშესხმული და წმინდა არსია“ (11, 30, 31).

სულის ცაში ფრენის უნარი ვლინდება ვაჟა–ფშაველას პოეზიაში: „არ მიბობლია დაბლა ქვემძრომად, მაღლა დავ-ფრინავ, როგორც გავაზი“ (ნუეგში მგოსნისა) (12, 4).

ფშაველი გენიოსი „ცეცხლმოდებულ ფიქრს“ ცაში, ლმერთის სავანეში გზავნის („სამეფო სიყვარულისა“), სხვაგან სული გარდაცვლილ წინაპრებთან იგზავნება („ილიას საღამო“). ცაში ფრენის განცდა განსაკუთრებით საგრძნობია შემოქმედებით პროცესში, ამიტომაც დაეძებს „ახალ თვალებს“, ახალ ფრთებს“ (აღარ მწადიან ვიმღერო“) (12, 171).

ასტრალური მოგზაურობის ძალას გულისმობს აკაკი წერთლის განაცხადი: „ფრთები არ მაქვს, მაგრამ ვფრინავ“.

ამ ასპექტში განსაკუთრებით საყურადღებოა გალაკტიონის ტაბიძის პოეზია (იხ. „სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს“) (13, 197–206).

ყველა ამ პოეტის წინამორბედია დანტე. „ღვთაებრივი კომედიის“ ავტორის სული მოგზაურობს ჯოჯოხეთში, სალხინებელში, სამოთხეში და ბოლოს „სიყვარულს“ – ღმერთს მიეახლება.

მთელ პოემას გასდევს ცის და მიწის, ცოდვის და სიწმინდის დაპირისპირება, ცის, უზენაესის პრიმატი, რაც დედამიწაზე ზნეობრივი განწმენდის საწინდარია. „სხეულს ჯერ არ გაყრილი სული“ ცისკენ მიემართება (10, 228).

ცა მარადიული მშვენიერების საუფლოა, სიწმინდის, სამართლიანობის, მარადუამული მშვენიერების ეტალონი, მაგრამ მხოლოდ მიწას მისჩერებიან უკეთურნი და ამიტომაც ისჯებიან: „ცა გიხმობთ ისევ და ტრიალებს იგი თქვენს თავზე, გიჩენებთ თანაც მარადუამულ მშვენებას თვისსა, მაგრამ თქვენ მაინც ისევ მიწას დასჩერებიხართ და სასჯელს განვდით ამიტომაც ყოვლისმხილველი“ (10, 233).

მიწიერებაში მცხოვრები აღიარებენ, რომ სამართლიანად დაისაჯნენ: „რადგანაც თვალნი არასოდეს მიგვიქცევია სიმაღლეთადმი, რადგან ვჭვრეტდით მხოლოდ მიწიერს, მართლმსაჯულებამ მოგვისაჯა მიწისთვის მზერა“ (10, 254).

დანტემ უზენაეს სულს შესთხოვა „სიყვარული და სიბრძნის ნიჭი“ (10, 397).

„მარადუამული სიბრძნის“ სავანე იხილა პოეტმა ცაში.

დანტე გვარწმუნებდა: „სულს განწმენდილს და გასპეტაკებულს ცადამაღლების სრული ნიჭი მოევლინება“ (12, 30–31).

წმინდა ნილოს სინელი გვმოძლვრავს: „გამუდმებით გახსოვდეს ღმერთი და გონება ზეცად შეგექმნება“ (9, 106).

სულიერი მოძღვრის წმ. გრიგოლ პალამას რჩევა ასე-თია: „მხურვალედ ვითხოვოთ ზეციური სიმაღლეები და მი-ველტვოდეთ სილაჟვარდეს, ვინძლო უწყინრად მოგვეცეს მი-წიერი სიკეთე ამ საუკუნეში“ (9, 388).

„ვისაც სიმდაბლე არ გააჩნია, ვერესოდეს მოიპოვებს სულიერ ხედვას. ცხოველი სარწმუნოების მეშვეობით სულიე-რი თვალი ღმერთს ხედავს“ აცხადებს წმინდა ეპისკოფოსი ეგნატე (9, 435).

განმანათლებელი ტიხონი ირწმუნება: „ზეცა ყველა რჩე-ულის მამულია“ (9, 117).

პავლე მოციქული წერს: „სული ჭვრეტს ყოველივეს, ღვთის სილრმესაც“ (I კორინთელთა, 3, 10).

დანტე ცაში „ციურ საზრდოს“ ენაფებოდა, ის ასტრა-ლური მოგზაურობის უნარით იყო მომადლებული: „კაცნი... მგზავრობენ ნდობით, ერთ ადგილზე თავად შთენილნი“ (10, 141).

იტალიელი გენიოსის გონება „სულიწმინდის ნათელს“ ეზიარა (10, 315), ასტრალური მოგზაურობის უნარით გამო-ირჩა, რათა უზენაესის „ცათა ცას“ მიახლებოდა: „... მივეახ-ლეთ ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“ (10, 391).

ამასთან, „ზეარსებათა მარადიული თვალი“ იხილა (10, 281).

ცაში მარადიული „სხივთ ათინათი“ ანათებდა, რამაც აა-მაღლა პოეტის შემეცნება: „გამახვილდა აქ თვალი ჩემი და შემეცნებაც მკვიდრ ნიადაგს დამყარებია... უნდა მიაგო უცი-ლობლად მაღლი მაღალ სულს, აქ მოსაფრენად ვინაც ფრთე-ბი შენ მოგანიჭა“ (10, 397).

„ცათა ცის“ მხილველი გენიოსი ასკვნის: „... მიწაზე ეს-დენ ამაოდ ვეძიებდი საზრდოს სულისას“ (10, 415).

პოემაში დაპირისპიერბულია „ცისიერი ნათელი“ და მი-ნის, სხეულის შხამი: „სადაც ნათელი ცისიერი არ ბოძებულა,

მანდ სუფევს ბნელი დანაჩრდილი სხეულთაგანის, იქ სიმრუ-
მეა და ყოველგან შიშინებს შხამი“ (10, 417).

ცად ამაღლების ლირსი მხოლოდ იესო ქრისტეს მორ-
წმუნენი ხდებიან: „... ჯერ არავინ აქ არ მოსულა, ვისაც მიწა-
ზე არა სწამდა იესო ქრისტე“ (10, 418).

პოემაში ხაზგასმულია სულის ფრთების ძალა: „მიწაზე
რა გვაქვს იმნაირი ჩვენ იარაღი, ზეასასვლელი, ან მაღლიდან
ჩამოსასვლელი, თავის სისწრაფით შევადარო ჩემს ფრთებს
მაშინდელს“ (10, 433).

ცამდე ამაღლებული პოეტის სულის ძალამ გადალახა
მიწიერთათვის შეწერილი საზღვარი: „... სული ცაში გადიდე-
ბული, აღტყინდა უცებ, გადალახა სამანნი თვისი“ (10, 436).

ზეცის ბალში, წმინდა სულების სავანეში ყველაფერი
„ქრისტეს სხივებით“ იყო შემოსილი (10, 437).

„ზეცის სფეროს, ზესთა ზენარულს“ მიახლებული პოეტი
ამბობს: „ღვთაების სხივმა მე დამადგა მოწყალე თვალი“ (10,
361).

„ზეარსებათა მარადიული თვალის“ მხილველი უსაზ-
ღვრო ბედნიერებას განიცდიდა (10, 281).

ცის სავანეში „გონებას სულინმინდა ჰფენდა ნათელს“
(10, 315).

„ცაში მიღებული ციური საზრდო“ პოეტის სულიერი
ამაღლების საწინდარი გახდა.

მხოლოდ რწმენა იყო ზეცის საუფლოს კარების გახსნის
გზა (10, 441).

მოსე, ფსალმუნი, სახარება, ძველი აღთქმა, მოციქულე-
ბის ქადაგება, ეპისტოლენი გახდა გონებისთვის სულინმინდის
მიერ ნათლის მოფენის სტიმული.

„მწამს მე სამება წმინდა იგი მარადჟამული და ერთარ-
სება ღვთაებრივი, სამპიროვანი, აქ ვეზიარე მე უფლისა გზა-

თა მართალთა“, „სამშობლოდ უნდა ვიგულისმოთ სასუფევე-ლი“, ხაზგასმით არის პოემაში ნათქვამი (10, 444, 445, 451).

აქვე მადლობა აღევლინება „მარადიულ მებალეს“ უზე-ნაეს მისტერიასთან ზიარებისთვის (10, 451).

მხოლოდ ცათა საუფლოს მხილველი შეიცნობენ „მის-ტიურ ჭეშმარიტებას“: „ნუ გაოცდები, რომ შეიძლო შვილმა სოფლისამ ჭეშმარიტების მისტიურის აგრე ჩაწვდენა, ეს მან შეიცნო, ვინც იხილა ცათა საუფლო“, ნათქვამია ნაწარმოებში (10, 464).

„ზეცის სფეროს ზესთა ზენარულს“ მიღწეული პოეტი აცხადებს: „ვარდის ფურცელი აღაქმევდნენ ნელსურნელებას მარადიული გაზაფხულის სადიდებელად“ (10, 473).

პოემის ვარდი, „დიადი ყვავილი“ უფლის სახელია: „ყვა-ვილები დაჩნდნენ მიწის პირზე, უამი გალობისა მოიწია და ხმა გვრიტისა ისმის ჩვენს მხარეში“ (ქებათა ქება სოლომონი-სა) (2, 12).

გაზაფხული, ძველი ქართლით ზაფხული უზენაესის სიმ-ბოლოა: „გვირგვინი დაადგი შენი სიკეთის ზაფხულს და შენი ნაკვალევიდან წვეთავს სიმსუქნე“ (ფს. 65, 12).

„ეს საბრძანისი სიხარულის და მშვიდობისა“ იყო განუ-ზომელი ბედნიერების მომნიჭებელი (10, 474).

სიხარული არის საღვთო სახელი: ქრისტე არის „დიდი სიხარული მთელი ხალხისა“ (ლუკა, 2, 10).

„მხოლოდ და მხოლოდ ღვთისმშობელის ძალმოსილება მოგმადლებს უნარს, მაცხოვარის თხილი სახე“, ნათქვამია დანტეს პოემაში (10, 481).

„ციურ სამოთხეში“ მოხვედრილი, „უცნაური გამოცხა-დების“ სიხარულით ამაღლებული პერსონაჟი მიმართავს მა-რიამ ღვთისმშობელს: „შენ ჩვენთვის მზე ხარ შუადლისა, მად-ლით მჩქეფარე“ (10, 484).

„თვალი მივაპყროთ ახლა უკვე სიყვარულს პირველს“, ნათქვამია პოემაში, ხოლო წმინდა წერილში „ღმერთი სიყვარულია“ (I იოანე, 4, 8).

ღმერთი არის „პირველი სიყვარული“ (იოანე მოციქულის გამოცხადება, 2, 4) (14, 15, 192, 492).

და ბოლოს პოემა მთავრდება სამყაროს, მზის და ვარსკვლავების, ადამიანის შემქმნელი ღმერთის აპოლოგიით: „...წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს“ (10, 488).

დანტესთვის ღმერთი არის „სიყვარული, პირველი სიყვარული, უზეშთაესი სიყვარული, მარადუამული ტრფიალის ცეცხლი... სიყვარული, რომელიც აბრუნებს მზეს და ვარსკვლავებს: „წადილი, ნებისყოფა ჩემი შეირხა, როგორც ბორბალი, სიყვარულით მძლავრად დაძრული, იმ სიყვარულით, რაც აბრუნებს მზეს და პლანეტებს“ (10, 38, 246, 303, 361, 413).

დანტეს ევლინებოდნენ წმინდა სულები, ანგელოზები, სერაფიმები, ესმოდა „სინათლის ხმა, „წმინდა ნათელის“ საუბარი (10, 442, 483).

პოეტი ხედავდა „ზეარსებათა მარადიულ თვალს“ (10, 28).

დანტემ იპოვა „ჭეშმარიტი გზა, წმინდა გზა, მართალი გზა, გზა უზეშთაესი, მზიანი გზა“, ანუ ღმერთი (10, 212, 318, 386).

„საბედისწერო ბედის ბილიკის“ გადამლახავი გალაკტიონი იყო „გაფრენილი პირველი წყების ნიაგარებით“ (ეფემერა) (15, 225).

„მისტიური ფრთით შედიოდა პოეტი „უცხო სიმსუბუქეში“, რათა იქ ეპოვა ნუგეში, თანაგრძნობა, ლვთაებრივი ნათელი (ნუგეში).“

„სული გაფრენილს ედარება ფერად მიმინოს“, აცხადებდა გალაკტიონი.

„სულთან ახლოა ცისფერი შუქი მარადისობის“, ირწმუნებოდა ტერენტი გრანელი.

განსაკუთრებული იყო ამ პოეტების ინტერესი „ცათა ცაში“, „მარადისობის ლაჟვარდებში“ ამაღლებისა (იხ. დაწვრილებით „მარადისობის ლაჟვარდებში“, „სულის ფრთები“ (16, 173–185).

„ზეშთა სიმაღლედ“ ასვლა შესაძლებელია სულიერი ფრთით, სულის ფრთა კი იზრდება რწმენით, საღმრთო წიგნებით (იოანე მტბევარი, ბასილი, ეზრა).

„არეოპაგიტულ კრებულში“ „სათნოების ფრთით“ ხდება ზეცაში ამაღლება. დიონისე არეოპაგელს ანგელოსურმა ბუნებამ, ზეციურ მეცნიერებაში განსწავლულობამ მიჰმადლა ფრთა (17, 81).

„ძალუმი ფრთებით“ ყოფიერებაზე ამაღლების, „წმინდა სინათლის ზვრების მიგნების ბედნიერებაზე საუბრობდა შარლ ბოდლერი ლექსში „ამაღლება“.

ჰაერში ანეული და ღრუბლებში შეჩერებული დიდი ჩინელი ფილოსოფოსი, მოძლვარი ლაო-ძი ჩინეთის იმპერატორთან შეხვედრისას თავის საოცარ შესაძლებლობებს ავლენდა. ჰაერით გარემოსილი მინაზე ფეხს არ აკარებდა და დასცინოდა ხელმწიფის კვერთხს, სიმდიდრეს და გამოჩინებას.

მისი ცად, ქარსა და ღრუბლებში ამაღლების, იანის ციური სხივებად შემოსვის უნარი ანცვიფრებდა კონფუცის (18, 45, 69).

„უხილავ ლანდების ფრთების ქროლვაზე“, „ფრთების სავსავით ზეამაღლებაზე“ აკეთებდა აქცენტს ალ. ბლოკი (მარადი დღე, 149, 190).

ტერენტი გრანელი, როგორც ორთოდოქსი ქრისტიანი, არსთავანმრინემ ასტრალური მოგზაურობის უნარით გამოარჩია.

„ძლიერი გრძნობის დროს ხშირად უგრძვნია, ხორციელ ჭურჭელს რომ მოსწყვეტია და ასტრალურ სივრცეში გადასულა თითქოს. საკუთარი სულიც კი დაუნახავს, ალისფერ წრეზე ცისფერ წერტილად მბრუნავი სული.

„ზემინიერ არსებობაში ისევე ჩვეულებრივად და ბუნებრივად გრძნობდა თავს, როგორც აქ, მიწაზე, ცხადიერ მეუფებაში“, წერს ლერი ალიმონაკი (19, 113).

ტერენტი გრანელი ემიჯნებოდა მიწიერ უკეთურობებს, გამუდმებით ზეცისკენ იყურებოდა და ცდილობდა მიწაზე დაემკვიდრებინა „ცათა ცის“ სიწმინდე, სინათლე.

ასტრალური მოგზაურობის უნარით მომადლებული პოეტი აცხადებდა: „მიწა არ მინდა და როგორც ქრისტე, მეც ვემზადები გაფრენისათვის. ახლა შორს ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (პოეტი პატიმარი) (20, 200).

„მინდა ფრთები და მიწიდან გასვლა და გაფრენის სურვილია უფრო“ ნათქვამია „ლამის სტრიქონებში“ (20, 255).

გაფრენით ეზიარებოდა „შორეულ იმედს“ (ცისფერი სინათლე) (21, 264), სცილდებოდა ჩვეულებრივ მოკვდავთათვის დაწესებულ საზღვარს: „სული საზღვარს გადასცდება ფრენით“ (გაზაფხულის საღამო) (21, 264).

გაფრენა, „სიშორის ცეცხლი“ (ლმერთი) ანიჭებდა მიწაზე ამაღლების ძალას: „ისევ სიშორის ცეცხლი მიზიდავს, არ მინდა გული სამარეს მივცე, მე ხომ მინდოდა გასვლა მიწიდან, მე ხომ მინდოდა გაფრენა ცასკენ“ (ექსკურსია ცისკენ) (21, 30).

პოეტს თავისი სულის სამშობლოდ ესახებოდა „ლაშვარ-დები ცისფერი“ (მემენტო მორი) (21, 3).

ცის და მიწის შედარებისას ყოველთვის ზენა სამყაროზე ამყარებდა იმედებს: „ცისკენ მივალ და მწყურია ზეცა, რად-

გან მიწა სამარეა ჩემთვის“ (დუმილია და მარხავენ ცხედარს) (21, 33).

თუ სხეული მიწაზე იყო მიჯაჭვული, სული ცისკენ ფრენდა (ისევ თეთრია სივრცე) (21, 46).

პოეტის ცამდე ამაღლების მიზანი იყო „ცისფერი ღამის“ – ღმერთის ხილვა: „...მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ ღამისკენ“ (მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა) (21, 82).

ათეისტურ ეპოქაში ყველაფერს ფასი ეკარგებოდა და მხოლოდ უზენაესის ცა ეიმედებოდა პოეტს: „ვფიქრობ, სიცოცხლე არ ღირს, ცისკენ მიფრინავს თვალი“ (სულს მარტოობა უნდა) (21, 227).

„ღამის სტრიქონებში“ ასეთი განაცხადია: „მიწა ფრთები და მიწიდან გასვლა და გაფრენის სურვილია უფრო“ (21, 255).

„იქაური ბრწყინვალე ცით“ მოხიბლულს, ლექსები ესახებოდა გაფრენის ძალად: „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლავს“ (ვარ ასეთი, ვარ ყოველთვის კენტი) (21, 201).

მიზანი საზღვარს იქით გაღწევა იყო: „სული საზღვარს გადასცდა ფრენით“ (გაზაფხულის საღამო) (21, 267).

არა საღამო, არამედ „ცისფერი ღამე“ ენატრებოდა: „მწუხარე სახით მოვწყდი საღამოს და ახლა მივალ ცისფერ დამისკენ“, აცხადებდა ლექსში „მე შენზე ფიქრი მაშინ მღალავდა“ (21, 82).

„ცისფერი ღამე“ საღვთო სახელია ტერენტი გრანელის პოეზიაში.

„ცისფერი ფიქრებით“ სავსე მიიწევდა ცისკენ (თან მზეა, თანაც დღე მიდის ასე) (21, 83).

„...მივდივარ ცისკენ, ვშორდები მიწას და გასაფრენი ფრთა გავისწორე. შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შო-

რიდან ვხედავ უსაზღვროებას“, აცხადებდა ასტრალური მოგზაურობის, „ცათა ცის“ ხილვის უნარით მომადლებული (ფიქ-რიდან ვხედავ შორეულ მიზანს) (21, 96).

„უამინდობამ მე დამამდიმა“, განაცხადა უკეთურ დროში მოქცეულმა და „სხვა ზეცის ამინდს“ მიენდო (მივყვები გაყინულ რიყეს) (21, 112).

„მარადიულ ლაჟვარდს“ შეიგრძნობდა, „ცისფერ ქვეყანას“ ხედავდა, ზეცა იყო პოეტის იმედი.

ანუგეშებდა იმის რწმენა, რომ „ცის კალთაში“, ანუ მარადიულობაში დაიდებდა სამუდამო ბინას მისი ნააზრევი: „ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერნამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სონეტი) (21, 153).

„მესამე გზას“, „სხვა პლანეტას“ ექცებდა ბოროტებამოძალებულ მიწას განშორებული: „ცა ლაჟვარდი, დედამიწა კუბო“ (21, 176).

ზეცისგან „ბედნიერ წამს“, „უმშვენიერეს დლეებს“ მოელოდა (ზეცა) (21, 164).

უზენაესის ცა შთაგონებით ავსებდა, „უვალ გზებს“ უჩვენებდა: „... ციდან ფიქრები ცვივა, წინ მიდის გზები უვალი“ (მწუხარე შუქი ჩნდება) (21, 191).

„სხვა პლანეტას“ ადევნებული ოცნება იყო ნუგეში (ცა ლაჟვარდი, დედამიწა – კუბო) (21, 176).

„მარადისობის ლაჟვარდებში“ „სული გაფრინდა თეთრი მტრედივით, სხეული დარჩა ცოდვილ მიწაზე“ (21, 158).

„სონეტში“ ვლინდება იმის რწმენა, რომ მისი ოცნება, ფიქრები „ცის კალთაში“ დაივანებს, ანუ მარადიული იქნება (21, 168).

გაფრენისთვის მზადმყოფი „საკუთარ აჩრდილს“, „უსაზღვროებას“ ხედავდა: „... მივდივარ ცისკენ, ვშორდები მიწას და გასაფრენი ფრთა გავისწორე. შორიდან ვხედავ საკუთარ

აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ (ფიქრიდან ვხე-დავ შორეულ მიზანს) (20, 96).

მიწის უკეთურობებით დატანჯული, ზეცაზე ამყარებდა იმედებს: „სხვა ზეცა მპირდება ამინდს“ (მივყვები გაყინულ რიყეს) (20, 112).

ლექსში „ვიგონებ სოფელს“ პოეტი კომუნიკაციას ამყარებს ზეცის, სხვა პლანეტის სულიერთან: „...ყოველ ღამე ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“ (ვიგონებ სოფელს) (21, 58).

სხვა პლანეტების საიდუმლოებათა შეცნობით დაინტერესებული აცხადებს ერთგან: „...მარსის ნიალში შემიყვარდა მე გაქანება“ (სონეტი) (21, 260).

ცის გახსნის მომლოდინე პოეტი „ცისფერ უსაზღვროებას“ შეიგრძნობდა (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (21, 102).

მიწის უსამართლობით გატანჯულს, „ცისფერი სამყარო“, „ცისფერი ღამე“ ეიმედებოდა: „...მივიღტვი ცისფერ სამყაროსკენ. სიცოცხლე ისევ არ შეიძლება და ზეცა ცისფერ ღამეს იძლევა“ (ელვარებს ისევ მდუმარე სარკე) (21, 112).

რუსთაველთან, გალაკტიონთან ღმერთის სიმბოლოა „მზიანი ღამე“. ტერენტი გრანელმა სალვთო სახელიც ახლებური ნიუანსით გაიაზრა, მისთვის ღმერთი „ცისფერი ღამეა“, მარიამ ღვთისმშობელი – „ცისფერი და“.

პოეტი ივედრებოდა: „...ღმერთო გამაფრინე და ქრისტე მიჩვენე... ღმერთო, გამალვიძე მე სხვა პლანეტაზე“ (ლოცვა გაფრენისთვის) (20, 130).

ტერენტი გრანელს ზეცაში, მარადისობის სავანეში ეგულებოდა თავისი მხატვრული სიტყვის ადგილი: „... ჩემი ოცნება შეირხევა, როგორც ლერწამი და ცის კალთაში დაისვენებს სევდიან ძილით“ (სონეტი) (20, 168).

„როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“, წერდა პოეტი „ღამის სტრიქონებში“ (20, 208).

სიკვდილის შემდეგ ქრისტეს თვალებთან შეხვედრა იყო ნუგეში: „... მე წავალ მალე... ამ ნათურების ცოფიან თვალებს ქრისტეს თვალები შეცვლიან მაშინ“ (ჩემო ზოზია, მე წავალ მალე) (21, 19).

თავის გასვენებასაც ქრისტეს, მაგრამ ღვთისმშობლის და ანგელოზების თანხლებით წარმოიდგენდა.

„უღირსი თვალის“ პარალელურად, „შორეული თვალის შუქს“ ხედავდა პოეტი და ეს ამხნევებდა (მივსდევ ქარიშხალს და უფრო ლანდებს) (21, 229).

„შემოდგომის პასტორალში“ ზეცამდე ამაღლებული პოეტის თანხლები იყვნენ ქრისტე და ანგელოზები.

ტერენტი გრანელი ხედავდა სულს, აჩრდილს, უსაზ-ლვრობას, სიცოცხლის ბოლოს, ფლობდა სულის ფრენის, უსხეულო არსებობის საიდუმლოებას.

ყოვლისმხილველი თვალი სხვისთვის უხილავს აფიქსირებდა. ნათელმსმენი და ნათელმხილველი „ლამის სივრცეში გაბნეულ ფიქრებს“ ჭვრეტდა, უცდომლად კითხულობდა „აკაშა ქრონიკას“, მთელი პლანეტის პრობლემებს შეიგრძნობდა, როგორც ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი.

„ციდან ფიქრები ცვივა, წინ მიდის გზები უვალი“, აცხადებდა უხილავის მხილველი და განმცდელი (მწუხარე შუქი ჩნდება) (21, 191).

მარადისობის საუფლოში გაფრინდა პოეტის „ცისფერი სული“, გადაუფრინა პლანეტებს და ისევ ახალი ძალით აელვარდა.

ცაში გამგზავრების წინ „უცნობი სფინქსი ფრთებს“ ისწორებდა: „მივდივარ ცისკენ, ვშორდები მიწას და გასაფრენი ფრთა გავისწორე“.

„სული ციდან ჩამოდის და ცაშივ ბრუნდება“, წერდა გოეთე ლექსში „მთვარისადმი“ (22, 80-81).

„უკვდავების ცისფერ მსხარეში“ ფრენდა ტერენტი გრანელის სული, შთაგონება ანიჭებდა ფრენის ძალას, მიწიერი

სიცოცხლის ხანმოკლეობა, სხეულის გაქრობა არ აშინებდა, არა სიცოცხლეს, არა სიკვდილს, არამედ „მესამე გზას“ ეძებდა „მგლოვიარე სერაფიმი“. ეიმედებოდა ქრისტეს მიერ „განსაცდელისგან“ დახსნა და სჯეროდა, რომ სხეულის გარეშეც მარადიული იქნებოდა მისი გაპრძნობილი სული: „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, სადაც დაფრინავს ჩემი მწუხარე სული.

„ქარიშხლიანი ლამეა და მინდა ვიყო სხვაგან.

„პოეზიამ იცის უეცარი სიხარული, რომელიც უდრის გაფრენას.

„მე არ მინდოდა სიცოცხლე.

„არც სიკვდილი.

„მე რაღაც სხვა მსურდა

„ახლაც ვთიქრობ და მწამს მესამე მზის არსებობა, როგორც იდუმალების.

„მე ისევ ვდგავარ მარადისობის გარინდებულ საზღვართან, ვით მგლოვიარე სერაფიმი და ველი ქრისტეს ლანდს, რომელიც და მიხსნის მე განსაცდელისგან.

„და მჯერა სიცოცხლე სხეულის გარეშე.

„მე მივმართავ მსოფლიოს შემდეგი სიტყვებით:

„მე მინდა გაფრენა.

„მე მინდა ყველგან ვიყო, როგორც ღმერთი.

„ჩარჩენილი ვარ ბავშვივით ამ ცოდვილ ქვეყანაზე და არ ვიცი, როგორ ამოვიდე იმ ტალახიდან, რომელსაც ეწოდება მინა.

„არა სიცოცხლე,

„არა სიკვდილი,

„არამედ რაღაც სხვა.

„ვამბობ: არ არიან სიტყვები გრძნობებისთვის... გარეთ ისევ ქარიშხალია, წვიმის წვეთები ეცემიან მინას და ისევ სიშორეზე ტირის როიალი“ (გულიდან სისხლის წვეთები) (21, 290-291).

ღვთისმეტყველები განარჩევენ „ხორციელ თვალს და „სულიერ თვალს“ (წმინდა ეპისკოფოსი ეგნატე, ბრიანჩანოვი) (9, 392).

დანტე საუბრობდა „ზეარსებათა მარადიულ თვალზე“ (10, 28).

მარკუს ავრელიუსი განასხვავებდა „ხორციელ თვალს“ და ხედვის სულ სხვა ორგანოს, რომელიც არანაკლებ ნათლად და გარკვევით ჭვრეტს“ (23, 47).

„ყველგან უფლის თვალებია, ხედავენ უკეთურებს და კეთილებს“ ნათქვამია წმინდა წერილში (იგავნი სოლომონისა, 15, 3) (14, 470).

„ხშირად მიცქერის ულირსი თვალი“ წუხდა ტერენტი გრანელი. „უცნობი თვალის“ ცქერას „ჯავრით თრობა“ მოჰქმნდა (კვირის შუადღე) (21, 50).

მაგრამ ეიმედებოდა „შუქი შორეულ თვალის“ (მივსდევ ქარიშხალს და უფრო ლანდებს) (21, 229).

„ნათურების ცოფიან თვალებს“ „ქრისტეს თვალებს“ უპირისპირებდა (ჩემო, მე წავალ მალე) (21, 19).

„ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“, წერდა პოეტი (თუ ხარ წვიმისკენ ცაო ცისფერო) (21, 63).

„ღია თვალებით“ მზერა უფლის პრეროგატივაა.

„დიდგანმზრახველო და მარადმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი ქცევისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“, ნათქვამია იერემია წინასწარმეტყველთან (32, 19) (24, 156).

„უფლის თვალი ათასჯერ ნათელია მზეზე. ის ადამიანის ყველა გზას ჭვრეტს და დაფარულ ადგილებშიც აღწევს“ (სიბრძნე ზირაქისა, 23, 19) (24, 59).

ჰიმნოგრაფიაში ღმერთს ეწოდება „თვალშეუდგამი ნა-
თელი“, დავით გურამიშვილთან – „თვალთა ნათელი“ (25,
40).

„ძლისპირნის“ მიხედვით, ქრისტე არის „ცხოვრების
თვალი“, მაგრამ ღვთისშობელი – „ცხოვრების თვალის მშო-
ბელი (ძლისპირნი, 1983, 535).

გალაკტიონისთვის ღმერთი არის „მეუფება მრავალთვა-
ლი“ (აკაკი წერეთელი) (26, 81).

„უპანაშიდებში“ უფალი არის „თვალი სამყაროსი“, რო-
მელიც არ ბინძურდება გარეგანი უწმინდურებით“.

ტერენტი გრანელი მუდმივად შეიგრძნობდა უზენაესის
მზერას და ეიმედებოდა მისი ყოვლისმხილველობის: „ვერ გა-
ვექცევი მზერამოლლილს და მიზეზიანს“ (საიდუმლო მისალ-
მება ჭლექიან სამრეკლოს) (20, 24).

პოეტი ხედავდა „სხვისთვის უხილავ-ფარულს“, რადგან
მომადლებული ჰქონდა არა ჩვეულებრივი, არამედ სულის
თვალი (21, 28).

„როგორც ქრისტე, ვიხედები მაღლა“ წერდა „ღამის
სტრიქონებში“ (21, 28).

პოეტი ხედავდა „ცისფერ ქვეყანას, უსაზღვროებას,
სხვა პლანეტას, სხვა ზეცას, „მარსის წიაღს“, საუბრობდა „ვი-
ღაც მარსიანელთან“...

დღეს, როცა მსოფლიოს წინაშე აქტუალურად დგას
მარსის ათვისების პრობლემა, გაოცებას იწვევს ქართველი
პოეტის განაცხადი: „მარსის წიაღში შემიყვარდა მე გაქანება“,
„ვსაუბრობ ვიღაც მარსიანელთან“...

არავის ასე ღრმად არ შეუღწევია ზეცაში, სულიერ სამ-
ყაროში...

დამონმებანი

1. Жизнь после смерти, Б. 1990
2. Рамачарака, Основы миросозерцания Индийских иогов, Петербург, 1913
3. Е. Перих, Мозаика Агни иоги, составление Алли Тер-Акопян, в двух книгах, I, Тбилиси, 1990
4. შრიმად ბჳჳგავატამი, სიმღერა მეორე, მისი ღვთაებრივი მოწყალება ა. ჩ. ბჳჳკუტივედანტა სვამი პრაბჳჳპადა, თბ., 1992
5. ბჳჳგავად-გიტა, ინდური ლოტოსი, თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო თამაზ ჩხენჯელმა, „ლიტერატურის მატიანე“, თბ., 2006
6. ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება“, თბ., 1991
7. რუდოლფ შტაინერი, „ჩემი ცხოვრების გზა“, თარგმანი კონსტანტინე (უმცროსი) გამსახურიასი, „პითაგორა“, თბ., 1994
8. ნეტარი ავგუსტინე, „ალსარება“, ლათინურიდან თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995
9. სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, III, თბ., 1991
10. დანტე, „ღვთაებრივი კომედია“, თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი, „პალიტრა L“, თბ., 2012
11. პლატონი, დიდი ჰიპია, მენონი, თბ., 1979
12. ვაჟა-ფშაველა, ხუთტომეული, ტ. 3, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2011
13. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1996

14. ბიბლია, თბ., 2013
15. გალაკტიონ ტაბიძე, პოეზია, „პალიტრა L“, თბ., 2014
16. ლუარა სორდია, გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი, შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები, „მერიდიანი“, თბ., 2005
17. არეოპაგიტული კრებული, თბ., 1982
18. ლაო-ძი, დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლერი ალიმონაკის, „საბჭოთა საქართველი“, თბ., 1984
19. ლერი ალიმონაკი, „კვირის წირვები“, „მერანი“, თბ., 1984
20. ტერენტი გრანელი, ტ. I, ლექსები, წერილები, ჩანაწერები, „პალიტრა L“, თბ., 2012
21. ტერენტი გრანელი ორ ტომად, ტ. I, „ქართული თეატრი“, თბ., 1991
22. გოეთე, ლექსები, თარგმანი ხარიტონ ვადაშვილის, „საბჭოთა მწერალი“, თბ., 1952
23. მარკუს ავრელიუსი, „ფიქრები“, ძველი ბერძნულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1972
24. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
25. ტიტე მოსია, საღვთო სახისმეტყველება, ზუგდიდი, 1996
26. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977.

თავი VII. ანტიციპირობით მოგადლებული ტერაციი გრავილი

ნინასნარმეტყველური ხილვაბი

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ის, რასაც ტერენტი გრანელი სულის თვალით ხედავდა.

„ვუმზერ სამყაროს ღია თვალებით“ (თუ ხარ წვიმის-თვის 1,63), ამბობდა პოეტი და ღია თვალებით მზერა, ანუ უცდომელი მზერა მხოლოდ უფლის, წინასწარმეტყველთა, საღვთო სიბრძნით მომაღლებულთა ხვედრია: „დიდგანმზრახველო და მრავალმოქმედო, რომელსაც ღია გაქვს თვალები ადამის ძეთა საქციელის მიმართ, რათა მიაგო თითოეულს თავისი საქციელისა და თავისი ნამოქმედარის მიხედვით“ (იე-რემია წინასწარმეტყველი, 32,19)(2,156).

ტერენტი გრანელი ხედავდა აჩრდილებს, ბრილიანტებით შემოსილ ლანდებს, ასტრალურ ორეულებს, ბედის მწვერვალს, სიცოცხლის ბოლოს, უსაზღვროებას, მარადისობას, უხილავს, გონიერ ცას ანუ ღმერთების ცას, რომელსაც ბიბლიაში „ცანი ცათანი“ ეწოდება.

პოეტი მონუსხული იყო სულიერი ზეცის ბრწყინვალებით: „...რა ბრწყინვალეა ცა იქაური“ (ახლაც ვიგონებ) (3,57).

ცასთან „კომუნიკაციის“ უნარით მომაღლებულს, მაღალი, „ბრწყინვალე ცის“ დუმილიც ესმოდა: „...მაღლა ბრწყინვალე ცის დუმილია“ (თეთრი დღეები) (1,73).

ამქვეყნიური მიეთ-მოეთისგან განრიდებულს, ცა უცნაური“ აძლევდა შთაგონებას: „ეს ჩემი ლექსი, ცა უცნაური, მორჩა, არ მესმის ქუჩის ხმაური“ (შვიდია სრული) (1,179).

ესაია წინასწარმეტყველი ხედავდა „შორეულ ქვეყანას“ (ესაია, 33,17) (2,97).

გალაკტიონ ტაბიძეს ესიზმრებოდა „რადაც წმინდა, შორი ქვეყანა“ (მე მესიზმრება) (4,97).

ტერენტი გრანელი ეძებდა ჩვეულებრივთათვის უხილავ შორეულ, მარადიულ, „ცისფერ სამყაროს“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (3,58), „მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“ (3,267).

ხედავდა ზეციურ, საღვთო ნათელს: „დგება ნათელი ისევ ზენარის“ (მე რა ვქნა) (1,202)

ხედავდა ანგელოზის ფრთებს, ანუ წმინდა, მფარველ სულს: „ჰაერში ირხევა ფრთები ანგელოზების“ (ფარული ვედრება) (1,187).

ხედავდა სულის ლანდს: „და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი ნისლის) (1,234).

„მემენტო მორის“ ავტორი ამჩნევდა „ცისფერ სულს“ (უცნობ საფლავთან), ხედავდა თანამედროვეთა სულს: „მე თითქოს ვხედავ და თითქოს ვუმზერ შენს სულს, ტანჯვისგან გასპეტაკებულს“, მიმართავდა აკაკი ანდრიაშვილს.

„ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემელი თაყვანს უნდა სცემდნენ სულითა და ჭეშმარიტებით“, ნათქვამია იოანე სახარებაში (იოანე, 4,24) (5,184).

პავლე მოციქულის მიხედვით, „....უფალი სულია და სა-დაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა“, (პავლე მოციქული, IIკორინთელ, 3,17) (5,388).

ღმერთი „სულია სახიერი“, ღმერთი „სულია ჭეშმარიტებისა, რომელიც მამისაგან გამოვალს“ (პეტრე იბერი (ფსევდო-დო-დიონისე არეოპაგელი) (6,16,14,15).

ტერენტი გრანელს ეიმედებოდა უფლის სულის მოვლინება „...მოვა ცისფერი სული“ (უცნობ საფლავთან ვდგავარ) (1,130).

მორნმუნე პოეტის სულისთვის ახლობელი იყო უზენაესი ცეცხლი: „.... და სულს ცეცხლისკენ მივყავარ თრთოლვით“ (ზამთრის მოახლოება) (1,138).

„შორეულ სინათლეში“, „სულის გადაღმა“ ჭვრეტდა „კანდელს“ და მოსალოდნელ სიმძიმილს: „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“ (შორეული სინათლე) (7,62).

ტერენტი გრანელის მზერას ანგელოზები ევლინებოდა როგორც მიწაზე, ისე ზეცაში: „მე მგონი ანგელოზები დაფრინავენ როგორც მიწაზე, ისე იმ შორეულ ქვეყანაში, რომელსაც ეწოდება ზეცა“ (1,267).

ანგელოზის მფარველობას შეიგრძნობდა: „გულს მფარველი ანგელოზი იცავს“ (ნელა მივალ) (1,168).

პოეტის მზერა სწვდებოდა ყოფნის დასასრულს: „შორიდან ვხედავ ყოფნის დასასრულს“ (გუშინ ამ ხესთან) (1,82).

ხედავდა სულის გაფიტრებას: „ფიტრდება სული მზეზე მოღლილი“ (ზამთრის მოახლოება) (3,18).

პოეტის იდეალი იყო სულში დავანებული „ცისფერი ყვავილი“ (ყვავილი საღმრთო სახელია): „და ცისფერი ყვავილი გამოჩენდება სულიდან“ (შორეული ყვავილები) (1,162).

მისი ფიქრის საგანი იყო „ცისფერი ღამე“: „მე მაინც ვფიქრობ ცისფერ ღამეზე“ (ეხლა ჩემს ირგვლივ) (1,119).

ვფიქრობთ, „ცისფერი ღამე“ „მზიანი ღამის“ იდენტური სახეა და ღმერთის სახელია (8).

პოეტისთვის ბუნებრივი იყო საღვთო ნისლის განცდა: „...ეს წმინდა ნისლი, ეს წმინდა კვირა“ (ეს ჩემი ლექსი) (1,180).

სულით თვალი აფიქსირებდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“: „...ეს წმინდა შარა, ეს წმინდა ქვები“ (შარა) (1,166).

გზა, შარა საღვთო სახელია: „... აპა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია, 30,21) (2,136).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აპა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძეირფასი ქვაუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28,16).

შორეულის, უსაზღვროების (ღმერთის) სავანეში გაჭრილი სული ხედავდა ზეციურ მეუფეს, საკუთარ აჩრდილს ანუ სულს: „ შორიდან ვხედავ საკუთარ აჩრდილს, შორიდან ვხედავ უსაზღვროებას“ (ფიქრიდან ვხედავ შორეულ მიზანს) (1,228).

საკუთარ აჩრდილს ანუ მეორე მეს ესაუბრებოდა: „მთაზე დავდივარ და ვგრძნობ ანთებას, საკუთარ აჩრდილს ვესაუბრები“ (მძიმეა წამი) (1,93).

გულით გრძნობდა „ყრუ ბედისწერას“: „ყრუ ბედისწერა“ გეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

ტერენტი გრანელი ხედავდა „ფიქრის ნავებს“: „ისევ გამოჩნდნენ ფიქრის ნავები“ (მოდის აზალი ფიქრთა კრებული) (1,187).

ანგელოზური სულის პოეტი ინტუიციით ამჩნევდა სხვათა გულში დაბინავებულ მხეცს და ეს განაპირობებდა მის გაუცხოებას მტაცებელთა მასისგან“: „ვარ ეხლაც კენტად, მიმზირს გულიდან მხეცი, მოვედი შენთან, მე ანგელოზი ზეცის (ვარ ეხლაც კენტად).

ტერენტი გრანელს აქვს ერთი შეხედვით უცნაური ფრაზა: „.... და ღრუბლის ბავშვი ჩაივლის მზესთან“ (დადგა მაისი) (1,109).

ღრუბლი, მარიამ ღვთისმშოლის სიმბოლოა (9, 124). „ღრუბლის ბავშვი“ არის ქრისტე, მზე-მამაღმერთი.

უზენაესთან სულიერ კავშირზე მიმანიშნებელი ფრაზაა: „ეხლა შორის ელავს ცა მოწმენდილი და მიხმობს ქრისტე მე ვარსკვლავიდან“ (პოეტი პატიმარი) (1,35).

პოეტის ღვთიურ სულს შეგვაგრძნობინებს შემდეგი ფრაზა: „სულთან ახლა ცისფერი შუქი მარადისობის“ (მარა-დისობის ლაუკარდები) (1,68).

მარადისობა, მარადისობის მამა „ღმერთის სახელია (ესაია წინასწარმეტყველი, 9,5)

შუქი უფლის პარადიგმა დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნში: „რადგან შენთან არს წყარო სიცოცხლისა, შენი შუქით ვხედავთ სინათლეს“ (ფს. 35,10).

„...იხსენი ჩემი სული სიკვდილისაგან, აგერ, ჩემი ფეხი წაბორძიკებისაგან, რათა ვიარო ღმერთის წინაშე სიცოცხლის შუქით“ (ფს. 56,14).

პოეტის სულს მარადისობის შუქი, ვარდის (საღვთო სახელია) შუქი აბრნყინებდა: „თეთრი შუქი ინთება ჩემი სულის და ვარდის“ (შეშლილი ცრემლები).

„ღმერთო, სიცოცხლის შუქი მაღირსე“, ევედრებოდა უფალს ძე ღმერთის სხივთ გაბრნყინებას.

ასევე ელოდა პოეტი ღმერთს – სასწაულს: „ახლა სასწაულს მხოლოდ მე ველი“ (ვერ გიღალატე) (1,72).

ტერენტი გრანელს ენუგეშებოდა „ღმერთი სასწაულის მოქმედი“ (ფს. 76,15).

ეიმედებოდა „საოცრება“: „...საოცრება მოგელის შენ, ტერენტი გრანელი“ (მონოლოგი უდაბნოს ყვავილებზე).

„უცნობი სფინქსი“ იდგა „საოცრების კარებთან“, მოე-ლოდა „საოცრებას“ (ცისფერი სიშორე, 1,40).

საოცრება და კარი საღვთო სახელებია: „უფალი... გაიხ-სენეთ მისი ნამოქმედარი სასწაულები, საოცრებანი და სამართალი მისთა ბაგეთა“ (ფს. 104,5).

„კვლავ უთხრა იესომ: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: მე ვარ კარი ცხოვართა“ (იოანე, 20,7).

ტერენტი გრანელი ფიქრობდა „შორეულ ხეზე“, „ძვირ-ფას ხეზე“ (ხე საღვთო სახელია), უმზერდა უსაზღვროებას, მარადისობას (უსაზღვროება, მარადისობა საღვთო სახელებია).

სიზმარი შეიძლება იყო წინასწარმეტყველური.

ძალზე ხშირად გვხვდება ტერენტი გრანელის ლექსებში სიზმარი, არა მარტო როგორც განცდილის დაფიქსირება, არამედ მოსალოდნელი მოვლენების წინასწარი ჭვრეტა.

სიზმრით გვამცნობს პოეტი სულში უფლის ჩასახლებას, რაც უვალ გზებზე სვლის, თავისუფლების, ზნეობრივი ამაღლების, მშვენიერებასთან ზიარების მომასწავებელია: „თითქოს ვიყავი ათი წლის ბავშვი, თითქოს ვიყავი ბავშვი—უფალი. არ ქროდა ქარი და უცხო ბაღში მე მივდიოდი თავისუფალი. თითქოს მესმოდა ყორნის ჩხავილი, წინ იშლებოდა გზები უვალი. ხელში მეკავა თეთრი ყვავილი და მივდიოდი თავისუფალი“ (სიზმარი) (7,132).

ახალი აღთქმის მიხედვით, თავისუფალი მხოლოდ უფლის მონაა: „...უფალში მოწოდებული მონა უფლის თავისუფალია, ასევე მოწოდებული თავისუფალიც ქრისტეს მონაა“ (პავლე მოციქული, I კორინთელთა, 7,22).

პოეტი გრძნობდა მარადიულ ცას: „მე ოცნებით მოვშორდები მიწას, გული იგრძნობს მარადიულ ლაჟვარდს“ (მარადისობის ლაჟვარდები) (3,32).

მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს შეიგრძნობდა ინტუიციურად: „სულის გადაღმა ელავს კანდელი და განსაცდელი შორეულ რიცხვის“ (შორეული სინათლე) (3,156).

მთელი სამყაროს მოვლენები ფიქსირდებოდა უკიდეგანო სულში: „მე ხომ ვიგრძენი მთელი სამყარო“ (ჩემი ბედი) (1,217)

განსაკუთრებული სიახლოვე ჰქონდა მის სულს შორეულთან, მარადიულთან: „მე ყოველთვის ვგრძნობ შორეულ და მარადიულ სამყაროსთან ახლობელ კავშირს“ (1,267).

პოეტი ირწმუნებოდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი“ (სამშობლოს) (1,94).

„მემენტო მორის“ ავტორი იყო „შორი გზით“ (ლმერთის გზით) მავალი, შორი პლანეტების განმცდელი: „ნახევარია ორის, მიდის ჩემი გზა სწორი. ნახევარია ორის, მიპყრობს პლანეტა შორი“ (ნახევარია ორის) (1, 172).

ტერენტი გრანელს აინტერესებდა „სულის მხარე“ (გუშინ ამ ხესთან) (1,82).

ბედისწერის ხაზები კვეთდნენ მის გონიერ გულს: „ყრუბედისწერა გეცემა გულზე“ (მძიმეა წამი) (1,92-93).

„უცნობ სფინქსად“ მოვლენილ პოეტს აწამებდა ყველა განმყოფობის, მთელი მსოფლიოს გულისგულში ჭვრეტის, საკაცობრიო ტკივილების დაამების სურვილი: „ახლა მთვარიანი ღამეა და მწვავს სურვილები, ერთი და იმავე დროს, სწორედ ახალ მინდა ვიყო ყველგან, მინდა მთელი მსოფლიო გადაიშალოს ჩემს წინ, როგორც ერთი ნაჭერი მიწა, აქედან ვუმზერდე პარიზში მიმავალ ადამიანს. მინდა ხელში მეყავოს მთელი მსოფლიო, როგორც ბურთი“ (ტერენტი გრანელის დღიურები).

გონით გულში მიმდინარე პროცესებს ჭვრეტდა: „შენ ჩემო თავო, გრძნობ გულის ანთებას“ (წვიმიანი დღე) (1,94).

ცისფერ უსაზღვროებასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ სულის ყვავილს, მიმიზებს (ლმერთის სიმბოლოებია) გრიგალი ემუქრებოდა და დროის ავბედითობას თრობით, ღვინით გაურბოდა გალაკტიონივით: „არ ვესალმები ამგვარ დროებას, გრიგალი არხევს სულის მიმიზებს, ახლაც ვგრძნობ ცისფერ უსაზღვროებას და თანაც ვფიქრობ წითელ ღვინოზე“ (არ ვესალმები ამგვარ დროებას) (1,102).

იდუმალი მაინც არ ტოვებდა და მიწიურ უკეთურობებს ავიწყებდა: „და ის ყოველთვის იდუმალია, რაც ჩემში იწვევს ალფროვანებას“ (მას შემდეგ) (1,106).

მის გულს ემშობლიურებოდა ფასდაუდებელი იაგუნდები: გულს რად ულირდა იაგუნდები“ (დაბრუნება ნავთლული-დან) (1,116).

იაგუნდი მარიამის სახელია (9,124).

ზეციური წამები უამებდა გულის წყლულებს: „და ვგრძნობ ზეციურ წამებს“ (ვაკიდან) (1,25-26).

ზეციური ვარსკვლავი (საღმრთო სახელი) ანათებდა გულს იმედებით: „ლამეა, ცაზე ვარსკვლავი ერთი მიღვიძებს გულში სხვანაირ იმედს“ (1,26).

უბედობას თრგუნავდა უხილავზე ფიქრით: „ბედს გავურბოდი და გული გავხსენ და ვსაუბრობდით ჩვენ, უხილავზე“ (ბედს გავურბოდი) (1,53).

ტერენტი გრანელის პოეზიის წინასწარმეტყველურ ხა-სიათზე მიუთითებენ მისი შემოქმედების მკვლევარები.

„წუთისოფლის მიზეზ-ბედეგობრივ ბორბალზე მპრუნავ-მა“ ტ. გრანელმა ზუსტად „გამოთვალა“ თავისი ხვედრი, და-სასრულს რომ უახლოვდებოდა. კარგად უწყოდა, საით მიჰქა-ნებდა დროის ულმობელი, მაგრამ კანონზომიერი ქროლვა: „მე რა მომელის, არ ვიცი განა? ვიცი, სად მიჰქრის დღეთა კრებული“... მის არსებაში ხომ ჩასახვამდე ლივლივებდა ბე-დისწერის ტბა. სიყრმიდანვე ცნობისწადილით უმზერდა ამ ტბის შფოთვას, უსმენდა მის იდუმალ ჟღერას და გულდას-მით სწავლობდა მის აქაფებულ და უდაბურ სანაპიროებს... მთელი თავისი ცხოვრება წინასწარ ამოკითხა ამ ხილულ, მაგრამ არარსებულ პერგამენტზე, „წერს ლერი ალიმონაკი (11,88) „წინახილვის შეგრძნება, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობლიობის შედეგი... საშუალებას აძ-ლევდა განეჭვრიტა თავისი მომავალი ბედისწერა“... ამ წინა-

ხილვით ძალუძღვის „სხვათა ფიქრების წვდომა, დროისა და სივრცის მოახლოება“ (იქვე, გვ. 136).

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი დავით თოთიბაძე, რომელმაც ფრანგულად თარგმნა ტერენტი გრანელის ლექსები წერს: „ტერენტი გრანელმა „გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქმედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარიყო. მას ჰქონდა წინათგრძნობა უმაღლესი რეალობის, უსასრულობის. ის გადასცემს სხვებს წინასწარცოდნას სხვა სამყაროს შესახებ, რომლისკენაც წაიყვანს კარგი მოძღვარივით. პოეტი ... არის ნიშანი, შეტყობინება რჩეული არხების, გამორჩეული ბედისწერის“ (12,46).

დამოწმებანი

1. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ., 1990
2. ბიბლია ორ წიგნად, წიგნი II, 1990
3. ტერენტი განელი, ასი ლექსი, თბ., 2005
4. გალაკტიონ ტაბიძე, რჩეული, 1977
5. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, 1992
6. პეტრე იბერი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი) შრომები, თბ., 1961
7. ცისფერი სიშორე, თბ., 1997
8. ტიტე მოსია, ოქსიმორონი „მზიანი ლამის“ პრობლემატიკა, თბ., 1999
9. ტიტე მოსია, საღვთისმშობლო სახისმეტყველება, 1995
10. კარლ გუსტავ იუნგი, ანალიზური ფსიქოლოგიის საფუძვლები, სიზმრები, თბ., 1995
11. ლერი ალიმონიკი, კვირის წირვები, თბ., 1984
12. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი (ხელნაწერი).

სიკვდილის აჩრდილების გამოცხადება

ათეისტურ საზოგადოებას, რომელიც მიწას, ნივთს, მა-ტერიას აიდეალებდა და სულის უკვდავება არ სწამდა, არ შე-ეძლო გაეგო ტერენტის განაცხადი: „... ისევ ვეძებ მარადიულ ყოფას, სიკვდილია სიცოცხლეზე მეტი“ (გული მტკივა და ოცნებას მიესდევ) (1,144).

პოეტი იზიარებდა მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, ადამიანისთვის საწუთო, მიწა დროებითი, ხანმოკლე სამყო-ფელია, ხოლო წმინდა სული თავის მარადიულ სახლს-ღმერ-თის სავანეს უბრუნდება გარდაცვალების შემდეგ და როცა სული ტოვებს თავის ხორციელ გარსს, მარადისობაში ივა-ნება. სულის განთავისუფლებისა და ზეცაში დამკვიდრების-თვის, აუცილებელია ხორციელი განწმენდა, ცოდვების მონა-ნიება.

პოეტი ხედავდა „მიცვალებულ დედას“ (სიზმარი), „დე-დის აჩრდილი“ დებს და მამას აბარებდა (დაბრუნება სოფელ-ში) (2,95). დედის აჩრდილი ელოდა გზაში (ჩემო ზოზია, მე წავალ მალე) (2,92,99).

ტერენტი გრანელმა იწინასწარმეტყველა თავისი გარ-დაცვალების წელი, თვე და რიცხვის განსაზღვრაში ხუთი დღით შეცდა(3,4).

სიკვდილის შემდეგაც პოეტს ისევ „ცისფერი ზეცის“ „განაჩენი“, თბილისის მიწაში დასაფლავების ეიმედებოდა: „ქა-რი ატირდა მზესთან, ცისფერი ზეცა მიგლოვს. მე, გაფითორე-ბულ პოეტს, თბილისის მიწა მიხმობს“.

იწინასწარმეტყველა თბილისში დასაფლავება: „მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე რომ დამაყრიან თბილისის მი-წას“.

„ო, როგორ მორბის ლანდი სიკვდილის“, „ვხედავ სიკ-ვდილის ყვითელ მანტიას“ – ასე შინაურივით დაიახლოვა პო-ეტმა გარდუვალთან შეხვედრა.

სიკვდილსაც სიცოცხლეში განიცდიდა: „სიკვდილს განცდი და მოდის მთვარე და თითქმის ვიცი, რა ხდება გარეთ“ (1,82).

„შორედან ვხედავ ყოფნის დასასრულს“ (გუშინ ამ ხეს-თან), გვაუწყა ნათელხილვის უნარით მომადლებულმა.

სიკვდილი არ აფრთხობდა, რადგან გაშინაურებული ჰყავდა: „...დამეძებს გარეთ, ვერ მოვიცილე, სალამი ქარებს, სიკვდილს, სიცივეს“ (მისალმება ზამთრისადმი) (4,95).

სიკვდილის განცდა გაგვიცნობიერა ლექსში „გადარჩება?“ „... ჩემს გარშემო ბურია, ჩემს გარშემო ნისლია, მოჩვენება შემოდის ღია თვალთა გუგებში“ (4,34).

თავისი სიკვდილიც ქვეყნის უსამართლობის ჭრილში მოიაზრა: „მე ვსტირი ქვეყნის უკულმართობას და ჩემს დალუპვას აუცილებელს“.

იქნებ მის ლექსებში პეტრე-პავლეს სასაფლაოს ხსენებაც არ იყო შემთხვევითი, სადაც მისი სამარე გაითხარა. მინიატურაში „სიკვდილის შემდეგ“ წინასწარმეტყველებდა: „...ჩემი კუბო იქნება სადა და პროცესია უცრემლო.

მე დამასაფლავებენ შუადლის ორ საათზე თბილისის ახლო.

მხოლოდ ცხედართან მდგომ პოეტებს მოაგონდებათ ჩემ დანისლულ ლექსებიდან: სტრიქონები.

ჩემს საფლავს დადგება მზე შორეულ რიცხვის...“ (4,375).

პროფესორი სერგი ჭილაია წერდა: „გასაოცარი წინაგრძნობა ჰქონია გრანელს. მისი გასვენებისას ყველაფერი ისე იყო, როგორც აღწერილი აქვს პოეტს. ოღონდ ზამთრის ნაცვლად შემოდგომა იყო და შემოდგომის ეს წვიმიანი დღე უფრო გულის დამაღმენებლად გვაგონებდა გრანელის წინასწარმეტყველურ სიტყვებს მისი მინიატურიდან „სიკვდილის შემდეგ“) (5,223).

ლადო გუდიაშვილი წინასწარმეტყველურს უწოდებს ტერენტის ლექსს ნიკო ფიროსმანზე: „სულ ახალი ჩამოსული

იყო ტერენტი თბილისში, ფიროსმანზე რომ სონეტი დაბეჭდა. საკვირველია, პროვინციიდან სულ ახლახან ჩამოსულმა, თბილისის კოლორიტს ხეირიანად რომ არ იცნობდა, რა საოცარი მისტიკური ხილვით იხილა ფიროსმანის ბედისწერის ტრაგედია, რომელიც მისივე ტრაგიკული ხვედრის თვითხილვაც იყო“ (5, 57-59).

უჩვეულო იყო მისი საფლავის ბედიც. ფიროსმანივით, მის საფლავსაც დაკარგვა ემუქრებოდა, რომ არა პოეტის მეგობრის-კონსტანტინე გაჩეჩილაძისა და მამა შიო თურქაძის (პეტრე-პავლეს სასაფლაოს მოძღვრის) ძალისხმევა.

დიდი მცდელობის შემდეგ გადაწყდა ტ. გრანელის ნეშტის გადასვენება დიდუბის პანთეონში, მაგრამ ეს ხდებოდა მოშურნეთა, ხელმოცარულთა, გულგრილთა მიერ ხელის შეშლის ფონზე. პეტრე პავლეზე ტერენტის სამარე გათხარეს, მაგრამ უამინდობის გამო გადასვენებას არ ჩქარობდნენ და ღია, პირდაღებული საფლავი, მისი მომლოდინე პოეტის გარეშე, ღრუბლიან ცას შესცემოდა. გვაგონდება პოეტის ადრეული განაცხადი: „მკვდარი ვიყავი და უგრძნობელი, ღია სამარე ჩემს გულს უცდიდა“ (მიცვალებულის დღიურიდან) (1, 294).

ელიზბარ ზედგინიძე წერს: „ტერენტი გრანელმა თავისი მომავალი თავისი პოეზიით წინასწარ განჭვრითა, თანაც სწორად და უტყუარად. ამას ადასტურებს მისი უიღბლო სიცოცხლე და უკანასკნელი გზა, რომელიც გაიარა პეტრე-პავლეს სასაფლაომდე პატარა სენაკიდან უცნობ საფლავთა მრავალ ბორცვსა და ძეგლებს შორის უკვე გამზადებულ სამარემდე, როგორც წუთისოფლის უცხო მგზავრი, მარტო მოსიარულე და მარტო დარდით აღსავსე უდაბნოში ტერენტისათვის უდაბნოდ ქცეულ თბილისში.

მხოლოდ, რამდენიმე მწერალმა მიაცილა პოეტი სამარემდე“ (5,202).

მორგიდან ტერენტი გრანელის გამოსასვენებლად მისულანი: გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, ლევან მეტრეველი, გერონტი ქიქოძე, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, იროდიონ ქავურაძე, პლატონ კეშელავა, ალექსანდრე წერეთელი, სიმონ ყაუხეჩიშვილი. ჭირისუფალთაგან არავინ ყოფილა (5,54-55).

ცნობილია, რომ ცოდვილი ადამიანის სულს ეშმაკი ეპატრონება, წმინდა პიროვნებისას – ანგელოზი. ტერენტის გრანელს თავის კუბოსთან სერაფიმები და ღვთისმშობელი ელანდებოდა: „...და ეცემოდნენ სადღაც წვიმები შორეულ ღრუბლის სანაპიროდან. კუბოსთან იდგნენ სერაფიმები და ღვთისმშობელი ჩემზე ტიროდა“ (მიცვალებულის დღიურიდან) (1,294).

ანგელოზები და ქრისტე ესახებოდა იმქვეყნად მიმავალ პოეტს წინამძღვრად: „... „მიმასვენებდენ ანგელოზები და კუბოს ქრისტე წინ მიუძღვოდა“ (1,294-296).

მიღმურ სამყაროში გამგზავრებისას სამოთხე ეიმედებოდა: „გლოვის ზარებით გამაქანებს თეთრი კარეტა და ჩემი სული სამოთხეში მივა გოდებით“ (ლოცვა მთვარესთან) (4,156).

ამ რწმენის საფუძველი იყო წმინდა ცხოვრება: „ძვირფასო, მხოლოდ მე დავრჩი წმინდა და სხვებმა სული ფულზე გაყიდა“.

ტერენტი გრანელი იზიარებდა გარდასხეულების თეორიას. მას სჯეროდა „სიცოცხლე სხეულის გარეშე“, „მესამე გზის“ არსებობა, სულის ღვიძილი ხორცის დატოვების შემდეგაც და ამბობდა: „და უმძაფრესი ღონის ქარიშხალია დღემდე, გამომეღვიძა, მგონი, გარდაცვალების შემდეგ (გამოღვიძება გარდაცვალების შემდეგ) (5,107).

როგორც სიცოცხლეში, სიკვდილის შემდეგაც პლანეტასავით სულის ანთების, სულის მარადიულობის იმედი არ ტოვებდა: „სული ჩქარია მრავალ სირბილით და ვიცი, ისევ

რომ ავენთები, როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ (პოეზია) (2,28).

არც ეს რწმენა გასცუდებია პოეტს: „...მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზ-ნო ხეტიალი) (2,88).

თავისი საფლავის მარადიულობა ასე მიგნებულად გად-მოსცა პოეტმა: „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიც-ვის „(სიკვდილის შემდეგ,) (2,108-110).

ტერენტი გრანელმა იწინასწარმეტყველა თბილისში და-საფლავება: „მალე მოვკვდები და ვიცი, გულზე რომ დამაყრი-ან თბილისის მიწას“.

პოეტმა იწინასწარმეტყველა თავისი გარდაცვალების დრო, უცრემლო, უცერემონიო დასაფლავება, გამცილებელთა მცირერიცხოვანება („სიკვდილის შემდეგ“).

იქნებ მის ლექსებში პეტრე-პავლეს სასაფლაოს ხსენე-ბაც არ იყო შემთხვევითი, სადაც მისი სამარე გაითხარა.

დამოწმებანი

1. ცისფერი სიშორე, თბ., 1998
2. ტერენტი გრანელი, ასი ლექსი, თბ., 2005
3. გივი ცქიტიშვილი, ტერენტი გრანელმა საკუთარი სიკვდი-ლი თითქმის ზუსტად იწინასწარმეტყველა, გაზ. „ვერსია“ 2001, 5-11 ნოემბერი
4. ტერენტი გრანელი, ტ. I, თბ. 1991
5. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984

ღმართისკან მიპრუნების და საქართველოს აკოუკილებლობის წინასწარმეტყველება

ათეისტურ ეპოქაში ბევრმა მედროვემ მიჰყიდა ეშმაკას სული. ისინი არათუ არ ებრძოდნენ ბოროტებას, მასთან სისხლით სდებდნენ ხელშეკრულებას და შავის თეთრად წარმოჩენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, რადგან ხელისუფლებისაგან ბოძებული ხალათით იყვნენ სტიმულირებულნი.

ტერენტი გრანელი ეპოქალური სიავის მხილებით არის ცნობილი. მისი ტრაგიზმის წყარო ღმერთის უარყოფა და ანტიქრისტეს აღზევება იყო. ეზობეს ენით, დაშიფრული მეტყველებით მიგვანიშნებდა რწმენისუარმყოფელი ეპოქის ტრაგედიაზე: „ეს ყვავილები ვინ აურია, და ქარიშხალთან ვარდის რტოები, შორეული ყვავილები ხმებიან, გრიგალი არხევს სულის მიმოზებს, ღუნავს ქარები ალვას, და მიკავია დამჭკნარი ია, ახლოს არ დარჩა ვარდი არცერთი და გლოვა კრთოდა ბედის წყაროდან, ზამთრის ვარდები დაიმსხვრევა ბალის კარებთან, გრიგალი მისდევს ოცნების ხომალდს, შენთვის მზე ჩაქრა, შენთვის ქარია, და ღამის ჩრდილმა დღის შუქი მოსპო, ქრება ის უმანკო და შუქი ნუგეშის, ღამე თანდათან შუქს იპარავდა, ახლა ეს შუქი ალარ ინთება, ჩემი თეთრი იმედი დაიკარგა ოდესლაც, ეს შორეული იმედიც ჩაქრა, იმედი არ ჩანს, ქარმა დარეკა, ისევ მიცქერის მთა გადამწვარი, დადის დემონი მთვარის და ავი ბედისწერა, მიპყრობს იისფერ თვალის ასე უღონო მზერა, და ჩემი სანთელიც ჩაქრა, ეს ცა შიშველი ვინ მოგვიტანა, შავი წირვები ატირდება წითელ ნარმაში...“

ტერენტი გრანელი ებრძოდა საშინელ დროს, გრიგალებს, ღამესთან იდგა, როგორც ქანდაკება“, რწმენის, სიკეთის ფლუიდებს ავრცელებდა თავისი ლექსებით და არ ტოვებდა ღმერთთან შერიგების, ლაზარეს აღდგომის, „დიდი დღის“ (ღმერთის) მოვლინების, სიწმინდის, ქართველი ერის გადარჩენის რწმენა: „მაგრამ ლაზარე აღდგება მკვდრეთით, აღდგება როგორც ღვთის სიყვარული“.

პოეტს აწამებდა განშორება ღმერთისგან, მაგრამ სჯე-როდა მომავალში ადამიანის განწმენდა და უზენაესთან შერი-გება: „.... და სულის ლანდი ისევ გაჩნდება და ისევ მოვა დღე შერიგების“ (ისევ დადგება სურნელი კვირის).

ღვთისმეტყველებაში „შერიგება“ რელიგიური შინაარსი-სა და იგულისხმება ადამიანის შერიგება ღმერთთან, ადამია-ნის მიბრუნება სარწმუნოებისკან, რასაც ბიბლიაში დიდი ად-გილი უჭირავს.

მალაქია წინასწარმეტყველი საუბრობდა მამებისა და შვილების შერიგებაზე ღმერთთან (მალაქია წინასწარმეტყვე-ლი 3,24).

პავლე მოციქული შეგვახსენებს „შერიგების მსახურე-ბას“ (II კორინთელთა, 5, 18), „შერიგების სიტყვას“ (II კორინ-თელთა, 5, 19), ღმერთთან შერიგებას: „.... ქრისტეს სახელით გთხოვთ: „შეურიგდით ღმერთს“ (II კორინთელთა, 5, 20).

ტერენტი გრანელის სული „ცისფერი ყვავილის“ (ღმერ-თის) სავანე იყო: „და ცისფერი ყვავილი გამოჩნდება სული-დან“ (მორეული ყვავილები).

სულის თვალით ჭვრეტდა „წმინდა შარას, წმინდა ქვებს“ (შარა).

გზა, შარა სალვთო სახელია: „აპა, გზა, იარეთ მასზე, როცა მარჯვნივ ან მარცხნივ გადაუხვევთ“ (ესაია წინასწარ-მეტყველი, 30,21).

ქვა ქრისტეს პარადიგმაა: „ასე ამბობს უფალი ღმერთი: აპა, ქვა დავდევი სიონზე საძირკვლად, ქვა გამონაცადი, ძვირფასი ქვაუთხედი, მასზე მინდობილი არ აჩქარდება“ (ესაია წინასწარმეტყველი, 28, 16).

პოეტმა იწინასწარმეტყველა ქართველი ხალხის მიბრუ-ნება ქრისტიანობისკენ, რელიგიური გრძნობის მარადიულობა: „ვიცი, ეს გრძნობა არ მოისპობა“ (პოეზია).

ტერენტი გრანელმა ზედმიწევნით კარგად იცოდა ბიბ-ლია და „დიდი დღის“ დადგომის (ცოდვილთა განკითხვისა და

მართალთა გაბრწყინების) იმედით ცხოვრობდა: „მოდიოდა დღე დიდი, ქარი ცოტაოდენი“.

ამავე დროს, მოსვენებას უკარგავდა ტოტალური კატაკლიზმები, პლანეტარული მასშტაბის სულიერი ავდრის მოლოდინი: „ცა ილრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანეტის“.

აპოკალიფსის საიდუმლოებაში ჩახედული, მეექვსე ბეჭდის მოხსნასა და კაცობრიობის გარდუვალ ურვა-ტკივილებსაც ხედავდა: „მიდის ეს ხანა, მიდის ეს ფიქრი და ეს ქვეყანა დარდისკენ მიჰქრის“.

უცდომელი ინტუიციით გამორჩეულმა, რამდენიმე ათეული წლით ადრე განჭვრიტა ქართველი ერის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვება. იგი თვალებგაბრწყინებული“ ეუბნებოდა ალ. სიგუას: ესენი (გულისხმობდა სერგო ორჯონიშვილეს, ლევან ლოლობერიძეს და მათ მიმდევრებს – ლ.ს.) საქართველოს ვერ დააჩიქებენ. მოვა ჩვენი დროც და საქართველო ისევ თავისუფალი ეიქნება“ (ალ. სიგუა, მოგონება ტერენტი გრანელზე, „ცისფერი სიშორე“, 1997, გვ. 416).

საკუთარი მოხავლის განვითარება

ტერენტი გრანელის პოეზიაში გამოვლენილია საკუთარი პოეტური უკვდავების უეჭველი რწმენა და, შეიძლება ითქვას, ეს წინასწარჭვრება ზედმინევნით ახდა.

პოეტისთვის ლექსი „გული და სისხლი“ იყო, რაც არ-წმუნებდა თავისი „წმინდა სახელის“ მარადიულობაში: „ჩემი წმინდა სახელი პოეზიას დარჩება, ჩემი გული და სისხლი ეს მემენტი მორია, მე ძლიერი ტალანტი, ზეციური არსება, ჩემი ნაზი სამშობლო – ლაუვარდები ცისფერი“ (მემენტო მორი) (1,122).

საკუთარი სულის ნათებას ხედავდა სიცოცხლისა და სიკვდილის მიღმა, შორეულ პლანეტებში: „სული ჩქარია მრავალი სირბილით და კაცი, ისევ რომ ავენთები, – როგორც სიცოცხლე, როგორც სიკვდილი, როგორც სიშორე და პლანეტები“ (პოეზია) (2,28).

პირველობაზე ფიქრსაც მომავლის უცდომელი განჭვრეტის უნარი კარნახობდა: „არ უნდა ფიქრი–პირველი მე ვარ, მე, პოეზიის უმანკო მსხვერპლი“ (შენსკენ მოჰკრიან ეს ჩემი გზები) (1,48).

პოეტი გრძნობდა „გრიგალის“ ძახილს, წამების მიზეზს და ამქეცენიდან წასვლის შემდეგ მოსულ დიდებას უტყუარი ალლოთი ხედავდა: „მე წავალ სხვანაირ სახით, ჩემს წასვლას დიდება მოსდევს. დაო, ვგრძნობ გრიგალის ძახილს, დაო, ვგრძნობ წამების მიზეზს“ (დათოვლილი სანთელი) (1,64).

გარიყულს, შერისხულს, ავადმყოფს, ჭორების ბადეში მოქცეულს, იობივით ნაწამებს მხოლოდ ქრისტეს გამოცხადება ეიმედებოდა და მისი სიდიადის დანახვისთვის დაბრმავებულთ, გამკილავთ მაინც ამართლებდა: „ახლა იქნებ ჭორებიც მომედება ტალახად: მე ხომ ბედმა გამრიყა, თანაც მტანჯავს ციება. ახლა ჩემში ძნელია გენიოსის დანახვა, ახლა ჩემი გაკილვა ცველას ეპატიება“ (დაბრუნება სოფელში) (1,74).

არც მაშინ ცდებოდა, როცა მომავლის დიდი განკითხვის, გადარჩენის შესახებ საუბრობდა: „მხოლოდ პოეტის, ჩემი და სხვათა, დარჩება ლექსი, გულით ნაწერი. და როგორც გემი, დგას, ქარიშხალთან ეს ათასცხრაას ოცდარვა წელი“ (დღე) (1,90).

ათეისტურ ეპოქაში ტენდენციური ხელისუფლება და შეზღუდული კრიტიკა არ ცნობდა ტერენტი გრანელის ლირსებებს, მათთვის მიუღებელი იყო რელიგიური პოეზია, ტერენტი გრანელი კი მომავლის იმედით ცხოვრობდა: „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (2,50).

ტერენტი გრანელმა იცოდა თავისი უგულებელყოფის მიზეზები, სჯეროდა, რომ ხალხი ისევ მოუბრუნდებოდა რწმენას და მაშინ სხვა თვალით შეხედავდნენ მის ქრისტიანულ სიტყვას, მაგრამ არ სურდა ხელოვნურად დაეჩქარებინა ეს პროცესი.

ვლადიმერ მაიაკოვსკი ტერენტი გრანელს ლექსების თარგმნის მიზნით ეწვია, მაგრამ „მემენტო მორის“ ავტორი ამ წინადადებას სრული სიდინჯით შესვდა, თან ის მიზეზებიც ჩამოთვალა, რის გამოც მას თანამედროვე ოფიციალური კრიტიკა უგულებელყოფდა, თავისი პოეზიის ღირსეული შეფასების დროდ ის მხოლოდ მომავალს იგულვებდა.

„ჩემს ლექსებში არ ჩანს წითელი აგიტაცია – პროპაგანდა, ანუ უკაცრავად, ცხოველური აღტყინება, ბიოლოგიური პათოსი, არც და ვერც იქნება, გამორიცხულია. ჩემს ლექსებში სულინწმინდის მადლია განფენილი. სტრიქონებში ღვთისმშობლისა და მაცხოვრის ხატებია ჩაწენული, მისტიური ხედვითაა გაცნობიერებული ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის წარსული და მომავალი, ღვთიური სულის განკაცებისა და ადამიანის უკვდავი სულის განლმრთობის საფეხურები... არამცთუ მთარგმნელი, არამედ წამკითხავიც (შემგრძნობი, გამგები) მისტი უნდა იყოს, უფრო მეტიც, განდობილი... ასე რომ... მარადისობას – პოეზიას არ ეჩქარება... პოეტებიც ნუ ავჩქარდებით. ოდესლაც, როცა „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის“ და სულიერება აღორძინდება, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“ (1, 412).

ტერენტი გრანელისთვის პოეზია „სულის ისტორია“ იყო, „ტანჯული სულის ტკივილი“, რომელიც მეოცე საუკუნეს უნდა გასცილებოდა, ასე სწამდა „მემენტო მორის“ ავტორს: „ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის ტკივილი“ (ნელა ქრებიან) (2, 50).

თანამედროვეთა შურს, მტრობას, ავსიტყვაობას, ჩასაფრებას ვერ ჩაეკლა პოეტები მომავალი პოეტური დიდების

რწმენა: „ვგრძნობ, მომავალი მაინც ჩემია“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვექებ) (2, 58).

საფლავის, სიკვდილის მომღერალმა, რომელიც სიცოცხლის დიდ ნაწილს უცნობების საფლავებთან ატარებდა, სიკვდილის ახალი, თავისებური სახელმძღვანელო შექმნა და მისმა უცნაურობამ, სამუდამო განსასვენებლამდე გულხელდაკრეფილს მიეცილებინა სრულიად უცხოები და ცრემლებიც დაეფრქვია მათვის, სათავე დაუდო ლეგენდებს, მაგრამ, ამავე დროს, დააფიქრა ფუჭად მოზეიმე, ბეცი, მხოლოდ, ამძვეყნიურობაზე, მატერიალურზე მზრუნველი საზოგადოება და სულის თვალი აუხილა, სულის უკვდავების რწმენა, სულზე ფიქრი ასწავლა. პოეტს სჯეროდა, რომ მისი საფლავიც მომავლის თაობებს ბევრ საგულისხმოს ასწავლიდა, სიკვდილ-სიცოცხლის მარადიულ პრობლემაზე დააფიქრებდა: „... მოვა, ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდება“ (უმიზნო ხეტიალი (2,88).

არც ამაში შემცდარა პოეტი, რადგან არც პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დავანებული ტერენტი გრანელი დავინყებიათ მის გულშემატკივრებს და არც დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში გადანაცვლებული. მისი სამუდამო განსასვენებელი მართლაც იქცა გონებაგახსნილთა ფიქრის, განსჯის, შეკრების ადგილად. იქ მუდმივად აწყვიაყვავილები.

უფრო მეტი, დღემდე არ შეწყვეტილა პოეტის თაყვანისმცემელთა ფიქრი იმის შესახებ, განისვენებს თუ არა იგი იმ ადგილას, რომელიც თავისი შემოქმედებით დაიმსახურა, ბევრი თვალს მთაწმინდისკენ გააპარებს და ამის ხმამაღლა განცხადებასაც არ ერიდება.

იწინასწარმეტყველა რა ნაადრევი სიკვდილი, თავისი საფლავის მარადიულობაც განჭვრიტა. ეს საფლავი მან ეკლესიის ახლოს მოინიშნა: „კვირა დილით, როდესაც ყველა მლოცველისათვის გაიღება ეკლესის კარები, ჩემს საფლავ-

თან დაფიქრებული მოვა ვინმე ქალი, მოიგონებს ჩემს დამწვარ სახეს, მოიგონებს ჩემს წამებას და შევეცოდები. ასე გაივლიან საუკუნეები. ჩემს საფლავს დაადგება მზე შორეულ რიცხვის“ (სიკვდილის შემდეგ) (1,375).

პოეტის „შორეული ნისლბურანით გარემოცული საკვირველი წინასწარმეტყველების ძალას და ცხადიერ სახეს“ ხედავს ლერი ალიმონაკი ტერენტი გრანელის სტრიქონებში: „... და გაიგებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ (4,23).

უცდომელი იყო პოეტის მსჯავრი როგორც საკუთარ შემოქმედებაზე, ისე ცხოვრებაზე: „პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზადაბნეული“ (ქრისტიან ფიქრები თეთრი და შავი) (1,44).

ტერენტი გრანელის მოვლენებს ჭვრეტდა არა მხოლოდ ლოკალურ, არამედ გლობალურ მასშტაბებში და თავის პოეზიასაც მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენად მოიაზრებდა: „ახლა მინდა, ვარსებობდე ყველგან, მთელ მსოფლიოს რომ დავიპყრობ, ვიცი... და ძვირფასო, ჩემს ბრწყინვალე სახელს, ვგრძნობ, მსოფლიო აღიარებს მალე“ (ლამის სტრიქონები) (140-142).

არც ამ მასშტაბების განსაზღვრაში შემცდარა დიდი პოეტი.

ანგელოზური სულის პოეტი ანგელოზის ნილბით ცხადდებოდა და შორს გახმიანებული ტაშისცემის ხმაც სწვდებოდა მის სმენას: „ალბათ დილას ჩამოწვება ნისლი, მე ვატარებ ანგელოზის ნილაბს“ (შემოდგომა) (1,148).

ხალხის დაუინებულ მზერასაც ამჩნევდა, თავისი ეკლესიის გუმბათივით ელვარე სახეს უკეთებდა აქცენტს და არც ამაში იყო გადაჭარბება: „მე მივდივარ და მიცქერის ხალხი, ჩემი სახე გუმბათივის იელავს“... (შემოდგომა) (1,148).

სხვაგან გაბრწყინებული ეკლესიას სახეში მოიაზრებდა თავის პორტრეტს: „საქართველოში მხოლოდ შენ ერთს თუ გაგონდება გაბრწყინებული ჩემი სახე, ვით ეკლესია“.

ბრწყინვალება რჩეულთა ხვედრია. ტერნეტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის გამორჩეულობაზე ამახვილებდა ყურადღებას. მას საფუძვლიანად ეიმედებოდა მეტი დიდება: „ჩემი სახელი ხომ ასე ბრწყინავს, მე მეტ სიხარულს ველი დღეიდან“ (შევალ ოთახში) (1,216).

ბრძოლის ველზე „ურიცხვ მტრებს“ დაპირისპირებული, მიწაზე კი არა, „ცისფერ სამყაროში“ ეძებდა ნუგეშს და ფიზიკური დამარცხების შემთხვევაშიც მომავალი ყოველთვის გარანტირებულად ესახებოდა: „დაამამარცხებენ? დე დაამამარცხონ, ვგრძნობ, მომავალი მაინც ჩემია“ (მე ისევ ცისფერ სამყაროს ვეძებ) (1,316).

ცაში, მარადისობაში დაბინავების იმედს ლექსი აძლევდა: „მე ლექსები გამაფრენენ ცაზე, მე ლექსების სიხარული მომკლავს“ (ვარ ასეთი, ვარ ყოველთვის, კენტი) (3,38).

„შორი ცის“ იმედი იყო დიდი სტიმული: „და იმედს მაძლევს ახლაც შორი ცა-მარად მუქი“ (მორჩა, არავის ველი) (3,73).

ტერნეტი გრანელი იყო ის პოეტი, ვინც ფიქრობდა „შორეულ ხეზე“ (სალვთო სახელია), უმზერდა უსაზღვროებას, „მარადისობას“ (ლმერთს), პლანეტარიას, სამყაროს (პოეზია) (1,28).

„ამ საუკუნეს ხომ გასცილდება ჩემი ტანჯული სულის კივილი“, „ვიცი, დრო მოვა ჩემი გაგების“, ჩაგვესმის ტერნეტი გრანელის ხმა და უნდა ვალიაროთ, რომ ყველაფერი ახდა, რაც პოეტმა იწინასწარმეტყველა, მოვიდა მისი გაგების დრო, მეოცე საუკუნის 20-30-იანი წლების სიტყვის ოსტატმა 21-ე საუკუნეში შემოაბიჯა დიდებით და კიდევ ერთხელ დაბეჯითებით ვირწმუნეთ მისი სიტყვების ჭეშმარიტება: „და ვიცი, უსათუოდ ვარ მსოფლიო პოეტი“...

განა შემთხვევითია, რომ ამ პოეტზე ფიქრისას სულინ-მინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვახსენდება: „წინასწარმეტყველებას ნუ გააბიაბრუებთ“ (პავლე მოციქუ-ლი, ფილიპელთა, 4,19) (5,429).

ისევ მოციქულს რომ მოვუსმინოთ, „წინასწარმეტყვე-ლება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადამიანები, სულინმიდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარ-მოთქვამდნენ მას“ (II პეტრე, I, 21) (5,309).

ტერენტი გრანელმა განჭვრიტა რელიგიური გრძნობის, რელიგიური პოეზიის მარადიულობა (პოეზია), იწინასწარმეტ-ყველა პროლეტარული პოეზიის ეფემერულობა: „თუ პოეზია მოიკრეფს ძალას, შთამომავლობა რამდენს იცინებს, როცა დახედავს ეულის კალამს და მაშაშვილის ლექსის წინილებს“.

„პოეტის შორეული ნისლ-ბურანით გარემოცული საკ-ვირველი წინასწარმეტყველების ძალას და ცხადიერ სახეს“ ხედავს ლერი ალიმონაკი ტერენტის სტრიქონებში: „...და გაი-გებენ დიდი ხნის მერე, რა ცეცხლი მწვავდა და რა ვიყავი“ (4,23).

ლადო გუდიაშვილი წინასწარმეტყველურს უწოდებს ტე-რენტის ლექსს ნიკო ფიროსმანზე, „მისივე ტრაგიკული ხედ-რის თვითხილვას“ (4,57-58).

„წმინდა, ნათელი წინაგრძნობით სწორული ტ. გრანელი“ (ლ. ალიმონაკი) თითქოს ცხადად ხედავდა, როგორ იქცეოდა მისი საფლავი მომავალში დაფიქრების, სულთა თანაზიარო-ბის, სიკვდილის საიდუმლოებებზე ჭვრეტის ადგილად: „მოვა ოდესმე ვინმე ტანჯული და ჩემს საფლავთან ის დაფიქრდე-ბა“ (უმიზნო ხეტიალი), „ჩემს საფლავს დაადგება მზე შორე-ულ რიცხვის“ (გულიდან სისხლის წვეთები).

საფრანგეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი დავით თო-თიბაძე წერს: „ტერენტი გრანელი ადრიდანვე წინასწარ გრძნობდა, რომ მალე დატოვებდა წუთისოფელს“.

„მისი თვალები, რომლებსაც „პატარა ნათურებს“ ადა-
რებს, ღამეში რომ ანათებენ, ჰგავს იესოს თვალებს იმითი,
რომ შეუძლიათ ჩასწვდნენ ღვთის უსაზღვროების საიდუმ-
ლოს და, ამავე დროს, უფრო ნათლად დაინახონ, რა ხდება
სამყაროში და ადამიანთა შორის.

„.... გულიდან მოსული ლოცვა... უხსნის წინასწარ ნა-
ფიქრ და ნაძებნ გზას, „მესამე გზას“, მისივე სიტყვებით რომ
ვთქვათ.

„მან გადალახა ადამიანური განზომილება, რომ შემოქ-
მედის სიტყვით შთაგონებული წინასწარმეტყველი გამხდარი-
ყო.

„პოეტს უჩნდება წინათგრძნობა უმაღლესი რეალობის,
იმ უსასრულობის, რომელიც მას ასე გამუდმებით სწყურია.

„იგი გადასცემს სხვებს წინასწარ ცოდნას სხვა სამყა-
როების შესახებ, რომლისკენაც წაიყვანს კარგი მოძღვარი-
ვით.... თავისი ჯვარცმის ბოლო წუთამდე ის არის ნიშანი,
შეტყობინება „რჩეული არხების“, გამორჩეული ბედისწერის“
(6,26,33,34,36,41).

გამოჩენილი მხატვარი და ესეისტი რეზო ადამია „ტე-
რენტი გრანელის მიერ წინასწარ ნაგრძნობი ლექსად ნათქვა-
მი პოეზიის ფორმულას“ უწოდებს სტრიქონებს: „ვიცი, დრო
მოვა ჩემი გაგების“ (7,8).

ტერენტი გრანელის გამორჩეული მკვლევარ-გამომცე-
მელი ლერი ალიმონაკი სწორად აღნიშნავს: „წინახილვის შეგ-
რძნება, ცნობიერ და არაცნობიერ თვითშემეცნებათა ერთობ-
ლიობის შედეგი.... საშუალებას აძლევდა განეჭვრიტა თავისი
მომავალი ბედისწერა... ამ წინახილვით ძალუძდა სხვათა ფიქ-
რების წვდომა, დროისა და სივრცის მოახლოება“ (8,88).

„მემენტო მორის“ ავტორზე ფიქრისას, ბუნებრივია, სუ-
ლინმინდის ქნარად წოდებული პავლე მოციქული გვახსენდე-
ბა, რომელიც წინასწარმეტყველების უნარს სულინმინდის

მადლად თვლიდა და შეგვაგონებდა: „წინასწარმეტყველებას ნუ გააბიაბრუებთ“ (პავლე მოციქული, ფილიპელთა, 4,19).

პავლე მოციქული გვასწავლის: „წინასწარმეტყველება არასოდეს არ წარმოთქმულა ადამიანის ნებით, არამედ ადა-მიანები, სულინმინდის მიერ აღძრულნი, ღვთისგან წარმოთ-ქვამენ მას“ (II პეტრე, 2,21).

ტერენტი გრანელი გამუდმებით ლოკალურიდან გლობა-ლურისკენ, საზღვრის, მიჯნის მიღმა მიისწრაფვოდა. მისი დაუდეგარი სული არა მხოლოდ დედამიწას, ცას, კოსმოსს, სხვა პლანეტებს ზვერავდა და სამყაროს ცენტრში ყოფნის განცდა ეუფლებოდა.

მის პოეზიაში ბუნებრივად დაისვა მსოფლიოს შემოქმე-დებით ტრადიციებთან, ზოგადსაკაცობრიო პრობლემებთან მიმართების, საერთაშორისო არენაზე ქართული მხატვრული სიტყვის ადგილის და მნიშვნელობის გააზრების საკითხი.

„მემენტო მორის“ ავტორის მიხედვით, „გული მსოფლიო ღერძია“, „გულის გარშემო მსოფლიო სევდის ცეცხლი ანთია“ (მარადისობის ლაჟვარდები“). პოეტი დაატარებდა საკაცობ-რიო სევდას და შიში იპყრობდა გალიის, ყუთის, საპყრობი-ლის სახეებად მოზმანებული ქვეყნის გამო: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“...

მთელი ძალისხმევა სულისა მარადიულს, მსოფლიოს, უსაზღვროს უტრიალებდა: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზ-ღვროს ვეტრფი, გულია ისევ მსოფლიო ღერძი, მე ხომ ვიგ-რძენი მთელი სამყარო, მე ისევ ვეძებ მარადისობას, და მინდა ყოფნა იქაც და იქაც“.

პლანეტარიას, სხვა პლანეტას, შორ პლანეტას ესწრაფ-ვოდა, ჩვენი პლანეტის სევდა მსჭვალავდა. „მარსის წიაღში გაქანებაზე“ საუბრობდა, ვიღაც მარსიანელს ეკამათებოდა. მერე უფრო იზრდებოდა მასშტაბები და სულის უკიდეგანო-ბას გვაუწყებდა ეს სურვილი: „მე მინდა ყველგან ვიყო, რო-

გორც ლმერთი, მინდა ვარსებობდე ყველგან, მსურს სამყარო
მეკავის, ავენთები..., როგორც სიშორე და პლანეტები“.

პოეტმა მთელი კაცობრიობის ავდარი შეიგრძნო: „ცა
იღრუბლება, მოდის ავდარი, მე დამაქვს სევდა ჩვენი პლანე-
ტის, მოწყენა მოსდევს ამნაირ ავდარს, მე ხომ ვიგრძენი მთე-
ლი სამყარო (ჩემი ბედი).

რწმენის, უსაზღვრობის (ლმერთის) სიყვარულით ეზ-
რდებოდა ფრთები და ასტრალებში ნავარდის უნარი ენიჭებო-
და: „ვგრძნობ მსოფლიოს და უსაზღვროს ვეტრფი, ვუმზერ
პლანეტარიას, უსაზღვროებას, მარადისობას“.

პოეტი განიცდიდა როგორც ფიზიკურ სამშობლოს, ისე
მის სულიერ ზეცას, „უხილავ საქართველოს“.

ტერენტი გრანელი არ ცდებოდა, როცა თავის შემოქმე-
დებას პლანეტის, მსოფლიოს ყურადღების ღირსად აცხადებ-
და.

ჩვენი დროის ნიჭიერმა პოეტმა მურმან ჯგუბურიამ ტე-
რენტის ლირიკა „მომავალი კოსმოდრომების, საუკუნეების
პოეზიად“ მოიხსენია (მურმან ჯგუბურია, მომავალი კოსმოდ-
რომების პოეტი) (9,4).

პოეტი დილარ ივარდავა ტერენტის პოეზიაში ხედავს
„საღმრთო ფერებს“, ზეციურ განზომილებებში მოარულ
სულს და ქართველი პოეტის ლექსების პოეზიას მაღლა აყე-
ნებს როლინას, რემბოს, ვიონის, ნადსონის ლექსებზე (10,4).

პოეტი თამაზ ფიფია ტერენტის წარმოგვიდგენს, რო-
გორც მარადისობის, ლმერთის რჩეულს (ფრაგმენტები გრანე-
ლის ფიქრებიდან) (11,3).

ლერი ალიმონაკი საუბრობს პოეტის „კოსმიურ ძალებ-
ზე“ (4,32).

ვლადიმერ ნორაკიძის აზრით, „ტერენტის ანუხებს
მსოფლიოს რკინის კარის გარღვევა“ (12,38).

გრიგოლ შავიშვილი ყურადღებას ამახვილებს პოეტის
„კოსმურ ელემენტზე, კოსმიურ იდეალებზე“ (12,151).

აპოლონ ქელბაქიანის დაკვირვებით, ტერენტის სევდა მსოფლიო სევდაა, რომლითაც შეპყრობილი იყვნენ ბაირონი და ბარათაშვილი.ინტუიციური ხედვა ტ. გრანელში უმაღლეს წერტილამდე აღნევს (12,21).

მხატვარი რეზო ადამია ტერენტის უწოდებს პლანეტების მგოსანს, კოსმიური ფენომენის უცნაურ ბინადარს, რომლის შემოქმედებაშიც ისმის კოსმიურ ხმათა კივილი, კოსმიური ბგერები, კოსმიური მონოლოგი, კოსმიური მუსიკა, კოსმიური სევდა, კოსმიურ სივრცეში გახმიანებული... მოციქულებრივი მართალი ხმა, ჩვენი პლანეტის გარეთ გამავალი ხმა აფორიზმი: „შენ, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ოცნებით ზეცას მოვიარ“...

მხატვარი რეზო ადამია ტერენტი გრანელის პოეზიაში ხედავს კოსმიურ მოგზაურობას, კოსმიურ სივრცეს, კოსმიურ თემებს, კოსმიურ სურათს, კოსმიურ ფერებს, კოსმიურ სიდიდეს, კოსმიურ აზროვნებას, კოსმიურ ველს, კოსმიურ გონს, კოსმიურ სამკაულებს, კოსმიურ სულს, კოსმიურ მარადიულ სამყაროს, მგოსნის ლექსად ნააზრევ კოსმიურ, სურათს, კოსმიურ სიმართლეს, კოსმიურად დამოუკიდებელი გენის სულს, კოსმიურ წმინდანს“.

ლექსით „ფიროსმანი“ ტერენტი გრანელი მსოფლიო პოეზიის შედევრთა გალერეაშია ექსპონირებული“.

„ალბათ წინაპართა კოსმიური ველის ცოცხალი ხაზიც უნაკლოდ გადიოდა ტერენტის სხეულში“, ასკვნის დიდი მხატვარი.

რეზო ადამია ხაზს უსვამს ტერენტი გრანელის პოეზიის რელიგიურობას, ეროვნულობას და ზოგადსაკაცობრიო ხასიათს.

მხატვარს პარიზში, პომპიდუს ცენტრში, ფრანგი მსახიობისგან მოუსმენია ტერენტი გრანელის ქება, მისი ხსენება ვაჟა-ფშაველას, ნიკოლოზ ბარათაშვილის, გალაკტიონ ტაბიძის გვერდით.

რეზო ადამია აღფრთოვანებულია ქართველი პოეტის ფრანგული თარგმანებით, რომელიც შესარულა პარიზში მცხოვრებმა ქართველმა – დავით თოთიბაძემ.

„... ცეცხლოვანი, მოლურჯო, მონითალო და მოისფრო კოსმიურ ალში გახვეული მგოსანია ტერენტი გრანელი“, აც-ხადებს პოეტის საიდუმლოებებით სავსე სამყაროში ღრმად ჩახედული მხატვარი.

რეზო ადამია დარწმუნებულია: „ტერენტი გრანელის პოეზიას რომ გასცნობოდა, დიდი ესპანელი მხატვარი სალვა-დორ დალი უთუოდ დაინტერესდებოდა ქართველი მგოსნის მსოფლმხედველობით, პლანეტებისკენ მზერით და მისი ლექ-სებით შთაგონებული, კოსმიურზე და პლანეტებზე საოცარი სიურეალისტური სურათების სერიალს შექმნიდა.

ცაზე, უშორეულეს ვარსკვლავებს იქით ხედავს ქართველი ფერმწერი ტერენტი გრანელის „კოსმიურ გენს“ (7,56-107).

„ტერენტი გრანელმა მთელი მსოფლიო შემოიტანა თავის სულში, კოსმიურ პრობლემებს ლირიკით გასცა პასუხი“, აღნიშნავს მკვლევარი აპოლონ უორდანია (13,81).

პარიზში მცხოვრები ქართველი მეცნიერი და მთარგმნელი დავით თოთიბაძე საუბრობს კოსმიურ სივრცეზე, კოსმიურ სპლინზე, მის ორმაგ განზომილებაზე, მისტიურსა და კოსმიურზე და ამას უწოდებს „მესამე გზას“...

მუხრან მაჭავარიანი გრანელს უწოდებს „ჭეშმარიტ პოეტს, ვაჟას ნალდ აჩრდილს“ (10,3).

მერაბ კოსტავა საზღვრის მიღმა გაღწეულად წარმოიდგენს პოეტს: „ეს დედამიწა აკრთობდა გრანელს, როცა ოცნებით ცაში ვიდოდა, იმ ცეცხლის ალით თვით დაიგრაგნა, ვიდრემდე საზღვარს გადავიდოდა“ (გალაკტიონი)(4,45).

„კოლხი ბრძენკაცი“ (ზ. ცხონდია) – ტერენტი გრანელის პოეზია ჭეშმარიტად იყო „პოეზია პლანეტების“.

დამოწმებანი

1. ცისფერი სიშორე, თბ. 1997
2. ასი ლექსი, თბ. 2005
3. ტერენტი გრანელი, ტ. I, 1990
4. ლერი ალიმონაკი, გრანელის ლანდი, თბ. 1997
5. ახალი ალთქმა და ფსალმუნები, 1992
6. დავით თოთიბაძე, ტერენტი გრანელი, (ხელნაწერი)
7. რეზო ადამია, ტერენტი გრანელის ლექსად მოქცევა და ტკივილად წასვლა, წიგნში „ტერენტი გრანელი, სისხლი-დან ცრემლი“, 2008
8. ლერი ალიმანაკი, კვირის წირვები, თბ. 1984
9. „ლიტერატურული გაზეთი“, 10-23 ივნისი, 2004
10. „მწერლის გაზეთი“, 22-28 ნოემბერი, 2001
11. „მწერლის გაზეთი“, 10-16/X, 2002
12. ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია, თბ. 1984
13. აპოლონ უორდანია, დრო და შემოქმედება, თბ. 1987
14. გალაკტიონ ტაბიძის უურნალი, ქუთაისი, 1995, 16 აგვის-ტო

LUARA SORDIA

THE NATIONAL AND UNIVERSAL DIMENSION OF TERENTI GRANELI'S WORK

A summary

Terenti Graneli is an outstanding representative of the Georgian Renaissance of the twentieth century.

The poet shared the Apostle Paul's view that talent is the grace of the Holy Spirit, that true art is religious, that it is a servant of goodness, truth and beauty, an objective judge of the past and the present, characterised by the ability to foresee the future.

The author of *Memento Mori* was a clairvoyant and clairaudient, a faithful servant of the national triad - language, country, faith.

The poet's surname comes from the Grail, and the Grail is "the birthplace of cosmic wisdom, the Holy Spirit, the Mother of God" (Zviad Gamsakhurdia).

Terenti Graneli did not serve a pragmatic, ephemeral wisdom, but a cosmic, eternal wisdom that allowed people to transcend the limitations imposed on them.

The poet's handwriting is impressionistic and at the same time marked by biblical-Christian symbolism.

Because of his objectivity and principles, the official authorities were angry with him and made him a victim of psychiatric repression, imprisoning him in a lunatic asylum. Ignored by the modern authorities and declared insane, the poet showed his talent as an artist in a psychiatric hospital and created 860 outstanding graphic masterpieces, considered by experts to be of the highest quality. Fortunately, these drawings were printed.

Terenti Graneli's philosophical texts, the problems of destiny and happiness, the paradigm of death, the idea of the

"blue death", the search for the "third way", the paradigms of the "blue night" and the "blue sister" deserve special attention; the poet shared the idea of reincarnation and believed in the eternity of poetic ideas.

Terenti Graneli was saddened by the fate of his long-suffering homeland, Georgia, which fell into the clutches of the northern monster, but he believed in the resurrection of the Georgian nation and language - the biblical Lazarus, which came true.

The main thing in the poet's oppositional lyrics is a bold exposure of the descendants of apocalyptic tyrants of temporal tyrants.

The riddles of the author's original Christian imagery "Memento Mori" - "Blue Night" (the supreme symbol), "Blue Sister" - the Virgin Mary, "Blue Flower" - in search of eternal truth deserve special interest.

In the work of the Georgian poet, attention is drawn to the bold resonance with Georgian and foreign predecessors, reminiscences of representatives of the classical literature of the world.

Galaktion Tabidze called Terenti Graneli "a true genius and talent, a true poet, a veritable poet".

The creative kinship of these poets manifested itself in many aspects, to which we have devoted a detailed monograph.

Terenti Graneli shows considerable affinity with many of the problems of the original poetry of the genius of Vazha-Pshavela. These are the primacy of national ideals, the sublime, human suffering, the paradigm of the "invisible wind", the mist of inspiration, as they are so related to Homer.

Memories of the German writer Friedrich Nietzsche are reflected in the Georgian poet's "Emal lines". With Nietzschean courage, Terenti Graneli criticised the unjust state, the immoral clergy and pseudo-literature, but he did not explain them by the death of God, as Nietzsche did, but by man's apostasy from God.

Terenti Graneli revealed negative events objectively, but like Nietzsche he did not look for a scapegoat, the Antichrist. On the contrary, he proclaimed the conversion to faith as a way of moral purification of man. The nihilism of Friedrich Nietzsche's "Thus Spoke Zarathustra" and the negative assessment of Christ's humanism were unacceptable to both the Georgian poet and Rudolf Steiner.

The great American writer Edgar Poe, his honesty, the poem "The Raven", the character of Lenore earned the respect of the Georgian poet, but Terenti Graneli perceived this foreign predecessor as a classicist, not as a disciple.

We think it is right to mention Terenti Graneli next to Dante, the representative of the Italian Renaissance, because the Georgian poet, like Dante, was able to understand the reality of hell, the cold room, paradise, the separation of body and soul, astral journeys and the judgement of sinful people, the mysteries of the afterlife.

Terenti Graneli had a prophetic intuition. The poet foresaw the political upheavals in the world, the independence of Georgia, the return of our country to Christianity; the recognition of his work on a national and international level.

Today, when mankind thinks about the exploitation of the planet Mars and the settlement of humans, it is impossible not to remember the statements of the Georgian poet: "I loved to rock on the bosom of Mars", "I am talking to a certain Marsman".

All the problems raised in Terenti Graneli's work, in addition to the national ones, are universal, which has earned the poet a place among the world's classics.



ლუარა სორდია არის ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისა და ჯუმბერ ლეჟავას სახელობის მრავალპროფილიანი საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის წევრი. მისი კვლევის სფეროა მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ესთეტიკის პრობლები, თანამედროვე ლიტერატურული პროცესები.

სრულიად საქართველოს გალაკტიონ ტაბიძის ლიტერატორთა კავშირის მიერ დაჯილდოებულია პოეტის სახელობის მედლითა და პრემიით. ასევე, საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის მიერ მიღებული აქვს ტერენტი გრანელისა და ბეჟან ხარაიშვილის სახელობის პრემია მონოგრაფიისთვის – „ბეჟან ხარაიშვილი – ქართული პოეზიის მიმინ“.

ლუარა სორდია ავტორია შემდეგი მონოგრაფიების: გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის პრობლემური საკითხები, „განათლება, თბ. 1991 (დამხმარე სახელმძღვანელო პედაგოგიური ინსტიტუტების სტუდენტებისთვის), უცნობი სფინქსი (დაკვირვებები ტერენტი გრანელის პოეზიაზე), „ალაშარა“, სოხუმი, 1992, გალაკტიონ ტაბიძის სიმბოლიკა, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1993 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ფილოსოფიური ლირიკის საკითხები, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 1996 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), რევაზ მიშველაძის შეგონებანი, გამონათქვამები, ხატოვანი თქმები, ფრაზები, „ობოლი მარგალიტი“, თბ. 1999, რევაზ მიშველაძის ნოველათა სამყაროში, გამომცემლობა „ნეკერი“, თბ. 2001,

ანა კალანდაძის პოეზია (ბიბლიურ-ქრისტიანული ასპექტები), თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ. 2005 (სტუ-დენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძე და ტერენტი გრანელი (შემოქმედებითი ნათესაობის საკითხები), „მერიდიანი“, თბ. 2005, წერილები, ბიბლიის ერთი კონცეფ-ცია, აპოკალიფსური სახეები, გრაალის იდეალი, „უნივერსა-ლი“, თბ. 2009, საღვთო სიბრძნისა და საღვთო სიყვარულის ადეპტები ქართულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ქრის-ტიანული სახისმეტყველების საკითხები XX საუკუნის ქარ-თულ პოეზიაში, „უნივერსალი“, თბ. 2009, ანა კალანდაძის ეს-თეტიკის საკითხები, „უნივერსალი“, თბ. 2009, გოდერძი ჩო-ხელის „მგელი“ (პრობლემატიკა და სახეები), „უნივერსალი“, თბ. 2009, გალაკტიონ ტაბიძის სახისმეტყველებისა და მსოფ-ლმხედველობის საკითხები, თბ. 2009 (სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელო), გალაკტიონ ტაბიძის ესთეტიკის საკითხე-ბი, „უნივერსალი“, თბ. 2011, ტერენტი გრანელის ბედისწერა, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეფისტოფელის საუკუნე და გალაკ-ტიონ ტაბიძის პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2011, მეოცე საუ-კუნის პირველი ნახევრის ქართული ოპოზიციური ლირიკა, „უნივერსალი“, თბ. 2011, ანტიციპაცია მეოცე საუკუნის ქარ-თულ ლიტერატურაში“, „უნივერსალი“, თბ. 2011, ქართველი მამულიშვილი მსოფლიოს გზებზე (მსოფლიოში მოგზაურ და მსოფლიოს რეკორდსმენ ჯუმბერ ლეჟავას ფენომენი), WWW. Sou.edu.ge 2012. ქრისტეს მხედარი კოლხეთიდან (ვა-ჟა ეგრისელის „კოლხური ფსალმუნები) WWW. Sou.edu.ge 2012. ქართული სულის კოლიზეუმი (ვაჟა ეგრისელის პოეზია) „უნივერსალი“, თბ. 2015. მადლშემოსილი (გულნაზ ხარაიშვი-ლის სულის გალობა), „უნივერსალი“, თბ. 2015, ბეჟან ხარაიშ-ვილი – ქართული პოეზიის მიმინო, „უნივერსალი“, თბ. 2016,

ტერენტი გრანელის ენიგმები, „უნივერსალი“, თბ. 2016, მე-
რაბ კოსტავას პოეზია, „უნივერსალი“, თბ. 2017, გრაალის
ორდენის რაინდი – გრიგოლ რობაქიძის მსოფლმხედველობი-
სა და სახისმეტყველების ზოგიერთი პრობლემა, „უნივერსა-
ლი“, თბ. 2017, „სამების სამრეკვლოდან“, „თბილისი“, 2018.
ნიკო სამადაშვილის პოეზია, „უნივერსალი“, თბილისი, 2021.
რობერტ მესხის „ლირიკის თვალსაწიერი“, „უნივერსალი“,
თბილისი, 2021.

სულიერების მსახური. გულნაზ ხარაიშვილის „დარდის პი-
რამიდების“ მთავარი კრიტერიუმები. „უნივერსალი“, თბილი-
სი, 2023, ინდიგო – ადამიანთა ახალი, „ისფერი რასა“ – ლა-
მარა გერგედავას „ლიტერატურული მოზაიკის შთაგონება“,
„უნივერსალი“, თბილისი, 2023.



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკოს სახ. №4. ტელ: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com